



საბა
მუზეუმი

ფართული აკადემიატიკის
ოკუნუმშემოყვითელი
სახისმუზეუმი

ქართული აგიოგრაფიის (IV-X სს.)
იკონოგრაფიული
სახისხელყველება

თბილისი
2008

**ვუძლვნი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
უნიდესისა და უნეტარესის ილია II-ის დაბადების 75-ე და
აღსაყდრების 30-ე წლისთავს**

წიგნში შესწავლილია ქართული აგიოგრაფიული მწერლობის ძეგლები (IV-X სს.) იქონგრაფიული სახის მეტყველების კვალობაზე, განსაზღვრულია კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი და სპეციფიკა, გაანალიზებულია აგიოგრაფიის პრინციპები და მათი განსახოვნების თავისებურებანი. წიგნი დაეხმარება როგორც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, ასევე სტუდენტებსა და სპეციალისტებს.

რედაქტორი რევაზ ბარამიძე

რეცენზენტები: ლაურა გრიგოლაშვილი
ელისო კალანდარიშვილი

ყდის დიზაინი და დაკაბადონება გიორგი ბაგრატიონისა

© საბა-ფირუზ მეტრეველი, 2008

გამომცემლობა „ნეკერი“, 2008

ISBN 978-9941-404-04-7

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	5
თავი I „წმ. ნინოს ცხოვრება“	7
თავი II იაკობ ხუცესის „წმ. შუშანიკის წამება“	52
თავი III „წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“	82
თავი IV იოანე საპანიძის „წმ. აბოს წამება“	102
თავი V „წმ. კოსტანტი კახის მარტვილობა“	131
თავი VI სტეფანე მტბევარის „წმ. გობრონის მარტვილობა“	149
თავი VII „წმ. ცხრა ყრმა კოლაელთა მარტვილობა“	165
თავი VIII „წმ. დავითისა და ტირიქანის მარტვილობა“	176
თავი IX „წმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრება“	187
თავი X „წმ. შიოსა და ევაგრეს ცხოვრება“	205
თავი XI „წმ. დავით გარეჯელის ცხოვრება“	232
თავი XII „წმ. აბიბოს ნეკრესელის წამება“	254
თავი XIII გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“	279
დასკვნები	298
Иконографическая образность грузинской агиографии	301
RESUME	323
დამონიშვილი	325

შ ე ს ა ვ ა ლ ი¹

ყოველი დრო თავისებურად აღიქვამს ლიტერატურულ მემკვიდრეობას და აქცენტებიც განსხვავებული კეთდება. ჩვენ, უპირველესად, უნდა განვსაზღვროთ აგიოგრაფიული მწერლობის უმთავრესი პრინციპი, გავარკვიოთ მისი რაობა, თავისებურება და ისიც, რატომ უნდა ვიკვლიოთ, ვისწავლოთ და ვასნავლოთ, რა უნდა ვეძებოთ მასში, რომ ჩვენთვის არ იქცეს „მკვდარ ტექსტად“.

აგიოგრაფია სამეცნიერო დისციპლინაა, რომელიც სწავლობს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილთა ცხოვრებას, იგი კანონიზირებულთა ღვაწლის ასახვაა საღვთისმეტყველო და ისტორიულ-საეკლესიო ასპექტებით. თავად სიტყვა „აგიოგრაფია“ ბერძნულიდან მომდინარეობს (აგიოს – წმინდა, გრაფო – აღწერა, შესწავლა). წმინდანთა ცხოვრება შესაძლებელია შესწავლილ იქნას, როგორც საღვთისმეტყველო, ისე ისტორიული, სოციალურ-კულტურული და ლიტერატურული ასპექტებით.

აგიოგრაფია სხვადასხვა გამოცემებში განმარტებულია, როგორც საეკლესიო ისტორიისა და ლიტერატურის დარგი (პოლონეთი 2007: 3); ერთ-ერთი ძირითადი დარგი საეკლესიო მწერლობისა (ენციკლოპედია); ნაირსახეობა ასკეტიკური (საეკლესიო-დადაქტიკური) ლიტერატურისა (ჟივოვი 1994: 3); სახე ღვთისმოსავი თხრობითი პროზისა (პალიაკოვა 1995: 1).

შენიშნულია, რომ აგიოგრაფიასთან უშუალოდაა დაკავშირებული ლიტერატურული, ისტორიული, არქეოლოგიური, ხალხური-საკულტო და ლიტურგიკული. თემატურად აგიოგრაფია მრავალსახეობრივია. აქ ჩვენ შევხვდებით პოლიტიკურ მოვლენებს, დეტალებს ოჯახური ცხოვრებიდან, სასახლის ინტრიგებს, რეალურ სამეცნიერო პრობლემებს, საეკლესიო ბრძოლებთან ერთად დოგმატურ კამათებსა თუ სამონასტრო

1 შესავალში საგანგებოდაა შეტანილი ზოგიერთი ქრესტომათიული საკითხი

საქმეებს. აგიოგრაფიას უკავშირდება აგიოლოგია, რომელიც სწავლობს წმინდანობის საღვთისმეტყველო და საისტორიო-საეკლესიო ასპექტებს. ძირითადი მასალა აგიოლოგიისათვის, ისე როგორც აგიოგრაფიისთვის, არის ლიტერატურა წმინდანთა ცხოვრებისა. თუ აგიოგრაფიას წმინდანთა ცხოვრებანი რელიგიური და ლიტერატურის ისტორიის იმ ეპოქის ძეგლებად მიაჩნია, რომელშიც ისინი შეიქმნა, აგიოლოგია უმთავრეს ყურადღებას ამახვილებს თავად წმინდანობაზე, მის ტიპსა და ამ ტიპის განვითარებაზე სხვადასხვა ეპოქაში.

ისტორიულ-საღვთისმეტყველო ანალიზი წმინდანის ცხოვრებისა მოითხოვს მის შესწავლას ეპოქის საღვთისმეტყველო შეხედულებათა აღსადგენად, ავტორისა თუ რედაქტორის საკითხს, მათს წარმოდგენას წმინდანობის, ცხონების, განლმრთობის... შესახებ. ისტორიულ პლანში წმინდანთა ცხოვრების ასახვა საუკეთესო წყაროა ეკლესიისა და ერის ისტორიისა. სოციალურ-კულტურული ასპექტით წმინდანთა ცხოვრება იძლევა შესაძლებლობას, განვსაზღვროთ სულიერობის ხარისხი და სახე, მოვახდინოთ რეკონსტრუქცია ეპოქის რელიგიური ცხოვრებისა. წმინდანთა ცხოვრება ქრისტიანული ლიტერატურის ყველაზე ვრცელი ნაწილია თავისი განვითარების კანონზომიერებით, სტრუქტურული და შინაარსობრივი პარამეტრების ევოლუციით. სწორედ ამ კუთხით წარმოადგენს აგიოგრაფია ლიტერატურულ-ფილოლოგიური განხილვის საგანს² და, შესაბამისად, ყველა სხვა ტიპის კვლევის საფუძველს.

აგიოგრაფიაში ყოველთვის, გამონაკლისის გარეშე, არის ისტორიული პირი, ან გარკვეული ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც რწმენისთვის გმირობის მაგალითს გვიჩვენებენ.

მთელი შინაარსობრივი მხარე აგიოგრაფიისა სახარებისა და სამოციქულოს პირდაპირი გავლენაა. აქ ვიპოვით არა თუ ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ იდენტურობასა და დამთხვევას, არამედ აღმოვაჩენთ, რომ მთელი აგიოგრაფიული მწერლობის ზოგადი სააზროვნო მოდელი ევანგელიურია.

განარჩევენ პრაქტიკულ და კრიტიკულ აგიოგრაფიას. ე. წ. პრაქ-

2 შდრ. Живов В. М. Краткий словарь агиографических терминов, 1994;

Агиография, Материал из Википедии — свободной энциклопедии,
<http://ru.wikipedia.org/>

ტიკულ აგიოგრაფიას უწოდებენ ცხოვრებათა უანრის ლიტერატურას. კრიტიკული აგიოგრაფია, როგორც ნაწილი აგიოლოგისა, თეორიაა წმინდანობის შესახებ და სამეცნიერო დისციპლინად ითვლება (პოლონსკი 2007: 3) დასავლურ (კათოლიკურ) ტრადიციაში ერთობ მიღებული და პოპულარულია კრიტიკული აგიოგრაფია. კრიტიკულ-აგიოგრაფიული მეთოდის ფუძემდებლებად კათოლიკური ეკლესის წიაღში ითვლებან ბალანდისტ - იუზუიტები, რომლებიც XVI ს-ში გაერთიანდნენ სახელწოდებით „იმანე ბალანდას საზოგადოება“ (მისი დამარსებლის სახელია) ან შემოკლებით „ბალანდისტების საზოგადოება“ (Société des bollandistes). დღეისათვის ბალანდისტები პრაქტიკულად აღარ შემორჩენენ, თუმცა გამოსცემენ უურნალს „Anflecta bollandiana“, რომელიც ეძღვნება აგიოგრაფიისა და აგიოლოგის საკითხებს.

წმინდანთა ცხოვრება იწერება გარკვეული ლიტერატურული ნორმებისა და კანონების მიხედვით, რომლებიც იცვლება დროისა და სხვადასხვა ქვეყნის ქრისტიანული ტრადიციების მიხედვით. ნებისმიერი ინტერპრეტაცია აგიოგრაფიისა მოითხოვს წინასწარ გადაიხედოს ის, რაც განეკუთვნება ე. ნ. ლიტერატურული ეტიკეტის სფეროს. ეს კი გულისხმობს წმინდანთა ცხოვრებათა უანრების, ტიპობრივი სქემების აღნაგობის, სტრუქტურის, სტანდარტული მოტივებისა და გამოსახვის ხერხების შესწავლას. მაგალითად, ისეთ აგიოგრაფიულ უანრს, როგორიც წმინდანთა „ცხოვრებაა“, რომელიც თავის თავში მოიცავს როგორც ცხოვრებათა ტიპს ისე ქადაგებათა სასიათს, ახასიათებს საკმაოდ მკვეთრი კომპოზიციური სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი ნაწილი და ეპილოგი. თემატური სქემა ძირითადი ნაწილისა, ზოგადად, ასეთია: წმინდანის წარმოშობა (მშობლები, კეთილმორწმუნე ოჯახი), დაბადება (დედის მუცლიდანვე ღვთივებამორჩეულობა), აღზრდა, საქმიანობა და სასწაულთქმედების ნიჭი, გარდაცვალება (მართალი აღსასრული) და მისი ღვანწლის შედარება სხვა ღვთისმოსავებთან. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია ცნობილი, ასეთი ხასიათი აგიოგრაფიული მწერლობისა მომდინარეობს გვიანდელი ხანის ანტიკური ენკომიებიდან, რომელთა სხვადასხვაგვარი რეალიზაცია აგიოგრაფიის განვითარების პროცესში იძლევა ხელშესახებ მასალას როგორც ისტორიულ-ლიტერატურული, ისე ისტორიულ-კულტურული დასკვნების გამოტანისათვის.

აგიოგრაფიულ მწერლობას ახასიათებს სტანდარტული მოტივები, მაგ.: წმინდანის დაბადება ღვთისმოსავი მშობლები-

საგან, გულგრილობა საბავშვო თამაშობებისადმი, სიმღერა-ლხინისადმი, განსაკუთრებული თავშეკავება, განმარტოები-საკენ მიღრეკილება და ა. შ. მსგავსი კლიშეები გამოიყოფა სხვადასხვა ტიპისა და ეპოქის აგიოგრაფიულ ნაწარმოებში. მაგ. მოწამეთა აქტებში, მათს უძველეს ნიმუშებში, წარმოდგენილია მარტვილის განსაკუთრებული ლოცვა აღსასრულის წინ და მოთხრობილია უფლის შემწეობის შესახებ მისი წამების დროს. მოწამე იმეორებს ქრისტეს გამარჯვებას სიკვდილზე, ამონშებს ქრისტეს საკუთარი სისხლით და ხდება „**მეგობარი უფლისა**“. ასეთი საღვთისმეტყველო საფუძველი წამებანისა აისახება მოწამეთა აქტების სტრუქტურულ ხასიათზე.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ წმინდანთა ცხოვრება არ არის მათი ბიოგრაფიის აღწერა. ეს არის წმინდანის გზა სულის ხსნისა და გადარჩენისკენ, ეს არის ხარისხი წმინდანობისა, როგორ უნდა იცხოვო, რომ გახდე ლმერთს მიმსგავსებული, მეგობარი უფლისა. ამიტომ სტანდარტული მოტივების ნაკრები, უპირველესად, გამოხატავს არა ბიოგრაფიის ე. წ. ლიტერატურული ხერხებით აგებულებას, არამედ გზას ზეციური სასუფევლისაკენ. რადგანაც აგიოგრაფია განასახოვნებს სულის ხსნის ამ სქემას, ამიტომ ცხოვრებათა აღწერა აქ განზოგადებულ ხასიათს ატარებს.

წმინდანთა თაყვანისცემა განუყოფელი ნაწილია მართლ-მადიდებელი სულიერობისა. წმინდანთა დასი ზრუნავს მორ-წმუნებზე და მფარველობს მას. თაყვანისცემის ხასიათი განპირობებულია გარდამოცემით (ტრადიციით), ჩვენც ისევე ვე-თაყვანებით მათ, როგორც ჩვენი წინაპრები. სულიერი ლირებულება ამ მიმართებისა დამოკიდებულია რწმენის ხარისხსა და გულის სიწმინდეზე. თაობათა ეს ცვლა დაირღვა სამოცდაათი წლის მანძილზე ათეისტურ საქართველოში და აუცილებელი გახდა ამ ციფრის ხელოვნური შევსება.

წმინდანთა თაყვანისცემა ჩვენში გამოირჩევა გარკვეული თავისებურებებით და მათი ცოდნა აუცილებელია, რადგან მან ჩამოაყალიბა ეროვნული სულიერი ტრადიცია.

სულის გადარჩენისა და ცხონების გზის აღწერა შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი. სწორედ ამის განსახოვნებით განსხვავდება ერთმანეთისგან დასავლური და აღმოსავლური

ტრადიცია აგიოგრაფიისა.

დასავლური (კათოლიკური) ცხოვრებანი იწერება დინამიკურ პერსპექტივაში: აგიოგრაფი თვალს ადევნებს წმინდანს საკუთარი პოზიციიდან, მიწიერი ცხოვრებიდან, თუ როგორი გზა გაიარა ამ ქვეყნიდან სასუფევლისაკენ.

აღმოსავლური ტრადიცია კი მკვეთრად გამოხატული საპირისპირო პერსპექტივაა, როცა უკვე წმინდანმა დაიმკვიდრა ცათა სასუფეველი და იქიდან გვიჩვენებს ხსნის გზას, გზას ედემისკენ. ასეთი პერსპექტივა ხელს უწყობს ჩამოაყალიბოს და განავითაროს მოკრძალებული, თავშეკავებული წესი ცხოვრებისა.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი განსხვავება ასევე თვალნათლივ აისახება დასავლური და აღმოსავლური იკონოგრაფიის ტრადიციათა თავისებურებებზე. დასავლური იკონოგრაფიის სიუჟეტურობა აღწერს წმინდანის გზას ღვთისაკენ. ეს უპირისპირდება ბიზანტიურ იკონოგრაფიულ სტატიკურობას, რომელიც წმინდანს, უპირველესად, წარმოაჩენს უკვე მართლმადიდებლურ ზეციურ მდგომარეობაში. ამგვარად, აგიოგრაფიული მწერლობის ხასიათი უშუალოდ შეეფარდება რელიგიურ შეხედულებათა სისტემას. აგიოგრაფია, როგორც დისციპლინა, შეისწავლის ყველა ამ რელიგიურ-საღვთისმეტყველო კომპლექსს, კულტურულ-ისტორიულ და საკუთრივ ლიტერატურულ მოვლენებს.

აგიოგრაფია ასახავს ადამიანის შინაგან სამყაროს, გვესაუბრება ადამიანის სულში მიმდინარე ურთულესი პროცესების შესახებ, ურთიერთსაპირისპირო სწრაფვათა ბრძოლის შესახებ.

შუა საუკუნეების ლიტერატურის უპირველესი ღირებულება ისაა, რომ ის „ჭეშმარიტი და უტყუელია“. აგიოგრაფია (ქრონიკები, საერთოდ, შუა საუკუნეების ეპოსი) მოგვითხრობს მხოლოდ ჭეშმარიტ ფაქტებზე (შდრ. „წმ. აბოს წამების“ შესავალი) და ამდენად იგი მიიღება, როგორც სინამდვილე და არა მხატვრული გამონაგონი, მითი თუ ლეგენდა.³

მაგრამ როგორც უნდა ეცადოს აგიოგრაფი, რომ ზედმინ-

3 შდრ. Назиров Н. Р. Автономия литературного героя, №10/2005: Русская классическая литература, М., 2005, с. 117.

ევნით ზუსტად გადმოსცეს წმინდანის ცხოვრება, იქ ყოველთვის რჩება „რაღაც“, ართქმული თუ ვერთქმული, ანუ ის, რაც არ ექვემდებარება სიტყვით გამოხატვას. მთავარი საიდუმლო წმინდანისა და წმინდანობისა, როგორც რაღაც იდუმალისა და გონებისთვის მიუწვდომელისა, არის ღვთის ძალისა და სულიწმიდის გამოვლენა ამ ცოდვილ დედამინაზე (შდრ. Святитель Тихон-Патриарх Московский и вся России, т. ۱. ორლოვის რედაციით, М., 1995).

აგიოგრაფიული ნაწარმოებები ჯგუფდება ორ ტიპად: ცხოვრებათა პირველი ტიპი (ისტორიული) შეესაბამება მეორე ტიპს (ეპიკურს) დაახლოებით ისე, როგორც პროზა – პოეზიას (იერომონახი გრიგორი 2001: 4). პოეტურ ენაში სიტყვა ჩვეულებრივი ენისა არ უდრის თავის თავს. ამიტომ აგიოგრაფიის განხილვისას ეპიკური ცხოვრებანი (მათ შორის აგიოგრაფიული რომანი) იმავე წესებით უნდა გამოვიყელიოთ, როგორც ისტორიკოსები მუშაობენ თავიანთ ქრონიკებსა თუ ისტორიულ ცხოვრებანზე (აგიოგრაფიული რომანის ნიმუშია მაგ. წმ. ანდრეი სალოსის ცხოვრება).

იყო დრო, როცა აგიოგრაფია ისტორიულ მწერლობად განიხილებოდა, ზოგნი მასში ბელეტრისტიკის, ე. წ. „აგიოგრაფიული რომანის“, სრულქმნილებას ხედავდნენ, ზოგსაც მხატვრულ შემოქმედებად არ მიაჩნდა და ა.შ.

როგორც უკვე ითქვა, აგიოგრაფია სასულიერო-საეკლესიო მწერლობის დარგია და ეს განსაზღვრავს მის უპირველეს ფუნქციას, უმთავრეს დანიშნულებას – რელიგიურ - მისტიკურს. ყველა დანარჩენი (ისტორიული, მხატვრულ - ესთეტიკური თუ სოციალური) მეორეხარისხოვანია ამ მწერლობისათვის.

ჩვენთვის კვლევა-ძიების პროცესში უმთავრესია ის, რომ აგიოგრაფია ეფუძნება ლიტურგიულ-ეორტალოგიურ პრინციპს, რაც განსაზღვრავს მის სპეციფიკას. ახლა იმის შესახებ, თუ რას ვგულისხმობთ ლიტურგიულ-ეორტალოგიურ პრინციპში და როგორ ვითარებაში იწერება აგიოგრაფიული თხზულება?

ა) უნდა მოხდეს კანონიზაცია, ანუ წმინდანად შერაცხვა, რაც ეკლესის საჭეთმპყრობელისა (კათოლიკოს-პატრიარქის) და წმიდა სინოდის (უმაღლესი საეკლესიო კრებულის) პრე-როგატივაა. თუ მხატვრული შემოქმედება მუზათა საუფლოა და მაშინ დაწერ, როცა ეს „ქალღმერთი“ გენვევა, ვთქვათ, შუალა-

მისას: („ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუაღამე იწვის, დნება” - გალაკტიონი), აგიოგრაფიულ მწერლობას მუზები ვერ შექმნიან. ჯერ ერთი, არა გაქვს უფლება, ვინმე გააწმინდანო და, მეორეც, შემოქმედი ერთია - უფალი ჩვენი იესო ქრისტე - აგიოგრაფი კი ღვთის ნების აღმასრულებელია და სულიწმიდის შთაგონებით ქმნის. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **აგიოგრაფიაში კანონიკური, ნორმატიული ემთხვევა სასურველს.**

კანონიზაცია ნიშნავს გარდაცვლილის წმინდანთა დასში ჩარიცხვას. წმინდანთა კანონიზაცია ჩამოყალიბდა მოგვიანო ხანში. უძველეს ეკლესიაში კანონიზაცია, როგორც ასეთი, არ არსებობდა. საეკლესიო ერთობა ან ცალკეული პირი ეპისკოპოსისგან მიიღებდა კურთხევას, შეენსა ამა თუ იმ წმინდანის წმიდა ნაწილები და ყოველ წელს პატივი მიეგოთ მისთვის. თანდათან, წმინდანთა თაყვანისცემის ინსტიტუტის ჩამოყალიბება-განვითარებასთან ერთად, წმინდანის სახელი უკვე შეპქონდათ დაპტიქებსა და მარტვილოლოგიებში. ოღონდ მარტვილთა აქტების შეგროვება უშუალოდ არ უკავშირდებოდა იმას, იყო თუ არა ღვთისმოსავი წმინდანად აღიარებული და შერაცხილი. ძველი მორნმუნებისათვის წმინდანობა იყო ხლული სასწაული. ისინი თავად იყვნენ მოწმენი იმ ტანჯვა-წამების დათმენისა ქრისტეს სიყვარულისთვის, რომელსაც წმინდანი აღასრულებდა.

ადრეული ეპოქის კანონიზაციის შესახებ ცნობები შემონახული არ არის. პირველი ცნობილი ფაქტი, რომ პატრიარქმა გადაწყვიტა წმინდანად შერაცხვის საკითხი, იყო ბერძენი პატრიარქი ფოტი (IX ს.). წმინდანთა დასში ჩარიცხვა ადგილობრივ ბერძნულ ეკლესიაში ხდებოდა არქიერის ნებართვით, მისი ლოცვა-კურთხევით და არ საჭიროებდა უმაღლესი იერარქიული ინსტანციის ნებართვას. პატრიარქი მხოლოდ მაშინ ჩაერეოდა, როცა წმინდანის თაყვანისცემა უნდა გამხდარიყო საყველთაო - საეკლესიო. კანონიზაციის აღსრულება (წმინდანთა დასში ჩარიცხვა) დღეს უკვე ეკლესის საჭირობელისა და წმ. სინოდის პრეროგატივა და აღსრულება სადღესასწაულო წირვაზე. განსხვავებული ვითარებაა დასავლეთის (კათოლიკურ) ეკლესიაში. აქაც წმინდანთა ნაწილების თაყვანისცემის განჩინების უფლება ეკუთვნის ეპისკოპოსს, თუმცა კანონიზაცია ხშირად ეკლესის კონტროლს მიღმა მიმდინარეობს. პირველ და ცნობილ ფორმალურ აქტად თაყვანისცემისა და კანონიზაციისა ითვლება 993 წ. ულრის აუგსბურგერის წმინდანად შერაცხვა, ხოლო 1170 წლის მახლობლად პაპმა ალექსანდრე III-მ დაადგინა, რომ არავის ჰქონდა წმინდანად შერაცხვის უფლება რომის ეკლესის დადგენილების (განჩინების) გარეშე, ანუ პაპის უფენქციის გარეშე. ეს დადგენილება ჩართეს პაპი გრიგორი IX-ის დეკრეტებში და გახდა ნაწილი დასავლური კანონიკური სამართლისა. მოგვიანებით კანონიზაცია იქცა მკაცრად რეგლამენტირებულ პროცედურად, კერძოდ:

I. ღვთისმოსავის გარდაცვალებიდან არაუადრეს 50 წლისა ადგილობრივი ეპისკოპოსის შეტყობინების საფუძველზე ხდება სამმაგი გამოკვლევა გარდაცვლილის ცხოვრებისა და მის მიერ სიცოცხლეში ან სიკვდილის შემდეგ აღსრულებული სასწაულებისა, რის შემდეგაც კონკრეტული რომის პაპთან არსებული ადმინისტრაციული ორგანო კენჭს უყრის და შერაცხავს „ნეტარად“. ამ პროცედურას ეწოდება ბეატიფიკაცია.

II. შემდეგ შესაძლებელი ხდება ღვთისმოსავის, უკვე ნეტარის, ადგილობრივ ეკლესიაში თაყვანისცემა.

III. თუკი შემდეგში აღესრულება ახალი სასწაულები ნეტარის მიერ, უკვე დგება საკითხი საერთო-საეკლესიო თაყვანისცემისა. ამის შემდეგ თვითონ რომის პაპი განაცხადებს, რომ ნეტარი ხდება წმინდაში. რომის ეკლესის კანონიკურ სამართალში განსაკუთრებული სიზუსტითა ფორმულირებული პირობები კანონიზაციისა.

აღმოსავლურ ეკლესიაში ამ ტიპს ფორმალური პროცედურა არ არის განსაზღვრული და ჩამოყალიბებული, თუმცა, ძირითადად, კანონიზაცია ემყარება ამავე პრინციპებს. განსაკუთრებული პირობაა სასწაულების მოხდენა, როგორც პირდაპირი ნიშანი იმისა, რომ წმინდანის ფაქტთან გვაქვს საქმე, ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება გვამის უხრინელობას.

ბ) კანონიზაცია გულისხმობს, საეკლესიო—სადღესასწაულო კალენდარში შევიდეს, დაწესდეს წმინდანის მოსახსენებელი დღე, როცა ეკლესია საღვთო ლიტურგიაზე საგანგებოდ მოიხსენიებს მის ღვაწლსა და მეოხებას სთხოვს უფლის წინაშე. წმინდანად შერაცხვის სამზადისი, თავისთავად, გულისხმობა იმას, რომ უნდა დაინეროს ხატი, ტროპარ-კონდაკი, სასურველია, შეიქმნას საგალობელი და აგიოგრაფიული ნაწარმოები, ანუ მოთხოვთ წმინდანის ცხოვრებაზე.

წმინდანთა იკონოგრაფია (ანუ მათი გამოსახულებები სარკოფაებზე, ფრესკებზე, რელიეფებზე, ხატებზე და ა. შ.) ქრისტიანულ ტრადიციაში ცნობილია უძველესი დროიდან, რომელიც ჩნდება მონაშეთა კულტის განვითარებასთან ერთად. იკონოგრაფიის განვითარება დაკავშირებულია სარკოფაების გამოსახულებებთან. უმთავრესი იდეა ამ გამოსახულებებისა მდგომარეობს სიკვდილზე გამარჯვებასა და სულიერ გადარჩევაში. უძველესი საძვალეების ფერწერაში ხშირად გვხვდება ხსნის ნიმუშები—დანიელი ლომის ხახში, ნოე კიდობანში. ამასთანავე, განსვენებულთა სარკოფაებში სჭარბობს მრტვილთა გამოსახულებები, როგორც მფარველისა და მეოხისა. ქრისტიანულ საძვალეთა იკონოგრაფიაში წამყვანია სიკვდილზე გამარჯვების მოტივი. შემდეგში ეს ტრადიცია ასახვას პოვებს წმინდანთა გამოსახულებებში.

საძვალეთა ფრესკები ჩნდება IV-V სს.-ის მარტირიუმების, კაძრების, ფარების ფრესკულ გამოსახულებებში. მარტივილი, ძირითადად, გამოისახება ლოცვის მდგომარეობაში. V საუკუნიდან ფრესკული გამოსახულებები ვრცელდება პილიგრიმთა საფლავებზე. ამ დროიდან უკვე დამახასიათებელია მესვეტეთა კულტი. პილიგრიმები თაყვანს სცემდნენ წმინდანთა ნანილებს (ქსოვილს, რომელშიც იყო გახვეული, სანთლებს...). ეს ჩვეულება ერთ – ერთი ძირითადი წყარო იყო ხატთა თაყვანისცემისა, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა VI საუკუნიდან.

აგიოგრაფიაში მთავარია მოღვაწეობის აღსრულებაცა და ნაყოფიც. რადგან ეს მწერლობა აღწერს წმინდანთა ღვაწლს, თავისთავად, გულისხმობს მიზანსაც – **წმინდანს უნდა გაუჩინდეს მიმბაძველი**. ამ აზრს ასე ეხმიანება „წმიდა აბოს წამების“ დასაწყისი: „სიმტკიცე და სიხარული ექმნების ჭაბუკთა მოთხრობითა მით, სიმხნეც იგი ქრისტის მოღუაწეთა და სიხარული და მხიარულება, მოხუცებულთა წსენებაც იგი ღვაწლისა მის მარტილთავსაც და საწადელ და სასურველ მდკადელთა და ყრმათა მათ მოწაფეთა და შვილთა ეკლესიისათა“ (ქეგლები 1964: 51).

აგიოგრაფიული მწერლობა მკითხველისთვის ის იმპულსია, ისეთი მუხტია, რომელიც გულის სიწმინდეს, სასოების შეურყევლობას, სარწმუნოების სიმტკიცეს მიმადლებს ქრისტიანს. იგი მკითხველის ყველა დონეს სწვდება და ნათლისა და მადლის სულიერ ველს ქმნის. აგიოგრაფია გვაერთებს უზენაესთან და თავისი მიზანდასახულობით გვიჩვენებს გზას, ჭეშმარიტებასა და ცხოვრებას.

აგიოგრაფიის შესწავლით არა მხოლოდ გარკვეულ ცოდნას შევითვისებთ, არამედ მართალ ცხოვრებას, რწმენისა და ერთგულების სიმტკიცეს, უკომპრომისობასა და მარადიულ სიყვარულს ვეზიარებით. ამასთანავე, ესთეტიკურ მსოფლალქმას სრულვყოფთ.

აგიოგრაფიის მიზანდასახულობაა შემოინახოს სიწმინდე და მოგვცეს ნიმუში ახოვანი (მამაცი, მხნე) მხედრისა, რომელსაც უნდა ვპატავდეთ!

აგიოგრაფიულ მწერლობას ორი უანრი აქვს: **სისხლიანი და უსისხლო მსხვერპლი**, ანუ „წამებათა“ უანრი, რომელშიც წმინდანი სიცოცხლეს მსხვერპლად გაიღებს უმაღლესი

იდეალებისა და პრინციპების ერთგულებისთვის, ქრისტეს სიყვარულისთვის. „ცხოვრების“ ჟანრი იმ ადამიანის ღვაწლს ასახავს, რომელსაც, მართალია, სისხლი არ დაუღვრია, სი-ცოცხლე მსხვერპლად არ შეუწირავს, თუმცა მთელი ცხოვრება იყო თავდადება, ერთგულება, სიყვარული და მსახურება ქრისტიანული იდეალებისა. ორივე შემთხვევაში წინაპირობა მოღვაწეობის დაწყებისა ესაა სურვილი გადარჩენისა.

როგორც ითვლება, აგიოგრაფიულ ნაწარმოებთა ფორმას აქვს რამდენიმე წყარო და უპირველესი მათ შორის არის აღნერილობანი პირველმოწამეთა ტანჯვა – წამებისა, მათი დაკითხვის ოქმები. „საქმე მოციქულთაში“ მოთხოვნილია წამებით აღსასრული წმ. სტეფანე პირველმოწამე არქიდიაკონისა და ქრისტეს სხვა მოწაფე – მოციქულების შესახებ, რაც ემსახურება არა მხოლოდ ეკლესიის ისტორიის ყველაზე ადრინდელი ეტაპის დოკუმენტების თავმოყრას, არამედ წარმოაჩენს ქრისტიანული ცხოვრების ორიენტირებს მთელი შემდეგი პერიოდისას. **უმაღლესი ფორმა წმინდანობისა მოწამეობაა**, ხოლო ერთი უმთავრესი ჟანრი აგიოგრაფიისა – წამებანი. მომდევნო პერიოდში, ბერმონაზვნული ცხოვრების საწყის ეპოქაში, დაიწერა და შეიქმნა ე. წ. მოკლე პატერიკები (ბერძნ. აპოფმეგმატები), შემდეგ კი, მხატვრული გადამუშავების საფუძველზე, აღმოცენდა ცნობილ ადამიანთა ცხოვრებანის აღნერილობანი, როგორც ჟანრი „ცხოვრებათა“. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ პირველ აგიოგრაფად ითვლება წმ. ათანასე ალექსანდრიელი, რომელმაც აღნერა ცხოვრება წმ. ანტონ დიდისა, რამაც საფუძველი დაუდო ამ ჟანრის შემდგომ განვითარებას. ბიზანტიური აგიოგრაფია იქცა ძირითად წყაროდ მრავალი ქვეყნის აგიოგრაფიული ტრადიციის ფორმირებისათვის.

მოწამეთა აქტები ან წმინდანთა აქტები (ლათ. *acta martyrum, acta sanctorum*) ენოდება იმ კრებულებს, რომლებშიც გვხვდება უძველესი ცნობები წამებულთა შესახებ. განარჩევენ ორი ტიპის აქტებს:

1) პირველ ტიპში მოცემულია სასამართლოს ოფიციალური პროტოკოლები იმ პროცესებსა, რომლებიც წარიმართებოდა რომის ხელისუფლების მიერ ქრისტიანთა წინააღმდეგ. ასეთ ოქტომებს, ასეთ პროტოკოლებს მიეკუთვნება აქტები პროცესისა წმ. კიპრიანეს წინააღმდეგ (კართაგენელი ეპისკოპოსი, დასაჯეს 258

წლის 14 სექტემბერს). ეს პროტოკოლები შედგენილი იყო აფრიკის პროკონსულის კანცელარიაში, რომელთა ფრაგმენტები შემონახულია და გვანდელ ხანაში გადამუშავებულია მონამეთა ცხოვრებებში (მაგ. სკილის მონამეთა და სენატორ აპოლონის აქტები).

2) მეორე ტიპი მარტივილთა ცხოვრებისა – ეს არის ჩანაწერები იმ თვითმხილველებისა, რომელიც ცდილობდნენ ეკლესიისთვის შემონახათ მაქსიმალურად მართალი ინფორმაცია (ქუშმარიტი და უტყუელი) ქრისტესთვის წამებულთა შესახებ. ასეთ აქტებს ეროდებათ მარტივილობები. ამ ტიპის უძველესი ძეგლია „წმ. პოლიკარპე სმირნელის წამება“ (ანამეს 156 წ.). ეს გახდა ნიმუში უძველესი მარტივილონგური ქრისტიანული ლიტერატურისა.

მარტივილთა აქტების შეგროვება იწყება ჯერ კიდევ ქრისტიანთა დევნის პერიოდში. ძველი, თუმცა არც ისე სანდო წყაროს მიხედვით, წმ. კლიმენტიმ რომში დააყენა შვიდი ნოტარიუსი იმ მიზნით, რომ მოეგროვებინათ და აღეწერათ წამებულთა აქტები სხვადასხვა ქრისტიანული თემებიდან.

ქრისტიანთა დევნის ეპოქის დასრულების შემდეგ მარტივილთა აქტების შეგროვება მუდმივ და მიზანმიმართულ ხასიათს იღებს. უკვე ჩჩდება კრებულები ასეთი აქტებისა, მაგ., „ძველი მარტივილობების კრებული“ – შედგენილი ევსევი კესარიელის მიერ (გარდაიცვალა 339 წ.), თუმცა ამ კრებულს ჩვენამდე არ მოუდრევია. არსებობს „ისტორია პალესტინელი მარტივილებისა“, რომელიც შემონახულა სირიული თარგმანით.

„მონამე“ არის უძველესი სახე წმინდანისა, განდიდებული ეკლესიის მიერ მონამებრივი აღსასრულისთვის ქრისტეს რწმენისა და სიყვარულისათვის. ძირითადი მნიშვნელობა „მონამისა“ არის დამოწმება და ამ შინაარსით ეს სიტყვა შეიძლება დაუკავშირდეს მოციქულებს, როგორც ქრისტეს ცხოვრებისა და აღდგომის მონამეებს (მოწმეებს). ქრისტე უუბნება მონაფეებს: „იყვნეთ ჩემდა მონამე იერუსალემს და ყოველთა ჰურიასასა და სამარიასა და ვიდრე დასასრულამდე ქუყანისა“ (საქმე 1, 8). ქრისტიანთა დევნის გაძლიერება – ეს საჩუქარი მოწმეობისა გამოვლინდა, როცა ქრისტიანები თავიანთი მართალი აღსასრულით ამოწმებდნენ ქრისტეს სიკვდილზე გამარჯვებას. ამ აზრით, „მარტივილობა არის სამყაროში მოციქულებრივი ღვანლის გაგრძელება“ (ჟივოვი 1994: 12). მარტივილობა ეს არის ქრისტეს ცხოვრების გზის გავლა, გამეორება ვნებისა და მსხვერპლშენირვისა. მარტივილთათვის პირველსახე წამებისა არის იესო ქრისტე, რომელმაც საკუთარი სისხლით დაამოწმა და გამოისყიდა კაცობრიობის ცოდვები, თავად

მაცხოვარმა ასე უპასუხა პილატეს: „ამისთვის შობილვარ და ამისთვის მოვივლინე სოფლად, რათა ვსწამო ჭეშმარიტი“ (იო-ანე 18, 37). წმიდა იოანეს გამოცხადებაში ქრისტე პირდაპირ მოხსენიებულია, როგორც „სარწმუნო მოწამე“: იესო ქრისტე-საგან, მოწამისა სარწმუნოსა“ (გამოცხ. 1, 5) და „მოწამე იგი სარწმუნო და ჭერშმარიტი, დასაბამი დაბადებულთა ღმრთი-სათა“ (გამოცხ. 3, 14).

როგორც ცნობილია, პირველი ქრისტიანი მოწამე იყო წმიდა სტეფანე. მისი მარტვილობა, რომელიც მოცემულია „საქმე მოცი-ქულთაში“, ქრისტეს ცხოვრების გზის გვლაბა. სინედრიონის წინაშე მდგომი სტეფანე „სავსე იყო სულითა წმიდითა, ახედნა ცად და იხილა დიდება ღმრთისა და იესო - მდგომარე მარჯვენით ღმრთისა“ (საქმე მოციქ. 7, 55). წმინდა წერილი გადმოგვცემს, რომ იგი ქალაქებარეთ გაიყენეს და „ქუასა დაპკრებდეს სტეფანეს, ხოლო იგი ილოცვიდა და იტყოდა: უფალო იესო ქრისტე, შეივეძრე სული ჩემი... ნუ შეურაცხ ამათ ცოდვასა ამას“ (საქმე 7, 59-60). წმიდა სტეფანეს ეს სიტყვები ანალეგია იმისა, ჯვარზე გაკრულმა მაცხოვარმა რომ წარმოიქვა: „მამო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან რასა იქმან“ (ლ. 23, 34).

ამგვარდ, თავისი მოწამეობით წმინდა სტეფანე გადიოდა ქრისტეს გზას. ადრეულ პერიოდში სწორედ მარტვილობას უკავ-შირდებოდა ეკლესის განვრცობა და ამ ასპექტითაც მოწამეობა მო-ციქულებრივი მოღვაწეობის გაგრძელებად ითვლებოდა. სხვათა შორის, 12 მოციქულთაგან 11 (გარდა წმიდა იოანე ღვთისმეტყველისა) მოწამის გმირობით ასრულებს ცხოვრებას. მომდევნო ეპოქაში, 313 წლის მილანის ედიქტამდე, მარტვილობა, როგორც ძლევამოსილი დამოწმება რწმენისა, იყო ერთ - ერთი საფუძველი ქრისტიანობის გავრცელებისა.

ქრისტიანთა დევნა რომის ხელისუფლებისაგან დაიწყო იმპერატორ ნერონის (54-68 წწ.) დროს. ეს იყო ამ დევნის პირველი პერიოდი. დომიციანეს (81-96) პერიოდიდან დევნის ახალი ეტაპი დაიწყო. მეორე პერიოდი ინყება იმპერატორ ტრაიანეს (112 წ.) დროიდან. ამ ეპოქაში ენამებოდნენ ქრისტიანობის ცნობილი მარტვილები წმიდა პოლიკარპე სმირნელ ეპისკოპოსი (155 წ.) და წმიდა იუსტინე ფილოსოფოსი. მესამე პერიოდი კი დაწყო იმპერატორ დეკის (249-251 წ.წ.) მმართველობის დროს და გაგრძელდა მილანის 313 წლის ედიქტამდე. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანთა დევნილობის ყველაზე სასტიკი ეტაპი დადგა დეოკლიტიანეს მეფობის მიწურულს (284-305 წწ.).

ქრისტიან მოწამეთა ისტორია, რა თქმა უნდა, ამით არ დამთავრებულა. ის მოგვიანებით იმპერატორ არიანეს დროს ისევ გამძაფრდა.

ნელ-ნელა ჩამოყალიბდა მარტვილთა თაყვანისცემა. ეკლე-სია იხსენიებს წამებულს და დღესასწაულობს მისი ხსენების დღეს, ლოცვით მიმართავს მას, როგორც ღვთის მეგობარს, და მეოხებას სთხოვს უზენაესის წინაშე, თაყვანს სცემს მის წმიდა ნაწილებს. მარტვილის ყოველწლიური მოხსენიება აღიქმებოდა მის ხელახალ დაბადებად (*dies natulic*). ასეთ დღესასწაულებზე ჩართული იყო საკითხავები მოწამეთა აქტებიდან ლიტურგი-ის დასასრულსა და მოსახსენებულ ტრაპეზზე. III ს.-ში ასე-თი წესი უკვე საერთო იყო ქრისტიანთათვის. სასაფლაოებზე აღმართავდნენ ნაგებობას, მარტირიუმებს, აგებდნენ ეკლე-სიებს, დასავლური ტრადიციით კი წმინდანთა ნაწილებს ინახ-ავდნენ ეკლესიის კანკელის ქვეშ. უკვე IV-V სა.-ში მოწამეთა თაყვანისცემის კულტი ეკლესიაში რეგლამენტირებული და განსაზღვრული იყო. მარტვილთა ხსენების დღის დაწესება, მათს საფლავებზე ეკლესიათა აღმართვა იღებს კანონიკურ სანქციას.

ლიტურგიულ-ეორტალოგიური კალენდარი წლიური ციკ-ლით მოიხსენიებს წმიდა მოწამეებს საღვთო მსახურებისას. უძველესი დროიდან მოწამეები განსაკუთრებულად იხსენიება საშუამდგომლო ლოცვებში (*intercessio*), საღვთო ლიტურგიაზე კვეთისათვის გამზადებული ხუთი სეფისკვერიდან მესამე სე-ფისკვერის კვეთისას განსაკუთრებული წილი ეკუთვნის მარ-ტვილებს.

აგიოგრაფია სულის საიდუმლოს განდობაა, სიყვარულში თავდადებული სულის ასახვაა, სიყვარულის გასაგნებაა, ზნეო-ბისა და სრულყოფილებისაკენ სწრაფვაა, მარადიულთან, მშ-ვენიერთან, ამაღლებულთან მიახლების გზაა. იგი ქმნის გა-სულიერებული კოსმოსის ხატს. აგიოგრაფიული ქმნილებები მარადიულის, ზედროულის ნიმუშებად რჩებან. ეს რომ მკითხ-ველმა შეიმეცნოს და განიცადოს, მას უნდა ჰქონდეს ლიტურ-გიული ცნობიერება, რომელიც გულისხმობს ტაძრულ შემეც-ნებას. ლიტურგიულ ცნობიერებაში ვგულისხმობთ ადამიანში ღვთაებრივის ხელახალ დაბადებას. ლიტურგიული ცნობიერე-ბა მარადიული აწმყოა, როცა მკითხველისთვის ეკლესიურობა, სულიერობა აზროვნებისა და ცხოვრების წესია. მხოლოდ ასეთ დროს არის შესაძლებელი აგიოგრაფიის სულის, მისი არსის

წვდომა. აგიოგრაფიული მწერლობის რაობაზე, მის სპეციფიკაზე შექმნილმა გამოკვლევებმა და ლიტერატურის მეისტორიეთა კვლევა-ძიებამ ცხადყო, რამდენად რთულია საეკლესიო მწერლობის ეს დარგი. რთულია იგი თავისთავად, რთულია მისი შექმნაც და უფრო მეტად-მისი წვდომა-გათავისება, მისი, ასე ვთქვათ, გრძნობადი, სულიერი „ათვისება“. იგივე ითქმის შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების, ფრესკების შესახებაც. ფორმის გარეგნული სრულებრივისა და მშვენიერების განცდა შესაბამისი მხატვრული ენის ცოდნას, ცნობასა და მასში განაფვას გულისხმობს. როგორც შუა საუკუნეების ტაძრები არიან განსაზღვრული აზრის მატარებელი, ასეთივეა აგიოგრაფიული მწერლობაც.

„ჰიმნოგრაფიაში თუ სიმბოლურ, იპოდიგმურ-პარადიგმულ სახეებს დღმინანტური ადგილი უკავიათ, ჰაგიოგრაფიაში სახე-სიმბოლოებთან ერთად დიდი დატვირთვა სრულიად სხვაგვარ ტოპოსს ენიჭება. ეს არის ტკივილის, ტანჯვის, იმედის, სიხა-რულის, რწმენის გამომხატველი პასაუები, რომლებიც ძლიერი ემოციური შეფერილობით ხასიათდებიან. ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში შემოდის აგრეთვე ლოცვის, ქადაგების, დამოძღვრის ინტონაციები“ (გრიგოლაშვილი 2007: 85).

არსებობს სამი ძირითადი ტიპი აგიოგრაფიული კრებულებისა:

1. კიმენი – თვითმხილველთა მიერ მარტივად, „ლიტონად“ აღნერილი;
2. სვინაქსარი – ე. წ. მცირე ცხოვრებანი;
3. მეტაფრასი – X ს.-ში სვიმონ მეტაფრასის მიერ გადამუშავებული, „გარდაკაზმული“, გავრცობილი ტექსტები.

რადგან აგიოგრაფია ლიტურგიულ-ეორტალოგიურ პრინციპს ემყარება, აქ მთავარი ეკონური განსახოვნება, იკონოგრაფიული სახისმეტყველებაა, რომელიც ამაღლებულის ეს-თეტიკას ემყარება.

იკონოგრაფიის პრინციპები ყურადღებულია ხატებისა და ფრესკების მიმართ, (საილუსტრაციოდ გამოდგება ზ. სხირტლაძის სადოქტორო ნაშრომი, რომელშიც გაანალიზებულია თელოვანის

ჯვარპატიოსნის ტაძრის საკურთხევლის აფსიდის ფრესკების იკო-ნოგრაფია), ქრისტიანული ხუროთმოძღვრების შესწავლის დროსაც, როგორც ახლებური კელევის წესი და მეოთხი. ამას სათავე დაუდო რ. კრაუტჰაიმერის შრომებმა, ე. პანოფსის, ჯ. მეთოუს, ა. გრაბარისა და უ. ლასიუს გამოკვლევებმა, ჩვენში- დ. თუმანიშვილის წერილებ-მა. მართალია, ამჟამად მეცნიერთა დიდ ნაწილს აქვებს „არქიტე-ქტურული იკონოგრაფიის“ ძირითადი დებულებების სისწორე (ჯ. ბ. უორდ-პერკინსი, ს. მანგო, ფ. დაიხმანი), მაგრამ ისიც გასათვალ-ისწინებელია, რომ „იკონოგრაფია გვაგონებს, თუ რად ესახებოდა გარკვეული ეპოქის ადმიანთ ხუროთმოძღვრება და უნდა ვიფიქროთ, რომ მათი წარმოდგენა სივრცით - მოცულიბით ფორმების აზრსა და მნიშვნელობაზე, მართლაც, ხელს უწყობდა ზოგიერთი მათგანის დამკვიდრებასა და გავრცელებას“ (თუმანიშვილი 2001: 28).

როცა ვსაუბრობთ აგიოგრაფიის იკონოგრაფიულ სახისმ-ეტყველებაზე, მის ეიკონურ განსახოვნებაზე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს გარეგნულ მსგავსებათა შესახებაც:

ა) გავრცელებულია მონოსტრუქტურის ხატები, რომლებზეც მხოლოდ ერთი წმინდანია გამოსახული (მხოლოდ იესო ქრისტე, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, ან რომელიმე წმინდანი), ასევე გვაქვს ისეთი აგიოგრაფიული წანარმოებები, რომლებიც მხ-ოლოდ ერთი წმინდანის ღვაწლის შესახებ მოგვითხრობენ („წმ. შუმანიკის წამება“, „წმ. აბოს წამება“ და მისთან.);

ბ) ცნობილია ორკარედები, ანუ ე.წ. დიპტიქონები, მაგ.: იესო ქრისტე და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი; აგიოგრაფიაში ხშირია სათაურშივე ორი წმინდანის გამოტანა, მაგ.: „ცხოვრე-ბა წმ. ოანესა და ეფთვიმესი“, „მარტვილობა დავითისი და ტირიჭანისი“ და მისთან;

გ) გავრცელებულია სამკარედები, ანუ ტრიპტიქონები. მაგ.: ცნობილი ხახულის სამკარედი ან მლვიმევის (მე-13 საუკუნის) სამკარედი დეისუსი. სხვათა შორის, დეისუსს ტრიმორფიონი, ანუ სამხატეული უწოდა სპირიდონ ლამბრიოსმა (მე-18 ს.). სამ-კარედული, ტრიპტიქული სტრუქტურაა წარმოდგენილი „წმ. აბოს წამებაში“. I თავში (I კარედში - ამ გააზრებით) ჰომილიაა, II-III თავებში - აგიოგრაფიული თხრობა, IV თავში - ქება);

დ) ცნობილია ცენტრალურ-ციკლური სტრუქტურის ხატე-ბი, როცა შუაში წმინდანია გამოსახული, ხოლო ირგვლივ, მედ-ალიონების მსგავსად, - ცალკეული ეპიზოდები მისი ცხოვრე-ბიდან. მაგ., წმიდა გიორგის, წმიდა ნიკოლოზისა... ამ ტიპის

ხატები. ამის მსგავსია „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ – თხზულების ცენტრში წმ. გრიგოლია, ხოლო მის ირგვლივ სხვადასხვა ეპიზოდები, არაქრონოლოგიური თანმიმდევრობით. შედარებით მოგვიანო ხანაში გაჩნდა წმ. ხატების აშიებზე (მარგინალურ არეებზე) წმინდანთა ცხოვრების ეპიზოდების გამოსახვა, რაც ემსახურება ხატის „გახსნას“, ცენტრში მყოფის განდიდებას, თუმცა მთავარი მაინც წმინდანის ხატია და არა აშიებზე მოცემული წმინდანის ცხოვრება;

ე) ცნობილია ისეთი ხატები, რომლებიც მთელ ისტორიას გადმოგვცემენ, ვრცელ ამბავს გვიყვებიან წმინდანების ცხოვრებიდან. ხატების ასეთი ტიპი განსაკუთრებით გავრცელებულია რუსეთში, ჩინებში – ხატი საქართველოს ეკლესიის დიდება. შესაბამისად, გვაქვს ისეთი აგიოგრაფიული თხზულებები, რომლებშიც ერთდროულად რამდენიმე წმინდანზეა საუბარი. მაგალითად „მოქცევაზ ქართლისას“ აგიოგრაფიული ნაწილი.

არააგიოგრაფიული ნაწარმოები მიისწრაფვის იმისკენ, რომ გადმოგვცეს ადამიანის შინაგანი სამყარო. აგიოგრაფიული ქმნილება კი, ისე როგორც ხატი (განსხვავებით პორტრეტისაგან), სულიერ არსს გადმოგვცემს. სურათს აქვს საზღვრები, სიუჟეტური ჩარჩოები, ხატი კი მარადისობასთან გაზიარებს. სურათს, შესაძლოა, ანალიტიკურად მიუდგე, იმსჯელო მის ცალკეულ ფრაგმენტებზე, მიანიშნო რა მოგწონს და რა არა მასზე. ხატს ვერ „დაშლი“, ის ლოცვისითვის უხმობს ადამიანს. ხატზეც და აგიოგრაფიაშიც ხაზგასმულია შინაგანი ცხოვრება, სულის „დინამიკა“, აქ ყოველ დეტალს, უესტსა და სხეულის მიმოხვრას თავისი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს:

მაღალი შუბლი – სიბრძნე და ღრმა აზროვნება;

დიდი თვალები – ღვთაებრივ საიდუმლოთა წვდომა;

თხელი ტუჩები – ასკეტიზმი;

გრძელი თითები – სულიერი კეთილშობილება და საქმეთა უბინოება;

თავდახრილი დგომა – ღვთის სიტყვისადმი ყურადღება;

მოდრეკილი ფიგურა – ღვთის ნებისადმი მორჩილება (არქიმანდრიტი რაფაელი, 1997: 106). აგიოგრაფიის გმირი წარმოუდგენელია ამ თვისებათა გარეშე.

ხატი თვალნათლივ გვიჩვენებს სულიერი ფერისცვალების

პროცესს, სურათი ინდივიდუალობის გამომხატველია. იგი იხედება წარსულიდან თანამედროვეობისაკენ, ხატი კი – მომავლიდან თანამედროვეობისაკენ. მართლმადიდებლური ხატი ხელს გვიწყობს, გარდავქმნათ ჩვენი ყოფიერება, განვიწმინდოთ (შდრ. Чуприна И. В., „Трилогия Л. Толстого“, саратов, 1961, с. 16), გავხდეთ სულიერ ფასეულობათა ერთგულნი!

ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რადგანაც სული ღვთაებრივი საწყისია, რომელიც ღვთის სახეს აძლევს ადამიანს, რაც მის გონიერებაში, თავისუფლებასა და უკვდავებაში ვლინდება.

ხატი არის საიდუმლო, რომელიც შეიცნობა ლოცვასა და სულიერ ჭვრეტაში (არქიმანდრიტი რაფაელი 1997: 1), ასეთ-სავე მოთხოვნას გვიყენებს ჩვენ აგიოგრაფიული მწერლობაც. ხატი არის ხელოვნების განსაკუთრებული დარგი, მისი განუმეორებელი იდიომა, რომელიც იქმნება მთელი მართლმადიდებელი ეკლესიის ლოცვითი – მისტიკური გამოცდილების საფუძველზე. აგიოგრაფიული მწერლობა ღია დიალოგია მკითხველთან, რომელსაც აზიარებს ღვთაებრივ ნათელს. როგორც ხატნერა არის განსაკუთრებულ ნიშანთა სისტემა, ასევე აგიოგრაფიაც არის ეკლესის „ენა“. ხატის მხატვარი სულის სამყაროს უნდა ჩასწვდეს და მასზე სულის ენით ილაპარაკოს. აგიოგრაფიაც სულის შესახებ მოგვითხრობს. როგორც ხატი არ არის სულიერი სამყაროს პორტრეტული ასახვა, ასევე აგიოგრაფიაც არ წარმოადგენს წმინდანის სულიერი ცხოვრების ფოტო-გრაფირებას. აგიოგრაფია წმინდანის ყოფაა სიმბოლურსა და, ამავე დროს, რეალურ გამოსახულებაში და კიდევ ერთი, აგიოგრაფიული მწერლობა არ არის განწყობის ფიქსაცია, განწყობის ასახვა. იგი, ისევე როგორც ხატი, პიროვნების, წმინდანის მდგომარეობას გადმოსცემს და, აქედან გამომდინარე, აგიოგრაფიულმა მწერლობამ მკითხველს განწყობა კი არ უნდა შეუქმნას, არამედ ლოცვით მდგომარეობაში უნდა მოიყვანოს იგი.

ხატი, როგორც საკრალური ტექსტი, გვთავაზობს მისი წაკითხვის რამდენიმე საფეხურს:

- ა) ლიტერალური, რომელიც სიუჟეტის ამოკითხვას გულისხმობს;
- ბ) ალეგორიული, რომელიც ხატის არსის გახსნისკენ გვიბიძგებს;
- გ) მორალური;

დ) ანაგოგიური – წმინდა ცჭვრეტისა და აღქმის საფეხური; (იაზიკოვა 1994: 22).

ხატის წაკითხვის ასეთ დონეებად დაყოფა შეგვიძლია შევადაროთ ლათინი საეკლესიო მამების მიერ (იერომინე, ავგუსტინე, კასიანე) ჩამოყალიბებულ საღვთო წერილის ოთხი მნიშვნელობის თეორიას:

- ა) ლიტერალური, სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა;
- ბ) ალეგორიული – გვეძლევა ადვენტუალური, რწმენისმიერი განმარტება სახარებისა, რითაც საფუძველი ეყრება რწმენას;
- გ) ტროპოლოგიური – გვეძლევა ზნეობრივი განმარტება, რომელიც ქმნის ადამიანური ცხოვრების ჰარმონიას ქრისტეს მაგალითის მიხედვით;
- დ) ანაგოგიური – გვეძლევა ესქატოლოგიური განმარტება, რაც გვიცხადებს მომავლის „საღვთო ქალაქს“, „ზეციურ იერუსალიმს“ (გამსახურდია 1991: 60).

ყოველგვარი სიცოცხლის ნიშანი არის სუნთქვა. თავისებური სუნთქვა არსებობს სულიერ სამყაროშიც. წმიდა მამების გამოცდილება გვასწავლის, რომ სულის სუნთქვაა ლოცვა. ლვთის წინაშე ამ დგომას, ამ ლოცვას, რომელიც სულიერი ცხოვრების სუნთქვას წარმოადგენს, განასახიერებს აგიოგრაფიული ნაწარმოები და, რადგანაც აგიოგრაფია სულიერი ცხოვრების სუნთქვაა, ლოცვად განთვენილი სიტყვაში და სიტყვით გადმოცემული, ამიტომ მის წინაშე დგომა მოითხოვს ლოცვად დგომას. ეს არის აგიოგრაფიული მწერლობის თანამდევი მდგომარეობა. აგიოგრაფიული თხზულება თითქოს ის კიბეა, რომლითაც მკითხველის სული ზეციურ სამყაროს უახლოვდება. იგი განსულიერების, ადამიანის ფერისცვალების იმპულსია.

აგიოგრაფიულ სახეებს ორი მხარე აქვთ:

- ა) რელიგიური, სულიერი, ამაღლებული, მისტიკური ;
- ბ) მხატვრულ-ესთეტიკური (შდრ. სულავა 2002: 9-10; სირაძე 2005: 15).

მისტიკური სიმბოლიკა რეგლამენტირებულია, მას განსაზღვრული კანონიკა ახლავს და იქ თავისუფალი გააზრების შემოტანა მკრეხელობადაც კი ითვლება. მხატვრულ-ესთეტიკური ყოველთვის შეიცავს თავისუფალი გააზრების პოტენციალს

და ამაშიც ვლინდება მისი მარადიულობა. ჩვენი კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს აგიოგრაფიული ქმნილების წორედ ამგვარი გააზრება წარმოადგენს. აგიოგრაფიაში არაფერია შემთხვევითი. აქ ყველაფერი გათვლილია და ემსახურება მთავარი გმირის – წმინდანის სახის სრულყოფას. ყოველი ამბავი, ყველა დინება იქითაა მიმართული, რომ წარმოჩნდეს წმინდანის ცხოვრების გზა, რადგან ისაა ერთადერთი, მასზეა შექმნილი თბზულება და ნანარმოების სათაურიც მინიჭნებაა იმაზე, თუ ვინ არის მთავარი გმირი, რომელიც აპსტრაქტული მონუმენტალიზმის კვალობაზე თავის თავში მოიცავს ქრისტიანულ სათობებს და ბიბლიური სახე–სიმბოლოების მეშვეობით, კონკრეტულ მნიშვნელობასთან ერთად, სულიერი შინაარსის მომცველია. აგიოგრაფიაში ყველაფერი გარკვეულია. აქ ორი ძირითადი ფერია: თეთრი და შავი (ხატზეც ორი მთავარი ფერია – თეთრი და შავი. თეთრი ღვთაებრივი ენერგიაა, სანყისი ფერია, ძალის გამოვლენაა, სულის დინამიკაა; შავიც მისტიკური ფერია, ოღონდ ბნელი ძალების გამომხატველი.

ხატის ფერი ხატში ლოკალურად არ განხილება, ამიტომ ფერზე პირობითად საუბრობენ, მაგალითად მწვანე ფერი ცხოვრებას ან სიბერეს აღნიშნავს, ლურჯი – საიდუმლოს, წითელი -მსხვერპლად შენირვას, ცისფერი – უმანკებას, ყვითელი – სითბოსა და სიყვარულს, იასამნისფერი – სევდას, ძონისფერი – გამარჯვებას, მექანული – დიდებულებას, ფირუზისფერი – ახალგაზრდობას, ვარდისფერი – ბავშვობას. რაფაელი, 1997: 107). წმინდანს ხილულად თუ უხილავად ეპრეზის ეშმაკი. ამ ბრძოლაში ის გამარჯვებული და ყოველგვარ ბოროტებაზე ამაღლებულია.

აგიოგრაფიული მწერლობა ადამიანის ზნეობრივ იდეალს წარმოგვიდგენს: როგორ უნდა ვიცხოვროთ, რისი ერთგული ვიყოთ, ცხოვრებაში ზნეობრივ კომპრომისზე წავიდეთ თუ არა, გვიყვარდეს, გვნამდეს, გვებრალებოდეს, დავიცვათ სამშობლო (რადგან რწმენის დაცვით სამშობლოს ვემსახურებით), ტრადიციები (მამულისა ჩვეულებისაებრ სლვახ), ეროვნული თვითმყოფობა. გარდა ამისა, აგიოგრაფიის გმირი ზნეობრივი მაგალითია, სულიერი ძალაა, გზის მაჩვენებელია. აგიოგრაფიაში ჩანს ჩვენი დიდებული წინაპრების ისტორიული ფსიქოლოგია, სულიერი სამყარო, მათი ფიქრები, განცდები, ტკივილი,

სევდა თუ სიხარული, უსაზღვრო სწრაფვა სიკეთის, სიმართლის, მშვენიერებისაკენ. ამასთანავე, ძველმა მწერლობამ ქართული ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაში, მდიდარი და დახვეწილი სალიტერატურო ენის, მხატვრულ-სახეობრივი სისტემის შექმნაში შესარულა უმნიშვნელოვანესი როლი და ეს ყველაფერი შეუძლებელია, „მკვდარი“ თემა იყოს რომელიმე ეპოქაში.

ამის გარდა, აგიოგრაფიულ მწერლობაში შეგვიძლია ვეძებოთ ისტორიული, ბელეტრისტულ-რომანული, სოციალურ-საზოგადოებრივი და სხვა, ვისაც რა სურს და როგორც სურს! მაგრამ, მთავარია, არ გამოგვრჩეს უმთავრესი, პრიორიტეტი ამ დარგისა!

ყოველი აგიოგრაფიული ნაწარმოები სულინმიდის გაცხადებაა წმინდანის სიტყვაში გამოვლენილი. ამიტომ, როცა ვმსჯელობთ რომელიმე აგიოგრაფიული ძეგლის შესახებ, პირველ რიგში, მნიშვნელობას ვანიჭებთ წმინდანის მიერ თქმულ სიტყვას.

სიტყვას აქვს თავისი დიდი მნიშვნელობა. იგი აღიქმება, როგორც სიმბოლო, როგორც ხატი. სიტყვა ქმედითი ფენომენია, საქმეს უდრის. ერთმა სიტყვაში შეიძლება გაცხონოს ან წარგნებით. ჯვარზე გაკრულმა ავაზაკმა სიკვდილის ჟამს აღიარა ქრისტე და კაცთაგან პირველი შევიდა სასუფეველში. თავად მაცხოვარი ასე გვაფრთხილებს: „სიტყუათა შენთაგან განმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო“ (მ. 12.37). სიტყვა ითვლება უსისხლო მსხვერპლად. ლიტურგია სხვა არაფერია, თუ არა სიტყვით აცხადებული, სიტყვაში გახსნილი და ახსნილი ლოცვა-ვედრება, ადამიანის სულის წვა, რომლის ნათელიც არის სიტყვა.

აგიოგრაფია წმინდანის ღვაწლზე მოგვითხრობს. აქ ერთდება სალვთო და მხატვრული სიტყვა. უკეთ რომ ვთქვათ, ლიტერატურული (მხატვრული) სიტყვით მოგვითხრობენ ღვთის სიტყვის შესახებ წმინდანში. აგიოგრაფიული ქმნილება სულიერ არსს გადმოგვცემს, აგიოგრაფი კი სულის სამყაროს წვდება და მასზე საუბრობს სულის ენით, ე.ი. სულის შესახებ მოგვითხრობს სიტყვით. ამიტომაა ის სიტყვა სულიერობით აღსავსე, გასულიერებული. ამ გზით შემოდის ჩვენს ცნო-

ბიერებაში აგიოგრაფიის სულიერი სიტყვა.

აგიოგრაფიის მიზანია, დაგვაფიქროს სულზე, იმაზე, რაც უკვდავია ადამიანში, ვიცხოვროთ ისე, რომ ვცხონდეთ! აგიოგრაფია ქმნის ისეთ სივრცეს, როგორმაც თავისი ზემოქმედების სფეროში უნდა მოაქციოს ადამიანი, დაამყაროს მის სულთან მიმართება, გააღვიძოს მასში ყველაზე ადამიანური, დააფიქროს იმაზე, თუ ვინ არის და რატომ არის. ამიტომაც უნდა სწავლობდეს ყმანვილი „საცნობლად თავისადაო, ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო“ – როგორც პრძანებს დავით გურამიშვილი. ეს არის ე.წ. ქრისტიანული სოკრატიზმი – შეიცნო თავი შენი!

სიტყვა არის მიკროკოსმოსი, ღვთის მსგავსი, რადგან თავად ღვთაება გაიაზრება სიტყვა–ლოგოსად: „პირველთაგან იყო სიტყუად“ (ი. 1,1). ღვთის ნება მონიდებულია ღვთიური სიტყვით. ღმერთი არის სული, როგორც შეგვაგონებს მოციქული, და, ამდენად, არსებობს სულიერი სიტყვა. აგიოგრაფია სულიერი სიტყვით მეტყველებს, ასეთ ენაზე გვესაუბრება, მას სულიერი სიტყვით მივყავართ პირველხატისაკენ. სიტყვა ადამიანური ყოფიერების საზრისია, რომლის ფუნქცია მხსნელის ფუნქციას უკავშირდება. სიტყვაში სიმბოლურად ერთმანეთს ერწყმის მატერია და ღმერთი – ფორმასა და აზრში გამოვლენილი. სიტყვა ადამიანის მხოლოდ სულზე კი არ ახდენს გავლენას, არამედ ხორცზეც. ამის ნათელი მაგალითია წმიდა ექვთიმე ათონელის ცხოვრების ის ეპიზოდი, როცა მან მშობლიური ენა „დაკარგა“, როცა ქართული დაავიწყდა. ღვთისმშობელმა დაუბრუნა მშობლიური ენა და ამით აღადგინა სნეული.

შესაქმე ხომ სიტყვიერი აქტია, შემოქმედი ცისა და ქვეყნისა განა სიტყვით არ ქმნის სამყაროს?! შესაქმე სიტყვით განხორციელდა; ღვთის სიტყვა დაუყოვნებლივ რეალიზდა ძალად. ბიბლიური შესაქმე სიტყვის ძალის ცხადყოფაა. სიტყვამ დაუკავშირა ერთმანეთს ღმერთი და ადამიანი, სიტყვა იქცა შუამავლად დამბადებელსა და დაბადებულს შორის და დღემდე აერთებს იგი მიწიერს ზეციურთან.

ქრისტიანული რელიგია არ არის მხოლოდ მოძღვრება. იგი, უპირველესად, ცხოვრებაა, ქმედითობაა. არც აგიოგრაფიული მწერლობაა მხოლოდ წასაკითხი, ან გადასაკითხი მასალა.

ეს არის ცოცხალი და პიროვნული მაგალითი იმისა, როგორ ვიცხოვროთ, რას ვემსახუროთ, რა ვაკეთოთ, რატომ უნდა გწნამდეს, რატომ უნდა მივისწრაფოდეთ უზენაესისკენ, რატომ ვემსახუროთ მოყვასს, რატომ უნდა გვიყვარდეს მტერიც კი, რა არის სიკეთე, სად არის ჭეშმარიტება და რაშია ჩვენი ცხოვრების უმთავრესი საიდუმლო.

ამასთანავე, აგიოგრაფიული მწერლობა არის პასუხი იმაზე, თუ როგორ სწამდათ და უყვარდათ საქართველოში!

ასეთია ჩვენი დამოკიდებულება აგიოგრაფიისადმი, საერთოდ, და ის მეთოდოლოგიური საფუძველი, რომლის შესახებაც ვსაუბრობდით, განსაზღვრავს კვლევა-ძიების სპეციფიკას. ქართული აგიოგრაფია (IV-X ს.) განხილული გვაქვს სხვადასხვა ასპექტით, თუმცა უმთავრესია მისი იკონოგრაფიული სახისმეტყველება, სახისმეტყველებითი ღვთისმეტყველება, ანუ რელიგიური, სულიერი, ამაღლებული, მისტიკური მხარე, რაც, ძირითადად, გამოვლინდა ლოცვისა და მარხვის, ღვთის შიშის, თავმდაბლობა-მოთმინება-მორჩილების, სინანულის, სიკვდილის განცდისა და განკითხვის დღის მოლოდინის, სხვადასხვა სათნოებითი სწავლებანის აქცენტებით. მონოგრაფიაში გაანალიზებულია აგიოგრაფიული სახის მეორე მხარეც, მხატვრულ-ესთეტიკური, გამოვლენილია აგიოგრაფიული სულიერი სიტყვის ქსოვილის თავისებურებანი, მინიშნებულია ისიც, თუ აბსტრაქტული მონუმენტალიზმის კვალობაზე როგორ იქმნება წმინდანის სახე, ხაზგასმულია ზოგიერთი ტექსტოლოგიური პრობლემა, მხატვრული აღქმის თავისებურება და სხვა.

შევეცადეთ, ერთგული ვყოფილიყავით ჩვენი აგიოგრაფიული მრნამსისა, იმ ენაზე გვესაუბრა აგიოგრაფიულ ძეგლებთან, რომელზეც, უპირველესად, მათ სურდათ. რა თქმა უნდა, ასეთ დროს შესაძლოა უმთავრესიც კი გამოგრჩეს, შეუმჩნეველი დაგრჩეს ძალზე მნიშვნელოვანი საკითხები, თუმცა ჩვენს სურვილს სიყვარული და ინტერესი, მეტის შემეცნების მიზანი ასაზრდოებდა. ასეთი მიზნისთვის, ალბათ, ლირს შრომაც და ცხოვრებაც!

თავი I

„ნეირა ნინოს ცხოვრება“

„ნმიდამან და ემპაზმან ქართლისამან“, ნინომ, ცხოვრების წესი უნდა შეუცვალოს ქართველობას, ფერი უნდა უცვალოს ქვეყანას. ენა, სიტყვა აქ უნდა იქცეს სინამდვილის მოდელი-რების საშუალებად. მოციქულთა სწორი, სიტყვისა ღვთისა მსახურთა თანა-მოსაგრე, როგორც წმ. ნინოს ტროპარში ვკითხულობთ (ჟამნი 1899: 343), სიტყვით იმორჩილებს ბუნებასა და მის გვირგვინს – ადამიანს. ქართველთა მოქცევა მათი ფსიქიკის გარდაქმნას, აზოვნების სისტემათა შეცვლას ნიშნავდა. აქაურნი „იტყოდეს დამბადებელად ქვათა და ძელთა სპილენძისა და რკინისათა“ და „მაშინ მოვისხენე სიტყვაა იგი, რომოელ მამცნო იობენალ პატრიარქმან“ (ძეგლები 1964: 120) - იგონებს წმიდა ნინო. მრავალლერთიანობა უნდა შეიცვალოს, ერმა უნდა შეიცნოს ჭეშმარიტება, სცნოს დამბადებელი თვირსი და შემოქმედი ცათა და ქვეყნისა, თავი უნდა დააღწიოს სიბნელეს, მთები აღარ უნდა დაფაროს ნისლმა და ველნი – ცოდვის ალმურმა, იბერია „ქრისტეს დაკლებულ“ მხარედ არ უნდა იწოდებოდეს... ამას ყველაფერს სიტყვით აღასრულებს, სიტყვით დაძლევს კაბადლეკიელი ქალწული.

აბიათარ მღვდელი მოგვითხრობს: „მაშინ ნეტარმან მან აღალო პირი თვისი და აღმოდიოდეს სიტყუანი მისნი, წყარონი წყლისანი და იწყო დინებად წყალსა მას უკვდავებისასა საუკუნითგან... ყოველსავე განმიმარტებდა და ვითარცა მძინარესა განმაღვდებდა და ვითარცა შესულებულსა გონებასა განმინათლებდა და სჯულისა ცვალებასა დამაჯერებდა, ვიდრემდის გულისწმა-მიყო და მრწმენა სიტყვთა მისითა იესუ ქრისტე“ (ძეგლები 1964: 45). აბიათარის ეს სიტყვები ძალზე მნიშვნელოვანი და ყურადსალებია იმ ღვთაებრივი მადლისა და ძალის ნათელსაყოფად, რომელიც წმიდა ნინოს სიტყვას ახლდა. წმიდა ნინო უკვდავებას უქადაგებდა, საუკუნო ცხოვრე-

ბას შეახსენებდა მას. „ყოველსავე განმიმარტებდა“, – იხსენებს აბიათარი. მის ინტონაციაში კარგად იგრძნობა, თუ როგორი მქადაგებელი იყო წმიდა ნინო ღვთის სიტყვისა. „მძინარესა განმაღვებდა“ და „გონებასა განმინათლებდა“ – კაბადოვიელი ქალწულის ქადაგება თანაბარი ძალით მოქმედებდა აბიათარის სულზეც და გონებაზეც. რწმენის როგორი საოცარი ძალები უნდა იყოს გახსნილი სიტყვაში, როგორი ძალა და მადლი უნდა ახლდეს მქადაგებელს, რომ მასზე თქვან: „სჯულისა ცვალებასა დამაჯერებდა“. განა ყველაზე რთული რწმენის შეცვლა არ არის?! მით უფრო მაშინ, როცა ეს მხოლოდ შეგონებით, ქადაგებით ხდება და არ ახლავს რამე ხილული სასწაული. „და მრწმენა სიტყვათა მისითა იესუ ქრისტე“ – აյ ადამიანთა დამორჩილებისა და მოქცევის კონკრეტული ფაქტია მოცემული. აბიათარ მღვდლის ზემომოყვანილი ნაამბობი კიდევ ერთხელ ადასტურებს წმიდა ნინოს, ვითარცა მოციქულისა და განმნათლებლის, სიტყვის ლოგოსურობას, ძალასა და მადლს.

„წმიდა ნინოს ცხოვრებაში“ ვხვდებით ერთ ეპიზოდს, რომელშიც ყველაზე უფრო ნათლად ჩანს ის, თუ სიტყვას (ამ შემთხვევაში ლოცვაში გაცხადებულს) როგორ შეუძლია დაიმორჩილოს ბუნებაც კი, რა სასწაულებრივი ძალები შეიძლება გაიხსნას სიტყვაში, თუ იგი წმინდანის მიერაა თქმული, რაც იმასაც ცხადყოფს, რომ „საღმრთო სიტყუად არს საქმე ნათლისაა და მიმცემელი ბრწყინვალებისაა უაღრეს ყოვლისავე კაცობრივისა გონებისა“ (ნოსელი 1989: 208).

„მოქცევაზ ქართლისაა“ მოგვითხრობს: „ხოლო ხვალისა დღე იყო, შეიქმნა ოხრად საშინელი და შესაძრწუნებელი ერთა ურიცხუთა და წმად საყვრთა „ფრიადთა“ (ძეგლები 1964: 118). მცხეთაში, სადაც „ღმერთი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“, დიდი ზეიმი იყო და, ამასთანავე, იყო „შიში და ძრნოლად მეფეთა და ყოვლისა ერისაა“. ლოცვად იდგა იბერია წინაშე არმაზისა, გაცისა და გაცავას (იქვე: 119–120). ამ გრანდიოზული მასშტაბის ზეიმზე, როცა „აღივსნეს მთანი იგი დროშითა და ერითა, ვითარცა ყვავილთა“, აკვირდებოდა და „ცეცხლის მსახურსა ერსა და მოგუებასა და ცთომასა მათსა ზედა ვტიროდე წარწყმედისა მათისათვეს და უცხოვებასაცა ჩემსა ვეგლოვდი“ (იქვე: 118). ბოლომდე შეიგრძნო „ტყვე ქალმა“ ის სიბნელე,

რომელშიც ერი იყო – ცოცხლად შთანთქმული ჯოჯოხეთში, ნათელს დაკლებული, ბნელს დაპყრობილი, „მჭედელთაგან განჯედილისა“ ღმერთად მცნობი და თაყვანისმცემელი.

„ღმერთი ღმერთობენო“, – ამას ამბობენ მოქალაქეები, რომელთაც ღრმა ეროვნული თვითშეგნებით ედიადებათ და ეამაყებათ თავიანთი დიდი ეროვნული კულტურა, ეროვნული ტრადიცია და ეროვნულ ღვთაებათა პანთეონი. ეს ფრაზა არის ერთ-ერთი პირველი ფიქსირება ნინოს უშუალო შთაბეჭ-დილებისა. ესაა ნინოს მიერ ქართულ სამყაროსთან შეხვედრის პირველი ფაქტი... ეს ფრაზა დადასტურება ეროვნული კულ-ტურით შთაგონებული სიამაყის განცდისა... ალნიშნული ფრა-ზა ადრეული რედაქციის კუთვნილება“ (ბარამიძე 1993: 6).

ლოცვად დადგა ემბაზი ქართლისა. ახლა უნდა გადან-ყვეტილიყო ბედი ამა ქვეყნისა, ახლა უნდა გაცხადებულიყო ჭეშმარიტება, წმიდა ნინოს უნდა აღესრულებინა მოციქუ-ლებრივი მისია, – მის სიტყვას სასწაული უნდა მოეხდინა. „ყოველი დიდი საქმე ლოცვით იწყება. რადგანაც ამით არა მარტო ვლინდება წმინდანის შინაგანი ბუნება და მიზანსწრაფ-ვა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ღვთაებისაგან დასტურისა და ძალმოსილების ფაქტიზი გამოთხოვა“ (ბარამიძე 1992: 26). წმიდა ნინო ღმერთს ესაუბრებოდა, ევედრებოდა, მოეხედა და შეერისხა სული“ ამათ უჩინოთა, სოფლის მპყრობელთა, მთა-ვართა ამის ბნელისათა „...

წმიდა ნინოს თქმული სიტყვა, მის მიერ აღვლენილი ლოც-ვა მისი სულიერი მდგომარეობის, მისი მიზნისა და სურვილის, მოციქულებრივი მისისი ცხადყოფა კი არ იყო მხოლოდ, არამედ ყოფიერების საიდუმლოც გახლდათ, მრავალმნიშვნელოვანი და მრავალწახნაგოვანი, მარადიული და საცნაური. „სიყუარული და მარხვად სულსა განსწმენდენ, ხოლო ლოცვად წმიდად გონ-ებასა განაბრნების“ (თალასე 1989: 417).

„მაშინ მოვიხსენე სიტყუად იგი, რომელი მამცნო იობენალ პატრიარქმან“ (ძეგლები 1964: 120) – მოგვითხრობს მოციქულ-თა სწორი. სიტყვაა მისი თანამდევი, თანმხლები მარადშეცნო-ბადი გარდაუვალობა. ქალწული სიტყვით სულიერი სამყაროს ცხოვრებაში ერთვება, მონაწილეობს და თანაზიარი ხდება მარადიულისა და უკვდავისა. ამიტომ იხსენიება წმიდა ნინო,

ვითარცა „სიტყვისა ლვოისა მსახურთა თანამოსაგრე“ (ჟამნი 1899: 343).

„ნეტარმან და სანატრელმან დედაკაცმან ნინო, რომელი გუექმნა მახარებელ გულთა ჩუენთა, და ემბაზ სულთა და წორცთა ჩუენთა გუაუწყა, ჩუენ მამაკაცებრ ერთარსებაა წმიდისა სამებისაა“, – მოგვითხრობს „მოქცევად ქართლისას“ ავტორი (ძეგლები 1964: 98). წმიდა ნინოს კი აგონდება იობენალ პატრიარქის თქმული: „ვითარცა მამაკაცსა სრულსა წარგავლინებ“ (იქვე: 120). რა დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს ამ კონტექსტში „მამაკაცსა სრულსა“?

ყოველი ქრისტიანი ადამიანის უპირველესი მიზანია, ემსგავსოს ღმერთს, რაც შეიძლება ახლოს მივიდეს მასთან, საკუთარ არსებაში აღადგინოს დაცემული პირველი ხატი, რათა გახდეს პირველხატს მიმსგავსებული. მაცხოვარიც ამას შთაგვაგონებდა: „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამად თქუენი ზეცათად სრულ არს“ (მ. 5,48). ადამიანის, პირველების თავისუფლება სრულყოფილებისაკენ სწრაფვას ნიშნავს. სრულყოფილი კი ვერ იქნები, თვინიერ სიყვარულისა. სრულყოფილება არის თავისუფლება და სრულყოფილება არის ყველას სიყვარული – მტრისაც და მოყვასისაც. სრულყოფილებისათვის კიდევ სხვა რაღაც არის აუცილებელი (გარდა მცნებათა აღსრულებისა): „უკეთუ გნებავს, რათა სრულ – იყო, წარვედ და განცყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა და მოვედ და შემომიდევ მე“ (მ. 19,21). თუ გსურს, „სრული“ გახდე, ე.ი. ჩემი მონაფე და ქრისტიანი, მაშინ მსხვერპლიც უნდა გაიღო, უნდა დათმო და დაუტეო სოფლის სიტყბოება. ემძიმა ეს ტვირთი მდიდარს და „წარვიდა მწუხარე, რამეთუ აქუნდა მონაგები ფრიად“ (მრ. 10, 22). სრულყოფილება უანგარობა, მოწყალებაა, სრულყოფილება განსულიერებული ცხოვრება, სიყვარულით აღსრულებული მცნებაა, მადლი და სათნოებაა. სრულყოფილება ერთობაში, ადამიანების სიყვარულშია. სრულყოფილება მომავლინებელისა და მოვლინებულის სიყვარულია: „მე მათ შორის და შენ თანა: რათა იყვნენ სრულ ერთობითა და რათა უწყოდეს სოფელმან, რამეთუ შენ მომავლინე მე და შეიყუარენ იგინი, ვითარცა მე შემიყუარე“ (ინ. 17, 23). უფრო ვრცლად იხ. (გაგოშაშვილი 1999: 5).

„იყუენით თქუენ სრულ, ვითარცა მამად თქუენი ზეცათად სრულ არს“ (მ. 5, 48) – ნიშნავს იყო თავისუფალი, პირველხატს მიმსგავსებული, შეგეძლოს ყველას სიყვარული, იყო მოწყალე და უანგარო, შეგეძლოს საკუთარის მსხვერპლად გაღება და იხარებდე და იშვებდე ერთობაში... მხოლოდ ასეთებს შეუძლიათ გახდნენ უფლის მოწაფენი, მხოლოდ ისინი ატარებენ ჭეშმარიტი ქრისტიანის სახელს. ხსნის იმედიც მხოლოდ ასეთ ადამიანზე შეიძლება დამყარდეს, რადგან იგი ინახავს ღვთის ხატს თავის თავში. ბიძლიაში ვკითხულობთ: „ნოე, კაცი მართალი, სრულ იყო ნათესავსა შინა მისსა. ღმერთსა სათხო ეყო ნოე“ (დაბ. 6, 9). სწორედ ამ სიმართლისა და სრულყოფილების გამო გამოარჩია ღმერთმა იგი, რათა მისი სახით კაცობრიობის თესლი გადარჩენილიყო. „სრული – ნოეს დახასიათებაში ნიშნავს, რომ მის ბუნებას არ შეხებოდა წუთისოფლის ბიწი, რომ ის იყო შენახული, როგორც საღი ნაყოფი საყოველთაო ხრწნილებაში“ (კიკნაძე 1989: 23).

სულხან-საბას მიხედვით, „სრული გასრულებულსა ჰქვიან უნაკლულოსა“ (ორბელიანი 1991: 109), ხოლო დიდაქე, – მოძღვრება თორმეტი მოციქულის მიერ წარმართა მიმართ, საგანგებოდ გვაფრთხილებს: „განეშორე ხორციელ და სხეულებრივ სურვილებს, თუკი ვინმე მარჯვენა ყბაში გაგარტყამს, მიუშვირე მას მეორე (მ. 5, 39; ლ. 6, 29) და იქნები სრული“ (დიდაქე 1997: 60).

წმიდა ნინოს, „ვითარცა მამაკაცსა სრულსა“, წარმოგზავნის იერუსალიმის პატრიარქი იბერიაში, რათა გადაარჩინოს „ცეცხლისა მსახური ერი“. როგორც ნოეს სახით გადარჩა თესლი კაცობრიობისა, ასევე წმიდა ნინოს მეშვეობით, მისი ლოცვითა და ღვაწლით განახლდა, ხელახლა იშვა, გაქრისტიანდა სრულიად საქართველო. იქნებ ამის მინიშნებაა პატრიარქის სიტყვები: „ვითარცა მამაკაცსა სრულსა“ წარგვზავნიო. ნინოს „მამაკაცებრივი სრულყოფილება“ მისი მისისის აღსრულებაშიც გაცხადდა.

იობენალ პატრიარქის ზემომოყვანილი სიტყვები, რასაკვირველია, არ არის პირდაპირი, ზუსტი მინიშნება ნოეს სახეზე. „სრული“ პიროვნება ძველსა და ახალ აღთქმაში მრავალია, მაგრამ, რადგან აგიოგრაფიულ სახეებს ორი მხარე აქვს: რელიგ-

იურ-მისტიკური და მხატვრულ-ესთეტიკური, ეს უკანასკნელი კი ყოველთვის შეიცავს თავისუფალი გააზრების პოტენციას და ამაშიც ვლინდება მისი მარადიულობა, ამდენად, „მამაკაცი სრული“, მართალია, არ არის პირდაპირი, ზუსტი და უშუალო მინიშნება ნოეს სახეზე, მაგრამ არ გამორიცხავს მას.

თბზულებაში კერპთა მსხვრევა ისეა გაცოცხლებული და განსახოვნებული, რომ ქვეტექსტში მულავნდება წმინდანის მიერ დანახული სამყარო და ამ სამყაროს მისული ინტერპრეტაციაც: „მამში ვტიროდე და სულთ ვითქუმედ ღმრთისა მიმართ ცოტომა-თა მათვის... ვხედევდი მეფეთ მათ ძალ-დიდთა და ყოველთა მთავართა, რამეთუ ცოცხლივ მთაენთქნეს ეშმაკსა, ვითარცა მკუდარნი ჯოჯოხეთსა და იტყოდეს დამბადებულად ქვათა და ძელთა და სპილენძსა და რკინასა და რვალსა, გამობერვით განჭედილსა, ღმერთად თავყუანის-სცემდეს. ესენი იცოდეს ცისა და ქუეყანის შემოქმედად“ (ძეგლები 1964: 120). დე-ტალიზაციის გზით წმიდა ნინოს ცხოვრების უცნობი ავტორი ქმნის მისი თავგადასავლის უაღრესად კონკრეტულ ხატს. ამ-ბავი პირველი პირითაა მოწოდებული. ეს კი იმთავითვე ბადებს უშუალობის განცდას, მტკიცე და მოუცილებელ კავშირს ამყარებს მკითხველსა და მთხრობელს შორის. ყველაფერი იმ-დენად არის უშუალო და ფაქიზი, რამდენადაც არაფერია დამ-ალული, შენილბული და მანერული იმაში, რასაც და როგორა-დაც გვიამბობს ჩვენ წმიდა ნინო. ამიტომ, არა მარტო თვალ-ყურს ვადევნებთ იმას, თუ როგორ შეიქმნა „ოჯრად საშინელი და შესაძრნუნებელი ერთა ურიცხუთა და წმად საყვრთა ფრი-ადთა“, თუ როგორ აივსო გარემო „დედებითურთ და ყრმებით“, როგორ „მიმორიდებით იქით და აქათ“ დაუთმეს გზა მეფეს და როგორ იწყო „ყოველმან ერმან ქებად მეფისა“, რომელიც იყო „თვალთ-შეუდგამითა ხილვითა“ (ძეგლები 1964: 118)... არამედ წმიდა ნინოსთან ერთად განვიცდით მის მდგომარეო-ბას, უშუალოდ ვმონანაწილეობთ კერპთა მსხვრევის პროცესში და, ამდენად, წმიდა ნინოს განცდას ჩვენი თანაგანცდა ერთ-ვის. წმიდა ნინოს მონათხრობი, ნაამბობი შორეული კი არ არის, მისი წარმოდგენა კი არ გვჭირდება, არამედ პირდაპირ ვხედავთ, როგორ დგას კაბადოკიელი ქალწული „მახლობლად კერპისა მის ნაპრალსა კლდისასა“, როგორ აკვირდება წარმართობის საში-

ნელსა და საზარელ ზეიმს მცხეთაში, როგორ ატირდება და ევე-დრება საწუთოს განმგებელს...

წმიდა ნინო ამის შესახებ სიკვდილის წინ მოგვითხრობს. იგი ანტყოში გაცოცხლებულ წარსულზე გვესაუბრება. აქ ფიქსირებულია წმინდანის სულის მიმოქცევა, მისი მღელვარება, რადგან ეს წარსული მისი ცხოვრების დაუბრუნებელი და მხოლოდ და მხოლოდ განვლილი საფეხური კი არ არის, არამედ - ანტყოში გაცოცხლებული ისტორია სულისა. ეს არის „მოგონებანი გარდასულ დღეთა“, ოღონდ იგი ახლანდელობასთანა შერნტყმული, მოკლებულია მყოფადის გაგებას“ (მდრ. კიქაძე 1957:). განცდის ეს მარადიულობა არის სწორედ ლიტურგიული ცნობიერების გამოვლენაც. წმ. ნინოს მონათხრობი მარადიული წარსულის განსახოვნებაა და, ალბათ, ეს ფაქტორიც განაპირობებს კერპთა მსხვრევის ამ მონაკვეთის ღრმა ფსიქოლოგიზმს.

... და მაშინ იობენალის თქმული სიტყვა მოიგონა მოციქულთა სწორმა, ლოცვად აღენთო, სოფლის მხსნელს ევედრებოდა: „უფალო, უფალო, მრავლითა ძალითა შენითა გეცრუვნეს შენ მტერნი ესე და ესე არს დიდითა სულგრძელებითა შენითა და იქმან, რასაცა იგონებენ მტუერნი ესე და ნაცარნი ქუეყანისანი, არამედ ნუ უგულებელს-ჰყოფ, რამეთუ ხატი შენი არს კაცი, რომლისათვის ერთ სამებისაგან კაც იქმენ და აცხოვნე ყოველი სოფელი. ამათცა ნათესავთა მოხედენ და შეჰრისხენ სულთა ამათ უჩინოთა, სოფლის მპყრობელთა, მთავართა ამის ბელისათა, და მიჩუენე, მე, ლმერთო მამისა და დედისა ჩემისაო, შევალსა ამას ნაშობსა მონისა შენისასა, რათა იხილონ მაცხოვარებად შენი ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა და რათა ჩრდილო ბლუარსა თანა იხარებდეს და ყოველმან ენამან შენ მხოლოსა ლმერთსა თაყუანის-გცეს...“ (ძეგლები 1964: 120–121).

წმინდა ნინოს მიერ წარმოთქმული ეს ლოცვა-ვედრება მრავალმხრივ არის საინტერესო და ყურადსალები. აგიოგრაფიულ მწერლობაში, საერთოდ, ლოცვა არ წარმოადგენს მხოლოდ ლიტურგის კომპონენტს, მას აქვს სხვა ფუნქციაც – „კერძოდ, ეს არის შინაგანი მონოლოგი, რომელშიც სისრულითა და თვალნათლივ ვლინდება სულიერი სამყარო, განცდები, დამოკიდებულება უზენაესთან, საკუთარ თავთან და გარე სამყაროსთან.

ეს არის აღმსარებლობითი ხასიათის დიდი მონოლოგი, ერთი მხრივ, თვითმმსილებისა და განწმენდის სურვილით ნაკარნახევი და, მეორე მხრივ, საკუთარი თავიდან გამოსვლის ზეშთაგონებით იმპულსირებული ღვთაებასთან შერწყმის მოთხოვნილების და-დასტურება“ (ბარამიძე 1992: 25).

აქვე იმასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ „მახლობლად კერპისა მის ნაპრალსა კლდისასა“ მდგომი მოციქულთა სწორი ქალწული ნინო შინაგანად უკვე ემზადება რაღაც დიდისთვის, მისტიკურისთვის... მის არსებაში ღვივდება სულიერი ძალები, რომლებიც ლოცვად დაენთებიან და რომლებიც შეძლებენ, და-საბამი დაუდონ ქვეყნის წესის, ადამიანთა აზროვნების შეცვ-ლას. ამიტომ ვიდრე „ხმა—ყოფამდე“, ლოცვის დაწყებამდე წმიდა ნინოში ურთულესი სულიერი და ფსიქიკური პროცესები მიმდინარეობს და სწორედ ეს განწყობა ქმნის ამ ეპიზოდის უკი-დურესად ლრმა ფსიქოლოგიზმს. ვიდრე წმიდა ნინოს ლოცვის ძალით კერპები დამსხვრევა, მანამ თვით მასში უნდა მოხდეს სრული ფერისცვალება, ანუ ის, რასაც თეოზისი ჰქვია. ყოველი „მეტყველების დაწყებას რაღაც მდგომარეობა უსწრებს წინ. – წერს დ. უზნაძე – რომელიც ამ გარკვეულ ენაზე ლაპარაკისთ-ვის საჭირო ძალებს აღძრავს სუბიექტში. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში სუბიექტი, სანამ ლაპარაკს დაიწყებდეს, წინას-წარ ერთგვარ მთლიანობითი ხასიათის ცვლილებას განიცდის“ (უზნაძე 1947: 174).

თეოლოგიური ასპექტით, ჩვენ აქ შეგვიძლია დავინახოთ ლოცვის სამგვარივე სახეობის მთლიანობა. ცნობილია წმიდა სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის საკითხავი „სამგვარი ლოც-ვის შესახებ“, რომლის მიხედვით ლოცვის პირველი სახეო-ბისთვის ნიშანდობლივია შემდეგი: როდესაც ადამიანი ზეცად აღაპყრობს ხელებს, თვალებსა და გონებას, და შთაგონებული ღვთაებრივი აზრებით წარმოისახავს ზეციურ მადლს, მაშინ, ლოცვისას ზეცად თვალმიპყრობილს, სულში ჩაეღვენთება ღვთისადმი ლტოლვა და სიყვარული (წმ. სვიმეონი... 1991: 118–119).

წმინდა ნინო მოგვითხრობს: „მაშინ აღვიხილნე თუალნი ზეცად და ვთქუ“. ზეცას თვალმიპყრობილმა აღავლინა ლოცვა წინაშე ღვთისა, რომლისადმი უსაზღვრო სიყვარულის გამოვ-

ლენა იყო მოციქულთა სწორის მთელი ცხოვრება, მისი თავ-დადება და შეუდრეკელობა ქრისტეს სიყვარულში.

ლოცვის „მეორე სახეობისას ადამიანი საკუთარ თავს ჩაუღრმავდება... ამ სახეობის ძირითადი მახასიათებელი ისაა, რომ იგი გონებაში მნიშვნელება, აზრთა ჭიდილში“ (წმ. სვიმეონი 1991: 120). წმიდა ნინო მთელი არსებით აკვირდებოდა იმას, რაც მის თვალწინ მცხეთაში ხდებოდა. იმდენად შემაძრნუნებელი იყო კერპთა თაყვანისცემის ეს გრანდიოზული სცენა, რომ ქალწულს ცრემლები წასკადა: „ამიერითგან ავტირდი მხურვალედ“ – იგონებს მოციქულთა სწორი (ძეგლები 1964: 120). სწორედ გონებით გაზიომილი და ანონილ-დანონილი იყო შეფასება არსებული სულიერი მდგომარეობისა ქვეყანაში. მისი ლოცვაც აზრთა ჭიდილში გამოკვეთილი, ახსნილი და გახსნილია.

„არსი (ლოცვის – სფ.მ.) მესამე სახეობისა იმაში მდგომარეობს, რომ გონება უნდა ჩავიდეს გულში ლოცვის უამს, მის სიღრმეში იბრუნოს გამოუსვლელად და იქიდან, გულის სიღრმიდან, დაძრას ლოცვები ღვთისაკენ“ (წმ. სვიმეონი 1991: 125).

გულწრფელი, მხურვალე ლოცვა იყო შუამავალი წმიდა ნინოსა და ღმერთს შორის. მხოლოდ ასეთ ვეღრებას შეისმენდა ნათელი სოფლისა. სხვათა შორის, ეკლესიის მამების მიერ შენიშნულია, რომ ლოცვის მესამე სახეობა – გონებისა და გრძნობის გულში მომწყვდევა – ჩვეულებრივ მოკვდავს არ ძალუდს, რადგან სული-წმიდის გარდამოსვლის გარეშე წარმოუდგენელია ასეთი ლოცვის აღსრულება, რაც მხოლოდ რჩეულთა და სრულყოფილთა ხვედრია (წმ. სვიმეონ ღვთისმეტყველი 1890: 188).

მაშასადამე, წმიდა ნინოს მიერ წარმოთქმული ლოცვა-ვეღრება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, გამორჩეული ადგილი „ცხოვრებაში“ კიდევ ერთხელ ცხადყოფს კაბადუკიელი ქალწულის სრულყოფილებას (ცითარცა მამაკაცსა სრულსა წარგვზავნი), მადლ-მოსილებასა და რჩეულობას, რადგან „მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ“ (მ. 20, 16) და იმასაც, რომ „სიტყვას რამე მიზეზი აღძრავს, პიროვნებაში იგი ყალიბდება სიტყვა – აზრად და შემდეგ ცხადდება მეტყველ ენად ... ენა არის არსებობის რაობად გამოცხადებული“ (სირაძე 1987: 6).

ლოცვაში აცხადებულმა უსისხლო მსხვერპლმა, სიტყვამ,

გამოიწვია კერპთა მსხვრევა, წარმართული რწმენის ნგრევა. წმიდა ნინო ხატავს უმძაფრესსა და უნათლეს სურათს: „და აპა წამის ყოფასა თუაღლისასა დასავლეთით შეიძრნეს ჰაერნი და ქარნი სასტიკი და წმა-სცეს ღრუბელთა ქუხილითა, წმითა საზარელითა და საშინელითა და აჩნდა ღრუბელი მოსწრაფე, ნიშან – საშინელი. და მოიღო ნიავმან დასავალისამან სული ჯერკუალი სიმწარისა და სიმყრალისა... მეყსეულად მოიწია რისხვისა იგი ღრუბელი მცირე და მოიღო სეტყუად ლიტრისა სწორი მას ოდენ ადგილსა და დალენა კერპნი იგი, დაფქვნა და დაანულილნა და დაარღვნა ზღუდენი იგი ქარმან სასტიკმან და ჩაყარნა კლდესა მას“ (ძეგლები 1964: 121).

თხრობის დონამიკას, მძაფრ ემოციას აქ ქმნის სუბიექტის აქტივობა, ყურადღების ცენტრში გარე მოვლენებზე მისი რეაქცია. რაც ირგვლივ ხდება საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მასზე სწორედ წმიდა ნინო იძლევა რეაგირებას. თხრობას რიტმულობას ზმნათა სიხშირეც ანიჭებს: შეიძრნეს, ხმა-სცეს, აჩნდა, მოიღო, მოიწია, დალენა, დაფქვნა, დაანულილნა, დაარღვნა, ჩაყარნა. კერპთა მსხვრევის, ბუნების შეგვრის „ეს გრანდიოზული სურათი, ცისა და მიწის, წყლისა და ჰაერის თავისებური ამბოხი და სახეცვლა მაუწყებელი და მიმანიშნებელია რაღაც დიდი ცვლილებებისა. წარმართული რწმენის ნგრევა, კერპთა მსხვრევა და ახლის დაბადება ბუნების მოვლენებთან უშუალო კავშირშია წარმოდგენილი. ბუნების ამ ტიტანურ სახეცვლაში სიმბოლიზებულია სარწმუნოებრივი, მსოფლმხედველობითი გარდატეხა, შემობრუნება“ (ბარამიძე 1993: 6).

წმინდა ნინოს მოგონება კერპთა მსხვრევის შესახებ ანტყუაში გაცოცხლებული წარსულია, ანუ მარადიული წარსული. განწყობილება მთქმელისა, ვითარცა პროცესი, განცდილი მოვლენის ფიქსაცია. აგიოგრაფიული მწერლობის სახისმეტყველებით სისტემაში ჩვენს ყურადღებას იქცევს სახე–სიმბოლო, სიტყვიერი ხატი, როგორც ესთეტიკური ფენომენი, რომელსაც, რათქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, დიდი საღვთისმეტყველო დატვირთვა აქვს.

მაგალითისათვის მოვიხმოთ წმიდა ნინოს სიტყვები, მეფე მირიანს რომ მისწერა: „მოვიდა და მოიწია უამი დღისა და-

ლევნისა და მზისა ჩემისა დავსებისა... მე დღესა დაუღამდები“ (ძეგლები 1964: 102). მასში მოცემული აზრი შეიძლება სხვანაირადაც გადმოვცეთ: „მოვიდა დრო ჩემი ამქვეყნიური ცხოვრების დასასრულისა... მე მოვკვდები“. ამით ნათქვამის ლოგიკური შინაარსი თითქოს არ იცვლება, მაგრამ ინტონაციაა შეცვლილი. პირველ შემთხვევაში (მოვიდა და მოიწია უამი...) მოცემულია სუბიექტის განცდა, მისი დამოკიდებულება და განწყობა სიკვდილ–სიცოცხლისადმი. ასეთი თქმა არა მარტო გარევეული აზრის მომცემია, არამედ გამომსახველიცაა ამ აზრის განცდისა სუბიექტის მიერ. „მე დღესა დაუღამდები“, – ამ ფრაზის მნიშვნელობა მასში უშუალოდ ფიქსირებულ ფაქტობრივ შინაარსს აღემატება. აქ შესაბამისი მხატვრული ფორმით გასაგნებულია პიროვნული განცდა–შეგრძნება. „ეს მომენტი ესთეტიკური სახეების ჩასახვას გვაგულვებინებს. აქ ადამიანური სიცოცხლის წარმავლობაზეა საუბარი. წმინდანი უკვდება ქვეყანას“ (სირაძე 1987: 96-97).

„მე დღესა დაუღამდები“, – წმიდა ნინოს სიკვდილის განცდისეული ასპექტის გამოვლენაა, რომელიც ემსახურება და წარმოადგენს სუბიექტის მიერ ემოციური დამოკიდებულების გამომჟღავნებას მეტყველებაში. „სუბიექტური ასპექტი გულისხმობს ობიექტური ვითარების გაგებასაც სუბიექტის მიერ, უფრო სწორად, მისი გარკვეული მხრიდან დანახვის რაობას. რაიმე მოვლენის ასეთად განცდა ყოველთვის განპირობებული და გამართლებულია მხატვრული შემოქმედების საგნის ობიექტური შინაარსით“ (რამიშვილი 1963: 199).

„მე დღესა დაუღამდები“, – განცდით გვაგებინებს და გვაგრძნობინებს ყველაფერ იმას, რაც სულისა და ხორცის გაყრას ახლავს. ძალიან ძნელია იმის თქმა, კონკრეტულად როგორ განიცდება სიკვდილი ამა თუ იმ სუბიექტის მიერ, ან ზუსტად როგორია ის ასპექტი, რომელსაც ამ ფრაზის მხატვრული შინაარსი გულისხმობს. ეს, ალბათ, იმდენ მომენტთა კომპლექსს შეიცავს, რომ მხოლოდ ლოგიკის დონეზე მისი განსჯა შეუძლებელია. შინაარსის ამგვარობით გაცოცხლებული განცდა ისეთივე იდუმალი, ამოუნიურავი და მრავალმხრივია, როგორც ადამიანის გარდაცვალების, მისი ცხოვრების ეს უკანასკნელი მონაკვეთი.

გარკვეული ადამიანური სევდა თან ახლავს სიკვდილს,

მიუხედავად იმისა, რომ წმინდანისათვის ის ყველაზე დიდი ბედ-ნიერებისა და ნეტარების დასაწყისის წინა დღეა. მაგრამ ადა-მიანი ასე ადვილად ვერ თმობს სიცოცხლეს, წუთისოფელს... სიცოცხლესთან განშორების სევდა ფიქსირდება ადრეულ ქარ-თულ აგიოგრაფიაში. წმიდა წინა ამბობს, რომ მისი სიკედილით არაფერი დაეტყობა მზესა და დღეს, მათს მონაცელეობას, „რა-მეთუ არა თუ დღე და მზე შეიცვლებიან წესთა ზედა მათთა, არ-ამედ მე დღესა დაულამდები“ (ძეგლები 1964: 102).

ჩვენ მიერ მოყვანილ ფრაგმენტში ნათლად იგრძნობა მხ-ატვრული მეტყველების სპეციფიკური ბუნება - პოეტური ხა-ტის, მხატვრული სახის არსებობა, რომელიც ასახავს რაღაც შინაარსს, რომელიც ესთეტიკურია და მხატვრული სიტყვით გადმოიცემა, მის სამოსელს სიტყვა ქმნის და იგი ყოველთ-ვის მეტყველებაში განსახოვნდება. პოეტური ხატი, მხატვრუ-ლი სახე თავად ქმნის ახალ შინაარსს, იგი ინდივიდუალურად ასახული საგანია, გარკვეული ფსიქოლოგიური კანონზომ-იერებით განსაზღვრული, რომლის ბუნება, არსი ღრმად სუ-ლიერი, შთამაგონებელი ფაქტის ასახვაა სიტყვის მეშვეობით. სულიერი სიტყვით იქმნება სიტყვიერი ხატი, ანუ მხატვრული სახე, რომელიც ნაწარმოებში სპეციფიკურ დანიშნულებას ას-რულებს. სიტყვიერი ხატის, სახე-სიმბოლოს საშუალებით ჩვენ ყველაზე უფრო ახლოს მივდივართ იმასთან, რისი დასახელება ან ზუსტად გამოთქმა არ შეგვიძლია.

„მე დღესა დაულამდები“ – ისეთი თქმაა, აზრის იმნაირი სამისია, როდესაც სიტყვა „უარს ამბობს“ თავის პირდაპირ მნიშვნელობაზე, შინაარსზე (დავლამდები), რათა ახალი, რა-ღაც მეტი დააფიქსიროსა და გადმოსცეს (მოკვდები). „სიტყვა სამეცნიერო ტრაქტატიდან და პოეტური ქმნილებიდან არაფ-რით განსხვავდება ერთმანეთისაგან... განსხვავება იწყება სი-ტყვისა და იმის მიმართებისაგან, რაც სიტყვის მიღმა დგას“ (გე 1967: 86).

სიტყვა ბადებს გრძნობას, „მე დღესა დაულამდები“ სწორედ რაღაც გრძნობაა, გარკვეული ფსიქოლოგიური ოდენობაა, ფსიქოლოგიური ბუნებაა, ფსიქოლოგის ენაზე რომ ვთქვათ, გრძნობადი მასალაა. ეს ისეთი თქმაა, ისეთი სიტყვიერი ხა-ტია, როცა ერთმანეთს ერწყმის შინაარსეული ხატი (ვკვდები –

მოვკვდები) და სიტყვიერი ფორმა ამ შინაარსის გადმოსაცემად. ამ სიტყვიერ ხატში ისეთი აზრი იხსნება, რომ სხვა შინაარსის გამომულავნებას მოემსახუროს, თორემ „მე დღესა დაულამდები“ არ გულისხმობს გათენება—დაღამებას. სწორედ რომ არაპირდაპირი გზით შინაარსოპრივი ხატი იქცევა სიტყვიერ ხატად, მხატვრულ სახედ. ასეთ შემთხვევაში „ხატოვან გამოთქმას შესაძლებლობა ეძლევა, ასახოს სუბიექტის ასპექტში მოცემული ობიექტი, მხოლოდ იმის წყალობით, რომ ის ხსნის თავის თავდაპირველ მნიშვნელობას და სიტყვების ახალ შინაარსს წარმოშობს“ (რამიშვილი 1963: 209).

სიტყვის შემეცნების, მისი გაგების, ხილვისა და განცდისათვის გვამზადებს აგიოგრაფია. სიტყვიერი ხატი, მხატვრული სახე არის გზა ხილულიდან უხილავისაკენ, გრძნობადიდან ზეგრძნობადისაკენ. მიუხედავად სულიერი სიტყვისა, აյ ესთეტიკური, საკუთრივ მხატვრული ფენომენიც მძლავრობს, თუმცა ესთეტიკა, შუა საუკუნეების მსოფლმხედველობის კვალობაზე, ცხადდება რელიგიურობამდე ამაღლების საშუალებად, „ლიტერატურული სახე „ხატია“, განსახოვნების ეკონური პრინციპის კვალობაზე. და ეს ეხება მწერლობის ყველა დარგს, მთელ ხელოვნებას („შუენიერებასა მის ხატებისასა უკუეთუ აკლდეს რაიმე, არა არს იგი ხატი“) (სირაძე 1992: 19).

წმიდა ნინო მოგვითხრობს იმის შესახებ, როგორ აწამეს რიფსიმე და გაიანე სომხეთში, თრდატ მეფის დროს, პარასკევ დღეს და დასძენს: „ხოლო მე დავჭთი ეკალთა შინა ვარდისათა, რამეთუ ვარდი და ნუში ყუაოდა მას ჟამსა“ (ძეგლები 1964: 115).

რა ითქვა ამით? თუ შინაარსი გაირკვევა, მაშინ ისიც გამულავნდება, როგორ ითქვა, მაგრამ განა მხატვრული ქმნილება, ესთეტიკური კატეგორია ლოგიკას მთლიანად დაექვემდებარება? – რა თქმა უნდა, არა! წმიდა ნინოს ნათქვამი ჩვენთვის უკვე არის საშუალება, ასე ვთქვათ, „განვაგრძოთ განცდა“, მისი განცდილი ჩვენში უნდა გაგრძელდეს. სწორედ ამას გულისხმობს ნაწარმოებთან დიალოგური მიმართება. ლიტერატურა არის საშუალება, განაგრძო შენი განცდა, რომელმაც მიაღწია ბუნებრივ საზღვარს, როგორც ემპირიულმა განცდამ... ლიტერატურული სიტყვა ეხმარება განცდას წინ წამოსწიოს,

განვითარდეს“ (მამარდაშვილი 1992: 160).

„ხოლო მე დავშთი ეკალთა შინა ვარდისათა“ - რა არის აქ მითითებული? ჩანს თუ არა გეოგრაფია იმ ადგილისა, სადაც იმყოფება კაბადოკიელი ქალწული, ხილვად-გრძნობადია ფიზიკური, მატერიალური გარემო? - არა. აქ უნდა მოხდეს სწორედ სიტყვის ემოციური შემეცნება. ნათქვამის აღსაქმელად უნდა მოვიმარჯვოთ ფანტაზია, რომელიც ნ. ჰარტმანის მიხედვით, „არის და რჩება პოეტური შემოქმედების მარადიულ პირველ-წყაროდ“ (ჰარტმანი 1958: 408). უნდა განვიცადოთ ის, რის შესახებაც ასეთი ექსპრესიით მოგვითხრობს წმინდანი: „ვარდთა და ნუშთა ყვავილობის უამს ეკალთა შორის მარტოდშენილობის ხატი ჩაფიქრებულია, რათა გრძნობად სინამდვილეზე მიმთითებლიდან ხილვის დასასრულს ზეგრძნობად - სულიერ ღვანლზე მიმანიშნებელი მეწამული და სურნელოვანი ვარდის მშვენიერ სახე-სიმბოლოდ გადაიქცეს“ (ფარულავა 1982: 113).

ჩვენი ინტერესის საგანია საკუთრივ ისეთი სიტყვიერი ხატი, მხატვრული სახე, რომელშიც სიტყვები გამოყენებულია არა თავიანთი პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ სულ სხვა ბუნების შინაარსის გამოსახატავად. ზემომოყვანილი ნიმუშიდანაც კარგად ჩანს, რომ სიტყვიერი ხატის გამოყენების დროს იბადება სიტყვების თავდაპირველი მნიშვნელობისაგან განსხვავებული ახალი შინაარსი. აგიოგრაფიული სიტყვის ეს თავისებურება სწორედ სახე-სიმბოლოში, სიტყვიერ ხატში არის მოცემული. აქ საინტერესოა მხატვრული მეტყველების ის სპეციფიკური ბუნება, როდესაც რაღაც შინაარსი გამოიყენება სიტყვიერ მასალად, სხვა მოვლენის, კერძოდ, განცდის გასასაგნებლად. აზრი ეძებს სიტყვას და მასში ხორციელდება, ოღონდ ეს სიტყვები, რომლებსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა გააჩნიათ (ეკალი, ვარდი, ნუში, ყვაოდა), ქმნიან განსხვავებულ, რაღაც სხვა შინაარსს, ანუ იმას, რა ფსიქოლოგიურ პათოსასაც გვაგრძნობინებს მთქმელი. აგიოგრაფიაში ჰარმონია მყარდება სულიერ განწყობასა და სიტყვიერ მასალას შორის, სიტყვა განწყობის, მზაობის რეალიზაციას წარმოადგენს.

მხატვრულ სიტყვას აქვს მიზანი, რომელიც თვით ამ სიტყვის მიერ აგებულ და შექმნილ სამყაროში ცხადდება. ყოველი ნაწარმოები გვესაუბრება რაღაც კონკრეტულზე. აგიოგრაფია

პირდაპირ აცხადებს, რომ მასში მოთხრობილი და აღწერილი „ჭეშმარიტი და უტყუელია“ (ძეგლები 1964: 48). სიტყვით გად-მოცემული ეს მასალა არის ის სიბრტყე, რომელშიც ცხადდება ლიტერატურულ-ესთეტიკური საგანი. აგიოგრაფის სულიერი სიტყვა მკითხველში წარმოშობს და აცოცხლებს გარკვეულ შინაგან სახეებს, რომელთაც უკავშირდება სიტყვის, როგორც ესთეტიკური ფენომენის განცდა. ამავე დროს, სიტყვა აქ სა-შუალებაა, რომლის მიხედვითაც წარმოშობა მეორე სამყარო, რომელიც ჯერ აგიოგრაფისა და შემდეგ მკითხველის სულში დაბადებს, გააცოცხლებს ახალ სინამდვილეს, „ხელოვნება გა-მოსახავს იმას, რისი გამოსახვაც ძალუს – სწრაფვას სულიერ საწყისთან ხორციელის გამთლიანებისაკენ, სულის თავის თავთან დაბრუნებისა და შერიგებისაკენ“ (ფარულავა 1982: 42).

აგიოგრაფიაში ყოველი სიტყვა იწვევს განსაკუთრებულ სუ-ლიერ მდგომარეობას, იგი იტევს იმაზე მეტს, ვიდრე უშუალო-დაა გადმოცემული. წმიდა ნინო ამბობს: „შეეურვა სულსა ჩემსა“. „ურვა“, სულხან–საბას მიხედვით, არის მნუხარება დამამძიმებე-ლი (ორბელიანი 1991: 167). როგორი ცხადი და გამომსახველია ის განცდა, რომელსაც წმინდანი გრძნობს! „დამწუხრებულია მოყვასის, კაცთა მოდგმის სიბრალულით სული მოციქულისა. ეს არის ნინოს დრამატული შინაგანი განცდის პოეტურად გამოქა-ნდაკების ნიმუში, რომელიც აღელვებს და კვალს აჩნევს ჩვენს სულს“ (ფარულავა 1982: 168). ასეთივე სიმძაფრითა და დრამა-ტიზმითაა გამორჩეული წმიდა ნინოსეული განცდა სიკვდილისა, როცა ის იტყვის: „ესერა მოსრულა სული ჩემი წორჩად ჩემდა“ (ძეგლები 1964: 105). ამ სიტყვიერი ხატის მხატვრულ ეფექტს განსაზღვრავს ის ფსიქოლოგიური ფონი: ტონი, ინტონაცია, რო-მელიც სიკვდილის მოახლოების გრძნობას ახლავს და ემოციური მუხტიც სუბიექტის განცდის შედეგია. აქ სიკვდილის გრძნობა გამოხატულია გარკვეული შინაარსისადმი პიროვნების, მთქმე-ლის დამოკიდებულებით. ჩვენი ყურადღების კონცენტრაციასა და სიკვდილისადმი ჩვენი დამოკიდებულების გაძლიერებას ემ-სახურება წმიდა ნინოს სიტყვები „ესერა მოსრულა სული ჩემი წორჩად ჩემდა“, რომელშიც მოცემულია სიკვდილის განცდის ფსიქოლოგიური ფაქტი და ეს შინაარსი უშუალოდ და ცხოვ-ლადაა მოწოდებული.

სიტყვის ემოციური შემეცნებისას ჩვენ ვესწრაფვით არა იმას, რომ დავადგინოთ მოვლენის თვისებები, სტრუქტურა (ამ შემთხვევაში სიკვდილისა), არამედ იმას, რომ სიტყვიერმა ხატმა, სახე—სიმბოლომ ზემოქმედება მოახდინოს ჩვენზე: „პოეტური ხატი არის აქტი, რომლის დროსაც ემოციურად უცნობი საგანი, „გამოთქმის საშუალების“ დახმარებით ჩვენზე იმოქმედებს და გამოიწვევს განსაზღვრულ განცდებს“ (ბეგიაშვილი 1990: 19).

მოვლენა გადაიქცევა ემოციურ სინამდვილედ!

„ესერა მოსრულა სული ჩემი წორქად ჩემდა“, – მოციქულის ამ სიტყვებს საფუძვლად უძევს სიკვდილის ემოციური შემეცნება და თვით ეს სახე არის არა მომხდარის აღნერა, არამედ აქტი, რომლის დროსაც განცდით უნდა შევიმეცნოთ ადამიანის ცხოვრების უკანასკნელი აკორდი. „ესერა მოსრულა სული ჩემი წორქად ჩემდა“ – სიკვდილის მოახლოების განცდის მხატვრული შინაარსია და როგორც დ. რამიშვილი შენიშნავს: ყოველგვარი მხატვრული შინაარსი, და, კერძოდ, მხატვრული მეტყველების შინაარსი, აუცილებლობით გულისხმობს ობიექტს, მოცემულს სუბიექტის განცდის ფორმაში“ (რამიშვილი 1963: 198).

ლიტერატურა, საერთოდ, და მით უფრო აგიოგრაფია, დაიყვანება არა იმდენად ემოციებზე, რამდენადაც განცდებზე ფართო გაგებით, და მიუთითებს, აფიქსირებს, გადმოსცემს სწორედ ამ განცდების ხასიათს, მათს სხვადასხვაგვარობას. სახე—სიმბოლოს ახსნა, მისი შემეცნება, გააზრება, როგორც, საერთოდ, პოეტური მეტყველება, ორი მხრიდან უნდა გამოვიყვალიოთ: მკითხველის თვალსაზრისით, რომელიც აღიქვამს მხატვრულ სახეს, რომლისკენაც ის არის მიმართული, და შემოქმედის რაკურსით, რომელიც ქმნის ამ ხატს (იაკობსონი 1973: 113). ამ უკანასკნელის მთლიანი აღდგენა ზოგჯერ არ ხერხდება. ეს ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული, მაგრამ თავად ფაქტი, მხატვრულ ნაწარმოებთან ურთიერთობათა ორმხრივობისა, მასთან დიალოგში ყოფნისა არის საინტერესო და მნიშვნელოვანიც. გამოთქმას „ესერა მოსრულა სული ჩემი წორქად ჩემდა“ – აქვს მკვეთრი ემოციური ხასიათი და თან სდევს ძლიერი განცდა, თითქოს სულის უკანასკნელი ამოსუნთქვააო. „შინაარსი არ დაიყვანება ტექსტში გამოთქმულ

მსჯელობათა ჯამზე; მხატვრული ნაწარმოები კონკრეტულ-სატოვანი და ემოციური არსის შემცველია; იგი ზემოქმედებს მკითხველზე, იწვევს და ავითარებს ერთი რიგის ემოციებსა და მისწრაფებებს, გამოდევნისა და სძლევს სხვა რიგისას. მხატვრული აღქმისათვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარ-მოადგენს მკითხველის პიროვნება, მისი ინტელექტი, ცოდნა, თეზიურუსი, უნარი აღიქვას არა მარტო ის ინფორმაცია, რაც ზედაპირზე ძევს, არამედ სუპერხაზოვანიც” (კვარაცხელია 1995: 76).

როდესაც საუბარია, საერთოდ, ხელოვნებაზე, კერძოდ კი ლიტერატურაზე და შევნიშნავთ იმას, რომ მხატვრული ქმნი-ლების აღსაქმელად აუცილებელია მისი სულიერი შემეცნება, რა თქმა უნდა, ამით არ გამოვრიცხავთ ინტელექტს, უფრო მეტიც, ის თავისთავად იგულისხმება, მისი არსებობა აუცილე-ბელი მოთხოვნაა და იმთავითვერა განსაზღვრული, თორემ, სხვა შემთხვევაში, გამოვა, რომ ლიტერატურა და, საერთოდ, ხელოვნება რაღაც გრძნობათა „თამაშის“ ასპარეზია. აქსიო-მად უნდა მივიღოთ გრძნობისა და გონების მთლიანობა. მხატ-ვრული ნაწარმოების აღქმის პროცესში „არ არის საკმარისი საგნის გრძნობითი აღქმა, აუცილებელია ინტელექტის მუშ-აობა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, შევიმეცნოთ საგნის დედაარსი, შევიმეცნოთ, თუ რა ადგილი უკავიათ მათ საგანთა კავშირებსა და დამოკიდებულებათა სისტემაში“ (კვარაცხელია 1995: 46).

ინტელექტუალური ემოციებისა და განცდების არსებობა საშუალებას ქმნის, დავაფიქსიროთ ან ავხსნათ მხატვრული ქმნილების უმთავრესი კატეგორია – სახე. სწორედ ის ფუნდა-მენტი ხელოვნებაში, რომელსაც აქვს უნარი, გამოხატოს შემო-ქმედის მიერ სამყაროს აღქმის თავისი, საკუთარი კონცეფცია, წარმოგვიდგინოს მის მიერ საგანთა და მოვლენათა შინაგანი ბუნების არსი და გვაზიაროს უნივერსალიებთან.

მწერალი შეგვაგონებს, რომ წმიდა ნინოს შემოსვლა საქა-რთველოში უნდა აღვიქვათ... „ვითარცა ბნელსა შინა მთიები რად აღმოჰქმდის და ცისკარი აღიღის და მისა შემდგომად აღ-მოვალნ დიდი იგი მფლობელი დღისად“ (ძეგლები 1964: 125).

რას გულისხმობს ეს აღქმა, როგორ გაგებაზეა აქ საუბარი,

რას უნდა მივუხვდეთ აგიოგრაფს?- ასეთ შემთხვევაში შემეცნების პროცესში უნდა ჩაერთოს ადამიანის მთელი ფსიქოლოგური კომპლექსი, რომელშიც გაიღვიძებენ დახასიათებები, განსაზღვრებები, წარმოდგენები, როგორც შესაძლებლობანი. ისინი წარმოგვადგენინებენ „დღის იმ დღიდ მფლობელს“, რომელსაც არ „ვიცნობდით“, „ვხედავდით და ვერ ვხედავდით“, ე.ი. მოხდება ახლის დაბადება. რაღაც სიახლის გაცნობიერება მხატვრული სახის აღქმისას გამოიწვევს სიამოვნებას, რომელიც დაკავშირებულია შემეცნების სიხარულთან, რომ დაინახე (ან დაგანახეს) ის, რომელსაც ადრე მკრთალად თუ ხედავდი. მაგრამ, რა თქმა უნდა, გრძნობა, რომელიც თან სდევს ამ მხატვრული სახის აღქმასა და შემეცნებას, არ დაიყვანება მხოლოდ სიხარულის განცდაზე. სიტყვის სულიერ შემეცნებაში ჩაერთვება თეორიული მონაცემები, გარკვევა რაღაც მიზეზ-შედეგობრივი კავშირისა, სტრუქტურისა.

წმიდა ნინო, ქადაგი ჭეშმარიტებისა, ბნელში „აღმომხდარი მთიები“ (რომელ არს ცისკარი), რომელიც „ეძიებდა ხსნასა სულსა ჩუენთასა, „აღმოსავალით მავალი“, მუშაკი დაულალავი, სამებისა და ერთარსების მაუნებელი, ქრისტეს აღდგომის მაცნე იმ ქვეყანაში, „სადა იგი არს სამკალი ფრიად, ხოლო მუშაკი-მცირე“ ახლოს დგას წმიდა დიდებულის წინასწარმეტყველის, წინამორბედისა და ნათლისმცემლის, იოანეს, ღვაწლთან. როგორც მან მოამზადა ისრაელი ერი ქრისტეს მისაღებად, რომელმაც „განამზადა გზანი უფლისანი“ და „წრფელ-ყო ალაგნი მისნი“, რომლის შემდგომად მომავალი იყო უძლიერეს მისა, ასევე წმ. ნინო, ბნელში აღმომხდარი მთიები (იოანე – წმა მღალადებელი), მოამზადებს ქვეყანას იმ „დიდი დღის მფლობელის“ მისაღებად. ჯერ იყო იოანე, შემდეგ – ქრისტე; ჯერ წმიდა ნინო, შემდეგ – „დიდი იგი მფლობელი დღისად“ ქართველთათვის.

ამ შემთხვევაში ის, რაც ჩვენთვის ემოციურად უცნობი, გაუცნობიერებელი იყო, გახდა ემოციურად ნაცნობი, მიიღო ახალი შინაარსობრივი რაობა, ჩვენზე იმოქმედა და გამოიწვია შესატყვისი მდგომარეობა. ალბათ ასე შეიმეცნება და განიცდება „ბნელსა შინა მთიები ვითარცა აღმოწდის და ცისკარი აღიღის და მისსა შემდგომად აღმოვალნ დიდი იგი მფლობელი დღისად“ (ძეგლები 1964: 125).

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ მიხედვით, ზაბილონი გადაწყვეტს, დაუტეოს სოფელი ესე, კურთხევასაც აიღებს პატრიარქისგან, განეშორება მეუღლეს, მკერდზე მიიკრავს მხოლოდშობილ ასულს და ეტყვის: „ესერა დაგიტევებ შენ ობლად ჩემგან და მიგუთუალავ შენ ღმერთსა ცათასა, მამასა ყოველთა მზრდელსა და უფალსა... ნუ გეშინინ... ხოლო შენ მაგდანელისა მარიამის შური აღიღე სიყვარულისათვს ქრისტესისა“ (ძეგლები 1964: 110). მაგრამ მაგდალელი ნახსენებია ე.წ. „დეკალოგშიც“. ათი სიტყვის მეცხრე მუხლში ვკითხულობთ: „ჰრქუა მარიამ მაგდალელსა იესუ: წარვედ, დედაკაცო და ახარე ძმათა ჩემთა“ (იქვე: 117). მარიამ მაგდალელი ითვლება წმიდა ნინოს პირველსახედ და, ამდენად, ოხზულების სახისმეტყველებითი სისტემისათვის საინტერესოა, დაიძებნოს პარალელები, მინიშნებულიქნეს საერთო მათი ღვაწლისა და სულიერი ცხოვრებისა.

დიდებული, წმიდა მოციქულთასწორი, მენელსაცხებლე დედა მარიამ მაგდალელი წარმოშობით ქალაქ მაგდალოდან იყო, რომელიც გალილეაში, პალესტინის მხარეში, გენესარეთის ტბის ან, უფრო სწორად, გალილეის ზღვისპირა ქალაქებს – კაპერნაუმსა და ტიბერიადას შორის მდებარეობდა (მაგდალელი 1990: 21-31). როგორც ცნობილია, გალილეიდან იყვნენ ქრისტეს მოციქულები, იუდა ისკარიოტელის გარდა. თავდაპირველად ქრისტეს ყველა მიმდევარს გალილეველს უწოდებდნენ. გალილეა ქრისტიანული სარწმუნოების აკვნად ითვლებოდა.

გალილეველები იყვნენ მგზნებარენი, გულშემატკივარნი, მადლიერნი, პატიოსანნი, მამაცნი, რელიგიის ბავშვური აღტაცებით შემთვისებელნი, უყვარდათ მოძღვრების მოსმენა ღმერთსა და სარწმუნოებაზე. იყვნენ შრომისმოყვარენი, გულდააპოეტურნი... და მარიამ მაგდალელიც, განსაკუთრებული ქრისტეს მიერ, თითქოს ყველა ამ თვისებით იყო შემკული.

წმინდა ნინოც ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა ღვთის სიყვარულითა და თავდადებით. მისი მგზნებარება და სიმამაცე ყველასთვის თვალშისაცემი იყო. სომეხი ნიაფორი მიმართავს: „შვილო ჩემო, ვხედავ ძალსა შენსა, ვითარცა ძალსა ძუძა ლომისასა, რომელი იზახებნ ყოველსა ზედა ოთხფერხსა, გინა ვითარცა ორბი დედალი, რომელ აღვიდის სიმაღლესა ჰაერისასა“ (ძეგლები 1964: 111). წმიდა ნინოს განსაკუთრებულად უყვარ-

და თურმე მოძღვრების მოსმენა ღმერთსა და სარწმუნოებაზე. თავად იგონებდა: „მე ვმსახურებდი ნიაფორსა... და ვკითხევდი ვნებათა მათ ქრისტესთა და ყოვლადვე ჯუარ–ცუმასა, დაფლვასა და აღდგომასა და აღდგომის ძალსა... ესრეთ ყოველსავე მიწყებით ვჰქითხევდი, რათამცა ვცან“ (იქვე: 110–111).

მარიამ მაგდალელის ცხოვრების პირველი ნახევარი უცნობია. სახარება გადმოგვცემს, რომ მარიამში შვიდი ეშმაკი, ლეგენი, ბატონობდა. მიზეზი ამ უბედურებისა გაურკვეველია. მარიამის ეშმაკეულობით შეპყრობას თვლიდნენ არა ცოდვების გამო, არამედ უშუალოდ დვთისაგან დაშვებულს იმისათვის, რომ განცხადებულიყო დიდება უფლისა. როცა მონაფეებმა იესოს ჰკითხეს დაბადებიდანვე ბრმის შესახებ: „რაბი, ვინ სცოდა, ამან, ანუ მშობელთა ამისთა, რამეთუ ბრმა იშუა. ჰრქუა მათ იესუ: არცა ამან სცოდა, არცა მშობელთა ამისთა, არამედ რათა გამოცხადნეს საქმე ღმრთისა მაგას ზედა“ (ინ. 9, 2–3).

წმიდა ნინოს მამა, ზაბილონი, თავის ასულს მოუწოდებს: მარიამ მაგდალელის „შური აღიღე“ ქრისტეს სიყვარულისთვისო, იმ მარიამისა, რომელიც მტკიცე, თავდადებული და ჭეშმარიტი სიყვარულისთვის დაჯილდოებულ იქნა უფლისგან – მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვარი თავის მოციქულებზე ადრე მას გამოეცხადა.

ქრისტეს ტანჯვა–წამების მძიმე დღეებში, რომლის შესახებაც წმიდა ნინო „მიწყებით ჰკითხევდა“ სომეხ ნიაფორს, მარიამ მაგდალელი არნახულ გმირობას იჩენს და მაშინ, როცა მოციქულნი, მიუხედავად თავდადებული პირობისა, უფალთან ერთად მომკვდარიყვნენ, კრთებიან სიკვდილით შიშითა და ტოვებენ მაცხოვარს – გარბიან, მარიამ მაგდალელი სიყვარულის ყოვლისშემძლე ძალით ამარცხებს შიშს და ბოლომდე ერთგული რჩება თავისი სიტყვისა – მაცხოვართან იყოს თვით ყველაზე მძიმე წუთებში: „იყუნეს მუნ დედანიცა მრავალნი, რომელნი შორით ხედვიდეს, რომელნი შეუდგეს იესოს გალილეით და მსახურებდეს მას, რომელთა თანა იყო მარიამ მაგდალელი“ (მ. 27, 55–56). მას არც სიკვდილის შემდეგ მიუტოვებია იესო. ერთი წუთით არ მოშორებია იოსებ არიმათიელსა და ნიკოდიმოსს, როცა იესო ჯვრიდან გარდამოხსნეს. ესწრებოდა უფლის დაკრძალვას და მაშინაც კი, როცა მოახლოებული

დღიდი პასექის პატივსაცემად მაცხოვრის დაკრძალული სხეული დატოვა... სიყვარულმა სურვილი აღუძრა, უკანასკნელად ეცა პატივი იუდეველებისაგან დამცირებული ქრისტესათვის... და აი, ყიდულობს ნელსაცხებელს, რომ დაკრძალულ ქრისტეს სხეულს სცხოს და ამით, ებრაელთა ჩვეულების მიხედვით, თაყვანი და პატივი მიაგოს მას. ამიტომ მარიამ მაგდალელს მენელსაცხებლე უწოდეს. მის სხენებას ეკლესია ორჯერ აღასრულებს: აღდგომის მესამე კვირას, მენელსაცხებლე დედათა შორის, და 22 ივლისს (ძვ. სტილით).

მარიამ მაგდალელი თვით უფლისგან გაგზავნილი ქრისტეს აღდგომის პირველი მაცნე, პირველი მახარობელია. სწორედ ამიტომ, ეკლესია მას მოციქულთა სწორად აღიარებს. იგი ღირსი ხდება, ყველა მოციქულსა და მოწაფეზე ადრე, პირველმა იხილოს მკაფიოებით აღმდგარი მაცხოვარი. უფლის უშუალო დავალებით, მარიამ მაგდალელი ქრისტეს აღდგომის მქადაგებელ-მახარებელი ხდება მოციქულთათვის. მოციქულებმა ქრისტეს აღდგომა უქადაგეს მთელ მსოფლიოს, მარიამმა კი თვით მოციქულებს უქადაგა იგი. ამიტომ ის მოციქულთა მოციქულია. ეკლესის მამები ამაში ღვთიური განჭვრეტის უდიდეს სიბრძნესა და საიდუმლოს ხედავენ. „ქალმა, – გვასწავლის წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი, – მიიღო პირველი სიცრუე გველის პირიდან და მანვე მკაფიოებით აღმდგარი უფლის ბაგეთაგან პირველმა მოისმინა სასიხარულო ჭეშმარიტება, რათა იმ ხელს, რომელმაც სასიკვდილო სასმელი განაზავა, სასიცოცხლო ფიალა მიეწოდებინა“ (მაგდალელი 1990: 29).

მკაფიოებით აღმდგარი, სიკვდილის დამთრგუნველი და ძლევამოსილი ქრისტეს მიერ ნაკურთხი მარიამ მაგდალელი უსიტყვოდაც ქრისტეს აღდგომის ჭეშმარიტ მოწმეს წარმოადგენს. „ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!“ – საზეიმოდ გაისმის მთელ მსოფლიოში წმიდა მარიამ მაგდალელის მიერ პირველად წარმოოთქმული და შემდეგ მის მიერვე ქვეყნად გახმაურებული ეს სიტყვები. წმიდა მოციქულთა სწორმა და მენელსაცხებლე დედამ თავგანწირული ერთგულებით შეასრულა პირველი და მთავარი მცნება ახლისა აღთქმისა: შეიყვარა უფალი მთელი გულით, სულითა და გონებით.

აღბათ ამიტომ სთხოვდა წმიდა ნინოს ზაბილონი „მარიამ მაგ-

დალელისა შური აღიღე ქრისტეს სიყვარულისთვის“ ე.ი. მარიამ მაგდალელის საღვთო ბაძვის სურვილით აღიძარი, ღირსეული მიმბაძველი გახდი (შდრ. საეკლესიო ლიტერატურა 2005: 1109). მარიამ მაგდალელი დაუსახა მამამ თავის ასულს ცხოვრების მაგალითად, იდეალად... მარიამის ხატება უნდა ყოფილიყო თანამდევი წმიდა ნინოსთვის, მისი ცხოვრების პირველსახე, რადგან „და თუ შენ ეგრეთ გეშინოდეს მისგან (ქრისტე – სფ. მ.)... ეგრეთ მოგსცეს შენ ყოველი, რაცა სთხოვო მას, ოდესცა გთხდეს“. ამით დაასრულებს მამა ასულთან საუბარს, უკანასკნელად ეამბორება მას და წავა „წიაღ იორდანესა კაცთა მათ თანა ველურთა, რომელ რად ყოფად მისი იცის მისმან უფალმან იესუს“.

წმინდა ნინოს ცხოვრებაში მძლავრად იკვეთება წამყვანი მოტივი აღდგომის იდეისა. ყველაფერი ამას ეფუძნება. ბოლოს და ბოლოს, ცოდვით დაბნელებული ქვეყანა, კერპთაყვანისმცემლობის ცოდვაში დაცემული იძერია უნდა აღმდგარიყო. აღდგომა აქ სულიერ სიცოცხლეს გულისხმობს, ჭეშმარიტების შეცნობას, ახალი ცხოვრების დასაწყისს, ადამიანის ჩართვას უზენაესის მადლის ცხოველმყოფელ ნაკადში. გარდა ამისა, სვეტი-ცხოველი უკავშირდება საუფლო კვართს. ნიკოლოზ გულაბერიძის „საკითხავში“ შეტანილი „მოთხოვბად აბიათარ მღვდელისგან კუართისათვის საუფლოსა“ ვიგებთ, რომ ელიოზისა და ლონგინოზის მიერ ჩამოტანილი უფლის კვართი ელიოზის დამ, სიდონიამ, გულში ჩაიკრა და მიიცვალა. იგი კვართით დაუმარხავთ, თუმცა „ადგილი იგი არავინ ჰსცნა მიერ უამითგან, ვიდრე დღესამომდე, სადა მდებარე არს წმინდა იგი კუართი“, მაგრამ ადგილს მიგვანიშნებს ნათლის სვეტი, რომელიც „სამარადი-სოდ ბრწყინვალედ ზედა ენთებოდის“ (გულაბერიძე 1882: 78). ე.ი. ეს ნათლის სვეტი დაეყრდნო უფლის კვართს და „უფლის კვართზე ნათლის სვეტის გააზრება სვეტიცხოველს უფლის აღდგომის იდეას სძენს... შიდა ეკლესია უფლის კვართის საფლავზეა. კვართის დაფლვის ადგილი მაცხოვრის საფლავს გულისხმობს... ეს ეკლესია სვეტიცხოველს აღდგომის იდეას სძენს“ (სირაძე 1992: 114-118).

„მოქცევად ქართლისაას“ ავტორი შენიშნავს: „მოვიდა ნეტარი ესე დედაკაცი და არწმუნა ყოველთა... აღდგომად“. წმიდა ნინო კი იგონებს: სომებს ნიაფორს „ვჰკითხევდი ვნებათა მათ ქრისტ-

ესთა... ალდგომასა და ალდგომის ძალსა“ (ძეგლები 1964: 110) (ხაზი ჩვენია – სფ. მ.). თავისი ბიძის, იერუსალიმის პატრიარქ-ისაგან დალოცვილი მოდის წმიდა მოციქულთა სწორი იბერიაში. იობენალ პატრიარქი კი ასე შეავედრებს შემოქმედს სოფლისას: „უფალო, ღმერთო ჩემო, ღმერთო საუკუნეთაო, ხელთა შენთა შევედრებ ობოლსა ამას შვილსა დისა ჩემისა და წარვავლინებ ქა-დაგებად შენის ღმრთებისა, რათა ახაროს ალდგომა შენი“ (იქვე: 114). წმიდა ნინო – ალდგომის მახარებელი ცოდვით დაბნელებულ იბერიაში – ასეთი კურთხევით მოემართება იგი ლვოს მშობლის წილხვედრ ქვეყანაში. ქრისტეს ალდგომის ხარების შესახებ ე.წ. ქართული „დეკალოგის“ IX მუხლიც საგანგებოდ მიანიშნებს: „ჰრეუ მარიამ მაგდანელსა იესუ: წარვედ, დედაკაცო და ახარე ძმათა ჩემთა“. რა უნდა ეხარებინა მარიამს მოციქულთათვის? – რა თქმა უნდა, ალდგომა ქრისტესი!

ასე ერთიანდება ალდგომის იდეით „წმიდა ნინოს ცხოვრება“ და „ცხოვრება მარიამ მაგდალელისა“. ალდგომის იდეა ამ-თლიანებს ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთ პირველ ძეგლსა და წმიდა ნინოს ლვანლიც აქეთკენ მოემართება, ამითვე ეხმიანება იგი, უპირველესად, თავის პირველსახეს – წმიდა მარიამ მაგდალელს.

ქრისტეს გამოცხადებითა და ალდგომის ბედნიერებით შეპყრობილი მარიამ მაგდალელის ქადაგებით მთავრდება მისი მოლვანეობის აღნერა ახალ აღთქმაში. დანარჩენს ვიგებთ გადმოცემებით. ურიგო არ იქნება, თუ მისი მოციქულებრივი მისიის შესახებაც შევნიშნავთ, რადგან წმიდა ნინოს პირველსახეს იგი ამ მხრივაც წარმოადგენს.

მარიამ მაგდალელი აქტიურ მონაწილეობას იღებდა იერუსა-ლიმში ქრისტანული სარწმუნოების გავრცელების საქმეში. იტალიასაც ესტუმრა თურმე, მონახა შესაძლებლობა, რათა წარმდგარიყო იტალიის იმპერატორის, ტიბერიუს I-ის, ნინაშე. აღმოსავლეთში გავრცელებული ჩვეულების თანახმად, მისთვის წითლად შელებილი კვერცხი მიურთმევია და უთქვამს: ქრისტე ალდგა!

მარიამ მაგდალელი უხსნიდა, მხურვალე ქადაგებით აცნობდა მას ქრისტეს ცხოვრებისა და ჯვარცმის შესახებ, იერუსა-ლიმის სინედროინის გაბატონებული წევრების ულმობლობაზე, იუდეველების რომაელი მმართველის პონტორელ პილატეს სულ-

მოკლეობასა და უპრინციპობაზე. როცა შეიტყო ყოველივე ეს, აღმშვიდობდა ტიბერიუს | და სასამართლოს წარუდგინა პონტოელ პილატე, რომელსაც ხელისუფლების გამგებლობა ჩამოართვეს და გაგზავნეს ქალაქ ვიენაში, სადაც, სასონარკვეთილებაში ჩავარდნილმა, თავი მოიკლა.

მაშინდელი დროის ქრისტიანებმა როცა გაიგეს, თუ რა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მარიამ მაგდალელმა ტიბერიუს I-ზე წითლად შეღებილი კვერცხის ბოძებითა და სიტყვებით „ქრისტე აღდგა“, თვითონაც დაიწყეს მიბაძვა ქრისტეს აღდგომის მოსაგონებლად.

მარიამ მაგდალელი დიდი ხანი ქადაგებდა იტალიასა და რომში. მისი ღვაწლი მოციქულთა ღვაწლის თანაბარია. ეს ღვაწლი მისი გმირობა იყო!

წმიდა ნინო – ქრისტეს აღდგომის ქადაგად მოვლენილი ქვეყანასა უცხოსა და ნათესავთა უცხოთა, ტყვე და ტყვეთა მხსნელი, უცხო და აქა შობილი, შემცვლელი ყოვლისა წესისა ამის ქვეყნისად, „ნეტარი ესე დედაკაცი, მოციქული და მახარებელი ძისა ღმრთისაც... პირველ ვითარცა ტყუე, ვითარცა უცხო, ვითარცა მწირი, ვითარცა შეუწევნელი, ვითარცა უსმი და უტყვე ქადაგ ძლიერ და მეცნიერ დაფარულთა“ (ძეგლები 1964: 158), ათასგვარ გაჭირვებაგამოვლილი (ვნახე ჭირნი დიდი გზათა მათგან და შიში მქეცთაგან), რიფსიმესა და გაიანეს მარტვილობით შეძრნუნებული, „ეკალთა შინა ვარდისათა“ შთენილი, ერთი შეხედვით, უმწეო დედაკაცი, სინანულითა და უძლურებით მოლადადე: „უფალო, უფალო, რად დამიტეობ მე შორის ასპიტთა და იქედნეთა“ (იქვე: 115), იმთავითვე გასაოცარი გმირობის მაგალითია. მან ყველაფერს სძლია, გაიმარჯვა ხილულ თუ უხილავ მტერთა წინაღმდეგ ბრძოლაში, განანათლა ერი ქართველთა, არწმუნა დედოფალი, დაამხო სიბნელე, ქრისტეს ნათელს აზიარა ყოველი ქართველი, მისი მადლი გადასწვდა მეფესაც - შეძრა სული მირიანისა: „ამან წმიდამან აღანთო გულსა ჩემსა სანთელი ნათლისა და შუვა ღამეს ოდენ მეჩუენა მე მზეც ბრწყინვალც, ქრისტე ღმერთი ჩუენი, რომლისა ნათელი მისი არა მოაკლდეს უკუნისამდე და მექმნა ჩუენ მოძლუარ... და მომცა ჩუენ შჯული ახალი ცხორებისა და სიხარულისა“ (ძეგლები 1964: 158).

წმიდა ნინო, მარიამ მაგდალელის მსგავსად, საქმით მიმს-

გავსებულია მოციქულთა, როგორც წმინდანის კონდაკში ვკითხულობთ: „მოციქულ ქრისტესაგან გამორჩეული, ქადაგი სიტყვისა ღმრთისა განსწავლული მახარებელი ცხოვრების, წინამძღვარი ქართველთა ერისა გზათა სიმართლისათა, დედისა ღვთისა საკუთარი მოწაფე“ (ჟამნი 1899: 343).

წმიდა მარიამ მაგდალელს კი ასე მიმართავს მართლმადიდებელი ეკლესია: „ქრისტესა, ჩვენთათვის ქალწულისაგან შობილსა, შეუდეგ, სანატრელო მარიამ მაგდალინელო, რომლისა სჯული და მცნებანი დაიმარჩნე. ამისთვისაც წადიერად გაქებთ და გიგალობთ“ (ჟამნი 1899: 489).

წმიდა ნინოს დაკავშირება წმიდა მარიამ მაგდალელთან ფილოლოგიური ასპექტით – ფაქტობრივი ასახვაა მსოფლიო ეკლესიის ისტორიაში ქალ განმანათლებელთა მოციქულებრივი მისიისა;

კოსმიური ასპექტით – მათი კავშირი წარმოადგენს გზას სოფლის აღდგინებისას. არც ისაა შემთხვევითი, რომ აღდგომის იდეა ამთლიანებს მათს ცხოვრებას;

ანგელოგიური ასპექტით – მათი ერთმანეთთან დაკავშირება მოასწავებს სატანის ძლევას. წმიდა ნინომ წარმართობა დაამხო იბერიაში, სძლია სატანას;

ზნეობრივი ასპექტით – ესაა სულის გზა ქრისტესაკენ, გზა სრულყოფილებისაკენ;

ასკეტური ასპექტით – მათი დაკავშირება საკუთარი ცხოვრების უარყოფის სახეა;

მისტიკური ასპექტით – ეს არის სიყვარულის დიდი საიდუმლო;

სიმბოლურად – წმიდა ნინოსა და წმიდა მარიამ მაგდალელის დაკავშირება ერთმანეთთან სახეა სოფლის ცხოვრებისა, რომელიც ქრისტეს მიერ აღსრულდა.

ასე ეხმიანება წმიდა ნინოს ცხოვრება წმიდა მარიამ მაგდალელის ღვანლს, ასე უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს სულიერი ცხოვრებით, რომელიც მარადისობაში შესაცნობია, მომავლიდან წარსულისაკენ მიმართული მზერით შესამეცნებელი. ამქვეყნიურ ყოფაში კი ჩვენ მხოლოდ მის დაფიქსირებას შევეცადეთ!

თავი II

იაკობ ხუცესის „მოღაუზანის წამება“

„ნმიდა შუშანიკის წამება“ ძველი ქართული ენის საოცარ ცხოველმყოფელობას აჩვენებს დღესაც, ჩვიდმეტი საუკუნის შემდეგ, ეს იმას ნიშნავს, რომ ქართულ მხატვრულ აზროვნებას, პოეტურ სულს, რომელიც შთაგონებული იყო ევანგელიური მოძღვრებით, ყოველ დროში ახალი აზმყო აქვს, მისი ენერგია გამომსახველობითი საშუალებების უკიდეგანო სივრცეს ქმნის.

ტექსტის პირველივე სიტყვებია: „და ან დამტკიცებულად გითხრა“ (ძეგლები 1964: 11). რა დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს ამ კონტექსტში „და“ ნაწილაკს, რა ფუნქცია შეიძლება ეკისრებოდეს მას? – თხზულების ამნაირი დასაწყისი ეჭვს ბადებს, რომ იგი გაგრძელებას წარმოადგენს ჩვენამდე მოუღწეველი ნაწარმოებისას (ლოლაშვილი 1987: 90). როგორც სპეციალისტები შენიშნავენ, ძველი და ახალი აღთქმის წიგნთა თარგმანებში „და“-თი დაწყებული ფრაზა უამრავია და ეს ითვლება ბერძნული ენის ზეგავლენად. ასეა ბერძნულის გარკვეულ სტილში, რომელიც გვხვდება ბიბლიის წიგნებში. თვით ბერძნულში კი ეპრაულის ზეგავლენადა მიჩნეული. „და“ ქართულში ეპრაულის (WAW სეგმენტი) ბერძნულით გაშუალებულ კალკად ითვლება (სარჯველაძე 1984: 166-170) ეს „და“ ნაწილაკი, ზემომოყვანილ ფრაზაში, ამბის თხრობის უშუალობასაც უწყობს ხელს, რაღაც პარიერს ხსნის, თითქოსდა დიალოგური განწყობის ტონუსის მიმცემია, ავტორის სულიერი შემართების მაჩვენებელიც. „და“ ნაწილაკის ხმარება გამოყენება საგალობლებსა და „ვეფხისტყაოსანში“. გ. იმედაშვილის დაკვირვებით „და“ ნაწილაკი „რიტმული გამომსახველობის აქტიური კომპონენტია, თუმცა აზრობრივად და ფორმალურად არ მონაწილეობს ტექსტის შედგენილობაში. ის გავლენას ახდენს ფრაზის რიტმულ დინებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ვერსიფიკაციულ სქემაში (გულისხმობს პიმნოგრაფიასა და „ვეფხისტყაოსანს“ – სფ.მ.) არ შედის“ (იმე-

დაშვილი 1965: 43-44). „და კავშირის ორმაგი ფუნქციის შესახებ იხ. (ენუქაშვილი 1961: 0128 და ყაუხჩიშვილი 1926: 21).

„და ან დამტკიცებულად გითხრა“ ... ეს ფრაზა თავისი სპეციფიკური ფორმით ერთბაშად იქრება მკითხველის ცნობიერებაში, თანაც, გასათვალისწინებელია ისიც, რომ თხზულების პირველივე წინადადება იწყება ამგვარად. ეს ნიშნავს, რომ მკითხველი იმთავითვე შედის მწერლის შემოქმედებითს სამყაროში, მის ენერგეტიკულ ველში. ამით მძაფრდება თხზულების დინამიკურობა, ამ პროცესში იბადება სიახლე, რომელსაც მოულოდნელობა ახასიათებს. „რაკი სიტყვა არსებობს, ადამიანი იძულებულია, გაუწიოს ანგარიში მის თავისებურებას, ენობრივ სტრუქტურას და მის გარკვეულ კანონზომიერებას“ (კიკნაძე 1957: 32).

„გითხრა თქუენ ალსასრული წმიდისა და სანატრელისა შესანიკისი“. თხზულების პირველივე წინადადება გვამცნობს, რომ შუშანიკი არის „წმიდა“ და „სანატრელი“. მას შემდეგ, როცა დაფუძნდა ქრისტიანული ეკლესია, და ეს მოხდა ქრისტეს აღდგომიდან ორმოცდამეტე დღეს, სულიწმიდის გარდამოსვლისას, ეკლესიამ ბევრი წმინდანი შეიძინა. სულიერი ცხოვრების ეს მაღალი ხარისხი მოპოვებულ იქნა მარტვილობისა და ცხოვრების გზით. ორივე გზა ქრისტეშია და მასთან მიდის. წმინდანია ის, ვინც მორჩილებით აღასრულებს ქრისტეს მცნებებსა და შეგონებებს, ვინც სათხო-ეყოფა ნათელს სოფლისას, დაუტევებს „დედასა და მამასა თვისას, აღილებს ჯვარს და შეუდგება“ მას, რომელიც თავისი კეთილი საქმით, ცხოვრებით, შრომითა და ღვანლით ასულიერებს, ღვთაებრივ ნაპერწკალს შეიტანს ცოდვით დამძიმებულ წუთისოფელში. წმინდანობა ეს არის განსაკუთრებული ღვანლის, რწმენისთვის ყველაფრის გაღებისა და შენირვის დიდი მადლის შედეგი. წმინდანობა არის მორჩილების, მოთმინების, სასოების, რწმენისა და სიყვარულის ზეობა ადამიანში. წმინდანი განსულიერებული ხორცია, „ხელთუქმნელი ტაძარია და მასში უხილავად მყოფობს ღმერთი“ (რაფაელი 1997: 29). ეკლესიაც გამორჩეული, განსაკუთრებული ღვანლის გამო მოახდენს კანონიზაციას. ასეთ შემთხვევაში უცდომელია გადაწყვეტილება ეკლესის წმიდა სინოდისა, აქ ერთდება ხმა ღვთისა და ხმა ერისა (შდრ. ვაჩნაძე 1998: 56-73).

რატომ არის შუშანიკი „წმიდა“? – იმიტომ, რომ რწმენისთვის წამებულია, ტანჯული, გვემული, შეურაცხყოფილი და პატივიყრილი კაცთაგან, თუმცა ნეტარი, ღირსებით შემკული ღვთისაგან, სძალი უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი. წმ. დედოფლის ტროპარშიც ასე ვკითხულობთ (ეკლესია მის სესნებას აღასრულებს 10 სექტემბერს ა. სტილით): „წამებისა გვირგვინითა შეიმკვე მეუღლისა შენისაგან, დედოფლალო წმიდაო შუშანიკ, და წარმავალისა დედოფლობისა წილ მოიგე სუფევაზ წარუვალი და ან კადნიერად მდგომარე ხან წინაშე სძისა შენისა, უკვდავისა ქრისტესა. მეოხე-გვეყავ მაქებელთა შენთა, სანატ-რელო“ (უამნი 1899: 523).

შუშანიკი სანატრელი – ასე მოიხსენიება იგი თხზულების დასაწყისში და ამ სიტყვითვე ამთავრებს ეკლესია ტროპარს, რომელიც წმიდა მოწამეს ეძღვნება. შუშანიკი ნეტარი, შუშანიკი სანატრელი დედოფლალი, მარტვილი, ტარიგი ქრისტისი, სძალი და მხევალი ქრისტისი, წმიდა შუშანიკი და შუშანიკი სამგზის სანატრელი... ასეა წარმოდგენილი იაკობ ხუცესის მიერ მეუღლე ქვემო ქართლის პიტიახშის ვარსკენისა. ამ სიტყვებით იხსენიებს ავტორი ქრისტესთვის წამებულ დედოფლალს, რომელთაგან ყველაზე ხშირია „წმიდა“ – ორმოცდაათზე მეტი შემთხვევა. სულხან-საბას მიხედვით, „წმიდა მოასწავებს დიდებულ იყავ, ქებულ იყავ, ამაღლებულ იყავ“ (ორბელიანი 1993: 382).

ნეტარია ის, ვინც ჭეშმარიტებას ფლობს. ასეთი კი, ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, არის ბრძენი – ე.ი. იყო ბრძენი ნიშნავს, იყო ნეტარი. სიბრძნე ისაა, რაც სულს წონასწორობას უნარჩუნებს, მაგრამ ყველას არ შეუძლია ამ განძის მოპოვება, რადგან იგი სულიერი საუნჯეა, ამაღლებულია და შორსაა მიწიერი, ამა სოფლის ტრფიალისაგან (ბიჩუოვი 1984: 157).

ნეტარება აბსოლუტური სულიერობაა, არაფრით შემოსაზღვრული სიამოვნება, რომელიც თავის თავში აერთიანებს უმაღლეს ჭეშმარიტებას, უმაღლეს სიკეთესა და უმაღლეს სილამაზეს, როგორც რაღაც ერთიანსა და განუყოფელს.

თხზულებაში ცხრაჯერ იხსნიება შუშანიკი „ნეტარად“, სამჯერ – „სანატრელად“, ერთხელ – „ტარიგად“ და ერთ შემთხვევაშიც – „სამგზის სანატრელად“: „და ვითარცა მეშვიდე წელი დადგებოდა, მოინია წმიდისა და სამგზის სანატრელისა შუშან-

იკის ზედა წყლულებიცა“ . ასეთ ფონზე კი ვარსქენ პიტიახში – საწყალობელი, მტერი ღვთისა, ულმრთო და ყოვლად განწირული, უბადოო და უგულისხმოო, უბადრუკი და სამგზის საწყალობელი (ძეგლები 1964: 25).

სიტყვადქმნადობის ეს ნიმუშები დაბეჯითებით ითხოვენ მკვლევარისაგან ყურადღებას, ფიქრს გვაწყებინებენ და, ვაჟა-ფშაველასი არ იყოს: „უკეთუ ადამიანი მიჰყეა ფიქრს, ვინ იცის, სადამდე მიიყანს. შეიძლება, კლდეზე გადაჩეხოს, ხოლო ისიც შეიძლება, სამოთხეში ამოაყოფინოს თავი“ (ვაჟა-ფშაველა 1956: 247). გარდა ამისა, „მკვლევარისა და მკითხველისათვის ერთნაირად მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება ღრმად ჩასწერდეს ნაწარმოებს, ეს კი დამოკიდებულია მათს ცოდნასა და უნარზე, ინფორმაციის მაქსიმუმი აღიქვან ტექსტში. მკვლევარს დამატებით იმის ცოდნაც მართებს, თუ რა ხერხებითა და საშუალებებითაა კოდირებული ინფორმაცია მხატვრულ ნაწარმოებში“ (კვარაცხელია 1995: 75).

თითოეული სიტყვაა გიოგრაფიული ძეგლისა დატვირთულია ლრმა რელიგიური აზრით. ჩვენში იქრება ევანგელიური ხედვა, რადგან ასეთია იმ ეპოქის აზროვნების წესი: ყველაფერი რწმენასთან კავშირშია, ყოველი დეტალიც კი გააზრებულია და გადის თეოლოგიურ არხში. სიტყვაში განთვენილია ეპოქის საღვთისმეტყველო სიბრძნე და დღეს, როცა თხზულებას დროც გვაშორებს (თექვსმეტი საუკუნე) და ჩვენი დონეც სულიერობისა, გვიჭირს გავშიფროთ ყოველი ენიგმა, გვიძნელდება გავარკვიოთ, რა არის ჩასაიდუმლოებული „წმიდა შუშანიკის წამების“ სიტყვაში. გასაათვალისწინებელია ისიც, რომ „სამგზის სანატრელი“ იმიტომაა შუშანიკი, „რადგან მამის, ძისა და სული წმიდის სთვისაა სათხო“ და ვარსქენი იმიტომ არის „სამგზის საწყალობელი“, რომ „სამების სამივე ჰიპოსტასისაგანაა უარყოფილი“ (დათაშვილი 1996: 12-13), თუმცა „სამგზის სანატრელი“ წმიდა შუშანიკის მიერ სამჯერ გადატანილ წამებასაც უკავშირდება მით უფრო, რომ ეს სიტყვები თხზულების დასასრულსაა ნათქვამი, მაშინ, როდესაც დედოფალი საკმაოდ დაუძლეურდა: „დაუსივდეს ფერხნი მისნი და თხრმალი აღმოსდიოდა ადგილ–ადგილ“ (ძეგლები 1964: 25) და ვარსქენიც იმ სისასტიკის გამოა „სამგზის საწყალობელი“, შუშანიკს რომ მიაყენა.

სხვა აგიოგრაფიული ნაწარმოებისაგან განსხვავებით, „წმიდა შუშანიკის წამება“ ისეთი ქმნილებაა, რომ არ ხერხდება მხოლოდ შუშანიკზე ფიქრი... იქვე შემოიჭრება ვარსექენიც. და-პირისპირების მუხტი იმნაირადაა ჩასმული თხზულებაში, რომ, სადაც იწყებ ფიქრს შუშანიკზე, თავს ვერ აღწევ ვარსექენს და პირიქით. წმიდა შუშანიკის მაღალი სულიერობის ფონზე აშკარა-ვდება სიმდაბლე და დაცემულობა ქვემო ქართლის პიტიახშისა. ბრნყინვალე ნათელი დედოფლისა მწვავედ წარმოაჩენს ვარსექ-ნის სიბძნელეს.... მაგრამ არსად ჩანს სიძულვილი (!) დაცულია ქრისტეს შეგონება: „გიყვარდეს მტერნი თქუენი და აკურთხ-ევდით მანყევართა თქუენთა და ულოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობდნენ თქვენ და გდევნიდენ თქუენ“ (მ. 5, 44).

თხზულებაში სიძულვილი არის არა ვარსექენის, როგორც ცოდვილის, გზასაცდენილი, საწყალობელი კაცის, არამედ ცოდვის მიმართ. აქ ეპრძვიან ვარსექენში ჩაბუდებულ ბოროტე-ბას. შემთხვევით ხომ არ ამბობს იაკობ ხუცესი: „ხოლო ამის უბადრუკისა და სამგზის საწყალობელისა ვარსექენისი, ვითარმე ვინ თქუას ყოვლად განწირულისა.... ანუ ვინ არა სტიროდის მას“ (ძეგლები 1964: 21). აქაც ჩანს პრინციპი: იყო დაუნდობელი ცოდვისადმი და შემწყნარებელი ცოდვილისა, **გძულდეს ცოდვა და გეპრალებოდეს ცოდვილი!**

ასეა გაჯერებული მთელი ნაწარმოები სახარებისეული იდეალებით და აშკარად ჩანს ისიც, რომ ქრისტიანობა არ არის მხოლოდ მოძღვრება. იგი, უპირველესად, ცხოვრებაა. რწმენა ქრისტესი კი სასოება, იმედი და ნუგეშია მართლმორწმუნი-სათვის. წმიდა შუშანიკის მარტვილობის აღწერით აშკარად იკვეთება ის აზრი, რომ ჭეშმარიტად ღირს რწმენას შეწირული ცხოვრება!

საკუთარ თავთან დარჩენილი წმ. შუშანიკი ღმერთთან რჩება. მარტოობა საშუალებაა ფიქრისა. ფიქრის სიყვარული კი ღმერ-თია. მარტოობა არსებობს მაშინ, როცა მეორე არ არის. მარ-ტოობა ერთადერთია. ერთადერთობა და მარტოობა ყოველთვის ერთს უდრის, თუ მეორე მიემატა, მეორე გაჩნდა, მარტოობა ქრება, აღარ იქნება და რადგან მარტოობა ერთია და ერთი და ერთი... სულ ერთები, რომელთა შეკრება არ შეიძლება (კვესე-ლავა 1961: 74), მაშინ გამოდის, რომ წმიდა შუშანიკი მარტო

არასოდეს რჩება, რადგან მასთან არის ღმერთი, ან უკეთ, იგია ღმერთთან ფიქრით, სიტყვით, საქმით... ამდენად, მარტოობის უნივერსალური კანონი ღმერთთან დარჩენილი ადამიანისათვის არ არსებობს.

მონოლოგი თუ საკუთარ თავთან საუბარს გულისხმობს, მაშინ ეს „საუბარი“ მხოლოდ ერთი არ არის. რადგან მონოლოგი, მაღალ რანგში აყვანილი, იგივე დიალოგია, მასში დიალოგური სული და მუხტია ჩადგმული. მონოლოგი დიალოგია, როცა შენც არსებობ და კიდევ ის, ვისთანაც საუბრობ შენი ფიქრისა და გრძნობის შესახებ. წმიდა შუშანიკი მონოლოგის საშუალებით დიალოგში შედის ღმერთთან. მისი მონოლოგი ღვთისკენაა მიმართული, ამიტომაცაა იგი დიალოგიზებული მონოლოგი (როგორც შენიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში (სირაძე 1987: 28). წამებული დედოფალი ღმერთთან საუბრობს, ამ საუბარს კი ლოცვა ჰქვია. საერთოდ, აგიოგრაფიაში და, კერძოდ კი, „წმიდა შუშანიკის წამებაში“ მონოლოგი გულისხმობს წმინდანის მიერ თქმულ ლოცვას. მისი საუბარი ღმერთთან არის თხოვნა, ვედრება, სასორებით ლოცვა. ჩვენ შევეცდებით, თვალი მივაცვნოთ წმიდა შუშანიკის წარმოთქმულ მონოლოგებს, – ღვთისადმი მიმართვა – ლოცვას, და გავარკვიოთ, რა ცხადდება მათში, რას ითხოვს და რაზე საუბრობს ღმერთთან მეუღლე ქვემო ქართლის პიტიახშისა.

პირველ ლოცვას წმიდა შუშანიკი მაშინ წარმოთქვამს, როცა სასახლეს დატოვებს, ეკლესიას მიაშურებს, შვილებს საკურთხევლის წინ წარადგენს, ილოცებს და იტყვის: „უფალო ღმერთო, შენი მოცემულნი არიან და შენ დაიცვენ ესენი, განათლებულნი წმიდისაგან ემბაზისა მადლითა სულისა წმიდისათა, ყოფად ერთ სამწყსო ერთისა მწყემსისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტისა“ (ძეგლები 1964: 13).

მოყვანილი ნაწყვეტი წმინდანის მიერ აღვლენილი ვედრებაა „ერთი მწყემსისადმი“. მართალია, ფორმით იგი მონოლოგია, მაგრამ მთქმელი დიალოგშია უზენაესთან. თუ მონოლოგს, ჩვენს შემთხვევაში ლოცვას, არ ახლავს მიმართება რაღაცისადმი, ის ძალას კარგავს, მადლი გზას ვერ პოულობს, საკუთარ თავს ვერ სცდება. შენმა თქმულმა უნდა მიაღწიოს იქ, სადაც „ყოველნი წმინდანი განისვენებენ“. როცა ესაუბრები, შესთხოვ შემო-

ქმედს ცათა და ქვეყნისას, ეს იმასაც გულისხმობს, რომ ხედავ მას. სულიერი ხედვისა და მიუაჩრდილებელი ნათლის ცხადყოფაა წმინდანის მიერ თქმული ლოცვა. ასეთ დროს ჩანს შინაგანი სწრაფვა, სურვილი საუბრისა და ამ თქმულის შესმენისა. ეს მდგომარეობა ასეა გამოხატული წმიდა მეფისა და წინასწარმეტყველის, დავითის, ფსალმუნში: „უფალო, ღალაზ-ვყავ შენდა-მი, ისმინე ჩემი, მოხედვენ ხმასა ლოცვისა ჩემისასა, ღალადებასა ჩემსა შენდამი. წარემართენ ლოცვად ჩემი, ვითარცა საკუმეველი შენ წინაშე“ (ფსალმ. 149, 1-2).

წმიდა მოწამე შუშანიკი, როცა შეიტყობს მეუღლის გამაზდეანებას, მიწაზე დავარდება და იტყვის: „საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსქენ“ (ძეგლები 1964: 12). ხოლო პირველი, რასაც განიზრახავს და აღასრულებს, ის არის, რომ შვილებს ჩასჭიდებს ხელს და „ღმერთის მოშიშებით“ დედა ეკლესიას მიაშურებს, წმიდა საკურთხევლის წინ წარადგენს მათ და იქ წარმოთქამს ზემოთ მოყვანილ ლოცვას, რომელშიც აშკარად ჩანს ფრთხილი და მზრუნველი დედა, რომელსაც „შვილებთან აკავშირებს ფაქიზი დედობრივი გრძნობა, რის გამოც ვერ იმ-ეტებს მათ იმ ხვედრისათვის, რაც მას ერგო წილად... შუშანიკი ამჟღავნებს, ერთი მხრივ, მაღალ პრინციპულობას და, მეორე მხრივ, ნაზ დედობრივ ბუნებას... ავტორი არ ღალატობს სინამდვილეს და დედა და მოწამე ერთ მთლიანობაშია წარმოდგენილი“ (ბარამიძე 1966: 15-16).

შუშანიკი ადრეც გრძნობდა ვარსქენში „უკეთურობას“ და ახლაც წინასწარ განჭვრეტს მოსალოდნელ საშიშროებას იმის გამო, რომ, ვაითუ იმძლავროს პიტიახშმა და რწმენა შეუცვალოს შვილებს. ამიტომ ქვემო ქართლის დედოფლის პირველი განზრახვითი ქმედება ამ ფაქტთანაა კავშირში. იგი ვალს იხდის ღვთი-სა და შვილების წინაშე: უზენაესს შეავედრებს, დაიცვას ისინი ბოროტებისაგან, სულინმიდის გმობის მიუტევებელი ცოდვისა-გან. წმიდა შუშანიკის ამ ქმედებას არა მხოლოდ მაღალი სარწმუნოებრივი დანიშნულება პექონდა, არამედ დიდი ზნეობრივი მაგალითიც უნდა გამხდარიყო შვილებისათვის, მაგრამ მერყევი და არამტკიცე აღმოჩნდა მათი ბუნება და... აქ უკვე ნათლად ჩანს პროცესი იმ დიდი ეროვნული უბედურების დასაწყისისა, რომელიც შემდეგში იოანე საბანისძემ განაცხადა: ქართველებმა

დავივიწყეთ მამულისა ჩვეულებისაებრ სლვა, აღვერიენით ერსა უცხოსა და რწმენის საფუძვლები ისე შესუსტდა, რომ მცირედ დარჩენილი ქრისტიანები „შიშითა განილევიან და ორყევიან, ვი-თარცა ლერნამნი ქართაგან ძლიერთა“ (ძეგლები 1964: 50).

მნიშვნელოვანია ის დეტალიც, რომ წმიდა შუშანიკი შვი-ლებს ეკლესიაში საკურთხევლის წინ წარადგენს. საკურთხევე-ლი ტაძრის უმთავრეს ნაწილად ითვლება, სადაც აღესრულება ერთ-ერთი უდიდეს საიდუმლოებათაგანი ახლისა აღთქმისა – წმიდა ზიარება და ამ მიზნისთვისაა მოწყობილი ტაძრის ეს ნაწილი (მჭედლიძე 1990: 17). „საკურთხეველი სახე არის სამო-თხისა მით, რამეთუ დაასხა სამოთხე ედემს აღმოსავლეთისასა ადგილსა მაღალსა და შუენიერსა... წმიდისა საკურთხეველისა-გან გამოვალს ჭეშმარიტი წყარო ცხოვრებისა“ (მღვდელმთა-ვართა..... 1992: 44). წმიდა შუშანიკი შვილებს შეახსენებს, რომ ისინი ქრისტეს სისხლისა და ხორცის ზიარნი არიან, რომ ამ ერთიანობის დანგრევის ნება არა აქვთ. „წმიდისაგან ემბაზისა განათლებული“ და ქრისტეს სისხლსა და ხორცს ზიარებულნი ბოლომდე ღირსებით უნდა ატარებდნენ ამ „სუბუქ ტვირთს“. საკურთხეველთან დგომა პიტიახშის შვილებს მოაგონებს წმი-და ზიარებას, ანუ ქრისტეს წინაშე პირისპირ დგომას, რადგან, როგორც ეკლესიის დიდი მამა, – იოანე ოქროპირი განმარტავს, ბარძიმის გამოპრძანებისას (წმიდა ზიარების საიდუმლოს აღ-სრულებისას მართალთა ლიტურგიაზე) მაზიარებლის წინაშე უხილავად დგას ქრისტე.

საკურთხევლის წინაშე დგომა პიტიახშის შვილებს შთაუნერ-გავს ადამიანის ღმერთთან ერთობისა და, ამის გამო, სულიერი ამაღლების ნეტარებას. რადგან ერთობით მიიღწევა და გამოიხ-ატება სიყვარული. ამიტომ ვარსექნის შთამომავალთ ამ ფაქტით დედა შეაგონებს, რომ ეკლესია არის ერთობა ღმერთთან და მოყვასთან. მთლიანობის დამრღვევი უღირსია სიყვარულისა. „ყოფად ერთ სამწყსო“ – ბრძანებს წმიდა მოწამე (ძეგლები 1964: 13) – რადგან ერთობის დამრღვევი სიყვარულს ანგრევს და ვინც სიყვარულს შლის, ის ღმერთს კარგავს, ღვთის დაკარგვით, მას-თან განშორებით კი – საკუთარ თავსაც. როცა წმიდა შუშანიკის შვილები რჯულს გამოიცვლიან, ვეღარ ბედავენ დედის ნახვას, რადგან სიყვარულისა და ერთობის უარისმყოფელი ამ პრინ-

ციპთა დამცველი დედის მოღალატენი გახდნენ: „ხოლო რაუამს მიაქცინეს და უვარყვეს ღმერთი, ვეღარა კადრეს ხილვად მისა“ ხოლო თვით დედოფალს მათი სახელიც კი „სძაგდა სმენად“ (ძეგლები 1964: 23) – დასძენს იაკობ ხუცესი.

სიძულვილს რა ხელი აქვს ქრისტეს გზაზე მდგომ მონამეს-თან, რა სიძულვილზეა აქ ლაპარაკი, მაშინ, როცა ქრისტეს უპ-ირველესი მცნებაა სიყვარული: „ამას გამცნებთ თქუენ, რათა იყუარებოდეთ ურთიერთას“ (ინ. 15, 17). ჩვენს შემთხვევაში პა-სუხი ერთია: წმიდა შუშანიკი შეუბრალებელი და სასტიკია არა ცოდვილის, არამედ ცოდვის მიმართ (გავიხსენოთ მისი სიტყვები: საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსექნენ). მას სძულს არა „საწყალობელი“ შეიღები, არამედ შვილებში ჩასახლებული სატანა-ატრომბანის თაყვანისმცემელი; გაგონებაც არ უნდა უღირსი და შეუწყნარებელი ქმედებისა, რაც დედის რწმენის ვერგამზიარებელმა უძლურმა და უგუნურმა შვილებმა ჩაიდინეს. დედოფალი ტირილით შესთხოვს უფალს: რადგან შენი მოცემული არიან, „ვითარცა გნებავს, იყავნ ნება შენი“. პირველადაც უზენაესს მი-ანდო და ახლაც, როცა გაიგო მათი „მოგობასა მოქცევის“ შეს-ახებ, ღვთის ნებად ჩათვალა და თვით კი ითხოვა: „მე დამიცევ საქმეთაგან მტერისათა“ (ძეგლები 1964: 23).

ცოდვა გადამდებია, ფითრივით ედება ადამიანის სულს და მიჰყავს იგი საუკუნო სიკვდილისაკენ. დედოფალი ცდილობს განერიდოს ბოროტების მსახვრალ ხელს. წმიდა მონამე თავის მაღალ წებისყოფასა და სიმტკიცეს, მოთმინებასა და მორჩილებას ფარად უფარებს განსაცდელს, რადგან ესმის უკვდავი სიტყვებისა: „უფალო, გამომცადე მე და მიცან მე“ (ფსალმ. 138, 1).

განსაკუთრებულად საინტერესოა წმიდა შუშანიკის ლოცვა, რომელსაც წარმოთქვამს მაშინ, როცა აიძულებენ (ჯოვი-კი მეუღლითურთ და სასახლის ეპისკოპოსი) შინ დაბრუნდეს. აქ მწვავე კამათი გაიმართება წამებულსა და პიტიახშის მიერ მივლინებულთ შორის. ბოლოს, გადაწყვეტს დედოფალი უკან დაბრუნდეს, თუმცა ტირილით იტყვის: „უფალო ღმერთო, შენ უწყი, ვითარმედ მე გულითად სიკვდილდ მივალ“ (ძეგლები 1964: 16). არ სურდა პიტიახშის მეუღლეს იმის (ვარსექნის – სფ.მ.) კერძო და მისთა საქმეთა ზიარ“ ყოფილიყო. ღვთის

უარისმყოფელთან და მგმობელთან რა საერთო შეიძლება პქონოდა წამებულ დედოფალს!... მაგრამ პირველად მიდის კომპრომისზე – დათმო, ისევ ერთობისა და მშვიდობისათვის. „ხოლო მაგას ვერ ვჰყოფ, – მიმართავს ჯოჯიქს, – ვითარმცა მოსისხლეობა იქმნა და თქვენ ყოველნი თანამდებ იქმენით“ (იქვე: 16). ამას აქვს პრინციპული მნიშვნელობა. მართალია, შუშანიკი ბრუნდება სასახლეში, მაგრამ ტირლითა და მოთქმით, თითქოს ეშაფოოტზე უხმობენო: „გულითად სიკვდილდ“ მივდივარო, თქვა და თითქოს ფსალმუნთმგალობლის სიტყვებს უხმობდა: „განმარინე მე, უფალო, კაცისაგან უკეთურისა და კაცისა ცრუისაგან მიხსენ მე. რომელთა ზრახეს უსჯულოებად გულსა შინა მათსა, ყოველსა დღესა განაწყობენ ბრძოლითა“ (ფს. 138, 1-2).

ნმიდა შუშანიკი ტოვებს „სახლაკსა ერთსა მცირესა მახლობლად ეკლესიასა“ და ბრუნდება სასახლეში. დათმო. ღრმად ქრისტიანული მოტივი უძევს საფუძვლად მის ამ ქმედებას – ერთობისა და სიყვარულის შენარჩუნება!

...და ყოველივე იმის შემდეგ, როცა „თანა წარიტანა ევანგელც თვისი და ნმიდანი იგი წიგნნი მოწამეთანი“, დაბრუნდა სასახლეში, თუმცა მიაშურა არა სადედოფლო ტახტს, არამედ „დაჯდა... სენაკსა შინა მცირესა“, აღაპყრო ხელი ზეცად და თქვა: „უფალო ღმერთო, არცა მღდელთაგანი ვინ იპოვა მოწყალე, არცა ერისა კაცი ვინ გამოჩნდა შორის ერსა ამას, არამედ ყოველთა მე სიკვდილდ მიმითუალეს მტერსა ღმრთისასა, ვარსკენს“ (ძეგლები 1964: 16).

როგორი უშუალობა და სისადავე ახლავს თან მის ამ სიტყვებს, როგორი სიმძაფრით იქსოვება რთული ხასიათი დედოფლისა, ინტერესთა საოცარი ქსელი იპმება ირგვლივ! ეს მონოლოგი შინაგანი პროტესტიც არის პიტიახშის მიერ მივლენილ პირთა მიმართაც. „მღდელთაგანში“ აქ იგულისხმება „ეპისკოპოსი სახლისა თვისისა“ აფოცი, „ერისკაცნში“ კი – „ჯოჯიკ და ცოლი ჯოჯიკისი“. მათი დაუინებული თხოვნის შედეგად დაუბრუნდა სასახლეს დედოფალი. არავინ იპოვება მოწყალეო, – წამოსცდა წამებულს, რადგან მასთან მივლენილებს, მოცემულ ეტაპზე, ჯერ კიდევ ბოლომდე არ ესმოდათ დედოფლისა, ამიტომ, უფრო ადრე, გულში- ჩამნვდომად იტყვის ნმიდა შუშანიკი: „უფალო

ღმერთო, შენ უწყი, ვითარმედ მე გულითად სიკვდილდ მივალ“.

წმიდა შუშანიკი მარტოა, მაგრამ აქაც დიალოგიზებულ მონოლოგთან გვაქვს საქმე, რომელიც სრულად აჩვენებს და წარმოაჩენს პერსონაჟის სულიერ მდგომარეობას, გარდა ამისა, „მეტყველების ყოველ ფაქტში ჩვენ საქმე გვაქვს, ერთი მხრივ, ისტორიულად და სოციალურად განსაზღვრულ ადამიანთან და, მეორე მხრივ, სიტყვასთან. მეტყველების მთელი შინაარსი ამ ორი მონაცემის გარეშე არ წარმოიდგინება. მეტყველებაში ამა თუ იმ სახით თავს იჩენს ის თავისებურებანი, რომლებიც ახასიათებს ადამიანს და ენას, როგორც სამეტყველო საშუალებათა ჩამოყალიბებულ სისტემას“ (კიკნაძე 1957: 31-32).

„წმიდა შუშანიკის წამების“ მონოლოგები ა) საუბარია ღმერთთან, ანუ ლოცვაა. ეს არის ხმა მღაღადებლისა იმედად და ნუგეშად დაღვრილი. ყოველი ლოცვა იწყება ღვთაებისადმი მიმართვით:

„უფალო ღმერთო, შენი მოცემულ არიან“;

„უფალო ღმერთო, შენ უწყი“;

„უფალო ღმერთო, არცა მღაღელთაგანი ვინ იპოვა“.

ბ) წამებული დედოფალი სულით შეერთებულია უზენაეს-თან. „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი და მე განგისუნოთ თქუენ“ (მ. 11,28). მას ანდობს ყველაზე ძვირფასს, რაც მის ხელშია – სიცოცხლეს, და მის ნებას ხედავს ყველაფერში:

„შენი მოცემულ არიან და შენ დაიცვენ ესენი“;

„შენ უწყი, ვითარმედ... სიკვდილდ მივალ“;

„ვითარცა გნებავს, იყავნ ნება შენი“.

ლოცვებში განსაკუთრებული სიმძაფრით იგრძნობა საოცრად რთული ხასიათის, სულიერი წყობის ადამიანი: ბობოქარი, სიკვდილის პირისპირ მდგომი, უშიშარი, ურყევი, ერთობისა და მშვიდობის დამცველი, ამტანი, მსასოებელი, მადლობელი უფლისა და მთხოვნელი, მვედრებელი, დაცულ იქნეს „საქმეთაგან მტერისათა“.

ამგვარად განსახოვნდა „წმიდა შუშანიკის წამების“ ლოცვებში სახება დედოფლისა, სარწმუნოება, სასოება და სიყვარული, გაცხადდა მისი, როგორც წმინდანის ხმა, რომელშიც განეფინა ევანგელური მოძღვრება იმის შესახებ, რომ ქრისტე

არის გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება და, თუ გსურს, გახდე სრულყოფილი და საკუთარ ვნებებზე ამაღლებული; „სცანით ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებამ განგათავისუფლნეს თქუენ“ (ინ. 9, 32).

იაკობ ხუცესი თხზულების დასაწყისში ნეტარი შუშანიკის შესახებ გვამცნობს: „და უკეთურებისა მის სახის ქმრისა მისისა მარადის გულს ეტყვნ და ევედრებინ ყოველთავე ლოცვის-ყოფად მისთვეს“ (ძეგლები 1964: 11).

წმიდა შუშანიკი გრძნობდა და ხედავდა მეუღლის, თანამეცხ-ედრის არასრულყოფილებას, ნაკლებ სულიერობასა და ღმერთს ავედრებდა, რათა გადმოსულიყო პიტიახშზე მადლი სულისა წმიდისა. „მარადის გულს ეტყვნ“ გულისხმობს მარადის ლოცვას მეუღლისთვისაც. აქ ჩანს ცოლ-ქმარს შორის ცოდვა-მადლის თანაზიარობა. ისინი ხომ „ერთ ხორც“ არიან. წმიდა შუშანიკი ლოცულობს ვარსქენისათვის და სხვასაც ამას სთხოვს. რატომ?

წმიდა იოანე ოქროპირის მიხედვით, ყოველი კეთილის და-საბამი ლოცვა არის, რომელიც ადამიანის საუბარია ღმერთთან, ადამიანის შთაგონების აცხადებდაა. ლოცვა განწყობაა სული-სა, უზენაესთან შერთვის საშუალებაა, განშორება „ყოველივე მსოფლიო ზრახვათაგან“.

„ლოცვა წარგიმართებს ყოველთა გზათა შენთა. ლოცვა აღა-ვსებს სავაჭროსა შენსა საუნჯეთა, ლოცვანი გიხსნიან ყოვლისა ფათერაკისაგან, ლოცვა განგარიდებს უჟამოდ სიკვდილისაგან, ლოცვა დაგიფარავს ცოდვისაგან, ლოცვა შეგინდობს ნაქმნარ-სა ცოდვათა, ლოცვა განგიღებს კართა სამოთხისათა, ლოცვა შეგიყვანებს სასუფეველსა შინა, ლოცვა მოგაშორებს ეშმაკსა, ლოცვა დაგამეგობრებთ ანგელოზთა, ლოცვა გიჩვენებთ პირ-სა ღმრთისასა და დაგამკვიდრებს შენ საუკუნოდ“ (ორბელიანი 1963: 29).

დარადგანაც შუშანიკი გრძნობს ქმრის „სახის უკეთურებას“, ითხოვს, ვარსქენისთვის ილოცონ, რადგან სჯერა, რასაც სარწმუნოებით, წრფელი, მართალი გულით მოითხოვ, მოგეცემა: „რაოდენსა ითხოვდეთ ლოცვასა შინა სარწმუნოებით, გეყოს თქუენ“ (მ. 21,22). წმიდა შუშანიკისთვის ლოცვა არის შვება და განსვენება. ეს იქიდანაც ჩანს, რომ იგი სასახლეში, ეკლესიაში, საპყრობილეში, შინ თუ გარეთ, ყველგან, ყველგან

დაუცხრომლად ლოცულობს. სხვებსაც ამას სთხოვს. ეს არ არის შემთხვევითი დეტალი. წმ. სახარების მიხედვით, ქანანელი დედაკაცი თავისი ასულისთვის ლოცულობდა, მისთვის ეველრებოდა უფალსა და სნეულმაც დედის ლოცვით მიიღო განკურნება (მ. 15, 28).

მოციქული პეტრე უფლის ანგელოზმა საპყრობილიდან გამოიყვანა იმიტომ, რომ მორწმუნენი გულმხურვალედ ლოცულობდნენ მისთვის (საქმე 12, 5), პავლე მოციქულიც თავის წარმატებულ მოღვაწეობას ღვთის სიტყვის ქადაგების საქმეში ხშირად უმაღლოდა და მიაწერდა თავისი მოწაფეების ლოცვებს (საკვირაო სახარებათა განმარტება 2001: 271).

როდესაც სხვა ადამიანი შენთვის ლოცულობს, ლოცვებში გიხსენიებს, დიდი ძალაა. აკი მხოლოდ ამას ითხოვდა წამებული, საპყრობილეში მიმავალი: „ნუ სტირთ... არამედ ლოცვასა მომიხსენეთ“ (ძეგლები 1964: 20 - 21). ვინ იცის, იქნებ იქ მყოფ ადამიანებს შორის იდგა ვინმე გულით მართალი მორწმუნე, მორჩილი მსახური ღვთისა, ვის ლოცვასაც შეისმენდა არსთავამგებელი. ერთმანეთისთვის ლოცვას საღვთო წერილიც ითხოვს: „ულოცვიდით ურთიერთას, რათა განიკურნეთ, რამეთუ ფრიად შემძლებელ არს ლოცვა მართლისა შეწევნად“ (იაკ. 5, 16), ამასვე მოითხოვდა პეტრე მოციქული ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში „ილოცველით ჩუენთვისცა“ (13, 18).

თვით შუმანიკი ჭეშმარიტად მლოცველი ქრისტიანია. როდესაც იგი იძულებული გახდება, „სახლაკი მცირდე“ დატოვოს, ავტორი შენიშნავს: „წარვიდა მათ თანა და თანა წარიტანა ევანგელც თვის და წმინდანი წიგნი იგი მოწამეთანი“ (ძეგლები 1964: 16) ან „და იყო ბნელსა შინა მარხვით, ლოცვითა და ტირილით“ (იკვე: 19), ან „ექვსი წელი ციხესა მას შინა ალას-რულა... კითხვითა წიგნითა დამოუწყინებლად“, ან (შუმანიკ-მა) „დიდითა გულს მოდგინებითა ხელთ ალიხვნა დავითნი და მცირედთა დღეთა შემდგომად ასერგასისნი იგი ფსალმუნნი დაისწავლნა“ და გალობას ცრემლით შესწირვიდაო (ძეგლები 1964: 23).

წამებული დედოფალი მარადჟამს ლოცულობს. ამით იგი საკუთარი არსების შემეცნებისა და ღმერთან დამკვიდრების გზაზე დგას. თან დაატარებს საღვთო წერილს, ფსალმუნნები

ზეპირად დაისწავლა.

ნმიდა იოანე ოქროპირი წერს: „დიდი სიკეთეა წერილის კითხვა და სმენა, რადგანაც მისგან აღმოცენდება ყოველი კეთილი და წმიდათა მიმბაძაობა და ისწავლება ზეცისა მოქალაქეობა“ (ოქროპირი 1990: 359). ეკლესის მამები ამბობენ, რომ სახარების კითხვის დროს უნდა ეძებო, შეუბლალავად დაინახო ჭეშმარიტება. წმიდა შუშანიკა სჭირდება სიმტკიცე რწმენისა, რათა ძალა მიეცეს ბოროტი ძალების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. სასახლეში ბრუნდება დედოფალი და არ იშორებს სახარებას, რადგანაც იცის, რომ ყოველი წინა-დადებიდან, ყოველი სიტყვიდან მარადიული სიცოცხლის სხივი გამოკრთის. იგი კურნებას იღებდა სალვოთ წერილიდან. „შეეცადე, სახარება გონიერასა და გულს შეეთვისოს, რათა გონება მასში ეფლობოდეს, მასში ცხოვრობდეს. მაშინ შენი მოღვაწეობაც იოლად გახდება სახარებისეული. ამას სახარების განუწყვეტელი კითხვითა და შესწავლით შეიძლება მიაღწიო“ (ეპისკოპოსი ეგნატე 1990: 391).

სასახლეში დაბრუნებულმა „თანა წარიტანა ევანგელიზაციი“ - გვამცნო იაკობ ხუცესმა. დედოფალი არ უნდა შეცდეს, კომპრომისზე არ უნდა წავიდეს, ადამიანურმა სისუსტემ არ უნდა სძლიოს! ყოველივე ამაში კი სახარება დაეხმარება და გააძლიერებს; „უკეთუ სახლსა შინა, სადა წმიდა სახარება იდგას, ვერ შევაძლს ეშმაკი“ (ოქროპირი 1990: 359).

იაკობ ხუცესი დაბეჯითებით გვამცნობს, რომ შუშანიკმა დიდი გულმოდგინებით „ხელთა აღიხვნა დავითინი და მცირედთა დღეთა შემდგომად ასერგასისნი იგი ფსალმუნნი დაისწავლნა“ (ძეგლები 1964: 23) საკუთარ თავთან დარჩენილი მოწამე საკუთარ დროსთან რჩებოდა, რომელშიაც ჭეშმარიტებას იმეცნებდა, რადგანაც თავისუფლებას მხოლოდ ამ გზით ეზიარებოდა (ინ. 8,32). საკუთარ თავთან, საკუთარ სამყაროსთან მარტოდ შთენილი დედოფალი ღმერთთან რჩება და ამ დიდ სიმშვიდეში (თუმცა კი საპყრობილები) ზეპირად სწავლობს ფსალმუნებს. საკითხავია, რა ძალას მატებდა მას დავით წინასწარმეტყველის გულის ღაღადისი, რატომ ეტანებოდა, რას ეძიებდა და რას პოვებდა მასში?

წმიდა შუშანიკმა მთელი რწმენით გაუღო გულის კარი

შეუხებელ ნათელს. ადამიანის მოდგმას შეუძლია დაინახოს „პირი კაცისა“, ღმერთი კი გულთამხილავია და რადგანაც გული ცენტრია ადამიანისა, საყრდენი მისი სიცოცხლისა, საიდანაც გამოდიან ზრახვანი კეთილნი თუ ბოროტნი, სწორედ მას სჭირდება განწმენდა. განა იმავე ფსალმუნებიდან არ ისმის: „გული წმიდა დაპბადე ჩემ თანა, ღმერთო და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა“ (ფს. 50, 10).

წმიდა და მხურვალე გული სჭირდება მორწმუნეს იმისათვის, რომ გულთამხილავის წინაშე ჭეშმარიტების მაძიებლად და ჭეშმარიტებასთან შერთული დარჩეს. წმიდა გრიგოლ ნოსელი შენიშვნავს: „გულისაგან აღმოკრთების სიმხურვალც და ამისთვის შეეზავა მას ძრავა გონებისა და გამოუთქუეს, ვითარმედ გული არს საყოფელი გონებისა“ (უძველესი რედაქციები 1964: 224), გულია სიცოცხლის დასაწყისი და ძირი, „რომლისაგან გამოვლენ ნესტუნი მრავალნი და განეზავების სული ცხოველი, მათ მიერ ყოველსა გზასა სიმხურვალითა ცეცხლებრითა“ (იქვე: 224).

კეთილი ადამიანის, ღვთის რჩეულის ცხოვრება ხშირად მძიმე გამოცდაა, ბრძოლაა მაცდურ ვნებებთან, ცოდვასთან, ბოროტთან და, რადგანაც ყოველთვის ბოროტი შედის კეთილში, საჭიროა სულიერი მხენობა, დაუცხრომელი მოღვაწეობა, ლოცვა და მარხვა, რომლითაც განიდევნება ეშმაკი. უდიდესი ძალისხმევაა საჭირო, რომ არ იქნე ცდუნებული, არ მოგეახლოს უკეთურება. ადამიანში მთავარია რწმენა და სიყვარული. შუშანიკიც იბრძვის დაიცვას და შეინარჩუნოს ერთიცა და მეორეც. მართალია, ამისთვის დიდ სატანჯველსაც შეამთხვევენ, არ აკლებენ მძიმე ფიზიკურ შეურაცხყოფას, გინებას, ბორკილებს, საცყრობილეს... ეს ყველაფერი მტკიცნეულია ქალის-თვის, მაგრამ მან იცის, რომ წმინის გამოცდა მოთმინებას ქმნის და რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს. ნეტარია და სამგზის სანატრელი წმიდა შუშანიკი, აღმასრულებელი ქრისტეს მცნებათა, განმაღლიდებელი ქრისტიანობისა, დამთმენი ურვა-განსაცდელთა და მიმღები მარადიული სიცოცხლის გვირგვინისა... „ნეტარ არს კაცი – იგი, რომელმან დაუთმოს განსაცდელსა; რამეთუ გამოცდილ იქმნეს და მოიღოს გვირგვინი ცხოვრებისა, რომელი აღუთქუა ღმერთმან მოყუარეთა მისთა“ (იაკ. 1,12).

იაკობ ხუცესი თხზულების დასაწყისში შუშანიკის შესახებ გვამცნობს, რომ იყო „მოშიში ღმრთისად, ვითარცა იგი ვთქვით, სიყრმითგან თვსით“. უპირველესად დაისმის კითხვა: რას ნიშნავს „მოშიში ღმრთისად“ და, საერთოდ, რა არის ღვთის შიში?

ღვთის შიში სიბრძნის წყაროდ იწოდება (იგავ. 1,7) და კეთილმსახურების განუყრელ მცველად გვევლინება. ღვთის შიშის გარეშე, ამბობს ბასილი დიდი, შეუძლებელია გახდე მცოდნე ან კეთილგონიერი, ან კეთილი. მასში ყოველივე ამის გასაღებია ღვთისმოშიშობა. „უფლის მოშიში ყველაფერზე დიდია“, გალობს ივდითი (16, 16). წმიდა მეფე და წინასწარმეტყველი დავითი ბრძანებს: „გეშინოდენ უფლისა ყოველთა წმიდათა მისთა“ (ფს. 38, 10). როგორ შეიძლება გავიაზროთ შიში ღვთისა ან რატომ აცხადებს იაკობ ხუცესი, შუშანიკი ბავშვობიდან იყო ღვთის მოშიში!?

ლირსი მამა აბბა დოროთე თავის „სულთა სასარგებლო სწავლანსა და ეპისტოლენში“ აღნიშნავს, რომ „ორნი არიან შიშნი: ერთი იგი ახალთა და მეორე იგი სრულთა, რომელი იგი განსრულებული არიან და მიწევნული საზომსა მის სიყვარულისასა“ (დოროთე 1991: 373).

ავტორის სიტყვებიდან გამომდინარეობს, რომ შუშანიკი ბავშვობიდანვე იზრდებოდა ქრისტიანული სულისკვეთებით, ეკლესიური ცხოვრებით. მისი სულიერი ცხოვრება კანონზომი-ერად მიემართებოდა უზენაესისაკენ, დღითი დღე იმოსებოდა ღვთის მადლით. ყოველი წამი მასში ზრდიდა და აყალიბებდა შიშისა და სიყვარულის გრძნობას. შუშანიკი არ არის ისეთი წმინდანი, რომლის ცხოვრებაშიც ერთბაშად, რაღაც მიზეზის გამო მომხდარიყო გარდატეხა, უფლისკენ შემობრუნება, როგორც, მაგალითად, პავლე მოციქულის ან მარიამ მეგვიპტელის შემთხვევაში. საქმე მოციქულთა მოგვითხრობს, რომ „სავლე, უფროს განრისხდებოდა და სავსე იყო გულისწყრომითა და კვლითა მონაფეთა მათ ზედა უფლისათა, მოუხდა მღუდელთ-მთავარსა მას და ითხოვა მისგან წიგნები დამასკოდ, სხუათა მიმართ კრებულთა, რათა მოვიდეს და თუ ვინმე პოვნეს ამის მოძღურებისა გზასა მამები ანუ დედები, კრულნი, მოიყვანეს იერუსალიმად და მიოდენრა ვიდოდა იგი და მიეახლა დამასკოსა; მეყუსეულად

იყო გარემოს მისა ბრნეუნვალება ნათლისა ზეცით გარდამო და იგი დაეცა ქუეყანასა ზედა და ესმა ხმა, რომელ რქუა მას: „საულ, საულ! რასა მდევნი მე?“ (9, 1-4).

მსგავსი რამ არ მომხდარა წმ. შუმანიკის ცხოვრებაში. იგი მთელი ცხოვრება ემზადებოდა თითქოს. მტკიცე, სულით ძლიერი ქალი ჭეშმარიტად გახდა სძალი უფლისა, რადგან ბავშვობიდანვე იყო ღვთის მოშიში და მოყვარული⁴.

რწმენაში ახლად შესული ადამიანი პირველ ხანებში დაბნეულია, ბევრი რამ აოცებს და აკვირვებს, შესაძლოა, ხიბლშიც ჩავარდეს, თანაც ზოგიერთ რამეს მექანიკურად ითვისებს. ასეთ ღროს ღვთის მცნებებს აღასრულებს შიშის გამო – არ დავისაჯო, ვაითუ, სასულეველი ვერ დავიმკვიდრო, საუკუნო სატანჯველს მივეცე... ეს არის შიში საკუთარი „მეს“ საფრთხე-ში ჩაგდებისა. ამიტომ ვერ იქნება იგი სრულყოფილი სათნოება. ასეთ შიშს უწოდებს ლირისი მამა აბბა დოროთე „შიში ახალთას“ (დოროთე 1991: 373), მაგრამ არის მეორე შემთხვევაც, სულიერობის ახალი საფეხური, როცა ადამიანი, ხატი და მსგავსი ღვთისა, ღვთისავე ნებას აღასრულებს არა „შიშისათვის წყლულებისათა“, არამედ ქრისტეს სიყვარულისთვის. მან უკვე იცის, რა არის სიკეთე და ყოველი სიკეთე რომ ღვთისაგანაა, რადგანაც, ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, არსებობა სიკეთეა, ხოლო უზენაესად არსებობა – უზენაესი სიკეთე, ამიტომ სათნოების ახალ საფეხურზე ამაღლებულმა მორნმუნებ უკვე შეიგრძნო საღვთო მადლის სისრულე და დამკვიდრდა ჭეშმარიტ სიყვარულთან, იმ იმედთან და სასოებასთან, რომელიც მიიყანს „სრულ შიშამდე“, როცა მოსალოდნელი სატანჯველის

4 შდრ. რუსთაველის სიტყვები: „მართალს იტყვის მოციქული: „შიში შეიქმს სიყვარულსა“ იოანე მახარებლის პერიფრაზია (ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის ღვთისმეტყველება, პარიზი, 1963, გვ. 495–496), ძველი აღთქმა სწრაფვაა ახალი აღთქმისაკენ და „თუკი ძველ აღთქმაში ღვთისა და ადამიანის ურთიერთობის მთავარი პრინციპია შიში, ახალ აღთქმაში იგი შეცვალა სიყვარულმა, რომელმაც კი არ განდევნა შიში ღვთისა, არამედ დაიმორჩილა“ (В.Бычков. Идеал любви христианского-византийского мира. В кн. Философия любви. М., 1990, с.71) და რუსთაველის სიტყვებიც ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ (რ. ხალვაში, ტბელ აბუსერისძის სახისმეტყველება, ბათუმი, 1998, გვ. 57).

შიშით კი არ მისდევ და აღასრულებ ღვთის ნებას, არამედ როცა გეშინია, არ განეშორო აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, აბსოლუტურ სიკეთეს, რომ არ განერიდო უხილავ სიტკბოს ღვთაებასთან ყოფნისას, რადგან, უღელი ღვთისა ტკბილია, ტვირთი – მსუბუქი (მ. 11,30).

ამგვარად დანახული ღვთისმოშობა არის ერთ-ერთი გზა უზენაესთან მოახლოებისა, რადგან მხოლოდ სიყვარულისგან და სიყვარულისთვის შობილი, სიყვარულისმიერი შიში განაძევებს იმ პირველ, „ახალთა შიშს“ (ინ. 4,18). რადგან ვისაც არ უყვარს, მას არ შეუცნია ღმერთი. ვინაიდან ღმერთი სიყვარულია, ხოლო სიყვარულით აღვსილი ღვთაებას უერთდება. სიყვარულს შიში არ ახლავს, სრულყოფილი სიყვარული დევნის მას. შიში ტანჯვაა, ხოლო მშიშარა სრულყოფილი არ არის სიყვარულში. ჩვენ გვიყვარს იმიტომ, რომ პირველად მან შეგვიყვარა (პავლეს ეპისტოლეთა მიხედვით).

შიში დასაწყისია სიყვარულისა და შემდეგ მასში გადადის. შიში ღვთისა იმას კი არ ნიშნავს, რომ გეშინია უფლისა, არამედ იმას, რომ გეშინია არ დაკარგო იგი და არ ჩავარდე ცოდვებსა და ვნებებში. მაქსიმე აღმსარებელიც ორგვარ შიშს განარჩევს: სასჯელის მოლოდინით მომდინარესა და სასჯელის შიშის გარეშე გულში დავანებულს (ანუ წმინდასა და არაწმინდას) (ქრისტიანული... 1930: 14-17).

აპრიორი ბავშვობიდან შუშანიკიც იმ პირველი შიშით იწყებს რწმენაში შესვლას, რომელსაც აბბა დოროთე „ახალთა“ უწოდებს და შემდეგ მიაღწევს სათნოებათა კიბის უფრო მაღალ საფეხურს, რადგან „შეუძლებელ არს მოსვლა შიშისა მის სრულისა, უკეთუ პირველად არა მოვიდეს შიში იგი ახალთა“.

წმიდა შუშანიკს სასჯელის ან სასუფევლის ვერდამკვიდრების გამო კი არა აქვს შიში ღვთისა, არამედ სიყვარულისათვის, რომ არ დაკარგოს და არ განეშოროს საღვთო ნათელს, არ წავიდეს უფლის წინააღმდეგ. ადამიანი შიშისგან არ შექმნილა. ჭარბი სიყვარულის გამო შეიქმნა იგი, რადგან ღმერთია თავად სიყვარული და ყოველივე მისგან (სიყვარულისგან) იქმნა.

„შიში ღვთისა არს დასაბამი და დასასრული“ (ზირაქ. 1,15). დასაბამია პირველი შიში – „ახალთა“, ხოლო დასასრული – „შიში სრული“. პირველი გარდაუვალი გზაა მეორისაკენ. პირველი ადა-

მიანში საკუთარი ცოდვების შეგრძნებას ამძაფრებს, მოდრეკს „კაცს ყოვლისა ბოროტისაგან“.

„შიში ღვთისა არის ის, რითაც იმოსება გლახაკი სულითა, ნეტარი, რომლისა არს სასუფეველი ცათად“ (ავგუსტინე 1991: 77). იაკობ ხუცესს სურს გვითხრას, რომ შუშანიკი ბავშვობიდანვე იყო ღვთის მოშიში და რადგან იგი ადრიდანვე ეზიარა ჭეშმარიტებას, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ მას ვერავინ და ვერაფერი განაშორებს ქრისტეს. ამის შესახებ მოციქული ბრძანებს: „მრნამს მე, ვითარმედ არცა სიკუდილმა, არცა ცხოვრებამან, არცა ანგელოზთა, არცა მთავრობათა, არცა ძალთა, არცა ამან სოფელმან, არცა სიმაღლეთა, არცა სიღრმეთა, არცა სხუამან დაბადებულმან შემიძლოს ჩუენ განცენებად სიყვარულსა ღმრთისასა, რომელ არს ქრისტეს იესოს მიერ, უფლისა ჩუენისა“ (რომ. 8, 38–39).

მნიშვნელოვანია თხზულების დასაწყისშივე იმის აღნიშვნა, რომ შუშანიკი ბავშვობიდანვე იყო ღვთის მოშიში, რომ იგი თავიდანვე ეზიარა ამ დიდ მადლს და შემდეგში, როცა მონამებრივი ცხოვრების გზას დაადგება, არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მას სძულს ის, ვინც დევნის და ყვედრის, რადგან „მტრების სიყვარულში გამოიხატება ახალი აღთქმის ზნეობრიობა. ამ სიტყვებშია კონცენტრირებული მთელი სახარება. ჩვენში ჩადებულია არა მარტო შესაძლებლობა, არამედ მოთხოვნილებაც ერთმანეთის სიყვარულისა“ (მრომები... 1990: 18).

ყველაფერი ნათელია, იაკობ ხუცესი აშკარად აცხადებს, რომ რაც უნდა მოხდეს, შუშანიკი რწმენას არ უღალატებს, „ულმერთოთ არ შეეყოფა“. ასეთ ფონზე კი ავტორი გვაუწყებს პიტიახშის შესახებ: „განაგდო სანატრელი სასორებად ქრისტესი, რომელსა არცა ჭირი ეხილვა, არცა შიში, არცა მახვილი, არცა პყრობილება ქრისტესის“ (ძეგლები 1964: 11) (ხაზი ჩვენია – სფ.მ.). უფრო ქვემოთ კი ვკითხულობთ: (შუშანიკი) „აღდგა და დაუტევა ტაძარი თვისი და ღმრთის მოშიშებით ეკლესიად შევიდა“ (იქვე, 13) (ხაზი ჩვენია – სფ.მ.). ეს ადგილი ეხმიანება ფსალმუნთმგალობლის სიტყვებს: „შევიდე სახლსა შენსა, თაყუანის–ვსცე ტაძარსა წმიდასა შენსა, შიშითა შენითა, უფალო“ (ფს. 6,7).

ღვთის შიშზე მსჯელობას დავასრულებთ ეკლესიის დიდი

მოძღვრისა და მღვდელმთავრის, იოანე ოქროპირის, წერილის ნაწყვეტით: „უდიდესი სიმდიდრე, უხრწნელი მემკვიდრეობა მარადიული საგანძური არის შიში ღვთისა... სადაც შიშია ღვთისა, იქ გლახაკი და არაფრის მქონეც კი ცხონდება“ (იოანე ოქროპირი 1990: 132).

„ზმიდა შუშანიკის წამებაში“ გვხვდება ერთი ფრაზა, რომელიც თავისი კონტექსტით სრულიად გამორჩეულია ადრეულ ქართულ აგიოგრაფიაში. ავტორი გვაუწყებს, რომ ვარსექნ პიტიახშის თანამზრახველი, „კაცი ერთი სპარსი“, შევიდა წინაშე ნეტარისა შუშანიკისა და ტირილით იტყოდა: „ესევითარი სახლი მშვიდობისად ვითარ საწყალობელ იქმნა და სიხარული მწუხარებად გარდაიქცა!“ ... ხოლო ზრახვითა იყო იგი ვარსექნისათა და ზაკუვით იტყოდა ამას“ (ძეგლები 1964: 14).

ამ ეპიზოდში ხორცშესხმულად წარმოგვიდგება გაიძვერა, პირფერი, ორპირი „კაცი ერთი სპარსი“, „რომელიც ჩრდილში ყოფნას რჩეობს, მაგრამ, ამასთანავე, ყველაფერი იცის, იცის, ვის როგორ ასიამოვნოს, ვის რა უთხრას“ (ჯორბენაძე 1997: 163).

ტირილით, ცრემლთა ღვრით ეუბნებოდა შუშანიკს: „სიხარული მწუხარებად გარდაიქცა“, თითქოს თანაუგრძნობდა, ანუგეშებდა... სინამდვილეში კი თვალთმაქცობდა, ფარისევლობდა, ცრემლებს ვერაგი მიზნისთვის იყენებდა, „ნიანგის ცრემლის ღვრას“ უფრო ჩამოჰგავდა... ცოტა ხნის შემდეგ ასე-თივე ცბიერებით დაამშვიდებს ვარსექნს: „ნურას ფიცხელსა სიტყუასა ეტყვი მას“ (ძეგლები 1964: 14) ... თითქოს აქაც შუშანიკის ბედი აფიქრებს... „თუმცა, როგორც ჩანს, ისიც კარგად უწყის, რომ ზვიადი პიტიახში უკვე აღაგზნო შურისძიებად, რითაც გულისგულში ნალოლიავები სურვილიც აისრულა. ასეთი პიროვნებანი ყოველთვის სხვისი ხელით ცდილობენ სხვათა დათრგუნვას“ (ჯორბენაძე 1997: 163).

სპარსის ტირილით ნათქვამს, მის ცრემლებს თანავრძნობა, გაგება-შესმენა უნდა მოჰყოლოდა შუშანიკის მხრიდან. წმ. შუშანიკს რაღაც რეაქცია უნდა ჰქონდა ამაზე, მაგრამ ეს არის ისეთი შემთხვევა, როცა ნეტარი დედოფალი რეაგირებას არ ახდენს, არ აფასებს მეორე ადამიანის ქმედებას. შუშანიკმა „ცნა ზაკუვით იგი ზრახვად მისი და მოიზღუდა თავი თუსი მტკიცედ“

(ძეგლები 1964: 14). დუმილი არჩია, არაფერი თქვა, თუმცა ძალიან კარგად იცოდა, საითკენ მიჰყავდა საუბარი სპარსს. პასუხის ღირსადაც არ ჩათვალა, წონასწორობა შეინარჩუნა და მოიგო კიდეც ეს ბრძოლა.

რა სურდა სპარსს, რა ქვეტექსტი ედო მის სიტყვებს? – ეს არის სინტერესო ამ შემთხვევაში და არა ის, რას ამბობს იგი. სპარსის სიტყვები წმ. შუშანიკზე ზემოქმედებას ვერ მოახდენენ, რადგან გულის სისავსიდან არ მოდიან ისინი. თვით სპარსმაც არ იცის, რას ამბობს. რაღაც ცუდად, ყალბად შესრულებულ როლს ჩამოჰვავს მისი უესტი, თითქოს სიცარიელეში მოქმედებს და თანაც არაბუნებრივად. ტირისა და ვერავის თანაუგრძნობს, თავის გულისნუხილს გამოთქვამს და ობიექტის კენ მიმართული სიტყვა რეაქციის გარეშე რჩება. მან „გაყიდა“ თავისი თავი. სულის მეტყველებამ გასცა, გამოამჟღავნა მისი ნამდვილი ზრახვები, მიუხვდნენ ზაკვას. „ის, რაც ახლა ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება, იმ პერიოდისათვის აღმოჩენა იყო: შეიცნო კაცის სული იმით, თუ რას და როგორ ამბობს იგი“ (ჯორბენაძე 1997: 164).

რა თქმა უნდა, სპარსის სიტყვებს აქ რაღაც შინაარსი აქვთ, მაგრამ იგი არაარსებითია. ამის მიღმა რაც იდგა, სწრაფად მიუხვდნენ პიტიახშის თანამოაზრესა და თანამზრახველს. ამაოდ დაიღვარა ცრემლები, მერე როგორ უნიჭოდ! ვერ ითამაშა როლი კეთილშობილი კაცისა და გაშიშვლდა, გაცხადდა მისი ზრახვანი. ამ მცირე მონაკვეთშიც კი გამოჩნდა იაკობ ხუცესის ხელოვნება. მან გვაჩვენა, ვინ ლაპარაკობდა, რატომ ლაპარაკობდა, რა იდგა სიტყვების უკან, კონკრეტულ სიტუაციაში რა მოვლენები ებმოდნენ ერთმანეთს! „სწორედ აქ, „არახელშესახების“ წვდომასა და გამომზეურობაშია ფრაზის სიმძიმის ცენტრი, მხატვრულ ორგანიზმში მისი არსებობის აუცილებლობის პირობა“ (ფარულავა 1982: 206).

სპარსეთიდან დაბრუნებულმა ვარსექნმა სასულიერო პირები დაიბარა. მასთან მოსულთ სიხარულით შეეგება და განაცხადა: „ან ნუ რას მერიდებით მე და ნუცალა გძაგ“ (ძეგლები 1964: 14). ამ დროისათვის პიტიახში თავის საქციელზე შუშანიკის რეაქცია „ვინმე სპარსის“ მიერ უკვე შეტყობილი ჰქონდა. იაკობის მახვილ მზერას არ გამოჰპარვია ვარსექნის გაიძვერული ტონი. „ან ნუ რას მერიდებით...“ იმაზეც მიანიშნებს, რომ იგი თავს დამნაშავედ

არ გრძნობს. დამნაშავე სხვაა – შუშანიკი. „ნუცალა გძაგ“ – ეს ქვეყნის მმართველისაგან უცნაური განაცხადია. ცოტა ძნელია იმის დაჯერება, რომ ეს „მოწინააღმდეგის გადმობირების ცდაა“ (ჯორბენაძე 1997: 160). ალბათ, ამით პიტიახში თანაგრძნობას უფრო ითხოვდა. პირიქით კი მოხდა. ხუცესებმა ის დანაშაულში ამხილეს და მერე რაოდენ მძიმე იყო ეს ბრალდება: „წარსწყმიდე თავი შენი და ჩვენცა წარგუნყმიდენ“ (ძეგლები 1964: 14). ვარსკენმა პასუხი უნდა აგოს არა მარტო საკუთარი თავის, არა ამედ მათ წინაშეც. „საკმარისია ოდნავი შენინააღმდეგება, რომ ვარსკენი თვით გადადის შეტევაზე. თავისი საქციელის განსჯის თავიდან ასარიდებლად სიტყვა ბაზზე აუგდო მოწვეულებს და დედოფლის უკადრის საქციელზე გადაიტანა ყურადლება“ (ჯორბენაძე 1997: 161).

პირველი ფრაზა, რომელსაც პიტიახში მეუღლის მისამართით იტყვის არის: „რადა წელ-იწიფა ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესევითარისა საქმედ?“ „წელ-იწიფა“ უკავშირდება პიროვნების თავისუფლებას, პიტიახში მეუღლეს უსაყვედურებს: რატომ მიეცი საკუთარ თავს უფლება სასახლის დატოვებისა და ჩემი „ხატის“ დამხობისა. აქ აშკარად იკვეთება ნების თავისუფლების პრობლემაც.

ადამიანი გვირგვინია ქმნილებისა. შესაქმის ღვთაებრივი აქტი გასრულდა ადამის შექმნით: „და თქუა ღმერთმან: ვე-მენ კაცი ხატისაებრ ჩუენისა და მსგავსისაებრ“ (შეს. 1, 26). ყოველი ადამიანი არის ხატი ღვთისა და ტაძარი სულისა წმიდისა. მას შეუძლია აღადგინოს ღვთის ხატი, იმიტომ რომ იგი ამას საკუთარ არსებაში ატარებს. „ადამიანის არსებობის მიზანი, ამბობს სოლოვიოვი – არის ღვთაებრივი ხატის აღდგენა, პიროვნების ამაღლება ღვთაებრივ სრულყოფილებამდე“. წმიდა მამათა სწავლებით, ღვთის ხატი ადამიანში თვით უზენაესისაკენ სწრაფვაა, მარად მოქმედი მდგომარეობაა და ახალი აღთქმის უმთავრესი მცნების – ღვთის სიყვარულის, მოყვასთან ერთობისა და სიყვარულის ნიჭია. ამითაა განპირობებული ადამიანში ღვთის ხატების სხვა თვისებებიც (უფრო ვრცლად იხ. (გიგინეიშვილი 1997:).

როგორც შუშანიკი, ისე ვარსკენი ღვთის ხატის მატარებელი არიან, მაგრამ მათს სწრაფვას პირველხატისაკენ მათივე სუ-

ლიერობა განსაზღვრავს. თუ შუშანიკი საკუთარი ცხოვრებით იღტვის გახდეს სძალი უფლისა და შეიმოსოს ნათელი ღვთისა, ვარსები საკუთარი ნებით შორდება ღმრთსა და ღვთაებრივს, კარგავს მის ხატებას, შეაგინებს ტაძარს, რომელიც ადამიანის მთლიანობის (სულისა და ხორცის) გარანტია. იგი სრულიად საპირისპირო, განსხვავებული ადამიანური იდეალებით აღიჭურვება და, რადგანაც კარგავს ღვთის ხატებას, სცილდება თავის მომავლინებელს – კარგავს ზომიერებასა და წონასწორობას.

ასეთ ფონზე მკაფიოდ ვლინდება ღვთის ხატის ის თვისებაც, ეკლესიის მოძღვარნი ნების თავისუფლებას რომ უწოდებენ. უამისოდ არ არსებობს არც პიროვნება და არც სიყვარული. პიროვნების, როგორც ასეთის, გამომავლენებია მისი ნების თავისუფლება, რომ მას შეუძლია გააკეთოს არჩევანი – ბოროტი თუ კეთილი? (გაზეთი მადლი 1992:).

სარტრის მიხედვითაც კი „ადამიანი თავისუფალია. უფრო მეტიც – თავად იგია თავისუფლება. ინდივიდის თავისუფალი არჩევანის, მისი უღელი, პასუხისმგებლობა და ტრაგედია“ (სარტრი 1989: 93).

ამ მხრივ იაკობ ხუცესის თხზულება გვაძლევს ფართო გასაქანს, რადგან გზა, რომელსაც ვარსები ადგას, და ის გზა მოწამებრივი ცხოვრებისა, რომელსაც წმ. შუშანიკი აირჩევს, მათი ადამიანური ნების ცხადყოფაა. ნების თავისუფლება ერთგვარი შემოქმედებითი ნიჭია ადამიანისა, მიუხედავად მისი შედეგებისა. რადგან არჩევანი მოითხოვს შემოქმედებითს მიღვომას, ადამიანის უმაღლესი შემოქმედება კი საკუთარი პიროვნების სრულყოფაა, სულიერი და ხორციელი ცხოვრების ჰარმონიაში მოყვანაა.

შუშანიკი თავისუფალია არჩევანში, ისე როგორც - ვარსები. პირველი კეთილად იყენებს ღვთისაგან ბოძებულ თავისუფალ ნებას, მეორე – ბოროტად, მაგრამ ამჟამად შედეგებზე ვერ შევჩერდებით. საქმე ის არის, რომ არც შუშანიკსა და არც ვარსებნს, არჩევნის წინაშე მდგომათ, არაფერი ზღუდავთ. შუშანიკი იმთავითვე, „მეყსეულად“, უჭოჭმანოდ მტკიცედ დგას სიკეთის გზაზე, რომელიც არის თავად მაცხოვარი, ერთი ღვთაება და ერთი ძალი, უფალი – ყოვლისა მპყრობელი, მარადიული თავისუფლება, რომელმაც ინება შესაქმე და რომლის ნება განუყოფელია მისივე ძლიერებისაგან: „ყოველივე, რაოდენი ინება

უფალმან, ქმნა ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, ზღუათა შინა და ყოველთა უფსკრულთა“ (ფს. 134,6).

ვარსექნი გარკვეული პოლიტიკური მდგომარეობის მოსაპოვებლად ირჩევს ახალს, მისთვის უცხოს, მაგრამ მაინც მისალებს. იგი დგას არჩევანის წინაშე, მაგრამ თითქოს არ ესმის არსი არც ერთი და არც მეორე რელიგიისა. ვარსექნისათვის მაზდეანობა არ არის არსობრივად მისაღები, აյ სულიერობის დონეზე არ წყდება ეს საკითხი. პიტიახში თვით მოვლენითაა დაინტერესებული, მისთვის ეს არის ფონი პოლიტიკური თუ სხვა მაცდური ზრახვების ცხოველსაყოფად. ამიტომ არის განსხვავება შუშანიკისა და ვარსექნის არჩევანს შორის. შუშანიკისთვის ქრისტიანობა ისაა, რაც არსობრივად ესადაგება მის სულიერ მდგომარეობას. ქრისტიანობა მისთვის წინაარსითაც მარადიულობაა და თავადაც მარადიულობისაკენ ილტვის. მის ყოფიერებას მარადიულობისაკენ სწრაფვა აშინაარსებს, მისთვის ყოფიერების საზრისი ღვთიურობაა.

ვარსექნ პიტიახში ფაქტის წინაშე დგას მხოლოდ. იგი არჩევანს აკეთებს არა ორი – არსობრივად განსხვავებული შეუცნობადობის, არამედ მოვლენის, ცვალებადობის წინაშე. პიტიახშისთვის არც ქრისტიანობა და არც მაზდეანობა არ არის სიმშვიდე სულისა, მისთვის რელიგიური არჩევანი, საერთოდ, მოქმედების ფორმაა და არა საზრისი ცხოვრებისა.

ნების თავისუფლება თხზულებაში, რაც არჩევანის დროს ყველაზე მკაფიოდ ვლინდება, გარკვეული აზრით, არჩევითი გარდაუვალობაა, რადგან ვარსექნის არჩევანი (უპირველესად) განაპირობებს შუშანიკის უკვდავებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გარკვეულწილად, ვარსექნია ის მუხტი, რომელიც აშინაარსებს შუშანიკის ცხოვრებას. თუ წმინდანს ეს „ძალა“ გამოეცლება, მაშინ იგი ასეთი სიმწვავით ვერ შეიგრძნობს ყოფიერების დაძლევის ნეტარებას. ვარსექნის სულიერი დაცემა შუშანიკის ამაღლების დასაწყისია. ეს უკვე შედეგია, რომელსაც ნების თავისუფლება წარმოშობს ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

თავისუფალი ნების შედეგად წმ. შუშანიკი წამებული ხდება. მისი ტანჯვა დასაწყისია ბედნიერებისა (ბედნიერების ტანჯვის გზით!) და გაცხადება ნების თავისუფლებისა. „სასჯელის საკუთარი ნებით მიღებით, ზუსტად თავისუფლების დაკარგვის მო-

მენტში მოიპოვებენ ისინი ჭეშმარიტ თავისუფლებას“ (შელინგი 1987: 85).

უკომპრომისო ცხოვრება არსებობის ურთულესი სახეობაა. რაღაცაზე უარის თქმა საკუთარ თავთან ნებისყოფის უკიდურესი დაძაბვით ხორციელდება. ამდენად, ტანჯვა საკუთარი ნებით იქცევა არსებობის პრინციპად. ეს კი „ხელს უწყობს ადამიანის თავის თავში ჩაღრმავებასა და საშუალებას აძლევს ყოფიერების ახალი განზომილების შესაცნობად, მოსაპოვებლად. ამასთან, თვითჩაღრმავება არის ინდივიდუალური „მე“-ს საზღვრების გაფართოების საშუალებაც“ (მიულერი 1949: 61). ეს კი ადამიანად ქცევის გარანტია და „ქრისტიანი რომ გახდე, ადამიანი უნდა იყო!“ (ვერნერი 1990: 3)

ადამიანის სულიერი ცხოვრების შესწავლის საფუძველზე წმიდა მამები სულს, სამშვინველსა და სხეულს გამოყოფენ (იგივე სამნანილედობა ანუ ტრიქოტომიური მოძღვრება: სული (ბერძნ. Αγρεμά, ῥუს. დუხ, გერ. θέρελε), სამშვინველი (ბერძნ. Τσική; რუს. დუშა; გერ. გაისტ;, სხეული (ბერძნ. სომა), ზოგი მხოლოდ – სხეულსა და სულს (ორნანილედობა ანუ დიქოტომიური მოძღვრება). ამის შესახებ საგანგებოდ მსჯელობს წმ. პავლე მოციქული: „სული თქუენი, სამშვინველი და გუამი უბინოდ მოსლვისა მას უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა დაჰმარხენინ“ (1 თესალ. 5, 23) (უფრო ვრცლად (პალამა 1991: 270-293). სული არის ნიჭი, უნარი ადამიანისა, განასხვაოს უმაღლესი ფასეულობანი – მარადიული და წარმავალი, კეთილი და ბოროტი, სიყვარული და სიძულვილი. თუკი არჩევანი უკვე გაკეთებულია, მაშინ სული ისწრაფვის დამორჩილოს სამშვინველი და სხეული. „ღვთაებრივ სულს ადამიანისას შეეძლო შეცნობა საკუთარი ღვთაებრივი არსისაც და ღვთაებრივი სამყაროსიც“ (გიგინეიშვილი 1997).

როგორც ღვთის ხატი, ადამიანი არის პიროვნული არსება, პირისპირ მდგომი ღვთის წინაშე. ბასილი დიდი შენიშნავდა, რომ ადამიანი არის ქმნილება, რომელმაც მიიღო ბრძანება – გახდეს ღმერთი. „თავისუფლება გვეკუთვნის ჩვენ და ამიტომ ვართ პიროვნებანი. სრულყოფილი ბუნება არ საჭიროებს არჩევანს. მან იცის, რომ სიკეთეა თვით ბუნება, მისი თავისუფლება ეფუძნება ამ ცოდნას“ (ლოსკი 1982: 27).

როდესაც წმიდა შუშანიკის თავისუფლება ბუნებით სიკეთეს დაეფუძნა, მან თითქოს არჩევანიც არ გააკეთა. უბრალოდ, არჩევანის წინაშე დადგა გარეშე ფაქტორისაგან. ეს მოითხოვეს მისგან, თუმცა არა პირდაპირ, არამედ შეფარვით – ღვთის მოშიშ ადამიანს მერყეობა არ შეშვენის და შუშანიკიც „მტკიცედ დგას“.

რადგან ვარსქენიცა და შუშანიკიც თავისუფალი ნების ადამიანები არიან, ისინი, ამავე დროს, პიროვნებებიც არიან. ყველაზე მეტად პიროვნული ინტუიციურად შეიცნობა. ამიტომაც წერს იაკობ ხუცესი, რომ შუშანიკს „უკეთურებისა მის სახისა ქმრისა მისისადასა მარადის გულს ეტყვნ“ (ძეგლები 1964: 11). ადამიანი მით უფრო ემსგავსება პირველხატს, რაც მეტად აღასრულებს ღვთის ნებასა და ამით ეზიარება მარადიულ ჭეშმარიტებას, რადგან გზა სისრულისა და სისავსისაკენ მას ნაჩვენები აქვს იესო ქრისტეს მიერ.

შუშანიკიცა და ვარსქენიც ერთი და იმავე ბუნებისანი არიან და საერთო საწყისი აქვთ, რადგან ორივენი ღვთის მიერ არიან შექმნილნი. ორივე გონიერი არსებაა, რომელთაც, გონებასთან ერთად, მინიჭებული აქვთ ნების თავისუფლება... ორივე მოკვდავი არსებაა, მაგრამ ერთია განსხვავება: შუშანიკი წარმოადგენს გასულიერებულ ხორცს (სხეულს), რომელიც განმსჯელი სულითაა დაჯილდოებული, ვარსქენი კი სოფლის ამაოებათა ტრფიალია, გონებით ბერნი და სულით საჭურისი, განდგომილი, ძე შეცდომილი, უბადრუები, თუმცა „სამგზის საწყალობელი“.

ორ ადამიანში საერთო ბუნების შესახებ წმიდა მამები გვასწავლიან, რომ „საერთო ბუნება მხოლოდ გონებით შეიმეცნება, რადგან ჰიპოსტაზები (ცალკეული პირნი) ერთმანეთში შეურევნელნი არიან და თითოეული ცალ-ცალკე, ე.ი. თავისთავად არსებობს, რის გამოც, თითოეულს აქვს ბევრი რამ ისეთი, რითაც ის სხვებისგან განსხვავდება. ცალკეული ჰიპოსტაზები... განირჩევიან სხვადასხვა ნიშან-თვისებითაც. გონებით, ძალით, სახით ანუ იერით, ზნე-ხასიათით, ტემპერამენტით, ღირსებით, ქცევითა და ყველა სხვა დამახასიათებელით, ყველაზე მეტად კი ისინი იმით განსხვავდებიან, რომ ერთმანეთში შერევნულად (შეერთებულად) კი არ არსებობენ, არამედ ცალ-ცალკე არიან და სწორედ ამიტომ იწოდებიან კიდეც, ვთქ-

ვათ, ორ, სამ თუ მრავალ ადამიანად“ (დამასკელი 2000: 332).

წმ. შუშანიკი გაურბის ურჯულო, განდგომილ მეუღლეს, არ სურს თანაზიარი გახდეს მისი საქმისა. ამიტომაც კითხულობს გაკვირვებული: „მეგონა მე, ვითარმედ იგი ჩემდა მოვაქციო და ღმერთი ჭეშმარიტი აღიაროს და ან მე მაიძულებთ ამას ყოფად?“ წმიდა მარკოზ ეფესელის „პოლოგიაში“, რომელიც მან აღსასრულის უამს წარმოთქვა, ვკითხულობთ: „ჭეშმარიტად მრნამს, რომ რამდენადაც განვეშორები მათ (იგულისხმებიან არამართლმადიდებლები, კერძოდ კათოლიკები – სფ.მ.), იმდენად მივუახლოვდები ღმერთს, ანუ... რამდენადაც განვეყოფი მათ, იმდენად შევუერთდები ჭეშმარიტებას“ (ეფესელი 1991: 312). წმიდა შუშანიკიც ცდილობს დაშორდეს ვარსკენს, რათა სრულიად შეუურყონელმა ადიდოს ცათაგან დაუტევნელი, რათა განდევნოს ეშმაკი ლოცვითა და მარხვითა. ამიტომაც გვგონია, რომ ვარსკენი არის ერთგვარი მუხტი წმინდანისათვის.

შუშანიკი, თანახმად სახარებისა, სიმშვიდითა და მორჩილებით იღებს განსაცდელს, დიდ ტკივილს, /და თუ მრავალი ტანჯვაა მოაწიო ჩემ ზედა/. იმდენად მტკიცეა და ურყევი მისი რწმენა, სულიერი სიმაღლე, რომ თავად უძლური, სხვას (იაკობს) ანუგეშებს: „ნუ სტირ ჩემთვის, რამეთუ დასაბამ სიხარულისა იქნა ჩემდა დამე ესე“; „რამეთუ სისხლი ესე განწმენდელ არს ცოდვათა ჩემთა“ (ძეგლები 1964: 18); „ნუ სტირთ, ძმანო ჩემნო და დანო ჩემნო და შვილნო ჩემნო“ (იქვე: 20-21).

მოთმინების დიდი სათნოებით შემკული დედოფალი თითქოს ღიმილით ეგებება ტანჯვა-წამებას. ვერავინ გაუძლებდა ამას ღვთის შეწევნის გარეშე. III საუკუნის რომაელი ადვოკატი, რომაული აპოლოგეტიკის ფუძემდებელი, მინუციუს ფელიქსი, ჩვენამდე მოღწეულ თხზულება „ოქტავიუსში“ ამბობს: გამარჯვებული ხომ მართლაც ისაა, ვინც თავის დასახულ მიზანს შეეწირა. რომელი ჯარისკაცი არ შეხვდება მედგარ განსაცდელს მხედართმთავრის თვალწინები? – მაგრამ ჯილდოს მანამ ვერ მიიღებს, სანამ არ გამოიცდება. ღვთის ჯარისკაცი კი მარტო არ არის განსაცდელის დროს. არც სიკვდილით მთავრდება მისი არსებობა... ღმერთი თითოეულს გამოცდის, განსაცდელში ამოწმებს ადამიანის დიდსულოვნებას, ბოლო ამოსუნთქვამდე აკვირდება მის კეთილშობილებას. როგორც ოქრო გამოიწრთობა ცეცხლით,

ასევე ჩვენ – განსაცდელით“ (ფელიქსი 1991: 78).

წმიდა შუმანიკმა უნდა აღასრულოს ნება ღვთისა, მაგრამ ღვთის დახმარების გარეშე ეს შეუძლებელია. ღვთის ნების აღსრულება, შენიშნულია ეკლესიის მამათა მიერ, არ იქნება სრულყოფილი მინდობის გარეშე, რადგან ბევრ რამეზე უარის თქმასთანაა დაკავშირებული და ხშირად - ძალზე საგრძნობ ტანჯვასთანაც. ამიტომ ამის ატანა და დათმენა ხდება მხოლოდ და მხოლოდ სრული მინდობით. მინდობა კი ვერ განხორციელდება იქ, სადაც ნაკლები რწმენაა.

ყოველი ადამიანის ცხოვრება გამოცდაა და ზოგჯერ საკმაოდ რთული და მძიმეც კი. საჭიროა ნებისყოფა, სასოება, სიმშვიდე სულისა, რომელიც მიგაახლოებს ჭეშმარიტებას. შუა საუკუნეების ბიზანტიული მისტიკოსი სიმეონ ახალი ღვთისმეტყველი ბრძანებს: „რწმენა გულისხმობს არა მარტო განდგომას ამქვეყნიურ სიამეთაგან, არამედ მოთმინებითა და დიდსულოვნებით ყოველგვარი საცდუნებლის ატანას ტანჯვაში, გაჭირვებასა და უმადურობაში, ვიდრე უფალი არ ინებებს შეწყალებას“ (წმ. სვიმეონი 1991: 22).

რწმენა საფუძველია სიყვარულისა და ზნეობისა. ყველაფერ-თან ერთად, რწმენა გულისხმობს სიკვდილს ქრისტესთვის, მისი მცნებების აღსრულების გზით. ამგვარი სიკვდილი კი დასაბამია სიცოცხლისა. წმიდა შუმანიკი მთელი არსებით ილტვის, ისწრაფვის მარადიულობისაკენ, აღწევს, გავიდეს მიწიდან, სძლიოს საკუთარ თავს, უფრო სწორად, ცოდვასა და ცოდვილს საკუთარ არსებაში. წამებულმა დედოფალმა ღვთიური სიყვარულის მადლი მიიღო, შეუერთდა უსასრულობას და განიპო კრეტსაბძმელი!

მძიმე და ეკლიანი გამოდგა მარტვილის გზა. „ვარსექნმა უარყო ღმერთი და შუმანიკმა უარყო ქმარი. სახელი შუმანიკი (სუსანა) ნიშნავს, „შრომანს“) წმიდა შუმანიკი თეთრი შრომანია, ტანჯვა-წამების სისხლს რომ შეღებავს ფურცლები“ (რაფაელი 1992: 59). გარდა ამისა, „მშვენიერი ყვავილი ებრაულ ენაზე იწოდება „შუმანად“, რაც ნიშნავს „ნათელს“; „ბრწყინვალეს“, „მშვენიერს“. თავის „საბუნებისმეტყველო ისტორიაში“ (ნან. I, გვ. 241) შუბერტი წერს, რომ შრომანი ამქვეყნად ყველაზე მშვენიერი ყვავილია, ერთგვარი ზურმუხტი მცენარეთა სამყაროში, რომლის სილამაზესაც ბრძენი მეფე სოლომონი ყვე-

ლა სხვა ყვავილისაზე მეტად განადიდებდა (საკვირაო სახარებათა განმარტება 2001: 130). „ნამებაში“ ვარსექნ პიტიახშია ის ადამიანი, რომლისგანაც მოდის საცდური, შური, მრისხანება, ამპარტავნობა... მაგრამ „უბადრუკი და სამგზის საწყალობელი“ პიტიახში არ არის მიზეზი საცდურისა. აქ ვარსექნი კი არ მოქმედებს, არამედ ის ცოდვა, რომელიც მასშია. საუფლო სიტყვებს „არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან“ – ასე განმარტავს ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი: „არ უთქვამს, ბოროტაგან მიხსენით, არამედ – ბოროტისაგან, რამეთუ ბოროტი ადამიანები კი არ გვემტერებიან, არამედ ეშმაკი აღაგზნებს მათში ბოროტებასა და ჩვენც და იმათაც უბედურებას გვმართებს“ (ბულგარელი 1992: 103).

ვარსექნი ბუნებით არ არის ბოროტი, არ შეიძლება, ასეთი იყოს, რადგან ბოროტება ბუნებიდან კი არ მომდინარეობს, არამედ თავისუფლებიდან. მართლმადიდებლური სწავლებით, ეშმაკი იმიტომაა ბოროტი, რომ მასში თავმოყრილია ბოროტების უდიდესი რაოდენობა. წმიდა გრიგოლ ნოსელის აზრით, პარადოქსულია ბოროტების არსებობა. ვინც ემორჩილება ბოროტებას, იგი არსებობს არარსებულში, დიადოხოს ფოტიკელის მიხედვით კი „ბოროტება არ არსებობს, ან უფრო სწორად, იგი არსებობს მხოლოდ იმ დროს, როცა მას სჩადიან“ (სხირტლაძე 1992: 11). ბოროტება არ არის პიროვნების ბუნება. იგი ბუნების მდგომარეობაა, ავადმყოფობაა, ადამიანის ნების გარკვეული მდგომარეობაა (ბასილი დიდი, დიონისე არეოპაგელი).

ცხოვრებაში არაფერია შემთხვევითი. ყველგან და ყველაფერში „უფალი სუფევს, მშვენიერება შეიმოსა“. წმიდა შუშანიკი ღვთაებრივმა სიბრძნემ და ძალამ გამოარჩია ამ ტვირთის სატარებლად. მასზე გადმოვიდა სულიწმიდის მადლი და აღივსო ნათლით. ამიტომაც განამშვენა „სულიერითა მით ქნარითა“ საპყრობილე.

ღვთის რჩეულ შუშანიკს უფალმა მიანიჭა იმგვარი წყალობა, განამტკიცა ისეთი ძალითა და განადიდა ისეთი ღირსებით, რომ შეძლო ღვთის სიყვარული აღენთო ქართველებში, განემტკიცებინა მათი რწმენა, მათთვის მხნეობა და სასოება მიენიჭებინა. მოწინებით შეჰყურებდნენ წამებულ დედოფალს „დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი

სოფლისა ქართლისანი... და მიერითგან განითქვა ყოველსა ქა-
რთლსა საქმეც მისი“ (ძეგლები 1964: 27).

მაღალი სულიერობისა და ზნეოპრივი სიმტკიცის ადამი-
ანი, წმიდა შუშანიკი, განუდგა იმას, რაც ასე ხიბლავთ ამა
სოფლის სიამეთა დამონებულთ, დაითმინა ის, რისიც ასე ეშინ-
იათ ღვთის უშიშართა და ძლიერთა ამა ქვეყნისათა. შუშანიკ
დედოფალი თავისი ღვაწლით სულიერ ძალებს მატებს ყოველ
ქართველს. საცნაურია გვირგვინი ქრისტესთვის შენირულისა,
რადგან, როგორც სახარება შეგვაგონებს: „ეგრეთ ბრწყინვე-
დინ წათელი თქუენი წინაშე კაცთა, რამთა იხილონ საქმენი
თქვენი კეთილნი და ადიდებდნენ მამასა თქუენსა ზეცათასა“
(გ. 5, 16).

თავი III

„ნეირა ევსტათი მცხეოლის მარტვილობა“

ამ ძეგლის ღირსებათა აღნიშვნისას სპეციალისტთა უმრავლესობის პოზიცია მეტად თავშეკავებულია. ტექსტში „წარმოდგენილი სხარტი აღნერილობებისათვის უცხოა ტროპული მეტყველება, მოთხრობის ენა „დოკუმენტურია“, ინტონაცია – „საქმიანი““ (ჩხარტიშვილი 1994: 14).

სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს აზრი, რომ „წმიდა ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ კიმენური რედაქციის ჩვენამდე მოღწეული ტექსტი არაა არქეტიცული. ეს უკანასკნელი სპარსოფილური ტენდენციებით გამსჭვალულ ქმნილებას წარმოადგენდათ. ა. ჰარნაკი შენიშნავს: ტექსტში წინააღმდეგობაა ევსტათის მონათვლის ადგილთან დაკავშირებით. ერთი რიგის ცნობების მიხედვით, ევსტათი სპარსეთში ყოფნის დროსვე მონათლულა, მეორე რიგის ფაქტების მიხედვით კი მცხეთაშია ნათელდებული. ეს იმას მოასწავებს, რომ ცნობები ორი რედაქციული ფენიდან მომდინარეობს. ადრეულ ფენას ჰარნაკი სპარსეთში მონათვლის შესახებ ცნობას უკავშირდება. ამავე ფენის კუთვნილებად მიაჩნდა მას ევსტათის მიერ სასამართლოზე წარმოთქმულ სიტყვაში წარმოდგენილი მსჯელობანი „სპარსთა რჩულის“ პრიმატობის, აპრაამის სამშობლოდ სპარსეთის დასახვის შესახებ (ჰარნაკი 1911: 22-23).

იგივე აზრი შემდეგნაირად არის გადმოცემული ი. ჯავახიშვილის მიერ: „მარტვილობაში არაერთხელ არის თთქმის განზრას და ხაზგასმით აღნიშნული, რომ ევსტათი მცხეთაში მოინათლა. მაგრამ ამ გარკვეულსა და დაუინებით მტკიცებას ეწინააღმდეგება თვით ევსტათის მიერ სასამართლოში წარმოთქმული სიტყვები და ცნობა... რომ იგი უკვე სპარსეთშივე სამოელ არქიდიაკონის წყალობით გაქრისტიანებულა და მონათლულა კიდეც... ძეგლის თავდაპირველი დედანი თანამედროვის მიერ უნდა იყოს შედგენილი, მაგრამ შემდეგ, იქნებ

იმავე VI ს-ის დასასრულს ან VII ს-ის დამდეგს მოთხოვბაში ცვლილება შეუტანიათ, რომ ევსტათი მცხეთელი სპარსეთის ეკლესის შეილად არ ყოფილა გამოყვანილი” (ჯავახიშვილი 1977: 66-67).

აკადემიკოსი კ. კეკელიძე არ იზიარებდა ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და წერდა. „ეს ორი, თითქოს ერთი მეორის საწინააღმდეგო ცნობა ასე უნდა გვესმოდეს: ევსტათიმ სპარსეთში, სამოელ არქიდიაკონის კატეხიზატორული მოძღვრებითა და ზეგავლენით, ირჩმუნა ქრისტე, გაქრისტიანდა რწმენით, ხოლო მცხეთაში სამოელ კათალიკოსის ხელით მოინათლა და ფორმალურადაც ქრისტიანი გახდა“ (კეკელიძე 1980: 512).

ამგვარ ახსნას, არსებითად, იზიარებდა ს. ყუპანეიშვილიც, რომელიც შენიშნავდა, რომ ევსტათის თავისუფლად შეეძლო გასცნობოდა სპარსეთში ქრისტიანობას, სადაც ამისი პირობები იყო ხოსრო I-ის დროს (ყუპანეიშვილი 1939: 80).

ბ. კილანავას აზრით, კ. კეკელიძემ ვერ მოხსნა ტექსტში არსებული წინააღმდეგობა, რადგან თხზულების დასაწყისში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ სპარსეთიდან ევსტათი წარმართი მოვიდა “... სპარსეთში ევსტათის გაქრისტიანების ფაქტი ადასტურებს ჩვენება, რომლის უარყოფა არ შეიძლება“ (კილანავა 1980: 234-235).

ბ. კილანავას ვარაუდს წმ. ევსტათის მონათვლის ადგილის შესახებ იმეორებს გ. მამულიაც, ოღონდ იმ შესწორებით, რომ „განჯაში მონათვლისას ევსტათის ნესტორიანობა უნდა მიეღო, ხოლო 341 წელს ქართლში გადმოხვეწილი ევსტათი, ქართველ ქრისტიანებთან ახლო ურთიერთობის გამო, ხელმეორედ მოინათლა, ვინაიდან ქართლის ეკლესის მესვეურნი მწვალებელთაგან მიღებულ ნათელს კანონიერად არ მიიჩნევდნენ“ (მამულია 1992: 150).

მ. ჩხარტიშვილი, ძირითადად, კ. კეკელიძის პოზიციაზე დგას და განმარტავს: „ევსტათის მონათვლის ადგილის შესახებ ცნობებში ძეგლში არავითარი წინააღმდეგობა არ შეინიშნება. თხზულების მიხედვით, ევსტათი მოინათლა მცხეთაში – აზრი ტექსტში ამისი საწინააღმდეგო ინფორმაციის არსებობის თაობაზე ცნობის არასწორი ინტერპრეტაციის შედეგია“ (ჩხარტიშვილი 1994: 20).

იმისათვის, რომ უფრო ცხადი გახდეს ტექსტის არასწორი ინტერპრეტაციის მიზეზი, შევეცდებით, მოვიყვანოთ შესაბამისი ადგილები და სიტყვაზე კონტროლით შევძლოთ, ამოვიცნოთ ჭეშმარიტება.

ნმიდა ევსტათი ვერ მოინათლებოდა სპარსეთში, რადგან:

1. „წარმართი იყო იგი და სახელი ერქუა მას გვრობანდაკ“ (ძეგლები 1964: 30);

2. „მოვიდა იგი ქალაქად მცხეთად... და ხედვიდა იგი რჩულსა ქრისტეანეთასა და მსახურებასა ქრისტისსა და წმიდისა ჯუარისა ძალისა ჩინებასა“;

3. [აქ] მცხეთაში „შეიყუარა მან რჩული ქრისტეანობისად და პრიმენა ქრისტე“;

4. მცხეთაშივე „ითხოვა მან ცოლი ქრისტიანე და თვით ქრისტეანც იქმნა“;

5. მცხეთაში „ნათელი მოილო, ხოლო ნათლის-ცემასა მისსა უწოდეს სახელი ევსტათი“ (ძეგლები 1964: 30).

ეს ყოველივე თხზულების დასაწყისშივე ითქვა. მცხეთა იქცა ევსტათის სულიერი განახლების სავანედ. მცხეთის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ცხადყოფს თხზულების არაერთი ადგილი. ევსტათი ზრუნავს, სიკვდილის შემდეგ მისი ნეშტი აქ დაიკრძალოს: „უფალო... ბრძანე აქავე მოქცევად და დამარხვად მცხეთას, სადაცა ნათელ-მიღების“ (ძეგლები 1964: 35) ან „გევედრები, უფალო... გუამი ჩემი დაემარხოს მცხეთას, სა-დაცა-იგი ნათელი მოვიღე“ (იქვე: 43), ან „ვითხოვ შენ სახიერისგან, რათა არა დაეტევოს გუამი ჩემი აქა, ტფილისს შინა, არამედ რათა დაემარხოს იგი მცხეთას წმიდისა, სადა-იგი შენ გამომიჩნდი“ (იქვე: 44), ან „მსწრაფლ წარიღეთ გუამი ჩემი მცხეთას და მუნ დაპმარხეთ, სადა ნათელ-ვიღე“ (იქვე: 45).

ნეტარი ევსტათი მარზპან არვანდ გუშნასპის მიუგებს: „ხოლო რაჟამს ქართლად შემოვედით და ქრისტეანეთა რჩული ვიხილეთ, ქრისტეანე ვიქმენით“ (ძეგლები 1964: 32-33).

მოყვანილი ადგილებიდან აშკარაა, რომ წმიდა ევსტათი ქართლში, მცხეთაში მოინათლა.

მეორე მხრივ, სპარსეთში ევსტათის გაქრისტიანების ფაქტს უნდა ადასტურებდეს სიტყვები, რომელიც მან ვეუან ბუზმირთან საუბარში წარმოთქვა. მისი თქმით, მას „მამული

რჩული“ არ ჰყვარებია და დაუწყია ძებნა მისი სულის მდგო-
მარეობისათვის უფრო მისაღები რწმენისთვის, ახალი რელი-
გიისათვის: „ესე რჩული არა მიყუარს, ან ჰურიათადცა ვისმინო
და ქრისტეანეთადცა და რომელი უკეთს იყოს, იგი რჩული
შევიყუარო. და დღისი მამად ჩემი მოგუებასა მასწავებნ და ღა-
მელა ქრისტეანეთა დაპრეკიან, ეკლესიად მივიდი და ვისმენდი
უამობასა მას მათსა და ვხედევდი მსახურებასა მას ქრისტე-
ანეთასა, რომელსა ჰყოფდეს ღმრთისათვს. და ჰურიათა თანა-
ცა ბაგინად შევიდი და მათსაცა მას მსახურებასა ვხედავდი.
ხოლო ქრისტეანეთა ღლოცვასა წმად მათი, ვითარცა წმად ან-
გელოზისად, მესმინ და ფრიად სურნელ არს და ჰამო-
ბად მათი... მაშინ ვითარცა გულისხმა-ვყავ და ვცან ყოველი
სამოელ არქიდიაკონისაგან დასაბამითგანი ყოველი, ვიდრე
აქამომდე და მოვიწიე ყოველსა ზედა რჩულსა ჰურიათასა და
ქრისტეანეთასა, მრნმენა მე ღმერთი დაუსაბამოდ და ძც მისი
იესუ ქრისტი და სული წმიდად მისი და ამით ნათელ-მიღებიეს
და ვერვინ განმაშოროს მე ქრისტისგან, ვიდრე სულისა ჩემისა
აღმოსვლამდე“ (ხაზი ჩვენია – სფ. მ.) (ძეგლები 1964: 35, 42).

თითქმის პარადოქსია, ფრაზა „და ამით ნათელ-მიღებიეს“
რატომ შეიძლება გულისხმობდეს წმ. ევსტათის სპარსეთში
მონათვლას?! მთლიანი კონტექსტით ირკვევა, გვირობანდაკი-
სათვის წმიდა სამების (მამის, ძისა და სულიწმიდის) რწმენა გახ-
და საფუძველი (მრნმენა მე ღმერთი...) ნათლისღებისა. „ამით
ნათელ-მიღებიეს“ არ ნიშნავს „სპარსეთს ნათელ-მიღებიეს“.
მართალია, ევსტათის მსჯელობა მოიცავს მის თაგადასავალს,
ქრისტიანობასთან შეხებას სპარსეთში, რომ სამოელ არქიდ-
იაკონისაგან იქ შეიტყო მან „ყოველი ვიდრე აქამომდე“, რომ
თავის სამშობლოში ირჩმუნა მან წმიდა სამება, მაგრამ „ამით
ნათელ-მიღებიეს“ ისე არ გულისხმობს სპარსეთს, როგორც
შემდეგი ფრაზა, მისი გაგრძელება: „და ვერვინ განმაშოროს მე
ქრისტისგან“. „ამით ნათელ-მიღებიეს“ გულისხმობს არა გან-
ძაკში, სპარსეთში ნათლობას, არამედ „წმიდა სამებით ნათელ-
მიღებიეს“. როგორც ნათლობის საიდუმლოს აღსრულების
დროს მოძღვარი დაამოწმებს: „ნათელს იღებს მონა ღვთისა
(სახელი)... სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდის-
ათა“ (კურთხევანი 1996: 128). ასეთი იყო თავად იესოს შეგონე-

ბა მოციქულებისადმი: „წარვედით და მოიმონაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელს სცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“ (მ. 28, 19).

გარდა ამისა, ნეტარი ევსტათის ეს ვრცელი მონათხრობი თავისთავად ადასტურებს მის კათაკმევლობას. მცხეთაში ჩამოსვლამდე იგი გაცნობილი იყო ქრისტიანობას, მონაწილეობდა ღვთისმსახურებაში: ესწრებოდა წირვა-ლოცვას, ერთი სიტყვით, ემზადებოდა ქრისტეს ნათელის მისაღებად, ანუ უკვე კათაკმეველი იყო და უკვე - განწყობილი ნათლობისთვის. „მოსანათლად განმზადებულებს მართებთ სარწმუნოების შესწავლა“ – ასე განაჩინებს ლაოდიკისა და VI მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონები (სჯულის კანონი 2000: 52).

ე. ი. ქართლში, მცხეთაში მოსვლამდე კათაკმეველი ევსტათი მხოლოდ ნაზიარები იყო ქრისტიანობას, მხოლოდ შემეცნების დონეზე ჰქონდა მას ამორჩეული ეს მოძღვრება და მხოლოდ მცხეთაში მოიქცა ქრისტეს რჯულზე, მოინათლა. შემთხვევითი არაა არც ის ფაქტი, რომ ევსტათის წოდებაა „მცხეთელი“, იგი მცხეთელი წმინდანია, რადგან ამ ქალაქს უკავშირდება მისი სულიერი შობა.

„წმიდა ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ავტორი ჩვენთვის უცნობია, თუმცა იყო ცდები მისი ვინაობის დადგენისა. შ. ნუცუბიძემ იგი ასურელ მამათა წრეს, კერძოდ კი, აპიბოს ნეკრესელის სახელს დაუკავშირა. მეცნიერის აზრით, ამის საფუძველს იძლეოდა აპიბოს ნეკრესელისა და ევსტათის ერთგვარი მსჯელობა ცეცხლის სტიქიონის შესახებ, თუმცა შ. ნუცუბიძემ მიუთითა განმასხვავებელ მომენტებზეც (ნუცუბიძე 1956: 277-279).

შ. ნუცუბიძის ეს მოსაზრება განავითარა და განავრცო ს. სიგუამ სპეციალურ მონოგრაფიაში (სიგუა 1986: 175-250).

პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა ბ. კილანავას გამოსარიცხად არ მიაჩნდა, თუმცა გადაჭრით ვერაფერს ამბობდა (კილანავა 1980: 237-260).

აკადემიკოსი კ. კეკელიძე წერდა: „თუმცა ჩვენთვის დაფარულია თხზულების ავტორის ვინაობა, მაგრამ იმაში საკმაოდ ნათლად ჩანს მისი სარწმუნოებრივი იდეოლოგია. ის არის მიმდევარი მონოფიზიტური დოქტრინისა“ (კეკელიძე 1980: 278).

სპეციალურ ლიტერატურაში კარგა ხანია ყურადღება მიექცა ევსტათი მცხეთელის იმ სიტყვებს, რომლებშიც, კ. კეკელიძის აზრით, იკვეთება ავტორის აღმსარებლობა. წმ. ევსტათი ვეუან ბუზმირს განუმარტავს: „ხოლო ღმერთი ტკბილ არს და კაცო-მოყუარე... მოავლინა ღმერთმან ძჲ თუსი ქრისტე სოფლად და შევიდა მუცელსა წმიდისა ქალწულისასა და წორცნი შეისხნა და განკაცნა წმიდისა მარიამისაგან, და საშოვაგან წმიდისა გამოვიდა და ღმრთებაზ წორცით დაიფარა. უკეთუმცა ღმრთებაზ წორცითა არა დაეფარა, კაციმცა ვერ მიეახლა ღმერთსა, რამეთუ მზც ქმნული ღმრთისაზ არს და თუაღნი ვერ შეუდგნეს და სიმრუდც მზისაზ ვერვინ განიცადოს. ღმრთებამცა კაცი ვერ მიეახლა, ამისთვის წორცნი შეისხნა“ (ძეგლები 1964: 38).

როგორც უკვე ითქვა, მოყვანილ ნაწყვეტზე დაყრდნობით კ. კეკელიძე ანონიმი ავტორის მონოფიზიტობას ამტკიცებდა. 1971 წელს ეს აზრი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ო. ჭყონიამ, რომელმაც ეგზეგეტიკური, ჰომილეტიკური, დოგმატიკური, ჰიმნოგრაფიული ლიტერატურიდან მრავალი მაგალითის მოშველიებით აჩვენა, რომ განხილული ადგილი ვერ გამოდგება „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ავტორის მონოფიზიტობის საჩვენებლად (ჭყონია 1971: 186-192).

6. მარისა და კ. კეკელიძის თვალსაზრისს არ იზიარებდა რ. თვარაძეც, რომლის აზრით: „შუა საუკუნეთა ქართული რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნება იმგვარი გზით ნარიმართა, რომელიც თავისითავად გამორიცხავდა მონოფიზიტობის რაიმე აღზევებას კულტურის მაგისტრალურ ხაზს მიდევნებულ სააზროვნო გარემოში“ (თვარაძე 1985: 170).

შ. წუცუბიძე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ნაწყვეტის შინაგანი აზრი წინა პლანზე აყენებს არა ღვთაების განსხეულების პრობლემას, არამედ ადამიანის გაღმერთების იდეას“ (წუცუბიძე 1956: 278).

მ. ჩხარტიმვილიც საეჭვოდ თვლის კ. კეკელიძის დასკვნას და შენიშნავს, რომ VII საუკუნემდე ქართული ეკლესიის დოგმატური პლატფორმა სადაცოა, მხოლოდ VII საუკუნიდანაა უეჭველი მისი ქალკედონიტური ორიენტაცია და, რადგან მას თხზულების ახალი დათარიღება შემოაქვს (VII ს-ის 20-30-იანი

წლები, სტეფანოზ I-ის ეპოქა) დასძენს: „თხზულების ახლებური დათარიღებით a priori მოსალოდნელია, რომ ძეგლის ავტორი მონოფიზიტი არ არის“ (ჩხარტიშვილი 1994: 44).

ჩვენ მიერ მოყვანილი ეპიზოდი „წმიდა ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ყველაზე უფრო თეოლოგიური ნაწილია. აქ გადმოცემულ წმინდა მოძღვრებას მაცხოვრის განკაცების სოტერიოლოგიური არსის შესახებ ემატება ამავე დანიშნულებით აღდგომის წინმსწრები ორი ეპოქალური მოვლენის – შობისა და ნათლისლების ეკლესიოლოგია (დაწვრ. იხ. საეკლესიო ლიტერატურა 2005: 368-392).

ბ. კილანავა თავის წიგნში საუბრობს მონოფიზიტობის შესახებ (კილანავა 1980: 246), ისე როგორც უფრო ადრე კ. კეკელიძე (კეკელიძე 1980: 62) და შემდეგში ვრცლად თ. ჭყონია (ჭყონია 1971: 186-192). ჩვენი მხრივ განვავრცობთ:

მართლმადიდებელი ფორმულა – ქრისტეში ორი ბუნება მკვიდრობს „განუყოფელად და შეურწყმელად“ – ნესატორის ცდომილების – ორი ბუნების ორ პირად მიჩნევის – გამოსასწორებლად შეიმუშავეს და პაექრობისას წარმოიშვა მეორე უკიდურესობა: მაცხოვრის ორი ბუნების შერწყმისა და ერთ ბუნებად წარმოჩნდის შესახებ. ეს არის მონოფიზიტობა, ანუ ერთბუნებიანობა. ერესიარქებად ითვლებიან დიოსკორე და ევტიქი. გამოჩნდის დღიდანვე იგი დაიყო რამდენიმე შტოდიაკობის, პეტროსის, სევეროზის, თეოდოსისა და გაიანეს მოძღვრებათა მიხედვით. მათი საერთო პოზიცია ასეთი იყო: იესო ქრისტე წუთისოფელში მოვიდა ორი ბუნებით, მაგრამ განკაცების, ანუ განსხეულების, უამს საღმრთო ბუნებამ გამოუთქმელად და სასწაულებრივად შეირწყა კაცობრივი და ერთ ბუნებად გამოჩნდა. ღმრთებამ შთანთქა კაცება და, ამდენად, ერთიანი ბუნება ჩასახლდა ქრისტეს გვამში და მოგვევლინა ერთი პიროვნებით, ერთი არსებით, ერთი ნებით (რელიგიის ისტორია 1996: 258-259). მაშასადამე, ქრისტეს სინკრეტული ბუნება აერთიანება ღვთიურსა და ადამიანურს, რომელთაგან მეორემ დაკარგა თვითმყოფადობა და მხოლოდ ღოგიერთ თუ განირჩევა ღვთიურისაგან. აქვე მივდივართ დასკვნამდე, რომ მაცხოვარი, მოსული სოფლად, მხოლოდ ღმერთია, მისი ადამიანური სახე, ცხოვრება და ვნება-მოჩვენებითი, ილუზიური,

არარსებითი (იქვე: 259).

მთელი ეს დავიდარაბა იმით დაიწყო, რომ, ერთხელ, ნესტორთან კამათის დროს, წმიდა კირილე ალექსანდრიელმა თქვა: „მია ფიუსის ტუ თეუ ლოგუ სესარკომენე“ – ღვთის სიტყვის ერთიანმა ბუნებამ ხორცი შეისხა. ეგვიპტელმა ბერებმა ეს წინადადება ანბანურად გაიგეს და წმ. კირილეს გარდაცვალების შემდეგ (414 წ.) შეითვისეს რწმენა, რომ განხორციელების შედეგად მაცხოვარს აღარ შერჩა ადამიანური ბუნება, – კაცება გაითქვითა ღვთაებაში, ამიტომაც, ცხადია, იქსო ყველაფერს აკეთებდა და იქმოდა მხოლოდ ღვთიური ნებით, ზრახვითა და შეგნებით.

451 წელს ქალკედონში მოიწვიეს IV მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელზეც დაგმეს ნესტორიანობაც და მონოფიზიტობაც. კრებამ დაადგინა იქსო ქრისტეს გვამში ორი ბუნების თანაარსებობის, თანამყოფობის დოგმატი, რომლის დედააზრი ასეთია:

ერთი და იგივე პირი, უფალი ჩენი იქსო ქრისტე, არის სრულყოფილი ღმერთი და სრულყოფილი კაცი, ჭეშმარიტი ღმერთი და ჭეშმარიტი კაცი გონიერი სულითა და სხეულით, თანაარსი მამისა ღვთაებით და თანაარსი ჩვენი კაცებით, ყოვლითურთ ჩვენი მსგავსი, ცოდვის გარეშე, შობილი საუკუნეთა უწინარეს მამისაგან ღვთაებით, ხოლო უკანასკნელ უამს – ჩვენთვის და ჩვენი ხსნისათვის მარიამ ქალწული ღვთისმშობელისაგან კაცებით, ერთი და იგივე ქრისტე, ძე, უფალი მხოლოდშობილი ორი ბუნებით შეურწყმელად, შეუცვლელად, განუყოფლად, მამისაგან განუშორებლად განკაცდა ისე, რომ შეერთებით არანაირად არ დარღვეულა ორი ბუნების განსხვავება, არამედ მეტად შეინახა თითოეული ბუნების თავისებურება და გაერთიანდა ერთ პირში, ერთ ჰიპოსტასში, – არა ორ პირად განწვალდა, ანუ გაიყო, არამედ სუფევს ერთი და იგივე მხოლოდშობილი ძე, ღვთის სიტყვა, უფალი იქსო ქრისტე, როგორც ძველი წინასწარმეტყველები გვაუწყებდნენ მასზე და როგორც თვით იქსო ქრისტე გვასწავლის ჩვენ და როგორც გადმოგვცემს მამათა სიმბოლო (რელიგიის ისტორია 1996: 261).

ამ დოგმატს ეწოდება მართლმადიდებელი რწმენის განვრცობის სიმბოლო.

რისთვის დაგვჭირდა ასეთი ვრცელი ექსკურსი?!

კ. კეკელიძე, რომელიც ანონიმის მონოფიზიტობას ამტკიცებს, დასძენს: „დიოფიზიტური მოძღვრებით ქრისტე არ არის მარტო სრული ღმერთი, არამედ, ამავე დროს, სრული კაციც. მან მიირქვა სრული კაცობრივი ბუნება, ერთარსი ჩვენი ბუნებისა, რომელსაც დამოუკიდებელი, სუბსტანციური არ-სებობა ჰქონდა. ზემომოყვანილი სიტყვებით კი (იგულისხმება „წმ. ევსტათის მარტვილობიდან“ შესაბამისი მონაკვეთი – სფ. მ.) მისი ხორცი იყო არა ხორცი სრული ადამიანისა, კაცისა, რომელიც შეურევნელად, შეუცვლელად და განუყრელად იყო გაერთიანებული ღვთაებასთან, არამედ მხოლოდ საფარველი ღვთაებისა. ეს მონოფიზიტური შეხედულებაა“ (კეკელიძე 1980: 513).

წმიდა ევსტათის სიტყვები „ღმრთეებაი წორცითა დაითარა“ არ შეიძლება ჩაითვალოს მონოფიზიტური აღმსარებლობის გამოვლენად, რადგან:

1. აქ არ ჩანს, რომ საღვთო ბუნებამ სასწაულებრივად შეირწყა კაცობრივი და ერთ ბუნებად გამოჩენდა;

2 ფრაზაში „ღმრთეებად ხორცით დაიფარა“ იგულისხმება ქრისტეს განკაცების ერთ-ერთი ასპექტი, რომელიც თავად ანონიმ ავტორს ასე აქვს განმარტებული: „უკუეთუმცა ღმრთაება წორცითა არ დაეფარა, კაციმცა ვერ მიეახლა ღმერთსა, რამეთუ მზც ქმნული ღმრთისა არს და თუაღნი ვერ შეუდგნის და სიმრგუალც მზისა ვერვინ განიცადის. ღმრთეებასამცა კაცი ვერ მიეახლა, ამისთვის წორცნი შეისხნა“ (ძეგლები 1964: 38).

მოყვანილ ნაწყვეტში, ალბათ, საუბარია იმაზე, რომ ღმერთი არის თვალშეუდგამი ნათელი, ნათელი მიუაჩრდილებელი, დაუღამებელი... ხორცი რომ არ შეესხა, ადამიანი ვერ დაინახავდა, ვერ იხილავდა ისე, როგორც „სიმრგულც მზისა ვერვინ განიცადის“, ისე, როგორც მზეს ვერ გაუსწორებ თვალს. ტექსტის ეს ადგილი ნათლის ესთეტიკის გამოძახილია. საღვთისმეტყველო ლიტერატურაში, ჰიმნოგრაფიაში ძალზე ბევრია შედარება ნათელი – ღმერთი. მაგ.:

დაუვსო ნათელი, უზესთაესი ნათელი, ნათელი საუკუნო, ნათელი ჭეშმარიტი, ბრწყინვალე ნათელი, დაუსაბამო და უხი-

ლავი ნათელი, საცნაური ნათელი, წმიდა ნათელი, აბსოლუტური ნათელი, არაღამეული ნათელი, ნათელი მზისთუალისადაც და მისთან.

„უნინარეს მზისა არს სახელი მისი“, ვკითხულობთ წმიდა მეფისა და წინასწარმეტყველის, დავითის, ფსალმუნში (71, 7). ქვეყნად მოსული მაცხოვარი ჩვენივე მსგავსი გახდა, უკეთ რომ შეგვეცნო, უკეთ რომ გვეხილა და გვეგრძნო ბრწყინვა-ლება უზენაესისა. აქცენტი კეთდება იმაზე, რომ მისი თვალშეუდგამი ნათელი ხილული გამხრადიყო, „ღმრთელებად ჭირცითა დაიფარა“.

გარდა ამისა, როგორც მკვლევარი გ. კუჭუხიძე მიუთითებს, ტექსტში საუბარია ქრისტეს განკაცებაზე: „მოავლინა ღმერთ-მან ძლი თვისი და განკაცნა... და განკაცებასა მისსა ნათელ იღო“. ეს მაგალითები იძლევიან იმის საშუალებას, რომ დავასკვნათ: აქ „ღმერთის განკაცებაზეა საუბარი და ეს ფაქტი სრულიად გამორიცხავს ავტორის მონოფიზიტობას“ (კუჭუხიძე 2001: 35).

ლვთაებრივის ხორცით დაფარვა არ გულისხმობს საღმრთო ბუნების კაცობრივთან შერწყმას და ერთ ბუნებად ქცევას. ამ ფრაზაში ლვთაების ხორცშესხმაზე უფროა საუბარი, ვიდრე იმაზე, რომ ეს ხორცი იყო ხორცი არა სრული ადამიანისა, არ-ამედ საფარველი ლვთაებისა (შდრ. ჭყონია 1971: 186-192).

* * *

„წმიდა ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ მხატვრულ ლირსებებზე, როგორც დასანყისშივე შევნიშნეთ, სპეციალურ ლიტერატურაში მეტად თავშეკავებული პოზიცია ფიქსირდება. „წმინდა, ბუნებრივი ქართული სტილი თხზულებისა, დახვენილი, დარბასისლური ენა“ – ასეთია კ. კეკელიძის შეფასება (კეკელიძე 1980: 513).

მ. ჩხარტიშვილის აზრით, ტექსტი სატერეოტიპული და შაბლონურია. „ჰაგიოგრაფიულ კლიშეთა ყოვლისმომცველობა, ტროპიკის არარსებობა ეტყობა „თხზულებას, როგორც ლიტერატურულ მოვლენას, მკვლევართა ერთი ნაწილის თვალში უინტერესოდ აქცევს... ცხადია, რომ ამ ეპოქიდან მოღწეული კულტურული ტექსტისათვის კლიშე არ შეიძლება ნაკლად

ჩაითვალოს“ (ჩხარტიშვილი 1994: 51).

თბზულების მთლიანი მხატვრული სისტემის ანალიზის პრეცენზია ჩვენს გამოკვლევასაც არა აქვს. ჩვენი მხრივ, შევ-ეცდებით ძეგლის სიტყვიერ ქსოვილიში შევიჭრათ და წარმო-ვაჩინოთ მისი იკონოგრაფიული სახისმეტყველება, ის სული-ერი სამყარო, რომელიც ვლინდება და ფიქსირდება „მარტვი-ლობაში“.

„წარმართ იყო იგი და სახელი ერქუა მას გურობანდაკ და დღითა ყრმა იყო იგი ვითარ ოც და ათ წლის“ (ძეგლები 1964: 30).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი „ყრმას“ ასე განმარტავს: „1. ბავშვი, ყმაწვილი. 2. ახალგაზრდა ჭაბუკი“ (ლექსიკონი... 1990: 1016). ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“ მიუთითებს: „ყრმა – წული, ჭაბუკი, მონა, ქალი, ქალა, ვაჟი, მართვე“ (აბულაძე 1973: 468). ზურაბ სარ-ჯველაძის „ძველი ქართული ენის სიტყვის კონაში“ ვკითხუ-ლობთ: „ყრმა – ბავშვი; ახლაგაზრდა; ვაჟი; ყმა“ (სარჯველაძე 2001: 237).

საინტერესო სურათს იძლევა სულხან-საბას „ლექსიკო-ნი ქართული“: „ათხუთმეტის წლითგან ვიდრე ოცამდე ვაჟსა ყრმა და ქალისა ყრმაა“ ეწოდების (ორბელიანი 1991: 360-361). „ათის წლით ათხუთმეტამდე ვაჟსა ნინველი და ქალსა ნინვე-ლა, რომელ არიან ყრა და ყრმაა“. „ვაჟი ათისა წლითგან ვიდრე ათხუთმეტამდე ეწოდების ვაჟსა ყრმა“, აქ წარმოდგენილი მა-სალის მიხედვით, ყრმა არის ა. 15-დან - 20 წლამდე ვაჟი; ბ. 10-დან - 15 წლამდე ვაჟი.

განსხვავება ხუთი წელია. ყოველ შემთხვევაში, 20 წელზე ზევით უკვე ყრმად აღარ იწოდება. „წმიდა ევსტათი მცხეთე-ლის მარტვილობა“ ამ ასაკს ათი წლით გადასწევს და ოცდაათი წლის კაცსაც „ყრმას“ უწოდებს, ეს საინტერესო სიახლეა გან-საკუთრებით დღეს, ამ აჩქარებულ საუკუნეში, როცა ოცდაათი წელი სამუალო ასაკად შეიძლება ჩაითვალოს. „ყმა“, „ყრმა“ და „ჭაბუკის“ შესახებ საგანგებოდ მსჯელიბს კ. კეკელიძე თავის გამოკვლევაში „ბასილ ზარზმელი, ცხოვრება სერაპიონ ზარ-ზმელისა“ (კეკელიძე 1986: 77-79). დებნისეული „ყრმა“ აქ „ჭა-ბუკს“ ნიშნავს. (შდრ.: საეკლესიო ლიტერატურა 2005: 347).

აგიოგრაფი ნეტარი ევსტათის სახეს სხვადასხვა რაკურსით წარმოგვიდგენს. ამისი ნათელი დადასტურებაა თხზულების ერთი ადგილი, როცა „სპარსნი ტოზიკობდეს“, ევსტათისაც შეუთვლიან: „მოვედ და გუერთე შუებასა ამას ჩუენსა, ხოლო ნეტარმან ევსტათი განიცინნა – დასძენს ანონიმი ავტორი – და პრქუა მათ: თქუენი ტოზიკიცა ბნელ არს და თქუენ მეტოზიკ-ენიცა ბნელ ხართ“ (ძეგლები 1964: 30).

სპეციალურ ლიტერატურაში ეს ადგილი კარგადაა გაანალიზებული ხეთისო ზარიძის მიერ. მკვლევარი წერს: „იშვიათია, წამების პერსონაჟი რომ იცინოდეს... იგრძნობა, რომ იგი (ევსტათი – სფ. მ.) ამ გაცინებით ააშკარავებს იმას, რაც კარგა ხანია გულში ჰქონია, შინაგან წინააღმდეგობათა დაძლევით მოუპოვებია, ამაღლებულა და რადგანაც სხვაგვარად არ ძალუძს, უარს ამბობს მაზდეანურ „შუებაზე“, როგორც კაცთა გონებრივი და სულიერი სიბრძლისა თუ სიმდაბლის უბადრუკ გამოვლინებაზე. ამას მყაფიოდ გამოხატავს იგი სიცილით... ძველი მრნამსის გახსენება სირცხვილსა ჰგვრის. „ხოლო მამეულისა ჩემისა რჩულისათვის სიტყუადავე ზარ-მაც და მრცხვენისცა“ – აცხადებს ბოლოს. აი აქედან, ცხადია, თითქოს აღარაფერია იმ სიცილამდე, რომელიც უგუნურ თანამეტომეთა თხოვნაზე წასკდა და რაშიც: „გამოიკვეთა და გამოვლინდა ევსტათის მხატვრული სახე“ (ზარიძე 1985: 5).

სიცილის წინააღმდეგ მიმართული ტრაქტატი ქრისტიანობას არ შეუქმნია. წმიდა იოანე ოქროპირი ბრძანებს: „მე არა ამას გეტყვ, რათა ყოლადვე არა იცინოდი, არამედ რათა არა იყოს სიცილი შენი განტევებულად და განცხრომით კაცთა ბასრობისათვს უგუნურად“ (მამათა სწავლანი 1955: 133). აქედან ნათელი ხდება, რომ წმიდა მამა წინააღმდეგია „კაცთა ბასრობისა“ – ე. ი. დაცინვისა. დიდი სჯულის კანონი კი მიუტევებელ ცოდვად აცხადებს უძლურთა დაცინვას (დიდი სჯულის კანონი 1975: 125). „ამით ქრისტიანობა ემიჯნება ჰომერულ სიცილს, რომლის თვალნათლივი მაგალითია „ილიადას“ ცნობილი ეპიზოდი, სადაც ლმერთები დასცინიან კოჭლ ჰეფესტოს“ (ხალვაში 1998: 27).

სიცილსა და ხუმრობას, რა თქმა უნდა, კრძალავდა სამონასტრო წესები. ეფრემ ასურის თქმით, მოურიდებელი სი-

ცილით ბერის სულიერი გახრნა იწყება (ქრისტიანული...1930: 121). განდეგილური ცხოვრების განმკანონებელი დიდი ანტონი ბერებს მოუწოდებდა, მაქსიმალურად შეეკავებინათ თავი ხუმრობა-გართობისაგან (იქვე: 125), იგივე აზრია გატარებული „იოანესა და აფთიგიმეს ცხოვრებაში“, როცა საუბარია ტიპი-კალურ ნაწილზე (ძეგლები 1967: 72-75).

„ნამების“ უანრის თხზულებებში არ გვხვდება სიტუაციის კომიკურად გააზრების შემთხვევები. მარტვილოლოგიური ლიტერატურა სიცილ-ხარხარისთვის ადგილს არ ტოვებდა. არც ის არის გასაკვირი, რომ წმიდა წერილში უფრო ხშირია „სიცილი უგუნურისა“, ვიდრე „მართლისა“ (ბიბლიური ლექსიკონი 1974: 1072).

ბიბლიაში ელია წინასწარმეტყველი დასცინის ცრუ ღმერთებს (III მეფ. 18,27), ასევე იქცევა ბარუქი, ხოლო მაჟაბელი მოწმები დასცინიან მდევნელებს (II მეფ. 7,39).

ჩვენი აზრით, „ნეტარმან ევსტათი განიცინნა“ ბიბლიურ კონტექსტში ჯდება და არ გულისხმობს სიცილ-ხარხარს, აქ მას უფრო „განბასვრის“ მნიშვნელობა აქვს, უფრო დაცინვას შეესატყვისება. ეს, შესაძლებელია, არ ჩაითვალოს სიტუაციის კომიკურად გააზრების შემთხვევად. ბიბლიიდან მოვიხმობთ ელია წინასწარმეტყველის მიერ ცრუ ღმერთების დაცინვის ეპიზოდს: „უთხრა ელიამ ბაალის წინასწარმეტყველთ: ამოირჩიეთ რომელიმე კურატი, პირველად თქვენ გაამზადეთ, რადგან ბევრნი ხართ. ახსენეთ ღმერთის სახელი, ოღონდ ცე-ცხლი არ შეუნთოთ. გამოიყვანეს კურატი, რომელიც მისცა მათ და გაამზადეს. დილიდან შუადღემდე ახსენებდნენ ბაალის სახელს და უხმობდნენ: ხმა გაგვეც, ბაალ! მაგრამ არც ხმა იყო და არც პასუხი. ტიროდნენ სამსხვერპლოს წინ, რომელიც გამართეს. შუადღისას დაუწყო მათ დაცინვა ელიამ: მაგრად დაუყვირეთ, რადგან ღმერთია იგი! ფიქრშია ალბათ, ან ვაი თუ რამე უჭირს, ან გზაში იყოს. იქნებ სძინავს და გაიღვიძებს“ (III მეფ. 25-27).

როგორც ელია წინასწარმეტყველი დასცინის ბაალის კერპის მსახურთ, მათს რიტუალს, ასევე წმიდა ევსტათი განბასრავს თავის თანამოძმეთ: „თქუენი ტოზიკიც ბნელ არს და, თქუენ მეტოზიკენიც, ბნელ ხართ“.

ნეტარი ევსტათი თხზულებაში ძალიან ხშირად იმეორებს: „მე მამული რჩული არა მიყუარდა“ და „მსოფლმხედველობითი ძიებით შეპყრობილი ჭაბუკი, რომელიც ეცნობა სხვადასხვა რელიგიურ სისტემებსა და დაპირისპირების შედეგად ირჩევს ქრისტიანობას“ (ბარამიძე 1990: 32), გადმოგვცემს: „ესე რჩული არა მიყუარს... და რომელი უკეთოს იყოს, იგი რჩული შევიყუარო და დღისით მამა ჩემი მოგუებასა მასწავებნ და ლამელა ქრისტეანეთა დაპრეკიან, ეკლესიად მივიდი და ვისმენდი ჟამობასა მას მათსა“ (ძეგლები 1964: 35).

ამ მონათხრობში არის ერთგვარი კომიზმი. ჯერ ერთი, ევსტათი, თვითშეგნების იმ ეტაპზე, როცა საკუთარი რჯული და რელიგია ვერ შეიყვარა და ახლის ძიებაშია, ადვილი წარმოსადგენია, როგორი რუდუნებითა და გულისყურით მოისმენდა მამის მოძღვრებას. მეორეც, იგი საკუთარ რელიგიასა და სხვა რელიგიებს შორის კი არ აკეთებს არჩევანს, როცა ამ სიტყვებს ამბობს, არამედ ქრისტიანობასა და იუდაიზმს შორის, რადგანაც თავად შენიშნავს: „ესე რჩული არა მიყუარს, ან ჰურიათადცა ვისმინო და ქრისტეანეთადცა და რომელი უკეთოს იყოს, იგი რჩული შევიყუარო და დღისი მამა ჩემი მოგუებასა მასწავებნ“... ამ ფრაზის კვალიბაზე, იქნებ, ისიც სავარაუდო იყოს, რომ წმ. ევსტათის მამა უკვე გრძნობდა და ამჩნევდა შეილის მსოფლმხედველობით პრობლემებს და, თავის მხრივ, აორკეცებდა ქადაგებასა და სწავლებას, რომ მამაპაპეული გზიდან არ გადაცდენილიყო და „ბუნებითი რჩულისთვის“ არ ელალატა გვირობანდაკს.

„მარტვილობად ევსტათი მცხეთელისაა“ ათი მცნების ე. წ. ქართულ ვარიანტს გვთავაზობს. „წმიდა ნინოს ცხოვრებაში“ გადმიცემული ქართული დეკალოგი საგანგებოდაა შესწავლილი სპეციალურ ლიტერატურაში (პატარიძე 1992: 17-21). თავის დროზე ჯერ კიდევ ა. ჰარნაკმა მიაქცია ყურადღება „მარტვილობაში“ ბიბლიის შინაარსის გამოყენებას. სამოელ არქიდიაკონი, ებრაელთა რჯულისა და ქრისტიანობის გაცნობის მიზნით, ევსტათის მოუთხრობს ძველი და ახალი აღთქმის ისტორიას. სამოელის მონათხრობს ნეტარი ევსტათი, თავის მხრივ, უყვება ვეუან ბუზმირს. „შინაარსი ამ ისტორიისა ზუსტად არ უდგება კანონიკურ წიგნთა შინაარსს, განსაკუთრებით

ეს უნდა ითქვას სახარების შესახებ. პროფ. ა. ჰარნაკი, რომელიც ამ საკითხს შეეხო, ფიქრობდა, რომ ავტორს სახელმძღვანელოდ აქვს აღებული დეკალოგის გადმოცემისას ცნობილი „დიდახე“, ხოლო სახარების ამბებისა – ტატიანეს (II ს.) „დიატესარონი“ (კეკელიძე 1980: 514). კ. კეკელიძე ფიქრობდა, რომ აქ უფრო „თარგუმებთან“ შეიძლება გვქონდეს საქმე, როგორც ამას ნ. მარი ვარაუდობდა (ჩხარტიშვილი 1994: 14). ჩვენს მიზანს ამ საკითხის კვლევა არ წარმოადგენს. „მარტვილობის“ დეკალოგი გვაიწერესებს იმდენად, რამდენადაც მასში წარმოჩნდება აგიოგრაფის უპირატესი საფიქრალი, ნეტარი ევსტათის ცხოვრების უმთავრესი ქრისტიანული დოგმა. თბზულებაში ეს მცნებები არ არის მუხლებად წარმოდგენილი და ათზე მეტი გამოდის. ჩვენ შევეცდებით ეს ტექსტი ათ „მცნებად“ წარმოვადგინოთ:

1. პირველი მცნებაა ესრეთ: შეიყუაროთ უფალი ღმერთი თქუენი ყოვლითა გულითა თქუენითა და ყოვლითა სულითა თქუენითა და ყოვლითა გონებითა თქუენითა (მ. 22,37);

2. და მერმე ესე: ნუ კაც-ჰკლავ (გამოსლვ. 20, 15);

3. ნუ იპარავ (გამოსლვ. 20,2);

4. ნუ ისიძავ (გამოსლვ. 20,3);

5. ნუ გული გითქუამს ცოლსა მოყუასისა შენისა (გამოსლვ.);

6. ნუ ცილსა ჰეფუცავ (მ. 5,33);

7. ნუ ცილსა სწამებ, ნუ ორსა სიტყუასა იტყვ (ზირაქ.);

8. თავ უყავ მამასა შენსა და დედასა შენსა;

9. შეიყუარე მოყუასი შენი ვითარცა თავი თვსი (მ. 22,39);

10. შაბათი ჩემნი დაიმარხნეთ, დღესასწაულნი და შესაწირავნი და უქმნელებანი აღასრულენით (ძეგლები 1964: 37).

როგორც ცნობილია, „დიდაქე“ არის მოძღვრება თორმეტი მოციქულისა წარმართთა მიმართ და, როგორც ჰარნაკი წერდა, მასთან კავშირი, მართლაც, საგრძნობია. „დიდაქე“ ასე იწყება: „გზა არის ორი: ერთი სიცოცხლისა და ერთი სიკვდილისა. ამ ორ გზას შორის დიდი სხვაობაა. სიცოცხლის გზა ამგვარია: პირველად შეიყუარე ღმერთი, შემოქმედი შენი... მოძღვრების მეორე მცნება: არა კაც კლა, არა იმრუშო, არ მიეცე მამათმავლობას, სიძვას, პარვას... ნუ მისცემ ამაო ფიცს“ (დიდაქე

1997: 60-61). როგორც ვხედავთ, „მარტილობაში“ წარმოდგენილი ათი მცნების თანმიმდევრობა ემთხვევა „დიდაქეს“ მოძღვრებისას. მაგრამ სრულიად სხვაგვარია ბიბლიური ათი მცნების რიგი:

1. მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვნენ შენდა ღმერთი უკხონი, ჩემსა გარეშე;

2. არა ჰქმნე თავისა შენისა კერპნი, არცა ყოვლადვე მსაგავსნი, რაოდენი არს ცათა შინა ზე და რაოდენი არს ქუეყანასა ზედა ქუე და რაოდენი არს წყალთა შინა ქუეშე ქუეყანისა. არა თაყუანის-სცე მათ, არცა მსახურებდე მათ;

3. არა მოილო სახელი უფლისა ღმრთისა შენისად ამაოსა ზედა;

4. მოიქსენე დღლი იგი შაბათი და წმიდა ჰყავ იგი: ექუს დღე იქმოდე და ჰქმნე მათ შინა ყოველივე საქმე შენი, ხოლო დღლი იგი მეშუიდე შაბათი არს უფლისა ღმრთისა შენისად ;

5. პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყვნე ქუეყანასა ზედა;

6. არა კაც-ჰყლა;

7. არა იმრუშო;

8. არა იპარო;

9. არა ცილი-სწამო მოყუასსა შენსა წამებათა ცრუითა;

10. არა გული გითქუმიდეს ცოლისათვის მოყუასისა შენისა, არა გული გითქუმიდეს სახლისა თვეს მოყუასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვეს, რადცა იყუეს მოყუასისა შენისა (გამოსლვათა, 20, 2-17).

მცნებათა თანმიმდევრობას თუ გამოვრიცხავთ, აღმოჩნდება, რომ „წმიდა ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“ წარმოდგენილი ათი მცნება თანხვედრია ბიბლიური დეკალოგისა. „მარტვილობის“ ტექსტში არ ჩანს ბიბლიური ათი მცნების I-II მუხლების გამოძახილი. ანონიმი ავტორი სახარებიდან ახალი აღთქმის უმთავრეს მცნებას დაუმატებს და დეკალოგის I-II მცნებების სანაცვლოდ ჩასვამს, ოლონდ „მარტვილობის“ ტექსტში სახარებისეული მცნებები პირველ და მეცხრე მუხლებად (პირობითად) წარმოგვიდგება. მათეს სახარება მოგვითხრობს, რომ ერთმა სჯულის მოძღვარმა, გამოცდის მიზნით, ჰკითხა

იესოს: „მოძღვარ, რომელი მცნება უფროს არს შჯულსა შინა? ხოლო იესო ჰრქუა მას: შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა. ესე არს დიდი და პირველი მცნება და მეორე, მსგავსი ამისი. შეიყუარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (მ. 22, 36-39).

ძალიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ საკვლევ ტექსტში წარმოდგენილი სწავლება იწყება ქრისტიანობის უმთავრესი და უდიდესი მცნებით. ასეთი დასაწყისი იმასაც შეგვაგრძნობინებს, რომ კანონს ცვლის მადლი, ჯერ უფლის სიყვარული უნდა შეიძინო და რჯული მერე აღასრულო ან უკეთ რომ ვთქვათ, თუ სიყვარულს ვერ შეძლებ, ვერც მცნებებს დაიცავ. ქართველმა აგიოგრაფმა ასე გაამთლიანა ძველი აღთქმისეული კანონი და ახალი აღთქმის მადლი. იესო გვასწავლის, რომ ღვთის სიყვარული სანახევროდ არ შეიძლება: გული, სული და გონება ერთნაირად უნდა ჩაერთოს ამ აქტში და თუ შეიყვარებ, მცნებასაც აღასრულებ, „ხოლო მცნებათა აღმსრულებელს უყვარს ღმერთი. ასე რომ, ეს ორი მცნება (ღვთისა და მოყვასის სიყვარული – სფ. მ.) ერთიანდება, ერთმანეთს ამაგრებს და შეიცავს თავისში ყველა სხვა მცნებას. რომელი კაცი იქუდებს, თუ ის არის ღვთისა და მახლობელის მოყვარე ან გულში ჩაირჩენს ბოროტს, ან კაცს მოკლავს, ან იმრუშებს, ან ისიდვებს?“ (ბულგარელი 1992: 91-92).

წმიდა ევსტათის ცხოვრება ქრისტესა და ქრისტიანობის განსაკუთრებულ სიყვარულს ღალადებდა. ამის დასტურია თავად თხზულება, რომელშიც აქვარადა აქცენტირებული და კონცენტრირებული ეს უმთავრესი მოტივი, მაგ.:

„შეიყუარა მან რჩული ქრისტეანობისა და ჰრწმენა ქრისტე“; „არა ხოლო თუ ტანჯვად ვარ ქრისტის სიყუარულისათვს, არამედ სიკუდილისაცა თავი ჩემი არა მეწყალის“ (ძეგლები 1964: 32); „რომელიმცა რჩული უნმიდც იყო, იგიმცა შევიყუარე“ (იქვე: 36); „ამიერითგან ვერვინ განმაშოროს მე სიყუარულსა შენსა და სარწმუნოებასა და სურვილსა“ (იქვე: 43); „შენ მხოლოდ უფალი შეგიყუარე და სახელისა შენისათვს ესერა თავი წარმეკუეთების დღეს“ (იქვე: 44).

ქრისტესა და ქრისტიანობის განსაკუთრებული სიყვარული

ჩანს მაშინაც კი, როცა ნეტარი ევსტათი ასეთი ხაზგასმით შენიშნავს, თანაც არაერთხელ:

„ხოლო მე მამული რჩული არა მიყუარდა“ (ქეგლები 1964: 35).

„ესე რჩული არა მიყუარს, ან ჰურიათადცა ვისმინო და ქრისტეანეთადცა, და რომელი უკეთოს იყოს, იგი რჩული შევიყუარო“ (იქვე: 35).

ქრისტიანობა სიყვარულის რელიგიაა, თავად ქრისტეა სიყვარული, როგორც ბრძანებს წმიდა იოანე ღვთისმეტყველი (4, 16). სიყვარულმა შეგვქმნა, სიყვარულით და სიყვარულისთვის გავჩნდით და სიყვარულივე დაგვაპრუნებს დაკარგულ სამოთხეში. ქრისტესმიერი სიყვარულის აპოლოგია „წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“. ნეტარი ევსტათის არჩევანი სიყვარულით განისაზღვრა (რომელიმცა რჩული უწმიდე იყო, იგიმცა შევიყუარე), სიყვარულმა მისცა სულიერი ძალები და სიყვარულმა დაუმკვიდრა ზეციური სასუფეველი.

ამდენად, „წმიდა ევსტათი მცხეთელის მარტვილობისეული“ ათი მცნების პირველივე მცნება ახალი აღთქმის უპირველეს შეგონებას ეფუძნება. ბიბლიური დეკალოგისაგან განასხვავებით, მასში ჩართული ორი მცნება ახალი აღქმისეულია და ორივე სიყვარულის, როგორც უმაღლესი სიბრძნისა და სიკეთის, „სამოღვაწეო პროგრამაა“.

„წმიდა ნინოს ცხოვრების“ ქართული დეკალოგი და „წმიდა ევსტათი მცხეთელის მარტვილობისეული“ ათი მცნება, „წმიდა იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ სწავლანთან ერთად, ქართული ქრისტოლოგიის საფუძვლებს ქმნიან (სირაძე 1992: 53-54).

ნეტარი ევსტათის შესახებ ვკითხულობთ: „ხედვიდა იგი რჩულსა ქრიტეანეთასა და მსახურებასა ქრისტისასა“. აქ ნათლად იკვეთება მისი ღვთისმოსაობის მასშტაბი, რადგან გრამდეს არ ნიშნავს, ეკლესიურად ცხოვრობდე. ქრისტიანობა სხვაგვარად განსაზღვრავს რწმენის გამოვლენას. ქართულ აგიოგრაფიაში „ქრისტიანი მხოლოდ მართლმადიდებელს, ანუ ისეთ მორწმუნეს ეწოდება, რომელიც ჭეშმარიტ ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებს, ეკლესიის წმიდა საიდუმლოებებში მონაწილეობს და კეთილმსახურებით ცხოვრობს“ (ჰაგიოგრაფიის ღვთისმეტყველება 1997: 7).

რწმენა პირველი ეტაპია, შემდეგ მოდის ქმედება, აღ-

სრულება, მსახურება, საქმე. თავად წმ. ევსტათი ბრძანებს: „მე ქრისტე მრნამს და ქრისტეს მსახურებასა შინა ვარ“. რწმენა და მსახურება, რწმენა და საქმე – ასეა გამთლიანებული „მარტვილობაში“. ეს აზრი ახალი აღთქმის გავლენის შედეგია. იაკობ მოციქული თავის ეპისტოლეში ვრცლად მსჯელობს რწმენისა და საქმის მთლიანობის შესახებ და დასკვნის: „სარწმუნოება თვინიერ საქმეთასა მყუდარ არს“ (იაკ. 2,26).

ქრისტეს მსახურებაში მყოფი ნეტარი ევსტათი (და ცხონდებოდა წმიდა ევსტათი ქრისტეანობასა შინა და სათნოებასა ქრისტესა) ქრისტიანობის აპოლოგიას წარმოთქვამს. იგი „უსტამ ციხისთავისა მცხეთელის“ წინაშე იტყვის:

„უფროვს არს ყოველსა რჩულსა ქრისტეანობაო“.

ამის შემდეგ, თბილისში, არვანდ გუშნასპს მიმართავენ საკუთარი რჯულის უარმყოფელნი და ქრისტიანობაზე მოქცეულნი სპარსელნი: „ქრისტეანეთა რჩული წმიდა და სურნელ არნ და ფრიად კეთილ და შუენიერ არს, ხოლო სხუად რჩული ვერ ესწორების რჩულსა ქრისტეანეთასა“ (ძეგლები 1964: 33). ან „ქრისტეანეთა ლოცვასა წმად მათი, ვითარცა წმად ანგელოზისად, მესმინ და ფრიად სურნელ არს და ჰამო ჟამობად მათი“ (იქვე: 35-36).

ლოცვასა წმად მათი... ეს ფრაზა ადასტურებს ქრისტიანული ღვთისმსახურების, ლიტურგიის განსაკუთრებულობას. „ჰამო ჟამობად“ და ლოცვის ხმა „ვითარცა წმად ანგელოზისად, ფრიად სურნელ არს“. აქ გამოვლენილია ნეტარი ევსტათის დამოკიდებულება ქრისტიანული რელიგიის უნივერსალიზმისადმი. სასიამოვნო (ჰამო) ჟამობა და წმად ანგელოზისად – ქრისტიანთა ლოცვის ხმა – სურნელოვანია. ჩვენ მიერ წარმოდგენილ მონაკვეთებში შენიშნულია, რომ ქრისტიანობა მშვენიერია, ქრისტიანობა სურნელოვანია! ეს არის ესთეტიკური აზროვნების ბრნყინვალე ნიმუში. გარდა იმისა, რომ რჯული არის „წმიდა, ფრიად კეთილი“, ის სურნელოვანი და მშვენიერია. ზეცით მოსული რელიგიის სიდიადე, ჭეშმარიტება და სიწმინდე ისეა განცდილი, ისეთ პლანშია მოწოდებული და იკონოგრაფიული სახისმეტყველების იმდენად ამაღლებულ სახეს ქმნის, რომ თავისთავად ცხადი ხდება ანონიმი ავტორის მხატვრულ-ესთეტიკური მრნამსიც.

თხზულებაში მოგვობა ულმერთობად ცხადდება. ნეტარი ევსტათი ბრძანებს: „უფროვს არს ყოველსა რჩეულსა ქრისტი-ნობად, ვიდრე ულმრთოებად“, ან „მას უამსა ეშმაკი შეუხდა გულსა ბახდიადსაა და პანაგუშნასპისსა და უვარ-ყვეს ქრისტი და ულმრთოება აღიარეს“ (ძეგლები 1964: 33).

ანონიმი აგიოგრაფის „მარტვილობად ევსტათი მცხეთელი-საა“ თავისი მხატვრულ-ესთეტიკური და რელიგიურ-დოგმატი-კური ასპექტით უაღრესად საინტერესო ქმნილებაა, რომელშიც ასახული სულიერი სამყარო უფრო მეტ საფიქრალს გვიჩენს.

საქართველოს სამოციქულო-მართლმადიდებელი ეკლე-სია წმ. ევსტათის ხსენებას 11 აგვისტოს (ახ. სტილით) აღას-რულებს. მასზე შექმნილ კონდაკში კვითხულობთ: „მტკიცედ მოიგო კეთილმდგომარეობისა სახელწოდებად უძლეველმან მოწამემან ევსტათი, რომლითა სიმხნით ეკვეთა სპარაზენსა, უხილავთა მბრძოლთასა, და ყოვლითურთ შემუსრნა სიმტკი-ცენი მათნი, ეპა, გამოუთქმელთა მათ განგებისა საღმრთოთა კავშირთა, რამეთუ ესევითარი საფასე სიმხნისა სათნო იყოფის დადებად კეცის ჭურთა შინა მხოლოდსა მის მიერ მეცნიერისა დაფარულთასა“ (ჟამნი 1899: 496). აქ საგანგებოდაა ხაზგას-მული და აქცენტირებული ის სულიერი შემართება და შეუ-დრეკელობა, რომლითაც იგი გამოირჩეოდა. სახელი ევსტათი განმარტებულია, როგორც „მტკიცედ მდგომი“ (წმინდანის სახელს... 2005: 104). ქრისტესთვის მსახურების გზაზე ჭეშ-მარიტებისა და სამართლიანობის აღდგენის დიადი მიზნით შთაგონებულმა ევსტათიმ შეუძლებელი შეძლო და თავისი ცხოვრებით კიდევ ერთხელ გვაჩვენა ცოცხალი მაგალითი რწმენას შენირული ცხოვრებისა.

IV თავი

ორანე საბანისძის „წმიდა აპოს წამება“

„წამებად წმიდისა და წეტარისა მოწამისა ქრისტისისა ჰაბოვსი“ იწყება სამოელ ქართლის კათალიკოსის ეპისტოლით. თვითონ ფაქტი, ბარათში მოქცეული განცდა, – წერილი, უსტარი, ეპისტოლე, – იმთავითვე აღძრავს სხვაგვარ განცდებს, მით უფრო მაშინ, როცა წერილის უკან უმაღლესი სასულიერო პირი დგას. თუ წარმოვიდგენთ იოანე საბანისძის განცვიფრებას, სიხარულსაც და დაუცხრომელ ინტერესს წერილის შინაარსისადმი, მაშინ ადვილი გახდება თვით ამ ეპისტოლეთა თხზულებაში შემოტანის ემოციური დანიშნულება. ხომ შეიძლებოდა ძირითად ტექსტს არ დართვოდა ეს ისტორიული მიწერ-მოწერა?! მაგრამ ამით ნათელი უნდა გახდეს და გაირკვეს არა მარტო „ჭეშმარიტება“ და „უტყუელობა“ „წმიდა აბოს მარტვილობისა“, არამედ უფრო დიდი – რისთვისაც ეს ფაქტი უნდა დაფიქსირდეს.

თუ შინაარსის დონეზე დავალთ, კათალიკოსის ეპისტოლე მარტივია. იგი სთხოვს იოანე საბანისძეს: „ქელ-ყავ გამოთქუმად სრულიად ჭეშმარიტად, ვითარ-იგი იყო და ვითარცა შენ თკო უწყი და აღწერე მარტვილობად წმიდისა მოწამისა ჰაბოვსი და აღწერილი ჩუენ მოგვძლუანე“.

თუ რა თეოლოგიური, ისტორიული მოტივი უძევს საფუძვლად კათალიკოსის წერილს, ამის შესახებ ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ. ამჟამად იმ ინტონაციურ ტეხილებს გავყვეთ, რომელსაც ეპისტოლე ქმნის.

წერილი იწყება მოეკითხვით, უაღრესად მშვიდი, განწანას-წორებული და აკადემიური სტილით. „მე, სამოელ ქრისტის მიერ ქართლისა კათალიკოზი“... შეიძლება, ასეთი დასაწყისი ზედმეტად ოფიციალურადაც კი მოგვეჩვენოს და ისიც გვაფიქრებინოს, რომ მას სიმკაცრის ტონი დაჰკრავს, მაგრამ ეს არ იქნება სწორი აღქმა, სწორი წაკითხვა, რადგან წერილი

გრძელდება სიტყვბით: [მე]... უფალსა იოვანეს საპანის ძესა, სულიერად შვილსა წმიდისა კათოლიკე ეკლესიისასა და საყუარელსა ჩუენსა, ლოცვით უფლისა მიერ მოგიკითხავ“ (ძეგლები 1964: 46).

ამ შინაარსში ვერ ამოკითხავთ ვერაფერს, გარდა ღირსეული ადამიანის ღირსეული ჟესტისა. სიმარტივე, რომელიც აკადემიზმს ქმნის, ასეთი დასაწყისის შედეგია. შეუძლებელია, იოანე საპანისძე სასულიერო პირი იყოს და კათალიკოსმა მას ეკლესის სულიერი შვილი უწოდოს (შდრ. კილანავა 1990: 49). სასულიერო პირებს შორის მიმართვისა და მოკითხვის ასეთი ფორმა, საეკლესიო ეტიკეტის მიხედვით, მიუღებელია. თუ ეკლესის საჭეომპყრობელი შესაბამისად იერარქიისა, „პატიოსანო“, „ღირსო“, ან „მაღალღირსო“ მამაოთი“ არ მიმართავდა, „მამაოს“ მაინც უწოდებდა, იოანე საპანისძე დიაკონი ან მოძღვარი რომ ყოფილიყო (დაწვრ. იხ. ზარიძე 1997:). ქართულ აგიოგრაფიაში ვერ მოვძებნით ვერც ერთ პასაუს, სადაც სასულიერო პირები, მიუხედავად იერარქიისა, ერთმანეთს „კათოლიკე ეკლესიის საყვარელ სულიერ შვილად“ მოიხსენიებდნენ ან მიმართავდნენ. ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ამ საკითხის საგანგებო კვლევა. მას აქ ვეხებით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც „წერილის“ სტილური ანალიზი მოითხოვს, რასაც ის სულიერი არეალი წარმოაჩენს, რომელიც ტექსტში ფიქსირდება. გარდა ამისა, წმიდა კათოლიკე ეკლესიის სულიერი და საყვარელი შვილი შეიძლება იყოს საერო და არა სასულიერო პირი. თუ იოანე საპანისძე მოძღვარია, იგი თავად არის მწყემსი ეკლესიის სულიერ და საყვარელ შვილთა. ამიტომაა საეჭვო, ასეთი ფორმით მიემართა კათალიკოსს მოძღვრისათვის. „ეს ტონი უფრო შეშვენის საერო პირს და ისიც საზოგადოებრივი იერარქიის კიბის არა დაბალ, არამედ მაღალ საფეხურზე მდგომს.... სასულიერო პირს, საეკელესიო სფეროში მიღებული ეტიკეტით, უწოდებენ ეკლესის „სულიერად მწყემსს, მამას“ და არა „შვილს“ (ონიანი 1955: 34).

არა გვგონია, კათალიკოსის მოკითხვასა და ლოცვა-კურთხევაში: „მშვიდობად იყავნ შენ ზედა და ყოველთა სახლისა შენისა კრებულთა ქრისტის მიერ“ (ძეგლები 1964: 46). – „სახლი“ ან „კრებული“ ეკლესიასა და იოანეს მრევლს მიუთითებდეს. აქ

იგულისხმება იოანეს ოჯახი, რომელსაც ლოცავს კათალიკოსი „ყოველთა სახლისა შენისა კრებულთა ქრისტის მიერ“. ზოგ ხელნაწერში იკითხება: „ყოვლისა სახლსა შენსა“ – (C) „კრებულთა + სახლისა შენისათა“ (C) როგორც აკად. კ. კეკელიძე დაასკვნის. „იოანე სახლის, ოჯახის უფროსი ყოფილა“ (კეკელიძე 1986: 34).

როგორც ჩანს, იოანე საპანისძე თავისი დროის მკვეთრად გამორჩეული ფიგურა იყო – „ღმრთისმიმადლებული მეცნიერებით“, როგორც კათალიკოსი მიმართავს, და ამით არის განპირობებული ეკლესიის საჭეთმცყრობელის ასეთი მოკრძალებული და განონასწორებული ტონი.

სამოელ ქართლის კათალიკოსის წერილი არის რეალური ფაქტი და დასტური იმისა, რომ აგიოგრაფია ეფუძნება ლიტურგიულ-ეორტალოგიურ პრინციპს; რომ ჯერ უნდა მოხდეს კანონიზაცია, ანუ წმინდანად შერახცვა, შემდეგ ეორტალოგიურ კალენდარში დაწესდეს მისი მოხსენების დღე, დაინეროს ხატი, ტროპარ-კონდაკი და შეიქმნას აგიოგრაფიული თხზულება.

სამოელ ქართლის კათალიკოსის ეპისტოლე იმის დასტურიცაა, რომ აგიოგრაფიული ქმნილება „ჭეშმარიტი და უტყუელია“: „წელ-ყავ გამოთქუმად სრულიად ჭეშმარიტად“ (ძეგლები 1964: 47).

და კიდევ ერთი: იოანე საპანისძის თხზულება იწერება კათალიკოსის ლოცვა-კურთხევით, რაც სრულიად გამორიცხავს ე. წ. „თვითრჩულობას“, სურვილს – დაჯდე და აღნერო წმინდანის ცხოვრება საკუთარი ინიციატივით. როგორც შესავალში აღვინიშნეთ, აგიოგრაფიაში ნორმატიულსა და კანონიკურს უნდა დაემთხვევს სასურველი! იოანე საპანისძისთვის ეს არის არა მხოლოდ შემოქმედებითი, არამედ მისტიკური პროცესი: „შეწევნითა ღმრთისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა, მეოხებითა წმიდის ღმრთისმშობლისათა და წმიდათა მოციქულთათა და მოწამეთათა“ (ძეგლები 1964: 46-47). იერარქია ასე განისაზღვრა: ყოვლად წმიდა სამება (მამა, ძე და სულიწმიდა), ყოვლად წმიდა ღვთისმშობელი, წმ. მოციქულები, წმ. მოწამეები.

ყოველივე ამის გათვალისწინებით და ამის შემდეგ, აგიოგრაფია აღნერილი უდა მიუძღვნას კათალიკოსს, რადგან

სამოელი გამიზნულად აცხადებს: „მარტვილობა... დაიდვას იგიცა წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შინა მოსაქსენებელად ყოველთა, ვინ იყვნენ შემდგომად ჩუენსა“ (იქვე: 46) ეს უკვე მიზანია! მიზნამდე კი დგას იოანე საბანისძის პიროვნება, რო- მელიც მთლიანად იხსნება და წარმოჩნდება წერილში: „პასუხი წიგნისა იოვანცის მიერ“.

ერთი დეტალი აქვე დაგაზუსტოთ. წერილს მისწერდა არა მაშინვე, არამედ მას შემდეგ, როცა აღასრულა წადიერე- ბა კათალიკოსისა, „მარტვილობას“ თან დაურთო: „აღვწერე ულირსისაგან გონებისა ჩემისა შემოკრებული (ან „შემოკრე- ბული“ (E)) მარტვილობა... და მოგიძლუანე უფალსა ჩემსა“ (ძეგლები 1964: 48).

როგორც ჩანს, იოანე საბანისძეს წლები არ დაუხარჯავს „მარტვილობის“ დასაწერად. უბრალოდ, უხერხულიც კი იქნე- ბოდა, ვთქვათ, ხუთი წლის შემდეგ გაეგზავნა საპასუხო წერ- ილი. ამის გათვალისწინებით სავსებით ბუნებრივია, რომ თხ- ზულება „დაწერილია ტრაგიკული ამბის უშუალო შთაბეჭდი- ლების ქვეშ, აბოს გარდაცვალების შემდეგ უმალ, მაგრამ არა მეორე დღესვე, 7 იანვარს“ (კეკელიძე 1986: 33).

მას შემდეგ, როცა იოანე საბანისძემ სამოელ კათალიკოსის წერილი მიიღო, მასში ფრიად დიდი სულიერი ძვრები დაწყებუ- ლა: „მიშმან და ზრუნვამან შემიპყრა მე“, „შეშფოთნა გონებად ჩემი“, „დავეცი და მოვაკლდი მეცნიერებისაგან“. იოანე საბან- ისძის პიროვნება, ეპისტოლის მიხედვით, ასე წარმოგვიდგება: დასაწყისში გაორებული და დაბნეული: „ურჩ-ექმნეს“ კათა- ლიკოსის ბრძანებას თუუ „ისწრაფოს მორჩილებად“ და ალ- წეროს მარტვილობა. ამ გაორების ნიადაგზე აღმოცენებულ- განვითარებული შიში, შფოთვა, გონების წართმევა... განქა- რდება მაშინ, როცა მორჩილება, – თავი სათნოებისა, როგორც ეკლესიის წმიდა მამები ამბობენ, – გაიმარჯვებს: „უმჯობესად შევჰრაცხე მორჩილ-ყოფად თავი ჩემი ბრძანებასა უფლისა ჩე- მისასა, რომლითა კუალად განვძლიერდი“ (ძეგლები 1964: 47).

წმიდა მამები შენიშნავენ, რომ, „თუ ადამიანში არ არის უკიდურესი მორჩილება, მორჩილება ყოვლითა გულითა, ყოვ- ლითა სულითა, ყოვლითა გონებითა, მაშინ ის ვერ შევა ცათა სასუფეველში“ – ანტონ დიდი (ქრისტიანული... 1930: 43). წმი-

და სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის აზრით, „სადაცაა ღრმა თავმდაბლობა, იქაა ცრემლების სიუხვეც“ (იქვე: 49). მაქსიმე აღმსარებელი კი შეგვაგონებს. „თავმდაბლობა, მორჩილება... ათავისუფლებს ადამიანს ყოველგვარი ცოდვისაგან, რადგან გზას უჭრის, წინ ეღობება ვნებებს“ (იქვე: 51).

იოანე საბანისძის ღრმა ქრისტიანობას განსაზღვრავს უკიდურესი მორჩილება და თავმდაბლობა. იგი სიხარულსაც კი გამოთქამს იმის გამო, რომ მისი სიმდაბლე არ დარჩა შეუმჩნეველი უფლისაგან. „რომელმან არა დავიწყებულ-ყო სიმდაბლც ესე ჩემი“ (ძეგლები 1964: 47). სხვათა შორის, აგი-ოგრაფი სხვა რამითაც არის ბედნიერი, მადლობელი ღვთისა. წმიდა აპოს მარტვილობის აღნერით იგი სულის მარგებელ და საღვთო საქმეს აკეთებს, რომელიც ახარებს და აკურთხებს მას ორსავე სოფელსა შინა, რომელიც სრულყოფს როგორც სულს, ასევე ხორცს: „ვაქებ და ვაკურთხევ მე მოწყალებასა ღმრთისასა, რომელმან დაპნერგა გულსა მამფლისასა ესევი-თარისა ამისთვის ბრძანებად, რომელი სარგებელ და ნაყოფ სუ-ლისა და სიქადულ და სიხარულ წორცთა მექმნების მე საუკუ-ნოდ მიმართ და სოფელსაცა ამას“ (იქვე: 47).

იოანე საბანისძე ულირსად იხსენებს თავის თავს: „მადლი შენირა ულირსებამან ჩემმან“, „ჩემ ულირსა ზედა“..., „აღვწერე ულირსისაგან გონებისა ჩემისა“... საკუთარი ულირსობის განცდა-შეგრძნება აღმატებული ღირსებისა და ღირსეულო-ბის მაჩვენებელია. „ჩვენ წინაშე ცოცხლდება ღრმადმორწმუნე დიდებული მატულიშვილის სახე, რომელიც განსწავლულობითა და სიბრძნით დამძიმებული, დინჯად და შორსმჭვრეტელურად ზრუნავს ერის საარსებო პრობლემებზე“ (ბარამიძე 1990: 51).

ფრაზის მიღმა იგრძნობა ინტონაცია აგიოგრაფისა. მწერ-ლის ერთგვარი გაორება მისი ანალიტიკური აზროვნების სიღ-რმეებს წარმოაჩენს და ცხოვრების ქრისტიანული წესის, მორ-ჩილებისა და თავმდაბლობის აპოლოგიაა. იოანე საბანისძის პასუხის მოკლე შინაარსი ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: „მო-ვიღე... ღირს ვიქმენ... მძიმე არს ჩემდა... შიშმან და ზრუნვა-მან შემიპყრა, დავეცი... მოვაკლდი... კუალად განვძლიერდი... აღვწერე მარტვილობა... მოგიძლუანე უფალსა ჩემსა“.

მოყვანილი ფრაგმენტიდანაც კი ამოვიკითხავთ უაღ-

რესად დინამიკურ, აქტიურ, ემოციურ პიროვნებას, „ყოველი სტრიქონიდან გამოსჭვივის მისი მოკრძალებული და უპრეტენზიო ბუნება“ (ბარამიძე 1996: 31).

იოანე საბანისძის ქმედების, ქცევის მოტივაცია განსაზღვრულია უმაღლესი მიზნით – აღასრულოს ნება უფლისა და სურვილი კათალიკოსისა, აღწეროს „ჭეშმარიტი და უტყუელი“ ამბავი.

სამოელ კათალიკოსი თანმიმდევრული და განონასწორებულია თავის სურვილსა თუ პოზიციაში. მისი ინტონაცია უფრო მკაცრია და მომთხოვნი („მოგიკითხავ... იყავნ... უწყი, იმარტვილა... მნებავს... დაინეროს... დაიდვას... მოვავლინე... აღვწერა... მოგიძლუანე“...) თუმცა გაზავებული ტაქტითა და კეთილგანწყობით.

„წმიდა აბოს წამების“ ტექსტს დართული ეპისტოლები ნათლად წარმოაჩენენ ეპოქის სულისკვეთებას, კულტურის დონეს, ადამიანური ურთიერთობების, იერარქიისა და ადამიანის სულში მიმდინარე ცვლილებების სურათს, მათს მსოფლმხედველობას, იდეალებს, პრინციპებს და, რაც ყველაზე მთავარია, ღალადებენ აგიოგრაფიული მნერლობის „ჭეშმარიტებასა და უტყუელობას“. ეპისტოლები ერთგვარი შემზადებაა, განწყობა ძირითადი ამბისათვის. მათ უშუალოდ მოსდევს „საკითხავნი წმიდისა ჰაბორანი“, ე. წ. ზანდუკი, სარჩევი, რომელშიც იერარქიის რაღაც სისტემაც კი იკვეთება.

პირველი თავი: „ლმრთის მსახურთა და მარტკლთ მოყუარეთა კრებულთათს თხრობა და მოძღურება და ახლისა ამის მონამისა ჰაბორ სენებადა“. ამ სათაურში საინტერესოა ობიექტი, ვისთვისაც იქმნება ნაწარმოები:

- 1) ლმრთის მსახურნი;
- 2) „მარტკლთ მოყუარე“ მკითხველი.

დაახლოებით მსგავსი იერარქია მკითხველისა გვხვდება „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგშიაც, რომელშიც შაირობის (პოეზიის) უპირველეს აუდიტორიად სასულიერო წოდება ცხადდება, შემდეგ კი – საერო:

„შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,
საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი,
კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი“

ზემოხსენებულ პირველ თავში ისიცაა განმარტებული, რომ თხზულების ეს ნაწილი ჰომილეტიკურია, – თხრობად და მოძღვრებად, – თანაც მინიშნებული და წარმოდგენილია მთავარი გმირი, როგორც ახალი მოწამე.


მეორე თავი: „ქართლად შემოსვლად და ნათლისლებად ნეტარისა ჰაბოლსი“. ამ სახელებში საინტერესოა „ნეტარი“. პირველ თავში აბო „ახალ მოწამედ“ იხსენება, აქ კი – „ნეტარად“.

მესამე თავი: „მარტვილობად წმიდისა ჰაბოლსი“.


მეორე და მესამე თავები საკუთრივ აგიოგრაფიული თხრობაა, თანაც აქ უკვე „ახალი მოწამე“ და „ნეტარი“ აბო „წმიდად“ მოიხსენიება.

მეოთხე თავში: „ქებად სანატრელისა წმიდისა ჰაბოლსი“ მინიშნებულია, რომ ეს ჰიმნოგრაფიული ნაწილია, „ქებაა“, თანაც აბო წოდებულია „სანატრელად“.

მაშასადამე, „საკითხავნი წმიდისა ჰაბოლსნი“ აბოს სულიერი იერარქიის ხარისხს ასე წარმოგვიდგენს:



მაგრამ ძირითადი ნაწილის დასათაურება თავების მიხედვით ზემონაჩვენებ სურათს ასე ცვლის.



„საკითხავნის“ პირველი თავი „ღმრთის მსახურთა და მარტვლთ მოყუარეთა კრებულისათვის თხრობად და მოძღვრებად“ საკუთრივ | თავში ასე იცვლება: „ღმრთის მსახურებისათვს შეკრებულთა მათ უწყებად და მარტვლთ მოყუარეთა მათ სწავლად“... განსხვავებანი ასეთ სახეთ იღებს:

ღმრთის მსახურთა და
მარტკლო მოყუარეთა
კრებულთათვს თხრობად
მოძღვურებად

ღმრთის მსახურებისათვს
შეკრებულთა მათ უწყებად
მარტკლო მოყუარეთა მათ
სწავლად

I თავის სახელდება აერთიანებს იმას, რაც ცალ-ცალკე იყო
აღნიშნული „საკითხავნში“. ღმრთის მსახური და მარტკლო-
მოყვარე კრებული გაერთიანდა ღვმთისმსახურებისათვის
შეკრებილით. ამ უკანასკნელში პირდაპირაა განსაზღვრული
ადგილი, სადაც უნდა წაკითხულ იქნეს „ნმ. აბოს მარტკლობა“.
ღვმთისმსახურების ადგილი ეკლესია. ეს განაცხადი სვინაქსა-
რული ტექსტის „მდგომარეობას აკუთვნებს“ იოვანე საბანისძის
ქმნილებას, თანაც „თხრობა“ და „მოძღვრება“ აქ შეცვლილია
„უწყებათა“ და „სწავლათ“. რასაც უნდა მიგვანიშნებდეს ეს
ცვლილებები, ერთი რამ მაინც უდავოა: I თავის სახელდებაში
კიდევ უფრო გაზრდილი და განზოგადებულია აგიოგრაფიული
მწერლობის ფუნქცია, მისი როლი, ადგილი და მნიშვნელობა.

„ნმიდა აბოს წამების“ პირველი თავი, ჰომილეტიკური
ნაწილი, იწყება მკითხველისადმი მიმართვით – „ღმრთის მსახ-
ურთა და მარტკლო მოყუარეთა“ კრებულთადმი და, თანაც
ისეთი სიწრფელითა და უშუალობით, რომ მოხსნილია ყველა-
ნაირი პარიერი. აგიოგრაფისა და მკითხველის ურთიერთობა
ისეთი მჭიდროა, რომ ვიზუალურ პლანშიც კი გადადის: „სა-
ყუარელნო მამისანო და მეგობარნო და მონანო ქრისტეს ძისა
ღმრთისანო და სამკვიდრებელნო სულისა წმიდისანო! გხედავთ
თქუენ, ვითარცა ღმრთივ ცნობილთა და ღმრთისა მცნობელ-
თა“ (ძეგლები 1964: 48). ისეთი შთაბჭჭდილებაც კი იქმნება,
თითქოს აგიოგრაფი ამბიონზე იდგეს და იქიდან მიმართავდეს
მსმენელს. ასეთი უშუალობა, ინტონაციის სისადავე იმთავითვე
აღძრავს განწყობას, ინტერესს საუბრისას, დიალოგისას. ეს
არის მცდელობა, ავტორი და მკითხველი ერთი იდეით გაერ-
თიანდნენ – ადგილი დაუთმონ სიტყვას!

ნაწარმოების პირველსავე წინადადებაში შემოდის, ცხად-
დება ყოვლადწმიდა სამება: მამა, ძე და სულიწმიდა, თანაც ისე,

რომ მკითხველის ადგილი სამივე ჰიპოსტასთან გამოკვეთილია სახელდებით:

საყუარელნო მამისანო;

მეგობარნო და მონანო ქრისტეს ძისა ღმრთისანო;

სამკვიდრებელნო სულისა წმიდისანო.

ავტორი მიმართავს მკითხველს და მოიხმობს წმ. სამებას. ჯერ ასახელებს უშუალო ობიექტს – მკითხველს (საყვარელნო), შემდეგ – წმიდა სამების ჰირველ ჰიპოსტასს (მამისანო), თუმცა, ფაქტობრივად, ჯერ სამებაა ნაგულისხმევი, რადგან მსმენელთა თუ მკითხველთა აუდიტორია იმდენადაა სახელდებული, რამდენადაც მამის საყუარელნი, ძის მონანი და მეგობარნი, სულინმიდის სამკვიდრებელნი არიან. ასეთი ფორმით, ამ აზრობრივი დატვირთვით და უაღრესად დიალოგური ინტონაციური ტეხილებით მოედინება სათქმელი აგიოგრაფისა, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებს ერთმანეთთან საუბრის, ერთმანეთის მოსმენის მოთხოვნას: „სურვიელითა გულითა მომიპყრენით საჩინონი ეგე სასმენელნი თქუენნი და უფროვალა საცნობელნი ეგე ყურნი გულისა და გონებისა თქუენისანი განჰმარტენით სმენად და მასპინძელ ექმნენით სიტყუათა ამათ ჩემთა“ (ძეგლები 1964: 49). ეს მონაკვეთი თხზულებაში სიტყვის, სიტყვა-ლოგოსის აპოლოგიაა. სიტყვა რომ მკითხველში დამკვიდრდეს, ამისთვის სურვილი აუცილებელი პირობაა, სურვილი მიღებისა და ნიჭი მოსმენა-გაგებისა, გულისა და გონების მთლიანობისა: „სურვიელი გული“ და „ყურნი გულისა და გონებისა“ უნდა ჩაერთოს სიტყვის მიღებისა და დამკვიდრების პროცესში. „მასპინძელ ექმნენით სიტყუათა ამათ ჩემთა“ – მთელი ფრაზა განსაკუთრებულად გამორჩეულად უდერს მთელ ამ კონტექსტში და ყოველგვარი შესაძლებლობების კონცენტრაციას მოითხოვს. სტუმარმასპინძლობა რომ შედგეს, სხვა რამესთან ერთად, განწყობაა საჭირო, ამიტომაც შეგვამზადა უფრო ადრე აგიოგრაფია და შეგვახსენა, რომ ვართ „სამკვიდრებელნი“ სულინმიდისა, ხატი და მსგავსი უფლისა.

სიტყვა უსისხლო მსხვერპლია, არსებულთაგან აზრამდე ყველაზე არამატერიალური რამ, ხსნა სულისა და ღვთაებასთან მიახლების საშუალება. „მასპინძელ ექმნენით“ გულისხმობს იმას, რასაც ავტორი იქვე დასძენს: „შეინყნარეთ კარავსა

გუამისა თქუენისასა და სავანეჲ განუმზადეთ“ (ძეგლები 1964: 49).

რა უმთავრესი მიზანი აქვს აგიოგრაფს?

იოანე საპანისძის მიხედვით, ირკვევა აგიოგრაფიისარსი და დანიშნულება, რომ ეს მწერლობა ემსახურება ადამიანის სულიერ ამაღლებას, იდეალთან, პირველხატთან მიახლებას და, უფრო მეტიც, აგიოგრაფიული სიტყვით „უფალსა პნებავს დამკვიდრებად ასოთა შინა თქუენთა“ (ძეგლები 1964: 49). აგიოგრაფია ცხადდება სულიერი ხსნის, გადარჩენის კიდევ ერთ გზად. ქრისტე აკაკუნებს ყოველი ადამიანის გულის კარზე და ჩვენზე დამოკიდებული, გავულებთ თუ არა, მოვუსმენთ თუ არა, გავიგონებთ თუ არა ამ ხმას, მივიღებთ, „მასპინძელ ვექმნებით“ თუ არა იქსოს და „შევიწყნარებთ და სავანეს განვუმზადებთ“ თუ არა მას. რადგან ადამიანი ზოგჯერ ნებით, ზოგჯერ უნებლიერ უარს ამბობს ამ შესაძლებლობაზე. ამიტომ შეგვაგონებს ასე დაბეჯითებით აგიოგრაფი, მოიხმობს სახარებასა და სამოციქულოს, რომ არ მოგვწყინდეს „სიტყუათა ამათ მოსმენა“, რომ შედგეს საუბარი, გაგება „რათა არა ცუდად დავშურეთ: მე სიტყუათა და თქუენ-სმენითა“ (იქვე: 49).

იოანე საპანისძის ეს სიტყვები პომილეტიკის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს. ჩვენს წინაშე დგას არა მარტო დიდი შემოქმედი და ქრისტიანი, არამედ ბრწყინვალე მქადაგებელი-ორატორი, მჭევრმეტყველი, რომლის მონოლოგი ისეთ მაღალ რანგშია აყვანილი, რომ, ფაქტოპრივად, იგი მკითხველთან დიალოგია. ამ უკანასკნელის გარეშე აგიოგრაფს „ამაოდ დაშრო-მად“ მიაჩინა საუბრის დაწყება. იოანე საპანისძისთვის სიტყვის მიმღები (რეციპიენტი) დიდი ზრუნვის ობიექტია. იგი თავისი მკითხველი თუ მსმენელი აუდიტორის სულის გადარჩენაზეა ჩაფიქრებული: „არა თუ ხოლო ჩემდა მარტოხსა საძიებელ არს სმენად სანადელი ესე მარტვლობაზ წმიდისა ამის მოწამისაა, არამედ ყოველთავ ჯერ არს თქუენდაცა დაკვირებად ჩემ თანა“ (ძეგლები 1964: 49).

ქართულ აგიოგრაფიაში ძნელად მოიძებნება მეორე ნაწარმოები, რომელშიც ავტორი ამდენ დროს უთმობდეს მკითხველს, ასე უვლიდეს ყოველი მხრიდან, რომ როგორმე შეაღწიოს მისი სულის ნაპრალში და გამოაფხიზლოს, რადგან მოახლოე-

ბულ არს სასუფეველი ცათად, რადგან უამსა მეშვიდესა დარსა ზედა ვდგათო. აგიოგრაფის აპოკალიფისური ხედვა კიდევ უფრო ამძაფრებს და ზრდის სიტყვის სულიერი ზემოქმედების ველს და აგიოგრაფიული მწერლობის დანიშნულებას. „ნმ. აბოს მარტვილობის“ მკითხველმა უნდა გააცნობიეროს ისტორიული დრო და ესქატოლოგიური უამი, რათა იცხოვროს ისე, რომ ცხონდეს! ფაქტობრივად, ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ კათარსისი, სულიერი ამაღლება და ფერისცვალება უნდა მოხდეს, რადგან საჭიროა ბრძოლა ხილულ თუ უხილავ მტერთან, რომელიც ასე მომრავლებულა ახლა, როცა ქართველობას ცხოვრება უხდება „უამსა მეშვდესა დარსა ზედა“ (ძეგლები 1964: 49).

იოანე საპანისძე ერთობ მძიმე სურათს გვიხატავს, მკაცრ რეალობას წარმოგვიდგენს, ბევრ რამეს შეგვახსენებს ეროვნულ ღირსებათა ნათელსაყოფად (და ეს საკითხები არაერთხელ გამხდარა ქართველ მეცნიერთა კვლევის საგანი). ჩვენთვის კი ძალზე მნიშვნელოვანია ერთი ფაქტი:

იაკობ ხუცესი „ნმიდა შუმანიკის წამებაში“ საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ვარსკენ პიტიახშის გამაზდეანება, სასახლე-ში დატრიალებული უბედურება ქართველთა ცოდვილიანობის შედეგია. ქვეყანა, ერი ისჯება საკუთარი ცოდვების გამო! როდესაც დიაკონმა იაკობ ხუცესსა და სასახლის ეპისკოპოსს შინ დატრიალებული ამბავი შეატყობინა, აგიოგრაფი აღნიშნავს: ჩვენ ავტიორდით ცოდვათა ჩვენთა წარმოჩინებისთვისო (ძეგლები 1964: 13). სხვათა შორის, პიტიახშოთან გამოცხადებულმა სასულიერო პირებმა აქცენტი ცოდვის მომრავლებაზე გააკეთეს: „წარსწყმიდე თავი შენი და ჩუენცა წარგუნწყმიდენ“ (იქვე: 14), – უთხრეს ვარსკენს.

ქვეყანაში დატრიალებული უბედურება (შინაური აშლილობა და გარეშე მტერთა თარები) დავით გურამიშვილმა ცოდვათა მომრავლებით ახსნა: „მათ (ქართველებმა – სფ. მ.) ღმერთსა სცოდეს, ღმერთმან მათ პასუხი უყო ცოდვისა“ (გურამიშვილი 1964: 41). „ნმიდა აბოს წამება“ არის ერთადერთი ნაწარმოები ქართულ აგიოგრაფიაში, რომელშიც ეროვნული ტრაგედია ახსნილია ესქატოლოგიური მოტივით: „სარწმუნოებრივი თვალსაზრისით წყვეტს ავტორი ქვეყნის არსებობისა და

ალსასარულის პრობლემასაც. ამ მხრივ მეტად საინტერესო და საყურადღებოა ითანე საბანისძის „ესქატოლოგია“ (კეკელიძე 1986: 35). ამდენი უბედურება იმიტომ გვჭირს, რომ უამსა მეშვიდესა დარსა ზედა ვდგავართო. სწორედ „ესევითარსა უამსა შინა გამოჩნდა ახოვნად“ აბო – „უცხოა უცხოთა შჯულითა“ (ძეგლები 1964: 50).

ნმიდა აბოს უცხოობა მოგვაგონებს წმიდა ნინოს. წმიდა ნინო, დედაკაცი უცხოი, მისთვის უცხო ქვეყანაში მოემართება. ქართველთათვის უცხოა ნინო და ნინოსთვის უცხოა საქართველო: „გამოუჩნდა ყოვლად წმიდა ღმრთისმშობელი იგი ლირსასა ნინოს და რქუა: აპა, ესერა ნარგავლინებ შენ ქადაგად ნათესავთა მიმართ უცხოთა“, ან „მიწევნად ხარ შენ ქუეყანასა უცხოსა და ნათესავთა უცხოთა“, ან „უცხო და აქა შობილო“, ან „უფალო, დედაკაცი ვარ უცხო“ (ძეგლები 1964: 116).

წმიდა აბოც, უცხოა უცხოთა შჯულითა, მისთვის უცხო ქვეყანაში უცხოობის დასახლევად მოვიდა და მისთვის უცხო ღმერთის მსახური ერის წმინდანი გახდა. ითანე საბანისძე აქვე დასძენს, რომ უფლის განცხადების დღესასწაული „მრჩობლიქმნა“, რადგან ნათლისღების საუფლო დღესასწაულს დაემთხვა აბოს მარტვილობა, რომლითაც უცხომ უცხოთა შჯულითა „გვირგვინი მარტვილთა თვისთა დაადგა თავსა ზედა ეკლესიისასა“ (ძეგლები 1964: 50).

ითანე საბანისძე არ ტოვებს სიტყვის ძალასა და მადლზე ფიქრს, გამიზნულად ქადაგებს, მოძლვრავს „ღმრთის მოყუარეთა“, შეახსენებს მათ, რომ „სიტყუად იგი წინასწარმეტყუელისაზოხრან შორის მათსა“. ადამიანი, შეიძლება, „განსძლეს ჭამადითა“, მიიღოს ფიზიკური, მატერიალური საზრდელი, მაგრამ ჭუშმარიტი ქრისტიანისათვის, ანუ „ღმრთისა მოყუარეთა სულთათვის“, ღმრთისა სიტყუათა მოხსენებასა არა არს განძლებავ“ (ძეგლები 1964: 51).

ბუნებრივად იბადება კითხვა. რატომ დასჭირდა აგიოგრაფს ასე დაწვრილებით ექადაგა სიტყვის შესახებ? – აგიოგრაფიული სიტყვა ადამიანის ხსნის, სულის გადარჩენისკენაა მიმართული, რადგან „აგიოგრაფია არა იმდენად ხელოვნებაა, რამდენადაც „ხსნის ხელოვნება“ (ბერმანი 1982: 161). ცხადია, რომ სიტყვა არის ადამიანის რაობის განმსაზღვრელი, მისი ფსიქო-ემოცი-

ური ბუნების გამომხატველი, ლვთაებასთან დამაკავშირებელი. „ყოველივეს შემოქმედი არის სიტყვა, რომელიც დავით წინასწარმეტყველის მიერ „სიპრძნედ“ იწოდება. ლმერთი, ლოგოსი, სიპრძნე, ძალი-კანონზომიერად გახდა ადამიანური ბუნების შემოქმედი“ (ჭელიძე 1989: 270).

სიტყვას ახლავს განსაკუთრებული ძალა. სიტყვა ქმედითი ფენომენია, საქმეს უდრის. ერთმა სიტყვამ შეიძლება გაცხონოს ან წარგნებიდოს. ჯვარზე გაკრულმა ავაზაკმა სიკვდილის ჟამს ალიარა ქრისტე და სასუფეველი დაიკვიდრა. თავად მაცხოვარი გვაფრთხილებს: „სიტყუათა შენთაგან განპირობლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო“ (მ. 12, 37).

სიტყვა განუზომელ შესაძლებლობებს იტევს, მით უფრო მაშინ, როცა ეს სიტყვა, იოანე საბანისძის მიხედვით: „ქრისტესთვის არიან და სანატრელთა ამისთა მოწამეთათვის“. ამის კვალობაზე კიდევ უფრო იზრდება მნერლობის მნიშვნელობა, მისი ზემოქმედების სივრცე. ავტორი სვამს რიტორიკულ შეკითხვას, რომელიც თვითონვე შეიცავს პასუხს: „და კუალად წმიდათა მათ მარტვილთა ხსენებითა ვინმემცა განძლა მარტვილთოყუარე?“ (ძეგლები 1964: 51). აქ ძალიან კარგად ჩანს აგიოგრაფის დამოკიდებულება საკუთარი საქმისადმი. ამ სტრიქონებს მიღმა იკვეთება სიტყვის მსახური, სიტყვის მოყვარული და სიტყვის მისტიკური ძალის აპოლოგეტი, რადგან „სიტყვა არ არის მარტო ბერებით ერთიანობა. მასში განსაკუთრებული მისტიკური ძალაა ჩადებული“ (ილია II 1991: 12).

აგიოგრაფიული მნერლობა აყალიბებს და განასახოვნებს ცხოვრების სიტყვას – ეს მარადიული ცხოვრებისაკენ სავალი გზაა, უნივერსალიერთან ზიარების საშუალება, რადგან, იოანე საბანისძის თქმით, „მუნ სამებისა წმიდისა იგი სარწმუნოება აღორძინდებინ, მუნ სწავლანი იგი სიტკბოებისანი, მუნ მოძღურებანი იგი მაღლისანი, მამათ მთავართა იგი შუენიერებად, წინასწარმეტყუელთა იგი დიდებანი, მოციქულთა ქადაგებანი, მოწამეთა მათ მოღუაწებად“ (ძეგლები 1964: 51)... ეს მთელი სულიერი სამყაროა, მიკრო და მაკრო კოსმოსის ერთიანობაა და, თუკი სიტყვით მასთან მიახლება შეძლო ადამიანმა (და ამაში აგიოგრაფიაც შეეშველა), მაშინ მიღწეული იქნება

ამქვეყნიური მიზანი ყოველი კაცისა, რომელიც თვით მაცხოვარმა ასე განგვისაზღვრა: „იყუენით თქუენ სრულ, ვითარცა მამად თქუენი ზეცათად სრულ არს“ (მ. 5, 48).

ზემოთ, როცა ეპისტოლებს მიმოვიზილავდით, შევნიშნეთ სამოელ ქართლის კათალიკოსის სურვილი, ალინეროს წმიდა აბოს მარტვილობა და „დაიდვას იგიცა წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შინა მოსაწესენებელად ყოველთა, ვინ იყვნენ შემდგომად ჩუენსა“ (ძეგლები 1964: 46), მაგრამ რატომ უნდა „დაიდვას“ ამ შეკითხვაზე პასუხს კათალიკოსის ეპისტოლე კი არა, თხზულების ეს (პირველი) თავი იძლევა: „რამეთუ სიმტკიცე და სიხარულ ექმნის ჭაბუკთა მოთხრობითა მით სიმხნედ იგი ქრისტეს მოღუანეთად და სიქადულ და მხიარულება მოხუცებულთა ხსენებად იგი ღუანლისა მის მარტვილთასა და საწადელ და სასურველ მღდელთა და ყრმათა მათ, მოწაფეთა და შვილთა ეკლესისათა“ (ძეგლები 1964: 51).

მოყვანილ ნაწყვეტში განსაზღვრული და ჩამოთვლილია მყითხველთა თუ მსმენელთა ყველა კატეგორია: ჭაბუკი, მოხუცებულნი, მღვდელნი და ყრმანი მათნი, მოწაფენი და შვილნი ეკლესისანი.

აგიოგრაფის ნამოღვანარი ყველა დონეს უნდა გასწვდეს და თავისი საზრდო დაუტოვოს. იოანე საბანისძის ქადაგება მიზანმიმართული აქტია მყითხველი აუდიტორის აღზრდისა, მათი სულიერი რაობის გააზრებისა და გაცნობიერებისაკენ.

იოანე საბანისძის ჰომილიაში დიდი ადგილი უჭირავს საკუთრივ ეგზეგეტიკურს. აშკარად იგრძნობა, რომ ახალი სიტყვიერი ნაკადი შემოდის თხზულებაში. ამისთვის თითქოს გვამზადებს კიდეც ავტორი: „ვინყო თხრობად თქუენდა“ – ისევ ფიქრი და ზრუნვა რეციპიენტზე! ვიდრე აგიოგრაფი ქრისტეს სახე-სიმბოლოების ეგზეგეტიკას შეუდგებოდეს, მანამ საუბრობს „ყოვლისმპერობელ ღმერთსა და დიდად უხვ უფალზე“, აქცენტს აკეთებს მის განკაცებაზე და გადმოგვცემს ეკლესიის მოძღვრებას, რომ ღმერთი განკაცდა „სიყუარულისათვის კაცთანა“ და ლირს-ყო ადამიანი „მიუწდომელსა მას საიდუმლოსა“. აქვე ხაზგასმულია ქრისტეს ორბუნებოვნება: „ღმერთად და კაცად თვინიერ განიყოფისა“. ასე შემოდის თხზულებაში ქრისტიანობის უმთავრესი მოძღვრება – სწავლება იქსო

ქრისტეზე. იოანე საბანისძე თითქოს შეფარვით გვეუბნება, რომ უფალი არის ყოვლისა მპყრობელი და „ვერ შემძლებელ ვართ ჩეუნ მიწდომად სიმდიდრესა მას სახელისა მისისასა“. ამ უძლურების გამო და „გულს-მოდგინებისა თქუენისა“ (უკვე სწამს, რომ მკითხველი განაწყო სმენად!) ჩამოთვლის ღვთაებათა სახელებს. დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა იოანე საბანისძის სიტყვებს: არ შეგვიძლია მივწვდეთ „სიმდიდრესა მას სახელისა მისისასა“, იელოველთა სექტის სამხილებლად, ასე ფითრივით რომ მოედო საქართველოს სამოციქულო –მართლმადიდებელი ეკლესიის სხეულს და ცდილობს, ძირი გამოუთხაროს ათასექვსასწლოვან ქართულ მართლმადიდებლობას, მის შეუვალ დოგმატიკასა და ტრადიციას. სხვათა შორის, „სახელი საგნის ბუნებას კი არ ასახავს, არამედ მის მუდმივ თვისებებს, ანუ დინამიკურ გამოვლინებებს. ღმერთი მიუწვდომელია თავისი არსებით (ბუნებით), მაგრამ ამა სოფლისთვის ცხადდება მოქმედებებსა და ენერგიებში, რომლებიც ჩვენთვის მის თვისებებს წარმოადგენენ. ღმერთს ერთი ბუნება აქვს, მაგრამ მრავალი თვისება და ატრიბუტი, ამიტომ წმიდა წერილში ღმერთის სახელი კი არ არის ხოლმე ნაგულისხმევი, არამედ საღმრთო სახელები“ (რაფაელი 1993: 10-11).

სამეცნიერო ლიტერატურაში დაწვრილებითა შესწავლილი ის სახე-სიმბოლოები, რომლებსაც იოანე საბანისძე განმარტავს, მათი შესაძლო ლიტერატურული წყაროები (კ. კეკელიძე, რ. ბარამიძე, გ. კუჭუხიძე...) და ამ თექვსმეტი სახე-სიმბოლოს მიმართება თხზულების IV თავთან (რ. სირაძე, ხ. ზარიძე). ჩვენ მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ აგიოგრაფი უდიდესი სიფრთხილით ეკიდება ყოველ სიტყვას, თავი რომ დაიზღვიოს თვითრჩულობისაგან, ანუ საკუთარ გონებას არ მიანდოს განსჯა თეოლოგიურ-დოგმატიკური საკითხებისა, საგანგებოდ აცხადებს: „ხოლო ესა არათუ რამე თავით თვისით განგიმარტე თქუნ... არამედ წამებითა წიგნთაგან საწინაწარმეტყუელოთა და მოციქულთა ქადაგებისაებრ, წმიდათა სახარებათა წერილნი და წეტართა მამათა მოძლუართა მიერ განსაზღვრებული სარწმუნოებად“ (ძეგლები 1964: 55). იოანე საბანისძე ბოლომდე ერთგული რჩება ეკლესის მოთხოვნისა ღვთისმეტყველების მასწავლებელთა და შემსწავლელთადმი, რომ მათი ამოცანა

უნდა შეიცავდეს ორ აუცილებელ პირობას: а) მიაწოდონ ჭეშ-მარიტება და უწყვეტობა სამოციქულო სწავლებისა, რომელიც შენარჩუნებულია ეკლესიის მიერ, რაიმე ცვლილების ან დამახ-ინჯების გარეშე; ბ) გამოხატონ ეს სწავლება ისეთნაირად, რომ გასაგები იყოს ადამიანებისათვის ე. ი. იმათვის, ვის შორისაც ცხოვრობს და ვისი გადარჩენისთვისაც არის მოწოდებული ეკლესია (ელჩანინვი 1989: 27).

აგიოგრაფის ასეთი ფრთხილი დამოკიდებულება თეოლო-გიურ-დოგმატურ პრობლემებზე მსჯელობისას ცოცხალი მაგალითია ჩვენი დიდი წინაპრისაგან დღეს ასე მომრავლე-ბული სხვადასხვა რელიგიური სექტების ბნელი იდეოლოგიით დამძიმებულ საქართველოში, რომ ეკლესის სწავლების გვერ-დის ავლით ნებისმიერი განმარტება ბიბლიისა მიუტევებელი ცოდვა და მკრეხელობაა.

მეტყველება, საერთოდ, სიტყვისა და დუმილის მონაცვ-ლეობაა. ასეთი გაჯერებული სიტყვიერების შემდეგ „წმ. აბოს წამებაში“ ჩამოდგება სამთვიანი დუმილის პერიოდი: „ნეტარი ესე ჰაბო არცადა ერთსა რას სიტყუასა იტყოდა კაცთა შო-რის, გარნა ლმერთსა ხოლო ჰზრახავნ წმიდასა შინა ლოცვასა თვისსა. ეგრეთ განვლო სამ თთუე და დაადგრა მარხვით და დუმილით“ (ძეგლები 1964: 60). დუმილითა და მარხვით „მოაუ-ძლურებდა იგი ხორცითა მათ სიჭაბუჟისა თვისისათა“ და ისე მყაცრად იცავდა „წმიდათა მათ დღეთა დიდისა მის მარხვი-სათა, შვიდთა მათ შვიდეულთა, რომ მხოლოდ შაბათ-კვირას, წმიდა ზიარების შემდეგ „ნაკლულევანად მიიღის საზრდელი“. ამ გზით წმ. აბომ საბოლოოდ სძლია ბოროტს, ლოცვითა და მარხვითა განდევნა ეშმაკი და ისე გაძლიერდა, რომ საკუთარ თავში სიკვდილის შიში დაამარცხა. ამიტომაც განუცხადა აფხაზეთის მთავარს: „არასადა დავემალო მე შიშისაგან სი-კუდილისა... არა მეშინის მე სიკუდილისაგან... ვერ განმაშო-რონ მე სიყუარულსა უფლისა ჩემისასა“ (ძეგლები 1964: 62).

სწორედ დუმილში შეიცნო წმ. აბომ ის უცნაური, უთქმე-ლი, მიუწვდომელი და მიუაჩრდილებელი. დუმილში გაცხადდა ჭეშმარიტება, რადგან დუმილის დროს ადამიანის სულმი სი-ტყვა ეთმობა ლმერთს. და მხოლოდ მაშინ, როცა მოიწია „დიდი დღესასწაული აღვსებისა, აღდგომისა ქრისტეს ღმრთისა

ჩუენისა, მაშინდა... განხსნა ენაჲცა თვისი უტყუებისაგან და ადიდებდა ღმერთსა“.

„აბოს მარტვილობის“ | თავი მთავრდება ქრისტიანობის აპოლოგით: „ქრისტეანეთა სარწმუნოებად დიდ მოძღურება არს“ (ძეგლები 1964: 55).

ქველ ქართულ მწერლობაში ძნელად მოიძებნება მეორე ავტორი, ასე შეყვარებული, აღტაცებული საკუთარი სარწმუნოებითა და ეროვნული მრნამსით. იოანე საბანისძე მოხიბლული და აღფრთოვანებულია საკუთარი აღმსარებლობით: „უეჭუელი სარწმუნოებად საუნჯე დიდ არს მორწმუნეთათვის“ (ძეგლები 1964: 55). თვითონაც „ჭეშმარიტი და უტყუელი“ ამბის აღნერას დაგვპირდა. ასე უნათებს პიროვნული სიმართლე გზას ჭეშმარიტებისაკენ „წმიდა აბოს წამების“ ავტორს.

მართალია, აგიოგრაფი აღტაცებული და შეურყეველია თავის რწმენაში, მაგრამ აქვე, ამავე სიბრტყეზე, აყენებს ეროვნულობის საკითხს: „არა ხოლო თუ ბერძნებთა სარწმუნოებად ესე ღმრთისამიერი მოიპოვეს... ქართლისაცა მკვიდრთა აქუს სარწმუნოებად და წოდებულ არს დედად წმიდათა“ (ძეგლები 1964: 55). იოანე საბანისძის მსოფლმხედველობა შეიძლებოდა ასეთ ფორმულაში მოგვექცია: მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ქრისტიანი. ქრისტიანობა და ქართველობა აგიოგრაფის ბედნიერებაა, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ შეგვიძლია „უცხოთა და სხუთ მოსრულთა ჩუენ შორის“ მოწამედ გამოვაჩინოთ, ჩვენი დამთრგუნველი ბოროტი ძალა სულიერად აღმაზევებელ კეთილ ძალად ვაქციოთ. ამ შეგნებით არის ბედნიერი ავტორი. მართლაც რომ მშვენიერია საკუთარი რწმენისა და ეროვნულობის ამ რანგში აყვანილი და განცდილი სიცოცხლის სახეობა!

„წმიდა აბოს წამების“ განხილულ თავში, სათაურშივე, აბო სახელდებულია როგორც „ახალი მოწამე“. პირველად აგიოგრაფი ასეთ კონტექსტში მოიხსენებს მას ახალ მოწამედ: „უცხო უცხოთა შჯულითა მოვიდა და ქრისტესა, ღმერთსა ჩუენსა, შეემეცნა, რომლისათვისცა დღეს კუალად ახალმან ამან დღესასწაულმან და კრებამან წმიდისა და ახლისა მოწამისამან გვირგვინოსანყო ეკლესია“ (ძეგლები 1964: 50). გამოთქმაში „ახალმან ამან დღესასწაულმან“ იგულისხმება

ნათლისდების, უფლის განცხადების დღესასწაული, მაგრამ რატომ „ახალი“? – იმიტომ, რომ გაორმავდა, „მრჩობლ იქმნა დღესასწაული ესე“. ერთი, ეს არის თავისთავადი მნიშვნელობა ყოვლად წმიდა სამების განცხადებისა და იესოს ნათლის-დებისა იორდანეში და მეორე – აბოს წამების დამთხვევა და ამით გაორმავება ამ დღესასწაულის მნიშვნელობისა, თორემ, სხვაგვარად ვერ აიხსნება სიახლე ამ დღესასწაულისა, რადგან იგი საუფლო დღესასწაულთაგან, „ათორმეტთაგან“, უძრავია და ყოველთვის ალინიშნება 6 იანვარს (ძვ. სტილით).

წმიდა აბო – „უცხოა უცხოთა შჯულითა“ და „ახალი მონამე“. „ახალში“, უპირველესად, მისი უცხოობა უნდა მოვი-აზროთ და არა მხოლოდ რიგითობა (მომდევნო, კიდევ ერთი ახალი წმინდანი). ჩვენი აზრით, „ახალი მონამე“ მაინც აბოს „უცხოობას უცხოთა შჯულითა“ უკავშირდება ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თუნდაც იმიტომ, რომ განხილული თავი მთავრდება „მონამის გამოჩინებით“, რომელიც უცხოა: „რომელთამე თვით აქა მკვიდრთა და რომელთამე უცხოთა და სხუით მოსრულთა ჩუენ შორის უამად-უამად, მონამედ გა-მოჩინებითა ქრისტე იესუს მიერ“ (ძეგლები 1964: 55). ე. ი. აბო ახალი მონამეა, როგორც სხვა ერის შვილი, სხვა რელი-გიის მიმდევარი ჩვენ შორის მოსული და ჩვენი რწმენისთვის წამებული. გარდა ამისა, „ქრისტეს შობა, ჯვარცმა და ალდ-გომა ადამიანის სნის მარადიული გზაა. ყოველი ახალი წამება ახლებური დამოწმება და განახლებაა მაცხოვრის ვნებისა და ალდგომისა. „ახალი მონამე“ ამაზეც მეტყველებს და, ამასთანავე, გვაუწყებს, რომ წმინდანი სულ ახლახან, ესესაა დაე-მოწმა ქრისტეს“ (ქრესტომათია 1999: 102).

ამრიგად, „წმიდა აბოს წამების“ პირველი თავი წარმოადგენს:

1. ჰომილეტიკურ-ეგზეგეტიკური სიტყვის ნიმუშს;
2. საუბარი იწყება მიმართვის ფორმით, რომელშიც მოხ-მობილია ყოვლად წმიდა სამება. ტექსტი და ქვეტექსტი ერთ-მანეთს ავსებს;
3. ყველაფერი აქცენტირებული და კონცენტრირებულია სიტყვის „შეწყნარებისაკენ“, ეს არის სიტყვის ძალისა და მად-ლის, სიტყვის, როგორც მხსნელის აპოლოგია;

4. აგიოგრაფის ხედვა არის აპოკალიფსური. იგი ესქატოლოგიური მოტივით ხსნის ყველანაირ უბედურებასა და შეჭირვებას;

5. განსაზღვრულია აგიოგრაფიული მწერლობის მნიშვნელობა;

6. აგიოგრაფი წარმოაჩენს ქრისტიანული სარწმუნოების მოძღვრების არსს არა საკუთარ დაკვირვებებზე მინდობით, არამედ ეკლესის სწავლებაზე დაყრდნობით;

7. ყველაზე სრულად და ნათლად განხილულ თავში იკვეთება იოანე საბანისძის უაღრესად მონოლითური, სწორხაზოვანი და ეროვნულ-სარწმუნოებრივი ღირსებების შეგრძნებითა და განცდით დამუხტული პიროვნება.

* * *

თხზულების ძირითადი ნაწილის წინ მოთავსებულ ე. წ. ზან-დუკში: „საკითხავნი წმიდისა ჰაბოსის თავნი დ“ მეორე თავი ასეა ფორმულირებული: „ქართლად შემოსლვად და ნათლისლებად ნეტარისა ჰაბოსი“, ხოლო საკუთრივ მეორე თავს „ნეტარი ჰაბოსი“ შეცვლილი აქვს „წმიდისა მოწამისა ჰაბოსად“. არავინ იცის, ეს მცირე ნიუანსური ცვლილება რამე ლოგიკას ეფუძნება თუ შემთხვევითობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ, ფაქტია, რომ „ნეტარი“ ტრანსფორმირდა, გადავიდა „წმიდა მოწამეში“. რა თქმა უნდა, ამით თითქმის არაფერი შეცლილა, მაგრამ, ალბათ, რაღაც შინაგანი კანონზომიერება მაინც არის ამაში. აბო იმდენადა ნეტარი, რამდენადაც მარტვილია, ქრისტესთვის წამებული. ამ შემთხვევაში პირველი აშინაარსებს მეორეს და ერთ მთლიანობად წარმოგვიდგება.

იოანე საბანისძის „წმიდა აპოს წამების“ განსახილველი მეორე თავის დასაწყისის ინტონაცია უკვე თხრობითია და დაცლილი იმ ამაღლებული ეგზეგეტიკური სტილისაგან, რომელიც პირველ თავში დაფიქსირდა. აქედან იწყება საკუთრივ აგიოგრაფიული წანილი თხზულებისა – ძირითადი ამბის თხრობა. ყველაზე თვალშისაცემი ამ თავში ის არის, რომ სხვადასხვა ფორმითა თუ შინაარსით გრძელდება და კონკრეტდება უფრო ადრე ნათეთვამი სიტყვა აგიოგრაფისა. სიტყვის ასეთი ტრანსფორმაცია მწერლის სტილის თავისებურებად უნდა ჩაით-

ვალოს, რომელსაც გამიზნულად აქვს შერჩეული დიალოგური თხრობის პათოსი და საგნისა თუ მოვლენის არსში წვდომის, მისი განსახოვნების სპეციფიკა. ასეთ ფონზე ნათლად იკვეთება ტექსტისა თუ ქვეტექსტში დაშიფრული ლვთისმეტყველება.

პირველი და უმთავრესი ეს არის პროვიდენციალიზმი (შდრ.: კეკელიძე 1986: 34), ლვთის ნებისა და ხელის დანახვა ყოველ მოვლენაში. მაგ., აგიოგრაფი გვაუწყებს: „ბრძანებითა ღმრთისათა მოკუდა აბდილა“; „ქველისმოქმედმან ღმერთმან არწმუნა მაჰდი“; აბომ, მართალია, „ინება წამოსვლა“ ქართლში, მაგრამ „არა თუ თვისით გონებით, არამედ წამისყოფითა ღმრთისამიერითა ინვია“; „უფალი მეცნიერ ჰყოფდა მას“; „უფალმან დაიცვა იგი ხელთაგან მათთა“ (საუბარია ნერე ერისმთავარსა და სარკინოზებზე); „ღმერთმან მოამშვიდა პირი მეფისა“ (ხაზართა მეფე); „არა განაშორა უფალმან“ (ნერსე)...

რადგან იოანე საბანისძე ამ რანგის ორთოდოქსია, მაშინ ბუნებრივია მისი აქცენტებიც იმაზე, რომ ადამიანი მაღლობელი უნდა იყოს ლვთისა, განსაცდელიც და ბედნიერებაც მორჩილებითა და მადლობით მიიღოს. ნერსე თავისი ამაღლით ხაზარეთიდან აფხაზებში „წარემართნეს... სიხარულითა და მადლობითა ღმრთისათა“, „სიხარულით ყოველნივე აკურთხევდეს ღმერთსა“. როდესაც აბომ ორმოცი დღე აღთქმული დუმილით მკაცრად იმარხულა, აღვსების დღესასწაულზე „განხსნა ენადცა თვისი უტყუებისაგან და ადიდებდა ღმერთსა“, აბოს სულიერობით გაკვირვებული „ადიდებდეს ღმერთსა“, „ნეტარი ჰაბორ უფროვასლა ჰმადლობდა ღმერთსა“...

იოანე საბანისძის თხზულების მეორე თავი არის ქრისტიანული სიყვარულის აპოლოგია. ამის გათვალისწინებით კიდევ ერთხელ იკვთება ის აზრი, რომ ყოველგვარი მადლი სიყვარულშია, რომ ქრისტესმიერი სიყვარული არის ის უძლეველი ძალა, რომელიც ადამიანს განღმრთობამდე აიყვანს. აგიოგრაფის თქმით, აბო „წარმოვიდა აქა... ქრისტეს სიყუარულისათვს“; „იქმნა იგი [აბო – სფ. მ.] საყუარელ ყოვლისა ერისა“, აბომ „შეიყუარა ქრისტე ყოვლითა გულითა“; „ვერ განმაშორონ მე სიყუარულისა უფლისა ჩემისასა“, – სწორედ ამ ძალამ აქცია იგი წმინდანად! „სარწმუნოება, სასოება და სიყუარული, სამი ესე; ხოლო უფროვა ამისა სიყუარული არს“

(I კორ. 13, 14).

საინტერესოა ისიც, რომ პირველ თავში ქრისტეს სახე-სიმბოლოების განმარტებისას ავტორი შენიშნავს: „ხოლო ეს არათუ რათმე თავის თვისით განგიმარტე თქუენ... არამედ წამებითა წიგნთაგან საწინაწარმეტყუელოთა და მოციქულთა ქადაგებისაებრ, წმიდათა სახარებათაგან წერილნი და ნეტარ-თა მამათა მოძლუართა მიერ განსაზღვრებული სარწმუნოებაა“ (ძეგლები 1964: 55). უფრო ადრე დაბეჯითებით ითხოვდა მკითხველისაგან: „ნუ გეწყინებინ სმენად სიტყუათა ამათ“. თხზულების მეორე თავში კი აგიოგრაფი საგანგებოდ შენიშნავს: „მოვიდის იგი [აბო – სფ. მ.] წმიდად ეკლესიად და მარა-დის ისმენნ წმიდათა სახარებათაგან და საკითხავთა მათ საწინაწარმეტყუელოთა და მოციქულთა და მრავალთაგან შჯულის მეცნიერთა იკითხავნ და ისწავებნ“ (ძეგლები 1964: 57). ასე გადადის თავიდან თავში, ასე ამაგრებს და ავსებს სათქმელს აგიოგრაფი ერთი დიადი მიზნით შეწყრობილი, რომ დამკვი-დრდეს უფალი „ასოთა შინა თქუენთა“, რაც აგიოგრაფიული ქმნილებითაც მიიღწევა.

თხზულების პირველი თავის განხილვისას აღვნიშნეთ, რომ იოანე საბანისძე მკაცრი დამცველია დოგმატიკა-კანონიკისა და ნებისმიერი თეოლოგიური სწავლებისა მხოლოდ ეკლესიის წილში და არა მის გარეთ. ამავე საკითხს უბრუნდება ავტორი მეორე თავშიც და აბოს შესახებ აცხადებს: „სრულ იქმნა იგი ყოვლითა მოძღვრებითა, რომელი აქუს წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა ქრისტის მიერ“ (ძეგლები 1964: 57).

იოანე საბანისძე მინიშნებით, მაგრამ მაინც აქცენტს აკეთებს „ცხოვრების სიტყვაზე“. თხზულების პირველ თავში, როდესაც სიტყვის ძალასა და მაღლზე საუბრობს, შენიშნავს, რომ ღვთის მოყვარეთა „შუვა წარმოიხუნიან სიტყუანი იგი ცხ-ორებისანი“ (ძეგლები 1964: 51). მეორე თავში კი ასე აგრძელებს ამ თემას: აფხაზეთში მყოფ აბოს ეპისკოპოსი და მღუდელნი „აკურთხევდეს და ნუგეშინის-სცემდეს და უთხრობდეს მას სი-ტყუათა ცხორებისათა და ახარებდეს ქრისტისთვის და საუკუ-ნოვასა მის ცხორებისათვეს“ (იქვე: 59).

„სიტყუა ცხორებისა“ არის სწორედ ის საზრდო სულისა (გარდა იმისა, რომ ცხოვრების სიტყვა თავად მაცხოვარია), ის

გარდაუვალობა და აუცილებლობა ადამიანური ყოფიერებისა, რომელმაც საუკუნო ცხოვრების ბილიკები უნდა „წრფელ-ყოს და განამზადოს“ სააქაო ცხოვრებაში.

თხზულებაში, საერთოდ, და, კერძოდ კი, მეორე თავში წმიდა აბო წარმოგვიდგება ორი სახით:

I. ნათლისლებამდელი, კათაკმეველი, შეშინებული „სოფ-ლის მპყრობელთა ამათ ზედამდგომელთა ჩუენთა სარკინზ-თაგან“;

II. ნათელობული, მეუდაბნოე განდეგილივით „ფიცხელად“ მარხული, ყოველგვარ შიშზე ამაღლებული, მქადაგებელი და წინასწარმედველი.

ნათლისლებამდელ აბოს თავგადასავალში საინტერესოა ერთი დეტალი: როდის უარყო მან „შჯული იგი მაჰმედისი“?

მართალია, აბომ „ინება წარმოსვლად თვისი აქა“, დაუტევა ყველა და ყველაფერი და „წარმოვიდა აქა ნერსცს თანა მგზავრ ქრისტის სიყუარულისთვის“ (ძეგლები 1964: 57), მაგრამ მას ამ ეტაპზე ჯერ უარი არ ჰქონდა ნათქვამი თავის „ბუნებით“ რჯულზე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მუდამ ისმენდა საღვთო წერილს, ეცნობოდა „ზედამინევნად... წმიდათა საღმრთოთა წიგნთა ძეულისა და ახლის შჯულისათა“ და საქრისტიანოს მოძღვრებას, „რომელი აქუს წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა“, მხოლოდ შემეცნების ამ ეტაპზე, როცა გააცნობიერა არსი ქრისტიანობისა და დაინახა უპირატესობა ახალი რელიგიისა, მხოლოდ მაშინ „უდებ-ყო შჯული იგი მაჰმედისი და წესი იგი მამულისა მის ლოცვად დაუტევა და შეიყუარა ქრისტი ყოვლითა გულითა“. უფრო ადრე მხოლოდ ნათქვამია, რომ „წარმოვიდა აქა ნერსცს თანა მგზავრ ქრისტის სიყუარულისათვის“. ე. ი. ქრისტიანობის კარგად გაცნობამდე, ანუ მაშინ, როცა ნერსე შინ ბრუნდება, აბო მას „ქრისტის“ სიყვარულისთვის გამოჰყება, მხოლოდ გონითი შემეცნების ახალ ეტაპზე „შეიყუარა ქრისტი ყოვლითა გულითა“ (ძეგლები 1964: 57).

ნათელლებული, უკვე ქრისტიანი აბო, რწმენაში განძლიერდა, სძლია ყოფიერებას, მატერიას, სიკვდილის შიშს, მასში დამკვიდრდა ნათელი სოფლისა და ისიც დაუბრკოლებლად „შეეყო მარხვასა და ლოცვასა“ (ძეგლები 1964: 58). წმიდა აბოს სვლა სათნოებათა კიბეზე, მისი სულიერი ამაღლება,

სულის ზრდა იწყება მარხვითა და ლოცვით – ამ უძლეველი ძალით, რომლითაც შეიძლება განიდევნოს და დაითრგუნოს ეშმაკი (მრკ. 9, 29). ლოცვა და მარხვა იქცა აბოს სულიერ მდგომარეობად. ხაზარეთიდან აფხაზეთს მიმავალი სამი თვის სავალ გზაზე „მგზავრ ილოცვიდა და იმარხვიდა და არა დას-ცხრებოდა იგი ფსალმუნებით“ (ძეგლები 1964: 59).

აფხაზთა მეფესთან საუპარში პირველად გაცხადდება, რომ აბომ სძლია სიკვდილის შიშს: „არა მეშინის მე სიკვდილისაგან“ და თითქოს საკუთარი უძლეურებაც შეაფასა, როცა „ეშინოდა სოფლის მპყრობელთა... სარკინოზთაგან“ და ჩუკენთა სა-მარცხვინო მდგომარეობას შეადარა თავისი წარსული, როცა პავლე მოციქულის სიტყვები გაიხსენა. „ჩუკენთა სასუფეველი ღმრთისა ვერ დაიმკვდრონ“. „აბო წამების გზას მხოლოდ მას შემდეგ დაადგა, როდესაც ღრმად გაიცნო და შეითვისა ახალი მოძღვრება და ამდენად, მისი გადაწყვეტილებაც დამარწმუნებლადა მოტივირებული“ (ბარამიძე 1996: 45).

თბილისში დაბრუნებული სარკინოზი ჭაბუკი „იქცეოდა განცხადებულად ქრისტეანედ“ (ძეგლები 1964: 62). არის ამ ქმედებაში რაღაც ზვიადი და გამომწვევიც კი. ცოტა უფრო ადრე, აფხაზეთში, რწმენაში გამტკიცებული, მარტვილობისთვის გამზადებული აბო უარს ეუბნება მეფეს და თავისი წარსულის პროტესტის ნიშნად ამბობს: „განმიტევე მე, რათა ეუწყოს განცხადებულად ქრისტეანობა ჩემი ქრისტის მოძულეთა მათ“ (ძეგლები 1964: 61). ამიტომ ვერ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, თითქოს „ეს გამომწვევი და გამაღიზიანებელი ნაბიჯი კი არ არის, არამედ ესაა მისი ცხოვრების სილადე, სიხარული“ (ბარამიძე 1996: 54). მრავალთა დასანახავად, დემონსტრაციულად „შემოვიდა ქალაქსა ტფილისსა და იქცეოდა იგი განცხადებულად ქრისტეანედ“. იოანე საბანისძე გვაუწყებს, რომ ამის გამო ჰყვედრიდნენ, აგინებდნენ, აშინებდნენ, სდევნიდნენ სარკინოზები, მაგრამ იგი შეურყეველი, შეუვალი იყო საკუთარ მრნამსა და სიყვარულში, სწორედ სიყვარულის ამ ცხოველმა ძალამ სძლია ურნმუნოებასაც და სიკვდილსაც! სამი წელი თავისუფლად დადიოდა რწმენაგამოცვლილი არაბი ჭაბუკი ქალაქსა და სოფლებში, მაგრამ „ვერავინ მიყვნა წელნი მის ზედა პოროტებით“. რატომ? – ამაზეც საკუთარი პასუხი

აქვს იოანე საბანისძეს, აქაც განგების ნებას ხედავს. „არღარა მოწევნულ იყო უამი მისი“.

და სწორედ ამ „მოწევნული უამის“ განსახოვნებაა თხზულების მესამე თავი „წამებად წმიდისა ჰაბოესი“ და ისიც მიმართვით იწყება: „რომელი ხართ ქრისტის მოყუარენი და მარტვლთ მოყუარენი, მიიღეთ ჩემგან სანატრელი ესე სმენა“ (ძეგლები 1964: 62).

ადვილი შესამჩნევია იოანე საბანისძის სტილის თავისებურება, რომ იგი ყოველთვის დიალოგშია მკითხველთან და არც ერთ ეპიზოდში არ ივიწყებს მას თხრობის ინტონაცია გამუდმებით შეაგონებს, განუმარტავს, უსურათხატებს. აგორაფი გამუდმებულ ძიებაშია, რომ არ გაეფანტოს მკითხველის ყურადღება, არ მოუდუნდეს, არ მოუჩლუნგდეს მას „საცნობელნი გულის ყურისანი“. ამის გათვალისწინებით, თხრობის პათოსი დინამიკური და რიტმულია, არ არის დატვირთული ვრცელი დაილოგებით ან ბიბლიური პასაჟების მოხმობით.

თხზულების მესამე (განსახილველ) თავში წმიდა აბო რამდენიმე სახით წარმოჩნდება. პირველი - აბო მქადაგებელი, გარკვეულწილად მოციქულებრივი მისით მოვლენილი თბილისელ სარკინოზებს შორის. „უშიშრად ვალს ქალაქსა შინა და მრავალთა ასწავებს ჩუენგანთა ქრისტიანე ყოფად“, - შესჩივლებენ ახალ მსაჯულს არაბები (ძეგლები 1964: 64). აბო იმდენად დაუცხრომელი მქადაგებელია ქრისტიანობისა, რომ ამირასაც კი შესთავაზებს: „შენცა გრწმენინ ქრისტი და ნათელიდე მისა მიმართ“ (იქვე: 71). მას არ აშინებს მუქარა, სატანჯველი... ყველაფრისთვის მზად არის, რადგან გრძნობს და ხედავს თავის თავში ღმერთს. „არა შემეშინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ, უფალი ჩემ თანა ხარ“ (იქვე: 69), - ამ სიტყვებით თითქოს საკუთარ თავს ამხნევებდა და უკან დასახევს არ იტოვებდა. სიკვდილის შიშზე გამარჯვებული და ამაღლებული აბო - ასეთია თხზულების ამ თავში მისი სახება. „უშიშრად ვალს ქალაქსა შინა“, - ნათქვამია აბოზე. „მე არა ხოლო ტანჯვად გამზადებულ ვარ ქრისტისთვს, არამედ სიკუდიდცა“ (იქვე: 64), - უბნება „ვიეთმე ქრისტეანე კაცთა“. მან კარგად იცის, რომ სიკვდილით, ტანჯვა-წამებით დამუქრება მტრის გაცვეთილი მეთოდია, ამიტომაც ამბობს: „ჰგონებდა

იგი, ვითარცა შიშით სიკუდილისათა განმაშორა მე სიყუარულ-სა უფლისა“.

უკანასკნელად წარადგინეს მსაჯულთან. „ვიდოდა შორის აჩრდილთა სიკუდილისათა“. იცოდა, როგორ განაჩენს-აც გამოუტანდნენ, წინასწარი ხილვაც კი ჰქონდა: „ვითარცა ვინ მოგზაურ ექმნის მკუდარსა, ეგრე ჰედვიდა თვისა მას გუამსა“. მიუხედავად ყველაფრისა, სიხარულით მიიღოტვოდა ეშაფოტისკენ. მასში აღარ იყო სევდა სიცოცხლისა. სიცოცხლესა და სიკვდილზე ერთდროულად ამაღლებული, სულინმიდის მადლით აღვსებული წამებული მადლობდა უფალს, რომ ლირის გახადა „მიმთხუევად ღუანლსა მას წმიდათა მოწამეთა“ და თავად „მოუდრიკა ქედი თუსი მახვლასა“. ამ ეპიზოდში საინტერესო ის, რომ სარკინოზი ჯალათები ბოლო წუთებამდეც კი ფიქრობდნენ, იქნებ, სიკვდილით შიშით უარყოს ქრისტე და დაუბრუნდესო „ბუნებით შჯულს“: „და სცეს მას მახვილითა სამგზის, რამეთუ ჰერონებდეს, ვითარმედ შიშითა სიკუდილი-სახთა განაშორონ იგი ქრისტესა“ (ძეგლები 1964: 71), მაგრამ ამაოდ, მწარედ მოტყუდნენ!

სიკვდილის შიში ან, ზოგადად, შიშის განცდა, რომელსაც ასეთი დატვირთვა აქვს თხზულების მესამე თავში ტრანფორმირდება და იქცევა დამშინებელთა სენად. ვინც სიკვდილით იმუქრებოდა, ახლა ის შეშინდა. ჯერ ერთი, აბოს დუმილითა და მხნეობით გაკვირვებულებმა ამირას მიმართეს, უნდა დავწვათ, რათა „აღვხოცოთ საცთური ქრისტეანეთა“, მერე მკვდრის უფრო შეეშინდათ, რამე სასწაული არ მოახდინოსო. „ყავთ, ვითარცა თვით იცით“, – მიიღეს ნებართვა, დაწვეს გვამი წამებულისა, მაგრამ ამჯერად დაუწვავმა ძვლებმა შეა-შინეს, შემდეგ „შთაკრიბეს ტყავსა ცხოვრისასა“ და მდინარეში ჩაყარეს. თითქოსდა ყველაფერი ამით უნდა დამთავრებულიყო, მათ სულის სიმშვიდე უნდა მოეპოვებინათ, მაგრამ უფრო დიდი განსაცდელი ელოდათ წინ: მანათობელი ვარსკვლავი „ვითარცა ლამპარი ცეცხლისაც“ დაადგა იმ ადგილს, სადაც დაწვეს. ყველა ხედავდა ამ სასწაულს. „მსაჯულიცა-იგი... და ყოველნი სარკინოზი“. ეგონათ, ქრისტიანებმა თუ აანთეს სანთლები, მაგრამ, როცა მიეახლნენ და დაინახეს „ვარსკულავი იგი ზე ჰაერთა... შეიძყრნა იგინი შიშმან საღმრთომან“.

ასე ტრანსფორმირდა თხზულებაში სიკვდილის შიში „საღმრთო შიშად“ და ასე იძლია დამშინებელი დასაშინებლისა-გან.

სახელი აბო განმარტებულია, როგორც „ღვთის სიმტკიცე, ღვთის კაცი“ (წმინდანის სახელს 2005: 82). ქართულმა ეკლე-სიამ აბო დიდიმოწამედ გამოაცხადა (ხსენების დღე 21 იანვარი ას. სტილით), მასზე შექმნილ კონდაკშიც სწორედ ის ასპექტე-ბია გამოკვეთილი, რომელთა შესახებაც ვსაუბრობდით: „დღე-სასწაულობს დღეს ეკლესია პატიოსანსა ხსენებასა შენსა და შემოკრებს შვილთა ეკლესიისა და ემბაზისათა შენისა ამის ღვანლისა და უძლეველისა ახოვნებისა ქებად, თვალო მონამ-ეთაო აბო“ (ჟამნი 1899: 337-338).

მქადაგებელისა და სიკვდილის შიშზე ამაღლებულთან ერ-თად, აბო წარმოგვიდგება, როგორც „წინასწარმეტყველი“. სა-პყრობილები ქველმოქმედებით, ლოცვითა და მარხვით სულ-ანთებული აბო მეცხრე დღეს თანაპყრობილთ ეტყვის: „ხვალე განსვლად არს ჩემი წორცთაგან და მისლვად უფლისა ჩემისა და ღმრთისა იესუ ქრისტის თანა“ (ძეგლები 1964: 67). დაუცხრომე-ლად მლოცველი პატიმარი ფსალმუნის სიტყვებს იტყოდა: „წი-ნასწარ ვხედევდ უფალსა, წინაშე ჩემსა არს მარადის, რამეთუ მარჯულ ჩემსა არს, რათა არა შევიძრა“ (იქვე: 67).

ნათლისძების წმიდა დღესასწაულზე, პატიმრობის მეათე დღესაც წმიდა მონამე ბრძანებს: „დიდ არს ჩემდა დღეს რამეთუ ვხედავ ორკერძოვე ძლევასა უფლისა ჩემისა“ (იქვე: 68) და თითქმის სრულად იწინასწარმეტყველა, რომ „შორის ქალაქსა ამას... ნათელ-ვიღო სისხლითა ჩემითა და ცეცხლ-ითა და სულითა... და მერმე კულადა შთავჭდე წყალთაცა და კუალად განვნათლდე“ (იქვე: 68)... და ბოლო პასაჟი, საპყრობ-ილიდან მსაჯულთან მიმავალი აბო „მივიღოდა, ვითარცა ვინ მოგზაურ ექმნის მკუდარსა, ეგრე ჰედვიდა თესსა მას გუამსა“ (იქვე: 70).

იოანე საბანისძე გვაუწყებს, რომ მსაჯულთან მიმავალი აბო საკუთარ „გვამს“ ხედავდა და 118-ე ფსალმუნს ამბობდა (ძეგლები 1964: 70). წმინდანთა ცხოვრებიდან ცნობილია, რომ ამ ფსალმუნს გალობდნენ წმინდა მონამე იერონიმე მელიტინე-ლის თანამოღვანეები, როდესაც საწამებლად მიჰყავდათ; ამ

ფსალმუნსა გალობდნენ წმინდა აღმსარებლები ევგენი და მაკარი, როდესაც იულიანე განდგომილის მიერ განდევნილები გადასახლების ადგილისაკენ ფეხით მიდიოდნენ; ამ ფსალმუნს გალობდა კანდარის (კვიპროსი) მონასტრის ცამეტი მონამე ბერი, როდესაც სანამებლად მიჰყავდათ პაპისტებს იმის გამო, რომ მათ არ უარჲყვეს მართლმადიდებლობა (ვასილიადისი 2003: 277). როგორც ჩანს, მარტვილოლოგიური უანრის თხზულებებისათვის 118-ე ფსალმუნის თემა უცხო არ არის, რადგან იგი ღვთაებრივი სიყვარულის საღიდებელია და შესანიშნავად გადმოსცემს ქრისტიანულ ეთიკას, ეს ფსალმუნი მორწმუნეთა სულში ადრიდანვე დიდ სინაცულს იწვევდა და ეს ფაქტორიც განსაზღვრავს მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას „წმიდა აბოს წამებაში“.

ეკლესიდან საპყრობილები მიმავალმა წმიდა შუშანიკმა „უკუმოხედნა ერსა მას და ჰერქეა მათ: ნუ სტირთ, ძმანო ჩემნო და დანო ჩემნო და შვილნო ჩემნო, არამედ ლოცვასა მომიხსენეთ. და ჯმნულმცა ვარ მე თქუენგან ამიერითგან, რამეთუ არლარა მიხილოთ ცოცხალი გამოსრული ციხით“ (ძეგლები 1964: 20-21).

საპყრობილები მსაჯულთან წასაყვანად გამზადებული აბო მიმართავს „პყრობილთა ქრისტეანეთა“: „ლოცვასა მომიხსენეთ მე, რამეთუ არლარა მიხილოთ მე სანუთროსა ამას სოფელსა“ (იქვე: 69). ხოლო ქალაქში ხელ-ფეხ ბორკილდადებული მისთვის აცრემლებულ ერს ეტყვის: „ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ გიხაროდენ, რამეთუ მე უფლისა ჩემისა მივალ, ლოცვით წარმგზავნეთ“ (იქვე: 70).

წმიდა შუშანიკი ითხოვდა „ლოცვასა მომიხსენეთ“ და მის სიტყვებს „და ჯმნულმცა ვარ მე თქუენგან ამიერითგან, რამეთუ არლარა მიხილოთ ცოცხალი გამოსრული ციხით“ თითქოს რალაც სევდაც კი ახლავს. წმიდა აბოს შემთხვევაში საგანგებოდაა აქცენტირებული მისი სწრაფვა აღსასრულისაკენ: „და გამოვიდა იგი სიხარულით და იქცეოდა შორის უბანთა განცხადებულად“, იმის მიუხედავად, რომ იცოდა, რასაც უპირებდნენ. „ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ გიხაროდენ!“ – მისი ამ განწყობის მაჩვენებელიცაა.

წმიდა აბოს სიტყვები „ლოცვით წარმგზავნეთ“ (ზემო-

მოყვანილ კონტექსტში) ისეთი მხატვრული ძალით გამოირჩევა, რომ შესაძლებლობას იძლევა მისი ლოგიკურ-სემანტიკური ველის გაფართოებისას. „ლოცვით წარმგზავნეთ“ ისეთი სახეა, რომელიც მუსიკალობის, უფრო სწორედ, მუზიცირების საშუალებას იძლვევა: „ლოცვით წარმგზავნეთ“ ისეთ გააზრებას ითხოვს, როგორც, ვთქვათ, გაღლობით გამაცილეთ.

ნმიდა შუშანიკის სიტყვები „ლოცვასა მომიხსენეთ“ ქმედების სტატიკური ფორმაა, „ლოცვით წარმგზავნეთ“ კი – დინამიკური, რომლის ემოციური დატვირთვა და გამომსახველობა დაუვინარ შთაბეჭდილებას ტოვებს და აძლიერებს მოვლენის შემეცნებას: განცდასა და აღქმას.

იოანე საბანისძის „ნმიდა აბოს წამების“ მესამე თავი მკითხველისადმი უშუალო მიმართვით მთავრდება. აქ შეჯამდება ის ლოგიკურ-განსჯითი ნაწილი, რომელსაც პასუხი უნდა გაეცა შეკითხვაზე – რა მაგალითს იძლევა ნმიდა აბოს მარტვილობის ფაქტი? აგიოგრაფი გულისტკივილით შენიშნავს, რომ უფალმა აბოს გახრწილი ხორცით ასეთი სასწაული ქმნა, „ესოდენი პატივი აწვე აჩუენა“ და მართალთა აღდგომის დროს ხომ დიდებითა და პატივითა „გვირგვინოსანი იხილონ შორის ანგელოსთა და ჰერცეულნოდის უგუნურად სიბორგილისა მათისათვს, რომელთა ქრისტი უვარ-ყვეს“, რადგან, თუ ისინი დევნილნი ან „მოსრულნი“ იქნებოდნენ მფლობელთა ამა ქუეყნისაგან, უფალი შეინყნარებდა ცათა შინა. ერთი სიტყვით, იოანე საბანისძემ თხზულების ამ თავის დასასრულს თავად გაგვანდო ის უმთავრესი მიზანი და ჩანაფიქრი, რისთვისაც შეიქმნა ეს აგიოგრაფიული ქმნილება, რომ მაგალითი მიეცეს ქართველობას რწმენაში გაძლიერებისა, არ შედრკეს, არ შეირყეს, არ შეშინდეს და არ მოტყუფდეს, რათა არ აღვერიოთ ერსა უცხოსა, არ დავივინებოთ მამულისა ჩვეულებისაგან სლვა, რომ რწმენისთვის თავდადება ადამიანის ნმიდათანმიდა მოვალეობაა: „პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკვდილი“, – მოიხმობს ავტორი დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნს, რათა შეგვაგონოს აზრი და საზრისი ცხოვრებისა – რწმენა და სიყვარული!

იოანე საბანისძის „მარტვილობაზ ჰაბო ტფილელისას“ საკუთრივ აგიოგრაფიულ ნაწილში (მეორე-მესამე თავი) გამოიკვეთა:

1. აგიოგრაფის თეოლოგიური აზროვნების მასშტაბურობა,

ლვთის განგებულების დანახვა ყველაფერში;

2. საგანგებო აქცენტები გაკეთდა ქრისტიანული სიყვარულის უნივერსალიზმზე;

3. იოანე საბანისძე მკაცრი დამცველი და მომთხოვნია ლვთისმეტყველებისა ეკლესიის წიაღში და არა მისგან მოწყვეტით;

4. წმიდა აბო წარმოგვიდგა სულიერობის, რწმენის, თავ-განწირვის უნივერსალურ სახედ. ღმერთან მიახლების, გან-ლმრთობის გზაზე იგი ორ საფეხურს გაივლის:

ა) ნათლისლებამდელი (სარკინოზთაგან დაშინებული);

ბ) ნათელლებული – მეუდაბნოე განდეგილივით დაუცხრომ-ელი მმარხველი და მლოცველი, სიკვდილის შიშის დამთრგუნვე-ლი, მქადაგებელი და „ნინასნარმეტყველი“.

რაც შეეხება თხზულების ბოლო, მეოთხე თავს, რომელიც კარგად არის შესწავლილი, ჩვენ მხოლოდ გავიმეორებთ, რომ I თავში განმარტებული სალვოთო სიმბოლოები IV თავში მიე-მართება აბოს (სირაძე 1987: 78), გარდა ამისა, იგი კავშირ-შია დანარჩენ თავებთანაც თუნდაც იმიტომ, რომ სწორედ ამ თავებშია მოთხრობილი ის, რისთვისაც შეებულია აბო IV თავში (ზარიძე 1997: 76). გასათვალისწინებელია ისიც, რომ „წმიდა აბოს მარტვილობის“ ბოლო თავის შესწავლა, ამავე დროს, უნდა მოხდეს ჰიმნოგრაფიის სპეციფიკის გააზრებითა და გათვალისწინებით, რაც ცალკე თემაა და შემდგომ კვლევას საჭიროებს.

თავი V

„მოდეა პოსტაცი კახის ნაშება“

„წმიდა კოსტანტი კახის წამების“ ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები თავის დროზე იყვლიეს ისეთმა ცნობილმა მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ პ. პეტრესი, ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე. ამ მკვლევართა ნააზრევის ახლებური ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა ხ. ზარიძემ (ზარიძე 2004:).

„წმ. კოსტანტი კახის ცხოვრებისა და წამების“ შესახებ, როგორც თვითონ ასე უწოდებს ამ თხზულების ავტორი, კვლევა, ძირითადად, ავტორობის საკითხის გარკვევას შეენირა. ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილმა გამოთქვა ვარაუდი, რომ „შესაძლებელია, ძეგლის ავტორი „საბერძნეთში მყოფი რომელიმე ბერი იყო“ (ჯავახიშვილი 1977: 90), თანაც საკმაოდ სიტყვაძუნი: „დამწერს თავისი სამოქმედო ასპარეზი მეტად ვიწროდ შემოუფარგლავს: არც კახავს ხანგრძლივი ცხოვრება და მოღვაწეობა, არც არაბთა ამირას ბუღა თურქის საშინელი შემოსევა, არც ის ბრძოლა, რომელიც მოხდა არაბებსა და ქართველებს შორის, დასასრულ, არც ის გარემოება, რომელმაც კახი არაბებს ხელში ჩაუგდო და ის ბრალი, რომელსაც არაბები მას სდებენ, – მას ოდნავაც აღწერილი არა აქვს... სწორედ სამწუხაროა, რომ ავტორი ეგოდენ სიტყვაძვირი გამოდგა“ – სინანულით დასძენს დიდი მეცნიერი (იქვე: 90).

კ. კეკელიძის აზრით, თხზულების ავტორი კოსტანტი კახის თანამედროვეა... შესაძლებელია ვითიქროთ, რომ მარტვილობის ავტორი არის საბერძნეთში მყოფი რომელიმე ბერი, ანდა დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში, მკვიდრი რომელიმე მწერალი“ (კეკელიძე 1980: 521). სხვათა შორის, კ. კეკელიძემ მიუთითა თხზულების წყაროებზეც, რომ შესავალი მარტვილობისა წარმოადგენს ექსცერპტს იოანე ოქროპირის ცხოვრებისას, რომელიც შექმნილა ალექსანდრიის პატრიარქის, გიორგის, (616-630 წწ.) მიერ (იქვე: 521).

ბ. ზარიძის გზამკვლევი ავტორის სადაურობის დადგენის საქმეში არის იმ პუნქტის მიგნება, საიდანაც გასცერის და არეგულირებს მათს საეციელს ავტორი... საიდან ადევნებს იგი თვალ-ყურს თავისი პერსონაჟების გადაადგილებას სივრცეში“ (ზარიძე 2004: 184). მკვლევარის აზრით, „კოსტანტი კახის მარტვილობის“ ავტორისათვის საბერძნები ერთობ სანუკვარი ქვეყანა კი არის, მაგრამ, ამავე დროს, შორეულიც, და სათანადო მაგალითების დამოწმებით დაასკვნის: „კოსტანტი კახის ნამების“ ავტორი უცხოეთში კი არა, ჩვენშია, საქართველოში, აქედან მზირალი და შემფასებელი იმისა, რასაც ხედავს და აღნერს... საბერძნებთან ამ ავტორს უფრო თავისი დაუფარავი ელინოფილობა აკავშირებს“ (იქვე: 185).

ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ამ საკითხის დაწვრილებით კვლევა, მაგრამ, მისი პრობლემატურობის გამო, ჩვენი მხრივ დავძენთ: ტექსტუალური მასალის ანალიზით ძალიერ რთულია გადაჭრით იმისი თქმა, ნამდვილად საბერძნებთში მყოფი თუ საქართველოში მოღვაწე მწერალია ძეგლის ავტორი. რა თქმა უნდა, მისი მკვეთრად გამოხატული ელინოფილობა ამ საკითხს ვერ გადაწყვეტს, თუმცა კარგი არგუმენტია ი. ჯავახიშვილის მოსაზრების დასამტკიცებლად. გარდა ამისა, როგორც შენიშნულია, ავტორს ახასიათებს მკვეთრი დისტანცირება თავის სათქმელთან, თხზულებას აკლია ფაქტის თვითმხილველის თვალი და თანალმობა აღნერილის მიმართ (ჯავახიშვილი 1977: 87).

ახლა რაც შეეხება „აღნერილ სივრცეში მწერლის ორიენტირების შემთხვევებს“. ბ. ზარიძე მიუთითებს იოანე საბანიძის „ნმიდა აბოს წამების“ იმ ეპიზოდებს, რომლებშიც აშკარად იკვეთება ის, თუ საიდან აღიქვამს და აფასებს მოვლენებს იოანე საბანიძე.

მაგ.: „ერისთავი ქვეყანისა ამის და პყრობილ იყო მუნ“;

ან „განუტევა იგი კუალად ერისმთავრობითა აქა, ქუეყანასა თვალსა“ და მისთან.

არა გვგონია, ჩვენი საკვლევი ტექსტი თვალსაჩინო მაგალითებს იძლეოდეს ამ საკითხის გადასაწყვეტად. თუ სივრცეში მწერლის საორიენტაციო პუნქტის მიგნებაზე მიდგება საქმე, „ნმიდა კოსტანტი კახის მარტვილობა“ ასეთ სურათს გადაგვიშლის:

1. „აღვწერე ცხოვრებად და წამებად წმიდისა და ნეტარისა მონამისა კოსტანტისი, რომელი იყო დღეთა ჩუენთა მეფობასა ღმრთის მსახურისა თეოდორა დედოფლისა, რომელ-იგი მე-ფობდა სამეფოსა პერძენთასა“ (ძეგლები 1964: 165). გარდა ასეთი დასაწყისისა, ავტორი იმასაც შენიშნავს, რომ თეოდორა დედოფალმა საბოლოოდ გაწმინდა საბერძნეთი ხატმებრძოლებისაგან და „განამტკიცა ლუანლი პერძენთად და მრავალნი ჭალაკნი აღაშვინა“ (იქვე: 165);

2. კოსტანტი კახის შესახებ აგიოგრაფი შენიშნავს, რომ „კაცი ესე... განთქმულ იყო სახელი მისი ქუეყანათა შორი-ელთა, ვიდრემდის მეფეთაცა მისმენილ იყო მისთვს“ (ძეგლები 1964: 165) – ფრაზის ინტონაციური ტეხილი არ იძლევა იმის ვარაუდის შესაძლებლობას, რომ „აქ საბერძნეთი, რომ-ლის მეფეთა ყურამდეც „მისმენილი“ ყოფილა კოსტანტი კახის დიდი სახელი, ჩვენი ავტორისათვის ეკუთვნის არა იმ სივრცეს, სადაც თავის პერსონაჟსა და თავისთავსაც იგულვებს, რასაც გამორიცხავს მისი თუნდაც „კაცი ესე“, არამედ „ქუეყანათა შორიელთა“ (ზარიძე 2004: 184). მაგრამ ხომ შესაძლებელია, კონტექსტი ამასაც გვეუბნებოდეს: აქედან, სადაც ვიმყოფები, თქვენთვის შორეულ ბერძენთა მეფეებს „მისმენილი“ ჰქონიათ კოსტანტის ღირსებათა შესახებ. ამდენად, მოყვანილი ეპიზო-დი ვერ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, თუ ზუსტად სად იმყოფება ავტორი;

3. აგიოგრაფის გადმოცემით, კოსტანტის თურმე დიდი სურვილი ჰქონია იერუსალიმის სინმინდეების მოლოცვისა: „გული უთქემიდა ტაძარსა მას მისლვად იერუსალიმდ... „და ვითარცა მიინია“ ან „მრავლითა ლოცვითა და კურთხევითა წარმოგზავნეს იგი“, ან „და ვითარ მოიქცა იგი ქუაყანადვე თვსა“... აქ ჩამოთვლილი მაგალითებით ერთი რამ ირკვევა: „გული უთქემიდა მისლვად იერუსალემდ, ან „ვითარცა მიინია იგი“ – ამას იტყვის საქართველოში მცხოვრებიც და საბერძნეთშიც მყოფი, რადგან იერუსალიმი არც საბერძნეთშია (იმის მიუხედავად, არის თუ არა იმპერიის ნაწილი) და არც საქართველოში. ამდენად, ამით ვერ დადასტურდება ის, რომ ავტორი უდავოდ დასავლეთ საქართველოში ცხოვრობს. რაც შეეხება ბოლო ორ მონაკვეთს: „მრავლითა ლოცვითა წარმოგზავნეს“

და „ვითარ მოიქცა იგი ქუეყანადვე თვისა“ – აფიქრებინებს მკითხველს, რომ ავტორი, მართლაც, აქ, საქართველოშია. მაგრამ განსხვავებით „წმიდა პაოს წამების“ ავტორის პოზიციისა, საკვლევ ძეგლში არსად გვხვდება ერთი ასეთი ფორმაციი „აქა, ქუეყანასა თვისა“. ამიტომ იოანე საბანისძის ანალოგით ამ შემთხვევაში ვერაფერს გავარკვევთ.

4. „წმიდა კოსტანტი კახის მარტვილობის“ ავტორი საქართველოში მოღვაწე რომ იყოს, თხზულებაში ერთხელ მაინც გაიპარებოდა იოანე საბანისძის მსგავსი ფრაზა: „ქუეყანისა ამის პყრობილ იყო მუნ“. დაპირისპირება „აქ“ და „იქ“ ძეგლში არ ჩანს. გარდა ამისა, საკმაოდ დისტანციურად და თითქოს შორეულად გაისმის აგიოგრაფის სიტყვები:

„ალდგა დევნულებად დიდი ქრისტეანეთა ზედა ყოველსა ქუეყანასა ქართლისასა“;

ან „ნარადგინეს ნეტარი იგი ტფილისს შინა წინაშე მძლავრისა მის“;

ან „და ვიდრე პყრობილ-ლა იყო მოწამუ ქრისტისი ტიფლისს შინა“;

ან „მიწერა წიგნები ყოველთა მიმართ მეუდაბნოეთა ქალაქისათა და მამასახლისთა მონასტრისათა“ (ძეგლები 1964: 167).

და არსად „ამის ქალაქისათა“ ან „აქა, ქუეყანასა“. ასეთი თავშეკავებული, დისტანცირებული ინტონაცია არ გვაძლევს იმის საშუალებას, ასე დაბეჭითებით განვაცხადოთ, რომ უდავოა აგიოგრაფის აქაურობა, რომ იგი ჩვენებური, საქართველოში მოღვაწეც კი იყოს. როგორც ჩანს, ამ თეორიას ახალი, სხვა არგუმენტები სჭირდება, ხოლო ი. ჯავახიშვილის მოსაზრება ისევ ძალაში რჩება (ალარაფერს ვამბობთ თეოდორა დედოფლის წერილის პათოსზე, რომელსაც, როგორც ჩანს, ეთანხმება თავად ავტორიც).

„ცხოვრება და წამება წმიდისა მოწამისა კოსტანტისი“, როგორც შენიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, უაღრესად კონკრეტული, ვრცელი აღწერებისაგან თავისუფალი, მხოლოდ ძირითად სათქმელზე აქცენტირებული თხზულებაა. იკონოგრაფიული სახისმეტყველების პრინციპის კვალობაზე შევეცდებით, გამოვკვეთოთ წმინდანის სახე, მით უფრო მაშინ,

როცა ეს აბსტრაქტული მონუმენტალიზმის სრული დაცვითაა წარმოდგენილი და ძალიან კარგად წარმოაჩენს თავად ავტორის მიზანდასახლობასაც.

თხზულება შეგვიძლია ორ ნაწილად გავყოთ: კოსტანტი კახის ცხოვრება (მის დატყვევებამდე) და წამება. წმიდა კოსტანტის სიცოცხლის 85 წლის შესახებ კი შემდეგს გვაუწყებს აგიოგრაფი:

„ესე იყო წარჩინებული ფრიად დიდად ყოველსა ქუეყანასა ქართლისასა“ (ძეგლები 1964: 165). წარჩინებული გულისხმობს გამოჩენილს, დიდებულს, სახელგანთქმულს, ცნობილს. ეს სიტყვა ამავე მნიშვნელობით გვხვდება სახარებაშიც: „პყრობილ ვინმე იყო მაშინ წარჩინებული“ (მ. 27, 16 ადიშის ოთხთავი-დან). კოსტანტის „ფრიად წარჩინებულობას“, როგორც ჩანს, ბევრი ფაქტორი განაპირობებდა. მათ შორის, პირველ რიგში, აგიოგრაფის მიერ აქცენტირებულია სიმდიდრე, განსაცვიფრებელი მატერიალური ფუფუნება: „ფრიადი სიმდიდრე აქუნდა და მრავალი საშუალებელი ამის სოფლისაა. და განთქმულ იყო სახელი მისი ქუეყანათა შორიელთა, ვიდრემდის მეფეთაცა მისმენილ იყო მისთვის“ (ძეგლები 1964: 165). ე. ი. კოსტანტის პოტულარობას, პიზანტიის საიმპერატორო კარის მისადმი დაინტერესებას განსაზღვრავდა ის შეუფასებელი სიმდიდრე, დიდალი ქონება, რისი მფლობელიც იყო.

ცნობილი ფაქტია, სიმდიდრე, უმრავლეს შემთხვევაში, სულის საფრთხედ ექმნება კაცს. „ვად თქუნდა, მდიდარნი“ – გვაფრთხილებს წმ. ლუკას სახარება (ნ, 24), ლვთისმშობელი მარიამი, ელისაბედთან მისული, იტყვის: „მდიდარნი განავლინნა ცუდნი“ (ლ. 1, 53), მათეს სახარების მიხედვით, „მდიდარნი ძნიად შევიდეს სასუფევლსა ღმრთისასა“ (მ. 19, 23). როგორც ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი განმარტავს: „ვისაც ცოტა აქვს, ის ნაკლებადაა გახლართული ქონების ხუნდებში. რაც მეტია სიმდიდრე, მით უფრო უჭერს მისი ხუნდები... ვისაც ბევრი აქვს, მისთვის ისევე ძნელია შესვლა (იგულისხმება სასუფეველი – სფ. მ.), როგორც აქლემისთვისაა შეუძლებელი ნემსის ყუნწში გაძრომა“ (ბულგარელი 1992: 57). სიმდიდრეს სხვა სიტყბო აქვს, როგორც გიორგი მერჩულე იტყვის: „მონაგებთა დატევებაა სისხლითა დათხევასა ემსგავსების“ (ძეგლე-

ბი 1964: 263). ამიტომ გაბრუნდა დალონებული უკან იესოსთან მისული მდიდარი ჭაბუკი.

მიუხედავად იმისა, რომ კოსტანტი კახს „ფრიადი სიმდიდრე აქუნდა და მრავალი საშუალებელი ამის სოფლისაა“, მისთვის სიმდიდრის ხუნდებს არ მოუქერია, სულით არ დაცემულა. აგიოგრაფი გვაუწყებს: „აქუნდა მას სარწმუნოებაზ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტის მიმართ შეუორგულებელი და უმტკიცტესი მთათა“ (ძეგლები 1964: 165). ეს უკვე გარანტია იმისა, რომ ნეტარი კოსტანტის ცხოვრება იმ კალაპოტში მიედინება, იმ გზაზე დგას, რომელიც ტაძართან მიიყვანს. ეკლესიის წიაღმში ყველაზე საიმედოდაა დაცული ადამიანი. წმიდა კოსტანტის ეკლესიურობაზე მიუთითებს მისი დამოკიდებულება სასულიერო წოდებისადმი: „აქუნდა ნეტარსა მას სარწმუნოებაზ მღდელთ-მოძღვართა მიმართ და ყოველთა მოწესეთა ეკლესიისათა... და უყუარდეს მას მონაზონნი და აქუნდა მათა მიმართ სარწმუნოებაზ და მოსწრაფე იყო მსახურებასა მათსა“ (ძეგლები 1964: 165). კოსტანტი კახის პიროვნულ მთლიანობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რასაც ასე საგანგებოდ შეგვახსენებს აგიოგრაფი, რომ „ესე ნეტარი შემკობილ იყო ორკერძოთავე მით საქმითა, ვითარცა ხც ფურცლითა და ნაყოფითა“ (იქვე: 165). ეს თავისთავად გულისხმობს იმასაც, რომ მას არ აკლდა ფიზიკური (მატერიალური) და სულიერი სიმდიდრე, რომ იგი ისეთივე წარმატებული იყო საერო ცხოვრებაში, როგორიც სულიერ სათნოებათა შეგროვების, სულიერი განძის მოპოვების საქმეში. „ფრიადი სიმდიდრე“, რომელიც ნეტარი კოსტანტის ამქვეყნიური ცხოვრების შემამკობელია, მას სულის საფრთხედ და საცდურად ექცეოდა, რომ არა მისი გულმოწყალება, და, ზოგადად, ადამიანის განსაკუთრებული სიყვარული. აგიოგრაფის სიტყვით რომ ვთქვათ: „სტუმართ-მოყუარებისა და გლახაკთ-მოწყალებისა მისისათვს ვერვის ძალ-უც მითხოობად ღირსაად“ (ძეგლები 1964: 165). ეს არის სწორედ ოქროს შუალედი, როცა მდიდარიც ხარ და გლახაკთმოწყალეც, როცა „მრავალი საშუალებელი ამის სოფლისაა“ გაქვს და სტუმარიც გიყვარს, როცა სიმდიდრე მოწყალების საშუალებაა.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი ბრძანებს, წმიდა სახარებაში გამოყვანილ მდიდარ ჭაბუკს ზოგიერთი კომენტატო-

რი კიცხავს, როგორც მკვეხარა და პატივმოყვარე კაცს. ისინი ამბობენ: როგორ ეყვარებოდა მახლობელი სრულყოფილად მაშინ, როცა მდიდრად რჩებოდათ. ვისაც უყვარს მახლობელი თვისი, როგორც საკუთარი თავი, ის მახლობლებზე მდიდარი ვეღარ იქნება, მახლობელი კი ყოველი კაცია (ბულგარელი 1992: 53-54).

ნეტარი კოსტანტი მოწყალებით, უხვად გაცემით, მშერ-მწყურვალთა, შიშველთა და უპოვართა შეწყნარებით ცხოვ-რობდა. ესეც ერთ-ერთი ნიშანია მისი ლრმა ეკლესიურობისა. აგიოგრაფი სიხარულით გვაუწყებს: „მრავალნი მოივლტიედ მისა შორით ქუეყანით ლტოლვილნი თანამდებთა თვესთაგან, ხოლო მან მხიარულებითა დიდითა გარდაპქადის თანანადები იგი მათი. ვინა სად იხილა მან ობოლი, გინა ქურივი და არა მსწრაფლ იღუანა იგი?!” (ძეგლები 1964: 165-166). ასეთ ღვანლ-ში ატარებდა ეს სიმდიდრითა და ქონებით სახელგანთქმული კაცი თავის ცხოვრებას, რადგან „ესმინა თქუმული იგი პავლცს მოციქულისა, ვითარმედ: „უკუეთუ ვინმე თვესთა და უფროვასღა სახლეულთა არა მოღუანე იყოს, სარწმუნოებაზ უვარ-უყოფიეს მას და არს იგი ურწმუნოთა უძკრცს (იქვე: 166).

„წმიდა კოსტანტი კახის მარტვილობა“ მთელ ქართულ აგ-იოგრაფიაში გამორჩეულად მნიშვნელოვანი ტექსტია იმ თვალ-საზრისით, რომ აქ ერთ პიროვნებაში შერწყმულია თვალის-მომჭრელი ფუფუნება, სიმდიდრე და უაღრესად გულწრფელი, ალალი სურვილი მოწყალებისა, დახმარებისა, ჩუქებისა, შენ-ევნისა. სწორედ ამ სათნოების წყალობით იხსნის თავს ნეტარი კოსტანტი სიმდიდრის ბორკილებისგან, სწორედ მოწყალებათა საქმენი ხორციელნი: მშერთა ჭმევა, სმევა მწყურვალთა, შემოსვა შიშველთა, შეწყნარება უცხოთა, განკითხვა ქვრივთა, ობოლთა და უპოვართა არის მისი განსაკუთრებული რწმენის, ღვთის მოშიშობისა და სწორი ეკლესიური ცხოვრების შედეგი. ამიტომაც არ უჩნდება მკითხველს წინააღმდეგობა ამ უმდი-დრესი კაცის მიმართ, რადგან სწორად წარმართული ცხოვრება ამარცხებს სიმდიდრის ვნებას.

ნეტარი კოსტანტის უშურველობა, მოწყალება არაერთგ-ზისაა შენიშნული აგიოგრაფის მიერ. როდესაც მან იერუსა-ლიმის სიწმიდეები მოიხილა და მოილოცა, „ცხონდებოდა იგი

ბრწყინვალედ მრავლითა ღმრთის მსახურებითა” (ძეგლები 1964: 166). ეს ძალზე დამაკვალიანებელი ფრაზაა იმის ნათელ-საყოფად, თუ რა განსაზღვრავდა კოსტანტი კახის ცხოვრების პრინციპს. ღმრთის მსახურებით ცხოვრება განსაკუთრებით გააორმაგა, როცა იმ სიწმინდეებს ეზიარა, „რომელთა დადგნეს ფერწინი უფლისანი“. სულიერობით აღსავსე, რწმენაში განმტკიცებული, ღვთისა და მოყვასის სიყვარულით შთაგონებული წმ. კოსტანტი უკვე უფრო უშურველად გასცემს მოწყალებას „და მიერითგან არღარა დააცადებდა იგი ... აღშურებასა გლახაკთასა ... და რად წელინად წარსცის ერთსა მსახურთა მისთაგანსა სამი ბევრი ვერცხლი, რომელიმე მისგანი წმიდათა ადგილთათვს და რომელნიმე უდაბნოთათვს და რომელნიმე გლახაკთათვს, რომელნი მკვიდრ იყვნეს იერუსალამის შინა“ (ძეგლები 1964: 166). მოყვანილი ნაწყვეტი იმასაც გვიდასტურებს, რომ ნეტარი კოსტანტის ქველმოქმედება გასცდა საქართველოს ფარგლებს და მის მიერ გაღებული „სამი ბევრი ვერცხლი“, ანუ ოცდაათი ათასი ვერცხლი, იერუსალიმის სიწმინდეებსა და იქაურ „გლახაკებს“ შესწირა. რასაკვირველია, ღვთისმსახურებით ცხოვრება, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, მოწყალების სათხოებასაც გულისხმობს, რადგან როგორც იესომ თავის პირველ ქადაგებაში გვითხრა: „ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ“ (გ. 5, 7).

აგიოგრაფი ძუნნ ცნობებს გვანვდის წმ. კოსტანტი კახის სულიერი პორტრეტის შესახებ, მაგრამ მის მინიშნებებით ნათქვამში შესაძლებელია, აღადგინო და ამოიცნო ჭეშმარიტი ქრისტიანის, ქრისტეს მცნებების დამცველისა და აღმასრულებლის ხატება. ამის საილუსტრაციოდ ეს მონაკვეთი გამოიდგება: „აქუნდა ნეტარსა მას სიმდაბლც და თავს-დებად უფროს ყოველთა კაცთა... შეერაცხა თავი თვისი უცოდვილოს ყოველთა კაცთა და ცრემლოვინ იგი ცოდვათა თვისთათვს“ (ძეგლები 1964: 166).

სიმდაბლე არის კარი სასუფევლისა, საკუთარი ცოდვების შემეცნებისა და განცდის შედეგი. თავად მაცხოვარი სოფლისა გვაფრთხილებს: „რომელმან აღიმაღლის თავი თვისი, დამდაბლდეს; და რომელმან დამდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს“ (გ. 8, 12). ეკლესიის წმიდა მამები სიმდაბლეს სათხოებათა დედას

უწოდებენ. იგი გულიდან მოდის და ადამიანის სულიერობის უმაღლესი გამოხატულებაა. შესაძლებელია, მორჩილება აღას-რულო, არ ეთანხმებოდე, მაგრამ მაინც დაემორჩილო, შეას-რულო... სიმდაბლე აღსრულებულ მორჩილებაზე მაღლა დგას. სიმდაბლეს სულის სიმშვიდე მოაქვს. იესო გვამცნობს: „მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა“ (მ. 11, 29). წმ. იოანე ოქროპირი ბრძანებს: „შევიტკბოთ სიმდაბლე, რომელი ქრისტეს მოამს-გავსებს მომგებელთა მისთა... შეიმოსე სიმდაბლე და უდარეს ყოველთა იყავ“ (ოქროპირი 1990: 375).

სიმდაბლით ცხოვრების მაგალითი თავად უზენაესმა გვი-ბოძა: განკაცდა და ჯვარს-ეცვა. ამიტომ ნეტარი კოსტან-ტის სულიერობის განმსაზღვრულად ნათევამი: „აქუნდა ნეტ-არსა მას სიმდაბლც“ – იმის მინიშნებაცაა, რომ ყველანაირ განსაცდელს, რომელიც, შესაძლებელია, მას შეემთხვეს, სიმდ-აბლითვე აიტანს და დაამარცხებს. სიმდაბლე ებრძვის ამ-პარტავნობას, ყველაზე სასტიკსა და ყველაზე დამღუპველს, რომელმაც ცანი შეარყია და ბრწყინვალე, ნათლით მოსილი ან-გელოზი დემონად, ბნელ, შესაზარ სულად აქცია. ამპარტავნო-ბამ დაგვაკარგვინა მამისეული ბალი – სამოთხე და გაჭირვება და მწუხარება გვარგუნა (რაფაელი 1998: 50). სიმდაბლე არის ისეთი სულიერი მახვილი, რომელიც შემუსრავს საცოტურსა და სატანჯველს. როგორც არქიმანდრიტი რაფაელი წერს: „სიმდ-აბლე არის სწორი შინაგანი სულიერი თვითშეფასება, საკუთარი ცოდვების, ულირსობის გაცნობიერება, ღმრთის შემწეობის საჭიროების მუდმივი შეგრძნება. სიმდაბლე არის ყოველი ადა-მიანის – ღმრთის ხატისა და მსგავსისადმი პატივისცემა“ (იქვე: 52). წმიდა იოანე ოქროპირი დაასკვნის: „არა რად არს სწორ სიმშვიდისა და სიმდაბლისა“ (ოქროპირი 1990: 376). ანტონ დი-დის მიხედვით: „ჭეშმარიტი სიმდაბლე და მორჩილება კი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი თავის თავს მარად ცოდვილად მიიჩნევდეს... მორჩილად შეხვდეს და დიდსულოვნად დაითმი-ნოს ყოველგვარი სიძნელე და მწუხარება, რაც კი სათნოების გზაზე დამდგარს შეხვდება“ (ანტონ დიდი 1991: 270).

სიმდაბლის სათნოებასთან ერთად, ნეტარი კოსტანტი და-ჯილდოებული იყო სხვაზე ზრუნვის ნიჭით: „აქუნდა... თავს-დებავ უფროს ყოველთა კაცთა“ (ძეგლები 1964: 166). რადგან

სიმდაბლე საკუთარი ცოდვილიანობის გასიგრძეგანებაცაა, ამიტომ განმარტავს ავტორი ქმნილებისა: „შეერაცხა თავი თქსი (კოსტანტის – სფ. მ.) უცოდვილობის ყოველთა კაცთა და ცრემლოვინ იგი ცოდვათა თქსთათქს“ (იქვე: 166).

თავისთავად, წმინდანის პორტრეტი, მისი სულიერი ცხოვრების გადმოცემით ცოცხლდება. ეკლესიური ადამიან-ისათვის არ არის ძნელი გასაგები ის სულიერი მდგომარეობა, რომელიც ასახავს ცრემლით მონანიე ქრისტიანს. ცრემლი სული წმიდის მაღლად ითვლება, ეს კი იმთავოთვე განსაზღვრავს ნეტარი კოსტანტის მაღალ სულიერებას, მის სულიერ კათარზისს და ღვთის უსაზღვრო სიყვარულს: „წმ. იოანე სინელის „კლემაქსის“ მიხედვით, ცრემლის მაღლი უტყუარი ნიშანია იმისა, რომ ადამიანის გული ღვთისადმი სიყვარულით არის აღვსილი. „წყარო ცრემლისა ნათლისლების შემდეგ, ნათლის-ლებაზე უმეტესია“ – ამბობს იგი. ცრემლი განმენდს ბუნებას ჩვენსას... რამეთუ სინანულის ცრემლი არის დიდებული ნიჭი სულინმიდისა, გარდამქმნელი გულთა ჩვენთა“ (გამსახურდია 1991: 120).

წმიდა კოსტანტი კახის სულიერი პორტრეტი, რომელიც აგიოგრაფმა დაგვიხატა და რომლის შესახებაც ვსაუბრობდით, უმთავრესად, მოწყალებასა და სიმდაბლეში ვლინდება. სიმდაბლის სათნოების შედეგია ის, რომ იგი მორჩილებითა და მაღლობით იღებს განსაცდელს (შდრ.: ანტონ დიდი 1991: 270). როცა 85 წლის მოხუცი შეიპყრეს და თბილისში საპყრობილები ჩააგდეს, „იგი ყოლადვე არა შეშინდა, არცა შეძრწუნდა, არამედ სიხარულით შეიწყნარა მოწევნული იგი მის ზედა და ჰმადლებდა იგი უფალსა“ (ძეგლები 1964: 167) – მოგვითხრობს აგიოგრაფი. თავად კოსტანტი მიმართავს ისმაილელ ჯაფარს: „სიხარულით მოვითმენ სახელისა მისისათქს“ (იქვე: 168). ხოლო, როცა „გარემოს მდგომარენი იგი მისი სცემდეს პირ-სა მისა და მრავლითა ტანჯვითა სტანჯვიდეს მას... ენაა მისი ვერ დააბრკოლეს გალობად“ (იქვე: 170).

სიხარულითა და გალობით ეგებებიან წამებათა უანრის გმირები გარდაუვალ ტანჯვა-ნამებას, უშიშრად და ახოვნად (მტკიცედ) დგანან ისინი ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე. წმიდა კოსტანტის სულიერი სიმტკიცე და ურყეველობა სათნოებათა

გზაზე სიმდაბლის უძლეველი მადლის შედეგია.

ქართული აგიოგრაფიული მწერლობის ადრეულ ნიმუშებშიც კი აქცენტირებულია ქრისტიანული ცხოვრებისა და ეკლესიური შემეცნების, ლიტურგიული აზროვნების ერთი გარდაუვალობა. „რატომ ისჯება ქვეყანა, ერი?! „ნმიდა შუშანიკის წამების“ მიხედვით, ვარსექნის გამაზდეანება ერში დაგროვილი ცოდვების შედეგია. „ნმ. აბოს წამების“ ავტორი არაბობის მომძლავრებას ქვეყანაში ესქატოლოგიური ჟამით ხსნის. „ნმიდა კოსნატი კახის მარტვილობის“ მიხედვით, ბუღა თურქის აგრესია, ქვეყანაში ქრისტიანთა დევნა ახსნილია იმით, რომ ქართველობამ დაივიწყა ქრისტე: „ხოლო გზაზ იგი ჭეშმარიტებისაა არა გულისწმა-ყვეს“ (ძეგლები 1964: 168), რომ ავცდით სწორ ქრისტიანულ გზას. ნეტარი კოსტანტი ასე მიმართავს თბილისში „მძლავრისა მის, რომელსა სახელი ერქუა ბუღა“: „მეცა უწყი, ვითარმედ ღმერთმან მიგუცნა წელთა თქუენთა, არამედ არა სიყუარულისა თქუენისათვს, არცა საქმეთა თქუენთათვს კეთილთა, არამედ რამეთუ არა დავიმარხენით ჩუენ მცნებანი მისნი; ამისთვისცა ნათესავითა მით ურჩებისათა განგუკაფნა ჩუენ, რამეთუ მრავალგზის ისრაცილცა მისცის უფალმან წელთა უცხოთესლთასა, რაუამს არა ვიდოდიან იგინი გზათა მისთა“ (იქვე: 167).

ნმ. კოსტანტის ამ სიტყვაში შემთხვევითი მინიშნება არ კეთდება ისრაელზე, როგორც ღვთის რჩეულ ერზე. ღვთისკენ სავალი გზა არ არის ია-ვარდით მოფენილი, ქრისტეს ცხოვრება ჯვარცმა და აღდგომა-ამაღლება იყო. რომ განიწმინდო, ჯვარს უნდა ეცვა. ჯვარცმაში შეიძლება მოვიაზროთ ფიზიკური და სულიერი ტკივილი. მთავარი ის არის, საყვედური არ დაგცდეს განსაცდელში მყოფს, მადლობით უნდა მიიღო ის, რასაც ღმერთი გიგზავნის. განსაცდელი საცდურად არ უნდა იქცეს, ამიტომაც ამბობს ნეტარი კოსტანტი: „ხოლო ჩემდა კეთილ არს, რამეთუ დამამდაბლა მე უფალმან, რათა დავი-მარხნე მცნებანი მისნი“ (ძეგლები 1964: 167).

არც ის არის შემთხვევითი, რომ ნმიდა კოსტანტი კახი, აგიოგრაფიული ტექსტის მიხედვით, მოხსენიებულია ნმიდა იობის, ნმიდა დიდმონამე გიორგისა და ნმიდა იოანე ნათლისმცემლის ღვანლთა გათვალისწინებით:

აგიოგრაფი გადმოგვცემს: „ესვიდა ახოვნებასა მას თვისაა და ვითარცა-იგი იყო იობის ზედა“ (ძეგლები 1964: 167).

სიკვდილით დასჯის წინ წარმოთქმულ ლოცვაში ნეტარი ევსტათი ამბობს: „ვითარცა-იგი დღენდელსა ამას დღესა შინა ადიდე ლირსი შენი მონამც წმიდად გიორგი და შეინირენ შრო-მანი მისნი და დათხევად უბინოსა სისხლისა მისისად, შეინირენ უნდონიცა ესე სისხლი ჩემი“ (ძეგლები 1964: 170).

როდესაც აღასრულებენ ურჯულო მეფის ნებას და თავს წარკვეთენ ნეტარ კოსტანტის, აგიოგრაფი დასძენს: „მან მო-ჰკუეთა თავი მისი მახლითა და შეართუა მეფესა თვისაა, ვი-თარცა იგი თავი იოანე ნათლის-მცემელისად ჰეროდეს“ (ძეგლე-ბი 1964: 170).

მართალ იობთან წმ. კოსტანტი კახის დაკავშირება კიდევ ერთი ნიშანია იმისა, თუ როგორ უდრტვინველად იღებდა იგი განსაცდელს. წმიდა დიდმონამე გიორგისთან მისი კავშირი არა მხოლოდ მონამებრივ ღვანწლს უკავშირდება, არამედ იმასაც, რომ, როგორც წმ. გიორგი იყო ფრიად წარჩინებული პირი იმ-ჰერატი დიოკლიტიანეს კარზე, ნეტარი კოსტანტიც „კაცი ესე იყო წარჩინებულ ფრიად დიდად ყოველთა ქუეყანასა ქარ-თლისასა“. წმ. იოანე ნათლისმცემლისა და წმ. კოსტანტი კახის ცხოვრების აღსასრული იდენტურია, ორივეს თავი წარკვეთეს და ორივენი სრულიად უბრალონი, უდანაშაულონი იყვნენ „ქვეყნისა ამის მპყრობელთა“ წინაშე.


წმიდა კოსტანტი კახის მიმართება წმიდა მართალ იობთან, წმიდა დიდმონამე გიორგისა და წმიდა იოანე ნათლისმცემელთ-ან, ერთი შეხედვით, თითქოს ასეთი მარტივი მინიშნებებით, გაგრძელებაა ნეტარი კოსტანტის უაღრესად ქრისტიანული შემეცნებისა, იგი დასტურია იმის შესაგონებლად, რომ სული-ერობა, მორჩილება-მოთმინება, სწორი ეკლესიური ცხოვრება ადამიანს აღავსებს ღვთაებრივი მადლით და მისცემს უძლევ-ელ ძალას, სიკვდილით დათოგუნოს სიკვდილი.

„წმიდა კოსტანტი კახის მარტივილობის“ სახისმეტყველე-ბითს სისტემაში უაღრესად საინტერესოა უზენაესთან მი-მართების, ღვთისადმი მიმართვის ფორმები. ეს არის სახის-მეტყველებითი ღვთისმეტყველება, რომელიც საგანგებო კვლე-ვას მოითხოვს. ჩვენ ამჯერად მხოლოდ დავაფიქსირებთ აგი-

ოგრაფის მიერ მოხმობილ საღვთო სახელებს:

1. „აქუნდა ნეტარსა მას სიმდაბლც... რამეთუ ესმინა სიტყუად იგი მქანელისა და მაცხოვრისაა“ (ძეგლები 1964: 166);
2. „გული უთქუმიდა ტაძარსა მას მოსლვად იერუსალ-ცმდ... და ნათლით შემოსილისა და ცხორების მომცემელისა საფლავისა“;
3. „მომცეს მე ძალი ქრისტემან, ჭეშმარიტმან ღმერთმან“ (იქვე: 168);
4. „ვითარცა იტყვს უფალი ჩემი და ღმერთი... სიხარულით მოვითმენ სახელისა მისისათვს, რამეთუ იგი არს ჭეშმარიტი ღმერთი „ძლიერი წელმწიფც და მთავარი მშვიდობისაა, მამად მერმეთა მათ საუკუნეთაა“ (იქვე: 168);
5. „გიგალობ შენ, უფალო, ღმერთო ძალთაო, ღმერთო საუკუნეთაო... შენდა მოვივლტი, ქრისტე, ძეო ღმრთისაო... ან, უფალო, ღმერთო ჩემო, შეინირე მსხვერპლი ესე“ (იქვე: 169);
6. „სახიერო უფალო, აღმიარე მე წინაშე ანგელოსთა შენ-თა“ (იქვე: 170).

ეს ყველაფერი შესაძლებელია, გრაფიკულად ასე გამოვსახ-ოთ:



„წმიდა კოსტანტი კახის წამება“ იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ აგრძელებს ქართული აგიოგრაფიის ყველაზე თვალშისაცემ მოტივს – ლოცვის სათნოებას.

თბილისში დატყვევებული ნეტარი კოსტანტი მეუდაბნოე მამებსა და მონასტერთა მამასახლისებს ასე მისწერს: „გვე-დრები თქუნ, წმიდანო მამანო და ჭეშმარიტნო მოღუანენო ქრისტისნო, რათა მოიხსენოთ სურვილი ჩემი და სარწმუნოებად თქუნდა მომართ და ინებეთ ჩემთვის ლოცვისა ყოფად უფლისა მიმართ“ (ძეგლები 1964: 168) (ხაზი ჩვენია – სფ. მ.). ეს სიტყვები ეხმიანება წმიდა შუშანიკის ნათქვამს: „ნუ სტირთ... არამედ ლოცვასა მომიხსენეთ“ (ძეგლები 1964: 20-21) ან წმ. აბოს თხოვნას, „პყრობილ ქრისტეანეთადმი“: „ლოცვასა მომიხსენეთ მე“ (ძეგლები 1964: 69) და ა. შ.

ქრისტიანები ყოველთვის აღიარებდნენ, რომ, როგორც შეუძლებელია ჭეშმარიტი რწმენა საქმეთა გარეშე „სარწმუნოება თვინიერ საქმეთასა მკუდარ არს“ (იაკ. 2, 17). ასევე შეუძლებელია ჭეშმარიტად ქრისტიანული ცხოვრება ლოცვის გარეშე. ეს, თავისთავად, მათი დიდი რწმენის გამოძახილიც იყო. სჯეროდა ნეტარ კოსტანტის, რომ ღვთისმსახურ მეუდაბნოე მამათა აღვლენილი ლოცვა შეენეოდა, გააძლიერებდა მას, რომ სრული სიმშვიდითა და მოთმინებით მიეღო განსაცდელი.

წმიდა კოსტანტის თხოვნაში მეუდაბნოე მამებისადმი და მის ლოცვა-მონოლოგშიც სიკვდილის წინ, ფაქტობრივად, აქცენტირებულია არა ის, რომ უფალმა აარიდოს მას სასჯელი, არამედ მისცეს ძალა სიმტკიცისა, რომ არ დაბრკოლდეს იმ გზაზე, რომელიც უზენაესმა განუმზადა, თანაც ამას სასჯელს უწოდებს, საკუთარი ცოდვების შედეგად მოვლენილს. მეუდაბნოე მამებისადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ: „უწყი მე, რამეთუ გასმიეს თქუნ, რაო-ესე მოაწია ღმერთმან ჩემ ზედა ცოდვათა ჩემთათვს, არამედ გვევედრები თქუნ, წმიდანო მამანო და ჭეშმარიტნო მოღუანენო ქრისტისნო, რათა მოიხსენოთ სურვილი ჩემი და სარწმუნოებად თქუნდა მომართ და ინებეთ ჩემთვს ლოცვისა ყოფად უფლისა მიმართ, არა ხოლო თუ რათა მომცეს მე ძალი ქრისტემან, ჭეშმარიტმან ღმერთმან, წინამდებარისა ამისათვს საფრნისა, რომელი დაურწყავს მტერსა ჩემსა, რომელსა ჰნებავს დაბრკოლებად ჩემი გზისა

მისგან, რომლისათვის ჰესურს სულსა ჩემსა“ (ძეგლები 1964: 168).

ამავე აზრს ავითარებს წმიდა მოწამე თავის უკანასკნელ ლოცვაში: „გიგალობ შენ, უფალო, ღმერთო ძალთაო, ღმერთო საუკუნეთაო, რომელმან მომეც მე ძალი წინააღდგომად უკე-თურისა ამის მსაჯულისა, ვითარცა იგი წინაესნარ სთქუ, ვი-თარმედ: „თქუენ მომცენით გულნი თქუენნი და მე მიგეც ძალი ჩემი“ (ძეგლები 1964: 169).

აგიოგრაფიული ნაწარმოები მუდმივ დიალოგშია მცითხ-ველთან. აქ ყველაფერი აქცენტირებულია და კონცენტრირე-ბული იქითკენ, რომ განინიშნოს სული ვნებული, „რამეთუ სიმტკიცე და სიხარულ ექმნის ჭაბუკეთა მოთხრობითა მით, სიმხნე იგი ქრისტეს მოღუანეთაზ და სიქადულ და მხიარულე-ბა მოხუცებულთა“ (იქვე: 65). ეს მიზანი მიღწეული რომ იქნეს, ავტორმა რომ შეძლოს მყითხველის სულის შეძვრა, მასში სიკეთის, სინმინდის, რწმენისა და სიყვარულის გამძაფრება, საჭიროა გასაგებად თქმა: „განმარტებულითა ენითა ვაქებდეთ კეთილადმოღუანებასა მისას“, – აცხადებს იოანე საბანისძე წმ. აბოს შესახებ (იქვე: 76) და ამით უკვე ნამოჭრის მხატვრული ნაწარმოების ენის როგორობის საკითხს.

ჯერ კიდევ ადრეული პერიოდის აგიოგრაფები კრძალვითა და სიფრთხილით ეკიდებოდნენ სამწერლო საქმიანობას: „შეშ-მან და ზრუნვამან შემიპყრნა მე – ამბობს იოანე საბანისძე – და შეშფოთნა გონებად ჩემი და დავეცი და მოვაკლდი მეც-ნიერებისაგან... და აღვწერე ულირსისაგან გონებისა ჩემისა შემოკრებული მარტვილობაზ ჭეშმარიტი და უტყუელი“ (იქვე: 47). იოანე საბანისძის მიერ წამოჭრილი მხატვრული ნაწარმოე-ბის როგორობის, მისი ენისა და სტილის საკითხი (განმარტე-ბულითა ენითა ვაქებდეთ) შემდგომ განვითარებას პოულობს „წმ. კოსტანტი კახის მარტვილობაში“: „და ესე მრავლისაგან მცირედი ალინერა სიმწენეთაგანი წმიდისა კოსტანტისი, რათა იყოს თქმული ესე შემოკლებულ და სრულ, რათა არა იყოს შემაწუხებელ ნაკლულევანებითა, არცა ნამეტნავ განგრძობი-თა“ (იქვე: 170).

აქ გამოთქმული და ჩამოყალიბებულია თეორიული დებ-ულება მხატვრული ნაწარმოების არსის, მისი სტრუქტურის,


კომპოზიციის, სტილის შესახებ. „შემოკლებულ და სრულ“ – ეს მოთხოვნა სტილის ლაპიდარობას გულისხმობს. აგიოგრაფს არ ავიწყდება მკითხველი, ანუ ის, ვისთვისაც იქმნება, იწერება ეს ქმნილება: „არა იყოს შემაწუხებელი“ – ფრიად მნიშვნელოვანი მოთხოვნა, რომლის უკან სწორედ ესთეტიკური ფენომენი დგას. ნაწარმოებმა არ უნდა გადაღალოს მკითხველი, არ უნდა გაუქროს ინტერესი და სიყვარული მოთხოვნილი ამბისა. „აგიოგრაფის განცხადებაში, რომ ნაწარმოები უნდა იყოს „შემოკლებულ და სრულ“... სიმოკლე გულისხმობს მოვლენის არსებითად, ამომწურავად და სხარტად ასახვას, სისრულე კი ნიშნავს სრულყოფილად, ე. ი. ზედმეტობის გარეშე, მოკლედ გადმოცემას. ნაწარმოები არ უნდა იყოს გაჭიანურებულ-გაგრძელებული და არც დაუმთავრებელ-ნაკლულევანიო“ (ბარამიძე 1966: 150).

ზომიერად თქმის მოთხოვნას იცავს გიორგი მერჩულიც, როცა ხანძთის მონასტრის ტიპიკალურ ნაწილს ეხება, დასძენს: „და ესევითარი მრავალი სათნოებად კეთილი სხუადცა დამკვიდრებულ იყო შორის მათსა, რომლისათვე არა არს აწ თითოეულად ყოვლისთვე სიტყუად, რამეთუ შემოკლებულ არს ჟამი ესე და გონებად ისწრაფვის, რათა არა იყოს ნამეტნავ სასმენელსა სასმენელთასა“ (ძეგლები 1964: 266). ამ მოთხოვნებში აშკარად იკვეთება ესთეტიკური თანადგომის პრინციპები.

სახისმეტყველებითს სისტემაში საინტერესოდ გვეჩვენება „წ. კოსტანტი კახის მარტვილობის“ დასაწყისიც. აქ აგიოგრაფი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ „არავინ-ყო ალწერად იგი წიგნთად გარნა მადლითა სულისა წმიდისათა“ (იქვე: 164). ასეთი შენიშვნა თავისთავად გულისხმობს იმას, რომ თვით ეს თხზულება სულიძმიდის შთაგონებით იქმნება. აგიოგრაფის განსაკუთრებულ მოკრძალებას ადასტურებს მოსე წინასწარმეტყველის მოხსენიება: „დიდმან მან მოსე პირველად იწყო აღნერად შესაქმისა ცისა და ქუეყანისა“ (იქვე: 164). შემთხვევითი არ უნდა იყოს ასეთი მინიშნებაც: „მარადის მტერი იგი და მოშურნეც არა ვინაა დასცხრა წინააღმდეგომად ჭეშმარიტებისათვს, და აღაზრზინა მეფენი მის ჟამისანი და იგინი აიძულებდეს მორწმუნეთა მათ მსახურებად კერპთა თქსთა. ხოლო რომელნი არა ერჩდეს მათგანნი, მოსწყუედდეს მათ პირითა

მახვლისათა“ (იქვე: 164-165). ტექსტის დასაწყისში ნათქვამი ეს სიტყვები წინასწარი შემზადება იმისათვის, რაც შემდეგ კონკრეტულად თხზულების ფინალში გაცხადდება.

პირველ მწერლად მოსეს მოხსენიება, შემდეგ წინასწარმ-ეტყველთა თქმულის აღმწერთა გახსენება, შემდეგ წმიდა ოთხთავის, საქმე მოციქულთას და, ბოლოს, წმიდა მოწამე-თა ცხოვრების აღმწერთა ღვაწლის შეხსენება – საეკლესიო ტრადიციათა დაცვა და გაგრძელებაა. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ „მეცა არალირსმან ვინებე მიბაძვად პირველთა მათ და აღვწერე ცხორებად და წამებად წმიდისა და ნეტარისა მოწამისა კოსტანტისი“ (ძეგლები 1964: 165). „მეცა ულირსმან“ – ცნობილი და გავრცელებული ფორმაა საკუთარი სიმდაბლისა და მორჩილების გამოსახატად. აგიოგრაფის მიერ თხზულების დასაწყისშივე შეხსენებული იერარქია ასეთ ფორმას იღებს:



ასეთ კონტექსტში გაიაზრებოდა აგიოგრაფიული მწერლო-ბა. იგი ითვლებოდა ბიბლიის გაგრძელებად, ამიტომ გვგონია, რომ აგიოგრაფია, უპირველეს ყოვლისა, ლიტურგიულ-ეორ-

ტალოგიურ პრინციპზე აგებული დარგია საეკლესიო მწერლობისა და მასში, უპირატესად, მხატვრულ-ესთეტიკური კი არ მოიაზრება, არამედ რელიგიურ-ზნეობრივი. ჩვენი ეპოქის მიდგომა აგიოგრაფიული მწერლობისადმი, როგორც მხატვრული ნაწარმოებისადმი, ძირეულ შეცვლას მოითხოვს.

წმიდა კოსტანტი კახის სულიერ სიმტკიცეს, მის შეუვალობასა და ურყევობას განაპირობებს ის უდიდესი რწმენა, თავდადებული სიყვარული და იმედი ქრისტესი, რაც მას ჰქონდა. აკი თავადაც ამბობდა საპყრობილეში, როცა მასზე განრისხებულმა მეფემ ორი ერისთავი მოუვლინა: „ამიერითგან განმეშორენით ჩემგან, რათა გამოვიძინე მე მცნებანი ღმრთისა ჩემისანი“ (ძეგლები 1964: 169).

კონსტანტინე ლათინურად ნიშნავს შეურყეველს (წმინდანის სახელს... 2005: 128). ქართული ეკლესია დიდმოწამე კოსტანტის ხსენებას ახალი სტილით 23 ნოემბერს აღნიშნავს. მასზე დაწერილ კონდაკში შექებულია მოწამის უძლეველი შემართება და ღვთივგამორჩეულობა: „ზესთა გონებისა მპრძოლისა არა სისხლთა მიმართ და ხორცთა და მხედარსა დიდ სახელსა, რჩეულსა ქრისტესსა, რომელმან მსთავრა მთავრობათა და ხელმწიფებათა ბნელისათა და ზიარ გამოსჩნდა ვნებათა საღმრთოთა, კონსტანტის შევასხმიდეთ გალობითა ძლევისათა და ვიტყოდეთ: გიხაროდენ მოწამეო, ყოვლად უძლეველო“.

ქართველი კაცის ფსიქიკას სულიერობა, სწორი ეკლესიური ცხოვრება აცისკროვნებდა და, როცა ავცდებოდით ჭეშმარიტებისაკენ სავალ გზას, როგორც აგიოგრაფი ბრძანებს: „ხოლო გზად იგი ჭეშმარიტებისად არა გულისქმა-ყვეს“ (იქვე: 168), მაშინ დადგებოდა უამი გამოცდისა, განსაცდელისა. ჩვენი ერი ახლაც ასეთ ეტაპზე დგას და, მაშინ გვეშველება, როცა აღვასრულებთ ქრისტეს მცნებებს!

თავი VI

„ნეიდა გობრონის მარტვილობა“

ადამიანის სულის განმწმენდ საშუალებად ლოცვასთან, მარხვასთან, წმ. ზიარებასთან, აღსარებასთან და სინანულთან ერთად განსაცდელიც მოიაზრება. წმ. მეფე და წინასწარმეტყველი დავითი ბრძანებს: „განმცადენ ჩუენ, ღმერთო, და გამომაყურვენ ჩუენ ვითარცა გამოიყურვის ვერცხლი, შემიყვანენ ჩუენ საბრქესა, დაჰკრიბე ჭირი ბეჭთა ჩუენთა“ (ფს. 65, 10–11).

ნებისმიერი განსაცდელი, რომელსაც ღმერთი მოუვლენს ადამიანს, მადლობით, სიმშვიდით, უდრტვინველად უნდა მიიღოს ადამიანმა და გამოცდა ცდუნებად არ უნდა ექცეს. ასე მიიღეს განსაცდელი აპრამმა, იობმა, ტობიმ, იოსებმა... ქრისტესთვის წამებულებმა.

„წმიდა გობრონის მარტვილობის“ ავტორი, ეპისკოპოსი სტეფანე მტბევარი, თხზულების დასაწყისშივე შეგვახსენებს, რომ „იოსებ და ყოველი მამათ-მთავარი თითოეულად გამოიცადნეს მსგავსად ძალისა ჩუენისა“. ამას მოჰყვება ციტატები ბიბლიიდან იმის დასტურად, რომ მზად უნდა იყო განსაცდელისთვის, რომ უფალი ასწავლის და ტანჯავს მასზე მსასოებელ და შევევარებულ შვილებს. აგიოგრაფის მინიშნება ბუნებრივი და გასაგებია: უნდა დავითმინოთ, გავუძლოთ, ავიტანოთ, მადლობით მივიღოთ ის, რაც ასე საჭირო და აუცილებელია ჩვენი სულის გადარჩენისთვის. ამით ავტორი იქითკენაც გვიბიძებს, რომ თხზულების გმირი სწორედ განსაცდელთა დათმენის ცოცხალ მაგალითად მოგვევლინება. ასეთი საგანგებო ექსკურსები პასუხია იმისა, რომ სტეფანე მტბევარის ქმნილება აბსტრაქტული მონუმენტალიზმის პრინციპებითაა შექმნილი და ყველაფერი ემსახურება ქრისტესთვის წამებულის სახის გამოკვეთას, რაც, თავის მხრივ, შუა საუკუნეების ესთეტიკის პრინციპებს ემყარება.

თხზულების დასაწყისი ერთგვარი გაფრთხილებაა ამპარტავანთათვის: „ვითარცა იტყვს დავით: ამაღლდი, მსაჯულო სიმართლისაო და მიაგე მისაგებელი ამპარტავანთა“, აქვე მოხმობილია წმ. პავლე მოციქულის სიტყვები: „ამისთვის მოიწიოს რისხვა ღმრთისა ნაშობთა ზედა ურჩებისათა“.

ყოველ დროსა და ეპოქაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად, მარადიულ ღირებულებად რჩება იმის შეგნება, თუ ვინ ხარ და რატომ ხარ, რაშია შენი, როგორც ადამიანის დანიშნულება, რისთვის მოხვედი ამქვეყნად, რა მისა უნდა აღასრულო. ქრისტიანული ანთროპოლოგიის საკითხები ერთ-დროულად იყრის თავს აგიოგრაფის შეფასებაში: „აგებულება თვის ვერ ესწავა უმადლოთა მათ ნათესავთა და მსგავსება მთავრობისა თვის ვერ გულისჯმა-ეყო“.

რადგან ღმერთმა ადამიანი შექმნა „ხატად და მსგავსად თვისა“ (შეს. 1, 11) და მას „შთაპბერა“ თავისი უკვდავი სული, ამით აზიარა მარადისობას, უფრო სწორად, ადამიანი მთელი თავისი შემადგენლობით ე. ი. სულითა და ხორცით შექმნა მისი ამქვეყნიური დამსახურების შესატყვისი მარადიული ცხოვრები-სათვის, თავისი არსის მიხედვით მას შესწევს განუწყვეტელი სრულყოფის უნარი (ქიქოძე 1993: 252-253). მცხოვარიც ასე მოგვიწოდებს: „იყუენით თქუენ სრულ, ვითარცა მამა თქუენი ზეცათა სრულ არს“ (მ. 5, 48). სრულყოფა მიიღწევა მაშინ, როცა მთელი სიცოცხლის მანძილზე სული ნაზიარები იქნება სიკეთეს. მართლმადიდებელი ეკლესიის კატეხიზმო ადამიანის მისიას ასე განსაზღვრავს: „კაცის დანიშნულება ის არის, რომ განავითაროს ღვთისაგან მონიჭებული ძალი და ნიჭი და მიაღწიოს სისრულეს და ღვთის მსგავსებას... სულ უკანასკნელი მისწრაფება კაცისა არის ღმერთი, ერთობა ანუ ცხოველი კავშირი ღმერთან“ (კატეხიზმო 1994: 24). ამის აუცილებლობას ისიც ქმნის, რომ იგი ღვთის ხატი და მსგავსია. წმ. იოანე დამასკელის მიხედვით: „ხატისაებრიობა“ გონისმიერობასა და თვითუფლებრივობას აღნიშნავს, „მსგავსებისებრობა“ კი – ძალისამებრ სათნოების მსგავსებას“ (დამასკელი 2000: 361).

ადამიანური ცხოვრების მიზანია, შეიცნო თავი შენი და ამით – დამბადებელი. როგორც ეკლესიის მამები გვასწავლიან, ადამიანის შექმნა ღვთის ჭარბი სიყვარულის გამოვლენაა. გარდა

ამისა, „რაგვარი სიყვარული და ერთგულებაც განკაცებულმა ღმერთმა გამოავლინა ადამიანისათვის, იმგვარივე სიყვარული და ერთგულებაც კაცს მართებს უზენაესისადმი. ღვთაებრივი საუფლოს მიღმა მდგომ ადამიანს დაესახება ამაღლდეს ღმერთამდე, გაემიჯნოს სასრულობას, ჩამოიცილოს არარაობა“ (ფარულავა 1992: 110).

სტეფანე მტბევარის ერთგვარი გულისტკივილი და აღშფოთება, რომ „აგებულებად თვისი ვერ ესწავა უმადლოთ მათ ნათესავთა და მსგავსებად მთავრობისა თუსისად ვერ გულისწმა-ეყო“ იმას გულისხმობს, რომ მოხდა ცოდვით დაცემა, რითაც „ხატი შემოქმედის ღმრთისად შეურაცხ-ყვეს“, ცოდვას სიკვდილი შემოჰყვა კაცთა მოდგმისთვის, დაირღვა მარადისობასთან წილნაყარობა და დაიწყო წუთისოფლის მისტერია. აგიოგრაფი შეგვახსენებს მსოფლიო წარლვნას, სოდომ-გომორის წარწყმედას, იეზაბელ დედოფლისა და წმ. ელია წინასწარმეტყველის ცნობილ ეპიზოდს ძეველი აღთქმიდან. მთელი კონტექსტი გაულენთილია იმის შეგონებით, რომ არ უნდა ვიყოთ ურჩნი ღვთისა, რომ უკეთურება დაუსჯელი არ დარჩება. ავტორი ისაია წინასწარმეტყველს დაიმოწმებს: „უკეთუ ისმინოთ ჩემიო, კეთილსა ქუეყანისასა სჭამდეთ, უკუეთუ არა ისმინოთ, მახვლმან შეგჭამნეს თქუენ“.

ღმერთი მართლმსაჯულია და მის წინაშე ყველა იხილავს ნაყოფს სიმართლისას. ამიტომ უნდა გვქონდეს შიში ღვთისა, დავუტევოთ უკეთურება და სინაულად მოვექცეთ – ასე-თია აგიოგრაფის ღრმა რწმენა და მთელი ეს ისტორია, ასეთი ვრცელი ექსკურსი მას დასჭირდა მხოლოდ იმისთვის, რომ გვიჩვენოს, როგორ და რატომ ისჯება სომეხთა ერი – „რამ-ეთუ მოციქულთა მიერ ქადაგებული მართლმადიდებლობისა იგი სარწმუნოებად წმიდისა კათოლიკე ეკლესიისად განაგდეს და მოძლუართა მიერ წმიდათა კრებათა ღმრთივ სულიერთა განწესებული კანონი საეკლესიო შეურაცხ-ყვეს“.

სტეფანე მტბევარის ეს სიტყვები მოწმობს მის აშკარა ან-ტიმონოფიზიტურ ტენდენციას. გარდა ამისა, მთელი მსჯელობა განმსჭვალულია იმის შეგნებით, რომ ქვეყანა ისჯება ცოდვების გამო, რომ, როდესაც ერთიანი საყოველთაო (კათოლიკე) ეკლესიის წმიდა სწავლება, მოციქულთაგან ქადაგებული, და

წმიდა საეკლესიო კრებების მიერ განჩინებული კანონები განკითხვის საგანი გახდება, მაშინ აღმოცენდება მწვალებლობა, ამის გამო ცოდვა ფითრივით მოედება გარემოს: „მიწა იგი სომხითისა ამპარტავან და მკვდრნი მისნი ცუდად მზუაობარ, ანგაჰრ, ლალ და ცოდვს მოყუარე, ამპარტავან, უწყალო, უყუარულ და ყოვლითა უკეთურებითა სავსე“ – ასეთი დახასიათების შემდეგ სრულიად ბუნებრივი და ლოგიკურია, რომ „ამათა ქუეყანათა ზედა განეწყო უფალი რისხვითა გულის-წყრომისა მისისათა“. სომხეთის მოოხრება ავტორს შედარებული აქვს ნინეველთა დაქცევასთან.

„წმ. გობრონის მარტვილობის“ არქიტექტონიკა სრულიად განსხვავებულია „წამებათა“ თუ „ცხოვრებათა“ უარის სხვა ქმნილებებისაგან. საკუთრივ გობრონის წამების ამბავს თხზულების ერთ-მესამედზე ნაკლებიც კი უჭირავს. დანარჩენი შემზადებაა ამ ღვანლის წარმოსაჩენად, მისი გმირობის რანგში ასაყვანად. „წმ. გობრონის მარტვილობის“ სახისმეტყველებაში მნიშვნელოვანია სახელის სიმბოლიკა. აგიოგრაფი გვაუწყებს, რომ გობრონმა „სახელი იცვალა, ვითარცა ყოველთა წმიდათა, ვითარცა პეტრეს კლდე და სავლეს პავლე, ამას ეწოდა პირველად მიქელ და მერე გობრონ“. ამის შესახებ საგანგებოდ მსჯელობს ი. გრიგალაშვილი, რომლის აზრით: „ღვთის რჩეულ პირთათვის მეორე სახელის წოდება მაშინ ხდება, როცა ისინი განსაკუთრებულ ვითარებაში აღმოჩნდებიან. მეტბევარი მონამის სახელის ცვლილებაზე ხაზგასმით მიანიშნებს მნიშვნელოვან სულიერ ფერისცვალებაზე“ (გრიგალაშვილი 2005: 35) „მიქელი“ ღვთის სწორი, ღვთაებრივი (საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1992: 418). უნდა იქცეს მარტვილად, ანუ დამადასტურებლად, მოწმედ, სისხლისა და სიცოცხლის ფასად რომ დაამოწმებს ჭეშმარიტებას. ისე როგორც წმ. მოციქულთა თავინი პეტრე და პავლე, რომელთაც, აგიოგრაფის თქმით, ემსგავსება ნეტარი გობრონი. სტეფანე მტბევარი წმინდანის პირველსახეებად მიუთითებს იობს, ოოსებს, დავით წინასწარმეტყველს, წმიდა დიდმოწამე გიორგისა და თეოდორეს. ამ პარადიგმულ სახე-სიმბოლოებზე თავის მონოგრაფიაში მიანიშნებს ი. გრიგალაშვილი. ჩვენ, ჩვენი მხრივ, დავძენთ, რომ ძირითადი მსგავსება აქ განსაცდელთა თმენაა. როგორც ი.

გრიგალაშვილი წერს, მიქელ-გობრონი ძალიან ჰგავს მიქელ-გაბრიელს, გაბრიელი ნიშნავს სიმტკიცეს, ანუ ღვთის ძალას (საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1992: 408). გარდა ამისა, გობრონი ითარგმნება, როგორც ძალა. ასე უნდა იქცეს მიქელი – ღვთის სწორი ღვთის ძალად, სიმტკიცედ, უშიშარ და მედგარ, სიკვდილზე გამარჯვებულ მარტვილად.

ქართული ეკლესია წმ. ჩდიდმონამე გობრონის ხსენებას ახალი სტილით 30 ნოემბერს აღასრულებს. მასზე შექმნილ კონდაკში იგი ქართველთა ეკლესიის შვენიერებად იწოდება და იმ უძლეველ სიმხნეზე კეთდება აქცენტები, რომლითაც დაამონმა მან ქრისტეს სიყვარული: „ნიჭებ კურნებათა მომდინარესა წყაროსაგან მადლიერისა, ნიჭებ შემოსილსა მონამესა, მტკიცისა მიერ უძლეველობისა სიმხნისა თანა მოსახელესა მიქაელს, მთავარსა ბრწყინვალესა, მოყვასთა თანა ღვთივშე-ერთებულთა, გალობათა ყვავილითა გვირგვინოსან ვყოფდეთ, რომელიცა ნათესავთა თვისითა სიქადულ გამოსჩნდა ქართველთა ეკლესიისა შვენიერებად“ (ჟამნი 1899: 285).

იესო ქრისტეს მიერ განვლილი გზა გოლგოთისაკენ, მართალია, ჯვარცმით დასრულდა, მაგრამ ალდგომითა და ამალლებით დაგვირგვინდა. ქრისტიანულ ლიტერატურაში ყველაფერმა, რაც წმიდა მახარებლების მიერ იქნა გადმოცემული, პარადიგმის მნიშვნელობა შეიძინა, კერძოდ კი მარტიროლოგიურ თხზულებებში: „დუმილი, უდრტვინველობა, მოთმინება ბრალდებათა და შეურაცხყოფათა წინაშე, საკუთარ ტანჯვა-ტკივილთა დავიწყება, უდანაშაულობა... გულმოწყალება... მიტევება... ღვთის მოწყალების გადმოსვლა და შეჭირვებაში განმტკიცება“ (ფარულავა 1992: 114) იქცა საგანგებო მიბაძვის პირველსახედ.

„წმ. გობრონის მარტვილობა“ საინიტერესოა იმ მხრივაც, რომ აქ გაიდიალებულია მეუდაბნოე მამების ღვანლი, მათი ლოცვითი სათხოებანი: „ღმერთმან არა აუფლა შთასვლად მას შინა მადლითა დიდებულთა უდაბნოთათა და ლოცვითა წმიდითათა, რომელთა სათხოებანი მათნი კეთილნი, სუეტნი ცათანი განმტკიცებულ არიან“. რაც მეტი მლოცველი ბერმონაზონი, მეუდაბნოე თუ განდეგილი ჰყავს ქვეყანას, მით უფრო დაცულია იგი ბოროტი ძალისაგან, უფრო მტკიცე და ძლევამოსილია.

ბრძოლაში შეუპოვარი და უძლეველია ნეტარი გობრონი. აგიოგრაფი სიამაყით აღნიშნავს: „ყოველთა უნინარცის იპოვა სიმწინთა ნეტარი გობრონ და ძალი ბრძოლისა მისისად. ყოველ-სა მას სიმრავლესა ზედა საცნაურ იყო... გამოუწდის ნეტარი გობრონ და განდევნის და ძლევისა მისგან უმეტცის განაკვრვნა ყოველნი“ (ძეგლები 1964: 177).

ახოვანება მხედრისა, ერისა და მამულისათვის თავდადე-ბული გმირისა საკვირველი იყო ყველასთვის. მიქელ-გობრონი, გამორჩეული ფიზიკური ძალით, ბრძოლაში შეუპოვრობითა და უშიშრობით, სხვა ღვაწლითაც შემკობილია: „შეემსჭუალნეს წორცნი თვასნი შიშსა ღმრთისასა და განუმზადა თავი თვასი ქრისტესთვს სატანჯველად და სიკუდილსა დათმენად“ (ძე-გლები 1964: 177-178).

უძლეველი და უშიშარი გობრონი ღვთის მოშიში და ქრისტ-ესთვის სიკვდილის მაძიებელია. იგი ძლიერი პიროვნებაა, ამ სი-ძლიერეს განაპირობებს მისი ფიზიკური და სულიერი მზაობა, რომ შეენიროს სიყვარულს, უერთგულოს მას და საკუთარი სისხლით დაამოწმოს ქრისტესთვის, რწმენისა და სიყვარუ-ლისთვის უდრტვინველობა.

„მარტვლობად გობრონისი“ ესქატოლოგიური სულისკვეთე-ბით შექმნილი ნანარმოებია. აგიოგრაფის სიტყვები გაფრთხ-ილებად გაისმის, რომ სულიერი მღვიძარება გააქტიუროს ჩვენში. აპოკალიფსური მოლოდინი ადამიანური ძალისხმევის მობილიზაციისთვის არის აუცილებელი: „საშინელ და შესაძრ-წუნებელ არს დღც იგი სასჯელისად, მეორედ მოსვლა უფლისად, ოდენ ცანი დაიქცნენ და წესნი იცვალნენ, მნათობნი დაშრტენ ყოველნი და ქუეყანად შეიმუსროს, ოწაა იგი საყვრისად ზარ-სცემდეს ყოველთა დაბადებულთა და ძრწოლით ხედვიდენ მეფესა ქრისტესა, მომავალსა ჯუარითა“ (ძეგლები 1964: 179-180).

საყველთაო სამსჯავრო, უფლის მეორედ მოსვლა სამ-ყაროს დასასრულს გულისხმობს. ეს დღე ადამიანებისთვის არ არის განცხადებული. უზენაესმა ნიშნები ჩამოთვალა, რომ-ლებიც წინასწარ გვაცნობენ მის მეორედ მოსვლასა და მორ-წმუნებს ამ დიდი მოვლენის შესახებ აფრთხილებენ. „სასჯე-ლის დღეზე“ უფალი იგავებითაც საუბრობდა: იგავი კეთილი

თესლისა და ღვარძლის შესახებ (მ. 13, 24-20), იგავი ბადის შესახებ, რომელიც ზღვაში იყო ჩაგდებული და ყველა სახის თევზი მოინადირა (მ. 13, 47-50), იგავი ათი ქალწულის შესახებ (მ. 25, 1-13), იგავი ტალანტების შესახებ (მ. 25, 14-29) და ა.შ. ჯვარზე ვნების წინ მონაფეხბთან მაცხოვარმა მოიხსენია მომავალი საყოველთაო სამსჯავროს დღე.. ამის შესახებ გვაუწყებდნენ მოციქულებიც. ქვეყნის აღსასრული გარდაუვალია. ყოველ წუთს, ყოველ დღესა და ყოველ წელს მიზანდასახულად მივყავართ იმ „უკანასკნელ დღესთან“ (ი. 6,39), „დიდსა და განჩინებულ დღესთან“ (საქმ. 2, 20), „სასჯელის დღესთან“ (მ. 10,15). „დღესა მას რისხვისა და გამოჩინებისა და მართლმ-საჯულებისა ღვთისასა“ (რომ. 2, 5).

პირველი ქრისტიანები იმ დღის ხილვის სასოებით ცხოვ-რობდნენ და ამბობდნენ: „უფალი ახლოს არს“ (ფილიპ. 4, 5), მალე მოვა უფალი და ყველას თავისი საქმეებისამებრ მიაგებს. „თორმეტი მოციქულის სწავლება“, რომელიც ॥ საუკუნეშია დაწერილი, შეიცავს სამადლობელ ლოცვას: „დაე მოვიდეს მადლი და დაე განსარულდეს ეს წუთისოფელი. ოსანა დავითის ღმერთს“ (ვასილიადისი 2003: 391).

სულიერ სიფხიზლესა და მეორედ მოსვლისათვის მზადებას დაუღალავად გვიქადაგებს სტეფანე მტბევარიც: „საშინელ და შესაძრწუნებელ არს დღც იგი“ – გვაფრთხილებს და ამით შეგვახსენებს ჩვენს უპირველეს მოვალეობას წუთისოფელში. ქართველმა აგიოგრაფმა კარგად იცის, რომ მეორედ მოსვლის უამს გაისმება კვნესა, დაიღვრება ცრემლი, მინა შეირყევა, ცა დაიგრაგნება, მთვარე ნათელს აღარ გამოსცემს, ვარსკვლავები ჩამოცვივდებიან და მზის შუქი სიბნელეში ჩაიძირება. ავტორი ამ დღეს „საშინელს“ უწიდეს. ლირსი სვიმეონ ახალი ღვთისა-მეტყველი განცვიფრებულია მეორედ მოსვლის ამ შემაძრწუნებელი სურათის ნარმოდგენით და ძრწოლით წერს: „მაცხოვრის მოსვლის საშინელი დღე იმიტომ კი არ იწოდება ამგვარად, რომ ეს ყველაზე უკანასკნელი დღეა და არც მხოლოდ იმიტომ, რომ მხოლოდ მაშინ მოვა უფალი, არამედ იმის გამო, რომ მეუფე და ღმერთი ყოველთა, უფალი ჩვენი იესო ქრისტე ამ დღეს მთელი თავისი ბრწყინვალებით გამოანათებს. უფლის ამ ნათების გამო ხილული მზე დაბნელდება და, საერთოდ,

შეუმჩნეველი გახდება, ვარსკვლავები ჩაქრებიან და ყოველივე ხილული წიგნის მსგავსად დაიხურება ე.ი. უკან დაიხევს, რათა ადგილი შემოქმედს დაუთმოს... ანგელოზები ამ დღეს დიდად განკვირდებიან, რადგან იხილავენ იმას, რაც აქამდე არ უხილავთ (ვასილიადისი 2003: 394).

სტეფანე მტბევარის სიტყვები „ოქრა იგი საყვრისა ზარ-სცემდეს ყოველთა დაბადებულთა“ იმას გულისხმობს, რომ მიქაელ მთავარანგელოზი საყვირს დასცემს და ადამი-დან ვიდრე სამყაროს დასასრულამდე ყველა გარდაცვლილს გამოაღვიძებს. როგორც პავლე მოციქული ბრძანებს: ”თავა-დი უფალი ბრძანებითა და ხმითა ანგელოზთ მთავრისათა და საყვირთა ღმრთისათა გარდმოხდეს ზეცით და მკვდარნი იგი ქრისტესმიერნი აღდგენ პირველად“ (I თეს. 4, 16).

რაც შეეხება აგიოგრაფის თქმულს: „ძრწოლით ხედვიდენ მეფესა ქრისტესა, მომავალს ჯუარითა“ – იმას გულისხმობს, რომ მსაჯული იქნება ძე ღვთისა – უფალი ჩვენი იესო ქრისტე, რომელმაც თავად გვითხრა: მამა ღმერთმა „ყოველი მსჯავრი მოსცა ძესა“ (ი. 5, 22). პავლე მოციქულის სიტყვით, მსჯავრს აღასრულებს მამა ღმერთი ძის მეშვეობით, რომელიც თვითონ მამამ დაადგინა მსაჯულად (საქმ. 17, 31).

მაცხოვრის მეორედ მოსვლას წინ წარუძღვება „სასწაული ძისა კაცისა“ (მ. 24, 30), ანუ ჯვარი, რომელსაც ანგელოზები წამოაპოვენ და ელვის მსგავს ნათებას გამოსცემს – ამას გულისხმობს ქართველი ავტორი, როცა გვაუწყებს, რომ ქრისტე „მოვალს ჯუარითა“.

ქრისტიანული სარწმუნოება ადამიანს სიკვდილზე ახლე-ბურ ხედვას და ჭეშმარიტ ცოდნას ანიჭებს. ყველის ციხი-დან გამოყვანილი ჰყრობილები ერთმანეთს ასე ამხნევებენ: „გუალეთ, ძმანო, ქრისტის თანა და ნუ ვინ ჩუენგანი შე-ორგულდებით და სიხარულით გამოვიდეს და ურთიერთს ას-წავებდეს მხიარულითა პირითა ფიცხელსა მას სატანჯველსა სიკუდილსა, ვითარცა საშუებელსა კეთილსა“. როგორც ვხე-დავთ, მათში დაძლეულია სიკვდილის შიში და სიხარულითაც კი ეგებებიან სატანჯველს.

სიკვდილის შიში მემკვიდრეობით მიიღო კაცთა მოდგმაზ პირველებილი ადამიანებისგან, რომელთაც ღვთის მცნება

დაარღვიეს. 6. ვასილიადისი თავის მონოგრაფიაში „სიკვდილის საიდუმლოება“ სიკვდილის შიშის შვიდ მიზეზს მიუთითებს: 1. სიკვდილის შიშის სშირად კაცთმოძულე ეშმაკი გვინერგავს; 2. ჭეშმარიტი სარწმუნოების განელების შედეგია; 3. ამქვეყნიურ სიკეთეთა გადაჭარბებული შეფასებაა; 4. არ გვეშინია ცოდვილთათვის განკუთვნილი მომავალი სასჯელის გამო; 5. ჩვენს გულებს სასუფევლის სიყვარული არ დაუფლებია; 6. მოვლენებს მხოლოდ ზედაპირულად ვუყურებთ და არ ვუდრმავდებით; 7. სიკვდილის შიში გამოწვეულია ცოდვებისადმი ჩვენი გულგრილი დამოკიდებულებით (ვასილიადისი 2003: 183-186).

რადგან ასეთია სიკვდილის შიშის მიზეზები, შეგვიძლია დავასკვნათ, თუ როგორი რწმენა და სიყვარული ჰქონდათ ყველის ციხეში დატყვევებულებს.

მონაფეხებმა იცოდნენ, რომ სიკვდილი სიცოცხლეზე უკეთესია, ამიტომაც „ურთიერთას ასწავებდეს მხიარულითა პირითა ფიცხელსა მას სატანჯველსა სიკუდილსა“. წმ. ოთანე ღვთისმეტყველი გვამცნობს, რომ ზეციური წმიდა სამსხვერპლოს ქვეშ იხილა ღვთის სიტყვისთვის მომწყდართა სულები (გამოცხ. 6, 9-10). ისინი ცოცხალნი არიან და ითხოვენ, რომ აღესრულოს მსჯავრი, დაისაჯნონ მორწმუნეთა მდევნელები. როგორც ჩანს, ყოველივე ეს ეხმარებოდა ქრისტიანებს, მედგრად შეხვედროდნენ ტანჯვა-წამებას, ამიტომაც ენით გამოუთმელი შინაგანი სიხარულითა და იმედით ხვდებოდნენ ქრისტესთვის სიკვდილს.

ასე, მაგალითად, მთელი არსებით ესწრაფვოდა მონამებრივ აღსასრულს წმ. ეგნატე ღმერთშემოსილი, ანტიოქიის ეპისკოპოსი. წმ. პოლიკარპე სმირინელმა მონამებრივი აღსასრულის წინ იღლოცა და ღმერთს მადლობა შესწირა იმისთვის, რომ ღირსი გახდა მონამეთა დასს შერთვოდა და ამის შემდეგ მორჩილად შევიდა ცეცხლში.

როდესაც ორმოცმა მონამემ წარმართი გუშაგისაგან ბრძანება მიიღო, განმოსილიყვნენ და შიშველნი შესულიყვნენ გაყინულ ტბაში, ეს ბრძანება გასაოცარი სიხარულით აღასრულეს, ერთმანეთს ამხნევებდნენ და მადლიერებით შეჰვალადებდნენ ღმერთს.

მსგავსი მაგალითების მოხმობა მრავლად შეიძლება, მაგრამ, შესაძლოა გაჩნდეს კითხვა: ასეთი დამოკიდებულება სიცოცხლის უგულებელყოფას ხომ არ ნიშნავს?! თუ ვინმე სიკვდილს ეძებს და თავგამოდებით მიიღოვის მისკენ, ხომ არ ნიშნავს, რომ ამქვეყნიურ სიცოცხლეს არ აფასებს? – „სრული-ადაც არა! რამეთუ ქრისტიანი ნებისმიერ ადამიანზე მეტად ემადლიერება ღმერთს ამ დიდი წყალობისათვის, იგი ხომ სიცოცხლეს შემოქმედის უდიდეს წყალობად მიიჩნევს“ (ვასილი-ადისი 2003: 229).

საშინელი წამებით დახოცეს ყველის ციხეში დატყვევებულები. როგორც აგიოგრაფი გვაუწყებს: „რომელნიმე მახვილითა სცემდეს, რომელნიმე ჰოროლითა და ისრითა შესჩეუბდეს და დასჭრიდეს წორცთა მათთა, დინებითა განაპებდეს, და ღვდლები იგი მათი, ვითარცა ძალლთა ჰირითა განეტაცა, და ესრტით დასთხინეს სისხლინი მათნი, და ესრტით სრულ იქმნა წამებაა მათი ქრისტის მიერ“.

წმ. ოთანე ოქროპირი დიდმოწამე დროსიდას სადიდებელ სიტყვაში ამბობს: „მოწამეთა სიკვდილი წაქეზებაა მორწმუნისა, შემართება ეკლესისა, განმტკიცება ქრისტიანობისა, ძლევა სიკვდილისა, დამოწმება აღდგომისა, განქიქება ეშმაკისა, მსჯავრდება სატანისა, მასწავლებელი სიბრძნისმოყვარეობისა. იგია ... მოთმინების მომცემი, მხნეობის აღმძვრელი, ძირი, სათავე და მშობელი ყოველგვარი სიკეთისა“ (ვასილიადისი 2003: 230).

ამირასა და გობრონის დიალოგი ძალიან ჰგავს წმ. აბოსა და მსაჯულის საუბარს. ვერაგია ამირა, ცბიერი და თაღლითი. იგი ცდილობს სიმდიდრითა და თანამდებობით გადაიბიროს თავის რჯულზე ნეტარი გობრონი, ამასთანავე ვითომდაც წმინდა ადამიანური თანალმობითა და განცდით მიმართავს: „მეწყალის მე სიკეთც სიჭაბუკისა შენისაა და მშურის სიკუდილი-სათვს მქედრობაა შენი, რომელი სახელოვან ხარ წინაშე ჩუენსა და ან, ვითარცა შვილსა საყუარელსა, გასწავებ შენ, დაუტევე უგუნურებისა შენისა შჯული“. ასეთი „კეთილისმყოფელი“ მსაჯულები მრავლად იცის ქრისტიანობის ისტორიაშ.

„წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობიდან“ ცნობილია, რომ, როდესაც იგი ციხისთავმა მოიხმო „წმიდაა ევსტათი

მცირედ შებრკოლდა და უნდა მორიდება “ (ძეგლები 1964: 31). თუმცა მან მალევე დათრგუნა ეს ოდნავი შეკრთომა. უფრო რთული სურათია წმ. გობრონის შემთხვევაში. ერთი შეხედვით, მას გაუჭირდა ხორცის დათმობა და ისეთივე სიხარულით არ შეხვედრია სატანჯველს, როგორც მისი მოძმენი, ყველის ციხეში დატყვევებულნი. გრ. ფარულავა ამის შესახებ წერს: „ჩვენ ვიცით, როგორ გაუჭირდა გობრონს ხორციელების დათმობა, როგორ ემუდარება იგი თბილისის ამირას სიცოცხლის შენარჩუნებას. ტკივილის ასეთი დაუფარავი დემონსტრაციის მსგავსი შემთხვევა არ არის ქართულ აგიოგრაფიაში. თავის ღმერთთან, სულთან და ტკივილთან პირისპირ დარჩენის შემდგომ, წამების გზაზე სიარულის მერე გობრონი სძლევს თავის სისუსტეს და თვალშეუდგამ სიმაღლეს აღწევს“ (ფარულავა 1992: 119).

ი. გრიგალაშვილი ცდილობს, უფრო ფრთხილი იყოს თავის შეფასებაში. მისი აზრით: „წმ. გობრონი სიკვდილ-სიცოცხლის არჩევანის წინაშე აღმოჩნდა. სიცოცხლის დათმობა კი ნებისმიერი ადამიანისათვის საშინელია“ (გრიგალაშვილი 2005: 56). რა თქმა უნდა, ძნელი იყო, ალბათ, წმ. აბოსთვის, წმ. კოსტანტისითვის, წმ. აბიბოსისთვის, მაგრამ ისინი რაიმე გარიგებაზე არ წასულან. ნეტარი გობრონი კი ვედრებით მიმართავს ამირას: „გვევედრები, წელმწიფეო, ნუ მაიძულებ მე დატევებად ქრისტიანობისა, ... მრავალ არიან შენ ქუეშე ქრისტიანენი და მეცა არა დავაკლო მონებაზ წელმწიფებას შენსა ყოვლითა სახითა, რომლითა გენებოს შენ“.

ამ ეპიზოდის ანალიზისას მთავარია არა იმის მიჩქმალვა, რომ ვიღაცას შეეშინდა, უკან დაიხია, მოლაპარაკების გზა აირჩია, კომპრომისზე წავიდა, არამედ ის, რომ წმინდანმა უნდა სძლიოს უხილავ მტერს, შინაგან ხმას, უნდა ამაღლდეს სიკვდილის შიშჩე, რწმენამ უნდა გაუნათოს გონება და, როდესაც ადამიანურ სისუსტეზე გაიმარჯვებს, რელიგიური სიხარულიც მაშინ მოვა. ეს ეპიზოდი იმის კარგი მაგალითია, თუ როგორ ყალიბდება ტანჯვის გზაზე წმინდანი, როგორ ხდება მისი სულიერი ფერისცვალება, რომლის შედეგად დაიძლევა სიკვდილი, განქიქდება ეშმაკი და იზეიმებს სიკეთე ბოროტებაზე, დადგება სულიერი გამარჯვების დღესასწაული.

გარდა ამისა, ნეტარი გობრონის ამ თხოვნაში, მართალია, იგრძნობა თვითგადარჩენის მწვავე სურვილი, თუმცა იკვეთება მარტვილობის რთულ გზაზე შემდგარი წმინდანის უდრეკი სახეც: „და ესე ჭეშმარიტად უწყოდე შენ, რამეთუ არცა კეთილთა შენთა აღთქუმათა, არცა ძკრ-ძკრ ბოროტთა შენთა ჩემ ზედა მონევნითა შემიძლო განყენებად უფლისა ჩემისა იესუ ქრისტესი“. ეს ხასიათის სირთულის ისეთი რთული კომპინაციაა, როდესაც თქმის პროცესში ყალიბდება პოზიცია. ამიტომ საუბრის პირველი ფრაგმენტი თუ დათმობას გულისხმობდა, იქვე უკომპრომისობაც ჩაისახა. ასეთი საინტერესო პასაჟებითაა წარმოდგენილი წმ. გობრონის საუბრის, ქცევისა და მოქმედების მოტივაცია.

სოფლის ამაოებას დახარბებული ამირა ფიქრობს, რომ იქნებ „შეშმან სიკუდილისამან ანუ შესაძინებელმან კეთილისა-მან მოდრიკოს“ წმიდა გობრონი. როგორც ჩანს, რაღაც მერყეობა მანაც დააფიქსირა მონამის პასუხში და იმიტომაც გაიფიქრა, სიკვდილის შეშმა მოდრიკოს, მაგრამ მასთან მეორედ წარმდგარი გობრონი მტკიცედ ეტყვის: „მე პირველადვე გითხარ შენ, არა მიდრეკად ქრისტის უფლისა ჩემისაგან“. ეს ფრაზა იმითაც მნიშვნელობს, რომ ააშკარავებს, თუ როგორ ჰქონდა თავიდანვე გადაწყვეტილი ნეტარ გობრონს უფლის სიყვარულისა და რწმენის ერთგულება.

ამის შემდეგ ქართველი აგიოგრაფის მიერ იქმნება უშიშარი და უდრეკი მარტვილის სახე, რომელიც ვერაფრით შეაძრნუნეს, ვერაფრით დააშინეს. რაც უფრო იზრდებოდა წინააღმდეგობა და სისასტიკე მტერთაგან, მით უფრო ძლიერდებოდა და უძლეველი ხდებოდა ნეტარი გობრონი. სიამაყით აცხადებს ავტორი: „ვერ შეაძრნუნეს გული მისა“.

„მარტვლობა გობრონისი“ ქართულ აგიოგრაფიაში უნიკალური ძეგლია იმითაც, რომ მთელ თხზულებაში მხოლოდ ერთი ლოცვა გვხვდება, რომელსაც წარმოთქამს წმ. გობრონი და რომელიც აღსავსეა ლვთის მოწყალების იმედითა და მადლიერების გასაოცარი შეგნებით, რომ ლირსი გახდა მოწამეობისა: „გმადლობ შენ, უფალო იესუ ქრისტე, რომელმან ლირს მყავ მე ულირსი ესე ცოდვილი და უკანადსკნელი ყოველთა ნაწილსა ამას მკლდრობისასა და მოწამებისასა. უფა-

ლო, სრულ ყავ მოწყალებად შენი და სიტკბოებად ჩემდამო და ნურა დამაბრკოლებნ მიზეზი რაღვე, მანქანებად და მძლავრებად უსჯულოდა ამის“.

ნეტარი გობრონის მიერ წარმოთქმული ეს ლოცვა მრავალმხრივ არის ყურადსალები. ჯერ ერთი, როგორც აგი-ოგრაფიული შენერლობისთვისა დამახასიათებელი, მონამე-ბრივი ალსასრულის წინ წმინდანი მადლობას სწირავს უფალს, რომ ღირსი გახდა მონამეთა დასს შერთვოდა, მეორეც, მარტვილი სთხოვს ცათა და ქვეყნის შემოქმედს, რომ სრულად მიიღოს მოწყალება და მადლი, რომ გრძნობდეს მის მზრუნველ ხელს, რომ მის წიაღში იგრძნოს თავი. ეს არის უფლის სრული მინდობის შემთხვევა. გარდა ამისა, ნეტარი გობრონი იმითაც გამორჩეულია ქართულ აგიოგრაფიაში, რომ იგი მხუ-რვალედ სთხოვს უზენაესს, გააძლიეროს ბოროტთან ბრძოლაში, რომ მან ვერ შეძლოს ვერანაირი მანქანებითა და მძლავრებით მისი დაბრკოლება. წმინდანი განსაკუთრებულად იმი-სგან დაცვას ითხოვს, რაში გაძლიერებაც სჭირდება. ადამიანური სისუსტე, რომელიც მან ამირასთან პირველ საუბარში გამოავლინა, უფლის შემწეობით უნდა დაძლიოს. ამდენად, ეს ლოცვა ლოგიკურად კრავს და ამთლიანებს ნეტარი გობრონის პირვენების სულიერ წინააღმდეგობებსა და სურვილებს. თუ ლოცვა არის გონების საუბარი ლმერთიან „როგორც ამას ამბობს წმ. ნილოს სინელი (საპატრიარქოს უწყებანი 2004: 13), მაშინ მიქელ-გობრონის შემეცნებაში სწორედ ის ამოტივტივ-და, რისგან გაძლიერებაც ესაჭიროებოდა. ამ მხრივაც „წმ. გობრონის მარტვილობა“ სრულიად ბუნებრივ და ლოგიკურად ორგანიზებულ მაგალითს გვთავაზობს.

როდესაც წმ. გობრონი კიდევ წარადგინეს ამირასთან, „ბრწყინვილა პირი მისი და შუბლი მისი ელვარედ და რომელ-ნიმე ქრისტიანეთაგანი მახლობელ იყვნეს, იხილეს იგი თუ-ალითა სარწმუნოებისათა“ (ძეგლები 1964:182).

„თუალითა სარწმუნოებისათა“ სტეფანე მტბევარის სი-ტყვათქმნადობის ბრწყინვალე ნიმუშია. რწმენა არის ძალა, მადლი, მარწმუნე ამ ძალისა და მადლის მატარებელი. რწმენა სიხარულია, არაამქეყენიური ცხოვრების დასაწყისია. „თუალ გასხენ და არა ჰედავთ“ (მრ. 8,19) – ბრძანებს მაცხოვარი

ჩვენი. შესაძლოა, დიდებული, მშვენიერი და ამაღლებული შენს გვერდით იყოს და ვერ ამჩნევდე, ვერ ხედავდე. „ვისაც სურს იხილოს ღვთაებრივი და მშვენიერი, ჯერ თვითონ უნდა გახდეს ღვთაებრივი და მშვენიერი“ – ამბობს პლოტინე. რწმენის თვალი მაშინ აგხილება, როცა შენში შემოვა ნათელი სოფლისა, როცა შეიცნობ შენს დამბადებულს, როცა იპოვო ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზას, რომელსაც მიჰყავხარ სასუფევლისაკენ. ბევრი რამ არის დამოკიდებული ადამიანზე, მაგრამ უნდა იყოს წყალობა და კურთხევა ღვთისა და შენი სურვილი, რომ სხვა თვალით დაინახო სამყარო, შენი ცხოვრება. ქართველი აგიოგრაფის მიერ ნათქვამი, ზოგიერთი ქრისტიანი „თუალითა სარწმუნოებისათა“ ხედავდა ნეტარ გობრონს, როგორც „ზეგარდამო გვირგვინოსანს“, სწორედ იმ გამორჩეულ სულიერ სიმაღლესა და მდგომარეობაზე მიუთითებს, როცა გონება და გული განწმენდილია და სულშიც დიდი ნათელია დავანებული.

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ „წმ. გობრონის ნამების“ ბოლო ნაწილი თითქმის სიტყვასიტყვითაა ციტირებული ითანე ოქროპირის პომილეტიკური თხზულები-დან „სინანულისათვს“ (გრიგალაშვილი 2005: 91).

რატომ დასჭირდა სტეფანე მტბევარს ასე დაესრულებინა თხზულება, საითკენ გვიბიძგებს ავტორი, რა არის მისი მიზანდასახულება და რისთვისაა საჭირო სინანულისკენ მოწოდება?

სინანული ამქვეყნიური ცხოვრების თანამდევი განცდაა და მხოლოდ იმ კატეგორიის ადამიანთა ხედრია, რომლებსაც გასჩენიათ ფერისცვალების სურვილი, სურვილი პირველ ხატთან მიახლებისა, სრულყოფილებასთან ზიარებისა. სინანული იბადება იქ, სადაც იწყება „განცდა თქსთა ცოდვათა“ – როგორც ბრძანებს წმ. ეფრემ ასური. სინანული და ცოდვის შეგნება-განცდა განუყოფელია. თანაც, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ცოდვა სრულიად განსაზღვრულ ეტაპზე იქნა გაცნობიერებული: „თვინიერ სჯულისა ცოდვად მკუდარ არს. ხოლო მე ცხოველ ვიყავ ოდესმე თვინიერ სჯულისა, და ოდეს მოინია მცნებად იგი, ცოდვად განცოცხლდა (რომ. 7,8-9). ამრიგად, თეოლოგიური თვალსაზრისით, ადამიანისთვის ცოდვა, როგორც გაცნობიერებული ფაქტი, მოსეს რჯულის დამკვიდრებამდე არ არსებობდა.

მოსეს კანონმა გამოავლინა ცოდვა და განსაკუთრებული სიცხოველეც მიანიჭა მას“ (გრიგოლაშვილი 2005: 109).

სინანულის არსს განსაზღვრავს ადამიანში არსებული პიროვნული „მე“, რომელიც გააცნობიერებს იმას, თუ როგორ დაშორდა ცათა და ქვეყნის შემოქმედს, როგორ შემოაღწია მის სულში ბოროტმა ძალამ, როგორ იმატა ცოდვამ და განეშორა მადლი... ამას მივყავართ პიროვნების სინდისთან, მის შინაგან ხმასთან, რომელიც აღძრავს სინანულს, და არა კანონთან, რომელიც გარედანაა მოცემული.

ცოცხალ არსებათა შორის სინანული მხოლოდ ადამიანის საკუთრებაა, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი განცდაა, თანაც მხოლოდ ამ წუთისოფელში ე. ი. ის არ არის მარადიული, დროსა და სივრცეშია განსაზღვრული. წმ. ნემესოს ემესელის მიხედვით, სინანული „ყოველთა ნიჭთა შორის საკუთარ კაცისა არს“ (ემესელი 1914: 17). წმ. ოიანე ოქროპირი კი საგანგებოდ გვაფრთხილებს: „ყოველმან, რომელმან ქმნეს ბოროტი და არა შეინანოს აქავე, მუნ ვერავინ შემძლებელ არს განჩინებად მისა სატანჯველთა მათგან საუკუნეთა (ოქროპირი 1955: 79).

ადამიანის სულიერ ფერისცვალებას, მის შემობრუნებას, გარდაქმნას ყველაზე მეტად აჩქარებს და ხელს უწყობს სინანული, რომელიც არის უდიდესი საიდუმლო, რომელსაც „მეორე ნათლისლებასაც“ უწოდებენ. წმ. ოიანე სინელის მიხედვით, „სინანული განმაახლებელ არს ნათლისლებისაა“ (სინელი 1986: 171). უამრავი მაგალითიდან დავით აღმაშენებელი თავის „გალობანი სინანულისანში“ ორს, მარიამ მეგვიპტელსა და მანასეს ასახელებს (გალობა VIII, 219-220). VI საუკუნის დიდი საეკლესიო მამა წმ. ანდრია კრიტელი დიდი სინანულის კანონს დაწერს, რომელიც ასე იწყება: „ვინა ვიწყო მე გლოვად, საქმეთა ცხოვრებისა ჩემისათა, ანუ რომელი დასაბამი ვყო ქრისტე, გოდებისა ამის“ (კრიტელი 2005: 8). და, თუ ბუნებრივად დაისმის შეკითხვა, რატომ გლოვობენ წმინდანები გამუდმებით? წმ. აბბა დოროთე უპასუხებს: „წმინდანი სინათლისაკენ მავალი ადამიანია, რაც უფრო უახლოვდება ნათელს, მით უფრო ხედავს ცოდვებს. ამიტომაც ატარებენ ისინი მთელ ცხოვრებას გლოვაში“ (დოროთე 2005: 3). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღდგომის წმიდა დიდი მარხვა არის „პერიოდი სი-

ნაწულისა, თავისი უღირსების, ცოდვისა და ეშმაკისადმი და-
მონების შეგნებისა. ამ პერიოდის ჰიმნებში გვესმის აღსარება
სულისა, მხარე ცრემლის მღვრელისა იმის გამო, რომ ის არის
დაცემული და შეცოდებული“ (კეკელიძე 1956: 203).

ზემოთქმულის გათვალისწინებით, სრულიად ნათელია იმის
გააზრება, თუ რისთვის სჭირდება სტეფანე მტბევარს ქართვე-
ლი მკითხველის მობრუნება სინანულისკენ. მისი შეკითხვებიც
ერთგვარი შემზადებაა იმისათვის, რომ ვიფიქროთ საკუთარ
ცოდვებზე, ავმალედთ ყოველგვარ მიწიერზე და სათნო ვეყოთ
უფალს, „წენებასა წმიდათასა ვეზიარნეთ და საქსენებელსა
მათსა აღვასრულებდეთ!“ აგიოგრაფი თხზულების ბოლოს ორ
შეკითხვას გვისვამს: „შენცა შემძლებელ ხარ ეგევთარისა მსხუ-
ერპლისა წარდგინებად წინაშე ღმრთისა“ და „შენ შემძლებელ
ხარ დაწუად მათა [ხორცთა – სფ. მ.] ინროებითა და მწუხარე-
ბითა და ნებსით სიგლახაკითა უფლისათვს“. ამ შეკითხვებს
პასუხი გაეცემა მაშინ, როცა ადამიანი მზად იქნება, იტვირ-
თოს თავისი ჯვარი, შეუდგეს უფალს, ჰქონდეს განცდა თვისთა
ცოდვათა და დაცულ იყოს მოყვასის განკითხვისაგან. ასეთ
შემთხვევაში უკვე აღარ გაგვიკირდება ქართველი აგიოგრა-
ფის გულწრფელი რჩევა: „აწ უკუე მოაკუდინენით წორცნი
თქუენნი და ჯუარს-აცუთ იგი შრომითა და მარხვითა, გვრგ-
წითა მოწამეთათა, რომლისათვს იგი მძლავრნი მარტკლ-
თა მოსწყუედდეს და იწამნეს, ხოლო შენ ნებსით თავი თვისი
მოსწყდე ინროებით“ (ძეგლები 1964: 183).

„ამისათვს მოვივლინე სოფლად, რათა ვწამო ჭეშმარიტი“
(ი. 18,37) – ბრძანებს მაცხოვარი. იგი ჯვარს ეცვა კაცობრი-
ობის ცოდვებისათვის, შემდეგ მოციქულები მოგვევლინენ
ქრისტეს მოწამეებად, შემდეგ პირველმა სტეფანემ იმარტვილა
ქრისტესთვის, მერე ამ გზას ბევრი დაადგა და „ქრისტიანულ
მსოფლიოში ჩამოყალიბდა ინსტიტუტი მარტვილობისა, გმი-
რობისა, სისხლისა და სიცოცხლის საფასურად რომ დაადას-
ტურეს ჭეშმარიტება, არსი და ფასი მისი“ (ფარულავა 1992:
115). სწორედ ამას შეგვახსენებს ჩვენც „წმ. გობრონის მარ-
ტვილობის“ ავტორი.

თავი VII

„ცხრა ყრმა კოლაელთა თავისა“

ლიტურგიულ-ეორტალოგიური კალენდარი მთელი წლის მანძილზე რამდენიმე დღეს უთმობს მოწამე ბავშვთა ხსენებას. მათ შორის:

17(30) დეკემბერი – წინასწარმეტყველი დანიელი და სამნი ყრმანი: ანანია, აზარია და მისაელი (600 წ. ქრისტეს შობამდე);

29(11.01) დეკემბერი – ათოთხმეტნი ათასი და ჩვილნი მოწამენი, მოწყვეტილნი იროდის მიერ ბეთლემს ჰურიასტანისასა;

4(17) აგვისტო – შვიდნი ეფესელი ყრმა: მაქსიმილიანე, იამბლიქო, მარტინიანე, ოანე, ლიონისე, ექსაკუსტოდიანე (კონსტანტინე) და ანტონინე (III ს. ქრისტეს შობიდან);

15(28) ივლისი – წმიდა მოწამე კვირიკე და დედა მისი ივლიტა (IV ს.);

1(14) ივლისი – წმიდა მოწამე პოტიტე ყრმა (II ს.);

6(19) თებერვალი – წმიდა ლიკარიონ ყრმა (III ს.);

18(31) მაისი – წმიდანი ორნი ძმანი დავითი და ტირიქანი (693 წ.);

22(7.03) თებერვალი – ცხრა ძმა კოლაელნი: გუარამ, ადარნასე, ბაქარ, ვაჩე, ბარძიმ, დაჩი, ჯუანშერ, რამაზ და ფარსმან (VI ს.).

მარტვილ ყრმათა უმეტესობა დედის მუცლიდანვე გამოირჩევიან, ბავშვობიდანვე განსაკუთრებულ ღვთისმოშიმობას ავლენენ და უფლის სამსახურისთვის არიან მოწოდებულნი. ზოგადად, ბავშვი გაიგივებულია უბოროტო, უცოდველ, უმანკო არსებასთან. მათეს სახარება მოგვითხრობს, რომ იესოს „მოჰგუარეს ყრმები, რათამცა წელი დასდგა მათ ზედა და აკურთხა იგინი, ხოლო მოწაფენი ჰრისხვიდეს მათ. ხოლო იესუ ჰრესუა მათ: აცადეთ ყრმებსა მაგას მოსვლად ჩემდა და ნუ აყენებთ

მაგათ, რამეთუ ეგევითართად არს სასუფეველი ცათად“ (მათე, 19,13-14). ამ ადგილს ასე განმარტავს ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი: „ეგევითართა“ ე. ი. წრფელთა, უცოდველთა, უბოროტოთა“ (ბულგარელი 1992: 53).

ბავშვობა, ყრმობა გაიგივებულია სიმდაბლის გზასთან, მოკრძალებასთან, რომლის გარეშე ცათა სასუფეველი ვერ მიიღწევა. ამიტომ გვაფრთხილებს მაცხოვარი: „უკუეთუ არა მოიქცეთ და იქმნეთ, ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა“ (მათე, 18, 2).

ყოველ აგიოგრაფიულ ნაწარმოებში ძირითადი ის არის, „როგორი ცხოვრებით უნდა იცხოვროს კონკრეტულმა პიროვნებამ, რათა იგი გახდეს იდეალური ადამიანი“ (სირაძე 1987: 12), ამის მაგალითი თავად განკაცებულმა იესომ მოგვცა. მაცხოვრის მიერ განვლილი ამქვეყნიური გზა ყოველი ქრისტიანისთვის „ქემმარიტება და სიცოცხლეა“, ერთადერთი და შეუვალია. ბავშვებისთვის კი, რომლებიც ქრისტეს მონამები ხდებიან, მისაბაძია ყრმა იესო ნაზარეველი, რომლის სიყრმისა და სიჭაბუკის შესახებ, საერთოდ, ცოტა რამ ვიცით, თუ მხედველობის მიღმა არ დაგვრჩება საეკლესიო მწერლობაში ერთი კარგად ცნობილი აპოკრიფი – „სიყრმე უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს გაბრიელ მთავარანგელოზმა ახარა: „გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენ თანა“ (ლუკა, 1, 28). ხარების ანალოგით, მშობლებს ხშირად ეუწყებათ მომავალი ბავშვის ღვთისთვის შენირვის შესახებ, ზოგჯერ ასეთ გადაწყვეტილებას თვითონვე მიიღებენ. წმ. გრიგოლ ხანძთელიც და წმიდა გიორგი მთავმიდელიც „საშოათგან დედისათ“ შენირულნი იყვნენ. ექვთიმე მთავმიდელს ღვთისმშობელი მოევლინა: „ქართულად ხსნილად უბნობდი“ – უთხრა მძიმე სენით შეპყრობილ ჭაბუქს და ამით ისიც გაცხადდა, რომ ექვთიმეს მომავალი ღვთისგან ხელდასხმულობით განიზომებოდა. წმიდა შუშანიკის შესახებ გაკვრით შენიშნავს იაკობ ხუცესი, რომ იგი „იყო მოშიში ღმრთისად, ვითარცა ვთქუთ სიყრმით-გან თვესით“ (ძეგლები 1964: 11). ასეთივე გამორჩეული ბავშვობა ჰქონდათ ეფრემსა და არსენს „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით. როგორც წმ. მამათა ცხოვრებიდანაა

ცნობილი, წმ. ნიკოლოზ საკვირველმოქმედი ბავშვობიდანვე, ჩვილი ოთხშაბათ-პარასკევს ძუძუს არ ჭამდა, მარხულობდაო.

„შუა საუკუნეებს ბავშვობის კატეგორიის თავისებური, განსხვავებული ხედვა აქვს. მათ აღიქვამდნენ, როგორც პატარა ზრდასრულებს. აღნიშნავდნენ, რომ შუა საუკუნეები არ იცნობს ბავშვობის კატეგორიას, ვითარცა ადამიანის განსაკუთრებულ თვისისობრივ მდგომარეობას, რადგან ეს ზრდასრულთა ცივილიზაცია (ა. გურევიჩი)“ (გრძელიძე 1990: 53).

ქართულ აგიოგრაფიაში შემონახულია ორი ძეგლი, რომელიც ქრისტიანობისათვის წამებულ ბავშვებს ეძღვნება, ესენია: „წამებად ყრმათა წმიდათა რიცხვთ ცხრათად, რომელი იყვნეს სულითა ძმანი ნათლის-ლებითა წმიდისაგან ემბაზისა, ხოლო შობილ იყვნეს თავის-თავისა დედისაგან თვესისა“ (შემოკლებით „მარტვილობა ყრმათა კოლაელთა“) და „წმიდათა ყრმათა ორთა ძმათა დავითისი და ტირიჭანისი საკითხავი“ (შემოკლებით – „მარტვილობა დავითისა და ტირიჭანისა“).

ათონის მრავალთავში (№57) შემონახული ორივე ძეგლი წარმართობასთან ბრძოლის ამსახველი ნაწარმოებია. აკადემიკოს კორნელი კეკელიძის აზრით, ერთ კრებულში დაბეჭდილ ამ ორ ძეგლს შორის უშუალო კავშირი არსებობს (კეკელიძე 1980: 518). ორივე ნაწარმოებში ტაოს რაიონში ხდება მოქმედება, მსგავსია ტერმინოლოგია, მაგ., ადმინისტრაციული ერთეულები: დიდი ხევი, მცირე სოფელი... და ეს ყველაფერი მაჩვენებელია მათი ქრონოლოგიური ნათესაობისა (იქვე: 519). კ. კეკელიძე იმასაც შენიშნავს, რომ ამ ორ ძეგლს საერთო უნდა ჰქონდეს იერუსალიმის ქართულ ხელნაწერში (№ 20. ფ. 260-282) დაცულ თხზულებასთან „მარტვილობა აბდალ მესიადსი“, სადაც აღნერილია ის ფაქტი, თუ როგორ მოკლა მამამ შვილი გაქრისტიანების გამო (იქვე: 519).

„მარტვილობა ყრმათა კოლაელთა“ იმის აღნიშვნით იწყება, რომ კოლას ხევში, ძირითადად, წარმართი კერპთმსახურები ცხოვრობდნენ, ხოლო უმცირესობას ქრისტიანი, ღვთისმსახური ერი წარმოადგენდა. „უმციროსი ერი ქრისტეანე, ღმრთის მსახური“ (ძეგლები 1964: 184) უკვე მინიშნებაა სწორ სარწმუნოებით ცხოვრებაზე. ქრისტიანი თუ ხარ, ღვთის მსახური უნდა იყო. „მსახურება“, ზოგადად, ცხოვრების აქტიური სახე-

ობაა, ქმნადობაა, ღვანლია.

ნარმართებად და ქრისტიანებად დაყოფილი ერი მინიშნებაა კეთილისა და ბოროტის, ნათლისა და ბნელის კონტრასტზე. ნეტარი ავგუსტინე პრძანებს: „მთელი სამყარო სურათსა ჰგავს, სადაც შავ ფერს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი: ის მშვენიერია თავისი ცოდვებითურთ, თუმცადა, თუკი ამ უკანასკნელთ თავისთავად განვიხილავთ, ისინი მახინჯი არიან“ (ნეტარი ავგუსტინე 1995: 348). ჩვენი განსახილველი თხზულების დასაწყისშივე გაკეთებული აქცენტი, ორად გაყოფილი კოლას ხევი: ნარმართებად და ქრისტიანებად მწარე რწმენაა იმ მოლოდინისა, რომ, შესაძლებელია, ბნელი ნარმართობის მახინჯი გამოვლენის მომსწრები გავხდეთ.

აგიოგრაფის სიტყვები – „უამსა მწუხრისასა პრეკის ხუცესმან და ნარვიდიან ყრმანი ქრისტეანეთანი ეკლესიად ლოცვად, ვითარცა არს წესი ქრისტეანეთავ“ (ძეგლები 1964: 184) – მრავალმხრივაა საყურადღებო. ჯერ ერთი, აქ იკვეთება ეკლესიური ცხოვრების აუცილებელი მხარე, – მონაწილეობა საღვთო ლიტურგიაში; რომ მწუხრის ლოცვა იწყება ზარის დარეკვით; რომ არსებობს სახლი ღვთისა, – ეკლესია, აქ მსახურების აღვლენა თავისთავად გულისხმობს შესაბამისი ლიტერატურის არსებობას, როგორც მინიმუმი, იგულისხმება ფსალმუნები, ახალი აღთქმა (სახარება და წიგნი მოციქულთა) და, როგორც მაქსიმუმი, საკითხავი ტროპარ-კონდაკები და საგალობელი ტექსტები.

ცოტა ადრე ნათქვამი „ქრისტიანი-ღვთისმსახური“ კონკრეტულად განიმარტა აგიოგრაფის მიერ. სხვათა შორის, თანამე-დროვე მართლმადიდებელი ეკლესიაც ქრისტიანს ასე განმარტავს: „ქრისტიანი ...ისეთ მორწმუნეს ეწოდება, რომელიც ჭეშმარიტ ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებს, ეკლესიის წმიდა საიდუმლოებებში მონაწილეობს და კეთილმსახურობით ცხოვრობს“ (ჰაგიოგრაფიის ღვთისმეტყველება 1997: 7).

„კოლაელთა მარტვილობაში“ მწუხრის, ზარის, ეკლესიისა და, ზოგადად, ღვთისმსახურების ამ ფორმის ფიქსაცია გვაძლევს კიდევ ერთ საბუთს იმის დასამტკიცებლად, რომ შეუძლებელია ამ ტექსტში გადმოცემული ამბავი ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდე მომხდარიყო. უფრო

მეტიც, IV საუკუნეშივე ვერ მოესწრებოდა საეკლესიო პრაქტიკის ასეთი დონის მიღწევა. ამდენად, სრულიად არგუმენტირებულად გვეჩვენება აკად. კ. კეკელიძის „ნარმოდგენილია სურათი ქრისტიანობის უძველესი ხანისა, არაუგვიანეს VI საუკუნისა“ (კეკელიძე 1980: 517; შდრ.: ჯავახიშვილი 1977: 72-73; ჩოლოყაშვილი 2003:).

ხუროთმოძღვრების როგორი აღმავლობა უნდა იყოს ქვეყანაში, რომ სადღაც შორეულ პროვინციაში მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრიდან, კოლას ხევში, აიგოს ეკლესია, რომელშიც ღვთისმსახურება აღესრულება.

მართალია, ნასტაგისის ველზე, ქალაქური ტიპის დასახლების ადგილზე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა ნაგებობები, რომლებიც გამთხრებელმა ეკლესიად მიიჩნიეს და III საუკუნით დაათარიღეს, მაგრამ ასეთი ტიპის საკულტო ნაგებობები ეხმაურება ქრისტიანობის ადრეულ, არალეგალურ საფეხურზე წარმოშობილი ფარული სალოცავების იერის, კატაკომბების, მავზოლეუმების გამართვის წესს და პირველ ოფიციალურ ქრისტიანულ ეკლესიად მაინც ხის-გან აგებული მცხეთის სვეტიცხოველი ითვლება (ხუროთმოძღვრების ძეგლები 2000: 58).

გადის დრო, იცვლება საზოგადოება და ჩვენც ნელ-ნელა ვშორდებით უფალს. ქრისტიანი გვქვია და ამას იქით ვეღარ მივდივართ. ასეთ ფონზე გულშიჩამნვდომად გაისმის აგიო-გრაფის სიტყვები: „წარვიდიან ყრმანი ქრისტეანეთანი ეკლესიად ლოცვად, ვითარცა არს წესი ქრისტეანეთაა“. ქრისტიანად ყოფნის ამ უმთავრეს წესს – ეკლესის საიდუმლოებებში მონაწილეობის მიღებას ადამიანმა თავისივე ნებით უთხრა უარი. ეს იმასაც ნიშნავს, როგორც იოანე საპანისძე იტყოდა, დავივინეთ მამულისა ჩვეულებისაებრ სლვა.

ძალზე საინტერესოდ შემოჰყავს თხზულების ავტორს კოლაელი ცხრა ყრმა ნაწარმოებში: „შეკრბიან ყრმანი ქრისტეანეთანი და წარმართნი მღერად, ვითარცა არს ჩვეულებად ყრმათაა და იმღერდიან დღც ყოველ“ (ძეგლები 1964: 184). ეს იმდენად ცოცხალი სიტყვიერი ხატია, იმდენად დინამიკურია, რომ ვიზუალურ პლანშიც კი გადადის – სათამაშოდ შეკრებილი ბავშვები, ბავშვური გულუბრყვილობითა და ცნობისმოყვა-

რეობით, ერთბაშად იჭრება მკითხველის ცნობიერში.

ცხრა წარმართი ბავშვის შესახებ აგიოგრაფი იმასაც გვაუწყებს, რომ მათ უყვარდათ „რჩეული ქრისტეანობისად“, თუ რატომ, ამაზე ასეთი პასუხი აქვს ავტორს: „რამეთუ შესულებულ იყვნეს ყრმათა მათ ქრისტეანეთადა“ (ძეგლები 1964: 184). „შესულებული – გაოგნებული, გაშტერებული“ (სარჯველაძე 2001: 247). აქ, ალბათ, ისიც იგულისხმება, რომ ქრისტიან ბავშვებში იყო რაღაც სხვა მადლი, სხვა სიკეთე, რაც ასე ზემოქმედებდა მათს თანატოლ წარმართ ბავშვებზე. ამით ხაზგასმულია ქრისტიანული სარწმუნოების, როგორც ჭეშმარიტი სიცოცხლისა და მოძღვრების, უნივერსალიზმი.

ქრისტიანული სარწმუნოებით მოხიბლული, გაოცებული ცხრა წარმართი ყრმა ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ეკლესიაში შესვლას მოისურვებს, მაგრამ „არა შეუტევნიან ქრისტეანეთა ეკლესიად, არამედ ესრეთ ჰრევან მათ, ვითარმედ „თქუენ შვილი ხართ მეკერპეთანი და არა ჯერ-არს შემოსლვად თქუენი სახლსა ღმრთისასა“ (ძეგლები 1964: 184) – გვაუწყებს აგიოგრაფი და იმასაც დასძენს, რომ ასე მრავალგზის განმეორდათ. ამის შემდეგ ბავშვები ეკლესიაში ძალით შესვლას გადაწყვეტენ.

რამდენად სწორად იქცევიან ქრისტიანები, როცა წარმართ ბავშვებს ეკლესიაში შესვლის ნებას არ აძლევენ? მოციქულთა საქმეში პეტრე მოციქული წარმართთა შესახებ აცხადებს, რომ განსხვავება არ არის ჩვენსა და მათ შორის... ჩვენ გვწამს, რომ უფალ იესოს მადლით გადავრჩებით ისევე, როგორც ისინი (საქმე, 15, 9-11). უფრო მეტიც, პავლე მოციქული რომაელთა მიმართ ეპისტოლები პირდაპირ ამბობს: „რამეთუ ვიტყვით განმართლებასა კაცისასა სარწმუნოებითა, თვინიერ საქმეთა სჯულისათა, ანუ ჰურიათამე ხოლო არსა ღმერთი და არა წარმართთაცა? ჰე, წარმართთაცა“ (რომ. 3, 28-29). ღმერთი ერთია, აგრძელებს მსჯელობას მოციქული, რომელიც ამართლებს წინადაუცვეთელებს რწმენის გამო და წინადაცვეთილებს – რწმენით.

როგორც ცნობილია, საღვთო წერილი ანტინომიურობის პრინციპს ეყრდნობა. კოლას ხევის ქრისტიანებმა კარგად იცოდნენ ისიც, რომ ახალი აღთქმა კერპთაყვანისმცემლებისა-

გან განრიდებას მოითხოვს: „საყვარელნო ჩემნო, ივლტოდეთ კერპთ-მსახურებისაგან... კერპი იგი რად არს, ანუ ნაგები იგი რად არს, არამედ ვითარცა იგი უგებენ წარმართნი, ეშმაკთა უგებენ და არა ღმერთსა. ხოლო მე არა მნებავს თქუცი ეშმაკთა ზიარებად (1 კორ. 10, 14-19-20).

ამდენად, ქრისტიანთა პასუხი არ ეწინააღმდეგება კანონს. როცა ისინი დარწმუნდნენ, რომ წარმართთა შვილებს გულით სწადათ ეკლესიაში სიარული, უთხრეს: „უკუეთუ გნებავს შემოსლვად ჩუენ თანა ეკლესიად, გრწმენინ უფალი ჩუენი იესუ ქრისტც და ნათელ-იღეთ სახელისა მიმართ მისისა და ეზიარენით საიდუმლოთა მისთა და შეგუერთენით ქრისტეანეთა“ (ძეგლები 1964: 184).

ამ პასუხში მრავალი რამ არის საინტერესო. გარდა იმისა, რომ აქ საუბარია ნათლობის აუცილებლობაზე, რომელიც დასაბამია ქრისტიანობისა, მინიშნებულია ეკლესიის საიდუმლოებებში მონაწილეობის გარდაუვალობა. „ეზიარენით საიდუმლოთა მისთა“ – თავისთავად გულისხმობს საეკლესიო ცხოვრების პრაქტიკას – ზიარებას წინ უძლივის აღსარება და სინანული. ეკლესიური ცხოვრების გარეშე, წმ. ზიარების საიდუმლოს გარეშე უზენაესს ვერ მიეახლები. კოლას ხევის ქრისტიანთა პასუხი ასე შეიძლება განზოგადდეს, ქრისტიანად ცხოვრებისათვის აუცილებელია:

1. რწმენა (გვრწმენინ უფალი ჩუენი იესუ ქრისტე);
2. ნათლისძება (ნათელ-იღეთ სახელისა მიმართ მისისა);
3. ქრისტეს ეკლესიის საიდუმლოებებში მონაწილეობა (ეზიარენით საიდუმლოთა);
4. ქრისტიანებთან თანაცხოვრების სიხარული (შეგუერთენით ქრისტეანეთა).

უცნობი ავტორის „კოლაელთა მარტვილობაში“ უაღრესად მნიშვნელოვანია აგიოგრაფის მინიშნება მოძღვრის სახეზე: „რომელი იყო ხუცესი სოფლისაა მის, კაცი წმიდაა ღირსი და პატიოსანი“. სიწმინდით, ანუ ცოდვათა მორიდებით, ღრმა თავმდაბლობით და სიკეთით, ღვთისმსახურების ღირსეული აღსრულებით, ღირსეული მსახურებით გამორჩეული და, ამდენად, პატივსაცემი (პატიოსანი) მოძღვარი ჰყოლია კოლას ხევს. სულიერი მოძღვარი და წინამძღოლი ყოველთვის გან-

საზღვრავს მრევლის სახეს. ამ ხუცესის მაღალ სულიერობასა და სიწმინდეს ისიც ადასტურებს, რომ უდრტვინველად მიიღო დევნა, შეურაცხყოფა, ცემა და გვემა წარმართებისან: „ხუცესა მას ზედა არა მცირედი ჭირი მიაწიეს, რამეთუ იავარ-ყვეს ყოველი ნაყოფი მისი, და განიყვეს მონაგები მისი და დასდვეს თავსა მისსა წყლულებად ფიცხელი კნინ ერთ-და მო-მცა-კლეს და განწადეს სამკდრებელით თუსით“ (ძეგლები 1964: 185). (მოძღვრის სახის შესახებ საგანგებოდ მსჯელობს მ. ასათიანი (ასათიანი 2005: 134-136)

მოძღვარი საეკლესიო კანონის სრული დაცვით აღასრულებს ნათლობის საიდუმლოს. საინტერესოა ის მცირე მონაკვეთი უამობისა, რომელიც ტექსტშია დაფიქსირებული. აგიოგრაფი მოგვითხრობს: „და ვითარცა შთავდეს ყრმანი იგი მდინარესა მას და ნათელ-ჰსცა ხუცესმან მან სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა და იტყოდა უამობასა ამას, – „სულ წმიდა გარდამოწდა, ვითარცა ტრედი ზედა იორდანესა, რაუამს ქრისტი ნათელს-იღებდა, ანგელოსნი თანა უდგეს, ამას გალობასა იტყოდეს: ალილუია, ალილუია“ (ძეგლები 1964: 184).

თანამედროვე საეკლესიო პრაქტიკაში, მცირე კურთხევანის მიხედვით, განსაზღვრულია ნათლობის წესი, რომელიც არც თუ მცირე საკითხავებს შეიცავს. ნათლობის წესის ლოცვებში ზემომოყვანილი სიტყვები არ გვხვდება, (შდრ.: კურთხევანი 1996: 116-132), ამიტომ „კოლაელთა მარტვილობაში“ დაფიქსირებული ნათლობის წესის „უამობა“ ერთ-ერთ უძველეს წყაროდ უნდა მივიჩნიოთ ნათლისღების საიდუმლოს ამ გალობისა (უამობისა): „რაოდენთა ქრისტეს მიერ ნათელ გვლებიეს და ქრისტე შეგვმოსიეს, ალილუია, ალილუია, ალილუია“ (კურთხევანი 1996: 130).

კოლაელი მონამე ბავშვები თხზულების მიხედვით სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვა ასპექტით წარდგებიან მკითხველის პირისპირ. მათი პირველი გამოჩენა თამაშთან (მღერა) არის დაკავშირებული (თუ როგორ ერთობიან და ერთად თამაშობენ ქრისტიანი და წარმართი ბავშვები). ამის შემდეგ იცვლება ქცევის მოტივაცია. ჩვენ ვხედავთ ეკლესიის კარებთან შემდგარ გაოგნებულ ყრმებს. ცოტა ხანში მათი ბავშური ბუნება

„გულკლებული“ და „სირცხვილეულია“ იმის გამო, რომ „არა შეუტევინ ქრისტეანეთა ეკლესიად“ (ძეგლები 1964: 184).

მცირე პაუზის შემდეგ ისევ გამოჩნდებიან კოლაელი ყრმები. როგორც ჩანს, მოილაპარაკეს, რომ ძალით შესულიყვნენ ეკლესიაში. მათი ქცევა უკვე აგრესიულია („ენება შესვლად მათ თანა მძლავრობით“). განწყობილებათა დინამიკა მაღლე შეიცვლება: ქრისტიანთა შეთავაზებას, მოინათლონ, სიხარულით იღებენ („სიხარულით შეიწყნარეს სწავლად იგი ქრისტეანეთავად“).

გადის დრო და ჩვენ ვხედავთ ზამთრის ყინვიან ღამეში მდინარეში ნათელებულ ცხრა კოლაელ ყრმას, ღვთაებრივი ნათლით შემოსილებს და გაბრნყინებულებს („ბრძანებითა ღმრთისათა სამოსელნი სპეტაკნი მოიხუნეს ანგელოზთა ზეცით და შეჰმოსნეს ყრმათა მათ ახალ ნათელ-ღებულთა უხილავად კაცთაგან“) (ძეგლები 1964: 184).

ეს იყო ამქვეყნიური ცხოვრების ბედნიერი და ნეტარი წუთები ყრმათა ცხოვრებაში. ასეთ ამაღლებულ ინტონაციას თხზულებაში მოსდევს განწყობილებათა მკვეთრი ვარდნა, სიტუაციათა რადიკალური შემობრუნება, შეცვლა და დაძაბვა. წარმართმა მშობლებმა „გამოიტაცნეს ყრმანი იგი მძლავრობით სახლებისაგან ქრისტეანეთავასა“ (ძეგლები 1964: 184), – გვაუწყებს აგიოგრაფი, – და დადგება უამი დიდი შეურაცხყოფის, რისხვის, გულისწყორმისა და გინებისა. იძულებით შინ მიყვანილ შვილებს „დაპძეარნეს თავნი მათნი და დაალებნეს წორცნი მათი ფიცხლითა მით ცემითა“ (ძეგლები 1964: 185) – ეს უკვე დასაწყისია დიდი და ეკლიანი გზისა, – მარტვილობისა.

ახლად ნათელებულმა კოლაელმა ბავშვებმა ისეთი სულიერი სიმტკიცე გამოამჟღავნეს, რომ, მიუხედავად ასაკისა, არც შეყოვნებულან, არ შემდრკალან: შვიდი დღე უსმელ-უჭმელნი იყვნენ... „შთაყარნეს წნარცუსა მას შინა... განუწეოქნეს თავნი მათნი და განტვინნეს იგინი“ (ძეგლები 1964: 185) საკუთარი ხელით საკუთარმა მშობლებმა. თხზულებაში სამი წინადაღება გვხვდება, ანუ სამი პასუხი კოლაელი ყრმებისა მშობელთა მიმართ. სამივე მათგანს ერთნაირი დასაწყისი აქვს:

1. **ჩვენ ქრისტეანენი** ვართ და არა ჯერ-არს, ვითარცა


ვჭამეთ და ვსუთ ნაგები კერპთაა;

2. ჩვენ ქრისტეანენი ვართ და არარა გვხმს თქუენგან, არა ამედ განგვტევენით და წარვიდეთ ქრისტეანთა თანა;

3. ჩვენ ქრისტეანენი ვართ და მისთვისცა მოვსწყდებით და მოვკუდებით, რომლისა მიმართ ნათელ-ვიღეთ (ძეგლები 1964: 185).

აგიოგრაფი ორგზის შენიშნავს: „ხოლო მათ იგივე სიტყუად თქუან“, რაც პირველად უპასუხესო, ხოლო წამების წინ ყრმათა პასუხს ასეთ კომენტარს დაურთავს: „სხუად არარა იცოდეს, რამცა თქუეს“ (ძეგლები 1964: 185). ასეთი უშუალო, გულიდან ამოსული სიტყვები კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ამბის „უტყუელობასა და ჭეშმარიტებაში“, რომ შვიდი-ცხრა წლის ახლად ნათელდებულ ბავშვებს მჭევრმეტყველებისა და პოლემიკის, თეოლოგიური სიბრძნისა და სიმწიფის პრეტენზია არ შეიძლებოდა ჰქონდათ და არც თავად ავტორი თხზავს და თავს არ გვახვევს იმას, რაც არც შეიძლებოდა რეალური ყოფილიყო.

ამდენი ტკივილისა და სისასტიკის შემდეგ თხზულებაში ისევ სიხარული და იმედი დაისადგურებს: „შეირაცხნეს იგინი პირველთა მათ მონამეთა თანა, და მათ თანა იხარებენ სასუფეველსა ცათასა“. „ცხრა ყრმა კოლაელთა წამებაში“ განწყობილებათა დინამიკა, შესაძლოა, ასეთი სქემით წარმოვიდგინოთ:



განწყობილებათა დინამიკა ასეთი ტეხილებით იცვლება თხზულების მიხედვით და ამბის თხრობის ექსპრესიულობას სწორედ ეს განაპირობებს – ცხრა ყრმა კოლაელთა სულიერ მდგომარეობათა მონაცვლეობა, რომელიც იწყება ამქვეყნიური სიხარულით და მთავრდება ზეციური ნეტარებით.

უცნობი ავტორის მიერ გაცოცხლებული ცხრა მოწამე ბავშვის სახე იმდენად შთამბეჭდავია და ისეთი სულისშემძვრელი ის სისასტიკე, რომლითაც მშობლები გამოირჩევიან, რომ მკითხველის მეხსიერებაში წარუშლელად რჩება ღვთის სიყვარულით ანთებულ ამ უმანკო არსებათა ამტანობა, გამძლეობა, მოთმინება და სულგრძელობა. ეს კიდევ ერთი საწინდარია იმისა, რომ განინმინდოს მკითხველის გული, გასპეტაკდეს მისი სული, მიეცეს რწმენისა და სიყვარულის უძლეველი ძალა. ასეთი შედეგი კი უკვე პასუხი არის იმაზე, რისთვისაც მოწოდებულია, საერთოდ, აგიოგრაფიული მწერლობა.

თავი VIII

„ნო. დავითისა და ტირიჭანის მართვილობა“

„წმიდა ყრმათა ორთა ძმათა დავითისი და ტირიჭანისი საკითხავი“ წარმოგვიდებულს ერთ სულისშემძვრელ ამბავს, რომელიც ქრისტიანობისათვის წამებულ ძმებს ეძღვნება და წარმართ და ქრისტიან სომებთა შორის ბრძოლას ასახავს, თუმცა „დავითისა და ტირიჭანის წამება“ სომხურად შემორჩენილი არ არის. აკად. ნიკო მარის აზრით, სომხებისათვის ეს არასასიამოვნო დოკუმენტი იყო, რადგან, ტექსტის მიხედვით, ქრისტეს აღსარების გამო, ბიძა დისმვილებს დახოცავს (მარი 1899: 21-22).

კ. კეკელიძის აზრით, „დავითისა და ტირიჭანის წამება“ IV საუკუნეში უნდა მომხდარიყო, კერძოდ იმ დროს, როცა სომხეთში არშავი (360-386წ.) მეფობდა და კათოლიკოსი იყო ნერსე (კეკელიძე 1980: 518).

ივანე ჯავახიშვილი არ იზიარებდა ამ აზრს და მიიჩნევდა, რომ „წამება“ VII საუკუნის შუა წლებშია ნაგულისხმევი, ხოლო მის აღმნერს IX საუკუნეში უნდა ეცხოვორა და ძეგლი IX ს-ში უნდა იყოს სომხურიდან თარგმნილი (ჯავახიშვილი 1935: 38).

განსხვავებული შეხედულება აქვს გოჩა კუჭუხიძეს: „რადგან „კოლაელთა მარტვილობა“ და „მარტვილობა დავით და ტირიჭანისა“ ქართულ ენაზე არის შემორჩენილი, ქართულ საეკლესიო წრეებში შემოინახა და ჩანს, რომ უფრო მათი ინტერესების სფეროში იყო მოქცეული... ისინი მაზდეანური და შემდეგ არაბული ექსპანსიის დროს საკმაო ხანს არის მივიწყებული, შემდეგ კი, მე-9 ს-ის ახლო ხანებში, ჩანს, ყურადღება მიუქცევიათ... და ძეგლი საბოლოო სახით ჩამოუყალიბებიათ“ (კუჭუხიძე 2003: 69).

თხზულების დასაწყისშივე ვეცნობით წარჩინებულთა ოჯახს: ერისთავი ვარდან და ცოლი მისი, – თაგინე: „აქუნდა სარწმუნოვება ჭეშმარიტი და მართალი წმიდისა სამებისა. ცხომდე-

ბოდეს იგინი ღმრთის მსახურებით, ყოვლითა ღირსებითა და ღმრთის მოშიშებითა“ (ძეგლები 1964: 186) – ასე გვიხასიათებს აგიოგრაფი ღვთისმორწმუნე მეუღლებებს. ბევრი რამ არის ყურადსალები ამ მინიშნებაში. პირველი და უმთავრესი, მათ ჰქონდათ ჭეშმარიტი და მართალი რწმენა წმიდა სამებისა.

ჭეშმარიტი და მართალი სარწმუნოება – ასეა შეფასებული ქრისტიანული მოძღვრება. ეს თავისთავად გულისხმობს დაპირისპირებას წარმართობასა და სხვა სარწმუნოებასთან ან სექტასთან. როგორც წეტარი ავგუსტინე იტყვის: „ჭეშმარიტი სარწმუნოება არა აქვთ არც წარმართებსა და არც რომელიმე სექტას, არამედ აქვს მხოლოდ ერთს – ქრისტეს კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიას... ჭეშმარიტი სარწმუნოებით შემოსილებმა თაყვანი უნდა ვსცეთ ერთ ჭეშმარიტ ღმერთს, ანუ ყოვლადნებიდა სამებას – მამას, ძეს და სულინებიდას“ (წეტარი ავგუსტინე 1991: 9). „ჭეშმარიტი სარწმუნოება ქრისტიანული სარწმუნოებაა“ – აცხადებს წეტარი ავგუსტინე და ამასვე გვარწმუნებს „დავითისა და ტირიქანის მარტვილობის“ ავტორიც.

გარდა ამისა, ტექსტში გვხვდება ტერმინი „სამება“ – ქრისტიანული სარწმუნოების უმთავრესი დოგმატი. სამების არსი მტკიცედ ჩამოყალიბდა და ღვთისმეტყველთა მთელი თაობების მიერ განიმარტა. ამ მხრივ დიდი ღვაწლი გასწიეს წმ. ბასილი დიდმა და წმ. გრიგოლ ნოსელმა, ქრისტიანული დოგმატი სამებისა, საბოლოოდ, გააფორმა II მსოფლიო საეკლესიო კრებამ, რომელიც მოწვეულ იქნა კონსტანტინოპოლში 381 წელს და გამოაცხადა იგი „მიუწვდომელად კაცისა გონებისათვის“. თუმცა უფრო ადრე, მსოფლიო პირველ საეკლესიო კრებაზე, ნიკეაში, 325 წელს, შემუშავდა სამების მნიშვნელოვანი დოგმატი. სახარებაში ეს ტერმინი არ გვხვდება. ამდენად, „წმ. დავითისა და ტირიქანის მარტვილობაში“ დაფიქსირებული ტერმინი „წმიდა სამება“ უკვე გულისხმობს ეკლესიის ისტორიის ამ მნიშვნელოვანი ეტაპების შემდეგდროინდელ პერიოდსა და თეოლოგიური აზროვნების სრულიად ახალ საფეხურს. თავისთავად გამორიცხულია IV საუკუნეში დაწერილ აგიოგრაფიულ თხზულებაში ასეთი ტერმინის არსებობა. უდავოა, რომ ჩვენამდე მოღწეული ტექსტი უფრო გვიანი ეპოქის კუთვნილებაა. შესაძლოა, ისიც სავარაუდო იყოს, რომ მთელი IV

ს.-ის მანძილზე მიმდინარე კამათი წმ. სამების დოგმატის შესახებ, სწორედ რომ შევიდოდა ამავე ეპოქაში დაწერილ ძეგლში, თანაც ასეთი მკვეთრი აქცენტით „სარწმუნოება ჭეშმარიტი და მართალი წმიდისა სამებისაა“. ეს პრობლემა საგანგებო კვლევას მოითხოვს.

ვარდანი და თაგინე წმ. სამების ჭეშმარიტი და მართალი რწმენით შეიარაღებული სულიერობის იმ დონეს წარმოგვიდგენენ, რომელიც წმ. იოანე დამასკელმა ასეთი პათოსით გამოხატა: „გვნამს ერთი ძე ღვთისა, მხოლოდშობილი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე, მამისაგან შობილი უწინარეს ყველა საუკუნისა, სინათლე სინათლისაგან, ჭეშმარიტი ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან, შობილი, არა შექმნილი, თანაარსი მამისა“ (დამასკელი 2000: 328).

წმ. სამების ჭეშმარიტი და მართალი რწმენა გულისხმობს იმასაც, რომ არსებობდა ჭეშმარიტი და მცდარი შეხედულება (რწმენა) წმ. სამების დოგმატზე. რა თქმა უნდა, ეს არის გამოძახილი სწორედ ზემოთ ხსენებული მსოფლიო I და II საეკლესიო კრებებისა. ჩვენ მოკლედ შევნიშნავთ, რომ ნიკეის 325 წლის კრების განხილვის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენდა ალექსანდრიელი მღვდლის – არიოზის მწვალებლური აზრის უარყოფა იესო ქრისტეს არაღვთაებრიობის შესახებ. კრებაზე შემუშავდა სარწმუნოების სიმბოლოს „მრწამსის“ ტექსტი. მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებამ (381 წ.) კი განიხილა მაკედონის და მისი თანამოაზრების მწვალებლური სწავლება, რომელიც უარყოფდა სულინმიდის ღვთაებობას (საეკლესიო კრებები 1977: 174-180).

საბოლოოდ სწავლება წმ. სამების დოგმატის შესახებ წმიდა იოანე დამასკელმა ასე გადმოგვცა: „გვნამს ერთი მამა, ყოველივეს დასაბამი და მიზეზი, არათუ ვინმესაგან შობილი, არამედ ის მხოლო უმიზეზოდ და უშობლად მყოფი, შემოქმედი ყოველივესი, მამა მარტოდენ მისი ერთი ბუნებითი ძისა, უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, და გამომავლინებელი ყოვლადწმიდა სულისა“... (დამასკელი 2000: 328).

სახელმძღვანელო მართლმადიდებელი ეკლესის კატეხიზმოს შესასწავლად“ განმარტავს: „ღმერთი არსებით ერთია, მა-

გრამ პიროვნებით სამი, – მამა ლმერთი, ძე ლმერთი და სული წმიდა ლმერთი, რომლებიც შეადგენენ ერთ არსა და განუყოფელ სამებას” (კატეხიზმო 1989: 11).

ეს არის წმიდა სამების მართალი და ჭეშმარიტი რწმენა, დაცული ყოველგვარი მწვალებლობა-მწკრებელობისაგან. „წმ. დავითისა და ტირიქანის მარტვილობის“ ავტორის მიერ თქმული სიტყვები, სწორედ, იმ რთული, ქარტეხილებით, დავითა და კამათით აღსავსე საუკუნეების გამოძახილია, როცა ისახებოდა და მტკიცდებოდა სწავლება წმ. სამების დოგმატის შესახებ.

თხზულების ავტორი იმასაც გვაუწყებს, რომ ვარდანი და თაგინე „ცხომდებოდეს ღმრთის მსახურებით, ყოვლითა ღირსებითა და ღმრთის მოშიშებითა“ (ძეგლები 1964: 185). აქ აგიოგრაფის მიერ ქრისტიანული ცხოვრების სამი უმთავრესი ცნებაა მოხმობილი:

- ა) ღვთიმსახურება;
- ბ) სრულიად ღირსებით, შესაფერისად ცხოვრება;
- გ) ღვთის შიში.

„ღმრთის მსახურებით“ ცხოვრება მრავალი ასპექტით შეიძლება გავიაზროთ. ერთი და უმთავრესი არის ის, რომ ეკლესიურად ცხოვრობდნენ, ანუ მონაწილეობდნენ ეკლესის წმიდა საიდუმლოებებში. ამას გარდა, იცავდნენ და აღასრულებდნენ ღვთის მცნებებს, სწამდათ და უყვარდათ!

„ყოვლითა ღირსებითა“ ცხოვრება, როგორც ჩანს, გულისხმობს იმას, რომ ადამიანმა, უპირველესად, გაიაზროს საკუთარი მისია და მნიშვნელობა. იგი ხომ უკვდავი სულია და, თავისი არსის მიხედვით, შესწევს განუწყვეტელი სრულყოფის უნარი. ღირსებით ცხოვრება პასუხია იმაზე, თუ რა არის ადამიანის დანიშნულება. როცა ეს გარკვეულია, მაშინ ცხონების გზაც მოძებნილია, რადგან: „ქრისტიანული რწმენა, ეყრდნობა რა ღვთიურ გამოცხადებას... გვასწავლის, რომ ადამიანი მთელი თავისი შემადგენლობით, ე. ი. სულითა და სხეულით, შექმნილია მისი ამქვეყნიური დამსახურების შესატყვისი მარადიული ცხოვრებისათვის. იგი შთაგვაგონებს, რომ ამქვეყნიური ცხოვრება მხოლოდ შემზადებაა მომავალი მარადიული ცხოვრებისათვის. ვინც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე აზიარა სული სიკეთეს, იგი მომავალ ცხოვრებაშიც იპოვის

უმაღლეს ჯილდოს იმავე სიკეთეში” (ქიქოძე 1993: 252-253). „ყოვლითა ღირსებითა“ ცხოვრება, სწორედ, უმთავრესი ქრისტიანული სათონებების შემოკრება და ამით სრულყოფაა.

ღვთის შიშით ცხოვრება საწინდარია ცხონების, სულის გადარჩენისა. „შიში უფლისად წმიდა არს და ჰგიეს იგი უკუნითი უკუნისამდე“, – ბრძანებს წმიდა მეფე და წინასწარმეტყველი დავითი (ფს. 18, 9). ასეთ დროს ადამიანი დაცულია ბოროტ საქმეთაგან. ამის შესახებ დაწვრილებით ვმსჯელობთ ჩვენს წიგნში და აქ ალარ გავიმეორებთ (მეტრეველი 2000: 88-89).

აგიოგრაფი ვარდანისა და თაგინეს შესახებ გვაუწყებს, რომ „მისცა მათ უფალმან ორი შვილნი... და განიხარეს მშობელთა მათთა, რამეთუ სასმენელ ყვნა ღმერთმან ღოცვანი მათნი და მოსცნა ორნი იგი ყრმანი“ (ძეგლები 1964: 186). ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მათ შვილი არ ეძლეოდათ. ესეც იმ ცნობილი თემის გაგრძელებაა, რაც, საერთოდ, ხშირია აგიოგრაფიულ ლიტერატურაში. ვარდანი და თაგინე რომ დიდი ხანი უშვილონი იყვნენ, ამას ადასტურებს შემდეგი ფრაზა: „უამსა ოდენ სიჩჩოდა დავით და ტირიჭანისთა მოკუდა ვარდან მთავარი“ (იქვე: 186). ვარდანი რომ ახალგაზრდა გარდაცვლილიყო, ამას აგიოგრაფი უთუოდ აღნიშნავდა. აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება, თუ როგორ დიდხანს ელოდა ოჯახი ღვთის წყალობას – ძეობას.

უფალმა მშობლების ლოცვა შეისმინა – ორი ბიჭი შეეძინათ ვარდანსა და თაგინეს, განიხარესო, – დაასკვნის ავტორი. სიცოცხლის დაბადება ღვთის ნებაა. ამ ეპიზოდში ჩანს პროვიდენციალიზმი, რომ ღვთის ნების გარეშე არაფერი აღესრულება და აქცენტი კეთდება ლოცვის სათნოებაზეც. ვინც რწმენით ითხოვს, მიეცემა: „ითხოვდით და მოგეცეს თქუენ, ეძიებდით და ჰპოოთ, ირეკლით და განგელოს თქუენ“ (მათე, 7, 7) – შეგვაგონებს მაცხოვარი.

ახლად დაბადებულს „წინასწარმეტყველებით“ დავითი უწოდეს. ესეც უკვე მინიშნებაა მის გამორჩეულობაზე და იმაზეც, რომ ყოველივე ღვთის ნებაა. მეორე შვილს ტირიჭანი დაარქვეს „ენითა სომეხებრითა“. და, რაც მთავარია, „აღზარდნეს ესენი სარწმუნოვებასა ზედა მართალსა“ (ძეგლები 1964: 186). მშობლებს, ვარდანსა და თაგინეს, ჰქონდათ ჭეშ-

მარიტი და მართალი რწმენა, შვილებიც აღზარდეს ჭეშმარიტ და მართალ სარწმუნოებაზე. ასეა შეფასებული ქრისტიანული მოძღვრება აგიოგრაფის მიერ და ამით საცნაური ხდება ის სიდიადე ამ რელიგიისა, ის მადლი და განსაკუთრებული ძალა, რომელიც დავითისა და ტირიქანის ცხოვრების აღსასრულით უფრო ხელშესახები გახდება.

განუზომელი და შეუფასებელია აღზრდის მნიშვნელობა. იგი, უპირველესად, გავლენას ახდენს პიროვნების ხასიათის ჩამოყალიბებაზე. „აღზრდა იმისთვისაა მოწოდებული, რომ შეცვალოს და დაადგინოს ადამიანის ზნეობრივი ტემპერამენტი. გონივრულმა აღზრდამ უნდა აზიაროს ადამიანი გარკვეულ განწყობას, რომელიც მას მთელი სიცოცხლე გაჰყვება“ (ქიქოძე 1993: 242).

სწორი რწმენით აღზრდა მშობლის უპირველესი მოვალეობაა. დავითი და ტირიქანი ზნეობრივ მაგალითებს საკუთარი მშობლებისაგან იღებდნენ. ეს კი ყველა რჩევასა და შეგონებაზე ძვირფასია. პიროვნულ მაგალითს განუზომელი ძალა აქვს, ამიტომაც ამბობენ ეკლესის დიდი მამები: „მამა ხშირად ყველაფერს აკეთებს და ყოველ ლონეს ხმარობს იმისათვის, რომ შვილს ჰყავდეს კარგი ცხენი, ჰქონდეს შესანიშნავი სახლი, ან ძვირფასი ადგილ-მამული, მაგრამ სულაც არ ზრუნავს იმაზე, რომ ის ღვთის მოშიშად და კეთილმსახურად აღზარდოს. სწორედ ეს არღვევს ამქვეყნიურ წესრიგს, – ის, რომ ჩვენ დაუდევარნი ვართ ჩვენი ბავშვების მიმართ, სიმდიდრეზე ვზრუნავთ, მათ სულს კი არ ვუფრთხილდებით, რაც უკიდურესად უგუნური საქციელია“ (ოქროპირი 1990: 128). ამ-დენად, აგიოგრაფის კომენტარი იმის შესახებ, რომ თაგინებ და ვარდანმა შვილები აღზარდეს „სარწმუნოვებასა ზედა მართალსა“ – მოწოდებაა იმისა, თუ რა გზით და ფორმით უნდა სრულყოთ ჩვენი მომავალი.

დავითი და ტირიქანი ღვთის მოშიშ, კეთილმსახურ და ეკლესიური მადლმოსილების ოჯახში იზრდებოდნენ უფლის სწავლითა და მოძღვრებით. მათს სულსა და ცნობიერში თავისუფლად მოედი ნებოდა ღვთაებრივი ნაკადი სიკეთის, რწმენის, სიყვარულის, მორჩილებისა და თავმდაბლობისა. წმ. პავლე მოციქული მშობლებს შვილების სწორად აღზრდის

კანონს უდგენს და ამბობს: „მამანი ნუ განარისხებთ შვილთა თქუენთა, არამედ განზარდენით იგინი სწავლითა და მოძღვრებითა უფლისავთა“ (ეფეს. 6, 4). ამისი ყველაზე სამედიდო აღსრულება იწყება ეკლესიური ცხოვრებით, როცა პატარაობიდანვე მონაწილე ხდები ეკლესის საიდუმლოებათა და მოძღვრის ლოცვა-კურთხევით იწყება შენი ცხოვრება. წმ. ოთანე ოქროპირი ასეთ რჩევას აძლევს მშობლებს: „გავზარდოთ ჩვენი შვილები უფლის სწავლითა და მოძღვრებით, ვუჩვენოთ მათ ღვთისმსახურების მაგალითი, სიყრმიდანვე ვუკითხოთ წმიდა წერილი“ (ოქროპირი 1991: 106-107). კეთილმორნმუნის ოჯახში იზრდებოდნენ დავითი და ტირიჭანი – ეს უკვე იმასაც გულისხმობს, რომ სახლსა და ეკლესიაში მიღებული მოძღვრება ერთმანეთს შეავსებს და კეთილ ნაყოფს გამოიღებს. ამიტომაცაა მნიშვნელოვანი აგიოგრაფის შენიშვნა, რომ „აღიზარდნეს ესენი სარწმუნოებასა ზედა მართალსა“.

„დავითისა და ტირიჭანის მარტვილობის“ ავტორი გვაუწყებს, რომ თევდოსი იყო თაგინეს ძმა „წარმართი და აქუნდა შჯული წარმართთა უშჯულოდ“ (ძეგლები 1964: 186). აგიოგრაფის ასეთი ინტონაცია უკვე შეფასებაა იმისა, თუ როგორია წარმართობა და მინიშნებაა თევდოსის პიროვნულ თვისებებზე: უსამართლობა-უკანონობაზე (უშჯულოებაზე). მისი ხასიათის ეს თავისებურება გამოჩნდება მაშინვე, როცა ვარდანი გარდაიცვლება. ავტორი მოგვითხრობს: „თევდოსი უღმრთომან მძლავრ მოიტაცა საქ -ელმწიფო იგი ვარდანისი... და დაიპყრა სამკუდრებელიცა მათი“. თევდოსის სისასტიკე, დაუნდობლობა, უღმერთობა ასე შეამკო აგიოგრაფმა:

თევდოსი: წარმართი, უშჯულო, უღმრთო, მწეცებრ განძონებული, ბოროტი მხეცი, უწყალო, ნაწლევ-რვალი, უკეთური, სისხლისა მოყუარე, ყოლად მედგარი, ვეფხი.

ასეთ ფონზე უფრო თვალშისაცემია თხზულების უმთავრესი პათოსი, – უბინოება და უმანქოება ძმებისა.

დავითი და ტირიჭანი: ყვავილი შუენიერნი, ნერგი სამოთხისანი, შეუნიერებად ყრმათა მათ წმიდათა, სანატრელთა ყრმათა, უბინონი, კრავნი ღმრთისანი, ჭეშმარიტი მსხვერპლნი, წმიდა.

აგიოგრაფის მხატვრული სტილისთვის დამახასიათებელი

ასეთი კონტრასტულობა უფრო წინააღმდეგობრივს ხდის და სუბიექტური დამოკიდებულების თვალნათლივ სურათს იძლ-ება იმის საჩვენებლად, თუ როგორი ძალით უპირისპირდება ბოროტება სიკეთეს, ცოდვა-მადლს.

მიუხედავად იმისა, რომ „დავითისა და ტირიჭანის მარტვილობის“ ტექსტი მოცულობით ორჯერ აღემატება „ცხრა ყრმა კოლაელთა მარტვილობისას“, აյ მხოლოდ ერთი პასუხი არის დაფიქსირებული მონამე ძმებისა. როცა ბიძის შემოთავაზეპაზე „შჯული ეგე, რომელი ეპყრა მამასა თჯუნსა, განუტევეთ, და მე უკეთცის შჯული მოგცე თქუენ“ (ძეგლები 1964: 187). ასე მიუგეხს: „ჩუენდა კმა-არს შჯული იგი, რომელ ეპყრა მამასა ჩუენსა, და ვჰგიეთ მას, ვიდრე სული ესე იყოს-ლა წორცთა შინა ჩუენთა. ხოლო სიყუარულისათვე და მოთმინებისა ღმრთისა სხუად თვნიერ შჯულისა დატევებისა განმზადებულ ვართ, ვითარცა მამისა ჩუენისასა“ (იქვე: 187). ამ პატარა მონაკვეთში კარგად იკითხება ერთგულება იმ მოძღვრების მიმართ, რომელზეც ბავშვები აღიზარდნენ. აյ გაცხადებულია დიდი პატივისცემა და მოკრძალება გარდაცვლილი მამის ამაგისა, რომ არ იკარგება სწორად წარმართული მოძღვრება-ქადაგება, პიროვნული ზნეობრივი მაგალითი, ანუ ის, რაც ვარდანმა ჩადო შვილების სულიერი აღზრდის საქმეში. დავითი და ტირიჭანი მზად არიან, შეენირონ მამისეულ სარწმუნოებას, მტკიცედ და შეურყევლად იდგნენ რჯულის სადარაჯოზე: „ვიდრე სული ესე იყოს-ლა წორცთა შინა ჩუენთა“. ეს პასუხი არის შედეგი უფლის სწავლით და მოძღვრებით შვილების აღზრდისა. წმ. იოანე ოქროპირი ასე მიმართავს მშობლებს: „მოდი, ისე გავზარდოთ ჩვენი შვილები, რომ ყოველივეს მშვიდად დათმენა შეძლონ და იცოდნენ, როგორ უნდა მოიქცნენ მათზე მოწვევნული უბედურების ჟამს“ (ოქროპირი 1991: 111).

უაღრესად ცოცხალი ფერებითა და ექსპრესიულობით მოგვითხრობს ავტორი ძმების წამებას. თხრობას ამძაფრებს და მოქმედებას უფრო დინამიკურს ხდის ზმნა-შემასმენელთა ასეთი სიუხვე: „ყრმანი იგი უბინონი ჭამდეს პურსა სძესა თანა, რამეთუ დაეწივნეს ცხოვარნი იგი მათნი. და შეძრწუნდეს ყრმანი იგი, განპერთეს და იწყეს მოხედვად და არავ უნყოდეს მიზეზი. ხოლო ნეტარმან დავით იცნა დედის-ძმავ იგი თვისი,

ნუგეშინის-იცა და **მხიარულთა** პირთა და **წრფელითა** გულითა **მირბიოდა** და **შევარდა** წელთა დედის ძმისა თვისისათა. ხოლო **მან მოყვნა** წელნი თვისი და **ალქეა** იგი მკლავთა თვისთა ზედა და **ამბორვებისა** წინ **მოაგება** მახვილი, **ჰსცა** და **მოკლა** იგი“ (ძეგლები 1964: 188). (ოთხი წინადადება და თხუთმეტი ზმნა-შემასმენელი).

აგიოგრაფის გულწრფელობასა და უშუალობას განცვი-ფრებაში მოჰყავხარ. მაგალითად: „ხოლო ტირიჭან, ვითარცა იხილა სიკუდილი უწყალოდ ძმისა თვისისა, შეეშინა და ინრაფა სივლტოლად“ (ძეგლები 1964: 188) ან როცა თაგინე, შვილმ-ოკლული, გამნარებული დედა „ეძიებდა ძესა თვისსა ტირიჭანსა, რათამცა იხილა იგიცა მოკლული... ჭირისა მისგან და ინროე-ბისა განკრთომილ იყო გული მისი“ (იქვე: 189).

ქმნილების ავტორის დიდოსტატობაზე მიუთითებს სიტყ-ვათქმნადობის ნიმუშების ისეთი სიჭარბე, როგორიც ტექსტ-ში გვხვდება. ამისი ნათელი მაგალითია თაგინეს განცდათა სიმძაფრე, ის ტრაგიზმი, რომელიც აგიოგრაფმა ასე გადმოგვ-ცა: „მოვიდა და მოინია იგი პირის ცემით და ეგოდენსა მას სიმძაფრესა მის გუერდისასა არა დაშურა იგი ტკივილითა მით შვილთა თვისთათა. წმობდა იგი ტირილითა და განმნარებუ-ლითა სულითა“ (ძეგლები 1964: 189). თაგინეს გოდებაში ნათ-ლად ჩანს მისი ცხოვრებისეული მძიმე ხვედრი, პიროვნული ტკივილი. რა არ გადაიტანა – ქმრის სიკვდილი, ოჯახის გაპარ-ტახება, შევიწროება, დევნა, ქვრივობის მძიმე ჯვარი... ძნელია გულგრილად ჩაიკითხო თაგინეს მოთქმა-გოდება, რომელიც მიმართულია ძმისადმი და რომლის რიტმულ-ინტონაციურ სიმძაფრეს მიმართვის ფორმით და განსაზღვრებებით მდიდარი მხატვრული კონსტრუქცია ქმნის: „რად მიმიხუენ ნათელნი თუალთა ჩემთანი? არა კმა-იყოა გლოვად ჩემდა სიქურივე ესე ჩემი? არა კმა-გეყოა სამკდრებელი შვილთა ჩემთად და ყოფად ჩემი წყუდიადისა ამას ქუეყანასა? ვერ კმა-გეყოა სამკდრებე-ლი ქმრისა ჩემისად და მოხუედ უდაბნოდ და მოსწყდნენ კრავნი ესე ცხოვართა უკუანა“ (ძეგლები 1964: 189).

„დავითისა და ტირიჭანის მარტვილობა“ მრავალი კუთხით არის საინტერესო. თუნდაც საღვთო სახელთა მიხედვით:

ჯუარცმული („დაუტევეთ შჯული ეგე ჯუარცმულისა“);

ქრისტე (საშუალებად და სიმდიდრედ მათთა იყო შჯული იგი ქრისტისი);

უფალი (მისცა მათ უფალმან ორნი შვილნი);

ღმერთი (სასმენელ ყვნა ღმერთმან ლოცვანი მათნი);

ჭეშმარიტი ღმერთი (მრნამს მე ჭეშმარიტი ღმერთი);

უფალი მოწყალე (ნუ შეგირაცხოს შენ უფალმან მოწყალე-მან);

უფალი ყოვლით კერძოვე მოწყალე;

უფალი ყოველთა მოწყალობელი;

უფალი მამა ობოლთავ;

უფალი მსაჯული ქვრივთავ;

კაცთ-მოყვარე ღმერთი;

უფალი ჩვენი იესუ ქრისტე;

ქრისტე – მოწყალე ღმერთი.

უაღრესად საინტერესოა ისიც, თუ როგორ დასტირის საკუთარ ქვრივობას შვილებდახოცილი დედა. მის გოდებაში სამჯერ გაიელვებს ეს თემა: „არა კმა-იყოა გლოვად ჩემდა სიქურივე ესე ჩემი?“

შე-მცა-იწყალეთ ქურიობაა ესე ჩემი?!

ვითარცა-ესე ცხოვრებასა ქურივობისა ჩემისასა იყო ჩუენ-და ცხედარი ერთი“ (ძეგლები 1964: 189). ამის შემდეგ, როცა „მოიქცა ველური იგი განვრდომილი გონება“ თევდოსისი, როცა ნეტარმა თაგინემ შეუნდო საკუთარ ძმას შვილების უმოწყალოდ დახოცვა, ასე მიმართა უზენაესს: „შენ, უფალო, ყოვლით კერძოვე მოწყალეო... მსაჯული ქურივთაო“ (იქვე: 190). ასეთი ხაზგასმა ქვრივობაზე იმ ლვანლის მანიშნებელიცაა, რასაც უმამოდ დარჩენილი შვილებისათვის აკეთებდა დედა.

ტირიჭანის მკვლელებმა მთაზე ნახეს დამწუხრებული თევდოსი, რომელსაც უკვე „ყოლად ვერ ეძლო ხედვად“ (იქვე: 188). თავად თაგინეს ასე განუმარტა ძმამ: „ო, დაო ჩემო, თაგინე, ჩემდა მოიქცა და იხილე, რამეთუ ესერა წუერსა ზედა მთისასა ბნელმან დამფარა მე... ჩემ ზედა იქცევის ბნელი წყუდიადი“ (იქვე: 190). როგორ ახლოს დგას ეს პასაჟი იმ ეპიზოდთან, როცა თხოთის მთაზე მირიანს მზე დაუბნელდა: „დაბნელდა მის ზედა მზე და იქმნა დამე უკუნი, ბნელი ფრიად. დაფარნა ბნელმან არენი და ადგილნი იგინი“ (იქვე: 135). ეს სწორედ იმ

ლიტერატურული ტრადიციის გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ, რასაც, საერთოდ, სათავე დაუდო „წმიდა ნინოს ცხოვრებამ“ – ქართლის მოქცევამ.

ცხრა ყრმა კოლაელნი, დავითი და ტირიჭანი – ყრმები, უფლისთვის წამებულნი, მსხვერპლშეწირულნი იმთავითვე იქცევენ მკითხველის ყურადღებას თავიანთი სიმტკიცითა და რწმენით. დავითი და ტირიჭანი უხსნიან ბიძას, რომ სულისა და ხორცის გაყრამდე მამისეული რჯულის ერთგულნი იქნებიან; კოლაელი ყრმები – შვიდი დღის უსმელ-უჭმელი ბავშვები მშობლებმა ვერაფრით მოდრიკეს და სიკვდილის პირისპირ მდგარნი ასევე მზადყოფნას გამოხატავენ: „მისთვიცა მოვსწყდებით და მოვკვდებით, რომლისა მიმართ ნათელ-ვიღეთ“ (ძეგლები 1964: 185).

ასეთი სიმტკიცით წარმოდგება ქართულ აგიოგრაფიაში ბავშვი მონამე, როგორც ღვთის სიყვარულით ანთებული სული, როგორც უმანკოებისა და უბიწოების ხილული სახე, როგორც ერთგულებისა და შეურყევლობის საზომი. ზოგადად კი, „მარტვილობებში“ ბავშვები წარმოდგენილნი არიან, როგორც სამოთხის უმანკო ყვავილები. მარტვილი ყრმები წმინდანების ისეთსავე მოდელს ასახიერებენ, როგორსაც უფროსები (გრძელიძე 1990: 54).

ათონის მრავალთავში შესული ეს ორი აგიოგრაფიული ქმნილება, „ცხრა ყრმა კალოელთა წამება“ და „მარტვილობა დავითისა და ტირიჭანისა“, ინახავს ბავშვთა მარტვილობის სულისშემძვრელ ისტორიას და კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რა სასწაული და ამოუცნობია ხელნაწერებში ჩაბუდებული მშვენიერი სული!

თავი IX

„ნეიდა იოანე ზედაზელის ცხოვრება“

„ნეიდა იოანე ზედაზელის ცხოვრების“ სამი რედაქტია არსებობს: 1. ვრცელი რედაქცია, ანასეული „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერს დართული ნაკლული, ფურცლებდაკარგული ნუსხა (ძეგლები 1964: 191-216). 2. მოკლე რედაქტია, ერთადერთი ხელნაწერით შემონახული (ყუბანენიშვილი 1946: 157-159). 3. ე. ნ. მეტაფრასული რედაქცია, მრავალი ხელ ნაწერით დაცული (აბულაძე 1955: 2-67); (ძეგლები 1964: 191-217). სამივე რედაქციის ავტორთა ვინაობის, შექმნის დროისა და მათი ურთიერთმიმართების თაობაზე ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები არსებობს, რომელთა განხილვა ჩვენს ინტერესსა არ წარმოადგენს. ეს გამოკვლევა მიზნად ისახავს „ნეიდა იოანე ზედაზელის ცხოვრების“ იკონოგრაფიული სახისმეტყველების ზოგიერთი ასპექტის წარმოჩენას და ეყრდნობა ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში ა და პ რედაქციებად შეტანილ ტექსტს.

„ნეიდა იოანე ზედაზელის ცხოვრების“ შესავალი საგანგებოდ ეთმობა სიტყვა-ლოგოსზე მსჯელობას. ეს არის ერთგვარი თეორიული ტრაქტატი იმის დასადგენად, თუ რა კონკრეტული მიზანი დგას შემოქმედის სიტყვის უკან, მწერლის მხატვრული ცნობიერება როგორ აღიქვამს ყოფიერებას მშვენიერების თვალსაზრისით და როგორ გარდაქმნის მას ახალ ესთეტიკურ სინამდვილედ. ის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, რომლებიც თავისთავად მოიცავენ აგიოგრაფიულ სიტყვას, ვლინდება თხზულების სიტყვიერ ქსოვილში. ახლა თვალი მივადევნოთ იმას, თუ როგორ სქემას გვთავაზობს აგიოგრაფი:

„მიზეზი არიან აღმძვრელ სიტყვსა და სიტყუად არს მომთხობელ მიზეზთა, რომლისათვის პირველ მივლენან საგრძნობელთა და მიართვან მიმღებელსა, და მიმღებელმან მისცის განმკითხველსა და განმკითხველმან - დამმარხველსა“.

გრაფიკულად თუ გამოვსახავთ, ასეთ სურათს მივიღებთ:

მიზეზნი

↓↑

სიტყვა

↓

საგრძნობელი (გრძნობის ორგანო)

↓

მიმღებელი (თანამოზიარე, შემწყნარებელი)

↓

განმკითხველი (მსაჯული)

↓

დამმარხველი (დამცველი, შემნახველი)

„მიზეზსა“ და „სიტყვას“ შორის ორმხრივი „ურთიერთობა“, მიზეზ-შედეგობრივი კავშირია, რადგან პირველი „სიტყვის“ წარმომშობია და მეორე კი – მიზეზთა „მიმთხობელი“. აქ აგიოგრაფი სიტყვისა და საქმის მთლიანობაზეც მიგვითოთებს. სულხან-საბას მიხედვით, „დაწყებასა ერთისა საქმისასა მიზეზი ეწოდების“ (ობელიანი 1991: 480). ე. ი. საქმემ უნდა აღდრას, წარმოშვას, დაბადოს სიტყვა, რომელმაც მეტ-ნაკლები სიზუსტით უნდა გამოხატოს და ცხადყოს იგი. „საქმე, ნამოქმედარი, ფაქტი, – განმარტავს აგიოგრაფი, – არის ბიძგის მიმცემი, ამოსავალი, აღმძვრელი სიტყვისა ლიტერატურულ შემოქმედებაში. ხოლო, თავის მხრივ, პოეტური სიტყვა ამ საქმეებსა და ფაქტებს პირველ რიგში ასახავს და „არს მომთხობელი მიზეზთა“ (ფარულავა 1982: 90).

„ნე. იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ დასაწყისშივე მკაფიო აქცენტი კეთდება სიტყვის ძალაზე, განსაზღვრულია მისი მოქმედების სივრცე და ემოციურ-ინტელექტუალური შთაგონება. „მიზეზი“, სათქმელი არსებობს სიტყვამდე, თქმამდე, რომელიც „აღძრავს“ სიტყვას, მაგრამ „სიტყვას თან გაჰყვება თავისი მიზეზი ისევე, როგორც ყოველ მიზეზოვანში არსებობს მიზეზი... ასე მიდის სიტყვა მიზეზიდან მიზნისაკენ და ამით სიტყვა აერთიანებს მიზეზსა და მიზანს. მიზეზისა და მიზნის გამთლიანებით კი „სიტყვის“ ლოგოსური ბუნება მუდავნდება“ (სირაძე 1992: 38).

ამჟამად სიტყვის ლოგოსურ ბუნებაზე ვერ შევჩერდებით, ამის შესახებ საგანგებოდ ვმსჯელობთ ჩვენს მონოგრაფიაში (მეტრეველი 2000: 4-29).

„მიზეზთა მოთხოვა“ შემოქმედის საქმეა – რას იტყვის და როგორ იტყვის! „რატომ იტყვის“ – ეს უკვე „მიზეზში“ ძევს. თქმა სიტყვას უკავშირდება, მთქმელი კი სიტყვის ოსტატი უნდა იყოს, გემოვნებით, სიბრძნით, ეპოქის შეგრძნების განსაკუთრებული უნარით დაჯილდოებული. ასეთი შემოქმედი თავისი დროის „სტილის“ გამომხატველია. ყოველ მწერალს საკუთარი ხელწერა, სტილი აქვს, რომელშიც ჩანს მთელი მისი პიროვნება: „მას თავისი გმირები ჰყავს – მძვინვარენი ან მშვიდინი“, თავისი კვანძი აქვს, რთული ან მარტივი, თავისი დაბოლოება – ტრაგიული ან კომიკური, სტილის თავისებური ეფექტები, თავისი რთული წინადადებანი და თავისი საკუთარი ლექსიკონიც კი“ (ტენი 1990: 8).

ჯერ კიდევ ადრეული პერიოდის აგიოგრაფები კრძალვითა და სიფრთხილით ეკიდებოდნენ სამწერლო საქმიანობას: „შიშ-მან და ზრუნვამან შემიპყრო მე – წერს იოანე საბანისძე – და შეშფოთნა გონება ჩემი და დავეცი და მოვაკლდი მეცნიერები-საგან... და აღვწერე ულირსისაგან გონებისა ჩემისა შემოკრებული მარტვილობა, ჭეშმარიტი და უტყუელი“ (ძეგლები 1964: 47). იოანე საბანისძის მიერ წამოჭრილი მხატვრული ნაწარმოების როგორობის, მისი ენისა და სტილის საკითხი შემდგომ განვითარებას პოულობს „წმ. კოსტანტი კახის მარტვილობაში“ (ძეგლები 1964: 170). ზომიერად თქმის მოთხოვნას იცავს გიორგი მერჩულეც (ძეგლები 1964: 266). მათს მოთხოვნებში, მთლიანობაში, იკვეთება ესთეტიკური თანადგომის პრინციპები.

დავუბრუნდეთ სქემას: მიზეზი, საბაბი, რომელიც სიტყვას წარმოშობს, შინაგან სულიერ საცავსაც გულისხმობს, რადგან სიტყვა გამოხატავს პიროვნებას, მის ფსიქო-ემოციურ და ინტელექტუალურ საწყისს. სიტყვა თავად არის ადამიანური ყოფიერების საზრისი. რა გზას გაივლის სათქმელის, საქმის აუცილებლობით დაბადებული სიტყვა? – აგიოგრაფის თქმით, იგი გადაეცემა „საგრძნობელთა“, ე. ი. გრძნობის ორგანოებს, უფრო ზუსტად, ალბათ, იმათ, იოანე საბანისძემ ასეთი ფორ-

მით რომ განმარტა: „საჩინონი ეგე სასმენელნი... და უფროდა-ლა საცნობელნი ეგე ყურნი გულისა და გონებისა“ (ძეგლები 1964: 49).

სიტყვა უნდა იგრძნო, განიცადო, მან შენს სულზე ზე-მოქმედება უნდა მოახდინოს, შენში აქტივობა უნდა აღძრას, უნდა შეგცვალოს. გრძნობის ორგანოები სიტყვას გადასცე-მენ „მიმღებელს“, ანუ შემწყნარებელს, თანამოზიარეს. დარ-ჩება თუ არა ლოგოსი შენში, „ექმნები თუ არა მასპინძელ“ მას, სწორედ ამაზე უპასუხებს ეს საფეხური „საგრძნობელი-დან“ „მიმღებლამდე“, ანუ როცა მოისმენ ან შეისმენ და „გაუ-მასპინძლდები“, ან განაგდებ. ამის შემდეგ სიტყვა გადაეცემა „განმკითხველს“, ანუ მსაჯულს. იქნებ ეს „მსაჯული“ გონებაა, რომელმაც უნდა აწონ-დაწონოს, სრულყოს შესამეცნებელი! ამის შემდეგ „განმკითხველი“ გადასცემს „დამმარხველს“ – ე. ი. დამცველს, შემნახველს, ვინც ან რაც „სავანეს განუმზადებს“ და, საბოლოოდ, დამკვიდრდება სიტყვა-ლოგოსი იქ, სადაც ეს-წრაფვოდა „განსვენებას“. ჩვენი აზრით, „ნმ. იოანე ზედაზნე-ლის ცხოვრების“ დასახუისის ეს სქემა, რომელშიც საუბარია სიტყვის დაბადების, მსმენელსა თუ მკითხველზე ამ მადლის გადმოსვლის გზებზე, თუ არ ემთხვევა, ეხმიანება იოანე სა-ბანისძის „ნმ. აბოს წამების“ | თავში მოცემულ მსჯელობას და იმეორებს ამ სქემას.

ნმ. აბოს წამება	ნმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრება
საცნობელნი ეგე ყურნი გულისა და გონებისა	საგრძნობელნი
განმარტენით სმენად და მასპინძელ ექმენით სიტყუათა ამათ	მიმღებელი
შეიწყნარეთ კარავსა გუამისა თქუენისასა	განმკითხველი
სავანც განუმზადეთ	დამმარხველი

გარდა ამისა, ცოტა ქვემოთ „წმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ ავტორი პირდაპირ აცხადებს: „ხოლო თქუენ გან-მზადენით სასმენელი თქუენი და სარწმუნოებით შეიწყნა-რეთ“ (ძეგლები 1964: 196), იოანე საპანისე კი ასე მოგვმარ-თავს: „მომიპყრენით საჩინონი ეგე სასმენელი თქუენი და... შეიწყნარეთ“ (იქვე: 49).

ჩვენ შევიძლია შევიცნოთ კაცის სული იმით, თუ რას და როგორ ამბობს. ამიტომ აგიოგრაფიისათვის ძალზე მნიშ-ვნელოვანია სიტყვაზე ფიქრი. ეს გასდევს „წმ. იოანე ზედაზნე-ლის ცხოვრების“ ტექსტს. სიტყვის მსახურება და სიტყვის მადლი მთლიანობაში იმას წარმოგვადგენინებს, რომ „პირვე-ლითგან იყო სიტყუად და სიტყუად იგი იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუად იგი“ (ინ. 1,1). წმ. „იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ დასაწყისი ამგვარად განიხილავს „მიზეზს“, „სი-ტყვასა“ და „სიტყვის გზებს“.

აგიოგრაფიული მწერლობის სპეციფიკიდან გამომდინ-არე, ჩვენს საკვლევ ძეგლშიც თვალსაჩინოდაა წარმოდგენი-ლი ლოცვის სათხოება. ლოცვის ძალა და მადლი წარმართავს მთელ თხზულებას. თავად ფაქტი, წმ. იოანე ზედაზნელისა და მისი მოწაფების („ძლიერზი სიტყვითა და საქმითა“) სა-ქართველოში ჩამობრძანება და მათ მიერ ქართველთა განა-თლება „ჭეშმარიტებისა ნათლითა“, რაც დიოციზიტობის გა-ძლიერებას უნდა გულისხმობდეს და არა მხოლოდ, ზოგადად, ქრისტიანობის ქადაგებას (სირაძე 1992: 33), ამასთანავე და უმ-თავრესი, – სამონასტრო სისტემათა დამკვიდრებას, ლოცვით წარმართულ ცხოვრებას გულისხმობდა. ლოცვით იქმნებოდა და იგებოდა ლოცვისათვის განკუთვნილი ეკლესია-მონასტრე-ბი. აგიოგრაფი ასე მოგვმართავს: „ჯერ-არს, რათა ლოცვა წინაათ წარუძლუანოთ, წელი შემოყავთ ჩემ თანა ვედრებითა!“ (ძეგლები 1964: 193).

და რა ძალა აქვს ლოცვას? – როგორც სახარება-ში ვკითხულობთ „ითხოვდეთ და მოგეცეთ თქუენ“. აგიო-გრაფი ასე მსჯელობს: „იხილეთ-და ნაყოფი იგი ლოცვისად – [წინაას]წარმეტყუელ იქმნა ჭეშმარიტებისა სიყრმითგან (სამო-ელი – სფ. მ.), რამეთუ ითხოვა იგი ანა ცრემლითა და ლოცვი-თა“ (ძეგლები 1964: 193).

ეს პასაუი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ აქ ერთადაა „ცრემლი“ და „ლოცვა“. სათქმელის ამ ასპექტით აქცენტირება და კონცენტრირება კიდევ ერთხელ ხაზგასმით მიუთითებს იმას, თუ რა ძალა აქვს ლოცვას, ცრემლით აღსრულებულს.

აღმოსავლეთის ეკლესის მამათა მოძღვრებაში ცრემლი სულიწმიდის მადლია. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ აგიოგრაფიული თხზულების ძირითად ნაწილში, რომელშიც აღნერილია „დასაბამი ცხოვრებისა წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ზედაძელისა“ საგანგებოდაა ხაზგასმული: „და იქ-ცეოდა ყოვლითა სიმდაბლითა (წმ. იოანე – სფ. მ.), მარხვითა და მღვიძარებითა, ცრემლითა და ვედრებითა“ (ძეგლები 1964: 197). ეს უკვე წმინდანის მდგომარეობაა, მისი მაღალი სული-ერობის განმსაზღვრელი ნიშანია.

მსგავსი ვითარება გვაქვს, როცა აგიოგრაფი წმ. ნინოს შეს-ახებ გვაუწყებს, რომ “დედა ჩუენი ნინო დაადგრა ლოცვასა ცრემლითა“ (ძეგლები 1964: 199). ცოტა ქვემოთ თხზულების ავტორი გადმოგვცემს, რომ წმ. იოანე ზედაზნელი „ევედრებო-და... ღმერთსა და ალიხილნა თუალნი და ალიპყრნა წელნი და დასთხივნა პატიოსანნი იგი ცრემლნი წინაშე ცხოველსა მის სუეტისა“ (იქვე: 200)“ ან „მისგან მიქმან ცრემლი“ (იქვე: 206).

რასაკვირველია, ცრემლი სინანულისა ნეტარებაა ღვთის გზაზე მდგომი მორნმუნისათვის, რადგან „Начало плача - познание самого себя. Да будет же плач наш не по человеку, не по Богу, Который знает сокровенность сердца, чтобы от него получить нам ублажение“ (ქრისტიანული.. 1930: 140).

ცრემლით ლოცვა ერთობ დამახასიათებელი მდგომარეობაა ქართული აგიოგრაფიისათვის. ასეთი ლოცვის ძალა და მადლი განსაკუთრებულად ჩანს „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ (მეტრეველი 2002). საერთოდ, ეკლესიურ ადამიანს ღრმად სჯერა ის, რაც ასეა ფორმულირებული „წმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ ტექსტში: „ყოველთა კეთილთა განმასურნელებელ ლოცვა არს“ (ძეგლები 1964: 193). ამ კონტექსტში უაღრესად მნიშვნელოვანია სიტყვა „განმასურნელებელ“, რაც სურნელების მომფენს ნიშნავს (სარჯველაძე 2001: 37). უნდა აღინიშნოს, რომ ლოცვის ასეთ კონტექსტში წარმოდგენა არც თუ ხშირია. აგიოგრაფის ნათქვამი: ლოცვა-სურნელების

მომფენი, აზროვნების იმ ფორმის გამომხატველია, რომელსაც, შესაძლოა, სახისმეტყველებითი ღვთისმეტყველება ვუწოდოთ.

ყოველგვარი სიცოცხლის ნიშანი არის სუნთქვა. თავისებური სუნთქვა არსებობს სულიერ სამყაროშიც. წმიდა მამების გამოცდილება გვასწავლის, რომ სულის სუნთქვაა ლოცვა (რაფაელი 1997: 38), ოლონდ, „წმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ ავტორის მიხედვით, ეს ლოცვა „ყოველთა კეთილთა განმასურნელებელია“. აგიოგრაფის მიერ წარმოდგენილი მხატვრული სახე, სურნელების მომფენი ლოცვა, თავისი დატვირთვითა და ღრმა სიმბოლიკით ქრისტიანული ღვთისმეტყველების სფეროში თავსდება. ლოცვა – ღმერთთან საუბარი, საკუთარი თავის აღმოჩენისა და შეცნობის საშუალება, ადამიანის შთავონების გაცხადება, უზენაესთან შეერთების საშუალება „წარგიმართებს ყოველთა გზათა შენთა. ლოცვა აღავსებს სავაჭროსა შენსა საუნჯეთა, ლოცვანი გიხსნიან ყოვლისა ფათერაკისაგან, ლოცვა განგარიდებს უჟამოდ სიკვდილისაგან, ლოცვა დაგიფარავს ცოდვისაგან... ლოცვა დაგამეგობრებთ ანგელოზთა, ლოცვა გიჩვენებთ პირსა ლმრთისასა და დაგამკიდრებს შენ საუკუნოდ“ (ორბელიანი 1963: 29). როცა ადამიანური არსებობა ლოცვით გაჯერებული იქნება, მაშინ გახდება საცნური მისი სურნელი, მაშინ მოგეფინება ის ზეციური მადლი, რომელსაც ლოცვის სურნელით შეიგრძნობ. მხატვრულ-ესთეტიკური აზროვნების ის თავისებურება, რომელიც ასეთი მხატვრული სახით დაფიქსირდა აგიოგრაფიულ ძეგლში კიდევ ერთი მანიშნებელია იმისა, თუ როგორი იყო სახისმეტყველებითი კატეგორიები შეუსაუკუნეებში და რა სპეციფიკა ჰქონდა ქართველი კაცის შეგნებაში, მის სულსა და გონში დავანებულ სახისმეტყველებითს ღვთისმეტყველებას. ლოცვა-სურნელების მომფენი, – სულიერობის იმ სფეროს სწვდება, სადაც მართალთა ნეტარება და სიხარულია, სადაც ცათა სასუფეველია და საითვენაც მიისწრაფიან მართლმორნმუნენი. ღვთაების სამყოფელის, სამოთხის, ედემის ბალის სურნელების მომფენი ლოცვა ის რეალური ძალაა, ისეთი მადლია, რომელიც ურნმუნოს მორნმუნეს გახდის და მორნმუნეს კი განამორებს ყოველივე ამაოსა და წარმავალს. ლოცვა ზეცისკენ აღმავალი და განმწმედელი ძალაა, როგორც „წმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ ავტორი

ამბობს: „ლოცვად მისი (წმ. ოთანესი – სფ. მ.) აღვიდოდა ცად, აერთა განსწმედდა“ (ძეგლები 1964: 208).

ცოტა ქვემოთ აგიოგრაფი ევანგელიურ სწავლებას, რომ ბოროტი განიდევნება ლოცვითა და მარხვითა, სახისმეტყველებითს კონტექსტში წარმოგვიდგენს და ლოცვას გონიერების დედას უწოდებს: წმ. ოთანე „ლოცვასა და მარხვასა, ვითარცა დედასა გონიერებისასა, შეევედრა“ (ძეგლები 1964: 202).

უაღრესად საინტერესოდ გვეჩვენება აგიოგრაფის მსჯელობა: „ყოველმან, რომელმან ჭელ-ყოს საღმრთოსა მსახურებასა, ითხოვოს მისგან, რომელი-იგი უხუად მიმნიჭებელ არს ღმერთი“ (ძეგლები 1964: 198).

ქართული აგიოგრაფია მდიდარია ღვთის სახელებით, რომლებიც, რასაკვირველია, ეფუძნება და ეყრდნობა ღვთის-მეტყველებას, ყოველთვის მკაცრად ზის დოგმატიკა-კანონიკის ჩარჩოში. ერთობ ორიგინალურად მოიხმობს „წმ. ოთანე ზედაზნელის ცხოვრების“ ავტორი ღვთის სახელად, ერთ-ერთ განმსაზღვრელად „უხვად მომნიჭებელს“. ღმერთი – უხუად მიმნიჭებელია სიკეთისა, მოწყალებისა... მან „კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“, ღმერთი, როგორც სული-წმიდის ლოცვაში ვკითხულობთ, არის „საუნჯე კეთილთა“ და „მომნიჭებელი ცხოვრებისა“, ყოველივეს „მადლით აღმავსებელი“ (ლოცვანი 1997: 26). „უხვად მიმნიჭებელი ღმერთი“, აგიოგრაფის თქმით, „მისცემს საზრდელსა“. დაისმის ორი შეკითხვა. ვის აძლევს სოფლის შემოქმედი საზრდელს და რა იგულისხმება ამ საზრდელში?

„ყოველმან, რომელმან ჭელ-ყოს საღმრთოსა მსახურებასა“ – ასეთია პასუხი პირველ შეკითხვაზე. ე. ი. ვინც დაიწყოს საღვთო მსახურება, ანუ ვინც ღვთის მოშურნეობას გამოიჩენს და უზენაესის „სამსახურში“ ჩადგება. საღვთო მსახურება საეკლესიო წეს-განგებაა და, უპირველესად, ტაძარში აღსრულებულ წირვა - ლოცვას გულისხმობს. საღვთო ლიტურგიის აღმასრულებელი მღვდელია. კონტექსტიდან გამომდინარე, ცხადია, რომ უხვად მომნიჭებელმა ღმერთმა საზრდელი სასულიერო პირს უნდა მისცეს. თუ რას გულისხმობს ამ საზრდელში აგიოგრაფი იაკობ მოციქულის ეპისტოლის ციტაციით ირკვევა: „ვითარცა იტყვის იაკობ მოციქული: „უკუეთუ ვინმე ნაკ-

ლულევან არს თქუენგანი სიბრძნითა, ითხოვენ და მოსცეს მას ღმერთმან ნიჭთა განმყოფელმან“ (ძეგლები 1964: 193). იაკობ მოციქულის კათოლიკე ეპისტოლე ამ მუხლს ასე გადმოგვცემს: „ხოლო უკუეთუ ვინმე თქუენგანი ნაკლულევან არს სულლიერითა სიბრძნითა, ითხოვენ ღმრთისაგან, რომელმან იგი მოსცის ყოველთა უხვად და არა ვის აყუედრის და მოსცეს მას“ (იაკ. 1, 5).

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „უხვად მომნიჭებელი ღმერთი“ იაკობ მოციქულის ეპისტოლის გავლენითაა აგიოგრაფის შემეცნებაში შესული; ღმერთი საზრდელს უხვად მიანიჭებს სასულლიერო პირებს, მათ, ვინც საღვთო მსახურებას აღასრულებს. საზრდელი, უპირველესად, არის სიბრძნე, ანუ ნიჭი კეთილისა და ბოროტის გარჩევისა და სიკეთის მსახურებისა.

„წმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრება“ უაღრესად საინტერესო მასალას გვანვდის ლვთის სახელდებათა შესახებ. ქართულ აგიოგრაფიულ მწერლობაში იგი ამ მხრივაც გამორჩეულია, რადგან საკმაოდ უხვად წარმოგვიდგენს საღვთო სახელებს:

1. უხვად მომნიჭებელი ღმერთი (გვ. 193,ა);
2. საზრდელის მომცემელი ღმერთი (გვ. 193,ა);
3. მომავლინებელი (იგი თავსა თვესა გამოუცხადებდა) (გვ. 194,ა);
4. ღმერთი აბრამისი, ღმერთი ისაკისი, ღმერთი იაკობისი (გვ. 194,ა);
5. დაუსაბამო (არს იგი არს, რომლისა დასაბამ არა არს) (გვ. 194,ა);
6. ღმერთი მამათად (რომელ იგი არს ღმერთი მამათად) (გვ. 194,ა);
7. ჭეშმარიტი ღმერთი (გვ. 194,ა);
8. ნათელი (გვ. 194,ა);
9. ერთი უხილავი და უცვალებელი (გვ. 194,ა);
10. არა დასაბამიერი, არცა გასრულებადი (გვ. 194,ა);
11. განუზომელი (გვ. 194,ა);
12. მარადის კურთხეული (გვ. 194,ა);
13. ნათელი სამებისად (გვ. 194,ა);
14. (შეკრებულად) შეურწყმელი და განუყოფელი (გვ. 194,ა);

15. უხილავი (გვ. 194,ა);
16. უუამო (გვ. 194,ა);
17. დაუტევნელი (გვ. 194,ა);
18. უცვალებელი (თვისებისა, თვისების რაოდენობისა ხატებისა) (გვ. 194,ა);
19. შეუპყრობელ და შეუნაწევრებელი (გვ. 194,ა);
20. ძლიერი (თავით თვისით) (გვ. 194,ა);
21. ძე-მხოლოდ ცხოველი და განმაცხოველებელი, მომცემელი ცხოვრებისა (გვ. 194,ა);
22. მარადის კურთხეული და ბრწყინვალე (გვ. 194,ა);
23. სული წმიდა – მთავრობისა უფალი, წარმავლინებელი, განმკუთვნელი, ტაძრად თქსად მოქმედი (გვ. 194,ა);
24. სიტყვა დაუსაბამო – სიტყუად ღმრთისა (გვ. 195,ა);
25. ხუროთმოძღუარ და შემოქმედ (ღმერთი არს) (გვ. 202,ა);
26. საკურველთ-მოქმედი (ღმერთი) (გვ. 2113,ა).

აქ წარმოდგენილი ღვთისმეტყველებითი გააზრება პირველარსისა საღვთო სახელების კვალობაზე მოცემულია კატაფათიკურ-აპოფატიკური მეთოდით. უკუთქმითი თეოლოგიის ნიმუშები, როცა ღვთაება გამოხატულია მხოლოდ უარყოფითი ნიშნებით, შემდეგია: „არს იგი უხილავი, უუამო, დაუტევნელი, უცვალებელი, – უცვალებელ თვისებისა, თვისებისა, ხატებისა, – შეუპყრობელ და შეუნაწევრებელ“ (ძეგლები 1964: 194).

თურმა ვხვდებით ღვთაების, ანუ პირველარსის, გააზრების „ნიმუშებს“ დადებითი ნიშნებით. უკუთქმითის გარდა ყველა ამ სახეობას განეკუთვნება ზემოთ წარმოდგენილ სქემაში. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ეფუძნება და ეყრდნობა არეოპაგიტულ კორპუსს. „საღვთოთა სახელთათვის“, ფაქტობრივად, ის ფუნდამენტია, რომელზე დაყრდნობით შემოქმედისა და შექმნილის შესახებ ფილოსოფიურ გააზრებას მოსდევს ღვთაების სახისმეტყველებითი წარმოდგენა, რომელსაც მოჰყვება ღვთისმეტყველება (შდრ.: სირაძე 1992: 41).

„ნმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში“ გვხვდება ტერმინი „სამება“: „ხოლო რომელთა სამებისა ერთსწორობა ვერ გულისწმა-ყვეს“. გარდა ამისა, ვხვდებით წმ. სამების ჰიპოსტა-

სებს: მამა, ძე და სულინმიდა (ძეგლები 1964: 194). აგიოგრაფი მკაცრად საუბრობს არიოზის ცრუ მოძღვრების შესახებ: „ჰრცხუენოდენ არიოზს, რომელმან დაბადებულად იკადრა თქუმად სიტყუად იგი ღმრთისა“. ასეა განქიქებული არიანული სწავლება.

როგორც ცნობილია, ქალაქ ნიკეაში რომის იმპერატორის კონსტანტინე । დიდის საგანგებო ბრძანებით მოწვეულ პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ალექსანდრიელი მღვდლის – არიოზის მწვალებლური აზრი უარყვეს იქსო ქრისტეს არაღვთაებრიობის შესახებ. არიოზი დაუინებით იცავდა თავის ცრუ მოძღვრებას და ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ იყო დრო, როცა ძე ღვთისა არ იმყოფებოდა ე. ი. „არ იყო შობილი უნინარეს ყოვლისა საუკუნეთა“ და იგი არის ქმნილებაო (საეკლესიო კრებები 1978: 175). ქართველი აგიოგრაფი მკაცრად იცავს დოგმატიკა-კანონიკას და აცხადებს: „რცხუენოდენ არიოზს, რომელმან დაბადებულად იკადრა თქუმად სიტყუად იგი ღმრთისა ... ხედვიდა მას კაცად და ბუნებად ღმრთებისად დაუსაბამო ვერა ცნა“ (ძეგლები 1964: 195).

„წმიდა იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ ამ ე. წ. თეორიულ წინასიტყვაში – რ. სირაძის სახელდებით (სირაძე 1992: 36) – არიანულ მოძღვრებასთან ერთად, დაგმობილია მაკედონისა და მის თანამოაზრეთა მწვალებლური სწავლება, რომლებიც უარყოფდნენ სულინმიდის ღვთაებობას (საეკლესიო კრებები 1978: 177). რა თქმა უნდა, ეს მძიმე ცოდვაა, მაშინ, როცა სახარება მკაცრად გვაფრთხილებს: „ყოველი ცოდვანი მიეტევნენ კაცთა, ხოლო სულისა წმიდისა გმობად არა მიეტეოს“ (მათე, 12,31). ამის გათვალისწინებით ქართველი აგიოგრაფი თავის გულისწყრომასა და აღშფოთებას ასეთი ინტონაციით გამოხატავს: „კადნიერი იგი (მაკედონი – სფ. მ.), თავსედი, რომელსა თავი თვისი რაზმე ეგონა ყოფად“ (თამამი და თავხედი მაკედონი, რომელსაც თავისი თავი რაღაც ეგონა), – ასეთია აგიოგრაფის შეფასება, მისი გულწრფელი, უშუალო და ბუნებრივი დამოკიდებულება ერეტიკოსი მაკედონისადმი!

აგიოგრაფიული თხზულების ეს ე. წ. თეორიული ნაწილი სრულდება სიტყვაზე ფიქრით, ანუ იმით, რითაც დაიწყო „ცხოვრება“. საინტერესოა ისიც, რომ ტრიადიოლოგის კონ-

ტექსტში განიხილება სიტყვა – ლოგოსის რაობა. სულინმიდის გადმოსვლა მოციქულებზე არის პირველარსი და ამის კვალობაზე აგიოგრაფი განმარტავს, რომ ასურელ მამებზეც გარდამოვიდა სულინმიდა: „მოვედინ ჩუენ ზედა და მოეცინ პოვნად მადლი სიტყვად ერსა ჩუენსა“. ეს ფრაზა სრულიად გამორჩეულია მთელ თხზულებაში, რადგან აქ კარგად იკვეთება ჩვენთვის ასე მნიშვნელოვანი – სიტყვის ლოგოსური ბუნება. ენას უნდა ჰქონდეს სიტყვის მადლი! – ასეთია აგიოგრაფის დასკვნა. „მადლი სიტყვისაა“ არის ის ძალა, რომელიც ნაკლულევანთ აღავსებს და სნეულთ განკურნავს. მადლი სიტყვისა რომ შეიგრძნო, უნდა მოემზადო, რათა სიტყვა მოვიდეს და დაემკვიდროს შენში, რათა სიტყვამ იპოვოს თავისი ადგილი და გაგიცხადოს ჭეშმარიტება. ეს სულიერ-ინტელექტუალური შემეცნების გზაა და ადამიანს სათნობათა კიბეზე აამაღლებს, უმაღლეს უნივერსალიებს აზიარებს.

სახისმეტყველებითი პრინციპების კვალობაზე საინტერესოა ისც, რომ „წმ. ოოანე ზედაზნელის ცხოვრების“ დასაწყისში წარმოდგენილი მსჯელობა სიტყვაზე, ძირითადად, გამიზნულია სალიტერატურო სიტყვის მიმართ, რომელიც რთულ შემოქმედებითს გზას გაივლის: „არა თუ ადვილად საურავსა რასმე ვეძიებთ, არამედ სიღრმეთაგან ზღვსათა პატიოსანთა მარგალიტთა, შრომით მოსაგებელთა, გუნებავს ცხადად გამოჩინებად, რომელი განმზადებული არიან განყოფად სიმდიდრესა, უხრწნელსა საფასესა საღმრთოთა ნიჭთასა, ნათესავისა მიმართ ჩუენისა სიტყვთა მადლისათა“ (ძეგლები 1964: 192).

ამ კონტექსტშიც გაიელვებს სიტყვის მადლი, როგორც განმსაზღვრელი შემოქმედებისა, როგორც საზრისი არსებობისა. სიტყვის მსახურება ნიჭია „გამოცხადებითა მაღლისათა“ (იქვე: 192). ასე გასდევს სიტყვაზე ფიქრი „წმ. ოოანე ზედაზნელის ცხოვრებას“.

„წმ. ოოანე ზედაზნელის ცხოვრების“ მეორე ნაწილი – „დასაბამი ცხორებისად წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაზნელისად“ ორგანული გაგრძელებაა იმისა, რომ სულინმიდისაგან მინიჭებული ლოგოსური სიტყვა სხვებს უნდა გადაეცეს. ეს არის მოციქულებრივი მისია, რომლის აღსრულება საქართველოში ჯერ კიდევ | საუკუნეში წმ. ანდრია პირველნოდებ-

ულმა დაიწყო და IV ს-ში წმიდა მოციქულთა სწორმა ნინომ განასრულა. წმიდა იოანე ზედაზნელის ღვაწლი წარმოგვიდგება, როგორც გაგრძელება წმ. ნინოს მოციქულებრივი მისიისა.

წმ. ნინოსა და სვეტიცხოველთან კავშირები საკმაოდ ლრმადაა შესწავლილი (სირაძე 1992: 4-25; კუჭუხიძე 2005: 49-54) და ამ მხრივ ჩვენ ახალს ვერაფერს ვიტყვით, მხოლოდ შევნიშნავთ, რომ წმ. იოანე ზედაზნელი გამორჩეულია ქართულ კულტურულ-რელიგიურ სივრცეში, როგორც პირველ-სახე განდევგილობისა. სწორედ ამისი აქცენტირებით იწყება „ცხოვრების“ ძირითადი ნაწილი, საკუთრივ წმ. იოანეს ღვაწლის აღნიშვნა, თანაც ისე, რომ დარღვეულია თავგადასავლის თხრობის ბიოგრაფიულობა. რატომ მოინია წმ. იოანე „ქუეყანასა ქართლისასა?“ პასუხი ერთია: „ნინამძღვრებითა სულისა წმიდი-სახთა“. ცოტა ქვემოთ ეს თემა ასე განივრცობა: „განმგებელმან მისმან, სულმან წმიდამან, ნამს-უყვნა მას ქუეყანად ჩრდილოდ, რათა მიუძღვეს ქუეყანად ქართლად“ (ძეგლები 1964: 198). თხზულების ავტორი ასე ათემევინებს თავად ნეტარ იოანეს, რომელიც თავის მონაფეებს მიმართავს: „არა უწყითა, რამეთუ სარგებელისათვის ამის ქუეყანისა წარმოგუავლინა უფალმან ღმერთმან ჩუენმან იესუ ქრისტემან“ (იქვე: 202). ეს არის მისი მოღვაწეობის ერთგვარი ლეგიტიმაცია და ამაშივე იკითხება მოციქულებრივი მისიის აღსრულების გარდაუვალობა.

ახალგაზრდობიდანვე მძიმე უღელი იტვირთა წმ. იოანემ: „დაჯდა თესაგან და დაყუდნა, რამეთუ არს სასოებაა თმენი-საა“ (ძეგლები 1964: 196-197). აგიოგრაფის ეს განმარტება საყურადღებოა თუნდაც იმიტომ, რომ უმთავრესი ქრისტიანული სათონება, – მოთმინება ცხოვრების, არსებობის იმედადაა გამოცხადებული. არა თუ მონაზვნის, არამედ ყოველი მოკვდავის უპირველესი საზრუნავია, დაუახლოვდეს, მიემსგავსოს უზენაესს, როგორც შეგვაგონებს წმიდა სახარება: „იყუენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაა თქუენი ზეცათაა სრულ არს“ (მ. 5, 42). წმ. იოანე ზედაზნელი „სრულებასა რომ მიემთხვს“, აგიოგრაფის სიტყვით, „იქცეოდა ყოვლითა სიმდაბლითა, მარხვითა და მღვდარებითა, ცრემლითა და ვედრებითა. შრომითა და მოთმენითა დღითი-დღე წარმატებოდა“ (ძეგლები 1964: 197). სრულყოფილებისაკენ სწრაფვა პიროვნების თავისუფა-

ლი ნების უმაღლესი მიზანია. ეს არის თავისუფლებაც. სრულყოფილი რომ გახდე, თავისუფალი უნდა იყო! ამიტომ, წმ. იოანე ზედაზნელი, ერთდროულად, თავისუფლებისა და სრულყოფილების ნიმუშია. ამ როზულსა და სულიერი ბრძოლებით ასაკებელი გზაზე იგი სათონებებს აგროვებდა და მისი ღმერთთან მახლება დიდი ღვაწლის შედეგი იყო. „სრულებას“ მან მიაღწია:

სიმდაბლით;
მარხვით;
მღვიძარებით;
ცრემლით;
ვედრებით;
შრომით;
მოთმინებით.

ეს ჩამონათვალი იწყება სიმდაბლით და მთავრდება მოთმინებით. ასეა იდეალიზებული ის უმთავრესი სულიერი იარალი, ურომლისოდაც ცათა სასუფეველი არ მოიპოვება. თხზულების ავტორის აზრით, წმ. იოანეს რჩეულობა, მისი „ვითარცა ვარ-სკულავის“ გამოპრწყინება და სენთა კურნების თუ ეშმაკთა „განსამის“ სასწაულმოქმედებითი ძალა მას ღვთისაგან მიენიჭა სწორედ გასაოცარი სიმდაბლის გამო, „რამეთუ ჩუეულებად ესე არს ღმრთისად: „ყოველი, რომელი დაიმდაბლებს თავსა თვესა, იგი ამაღლდების“. ეს სახარებისეული შეგონება აგვირგვინებს სიმდაბლის სათონების უნივერსალიზმს.

ქართული ესთეტიკური აზროვნების განვითარების ისტორიისათვის, ჩვენი აზრით, უაღრესად საინტერესო ერთი ასეთი პასაუი გვხვდება ნანარმოებში: „შუენიერთა მოძღურისა მონაფეთა კეთილი იგი შეთქმულება“ (ძეგლები 1964: 199). ეს ფრაზა მნიშვნელოვანია თავისი ინტონაციით, განწყობითა და სახისმეტყველებითი ფუნქციით, როცა მოვლენა იქცევა ემოციურ სინამდვილედ! ამავე ფრაზას მოსდევს მუსიკალობით, ევფონიური ჟღერადობით დატვირთული სტრიქონი: „საკრველ-სა მას სიყუარულისასა შეკრნეს“ (იქვე: 199).

ჩვენი აზრით, თხზულებაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს წმ. იოანე ზედაზნელის ე. წ. „სწავლანის“ იმ ადგილს, რომელშიც საუბარია პიროვნულ მაგალითზე. რო-

გორც წმ. იაკობ მოციქული ბრძანებს, სარწმუნოება საქმის გარეშე მკვდარია (2, 26). რასაც სხვას მოუწოდებ, რასაც ქადა-გებ ის შენი ცხოვრების წესი უნდა იყოს: „თავნიცა თქუენნი სახედ მისცნეთ“. ასეთი დამოკიდებულება ზნეობრივი ღვთის-მეტყველების სფეროში თავსდება. ამიტომ მიგვაჩნია ყურად-სალებად თხზულების ეს მონაკვეთი: „ჯერ-არს თქუენდა, რამ-თა წარხვდეთ კაცად-კაცადი და განამტკიცებდეთ ძმათა... არა სიტყვთა, მოძლურებითა თქუენითა, არამედ... რათა იხილნენ საქმის თქუენნი კეთილნი და ადიდებდნენ მამასა თქუენსა ზეცათასა“ (ძეგლები 1964: 202-203).

„წმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ ეს ნაწილი, პირობითად სწავლანი, ტექსტის სტრუქტურისა და ისტორიის შესწავლის გათვალისწინებით, ათცამეტი ასურელი მამის სამოლვანეო პროგრამაა. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართველ ბერ-მონაზვნებს უნდა ჰქონოდათ მათი სულიერი წინამძლოლისგან ეგზიგეტიკური სწავლანი. არც ის უნდა დავივინყოთ, რომ „წმ. დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ არის პირდაპირი მითითება წმ. იოანე ზედაზნელის „სწავლათა“ არსებობაზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ წმ. იოანემ თავის მონაფეებს „ნაცვლად სძისა და ყრმეებრივთა საზრდელთავსა მტკიცე და ძლიერი საზრდელი წინარუყო, ესე იგი არს სალმრთონი სწავლანი და მოძლურებანი“ (აბულაძე 1955: 148).

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ, თუ ათცამეტი ასურელი მამის ძირითადი მიზანი ანტიმონფიზიტური მოღვაწეობა იყო და ანტიმონფიზიტობა ანტიმაზდეანურ პოლემიკასაც გულისხმობდა, მაშინ მათ შესატყვისი „პროგრამაც“ ექნებოდათ. დიოფიზიტური დოქტრინის დაცვა, დიოფიზიტური მსოფლედვა გამოსჭვივის ამ „სწავლანიდან“, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც. (ასურელი მამების დიოფიზიტური დოქტრინის დაცვას ამტკიცებდნენ გრ. ფერაძე, ი. ჯავახიშვილი, ზ. ალექსიძე, რ. სირაძე, თ. უორდანია, ვ. გოილაძე, ა. ჯაფარიძე, დ. მერკვილაძე; საპირისპირო თვალსაზრისი ჰქონდათ აკად. კ. კეკელიძეს, ს. კაკაბაძეს, ლ. მენაბდეს, ლ. მელიქსეთ-ბეგის).

წმ. იოანე ზედაზნელის დამოძლვრა, ე. წ. „სწავლანი“ შემდეგ საკითხებს ეხება: ქადაგება იწყება ახალი აღთქმის უმ-

თავრესი მცნებით: „ნურა გიყუარნ, ძმანო, უფროთ ღმრთისა“. ეს არის ამოსავალი, საყრდენი ამ მოძღვრებისა. ამის შემდეგ ჩამონათვალი ასეთ სახეს იღებს:

ვერცხლისმოყვარეობა და სიმდიდრე;

შვება და უძლურება (რომ არ იშვას ურჩობა);

მემთვრალეობა (ნუ დაითრობით ღვინითა) – რომ არ აღიძრეს ბოროტი გულისთქმები.

„სწავლანის“ ავტორისთვის მნიშვნელოვანია ის, რომ დავიცვათ „სჯული იგი მარხვისაა“ (ძეგლები 1964: 203). საჭმლისაგან იშვა ურჩობა ადამისი და დაირღვა მარხვა. ჩვენი აზრით, მთელ ამ კონტექსტში უმთავრესია, გავიაზროთ „მარხვის რჯული“, როგორც სინმინდის, უბინობისა და რწმენის გარანტი. თავისთავად, ასე დანახული და შეფასებული წმიდა მარხვა კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ ქართველთა დამოკიდებულება სარწმუნოების მიმართ ყოველთვის იყო ღრმადექრისტიანული და სულინმიდის მადლით კურთხეული.

„სწავლანის“ შემდეგი, საკმაოდ ვრცელი ნაწილი ეთმობა მსჯელობას ადამიანის ორგვარი ბნულებისა და ორგვარი ნების შესახებ, განმარტებულია ორგვარი ბუნება: სულიერი და ხორციელი, აქვეა მოცემული ადამიანის სულიერი ამაღლების გზები.

„სწავლანში“, მრავალ სხვა საკითხთან ერთად, ჩვენთვის ერთობ მნიშვნელოვანია რამდენიმე ნიმუში მხატვრულ-ესთეტიკური აზროვნებისა:

„ეკლოვანი ესე ქუეყანა“ (ძეგლები 1964: 203);

და

„ვიცი, რაძასათვს ვარ“ (იქვე: 206).

ვერცხლისმოყვარეობის, სიმდიდრისა და უძლურების გმობას ტექსტში მოსდევს მსჯელობა იმის შესახებ, რომ დავიცვათ „სჯული მარხვისა“, რომ ჩვენგან განრიდებული იყოს „ეკლოვანი ესე ქუეყანა“.

წუთისოფლის წარმავლობისა და ამაოების შესახებ საკმაოდ ბევრი თქმულა და დაწერილა ქრისტიანულ ლიტერატურაში. ადამიანის ცოდვით დაცემის შემდეგ იწყება მისი ცხოვრების ეკლიანი გზა დაკარგული ედემის მოსაპოვებლად, მამისეულ წიაღმი დასაბრუნებლად. გრძელი და დამღლელი აღმოჩნდა ეს

გზა. იმატა ცოდვამ, მოგვაკლდა მადლი და ნათელი ქრისტესი. მართალია, ცხოვრება მოსამზადებლად მოგვეცა, ოღონდ მზა-დება-გადამზადებაში ჭეშმარიტი გზიდან არ უნდა გადავუხ-ვიოთ, სიკეთე უნდა მივაგოთ ყველას, ვინც ცხოვრების გზაზე შეგხვდება. თუ გვინდა გავიმარჯვოთ, მოთმინება უნდა ვისწავ-ლოთ. ერთი სიტყვით, უნდა ვიცხოვროთ ისე, რომ ვცხონდეთ! ადამიანს ბევრი რამ აბრკოლებს, ბევრი საცდური ეძლევა, განსაცდელი ცდუნებად ექცა და ქვეყანა გახდა ეკლოვანი, მხოლოდ იმათვის, ვინც ამ „ეკლებს“ ხედავს და გრძნობს, თორემ უმეცართათვის ბოროტება ვერდასათმობ ვნებად დარ-ჩა. ეს ქვეყანა ხომ ღვთის მიერ კეთილად შეიქმნა. ჩვენ უნდა განვერიდოთ და მოვიძულოთ არა სოფელი, არამედ ამაოება-ნი ამა სოფლისანი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყნის ეკლები წუთისოფლის ამაოებანია, რომლებიც თომა კემფელის (XV ს.) მიხედვით შემდეგია: „ამაო არის ძიება წარმავალისა სიმდიდ-რისა და სასოების დამყარება მასზედ. ამაო არს კვალად ძიება პატივისა და მაღლის ხარისხისა. ამაო არს შედგომა ხორციელ-თა წალილთა და ნდომა იმისთანა რისამე, რომლისათვისაც შემდგომში ფიცხლად უნდა დავისაჯნოთ. ამაო არს, რომ კაცი დღეგრძელობას წატრობდეს და სათნო ცხოვრებაზედ კი არ ზრუნავდეს. ამაო არს შეყვარება მსწრაფლ წარმავლისა და არა მისწრაფება იქით, სადაც არს სიხარული საუკუნო“ (კემ-ფელი 1982: 39).

„ვიცი რაღათვს ვარ“ – თვითშემეცნების ფორმულაა, მისი კონტექსტი ასეთია: ადამიანი არ უნდა გახდეს მონა საკუთარი ვნებებისა, არ უნდა დაემორჩილოს „მტერს“, უნდა განეშოროს ყოველივე წარმავალს, რომ მიეახლოს უზენაესს, „რაღათ აღ-ვიდე ღმრთისა ჩემისა საქმეთა“ (ძეგლები 1964: 206). ეს არის ქრისტიანული ანთროპოლოგიის არსებითი საკითხები: „ვიცი, რაღათვს ვარო, განლმრთობა ... დაკრძალვა-განრიდება, – ასეა გააზრებული ცხოვრების მიზანი“ (სირაძე 1992: 59).

„წმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში“ ერთობ მნიშვნელოვა-ნია ეპიზოდი, როცა წმ. იოანე გაკიცხავს ე. წ. „ბნელეთის ძა-ლებს“ და ადგილსაც მიუჩენს მათ: „ადგილი თქუენი ბნელეთი არს, ივლტოდეთ მუნ“. ამის შემდეგ მიმართვის ფორმით ისევ გრძელდება ბრალდებები, საინტერესო და დასაფიქრებელი,

მრავალი ქრისტოლოგიური ნიშნით აღბეჭდილი: „და არა შენ ხარა, რომელმან სამოთხე იგი ფუფუნებისაა მომიღე ჩუენ... და შენისა მანქანებითა სიკუდილისა მივეცენით... თკთ მოძულე ნათელი და შეიყუარე ბნელი. რამეთუ ანგელოზი იყავ და მწყომ იქმენ და დაეცი უკეთურებისა შენისათვს“ (ძეგლები 1964: 210).

მთლიანობაში, ჩვენს ხელთაა უაღრესად მნიშვნელოვანი აგიოგრაფიული ძეგლი თავისი რელიგიურ-დოგმატური, ფილოსოფიური, მხატვრულ-ესთეტიკური სამყაროთი, რომელიც კვლევა-ძიების, ფიქრისა და მაღალი სულიერობისაკენ გვიხმობს. იგი ქართულ აგიოგრაფიაში გამოგვიბრნებინდა „ვითარცა მთიები განთიადისაა“ (ძეგლები 1964: 213).

ქართული ეკლესია წმ. ოიანე ზედაზნელის ხსენებას ახალი სტილით 20 მაისს აღასრულებს და მასზე შექმნილ კონდაქ-ში ასახავს იმ ღვაწლას და დამსახურებას, რომელიც მიუძღვის ქართველი ერის წინაშე, როგორც ქართლის მნათობსა და სულინმიდის მადლის წყაროს, ღვთაებრივი სასწაულებით განმაბრნებულს: „ასურით გამო მნათობად ქართლისად გამოსჩნდი და ათორმეტთა მამათა მამად იჩინე, ხოლო მადლთა სულისა წმიდისათა გვინყაროებ და სასწაულთა სიმრავლითა განგვაბრნებულვებ, მამაო წმიდაო იოანე, მოეც მშვიდობად მეფესა ჩუენსა მორწმუნესა და ერნი, მადიდებელნი შენი, იხსნენ განსაცდელთაგან“ (ჟამნი 1899: 425).

თავი X

„ცხორებაზ და მოქალაქობაზ ღირსისა მამისა ჩუენისა შიომისი და ევაგრაფისი“

აგიოგრაფი გვაუწყებს, რომ „ნეტარი და ღმრთივ განბრძნობილი მამად ჩუენი წმიდად შიო“ სული წმიდის წინამძღვრობით ჩამოვიდა და დაემკვიდრა მცხეთის „დასავლით კერძო“ (ძეგლები 1964: 217) (შდრ. „ნეტარი იოვანე... წინამძღვრებითა სულისა წმიდისათა მოინია ქუეყანასა ქართლისასა“ (იქვე: 196). წმ. იოანემ „დაუტევა ადგილი იგი... წარვიდა განშორებულსა უდაბნოსა და პოვა ქუაბი და დაჯდა მას შინა“ (იქვე: 197), ნეტარმა შიომაც „პოვა მუნ მცირე ქუაბი და დაჯდა მას შინა“ (იქვე: 218).

საინტერესოა ის გარემოება, რომ ნეტარი შიო ღვთის ნებას მინდობილი და დამორჩილებულია, ქრისტეს შედგომილი ისეთი მსახურია, რომელმაც უკვე უარყო თავი თვისი, რათა გახდეს ღირსი უფლისა. სახარებისეული სწავლების გავლენითაა დაწერილი აგიოგრაფის მიერ: [ნეტარი შიო] „დაჯდა მას შინა დაყუდებით სასოებითა ღმრთისა მინდობისათა, წელ-ყო საქმე-სა ამას და სიკუდილად მისცა თავი თვისი მისთვის, რომელმან არა-ოდეს უგულებელს -ყვნის მოსავნი მისნი“ (ძეგლები 1964: 218).

მრავლის მთქმელია წმ. შიოს პირველივე ლოცვა, რომელსაც იგი „ქვაბში“ წარმოთქვამს. მასში კარგად ჩანს ის უმთავრესი სათხოება, რომელიც ბერმონაზვნური ცხოვრების დასაბამადაა მიჩნეული – მოთმინება. ამ ლოცვაში ისიც იკითხება, თუ როგორი სულიერი მდგომარეობით – მხურვალე გულით – შეუდგა ნეტარი შიო თავისი ღვანლის აღსრულებას: ლოცვის მიხედვით, ორ რამეს ითხოვს უფლისგან მეუდაბნოე მამა:

- ა) მომეც მოთმინება;
- ბ) ღირს მყავ კეთილთა შენთა საუკუნეთა.

მისი ვედრება საინტერესოა იმ მხრივაც, რომ იქსო სახელ-დებულია, როგორც სახიერი, წმ. ქალწულისაგან შობილი, გარდა

ამისა, ლოცვის დასასრული ემთხვევა საეკლესიო მსახურების (წირვის) დასასრულს – ჩამოლოცვას. ამასთანავე, ამ ვედრებაში სამი მეოხია მითითებული: ღვთისმშობელი, წმიდა მოციქულნი და წმ. მამა იოვანე. აშკარაა, რომ ამ უკანასკნელში იგულისხმება წმ. იოანე ზედაზნელი:

„ჰო, იესო სახიერო, რომელი მოხუედ ქუეყნად ცხოვრები-სათვს კაცთავადა იშევ წმიდისგან ქალწულისა, რათა აცხოვნე, რომელი მწურვალითა გულითა შეგიდგენ და გმსახურებდენ შენ. ან მომეც მეცა მოთმინება, რათა სათნოდ შენდა აღვას-რულნე მცირებდნი ესე დღენი ცხორებისა ჩემისანი და ღირს მყავ კეთილთა შენთა საუკუნეთა მეოხებითა უხრწნელისა დედოფლი-სა ჩუენისა და დედისა შენისა მარადის ქალწულისა მარიამისითა და მეოხებითა დიდებულთა წმიდათა მოციქულთა შენთავთა და წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანესითა“ (ძეგლები 1964: 218).

ამ ლოცვაში განმარტებულია იესოს განკაცების მიზანი – მოხუედ ქუეყნად ცხოვრებისათვს კაცთავსა... რათა აცხოვნე.

დღესაც, ღვთისმსახურების დასასრულს, როდესაც აღეს-რულება განგება განტევებისა, ჩამოლოცვისას, ასეთი თანა-მიმდევრობაა დაცული: „... ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან, მეოხებითა ყოვლად უხრწნელისა დედოფლისა ჩუენი-სა ღმრთის მშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა ... მეოხებითა წმიდათა დიდებულთა და ყოვლად ქებულთა მოციქულთა“ (კონდაკი 2004: 81). ასე რომ, წმ. შიოს ლოც-ვის დასასრული წასაზრდოებია საეკლესიო ღვთისმსახურების პრაქტიკიდან და მისი ლიტურგიული ცნობიერების გამოვლე-ნის არგუმენტირებული დასტურია.

ზემოთ მოყვანილ ლოცვას ნეტარი მამა, შიო, ცრემლით ამ-ბობდაო, – შენიშნავს აგიოგრაფი, – და დასძენს: „განგრძელე-ბითა ლოცვისათა იატაკსა დაალტობდა, და განპმზადა თავი თვისი იატაკად შუენიერად“ (ძეგლები 1964: 218)⁵. ჩვენი აზრით, ეს პასაჟი მრავალმხრივ არის საყურადღებო. პირველ რიგში, აქ იკვეთება ლოცვის სათნოებისთვის დამახასიათებელი მდგო-მარეობა და ისიც, თუ როგორ სულიერ ძალას ფლობდა წმ. შიო. ცრემლით წარმოთქმული ვრცელი ლოცვებით „იატაკს დაალ-

5 შდრ. „წმ.დავით გარეჯელის ცხოვრება“ (ძეგლები: 1964:235)

ტობდა“. „იატაკს“ ძველ ქართულში ორი მნიშვნელობა ჰქონდა და მინასაც გულისხმობდა (სარჯველაძე 2001: 101). ამ შემთხვევაში „იატაკს დაალტობდა“ გულისხმობს მიწის დასველებას, თუმცა უფრო მნიშვნელოვანია შემდეგი წინადადება: [წეტარმა შიომ] „განპმზადა თავი თვის იატაკად შუენიერად“. წარმოდგენილ კონტექსტშიც „იატაკი“ „მიწის“ მნიშვნელობითაა გამოყენებული. ასეთი მხატვრული სახე ქართულ აგიოგრაფიაში არ შეგვხვედრია. რას შეიძლება ნიშნავდეს „განპმზადა თავი თვის იატაკად შუენიერად“? (მოამზადა თავისი თავი მშვენიერ მინად).

მიწა არის ერთ-ერთი ოთხი სტიქიიდან, მშრალი, გრილი, მძიმე და უძრავი სტიქია (დამასკელი 2000: 356), რომელსაც ღმერთმა საფუძველი, არსება მიანიჭა შესაქმის პირველსავე დღეს: „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანაა“ (დაბ. 1, 1), შემდეგ, როცა ადამიანი ცოდვით დაეცა, სამოთხიდან გამოიდევნა და თან უფლის სიტყვები გამოჰყვა: „მიწა ხარ და მიწადვე მიიქცე“ (დაბ. 3, 19), წუთისოფელი და სიკვდილი გვერდიგვერდ არსებობენ. საკუთარი თავის მიწად გამზადება თვითუარყოფას გულისხმობს, ეს არის ის მდგომარეობა, რომლის შესახებაც ცოტა ადრე გვითხრა აგიოგრაფმა: [წმ. შიომ] „სიკუდილად მისცა თავი თვის მისთვის, რომელმან არაოდეს უგულებელსყნის მოსავნი მისნი“ (ძეგლები 1964: 218). წმ. შიოს ასეთი დამოკიდებულება სახარებისეული სწავლების იმ დებულების აღსრულებად მიგვაჩნია, რომელიც უფალმა ასე განგვისაზღვრა: „რომელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, უვარ-ყავნ თავი თვის“ (მ. 16, 24).

თხზულებაში წეტარი შიოს მიერ წარმოთქმული მეორე ლოცვა არის სამადლობელი იმ წყალობის გამო, რომელიც მას მიანიჭა უზენაესმა. საინტერესოდ გვეჩვენება იმის აღნიშვნა, რაზეც აგიოგრაფი მიგვანიშნებს, როცა იხილა ღმერთმა „გულს-მოდგინედ მოთმინებაა მისი [წეტარი შიოსი – სფ. მ.], მტრედის მიერ ყოველდღიურ საზრდელს უბოძებდა და „მარჯუენით კერძო ქუაბისა მის უბოძა წყალი მცირე“ (ძეგლები 1964: 218).

ყველაზე დიდი საუნჯე, რომელიც შეიძლება ადამიანს გააჩნდეს, არის მოთმინება-თავმდაბლობა. ეს ის სათნოე-

ბაა, რომელსაც ეფუძნება მართლმადიდებელი ქრისტიანობა. არც ისაა შემთხვევითი, რომ წმ. შიო თავის პირველ ლოცვაში ამასვე ითხოვს უფლისგან: „მომეც მეცა მოთმინებაღ“ (ძეგლები 1964: 218). ასე მსჯვალავს თხზულებას ამ სათნოების ძალა და მადლი.

ეგლესიური სწავლებით, ადამიანი ლვთის მადლობელი უნდა იყოს, მადლობით უნდა იღებდეს სიხარულსაც და მწუხა-რებასაც. ამიტომაც იყო, რომ საუკუნეთა მანძილზე მარად-ჟამს გაისმოდა მოციქულის სიტყვები: გმადლობ, შენ, უფალო, ყველაფრისათვის (ეფეს. 5, 20), ამასვე ისმენდა ქრისტიანი საღვთო ლიტურგიაზე კვერექსებსა თუ საგალობლებში: ვმად-ლობდეთ უფალსა; შენ გმადლობ, უფალო (ლოცვები 2000: 45) და მისთ.

ამდენად, სრულიად ბუნებრივია ნეტარი შიოს მიერ წარ-მოთქმული სამადლობელი ლოცვა: „შ, უფალო დიდებისაო, კურთხეულ არს სახელი შენი და დიდ არს წყალობაზ შენი კაც-თა ზედა და ვინად ვარ მე უღირსი ესე წყალობისაზ, გარნა ყოვ-ელსავე ზედა ვჰმადლობ სახიერებასა შენსა“ (ძეგლები 1964: 218). ამ ლოცვაშიც გაისმის წმინდანის გამორჩეული თავმდ-აბლობის მახასიათებელი – „მე უღირსი“.

ადამიანის ცხოვრება არის განუწყვეტელი ბრძოლა ხილ-ულ თუ უხილავ მტრებთან. მამათა სწავლანიდან ცნობილია, რომ გაცილებით რთულია იმ უხილავთან, შინაგან ვნებებთან ჭიდილი და მათზე გამარჯვება. აგიოგრაფი გვაუწყებს, რომ ნეტარმა შიომ, როდესაც მოიპოვა განსაკუთრებული მადლ-მოსილება, როცა ცრემლით ლოცულობდა, როცა „განკმზადა თავი თვისი იატაკად შუენიერად“, როცა მოთმინების ღვანლში იყო და ამის შემდეგ უფლისგან წყალობაც მიიღო, „იხარებდა სულითა და ადიდებდა ღმერთსა და მიერითგან განძლიერდა უხილავთა მტრებთა ზედა“ (ძეგლები 1964: 218). მოყვანილ ფრაგმენტში საინტერესოა რამდენიმე პასაუი:

1. სულიერი მხიარულება (იხარებდა სულითა) – სიხარუ-ლი სიყვარულიდან მომდინარეობს, ლვთის სიყვარული ახალი აღთქმის უმთავრესი მცნებაა. ნეტარი შიო მთელი არსებითაა შეყვარებული უფალზე ისე, რომ „სიკვდილად მისცა თავი თვისი მისთვის“, ხარობს და ადიდებს არსთა გამგებელს.

2. დიდი ღვაწლის შედეგად, დაუცადებელი ლოცვისა და განსაკუთრებული მსახურების გამო, „განძლიერდა უხილავთა მტერთა ზედა“. ეს უკვე ნიშანია იმისა, რომ მან გაიმარჯვა საკუთარ თავთან ბრძოლაში, რაც იმასაც გულისხმობს, თუ როგორი სულიერი სიმტკიცით მიიჩევს ნეტარი მამა სათნოებათა კიბეზე და უახლოვდება ღმერთს.

მადლიერების განსაკუთრებული განცდა, რომლითაც გამოირჩევა ნეტარი შიო, სრულიად ბუნებრივად გამომდინარეობს პროცედურულური მოძღვრებიდან. წმინდანი უფლის ნებასა და ხელს ხედავს ყოველივეში, მასზეა მინდობილი, მისი სიყვარულისთვისაა თავგანწირული. ამდენად, თავის სამადლო-ბელ ლოცვაშიც და ზემოთ მოყვანილ ფრაგმენტშიც „ადიდებდა ღმერთსა“. იგი ცოცხალი ნიმუში და ზნეობრივი მაგალითია დღესაც ცოდვით დაღლილი და გაამპარტავნებული კაცობრიობისათვის. სხვათა შორის, მადლიერების განცდა თავმდაბლობის სათნოებასთან პირდაპირაა დაკავშირებული, რადგან, როგორც წმ. მამა ლირსი ისააკ ასური ამბობს: „ვინც მცირეთი უმადურია, ის დიდითაც უკმაყოფილოა“ (ქრისტიანული... 1930: 191). თავად უფალი შეგვაგონებს: „მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ“ (მ. 25, 21).

როდესაც ვსაუბრობთ წმინდანის გამორჩეულ ცხოვრებაზე, მის სათნოებასა და თავგანწირვაზე, იმთავითვე ვგულისხმობთ იმას, რომ ეს ყველაფერი კეთილადმისახურების, მართლმასახურების შედეგია, ჭეშმარიტების შეცნობა და აღიარება უკვე გამოკვეთს სწორადწარმართებული ცხოვრების კონტურებს. წმ. მეფე და წინასწარმეტყველი დავითი თავის ფსალმუნებში ნეტარებას ჰპირდება სამართლიანობის, ჭეშმარიტების დამცველთა და აღმასრულებელთ: „ნეტარ არიან, რომელთა დაიცვან სამართალი და ყონ სიმართლე ყოველსა ჟამსა“ (ფს. 105, 3).

აგიოგრაფი სიამაყით მოგვითხრობს: „ინება ზეგარდამომან განგებამან, რათა არა იყოს დაფარულ ბრნყინვალე იგი ვარ-სკულავი“ (ძეგლები 1964: 219). წარმავალ წუთისოფელში ადამიანი უნდა ეზიაროს წარუვალს, მარადიულს, უნდა გაუჩნდეს სურვილი ღმერთან მიახლოებისა, სრულყოფისა, არსებობისათვის მას სჭირდება იმედი ღვთისა და მომავლისა, რწმენა

და სიყვარული. ეს რომ მოიპოვოს, სულიერობის ამ საფეხურს რომ მიაღწიოს, უნდა ჰყავდეს ზნეობრივი, პიროვნული მაგალითი, რომელიც დაეხმარება, სულიერ ძალას შემატებს მიზნის მიღწევაში. ამიტომაც უფალი ხილულ სასწაულებს მოგვივლენს, რათა უფრო შევიცნოთ მისი დიდება. ასეთი ხილული სასწაული გამოგვიცხადა მან ნეტარი შიომს სახით.

„ზეგარდამომან განგებამან ინება“ – როდესაც ასე გვეუბნება ავტორი, ამ ფრაზაში იგულისხმება ის, რომ ღმერთი არის „ნება“ – თავისუფლება. მან ინება შესაქმე და არაარსისაგან არსად მოყვანება, რომ მისი ნება განუშორებელია ძლიერებისაგან. ღმერთმა ინება, რომ „არა იყოს დაფარულ“, რომ ნეტარი შიომს საქმენი (მისი სათნოება და სინმინდე), როგორც „ბრწყინვალე იგი ვარსკულავი“ განაცხადოს, გამოაჩინოს კაცთათვის და „ამისთვე გამოაცხადა იგი კაცთა შორის“ – დასძენს აგიოგრაფი. აქ უნებურად სახარებისეული სწავლება გაგახსენებს თავს: „არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს“ (მ. 4, 22).

კაცთათვის სახილველ სასწაულს თავისი დრო აქვს. ასე ფიქრობდა წმ. აბოც, როდესაც აფხაზეთის მთავარს მიუგებდა: „განმიტევე მე, რათა ეუწყოს განცხადებულად ქრისტეანობაზე ჩემი“ (ძეგლები 1964: 61), რადგან სანთელი სასანთლეზე უნდა დაიდგას, რომ გაანათოს ყოველი და მე რისთვის „დავფარო ჭეშმარიტი ესე ნათელი, რომლითა განმანათლა მე ქრისტემან?“ (იქვე: 62) – ამის უამი მოიწია და მაშინ ითქვა ეს სიტყვები, თორემ უფრო ადრე წმ. აბო „ვერ განაცხადებდა თავსა თვესა სრულიად ქრისტეანედ“ (იქვე: 57).

ჩევენს შემთხვევაშიც აგიოგრაფი განმარტავს, რომ „ზეგარდამო მან განგებამან“ მაშინ გამოაპირნინა „ბრწყინვალე იგი ვარსკულავი“, როცა გაიმარჯვა ამსოფლიურზე, წარმავალზე, უხილავ მტრებზე, როცა განსაკუთრებულ მორჩილებაში, ღვანლსა და სათნოებაში ცხოვრობდა: „ვითარ მრავალნი უამნი წარვლნა აღგზნებულსა მას საქმილსა შინა მარტოდ მყოფობისასა“ (ძეგლები 1964: 219). სახისმეტყველების კვალობაზე უაღრესად საინტერესოა ეს ფრაზა. დაყუდებული ცხოვრება, განდეგილობა აგიოგრაფს შედარებული აქვს ანთებულ ბრძმედთან, მხურვალე ქურასთან, ნეტარმა შიომ მრავალი წელი

გაატარა „ალგზნებულსა მას საქმილსა შინა“.

მართლმადიდებლური სწავლებით, განსაცდელი რომ არა, ადამიანი დაივიწყებდა ღმერთს. წმ. ანტონ დიდი ბრძანებს: „თუ არ გამოიცადა, ისე ვერავინ შევა ცათა სასუფეველში“ (ანტონ დიდი 1991: 304) ის დიდი სიწმინდე და ღვანწლმოსილებითი ცხოვრება, რომელსაც მარტოდმყოფობა გულისხმობს, რა თქმა უნდა, მრავალი საცდურის დამარცხებასაც ნიშნავს. ამ ბრძოლებში კი გამოიწროობა და გამოიბრძმედება სული მოღვაწისა. როგორც მოციქული იტყვის: „ნეტარ არს კაცი იგი, რომელმან დაუთმოს განსაცდელსა, რამეთუ გამოცდილ იქმნეს და მოილოს გვირგვინი ცხოვრებისა, რომელ აღუთქუა ღმერთმან მოყუარეთა მისთა“ (იაკ. 1, 12).

ნეტარმა შიომაც გაუძლო მრავალი წელი „ალგზნებულსა მას საქმილსა შინა მარტოდმყოფობას“, გაუძლო მორჩილებით, სიმშვიდით, ღვთის იმედითა და სიყვარულით. მხოლოდ ამის შემდეგ ინება უზენაესმა „რათა არა იყოს დაფარულ ბრწყინვალე იგი ვარსკვლავი“. ღირსი შიო მღვიმელის ხსენება 20-22 მაისს (ახ. სტილით) აღესრულება. მის ტროპარში ვკითხულობთ: „სიყრმითგან ფრთოვან-ქმნილმან სათნოებითა წარმართე ცხორება შენი, ღმერთშემოსილო, და სასწაულთა, ღვთისა მიერ მოცემულთა, იღვწიდ ქართველთა ერსა, ვინაცა მხედველნი შენ შორის მაღლითა სულიერთა, ვადიდებთ შემოქმედსა, ღირსო შიო, და ან ძვალნი შენნი შიშველნი, მღვიმით ქვეშე ქვეყანით, ფრთებაღლობით აღმოიწვის სიმაღლედ, მეოხად მორწმუნეთა და კურნებად სულთა ჩვენთა“ (ყამნი 1899: 530-531).

„წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით ერუშენელი ეპისკოპოსის მიერ „უდაბნოს ვარსკვლავად“ სახელდებულის დიდება ჯავახეთის საეკლესიო კრებაზევე გაცხადდა. წმ. შიოს ბრწყინვალება „კაცთა შორის“ რომ სახილველი იყოს, აგიო-გრაფი მიმართავს კომპოზიციის გართულების ხერხს და თხზულებაში შემოიყვანს ახალ პერსონაჟს, „ქრისტეს მოყვარეს, საღმრთოთა წიგნთაგან სწავლულსა და ქრისტიანთა შვილს“ – ევაგრეს, რომელიც ამავე აგიოგრაფიული ქმნილების გმირად იქცევა.

წმ. ევაგრეს შემოსვლა თხზულებაში დაკავშირებულია ნადირობასთან, თანაც ამ ეპიზოდში თვალში საცემია პროვი-

დენციალური მოძღვრება აგიოგრაფისა, კერძოდ: ევაგრემ „განვებითა ლმრთისათა დღესა ერთსა პრქუა შვილთა თვესთა და მონათა: „განვიდეთ ნადირობად“... მარტოდ მდგომმა „მიშუებითა ლმრთისათა იხილა ტრედი იგი, რომელიც მიართუმი-და საზრდელსა შიოს“ (ძეგლები 1964: 219).

ქართული აგიოგრაფის არც ერთი მთავარი მოქმედი გმირი ნადირობის გზით არ შემოდის ტექსტში. მართალია, „წმ. ნინოს ცხოვრების“ მიხედვით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდია მირიანის ნადირობა, მაგრამ ეს არ არის მისი პირველი გამოჩენა თხზულებაში. საერთოდ, აგიოგრაფიას არ აინტერესებს ნადირობა, ეს უფრო მოგვიანებით გახდება ერთობ გავრცელებული მოტივი სამიჯნურო – სარაინდო თუ კურტუაზიული რომანებისათვის. „ნადირობა განასახიერებს სულიერ გმირობას, სურვილების, ვნებების დათრგუნვასა და განადგურებას“ (გამსახურდია 1991: 319–320). თუკი ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ უფრო ლოგიკური ჩანს ნეტარი ევაგრეს შემოყვანა აგიოგრაფიულ ძეგლში შემდგომი ლიტერატურისთვის ასე დამახასიათებელი ტრადიციული ნადირობით. მეორე დღეს ევაგრე ისევ სანადიროდ წავიდა, ისევ „იხილა ტრედი იგი“, გაჰყვა მის კვალსა და წმ. შიოს შეხვდა, შეხვდა ნადირობის შემდეგ, ანუ, სიმბოლურად, ვნებებისაგან, სურვილებისაგან გათავისუფლებული, განშენდილი და სულიერი გმირობის მზაობით. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მთელ ამ ეპიზოდში იგი არის გაკვირვებული, თითქოს ნათლით შემკრთალი, სხვაგვარ განცდებში მყოფი. აგიოგრაფი საგანვებოდ შენიშნავს: „ხოლო ევაგრე განიცდიდა მკრსედ“ (გაკვირვებით – სფ. მ.): „განიცადა ნეტარმან ევაგრე ტრედი იგი, განკურდა“ (ძეგლები 1964: 219). ევაგრეს ეს მდგომარეობა, გადასული დაბნეულობაში, კარგად ჩანს წმ. შიოსთან საუბრის დასაწყისშივე, როცა მტრედის კვალს მიჰყვა და „იხილა წმიდაღ იგი შიო მჯდომარე ქუაბსა შინა, დაუკურდა და პრქუა: რაა ხარ, ანუ ვინავ?“ (ძეგლები 1964: 219).

რა ხარ ან ვინ ხარ – ეს სიტყვები გამოძახილია იმ სასწაულისა, რომელიც ევაგრემ თავისი თვალით დაინახა, როგორ მიჰქონდა საზრდო მტრედს ბერისათვის. რა ხარ? – გრძნეული, ბოროტი ძალა, თუ ღვთიური, კეთილი არსება, – არის ქვეტე-

ქსტი ამ შეკითხვისა, ხოლო ნეტარი შიოს პასუხი: „კაცი ვარ უცხოა“ – უმალ მოგვაგონებს ავთანდილის სიტყვებს: „კაცი ვარ, ადამიანი“, უფრო კი წმიდა ნინოს უცხოობას: „უფალო, დედაკაცი ვარ, უცხოა“, ან „უცხოო და აქა შობილო“ (ძეგლები 1964: 116). წმ. შიოს უცხოობა უცხო ქვეყნიდან მის ჩამოსვლას, სხვა ქვეყნის შვილობას გულისხმობს.

საინტერესოა ისიც, რომ ნეტარი ევაგრე, როცა იხილავს უცხო, ქრისტეს მმოსავი და გამოქვაბულში დაყუდებული კაცის ცხოვრებას, მის განსაკუთრებულ მაღლმოსილებასა და სათნოებას, იტყვის: „ცხოველ არს უფალი, არა დაგიტეო შენ და არცა ნარვიდე სახედ ჩემდა“ (ძეგლები 1964: 219). მან დაინახა ცოცხალი სარწმუნოება, საქმით აღსრულებული რწმენა, ირწმუნა გზა ცხოვრებისა, რომელიც უზენაესთან მიიყვანდა, თავად უფალიც ხომ ასე მოგვინდებდა: „მე ვარ გზად, მე ვარ ჭეშმარიტებად და ცხორებად“ (ი. 14, 6). ამიტომ აღარ უნდოდა ნეტარ ევაგრეს უკან, წუთისოფლის ამაოებაში დაბრუნება, აღარ სურდა განშორებოდა სინმინდეს, მოკლებოდა მადლს – ნაკლულევანთა აღმავსებელს.

ნეტარი ევაგრესთვის მტრედის სახით მოვლენილი სასწაული საკმარისი აღმოჩნდა, უარი ეთქვა ყველაფერზე. სიმდიდორესა და ფუფუნებაზე, სახელსა და დიდებაზე, მაგრამ წმ. შიომ მას განუსაზღვრა: „შვილო, ვერ ძალ-გიც ტკროვად სიფიცხლესა ამას უდაბნოვასასა, რამეთუ გხედავ მრავლითა ფუფუნებითა აღზრდილსა“ (ძეგლები 1964: 219). მიუხედავად იმისა, რომ ევაგრე სიკვდილისთვისაც კი მზადაა: „დაღაცათუ დღესვე იყოს სიკუდილი ჩემი შენ თანა, არავე დაგიტეო“, წმ. შიო მაინც დიდ სიფროთხილეს იჩენს და ღვთის ნებას მიანდობს გადაწყვეტილების მიღებას. ნეტარი ევაგრე უნდა გამოიცადოს: „უკან უნდა დაბრუნდეს, „საცხოვრებელი უნდა განაგოს“ და ნამოვიდეს. საეკლესიო გამოცდილებით, ბერმონაზვნობის მსურველთ, ზოგჯერ, აღკვეცისას, უკანასკნელ წუთს უთქვამთ უარი და ერში დაბრუნებულან. შესაძლო იყო, ვერ გაეძლო ცდუნებისათვის, ვერ დაეთმო სიმდიდრე-ფუფუნება და ევაგრე წმ. შიოსთან აღარც მიბრუნებულიყო, და, თუ მაინც ამ გზას დაადგებოდა, მას ერთი სასწაული კიდევ უნდა ენახა: წმ. შიოს კვერთხი, რომელიც მტკვარში უნდა ჩაედო, მისცემდა თუ არა

გზას, ღვთის ნება დააბრუნებდა თუ არა სიწმინდის სამსახურში. თუ ასე არ მოხდებოდა, როგორც წმ. შიომ განუმარტა, „არა სთნავს ლმერთსა საქმე ეგე, რომელსა ჰლამი“ (ძეგლები 1964: 220). მაშასადამე, ყველგან და ყველაფერში ნებითა უფლისათა, პროვიდენციალური მოძღვრება ასე მძლავრად მსჯვალავს მთელ აგიოგრაფიულ ქმნილებას.

გარდა ამისა, ამ მონაკვეთში იკვეთება სამდლიანი ციკლი. I – დღე ნადირობა; II დღე – ნადირობა, შეხვედრა, უკან დაბრუნება; III – დღე კვერთხის შთაყოფით მტკვარმა „კუალადცა გზა-სცა“.

ღვთის ნებით, ევაგრეს საქმე გადაწყდა, იგი დარჩა წმ. შიოსთან. ამის შემდეგ აგიოგრაფი გვაუწყებს, რომ მან მოისურვა ეკლესიის აშენება, ოლონდ აქაც იმავე მოტივით: „ჯერ-არს, რათა ეკლესია აღვაშენოთ, სადაცა გვპრძანოს ჩუენ უფალმან“. და, ბოლოს, „ადგილსა მას, სადა უჩუენა უფალმან, დასცა სათხარი მამამან ჩუენმან წმიდამან შიო და ალაშენეს ეკლესია სადიდებელად ღმრთისა“ (ძეგლები 1964: 220).

როგორც ჩანს, მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ეკლესია აშენდა, ამ ახლადაშენებულ ტაძარში წმ. შიომ „ევაგრეს შეჰმოსა სახე მონაზონებისაა“. ქართულ აგიოგრაფიაში ნეტარი ევაგრე არის პირველი ადგილობრივი ქართველი ბერი, რომელიც ხელ-დასხმულ იქნა წმ. შიოსგან მათ მიერვე აგებულ ეკლესიაში.

„ცხონება შიოსი და ევაგრესი“ იმითაცაა საინტერესო, რომ იგი აგრძელებს ქართულ აგიოგრაფიაში კარგად გამოკვეთილ სათნოებას – ღვთისმოშიმობას. აგიოგრაფი საგანგებოდ შეგახსენებს: „შ ძმანო ჩემნო საყუარელნო! ესრეთ ადიდებს ლმერთი მოშიმთა მისთა, რომელ მხეცნიცა ველურნი, ვითარცა მონანი, დაემორჩილებიან“ (ძეგლები 1964: 221). კონტექსტის მიხედვით, ადვილია მიუხვდე ავტორს, რომ შიში ღვთისა არის დასაბამი ადამიანის სულიერი ძლიერებისა, სასწაულთმოქმედების ნიჭისა. ამ სათნოების წყალობით წუთისოფელში მარადისობას შეიგრძნობ, სულისა და ხორცის სიწმინდეს დაიმარხავ, რითაც ღვთაებრივ სიყვარულს ეზიარები. შიში უფლისა და სიყვარული განუყოფელია ერთმანეთისგან, უფრო ზუსტად, ერთი მეორეს გულისხმობს და განაპირობებს: „თუკი ძველ აღთქმაში ღვთისა და ადამიანის ურთიერთობის

მთავარი პრინციპია შიში, ახალ აღთქმაში იგი შეცვალა სიყვარულმა, რომელმაც მთლიანად კი არ განდევნა ღვთის მოშიშება, არამედ დაიმორჩილა“ (ბიჩკოვი 1990: 71).

„ადიდებს ღმერთი მოშიშთა მისთა“ – ერთგვარი აპოლოგიაა ღვთის შიშისა – უფლის დიდება ღვთის მოშიში ადამიანებით გაცხადდება. ღმერთი ასეთებს განადიდებს, ანუ მიანიჭებს განსაკუთრებულ მაღლს, სასწაულთმოქმედების ნიჭს და თვალსაჩინო გახდება კაცთათვის მიუღწეველი, ამ შემთხვევაში, მხეცთა დამორჩილება. ქართველი აგიოგრაფი ამით არ კმაყოფილდება და გვთავაზობს ჭეშმარიტი ცხოვრების გზას. რა ვაკეთოთ და როგორ ვაკეთოთ, რომ ვცხონდეთ, რომ გადავრჩეთ? მისი პასუხი ასეთია: „სათნო ვეყვნეთ ღმერთსა მარხვითა, ლოცვითა, სიწმიდითა, გლახაკთ მოწყალებითა, უცხოთ მოყუარებითა, სიმდაბლითა, სიმშვდითა და ურთიერთას სიყუარულითა და ყოვლითავე საქმითა კეთილითა, რომელიცა მოგუატყუებს (მოასწავებს – სფ. მ.) კეთილთა საუკუნეთა და საშუალელთა ზეცისათა“ (ძეგლები 1964: 221).

ფაქტობრივად, ეს არის ევანგელიური სწავლება, ეს არის პირდაპირი გზა სასუფევლისაკენ. რთულია ცხოვრების ასეთი სახეობა, შინაგანი წინააღმდეგობებითა და ბრძოლებით აღსავსე, მაგრამ – არა შეუძლებელი. აგიოგრაფი რვა სათნოებას ჩამოთვლის და გვეუბნება, რომ ამით არ ამოიწურება, სხვაც ბევრია საკეთებელი, ოღონდ ეს „სხვა“ უნდა იყოს „ყოვლითავე საქმე კეთილი“.

ვერც მონასტრული ცხოვრება, ვერც ლოცვა და მარხვა, ვერც საეკლესიო საიდუმლოებებში მონაწილეობა... ვერ გადაარჩენს ადამიანს, თუ მას სიყვარული არ ექნა. როგორც მოციქული გვაფრთხილებს, აუცილებელია: „სარწმუნოება, სასოება, სიყვარული, ხოლო უფროხ ამისა სიყუარული არს“ / კორ, 13, 13/. ქართველი აგიოგრაფის მიერ მოცემული ცხონების გზაც სიყვარულით მთავრდება:

მარხვა;	უცხოთ მოყვარება;
ლოცვა;	სიმდაბლე;
სიწმინდე;	სიმშვიდე;
გლახაკთ მოწყალება;	ურთიერთ სიყუარული.

მარხვა და ლოცვა ყველაზე ძლიერი საშუალებაა ბორო-

ტებასთან ბრძოლაში. სახარება შეგვაგონებს, რომ ეშმაკი განიდევნება მარხვითა და ლოცვითა (მრ. 9, 29).

სიწმიდით ცხოვრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. თავის პირველ ქადაგებაში მაცხოვარი სოფლისა ცათა სასუფეველს ჰპირდება სიწმიდის მსახურთა და გულით განწმენდილებს: „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“ (მ. 5, 8).

„განყიდე ნაყოფი შენი და მიეც გლახაკთა“ (მ. 19, 21) – ეუბნება იესო ჭაბუკ მდიდარს; „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა“ (მ. 5, 3), – ბრძანებს უფალი თავის პირველ ქადაგებაში. მოწყალება, თავისთავად, დიდი სიკეთეა, მაგრამ განსაკუთრებით შეიწირება გლახაკთათვის, უპოვართათვის გალებული.

„უცხო ვიყავ და არა შემიწყნარეთ მე“ (მ. 25, 43) – გაისმის გაფრთხილებად კაცთა მოდგმისთვის მაცხოვრის სიტყვები. სწორედ ამის გამოძახილია, როცა აგიოგრაფი ცხონების გზაზე უცხოთ მოყვარებას აუცილებლად მიიჩნევს.

სიმდაბლე და სიმშვიდე ერთმანეთს აუცილებლობით გულისხმობს. იესო გვეუბნება: „მშვიდ ვარ და მდაბალი გულითა“ (მ. 11, 29). მდაბალნი ამაღლდებიან უფლის წყალობით „აღამაღლნა მდაბალნი“ (ლ. 1, 52). „ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქუეყანად“ (მ. 5,5). ე.ი. ზეცა, სულიერი ქვეყანა, და, როგორც წმ. თეოფილაქტე ბულგარელი განმარტავს, მშვიდნი იმათ კი არ ეწოდებათ, რომელნიც არასოდეს მრისხანებენ, არამედ მათ, რომელნიც კი ბრაზდებიან, მაგრამ თავს იკავებენ“ (ბულგარელი 1992: 46).

დასასრულ სიყვარული, რომელიც არის თავად ღმერთი და მისი უმთავრესი შეგონება: „ამას გამცნებ თქუენ, რათა იყუარებოდით ურთიერთას“ (ი. 15, 17). ხოლო მოციქული ასე განმარტავს: „საყუარელნო, ვიყუარებოდეთ ურთიერთს, რამეთუ სიყუარული ღმრთისაგან არს... რომელსა არა უყუარდეს, მან არა იცის ღმერთი, რამეთუ ღმერთი სიყუარული არს“ (ი. ინ. 4, 7–8).

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართველი აგიოგრაფის მიერ აქ წარმოდგენილი ცხონების გზა, ძირითადად, სახარებისეულ სწავლებას ეფუძნება, ქრისტეს შეგონებებითაა ნასაზრდოები

და გვაჩვენებს ამქვეყნიურ წარმავლობაში ჭეშმარიტებასა და მარადიულ სიცოცხლეს.

ამის შემდეგ ვეცნობით წმ. იოანე ზედაზნელის ერთ-ერთ მონაფეთაგანს, განთქმულს „ყოვლითავე სათხოებითა“, სამო-თხის ნერგს, მშვენიერ ყვავილს, „ყოვლისა კეთილისა ძირს“ – ისეს, რომელიც, შემკული ღვთაებრივი მადლითა და სიწმინ-დით, მღვდელმთავრად გამოარჩია კათალიკოსმა და წილკნის ეპისკოპოსად აკურთხა, თუმცა თავად ნეტარ ისეს არ სდო-მია: „არა თავს-იდებდა საქმესა მას და შევრდომით ითხოვდა განტევებასა“ (ძეგლები 1964: 222). სასულიერო იერარქიის ეს საფეხური, ეპისკოპოსობა, არ ისურვა არც წმ. გრიგოლ ხან-ძთელმა. მან იგი ხორციელ დიდებად მიიჩნია (იქვე: 252). ისე წილკნელი, როგორც ჩანს, უარს ამბობდა უფრო მეტად იმ დიდი პასუხისმგებლობისა და ტვირთის სიმძიმის გამო, რა-საც ეს სასულიერო წოდება გულისხმობს. მიუხედავად იმისა, რომ ისეს არ სურდა ეპისკოპოსობა, კათალიკოსმა „უნებლი-ეთ დაასხა ჭელი და წარგზავნა საყდარსა ღმრთისა დედისასა“ (იქვე: 222). ამას ტექსტში მოსდევს ვრცელი ლოცვა, რომელიც ეკუთვნის აგიოგრაფს და რომელშიც ახსნილია მიზეზი იმი-სა, თუ რატომ იკურთხა ეპისკოპოსად ნეტარი ისე. ეს ლოცვა საინტერესოა იმითაც, რომ ყოვლად წმიდა ღვთის მშობლის წინაშეა აღვლენილი:

„შ ყოვლად წმიდაო ღმრთის მშობელო მარიამ, კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისაა და კურთხეულ არს სახელი წმი-დად დიდებისა მისისად“ (ძეგლები 1964: 222). ამ მიმართვაში კარგად იყითხება წმ. ლუკას სახარების გავლენა, რომლის მიხედვითაც ელისაბედი ასე ეტყვის მარიამს: „კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენი-საა“ (ლ. 1, 42).

კურთხეულია წმ. მარიამის მუცლის ნაყოფი და კურთხეულია მისი დიდების წმიდა სახელი, ანუ კურთხეულ არს ლმერთი ჩვენი. ეს ცნობილი ასამაღლებელია, რომელიც ხშირად გაისმის საღვთო მსახურებისას. აგიოგრაფი ამ ლოცვაში განგვიმარტავს, რატომ არის „კურთხეული“: „რამეთუ ქუეყანისაგანნი ვიყვენით და ან შენ მიერ ზეცისა ანგელოზთაგან ვიმსახურებთ და შენ მიერ უხრწნელებად და ცხორებად საუკუნო მოვიგეთ“ (ძეგლები

1964: 222). ამ სიტყვებში ახსნილია ხარების დღესასწაულის არსი, რომ ამ დღეს ეცნო კაცთა მოდგმას ცათა სასუფევლის მოახლოება და იმედი ხსნისა. ღვთისმშობელმა ევას ცოდვა გამოისყიდა, მან იტვირთა ცათაგან დაუტევნელი, რომლის შებითაც იმედი ჩამოდგა დედამიწაზე, კაცობრიობას მესია, მხსნელი მოევლინა, რომელმაც გამოისყიდა ჩვენი ცოდვები, „რათა ყოველსა, რომელსა ჰქნების იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხოვრებად საუკუნო“ (ინ. 3, 16).

როგორც ტექსტიდან ვიგეპტი, კათალიკოსმა ღვთისმშობლის ეკლესიაში გააგზავნა ეპისკოპოსად ხელდასხმული ნეტარი ისე. ამიტომ, ლოცვის დასასრულ, აგიოგრაფი ასეთ კომენტარს გვთავაზობს: „შენის, რათა საყდარსა დიდებისა შენისასა წმიდანი და სულითა განათლებული კაცნი იყუნენ ზედა-მდგომელად ტაძრისა შენისა და ამისთვისცა გამორჩეულ იქმნა ლირის ესე წმიდად ისე“ (ძეგლები 1964: 222).

აგიოგრაფის თქმით, მღვდელმთავრობის ლირსნი წმიდანი და სულით განათლებული მსახურნი არიან. სწორედ ასეთია ისე – განთქმული სათხოებით, სამოთხის ნერგი, მშვენიერი ყვავილი და ყოველგვარი სიკეთის ძირი.

მაშასადამე, აგიოგრაფის ამ ლოცვაში განდიდებულია ყოვლად წმიდა ღვთისმშობელი, ახსნილია ხარებისა და უფლის შების საიდუმლო, განმარტებულია ის, თუ რატომ გამოარჩია კათალიკოსმა ეპისკოპოსობის ლირსად ნეტარი ისე.

ერთობ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ისე წილკნელი ეპისკოპოსობის პატივის აღსრულებას ქადაგებით იწყებს: „იწყო სწავლად მათდა სწავლითა სიმშვიდისათა“ (ძეგლები 1964: 222). კერპიტმსახურებაში დამონებულ „ჩრდილო კერძო“ მცხოვრებთ იგი მოაქცევდა სასწაულთმოქმედებით: სწეულთ განკურნებდა, „ეშმაკთ ბრძანებით განასხმიდა“, ეს არის მოციქულთათვის უფლის მიერ ბოძებული ნიჭი: „წარვედით ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ“, „სახელითა ჩემითა ეშმაკთა განასხმიდენ“, „სწეულთა ზედა ჭელსა დასდებდენ და განცოცხლდებოდიან“ (მრ. 16, 15-18).

ასე გაცხადდა წმ. ისე წილკნელის მეშვეობით ღვთის დიდება, კაცთათვის გამოცხადდა საქმენი კეთილნი და, საბოლოოდ, განმტკიცდა ახალი ნერგი – ქრისტიანობაზე ახლადმოქცეულნი

ხილული სასწაულებით იმოსებოდნენ და ადიდებდნენ ცათა და ქვეყნის შემოქმედს. ეს უკვე იყო მოციქულებრივი მისის აღსრულება.

ტექსტის მიხედვით, წმ. ისე ყოველთვის ლოცულობს ყოვლადნიდა ღვთისმშობლის სახელზე. სხვათა შორის, წმ. იოანე ზედაზნელი ეპისკოპოსის უპირველეს ღვანლად ლოცვას თვლის: „პირველად ეპისკოპოზისად ჯერ – არს ლოცვა“ (ძეგლები 1964: 223) – ეუბნება იგი ნეტარ შიოს. ისე წილკნელი, როგორც ღვთისმშობლის ტაძარში კათალიკოსისაგან წარგზავნილი ეპისკოპოსი, განსაკუთრებულ მფარველობას გრძნობს ზეცური დედისგან და თავის ერთ-ერთ სასწაულსაც, წმ. იოანეს თხოვნით, სწორედ ღვთისმშობლის შემწეობით აღასრულებს – წყალს დაიმორჩილებს. ჩვენი აზრით, „წმ. შიოსა და ევაგრეს ცხოვრება“ აბსოლუტურად გამორჩეულია ქართულ აგიოგრაფიაში, რადგან ასეთი დოზით არცერთ ძეგლში არ გვხვდება ყოვლადწმიდა ქალწულის წინაშე აღვლენილი ლოცვები და მისი შეწევნით აღსრულებული საქმენი.

თბზულება განსაკუთრებულია იმითაც, რომ საეკლესიო იერარქიის მორჩილების უნიკალურ სურათს გვთავაზობს: წმ. შიო სთხოვს წმ. იოანე ზედაზნელს, „რათა უბრძანოს მას დაყუდებით ცხორება“ (ძეგლები 1964: 224). წმ. იოანე კი კათალიკოსისკენ მიუთითებს: „წარვედ და მოაწენე პირველად მამამთავარსა და, უკუეთუ ბრძანოს შენი ესრეთ ცხორება, უწყოდე, რამეთუ არს ნება ღმრთისაა“ (იქვე: 224).

ეს არის ცოცხალი მაგალითი იმისა, რომ საეკლესიო იერარქიის მორჩილება უმთავრესია ჭეშმარიტების გზაზე მდგომი ადამიანისათვის, რომ ყველა ვალდებულია დაიცვას ეს წესი და აღასრულოს მოძღვრის ლოცვა-კურთხევა. თავად წმ. იოანე ზედაზნელი პავლე მოციქულის სიტყვებით განუმარტავს ნეტარ შიოს: „ერჩიდით წინამძღვართა თქუენთა, რამეთუ იგინი იღვძებენ სულთა თქუენთათვს“ (ძეგლები 1964: 224-225).

მერე წმ. შიო ასე მიმართავს ევაგრეს, როდესაც თავად მღვიმეში ჯდომას გადაწყვეტს და მისივე მითითებით მოწაფეები ევაგრეს გამოარჩევენ თავიანთი ცხოვრების წინამძღოლად: „უკუეთუ მე დამემორჩილო, მრავალი სასყიდელი მიიღო ღმრთისაგან და დიდებად საუკუნო დაიმკვდრო და უკუეთუ

ურჩ მექმნე, ურჩთა თანა დაისაჯო“ (ძეგლები 1964: 226).

წმ. მამები ფსალმუნებს იარაღს უწოდებენ, ლოცვას – კედელს, უბიშო ცრემლებს – განბანას, ხოლო ნეტარ მორჩილებას – აღმსარებლობას, რომლის გარეშე ადამიანი უფალს ვერ იხილავს (სინელი 1986: 35).

წმ. ოოანე ზედაზნელი ნეტარ შიოს ასკეტური ცხოვრების კანონს ასწავლის: „რათა გონებადცა წორცთავე თანა შეაყენოს და ყოველი ზრუნვად ქუეყნიერი განაგდოს, ვითარცა მკუდარმან, დაფლულმან და დაფარულმან“.

ასეთია წმ. ოოანე ზედაზნელის შეფასება ასკეტური ცხოვრებისა, უმთავრესი რამ, რომლის გარეშე ვერ მიიღწევა ცათა სასუფეველი. ამ სწავლაში საინტერესოა ის, რომ, ხორცის სიწმიდესთან ერთად, ბერი მოითხოვს გონების განწმენდასაც. შესაძლოა, სხეული მოაუძლურო, მკაცრად იმარხულო, იშრომო, ილოცო... მაგრამ, ამასთანავე, თუ ზრახვანი, ფიქრები, გონება არ განიშინდა, მადლი დაიკარგება, ჰენოზისი ვერ მოხდება. განდეგილობა თვითუარყოფაა, ამასოფლიურზე უარის თქმაა. სახარება ასე გვაუწყებს: „რომელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, უვარ-ყავნ თავი თვისი და ალიღენ ჯუარი თვისი და შემომიდეგინ მე“ (მ. 16, 24). როგორც წმ. ანტონ დიდი ასწავლიდა მასთან რჩევისთვის მისულ ძმებს (წმ. ათანასე ალექსანდრიელის გადმოცემით): „მოიძულეთ ქვეყანა ესე და ყოველივე, რაც კი არის მასში, რათა მხოლოდ ღმერთისათვის იცხოვროთ... მოიძაგეთ სხეული, უგულებელჲყავით მისი მოთხოვნები, რათა სული იხსნათ“ (ანტონ დიდი 1991: 283–284).

დაყუდებითი ცხოვრება, განდეგილობა დიდი ღვაწლია, ის სულიერობისა და რწმენის სრულიად სხვა სიმაღლეს მოითხოვს. განმარტოებული ცხოვრება, უპირველესად, მოთმინებით მიიღწევა. აკი წმ. ოოანე ზედაზნელმაც ასე დალოცა ასკეტური ცხოვრების მაძიებელი ბერი: „მოგემადლენ ღმრთისა მიერ სათხოველი შენი და მოგეცინ მოთმინება“ (ძეგლები 1964: 224). ამასვე ითხოვდა ნეტარი მამა ჩვენ მიერ უკვე განხილულ პირველ ლოცვაშიც.

ეს ღვაწლი იმდენად აუცილებელია მოსაგრისათვის, რომ, თუკი იგი არა აქვს შეძენილი, მთელი მისი მცდელობა ამაოა ღვთის წინაშე (ანტონ დიდი 1991: 304). ღვთის ნების ჭეშმა-

როგო სიმდაბლე და მორჩილება ღვთაებრივ საფარველს მოუ-პოვებს ადამიანს და დაიცავს მას სულიერი დაცემისაგან. საბოლოო მიზანი ღვაწლისა და მწვერვალი სისრულისა, მონაზონის სრულყოფილებისა არის „ღმერთის შესახლება ადამიანში, ანუ ცხოვრება ღვთის მიერ“ (იქვე: 310), მაგრამ ამის მიწნევა მოითხოვს მთელ ადამიანურ შესაძლებლობებს, სრულ ძალისხმევას. წმ. შიოს გააზრებული და გაცნობიერებული აქვს სირთულეც და სიმძიმეც ასეთი ცხოვრებისა და, სწორედ ამიტომ, „წარმოვიდა და ვითარცა შევიდა კათოლიკე ეკლესიად, თაყუანის–სუა წმიდა–სა სუეტსა და ცრემლით ევედრებოდა ღმერთსა, რათა ღირს ყოს დაყუდებით მსახურებასა მისა“ (ძეგლები 1964: 225).

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წმ. შიო ცრემლით იწყებს დაყუდებითს ცხოვრებას. ეს არის სრულიად განსაკუთრებული დამოკიდებულების გამოვლენა იმ დიდი ღვაწლისადმი, რომელსაც ასკეტური ცხოვრება ჰქვია და, ამასთანავე, თითქოს პირდაპირი ალსრულებაა წმ. ანგონ დიდის შეგონებისა: „ვისაც სურს ქველის საქმენი შეიძინოს და სათხოებას მიაღწიოს, დაე, ცრემლითა და მწუხარებით შეუდგეს ღვაწლს“ (ანგონ დიდი 1991: 305).

თხზულებაში ვხვდებით ავტორის გულმხურვალე შეძაბილს: „ეპა დიდებული საკურველი“ (ძეგლები 1964: 224), რომელიც სასწაულთა ციკლს მოსდევს. თავისთავად, ამ სასწაულებმა „მკვდრთა მცხეთისათა და გარემო სოფლებისათა“ განუმტკიცეს რწმენა და „ყოველნი ადიდებდეს ღმერთსა“.

ქართველი აგიოგრაფი ალფროთოვანებას ვერ ფარავს იმ სასწაულთმოქმედების შემდეგ, რომლებიც წმ. იოანემ, შიომ და ისემ აღასრულეს. „კაცთა მიწისაგანთა“ შესძლებიათ დაიმორჩილონ მიწა, ჰერი, წყალი და ცეცხლი, თურმე რწმენით ყველაფერი შესაძლებელია! როგორც მაცხოვარი ეუბნება მოციქულებს: „გაქუნდინ სარწმუნოებაა ღმრთისათ. ამენ გეტყვ თქუნენ, ვითარმედ, რომელმან ჰრქუას მთასა ამას: ალიფხუარ და შთავარდი ზღუად! და არა შეორგულდეს გულსა თვისა, არამედ ჰრწმენეს, რამეთუ რომელი თქუას, იქმნეს და იყოს ეგრე“. (მრ. 11, 23). ამიტომ ამ ეპიზოდში მნიშვნელოვანია ისიც, რომ „ღვთაებრივ ძალას, რომელსაც განდეგილი წმინდა ცხოვრებისა და ლოცვის მეოხებით ეზიარებიან, ემორჩილება

მატერიალური სამყარო, ამ სამყაროს შემადგენელი ოთხივე ელემენტი – ჰაერი, ცეცხლი, წყალი და მინა“ (თვარაძე 2001: 64). ამასთანავე, ქვეტექსტი იმასაც გვეუბნება, თუ როგორი შეუორგულებელი რწმენა ჰქონდათ ასურელ მამებს, როგორი მტკიცე და შეუვალი იყო მათი სარწმუნოება და სიყვარული უფლისა.

ნეტარი შიო, წმ. იოანე ზედაზნელის დავალებით, ლოცვა-კურთხევის მისაღებად, ნებართვის ასაღებად მამამთავართან მიდის. როდესაც მისი გადაწყვეტილება შეიტყო, მან „სულთ-ითქუნა და ტიროდა“. რაზე მიგვანიშნებს აგიოგრაფი, როცა გაუწყებს, რომ ნეტარი მამა ცრემლით ევედრებოდა ლმერთს, ლირი გაეხადა დაყუდებით მსახურებისათვის, რომ კათა-ლიკოსი, როდესაც მოისმენს ბერის გადაწყვეტილებას, მის სურვილს, ამოიოხრავს და ტირილს დაიწყებს. ორივე შემთხ-ვევაში საქმე გვაქვს იმასთან, რომ მათ კარგად ესმით და-ყუდებითი ცხოვრების სირთულე, სიმკაცრე და ეს ცრემლები იქნებ მიუწვდომის წვდომისკენ სწრაფვის სიხარულის გამომხ-ატველიც იყოს!

კათალიკოსის პასუხში განდეგილური ცხოვრება კეთილ გზადაა შეფასებული: „წარემართე, მამაო, კეთილსა მაგას გზა-სა და ყავნ უფალმან მღვმე იგი კიბედ, აღმყვანებელად შენდა ზეცად მიმართ, და ბერელი იგი – მიმყვანებელ ნათელსა მას დაულამებელსა! და უამისა ამის ჭირი გეყავნ საუკუნოდ განსა-სუენებელ... და დაუთმე ბრძოლასა ეშმაკთასა, რამეთუ მრა-ვალ-ლონე არს ბრძოლად მათი (ძეგლები 1964: 225)“. გარდა ამისა, აქ შეპირისპირებითი მეთოდით წარმოდგენილია მსახ-ურების ხარისხი: მღვიმე – ზეცად ამყვანებელი კიბე; ბერელი – ნათელი; უამი – საუკუნო; დასასრულ კი მინიშნება-გაფრთხ-ილებაა იმაზე, რომ დიდი იქნება შინაგანი წინააღმდეგობა, ბრძოლა უხილავ მტერთან, რომელსაც უნდა გაუძლო, რო-მელიც უნდა აიტანო და მოითმინო.

კათალიკოსისაგან დალოცვილი ბერი დაბრუნდა თავის სა-მყოფლოში, მოუწოდა ძმობის წევრებს, გააცნო გადაწყვეტილე-ბა დაყუდებული ცხოვრების შესახებ და რჩევა-დარიგებით მიმართა მათ: „განეკრძალენით საფრთხეთა ეშმაკისათა და მოიგეთ უმეტეს ყოვლისა სიმდაბლე და მორჩილებად და სიმ-

შკდე, რომელი უჩინო-ჰყოფს რისხვასა, და სიყუარული, რომლისა მიერ ღმერთი მოიგების, და მარხვად, რომელი წარიოტებს ბილწებასა, და ლოცვასა შინა სიწმიდე გონებისაა, რომელი განაქარვებს ყოველსა ძალსა მტერისასა, და დაუცხრომელ ტირილი, რომელი მოატყუებს სიხარულსა საუკუნოსა და მოიპოვეთ სიგლახაკე, რათა საუკუნოდ სიმდიდრე ჰპოოთ; მოიძულენით საქმენი სოფლისანი, ინურთიდით წერილთა, რათა მარადის ფრთხილ იყოს გონებად თქუენი; იქმნენით წმიდა წორცა... მიეყრდენით მკერდსა უფლისასა“ (ძეგლები 1964: 225-226), ეს არის, ფაქტობრივად, სათნოებითი სწავლანი წმიდისა მამისა შიოსი, მსგავსად წმ. ოთანე ზედაზნელისა, რომელმაც მარტოდმყოფობის მსახურების წინ შეკრიბა თავისი მოწაფეები და ცხოვრების წესი განუსაზღვრა მათ (იქვე: 202-204).

წმ. შიოს „სწავლანი“ ერთგვარი სახელმძღვანელოა იმათ-თვის, რომლებსაც სიწმინდით ცხოვრება გადაუწყვეტიათ, უფლის გზაზე შემდგარან და სოფელი ესე დაუტევებიათ.

ყოველი ადამიანისა და, განსაკუთრებით კი ღვთის მსახურებაში მყოფის, ცხოვრება აღსავსეა საცდურით. ბოროტი ცდილობს შევიდეს კეთილში, დაანგრიოს სიწმინდე, შერყვნას, წაბილწოს წმიდათაწმიდა. ბრძოლა ხილულ თუ უხილავ მტერთან აწრთობს ადამიანს. როგორც წმ. ანტონი განმარტავს: „თუ არ გამოიცადა და საცთურის წინაშე არ დადგა, ისე ვერავინ შევა ცათა სასუფეველში“ (ანტონ დიდი 1991: 304). დიდია ძალა ცდუნებისა და, უპირველესად, ამას ურჩევს წმ. შიოს მოწაფეებს, „განეკრძალენით საფრჩეთა ეშმაკისათა“. წმ. მამა უმთავრეს სათნოებებს ჩამოუთვლის მონასტერში მცხოვრებთ. ეს ჩამონათვალი საინტერესოა არა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ წარმოდგენილია ის საშუალებები, რომლებითაც შეიძლება ებრძოლო და დაამარცხო ეშმაკი, არამედ ეს არის ერთგვარი ეგზეგეტიკაც, ადვენტურულური განმარტება იმისა, თუ რატომ უნდა მივისწრაფვოდეთ და რატომ უნდა მოვიპოვოთ სიმდაბლე, მორჩილება, სიმშვიდე, სიყვარული, მარხვა, სიწმინდე გონება, ტირილი და სიგლახაკე, რატომ უნდა მოვიძულოთ სოფელი, რატომ უნდა ვიკითხოთ საღვთო წერილი, რატომ უნდა დავიცვათ ხორცის სიწმინდე და ა.შ.

განშორება ამა სოფლისაგან და უარის თქმა ერში ცხოვრე-

ბაზე ერთეულთა ხვედრია. ამიტომ მათ სხვა მადლი ეძლევათ და პირადი ღვაწლიც, ზეგარდამო შეწევნითა და პიროვნული ძალისხმევით, ჭეშმარიტ სიმდაბლესა და მორჩილებაში გამოვლინდება. ასკეტური ცხოვრება, უპირველესად, ცოდვასთან ბრძოლის ღვაწლია, იქნება ეს ბრძოლა სხვადასხვა მანკიერ სურვილებთან, გემოთმოყვარეობასთან, მრისხანებასთან, განკითხვასთან, ამპარტავნობასთან და, რა თქმა უნდა, უმთავრესთან – გულის ზრახვებთან და ფიქრებთან. შემთხვევითი არაა, რომ წმ. იოანე ზედზნელი ასე ასწავლიდა ნეტარ შიოს: „გონებაც წორცთავე თანა შეაყენოს“ და თავად წმ. შიოც თავის „სწავლანში“ საგანგებო ყურადღებას უთმობს გონების სიწმიდესა და სიფრთხილეს: მოიგეთ „ლოცვასა შინა სიწმიდე გონებისა“ და „ინურთიდით წერილთა, რახთა მარადის ფრთხილ იყოს გონებად თქუენი“. სხვათა შორის, წმ. იოანე ზედაზნელის ე.ნ. დატირებაში მონაფეხები გულის ტკიფილს გამოთქვამენ და მწვავედ განიცდიან იმას, რომ ნეტარი ბერის გარდაცვალების შემდეგ „ვინ იყოს მკურნალი უძლურებასა კაცთასა. ანუ ვინ აღმადგინებელი გონებითა დაცემულთად“ (ძეგლები 1964: 228). ამდენად მნიშვნელოვანია გონების სიწმინდე ბერმონაზენური ცხოვრების მაძიებელთათვის. შესაძლოა, ცოდვას მოერიდო, არ ჩაიდინო, საქმით არ აღასრულო, მაგრამ, თუ გონებიდან არ გამოდევნე, მაინც შესცოდდავ. თავად მაცხოვარმა ცოდვის გაფიქრებაც კი შეცოდებად განგვისაზღვრა: „გესმა, რამეთუ ითქუა: არა იმრუშო. ხოლო მე გეტყვ თქუენ, რამეთუ ყოველი, რომელი ხედვიდეს დედაკაცსა გულის–თქუმად მას, მუნვე იმრუშმა მის თანა გულსა შინა თუსა“ (მ. 5, 27–28).

„ლოცვასა შინა სიწმიდე გონებისა“ გულისხმობს იმას, რომ გაფანტული არ ვიდგეთ ღვთის ნინაშე, გონებაგანბნევა ლოცვისას ცოდვად ითვლება. ლოცვის დროს გონების სიწმინდე, წმ. შიოს განმარტებით, განაქარვებს ყოველსა ძალსა მტერისასა; რაც შეეხება წმიდა წერილის კითხვას, იგი გონების სიფხიზლეს მოგვმადლებს. „მარადის ფრთხილ იყოს გონებად თქუენი“ – ეს უმთავრესია ნეტარი შიოსთვის.

ერთხელ, წმ. ანტონ დიდთან იმის გასარკვევად შეკრებილან, თუ რომელი სათხოებაა ყველაზე აღმატებული. ზოგი მარხვას აქებდა, ზოგი – მღვიძარებას, სხვანი – სიგლახაკეს,

მესამენი მოწყვალების ნიჭს აძლევდნენ უპირატესობას... ნეტარ ანტონს კი უთქვამს: „განსჯისა და კეთილგონიერების სათ-ნოება... ასწავლის მოსაგრეს ყველაფერ ჯეროვანსა და სწორი გზით სვლისათვის განამზადებს ისე, რომ ღმერთისკენ მიმა-ვალმა არსად გადაუხვიოს ამ გზიდან... განსჯა და კეთილგო-ნიერება თვალინია სულისა, მისი კანდელი“ (ანტონ დიდი 1991: 288).

წმ. შიო მღვიმელის „სწავლანი“ სამეუფო გზით სიარულს ქადაგებს და საგანგებოდ განადიდებს იმ სათნოებებს, რომ-ლების შეგროვება, შეძენა აუცილებელია ასკეტური ღვაწლის წარმატებული დასრულებისათვის.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ასურელმა მამებმა შექმნეს და დაგვიტოვეს ასკეტური ცხოვრების სამოღვაწეო პროგრამა. ასეთია წმ. იოანე ზედაზნელის „სწავლანი“ და წმ. შიო მღვიმე-ლის დამოძღვრა—დარიგებანი. ერთიცა და მეორეც სამეუფეო ცხოვრების გზისკენ გვიბიძებებს და გვასწავლის ყველაზე მთა-ვარს – ვიცხოვროთ ისე, რომ ვცხონდეთ!

დასასრულ, ჩვენ შეგვიძლია მთლიანობაში აღვადგინოთ და წარმოვადგინოთ ასურელ მამათა სათნოებითი სწავლანი:

1. ნურა გიყუარნ უფროს ღმრთისა;
2. ვეცხლის–მოყუარებად და სიმდიდრე განბასრეთ;
3. შუებასა და უძლებებასა, ჭამადსა ნუ თავს იდებთ;
4. მოიძულე იგი [ღვინო];
5. ეკრძალე ზრახვასა წორცთასა;
6. მიუდრეკელად იპყარ თავი შენი ყოლადვე, ნუ მიერჩდე-ბი მერმესა მას და ბოროტსა განზრახვასა;
7. წარვედით და განამტკიცდებდით ქრისტეს სამწყსოთა;
8. დაიმარხეთ სჯული იგი მარხვისად და განეყენეთ შურსა⁶;
9. გონებაცა წორცთავე თანა შეაყენეთ;
10. ყოველი ზრუნვად ქუეყნიერი განაგდეთ;
11. განეკრძალენით საფრცეთა ეშმაკისათა;
12. მოიგეთ უმეტეს ყოვლისა სიმდაბლე და მორჩილებად

⁶ სათნოებითი სწავლანის 1-8 მუხლი (პირობითად) გამოკრებილია „წმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრებიდან“, ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 203-207.

და სიმშეცდე;

13. მოიგეთ სიყუარული;
14. მოიგეთ მარხუად და ლოცვასა შინა სიწმიდე გონებისაა;
15. მოიგეთ დაუცხრომელი ტირილი;
16. მოიპოვეთ სიგლახაკე;
17. მოიძულენით საქმენი სოფლისანი;
18. ინურთიდით წერილთა;
19. იქმნენით წმიდა წორცითა;
20. მიეყრდენით მკერდსა უფლისასა⁷.

ეს არის ათცამეტი ასურელი მამის სამოლვაწეო პროგრამა, რომელსაც დაემატება ის ეგზეგეტიკური ნაწილი, რომელიც ამ ტექსტებში გვხვდება. საბოლოოდ, ჩვენ მივიღებთ წმ. მამა ანტონ დიდის მიერ განდეგილთათვის შედგენილი წესდების-მაგვარს, რომელიც წმ. იოანე ზედაზნელმა და წმ. შიომლვიმელმა თავიანთ მონაფეებს დაუტოვეს. ასურელ მამათა ცხოვრება-მოლვაწეობა ახალი ეტაპის დასაწყისია. ეს სიახლე არა მხოლოდ სამონასტრო ცხოვრების აღორძინებაში გამოიხატება, არამედ განსაზღვრავს, რომ, როგორც წმ. იოანე ზედაზნელი იტყვის, მხურვალე გულითა და სიწმინდით უნდა ვემსახუროთ უზენაესს, სიწმინდით და სიმართლით უნდა ვიქცეოდეთ. ეს შეგვნებანი, მართალია, შექმნილია ბერმონაზვნური ცხოვრების მაძიებელთათვის, მაგრამ იგი, როგორც სულის სასარგებლო სწავლანი, დაეხმარება ყველას, ვისაც მიზნად დაუსახავს სულიერი სრულყოფილება. სიცოცხლე სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდაა ღვთის წინაშე (კაზანძაკასი 1997: 56) და ამ მისის აღსრულება გაგვიჭირდება, თუ არ ვიზრუნებთ იმაზე, რაც უკვდავია ჩვენში, – სულზე. მაღალ სულიერობას ყოველთვის განსაზღვრავდა რელიგიური ცხოვრება, რადგან ეკლესიურობა არის ის გზა, რომელიც მოწოდებულია გადაარჩინოს სოფლის ამაოებაში ჩაძირული სული კაცისა და აზიაროს მარადისობას.

ქართველი აგიოგრაფი განსაკუთრებული აღფრთოვანებითა და მოწინებით არის განწყობილი წმ. შიოს მიმართ და საგანგებო

5 სათნოებითი სწავლანის 9-20 მუხლი (პირობითად) გამოკრებილია „წმ. შიოსა და ევაგრეს ცხოვრებიდან“, ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 225-226.

შესხმით მიმართავს მას:

ნეტარი;
ლმრთივ განპრძნობილი;
მამად ჩუენი;
ქრისტეს მოსავი;
ბრწყინვალე ვარსკვლავი;
წმიდაა;
მკედრი უდაბნოსაა;
ყუავილი შუენიერი;
ნერგი უკუდავებისაა;
გამომდებელი ნაყოფისა კეთილისაა.

ხოლო ამის შემდეგ დასძენს : „ჭ ნეტარო და ყოვლად სანატრელო, ყოვლად მადლით მოხსენებულო, ვითარ ვაქებდე სიმწნეთა შენთა და სიბრძნეთა, რომელი ენა იტყოდის, რამეთუ უფროს ყოველთა ბრძენთა უბრძენეს იქმენ“ (ძეგლები 1964: 226-227), ამიტომ ჩამონათვალი ბერის ღირსებათა და სულიერ სათნოებათა იზრდება:

ნეტარი;
ყოვლად სანატრელი;
ყოვლად მადლით მოხსენებული;
ბრძენთა უბრძენესი.

ასეთ ფონზე ამავე თხზულებაში ვხედავთ ევაგრეს, როგორც წმიდას, ნეტარს, ყოვლად ქებულს, მშვიდსა და მდაბალს გულითა. უფრო გულუხვია აგიოგრაფი ისეს მიმართ, რომელიც არის: წმიდა, ნეტარი, მამა მფლობელი, მორჩილი, სავსე სულითა წმიდითა, განთქმული ყოვლითავე სათნოებით, ხოლო ბოლო სამი ეპითეტი თითქმის იმეორებს წმ. შიოზე თქმულს:

ნმ. შიო

ყვავილი შუენიერი
ნერგი უკუდავებისაა
გამომდებელი ნაყოფისა
კეთილისაა

ნმ. ისე

ყვავილი შუენიერი
ნერგი სამოთხისაა
ყოვლისა კეთილისაა ძირი

თხზულების ავტორის მიერ წმ. შიო შედარებულია წმ. დანიელ წინასწარმეტყველთან: „რამეთუ დანიელ უნებლიათ შთააგდეს მღვმესა მას შინა ლომთასა და ლმრთისაგან სამარადისო პატივი მიიღო, ხოლო შენ ნეფსით თვისით შთაჰედ

მღვმესა ბნელსა ბრძოლად უხილავისა მის მტერისა“ (ძეგლები 1964: 227). სპარსეთის მეფის, დარიოსის, მეფობისას მოშურნებისაგან დასმენილი დანიელი ლომების ბუნაგში გამოამწყვდიეს, მაგრამ მხეცები არც გაეკარნენ უფლის რჩეულს (წმინდანთა ცხოვრება II 2003: 512). დანიელის რწმენამ ლომები დაიმორჩილა, წმ. შიოს კი ბრძოლა უფრო საშიშ ძალებთან – უხილავ მტერთან ელოდა „რომელიცა დაეც და შეჰმუსრე ქუშე ფერწა შენთა“ მოთმინებით, რწმენით და სიყვარულით სძლია ნეტარმა შიომ ყველა განსაცდელს. მართალია, ხორცითა იტანჯებოდა, ხოლო სულითა განათლდებოდა – დასძენს აგიოგრაფი. აქვე შემოდის თხზულებაში ნათლის ესთეტიკაც. დაბნელებული მღვიმე როგორ იქცევა სულიერი სიმშვიდის ნათელ სავანედ: „ბნელსა მათ შინა მღვმესა ვითარცა ნათელსა და განსუენებასა შინა იშუებდა“ (ძეგლები 1964: 227).

კიდევ ერთი, ჩვენი აზრით, ყურადსალები ადგილის გამო მოვიყანთ ციტატას ტექსტიდან. წმ. იოანე ზედაზნელი იგრძნობს მოახლოებულ სიკვდილს, მოუწოდებს მოწაფეებს და ეტყვის: „უამი აღსასრულისა ჩემისაა მოწევნულ არს და მივალ უფლისა ჩემისა და ფრიად მეშინის ჰაერის- მცველთა-გან, რამეთუ საზარელ არიან, დააყენებენ სულსა, რათა არა აღვიდეს სასუფეველად და ამას თქუენცა მოელოდეთ, შვილნო ჩემნო საყუარელნო და აწვე განაკრძალენით თავნი თქუენნი და ჩემთვე ილოცევდით“ (ძეგლები 1964: 227).

ამ ეპიზოდის შესახებ საინტერესოდ მსჯელობს ლ. რუხა აძე. მისი აზრით, „მოძღვარი ცდილობს, რომ თავისი სულიერი შვილები სიცოცხლეშივე განაწყოს ჰაერის მცველთა საშინელების მომლოდინედ, რათა აქედანვე სულის მღვიძარებითა და სათნოებით შედარებით გაუადვილდეთ ბოროტ ანგელოზთა ძლევა“ (რუხა აძე 2003: 180). მეცნიერის დასკვნით, „ჰაერის მცველნი „უდარესნი ეშმაკი არიან, რომლებსაც ძველ ქართულში „მეზვერეები“ ანუ „მებაჟეებიც“ ეწოდებათ (იქვე: 178).

წმ. იოანე ზედაზნელის სიტყვები „ფრიად მეშინის ჰაერის მცველთაგან“ მრავალმხრივ არის ყურადსალები. ჯერ ერთი, აქ საუბარია იმ საეკლესიო გარდამოცემის შესახებ, რომლის მიხედვითაც ანგელოზები გამოცდიან ადამიანის სულს. თუკი

უბინო სული სხეულთან განშორებისას შიშს განიცდის, როგორც წმ. იოანე ზედაზნელისა, მით უფრო მძიმე იქნება ეს ცოდვილისათვის. წმინდანთა სულებს თავს ესხმიან დემონები და ბრალს დებენ ცოდვებში. „სული დემონების მიერ საგულდა-გულო შემოწმებას გადის. ამ სულის დაუფლებისათვის კეთილ და ბოროტ ანგელოზებს შორის მიმდინარეობს უხილავი, მაგრამ სასტიკი ბრძოლა“ (ვასილიადისი 2003: 301).

წმ. ბასილი დიდი ბრძანებს, რომ ბოროტი სულები სულის გასვლას ისეთი ბოროტი ყურადღებით აკვირდებიან, როგორც „ალბათ, არასოდეს აკვირდება მტერი ალყაში მყოფს ან მძარცვალი – საგანძურის მცველს. წმ. იოანე ოქროპირი ამ მებარეებს უწოდებს „მრისახანე და შეუბრალებელ ანგელოზებს“. მათ საშინელი გარეგნობა აქვთ, უზარმაზარნი არიან და, თანაც, გვემუქრებიან. მათი შეხვედრისას სული ძრნის. სხვა ადგილას წმ. იოანე ოქროპირი წერს, რომ წმიდა წერილი მათ უწოდებს „მდევნელებსა და გადასახადის ამკრეფებს“ (ვასილიადისი 2003: 302).

წმ. იოანე ზედაზნელი ჰაერის მცველებს – საზარლებსა და სულის დამჭერებს, დამყოვნებლებს უწოდებს, რომლებიც ხელს გვიშლიან, დავიმკვიდროთ სასუფეველი.

წმ. მამათა სწავლებანის გარდა, რომლებიც წმიდა წერილს ეყრდნობა, ჩვენ გვაქვთ დიდი ასკეტების, უდაბნოს მხნე მოღვაწეების მოწმობანიც ჰაერის მცველთა და საზვერეთა შესახებ, იქნება ეს წმ. ანტონ დიდი, წმ. მაკარი მეგვიპტელი, ფოტიკის ეპისკოპოსი წმ. დიოდოხოსი, წმ. ისიქი პრესვიტერი, ლირსი იოანე კიბისალმწერელი თუ ალექსანდრიიელი პატრიარქი წმ. კირილე.

სულის გამოცდის შესახებ წმიდა ეკლესია სხვადასხვა ლოცვებში შეგვახსენებს, მათ შორის დიდი სერობის ლოცვა ანგელოზთა მეუფის შესახებ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლი-სადმი: „უბინოო, შეუგინებელო, უხრწნელო... ჟამსა განსლვი-სა ჩემისასა, შეენიე უბადრუკსა სულსა ჩემსა და ბნელნი იგი პირნი ბოროტთა ეშმაკთანი შორის განიოტენ ჩემგან“ (ჟამნი 1899: 185–186).

შაბათის შუალამიანის მაცხოვრის მიმართ ლოცვაში, რომელიც ეკუთვნის წმ. ევსტრატეს, ჩვენ ვითხოვთ: „მოწყალე

მექმენ, მეუფეო, და ნუმცა იხილავს სული ჩემი დაბნელებულ-სა მას პირსა ბოროტთა ეშმაკთასა“ (იქვე: 39). მსგავს მხურ-ვალე სავედრებელს აღვავლენთ „სულის გასვლის კანონის“ სხვადასხვა ტროპარებში.

ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ წმ. ოთანე ზედაზნელი სთხოვს თავის მოწაფებს: „ჩემთვს ილოცევდით“, რათა იხსნას უფალმა ჰაერის საზარელ მცველთაგან და იქვე აფრთხილებს მათ: „აწვე განაკრძალენით თავნი თქუენნი“, ეს იმასაც გუ-ლისხმობს, რომ დროულად მოვემზადოთ საუკუნო ცხოვრები-სათვის, სანამ მოგვისწრებდეს სიკვდილი. „მომზადებაში“, რა თქმა უნდა, აღსარება, სინაზული და წმიდა ზიარება მოიაზ-რება, რადგან ამის გარეშე წმიდა ანგელოზები ვერ წარგვი-ძლვებიან იქ, სადაც მართალთა სულები განისვენებენ.

„ქრისტიანისთვის მიწიერი ცხოვრება პროლოგია, მარა-დიული ცხოვრების კარიბჭეა, ზეციური ნეტარების მაუნყებე-ლია“ (ვასილიადისი 2003: 229), მაგრამ სიკვდილი ადამიანებში ტანჯვასა და მწუხარებას იწვევს. ასეა „წმ. შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაშიც“. წმ. ოთანეს გარდაცვალების გამო „მოწაფე-ნი მისნი ტიროდეს განშორებისათვს“ (ძეგლები 1964: 228) – დასძენს აგიოგრაფი. უფრო მეტიც, ძეგლში გვხვდება პრწყინ-ვალე დატირება, მოწაფეთაგან თქმული: „კეთილო მამაო, რაღ-სათვს დაგვტევენ ჩუენ? ვის თანალა ვიხილოთ სახე ანგელოზე-ბრი, ანუ ვინ იყოს მკურნალი უძლურებასა კაცთასა, ანუ ვინ აღმადგინებელი გონებითა დაცემულთავ და წამალი ეშმაკთა მიერ მოწყლულთავ, ანუ ვინ რწყვიდეს ცრემლთა მიერ წმი-დათა სოფლებსა ჩუენსა? და ესრეთ მტირალნი წარვიდეს“ – დასძენს ავტორი (ძეგლები 1964: 228).

დაისმის შეკითხვა, რას ნიშნავს ამდენი ცრემლი და ტირი-ლი ან რას მისტირიან მომტირალნი?!

ქრისტიანული სარწმუნოება ყოველთვის კრძალვით ეკიდე-ბოდა სიკვდილის განცდას. ჭირისუფალთა ნუგეშისცემა ძველი ალთქმის დროიდან მოდის: „მიეცი თაფლუჭი მყოფთა მწუხ-არებათა შინა“ (იგავ. 31, 6) ან „კეთილ არს სლვად სახლსა შინა გლოვისასა“ (ეკლ. 7, 2). წმ. პავლე მოციქული გვასწავლის, რომ ჩვენც უნდა ვტიროდეთ და ვიზიარებდეთ მგლოვიარეს მწუხარებას (რომ. 12, 15). თავად უფალიც ხომ „ცრემლოოდა“

თავისი მეგობრის, ლაზარეს, სიკვდილი რომ შეიტყო?! ქრისტიანობა ტირილს კი არ გვიკრძალავს, არამედ უნუგეშო მწუხარებასა და გადამეტებულ ტანჯვას, რომელსაც სარგებლობა არც მიცვალებულისათვის და არც მასზე დამწუხრებულისათვის არ მოაქვს, ამით ადამიანი გამოუსწორებელ ზიანს აყენებს თავს (ზირაქ. 38, 18–21).

წმ. ოიანე ზედაზნელის მოწაფეებიც ადამიანური ბუნები-სათვის დამახასიათებელი თანაგრძნობით გამოხატავენ წმ. მამასთან განშორების ტყივილს, თანაც მათს დატირებაში ჩანს ბაძვის სურვილი, სახარებისეული ჭეშმარიტებით ცხოვრების სწრაფვა. ის, რომ უნდა იხილონ სახე ანგელოზებრი, რომ უნდა იპოვონ კაცთა უძლურების მკურნალი, აღმადგინებელი გონებით დაცემულისა და წამალი ეშმაკთა მიერ „მოწყლულთა“, უკვე გამოჰკვეთს ასეთი მადლით შემოსილი ადამიანის, ღვთივ-განბრძნობილი ბერის აუცილებლობის მწვავე სურვილს და, თავისთავად, ალძრავს საღვთო შურს. მათ უკვე ეძლევათ საშუალება, მიბაძონ გარდაცვლილის წმინდა ცხოვრებას.

აქვე არ შევვიძლია არ გავიხსენოთ წმ. გრიგოლ ხანძთელის ადამიანური თანაგრძნობით აღსავსე დატირება აშოტ კურაპალატისა (ძეგლები 1964: 264–265), რომელიც გონიერების, კეთილშობილებისა და ზომიერების გასაოცარი ნიმუშია.

„წმ. შიოსა და ევაგრეს ცხოვრებას“ არც ჩვენ მივიჩნევთ დამოუკიდებელ ძეგლად. იგი უშუალო გაგრძელებაა „წმ. ოიანე ზედაზნელის ცხოვრებისა“ (კეკელიძე 1980: 159–160). უფრო მეტიც, აქ წმ. ოიანეს ცხოვრების აღსასრული, მისი ანდერძი და დატირებაა მოცემული, აქვეა მისი სასწაულებიც, ნეტარ ბერებთან ერთად აღსრულებული, აქვე ვხვდებით მის შეგონება—სწავლებებს... კიდევ ერთი არგუმენტი ის არის, რომ, თუ ეს დამოუკიდებელი თხზულებაა, საღვთო სახელებით ერთობ მნირია: ღმერთი, იესუ, სახიერი, ქალწულისაგან შობილი, დაფარულთა მხედველი, უფალი დიდებისაა, ზეგარდმო განგება, მამა, ძე და სულიწმიდა, ცხოველი.

გარდა ამისა, ძეგლში საუბარია წმ. ისესა და წმ. ოიანე ზედაზნელზეც. „იოანე ზედაზნელის, შიო მღვიმელის, დავით გარეჯელის „ცხორებათა“ მოკლე რედაქციები, ე.ი. არქეტიპები, და წმ. აბიბოს ნეკრესელის „წამების“ შედარებით ვრცელი

რედაქცია ერთი მთლიანი ჰაგიოგრაფიული თხზულებაა, შექმნილი ერთი ავტორის მიერ“ (გაბიძაშვილი 1982: 61).

თავი XI

„ცხორებაზ და მოქალაქობაზ მიღისა მამისა

ჩუენისა დავით გარესჯელისაზ“

„წმ. შიოსა და ევაგრეს ცხოვრების“ ავტორი ასე მიმართავს ნეტარ შიოს: „წუთ ჟამისა ესე სიბნელე მოითმინე და განქარვება-დისა წილ საწუთოობსა და განსუენებისა საუკუნო დიდებად და განსუენებად მიიღე“ (ძეგლები 1964: 227), ხოლო წმ. „დავით გარეველის ცხოვრების“ დასაწყისში ვკითხულობთ: „მამა ჩუე-ნი დავით წარვიდა ადგილთა უდაბნოთა და ურწყულთა სჯად თავისა თვესისა, რათა წუთ ერთითა ჭირითა მოიპოოს საუკუ-ნო იგი და წარუვალი შუებად და განსუენებად“ (ძეგლები 1964: 229). წმ. შიომ „წუთ ჟამისა ესე სიბნელის“ მოთმენით საუკუნო დიდება მიიღო, წმ. დავითი „წუთ ერთითა ჭირითა“ მოიპოვებს „საუკუნო და წარუვალ“ შვებას. ცოტა ქვემოთ, ავაზაკთან საუბრისას, წმ. მამა იტყვის: ვევედრები უფალს, „რათა მყუ-დროებით და უშფოთველად განვლო წუთი ესე ცხორებად ჩემი“ (იქვე: 234). ასეთი დამოკიდებულება მაუწყებელია იმისა, თუ როგორ ესმოდათ ამქეცენიურ ცხოვრებაში ადამიანის მისია, ვინ ვართ და რატომ ვართ, რა არის ჩენი ყოფის საიდუმლო, რისკენ, საით უნდა მივისწრაფოდეთ და რა უნდა იყოს წარმ-მართველი ამ დაუსრულებელ სწრაფვაში.

თხზულების მიხედვით, „უდაბნო“ ცხადდება საკუთარ თავთან განმარტოების, განსჯის, ფიქრის ადგილად, მოსამზა-დებელ, სულის გადასარჩენ საშუალებად. მართალია, ეს არის ფიზიკური, ხორციელი გაჭირვების ადგილი, თუმცა „წუთ ერ-თითა ჭირითა“ მოიპოვება საუკუნო განსვენება. ე.ი. „უდაბნო“ გამოცდის ადგილია, სადაც გამოვლინდება ადამიანის ძლიერე-ბაცა და უძლურებაც. „უდაბნო“ არის საშუალება, შეხვიდე ახალ სულიერ სამყაროში, დაუახლოვდე ღმერთს და მასთან ერთობით დასძლიო საკუთარი ვნებები. უდაბნოში მიიღო ეპრ-აელმა ხალხმა კანონი, წმ. მოსემ ორმოცი წელი ატარა ისინი

აქ, რათა ახალი თაობა მომზადებულიყო აღთქმულ ქვეყანაში შესასვლელად. „ყოველ დროსთვის შეიძლება იმაზე ფიქრი, რომ ყველა ადამიანს აქვს თავისი სულის უდაბნო, რომლის მიღმაა უმთავრესი საოცნებო, რომელსაც მისწვდება ან ვერ მისწვდება (მსგავსია გალაკტიონის „უდაბნო“, „სწუხს ჩემი სული, ვით სამრეკლო ცის უდაბნოში“, – „სამრეკლო უდაბნოში“. რომანტიკულ სულიერ უდაბურებაში შემოტანილი ტაძარი შინაგანი ხილვაა, უდაბურების გასულიერებაა. ამიტომ ეს საოცნებო ტაძარი ფიქრივით ქრება. 6. ბარათაშვილის „ვპოვე ტაძარი“) (სირაძე 1987: 149).

აგიოგრაფის განმარტება წმ. დავითი „წარვიდა ... სჯად თავისა თქსისა“ სერიოზული მინიშნებაა ასკეტური ცხოვრების მიზანდასახულობისათვის. როგორც განდეგილური ცხოვრების, საუდაბნოო-სამონაზვნო მოსაგრეობის დასაბამის დამდები წმ. ანტონ დიდი განმარტავს: „განსჯა და კეთილგონიერება თვალნია სულისა, მისი კანდელი... განსჯის უნარით ჩვენ განვიხილავთ ჩვენს სურვილებს, სიტყვებსა და საქმეებს და განვემორებით ყველაფერ იმას, რაც ღვთისაგან განგვამორებს; განსჯითა და კეთილგონიერებით დავარღვევთ და ვძლევთ მზაკვარი მონიალმდეგის ყველა მანქანებას“ (ანტონ დიდი 1991: 268).

რა თქმა უნდა, რთულია ცხოვრების ასეთი სახეობა, მაგრამ ყველა სიძნელე და მოკლება ამქვეყნიურ სიამეთაგან არაფერია იმ დაუსრულებელ სიკეთესთან შედარებით, რომელსაც ამაოებისაგან, ამა სოფლისაგან განდეგომილთ განუმზადებს ღმერთი. ამ შეგნების გამომხატველია ავტორის სიტყვებიც: „წუთერთითა ჭირითა მოიპოოს საუკუნოდ იგი და წარუვალი შუებად და განსუენებად“.

წმ. ანტონ დიდი მეუდაბნოე ცხოვრების წესის არჩევას ასე განმარტავს: „ჩვენი სულიერი მამები გვარწმუნებენ, რომ უდაბნო ყველაზე შესაფერისი ადგილია სიკვდილზე ფიქრისათვის და ყველაზე საიმედო თავშესაფარია საამქვეყნო გატაცებები-საგან თავის მოზღუდვისათვის“ (ანტონ დიდი 1991: 254).

„წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების“ დასაწყისი გვამზადებს იმ ღვანლის სწორად შეფასებისა და დაფასებისათვის, რომელიც ცოცხალ მაგალითად დაგვისახა, როგორც სახე ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრებისა.

დასაბამი და საფუძველი მოსაგრე ცხოვრებისა არის მოთ-მინება და მორჩილება. როგორც მოსალოდნელი იყო, ასურელ მამათა ცხოვრების წიგნებში საგანგებოდაა აქცენტირებული ეს სათნოება. ასეა „წმ. დავით გარეჯელის ცხოვრებაშიც“. ნეტარი მამა თავის მონაფეს, ლუკიანეს, მიმართავს: „ძმაო, ლუკიანე, დავდგეთ ადგილსა ამას და ვევედრნეთ ღმერთსა, რათა მყუ-დროებით ვედრებითა და ცრემლთა დათხევითა და მოთმინები-თა მცირედითა მოგვტევნეს ღმერთმან აურაცხელნი ცოდვანი და ბრალნი ჩუენნი“ (ძეგლები 1964: 230).

უსაზღვრო მოთმინება ყველა საქმესა თუ გაჭირვებაში არის მოსაგრის ყოველდღიურობის გარდაუვალი აუცილებლობა. თავად მაცხოვარი ასე შეგვაგონებს: „მოთმინებითა თქუენითა მოიპოვნეთ სულნი თქუენნი“ (ლ. 21, 19). წმ. დავითი საგანგე-ბო აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ „ჭირი აქად მცირე არს და წარმავალ, ხოლო დიდებად იგი მუნ მოუკლებელ არს და წარუ-ვალ“ (ძეგლები 1964: 230). ეს სრულ ჰარმონიაშია თხზულების დასაწყისთან: „წუთ ერთითა ჭირითა მოიპოოს საუკუნო იგი და წარუვალი შუებად“. ჩვენს დაუნდობელ წუთისოფელში, რომელშიც ყოველივე ამაო და წარმავალია, გასაჭირი ხან-მოკლე და წარმავალია, დროებითია იმ დაუსრულებელ სიხა-რულთან შედარებით, რომელსაც უფალი აღუთქვამს სასუფ-ევლისთვის დამშვრალთ. რადგან ყველაფერს აქვს დასას-რული, დამთავრდება ის „ჭირი“, რომელშიც მოსაგრეობის დასაწყისშივე აღმოჩნდნენ წმ. დავითი და ლუკიანე. ამიტომ ნეტარი ბერის დასკვნა ასეთია: „ამისთვისცა ჯერ-არს აქა მოთმინებად“ (ძეგლები 1964: 230).

მოთმინების სათნოებაზე აქცენტი მაშინაც კეთდება, როცა, თხზულების მიხედვით, ლუკიანე შესჩივლებს თავის მოძღვარს: გადახმა მდელო და საზრდელი არაფერი მოგვეპოვებაო. „შენ მსწრაფლ სულმოკლე ხარ ... ფრიად შეფოთ ხარ და განილევი ხრწნადითა ჭამადთათუს“ (ძეგლები 1964: 231).

ძალიან საინტერესოა ლუკიანეს სახე. თხზულების დასაწყ-ისში ის გამუდმებით წუნუნებს, უჭირს მოსაგრის ღვანლის ტვირთის ზიდვა. მისი ლექსიკაც ამ ნაკლულევანების ამსახ-ველია: „ჩუენ კაცნი ვართ მყოფი ჭორცთა უძლურებასა შინა და ვითარ თავს ვისხნეთ ჭირნი და განსაცდელნი ამის უდაბ-

ნოდანი“ ან „ან რაღა იყოს ნუგეშინის საცემელად უძლურებასა წორცთა ჩუენთასა, რამეთუ განსხეს მდელონი ესე, რომლისაგან იქმნებოდა სასოებად წორცთა ჩუენთა განსუენებისად“ (ძეგლები 1964: 230).

ლუკიანეს ამ სიტყვებში აშკარად იკვეთება მისი შიში ხორცის დუძლურების გამო. „წორცთა უძლურება“ ფრიად აურვებს, „წორცთა განსუენებაზე“ ფიქრი თითქოს აშორებს ასკეტურ ცხოვრებას. და ეს ერთსა და იმავე პირობებში, ერთმანეთის გვერდიგვერდ – წმ. დავითი უძლებს, დაითმენს ამ „მცირე ჭირს“, ლუკიანე კი მერყეობს. მას სჭირდება რწმენაში განმტკიცება და ღირსი პეტრე დამასკელის თქმისა არ იყოს: „უწინამძლვოდ ადამიანის გონებას არ ძალუძს ზეცაში აღსვლა“ (მოძღვართა შესახებ 2005: 45). სწორედ ამ ფუნქციას იტვირთავს მისი მოძღვარი და მასწავლებელი, რომლის პასუხები ერთგვარი გაფრთხილებაა სულიერი მღვიძარებისათვის: ჯერ არს აქა მოთმინება“, „მქნე იყავ, ძმაო ლუკიანე, და ნუ გეშინინ, რამეთუ მოწყალე არს ღმერთი და არა მოგუაგებს ცოდვათა ჩუენთაებრ, არამედ სიტყბოებით ზრდის ყოველთა მოშიშთა მისთა“ (ძეგლები 1964: 230) ან „ნუ დაგიც სასოებად მდელოთა მიმართ და მცენარეთა ქუეყანისათა“ (იქვე: 231) და მისთან.

ფაქტობრივად, ძეგლის I თავი ეს არის მოთმინების სათნოების აპოლოგია, რომელიც გამოიკვეთება წმ. დავითისა და ლუკიანეს დიალოგების ფონზე. სიუჟეტის ასეთი განვითარება კი თავისთავად არის პასუხი იმისა, რასაც ასე გადმოგვცემს თავის წესდებაში ანტონ დიდი: „რასაც უნდა აკეთებდე, მოთმინედ გააკეთე და ღმერთი იქნება შენი შემწე ყოველ საქმეში და ყოველთვის გიგველის განსაცდელის უამს, რაც უნდა შეგემთხვეს“ (ანტონ დიდი 1991: 271).

წმ. დავითის პასუხში არის ერთი მნიშვნელოვანი ფრაზაც: „მოწყალე არს ღმერთი და არა მოგუაგებს ცოდვათა ჩუენთაებრ, არამედ სიტყბოებით ზრდის ყოველთა მოშიშთა მისთა“ (ძეგლები 1964: 230).

ლვთის მოშიშთა სიტყბოებით მზრდელია უფალი – ფიქრობს ნეტარი ბერი. როგორც, საერთოდ, ქართულ აგიოგრაფიაში, ამ თხზულებაშიც ასე მნიშვნელობს ლვთისმოშიმობის

თემა. ცოტა ქვემოთ წმ. დავითი ლუკიანეს, შეშინებულსა და შეძრნუნებულს „მდებარეს მინასა ზედა“ ვეშაპის სასწაულის გამო, ასე გაამნევებს: „ძლიერებად ღმრთისად ჩუენ თანა არს და მადლი ღმრთისად ჰუარავს ყოველთა მოშიშთა მისთა“ (ძეგლები 1964: 232-233).

ნეტარი ბერის ასეთ მსჯელობას, ღვთის შიშისადმი მის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას თავისი ახსნა აქვს. ღვთის შიში ითვლება დასაბამად ყოველგვარი სათნოებისა და საფუძვლად სიპრძნისა. „შიში ღვთისა, რომელიც ადამიანის სულს აღავსებს, იმის მსგავსია, რომ ბნელით მოცულ სახლში ლამპარს შეიტანენ და წყვდიადს გაჰუანტავენ. ღვთის მოშიშება მონაზონისგან განდევნის ყოველივე ბნელს, ანუ ბოროტ ვნებებსა და ამაო ზრახვებს, და საღვთო მოშურნეობას აღანთებს მასში სათნოებისადმი“ (ანტონ დიდი 1991: 299).

მთლიანობაში, ღვთის შიშის, როგორც გამორჩეული სათნოების მოთხოვნა, უფლის განსაკუთრებულ წყალობას უკავშირდება და ამით მნიშვნელობს.

„ურწყულ უდაბნოში“ ჩასული მოსაგრეები: წმიდა დავითი და ლუკიანე იმთავითვე განსაზღვრავენ მოქმედების პრინციპს. კერძოდ, ნეტარი დავითი ლუკიანეს ასე განუმარტავს: „ვევედრნეთ ღმერთსა, რადთა მყუდროებით ვედრებითა და ცრემლთა დათხევითა და მოთმინებითა მცირედითა მოგცტევნეს ღმერთმან აურაცხელნი ცოდვანი და ბრალნი ჩუენნი“ (ძეგლები 1964: 230).

რით არის მნიშვნელოვანი ეს ჩამონათვალი? მოთმინების ღვაწლზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. მეუდაბნოის ცხოვრება აღბეჭდილ უნდა იქნეს დაუცადებელი ლოცვით. თანაც ეს უნდა იყოს „მყუდროებით ვედრება“, ანუ მშვიდი ვედრება (სარჯველაძე 2001: 157), რომელსაც თან ახლავს ცრემლი.

მშვიდი, მყუდროებით ლოცვა წმ. დავით გარეჯელის ბუნებრივი მდგომარეობაა. აგიოგრაფი გვაუწყებს: „წმ. მამა დავით დღითი-დღე განვიდის პარეხთა კლდეთასა და მარტო მყუდროებით აღასრულებდა წმიდათა ლოცვათა“ (ძეგლები 1964: 234). მშვიდი ცხოვრება, ლოცვით აღსრულებული და სიწმინდით გამშვენებული, იდეალი იყო ნეტარი დავითისათვის. იგი საგანგებოდ განუმარტავს „ჰუნსა ზედა“ მჯდომარე ბარ-

ბაროზს, რომ „ვევედრები მოწყალებათა მისთა, რათა მომიტევნეს ყოველნი ცოდვანი ჩემნი და რათა მყუდროებით და უშფოთველად განვლო წუთი ესე ცხორებაზ ჩემი“ (იქვე: 234).

იაკობ მოციქული ბრძანებს: „გულისწყრომამან კაცისა-მან სიმართლე ღმრთისად არა ქმნის (იაკ. 1, 20). ამიტომ უნდა ეპრძოლოს ადამიანი საკუთარ თავს, მრისხანებამ არ იმძლავ-როს სულში და ბილწი გულისთქმა არ მთავრობდეს მასზე. როგორც განდეგილი მამები შეგვაგონებენ: „თუ გსურთ წარმატებულად იღვწოდეთ სათნოებისათვის და უფრო სრუ-ლად აღორძინდებოდეთ სულიერად, მარად მშვიდი და აღუშ-ფოთველნი იყავით გულით“ (ანტონ დიდი 1991: 205). აქვე თუ გავიხსენებთ უფლის პირველ ქადაგებას მთაზე: „ნეტარ იყვნენ მშვიდინი“ (მ. 5, 5), მაშინ ნათელი გახდება, თუ რატომ ითხოვს წმ. დავით გარეჯელი მყუდროებით, მშვიდ ვედრებას. თანაც აქვე იკვეთება მისი უდრეკი რჩმენა იმისა, რომ, თუ ასე მოითხოვს, მიიღებს კიდეც წყალობას ღვთისგან. მარადი და უცვლელია სიმშვიდე: „მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა“ (მ. 11, 29) – ბრძანებს მაცხოვარი. უშფოთველობისა და ურისხველო-ბის შეძენას დიდი შრომა სჭირდება. ამ ლვანლის შედეგია ის, რომ ღმერთი შეისმენს სრული გულით მის მოყვარულთა და მეძიებელთა ვედრებას და კეთილად შეინწარებს მათს ყველა სათხოვარს.

გარდა ამისა, „ბოროტ ვნებათა ძლევა მონაზონს უვნე-ბლობას მიაახლოებს, ეს კი სულიერ მშვიდობას ააღორძინებს მასში, სულიერი სიმშვიდე, ლოცვითა და ღმრთის მოაზრებით შობილი შეგრძნებით სიტკბოებას, სულიერ სითბოს აღაგ ზნებს მონაზვნის გულში და ეს სითბო სულისა, შეიკრებს რა მთელ ძალას სულისას, სამშვინველისა და სხეულისას, საკუთარ არ-სებას ჩაუღრმავებს მონაზონის გონებას, შიგნით ჩაახედებს, სადაც იგი შეიგრძნობს უცილობელ მოთხოვნილებას, მარტო იყოს ერთ ღმერთათან“ (ანტონ დიდი 1991: 144).

წმ. დავით გარეჯელის თქმით, მშვიდ ვედრებას უნდა დაემატოს ცრემლთა დათხევა. ცრემლით ლოცვა ერთი მაგის-ტრალური ხაზია ქართული აგიოგრაფიისა. გამორჩეულია სათ-ნოების ეს სახეობა. საკუთარი ცოდვებისგან გათავისუფლება შესაძლებელია უკიდურესი სინანულითა და ტირილით, ამასთა-

ნავე, ვისაც სურს ქველის საქმენი შეიძინოს და სათნოებას მიაღწიოს, ცრემლითა და მწუხარებით უნდა შეუდგეს ღვანლს (ანტონ დიდი 1991: 305). თვით ფსალმუნთგალობა, თავისთავად, ცრემლიანი სინანულია ღვთის წინაშე აღვლენილი. ესაია წინასწარმეტყველის წიგნში (თ. 38) იუდეის მეფე ეზეკიამ ტირილითა და ცრემლიანი სინანულით არა მხოლოდ განკურნვა მიიღო სენისგან, არამედ იმის ღირსიც შეიქმნა, რომ მისი ცხოვრება კიდევ თხუთმეტი წლით გაგრძელებულიყო. წმიდა პეტრე მოციქულმაც დაღვრილი ცრემლებისათვის მიიღო შენდომა უფლისგან. მენელსაცხებლე დედაც ცრემლებს ღვრიდა მაცხოვრის ფერხთით და ამ სიტყვების მოსმენის ღირსი გახდა: „სადაც იქადაგოს სახარებაა ესე ყოველსა სოფელსა, ითქმოდის, რომელიცა-ესე ყო მაგან“ (მ. 26, 13).

საუდაბნო-სამონაზვნე მოსაგრისათვის აუცილებელია ცრემლის ზეთით აანთოს მისივე სულის კანდელი (ანტონ დიდი 1991: 271). ქართველი აგიოგრაფი არ ივიწყებს ცრემლით ლოცვის განსაკუთრებულ მადლს და ცოტა ქვემოთ წმ. დავითის შესახებ გვაუწყებს: „მყუდროებით ალასრულებდა წმიდათა ლოცვათა და ოფლთა და ცრემლთა ნაკადულითა რწყვიდა უდაბნოთა“ (ძეგლები 1964: 234). ასევე, კაცი იგი ბარბაროზი, რომელსაც წმ. დავითის მოკვლა ეწადა, „გარდაპწედა ჰუნესა და დაგარდა ფერწეთა თანა ბერისათა და ცრემლით ევედრებოდა“ (იქვე: 235) ან „იწყო ვედრებაა მისთა ცრემლითა მწურვალითა“, იერუსალიმს მიახლოებული წეტარი დავითი „დავარდა და იატაკსა დაალტობდა ცრემლითა... და ტიროდა და დასთხევდა ცრემლთა“ (იქვე: 235)⁸. იერუსალიმის პატრიარქზე ნათქვამია: „ცრემლით ვედრებაა შეწირა უფლისა“ (იქვე: 238).

ასეა ცრემლის მადლით გაჯერებული მთელი თხზულება და ეს კიდევ ერთხელ შეგვახსენებს იმას, რომ ყოველგვარი სიმძიმე, მონაზვნურ მოსაგრეობას რომ ახლავს თან, ადვილად დაიძლევა, თუ იქნება მხურგალე, მაგრამ მყუდროებითი ლოცვა-ვედრება, ცრემლთა დათხევითა და სინანულის ღვანლით.

ჩვენი კვლევის მიზანს არ შეადგენს იმის გარკვევა, ასურელი მამები მონოფიზიტები იყვნენ თუ არა. ეს საკმაოდ რთულად გადასაჭრელი პრობლემაა. ამ ეტაპზე შევნიშნავთ შემ-

8 შდრ. „წმ. შიოსა და ევაგრეს ცხოვრება“ (ძეგლები 1964: 218)

დეგს: კ. კეკელიძე იმის დასადასტურებლად, რომ ასურელი მამები, მართლაც, მონოფიზიტები იყვნენ რამდენიმე ყურად-სალებ არგუმენტს მიუთითებს. ერთ-ერთი ასე ჟლერს: „ასეთი ექსცენტრული, პირდაპირ ფსიქო-პათოლოგიური საქციელი და არაბუნებრივი რეჟიმი დამახასიათებელია მონოფიზიტური ასკეტიზმისა, რომელსაც, სხვათა შორის, ახასიათებდა აგრეთვე მუდმივი ტირილი და ცრემლების ღვრა; ამას ადგილი ჰქონდა ათცამეტ მამათა ცხოვრებაშიც: „წყარო ცრემლთად დაუწყუე-დელი მარადის გარდამოსდინ თუალთა იოანესთა და დღე და ღამე დაალტობნ სარეცელთა თვესთა ცრემლითა და განბანნ მას ნაკადულითა, თუალთაგან ჩამომდინარითა“, აგრეთვე შიო „დავრდომილ მიწად, დაალტობდა იატაკასა ცრემლთა მიერ, რომელი შთამოვიდოდეს თვალთაგან მისთა, ვითარ წყარონი დაუწყუედელი“ და ასწავებდა მოწაფეთა თვესთა: „ტირილი იყავნ თქუენდა სამარადისო, რომელი მოატყუებს სიხარულსა საუკუნესა“ (კეკელიძე 1956: 33).

ეს ციტაციები დიდ მეცნიერს მოყვანილი აქვს „საქართველოს სამოთხეში“ წარმოდგენილი მეტაფრასული რედაციებიდან. ამ ჩამონათვალს თუ დავუმატებთ იმას, რაზეც ჩვენ წმ. დავით გარეჯელის შესახებ ვისაუბრეთ, სურათი უფრო დამძიმდება, თუმცა ვერ გავიზიარებთ ამ მოსაზრებას. წმ. ანტონ დიდი, თავის წესდებაში განდეგილთათვის, საგანგებო თავს უძლვნის გულშემუსვრილობასა და ცრემლებს (ტირილს): „განუწყვეტლივ ღვარე ცრემლი შენს ცოდვათა გამო... გამომ-ეტყველება შენი პირისახისა ყოველთვის მწუხარე უნდა იყოს, რათა ღვთის შიში იყოს შენში... ცრემლები დაღვარე შენს ცოდვათა გამო“ (ანტონ დიდი 1991: 271–272). ამ წესდებას ეს დიდი მეუდაბნოე მამა ასე ამთავრებს: „ყოველ ღამ ცხარე ცრემლები ღვარე შენს სარეცელზე და დაალტვე იგი“ (იქვე: 280).

იმედია, წმ. ანტონ დიდის აღმსარებლობაში ეჭვს არავინ შეიტანს და IV საუკუნის ლირს მამას, საუდაბნო–სამონაზვნო მოსაგრეობის დასაბამს, მონოფიზიტობას ვერავინ დასწამებს. ჩვენი აზრით, ცრემლი სინანულისა, საკუთარი ულირსობის განცდისა, საერთოდ, დამახასიათებელი მოვლენაა ქრისტიანობის ისტორიისათვის, დიდია მისი ხვედრითი წილი ქართულ აგიოგრაფიაში, ზოგადად, და, კერძოდ კი, „ასურელ მამათა წამება–

ცხოვრებანშიც“. ასე რომ, რაიმე მონოფიზიტურს, უკიდურესი ასკეტიზმის გამოვლენას ამ მხრივ ვერ ვხედავთ.

„ნმ. დავით გარეჯელის ცხოვრების“ პირველი თავი მკვე-
თრად და ზუსტად შეგვაგრძნობინებს იმ დიდ სხვაობას, რო-
მელიც ღმრთისმიერ სულიერ ცხოვრებასა და საზრუნავით აღ-
სავსე ამქვეყნიურ ყოფას შორის არსებობს. პავლე მოციქულიც
თავის ეპისტოლეში ხაზგასმით მიგვახვედრებს, რომ განდგომი-
ლი ადამიანი მხოლოდ სულისთვის უნდა იღვწოდეს და მხოლოდ
იმას უნდა ფიქრობდეს, თუ როგორ სათნო-ეყოს ღმერთს (1
კორინთ. 7, 32). ამგვარი ცხოვრების აუცილებლობა ქრისტეს
ეკლესიის დაფუძნებისთანავე იქნა დადგენილი, როგორც არსე-
ბითი ნაწილი „მის შენებულობაში და სწორედ უფლის პირველ
მოციქულთაგან შეიძინა ფუძემდებელი კანონები“ (ანტონ დიდი
1991: 187).

ნმ. დავითი და ლუკიანე ფიცხელი ურწყული უდაბნოთი,
ასეთი ძნელი გზით, მიიღოვან სრულყოფილებისკენ სათ-
ნოებათა მოპოვებაში. ამ გზის სირთულეს მწვავედ განიცდის
ლუკიანე, რომელსაც აფიქრებს „ფრიადი სივიწროე“ და „სი-
ფიცხელე ამის უდაბნოსაო“. მას ასკეტური ცხოვრების და-
საწყისში უჩნდება შეკითხვა: „ჩუენ კაცნი ვართ მყოფი ჭორც-
თა უძლურებასა შინა და ვითარ თავს – ვისხნეთ ჭირნი და
განსაცდელი ამის უდაბნოსანი?“ (ძეგლები 1964: 230) ლუკი-
ანე კიდევ ერთხელ დაუბრუნდება ამავე პრობლემას: „ან რაღ-
ლა იყოს ნუგეშინის საცემელად უძლურებასა ჭორცთა ჩუნ-
თასა“ (იქვე: 230).

ეს მაგალითები იმაზე მიგვითითებენ, რომ ასკეტური
ცხოვრების პირველ ეტაპზე ლუკიანე ამა სოფლის ზრუნვით
იყო შეპყრობილი. სულისა და ხორცის ჭიდილი, დაპირისპ-
ირება კარგად არის გადმოცემული სიტყვებში: „კაცნი ვართ
მყოფი ჭორცთა უძლურებასა შინა“.

პროფ. რ. ბარამიძე ამის შესახებ წერს: „მრავლის მეტყვე-
ლია ლუკიანეს გულწრფელი თქმა – „ჩვენც კაცნი ვართ“ ამ
უშუალობაში ჩანს მთელი მისი ადამიანური სისუსტე“ (ბარამიძე
1966: 38).

უფალი ჩვენი იესო ქრისტე თავის მოწაფეებს აღთქმად
დაუდებს: „ეკრძალენით თავთა თქუენთა, ნუკუე დამძიმდენ

გულნი თქუენნი შვებითა და მთვრალობითა და ზრუნვითა ამის სოფლისადთა“ (ლ. 21, 34). ეს შეგონება განსაკუთრებულად უნდა აღასრულონ მათ, რომლებიც ბერმონაზვნური მოღვაწეობის მოშურნეობით აღვსებულან და ამ გზით მოსურვებიათ სრულყოფილი სიწმინდის მოპოვება.

ეს ყოველივე კარგად ესმის ნეტარ დავითს და მისი მცდელობაც აქეთენაა მიმართული. იგი მოციქულის ამ შეგონების აღსრულებისკენ მოუწოდებს ლუკიანეს: „აღვიკრძალავ წორც-თა ჩემთა და დავიმონებო“ (I კორ, 9, 27). ბერის პასუხები ერთი მთლიანი თეორიული მსჯელობაა წარმავალსა და წარუ-ვალზე, ღვთის უსაზღვრო მოწყალებასა და მოთმინებაზე და შეგვიძლია ასეთ დებულებებად ჩამოვაყალიბოთ:

„ჯერ-არს მოთმინება;“

მოწყალე არს ღმერთი და არა მოგვაგებს ცოდვათა ჩვენ-თაებრ;

[ღმერთი] სიტყებოებით ზრდის ყოველთა მოშიშთა მისთა;

ნუ დაგიც სასოებად მდელოთა მიმართ და მცენარეთა ქუ-ეყანისათა;

ყოველნი ნივთნი ქუეყნიერნი ცვალებად და წარმავალ არიან;

ნუ შფოთ ხარ;

ნუ განილევი განკრწნადთა ჭამადთათუს“.

ამავე თავში აგიოვრაფი შენიშნავს, რომ წმ. დავითმა და ლუკიანემ უხვად მოიპოვეს ხორცთა ნუგეშინის საცემელი და „ადიდებდეს ღმერთსა, მომცემელსა ყოველთა კეთილთასა“ (ძეგლები 1964: 230).

გარდა ამისა, „წმ. დავით გარეჯელის ცხოვრება“ დატვირ-თულია სასწაულების მთელი ციკლით, იქნება ეს ირემთა სას-წაული, ვეშაპთან დაკავშირებული ეპიზოდი, ქორისა და კაკაბის, ბარბაროზი კაცის, კოჭლი ყრმის, ქვის, წყლისა და ნიახურის დატკბობის სასწაულები. ყველაფერი ემსახურება იმას, რომ იდიდოს ღმერთი.

სხვათა შორის, ტექსტში ამის შესახებ არაერთი მინიშნებაა. ე.ნ. ვეშაპის სასწაულის ეპიზოდში ღვთის ანგელოზი ასე მიმარ-თავს ნეტარ ბერს: „მოწაფე შენი ლუკიანე დაცემული მდებარე არს პირსა ზედა შიშისაგან ვეშაპისა. ხოლო შენ უპყარ წელი და

აღადგინე და განაძლიერე და განამტკიცე იგი და ორნივე ზოგად ადიდებდით ღმერთსა“ (ძეგლები 1964: 232).

კახეთიდან მოსულმა მონადირეებმა, როცა იხილეს ბერს დამორჩილებული ირმები, გაკვირვებულებმა წამოიძახეს: „დიდ არს დიდებად უფლისაა“ (ძეგლები 1964: 233). ნეტარი დავითი, უფლისთვის აღვლენილ ვედრებაში, განკურნოს ჭელი იგი განკმელი“ ბარბაროზი მკვლელისა, დასძენს: „რათა გულისჭმა—ყოს და გიცნას შენ და ადიდებდეს სახელსა შენსა“ (იქვე: 235).

ღვთის დიდება, როგორც ლაიტმოტივი, თან გასდევს ყოველ სასწაულს. როდესაც განკურნებული მკვლელი შვილის განკურნებას სთხოვს წმ. დავითს, ასე მიმართავს: „ევედრო უფალსა შენსა მისთვს და უკუეთუ განიკურნოს იგი, უმეტეს იდიდოს სახიერებად მისი“ (იქვე: 235). როდესაც შინ დაბრუნებული ალსრულებულ სასწაულს იხილავს, ავტორი გვაუწყებს: „და ყოველნი ზოგად ადიდებდეს ღმერთსა“ (იქვე: 236).

იერუსალიმიდან დაბრუნებული დავითი „მოინია რა უდაბნოსა თვისა, ყოველნი ძმანი სიხარულით მიეგებვოდეს და ადიდებდეს ღმერთსა“ (იქვე: 239).

იერუსალიმის პატრიარქის სასწაულებრივი ხილვის გამგონე დავითი სამგზის ადიდებს უფალს: „დიდებად შენდა, ქრისტე ღმერთო ჩვენო! და დიდებად შენდა, სამებაო წმიდაო, ერთ ღმრთებაო, ერთ არსებაო, დიდებად შენდა ღმერთო“ (ძეგლები 1964: 238). თხზულება მთავრდება ღვთის დიდებით: „და იყო მათ შორის ერთი ძმათაგანი, რომელსა ერთი თუალი არა ედგა და შე—რა—ეხო გუამსა მას წმიდასა, მეყსეულად განიკურნა და ყოველნი ადიდებდეს ღმერთსა... და რომელნი სარწმუნოებით მივლენ სამარხოსა მას, მიიღებენ კურნებასა სულთა და წორცობასა და ადიდებენ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ“ (იქვე: 240).

წმ. ანტონ დიდი თავის წესდებაში განმარტავს: „ყოველ საქმეში, ყოველთვის და ყოველმხრივ ეცადე იმას, რომ შენით და შენ მიერ განიდიდოს მამა შენი, რომელი არს ცათა შინა. როგორც ეს წმიდა სახარებაშია წათქვამი: „ეგრეთ ბრწყინევ-დინ წათელნი თქუენნი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქმენი

თქუენი კეთილნი და ადიდებდნენ მამასა თქუენსა ზეცათასა“ (მ. 5, 16)(ანტონ დიდი 1991: 274).

ჩვენ მსჯელობა იქითკენ მიგვყავს, რომ ერთ-ერთი უმ-თავრესი საყრდენი ათცამეტი ასურელი მამისათვის არის წმ. ანტონ დიდის სწავლანი, მისი „წესდება განდეგილი ცხოვრები-სა“. ეს არც არის გასაკვირი, რადგან წმ. ანტონმა დაუდო დასაბამი საუდაბნო-სამონაზვნო მოსაგრეობას, მან თავისი ცხოვრებით მოგვცა მაგალითი ამ სახის ღვთივსათნომყოფ-ელობისა, შექმნა სწავლანი ქრისტიანულ სათნოებაზე, სუ-ლიერ ღვაწლსა და მონაზვნურ ცხოვრებაზე; შვიდი ეპისტო-ლე, მიმართული სხვადასხვა მონასტრისა თუ მოსაგრისადმი, რომლებშიც გვასწავლის სულიერ ბრძოლასა და მისწრაფებას სრულყოფისაკენ; მონაზონთა ცხოვრების წესდება, მრავალ-რიცხოვანი გამონათქვამი საღვთო სწავლა-მოძღვრებისა. გარ-და ამისა, ერთი ვრცელი სიტყვა, მოყვანილი მისი ცხოვრების აღწერაში, რომელიც ეკუთვნის ეკლესიის მეორე დიდ მამას – წმ. ათანასე ალექსანდრიელს, და რომელიც პირველ ძეგლს წარმოადგენს მართლმადიდებელი აგიოგრაფისა (ანტონ დიდი 1991: 148–149).

თვალი რომ გავადევნოთ თუნდაც წმ. ანტონის „წესდებას განდეგილი ცხოვრებისათვის“ დავრწმუნდებით, თუ როგორ ახლოს დგას მასთან ასურელ მამათა „წამება-ცხოვრებანის“ ტექსტები და როგორი მსგავსებაა თემატიკის თვალსაზრისით, მაგალითად: ღოცვა-ვედრება, საღვთო წერილის კითხვა და ფიქრი ღმრთის დიდებულებზე, ურთიერთდამოკიდებულება, ღმერთის განდიდება, ხსოვნა სიკვდილისა და განკითხვის დღისა, მოთმინება, გულშემუსვრილობა და ცრემლები (ტირილი), ცოდ-ვასთან ბრძოლის ღვაწლი... გარდა ამისა, ასურელ მამებსაც აქვთ თავიანთი ე.ნ. ზნეობითი სწავლანი, ამითაც ენათსავებიან ისინი წმ. ანტონ დიდს. სხვათა შორის, „წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების“ ტექსტში ეკლესიის მამათაგან საგანგებოდ და მხ-ოლოდ წმ. ანტონია მოხსენიებული:

„ძმაო, ლუკიანე, რომელმან იგი უდაბნოს გამოზარდა ერი იგი ისრაცლთად და კლდისაგან მყარისა წყალი აღმოუცენა და მწყერ-მარწილი უწმება შორის ბანაკისა მათისა და ელია ყორნისა მიერ გამოზარდა და წმიდასა ანტონის და სხუათაცა მამათა წმი-

დათა, რომელი დამკდრებულ იყვნეს მთათა და „უდაბნოთა შინა და მისცა მათ საზრდელი“ (ძეგლები 1964: 230).

ჩვენი ღრმა რწმენით, ასურელ მამათა საქართველოში მოღვაწეობის, სამონასტრო ცხოვრების აღორძინების საქმეში ნარმართველი იქნებოდა წმ. ანტონ დიდის სახელმძღვანელო ბერმონაზვნური ცხოვრებისა და მისი სწავლანი, როგორც საყრდენი მათი ღვაწლის სწორადწარმართვასა და სათნოებათა მოსაპოვებლად მოსაგრე ცხოვრებისათვის.

კეთილმსახურ ცხოვრებასთან ერთად, სათნო ნაყოფად ითვლება მადლიერება ღვთის მიმართ. ეს სათნოება განსაკუთრებულად მნიშვნელობს „წმ. შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში“, „წმ. დავით გარეჯელის ცხოვრებაც“ არაერთი ნიმუშს გვთავაზობს. მთლიანობაში ჩვენ ცოცხალ მაგალითად გვრჩება ასკეტ მამათა ცხოვრების წესი, რომელიც ყოველი საქმის აღსრულების შემდეგ უფლისადმი ალვლენილი მადლობით მთავრდება. მადლობის თქმა, მადლიერების გამოხატვა გადაჯაჭვულია უფლის დიდებასთან. შესაბამისად, ტექსტის მიხედვით, მადლობის შენირვა ღვთისადმი ხან უსწრებს უფლის დიდების შესხმას, ხან მასზე წინ ითქმება. მაგ., შეშინებული ლუკიანე გაამზნევა, რწმენაში განამტკიცა წმ. დავითმა. აგიოგრაფი გვაუწყებს: „ხოლო იგი განმხიარულდა სიტყუათა ამათ ზედა ბერისათა და მადლობაა შესწირა უფლისა“ (ძეგლები 1964: 233). ნეტარი დავითის ლოცვით განიკურნება ბუბაქრის შვილი: „და ვითარცა იხილა იგი მამამან მისმან მრთელი და ყოვლითურთ უნაკლო, გარდაქდა ჰუნესა და მადლობა შენირა ღმრთისა“. ელია პატრიარქის ღვთაებრივი გამოცხადების შესახებ „ვითარცა ესმა ესე ყოველი წმიდასა დავითს... მადლობა შესწირა უფლისა“, ერთობ უცნაურადაა აღნერილი ბერის გარდაცვალება: „ცნა მამამან დავით განსვლად მისი ხორცთაგან... უბრძანა მღდელთა შენირვად მსხვერპლისად და ეზიარა წმიდასა მსხუერპლსა ქრისტეს ღმრთისასა და აღიპყრნა ხელნი და მადლობაა შესწირა ღმრთისა და ესრეთ შეჰვედრა სული თვის წმიდაა უფალსა“ (იქვე: 239-240).

როგორც ვხედავთ, წმ. დავითი სიკვდილის წინ მადლობას სწირავს უფალს. რატომ? - იმიტომ ხომ არა, რომ უზიარებლად არ აღესრულა, რომ სიკვდილის წინ ეზიარა „წმიდასა მსხუერპლსა ქრისტეს ღმრთისასა“. (სხვათა შორის, საეკლესიო გარდა-

მოცემით, ქრისტიანი ადამიანი განსაკუთრებულად წმ. ბარბარე დიდმონამეს უნდა ევედროს, რომ სიკვდილის წინ ღირსი გახდეს წმ. ზიარებისა).

რისთვის შესწირა მადლობა უზენაესს წმ. დავითმა? – ამაზე პასუხი ადვილია, თუ გავიხსენებთ, როგორ ეგებებოდნენ სიკვდილს წმიდა მამები. ასე მაგალითად, მთელი არსებით მიიღოდა მონამებრივი აღსასრულისაკენ წმ. ეგნატე ღმერთშემოსილი, ანტიოქიის ეპისკოპოსი. წმ. პოლიკარპე სმირნელმა მონამებრივი აღსასრულის წინ ილოცა და ღმერთს მადლობა შესწირა იმისათვის, რომ ღირსი გახდა მონამეთა დასს შეერთებოდა (ვასილიადისი 2003: 227–228). პავლე მოციქული, ამ ქვეყნიდან გასვლის წინ, ამბობდა: „მიხარის და გიხაროდესცა თქუენ ყოველთა თანა ეგრეთვე და თქუენცა გიხაროდენ და ჩემ თანა გიხაროდენ“ (ფილიპ. 2, 17–18).

ქართული აგიოგრაფიის გმირებიც სიხარულითა და სიმშვიდით ეგებებიან სიკვდილს: წმ. შუშანიკი „ჰმადლობდა ღმერთსა და თქუა: კურთხეულ არს უფალი ღმერთი ჩემი, რამეთუ მშვიდობით მას ზედა დავწევ და დავიძინე“ (ძეგლები 1964: 28);

„განმხიარულდა ნეტარი ევსტათი და ჰმადლობდა ღმერთსა“ (იქვე: 45);

წმ. აბომ „თქუა: გმადლობ და გკურთხევ შენ, სამებაო წმიდაო, რამეთუ ღირს მყავ მე მიმთხუევად ღუანლსა მას წმიდათა მონამეთა შენთასა“ (იქვე: 71);

წმ. გობრონი საკუთარ სისხლს ჯვარის სახედ გამოისახავს შუბლზე და იტყვის: „გმადლობ შენ, უფალო იესუ ქრისტე, რომელმან მე ღირს მყავ მე უღირსი ესე და ცოდვილი და უკანასკნელი ყოველთავ ნაწილსა ამას მკვდრობისასა და მონამეებისასა“ (იქვე: 182).

წმინდანებს დიდ სიკეთედ მიაჩნდათ ამ ქვეყნიდან გასვლა, მათთვის სასურველი და სანატრელი იყო სიკვდილი. მათ საცოცხლეშიც ჰქონდათ განუწყვეტელი ხსოვნა სიკვდილისა და განკითხვის დღისა.

ადამიანი ხილულ სამყაროში ზმანებასავით დადის. წმ. იოანე ოქროპირის თანახმად, ადამიანი არის „სიცოცხლის მოკლევადიანი სესხი, სიკვდილის ვალი, რომელიც არ ითმენს გადავადებას“

(ვასილიადისი 2003: 201). წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი თავისი ძმის, კესარიოსის, ცხედართან წარმოთქმულ სიტყვაში გვაუწყებს, თუ როგორ უნდა შეფასდეს ადამიანის საქმიანობა და ცხოვრებისეული მოვლენები: „უცნაურია ჩვენი ამქვეყნად მოსვლა-არაფრისაგან წარმოქმნა და წარმოქმნილი დაიშალოს. ჩვენ ვართ, ვითარცა სიზმარი, მოუხელთებელი მოჩვენება, ჩიტის გაფრენა...“ (იქვე: 263). წმ. დავით წინასწარმეტყველის მიხედვით: „კაცი, ვითარცა თივა არიან დღენი მისნი“ (ფს. 102, 15). ამიტომ გვირჩევენ, გვახსოვდეს სიკვდილი! წმ. ათანასე დიდი წერს: „მარადუამს გახსოვდეს ამ ქვეყნიდან განსვლა, ყოველ დღე მოიხსენე სიკვდილი, რომლისთვისაც უნდა ემზადებოდე“ (ვასილიადისი 2003: 209), წმ. ოანე კიბისალმწერელი გვასწავლის: „დაე სიკვდილზე ფიქრი შენთან ერთად იძინებდეს და შენთან ერთად ალდებოდეს“ (იქვე: 209); ბრძენი ზირაქი გვირჩევს: „მოიხსენებდე უკანასკნელსა შენსა და უკუნისამდე არა სცოდო“ (ზირაქ. 7, 39). ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ნიკოლაოს ვასილიადისი დაასკვნის: „ის, ვინც უფლის მოწოდებას ყურად იღებს და იფხიზლებს, ვინც სიკვდილის ხსოვნას შეინარჩუნებს, საუკუნო სიკვდილს თავს დააღწევს და ხორციელი სიკვდილი მას ვეღარ შეაშინებს“ (ვასილიადისი 2003: 212).

ღირსი პახომი დიდი, მონასტრული ცხოვრების დამფუძნებელი, თავის კატეხიზმოში წერდა: „ყოველ წამს გვახსოვდეს სიკვდილი და საშინელი ჯოვოხეთი. სიკვდილის ხსოვნა გონებას აფხიზლებს, მას შეგნებულს ხდის, უკუაგდებს ამპარტავნებასა და პატივმოყვარულ აზრებს, სულში ყოველგვარი ქედმაღლობისაგან განშორებულ სიმდაბლეს აღმოაცენებს“ (იქვე: 213). ღირსი ისაია განდევილი ამბობს: „ვინც სიკვდილზე ყოველდღიურად ფიქრობს ... იგი ღვთის წინაშე არასოდეს შესცოდავს“ (იქვე: 214). აბბა ევაგრეც ასე გვმოძღვრავს: „ნუ დაივიწყებ შენს აღსასრულს და ცოდვა არ დაისადგურებს შენს სულში“ (იქვე: 214).

სიკვდილი გარდაუვალია და, როცა ეს წამი დადგება, წმინდანები სიხარულითა და მადლობით მიიღებენ უფლის ნების აღსრულებას, რადგან „მხოლოდ ერთია შეუძლებელი ადამიანისათვის – სიკვდილი აიცილოს თავიდან, უკვდავი იყოს ამქვეყნად. ღმერთთან ზიარების მიღწევა კი მას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუკი გულისხმა-ყოფს, როგორ და რა

გზით მიიღწევა ეს“ (ანტონ დიდი 1991: 242).

სიკვდილი სიცოცხლეზე უმჯობესია, იგი მარადისობაში შესასვლელი კარიბჭეა... აგიოგრაფიის გმირები, სიკვდილის შიშზე გამარჯვებული და ამაღლებული, სიხარულთ ეგებები-ან მას და უფალს მაღლობას სწირავენ, რადგან კარგად იციან, რომ ქმნილება უბრუნდება თავის შემოქმედს.

უაღრესად საინტერესოდ და მრავალმნიშვნელოვნად ქმნის აგიოგრაფი წმ. დავითის სახეს. ვეშაპის დამორჩილების ეპი-ზოდი საინტერესოა ერთი ასპექტითაც: ვეშაპი სთხოვს პერს: „აღმომყევ თავადმდე ამის მთისა და თავს–მდებ მექმენ, რამ-თა არა მიაქცივნე თუალნი შენი ჩემგან, ვიდრე არა შთავიდე წყალსა მას“ (ძეგლები 1964: 232).

ვეშაპის დამორჩილება დიდი სასწაულია, უფლის დიდი მადლია, კეთილადწარმართებული ცხოვრებისა და უზენაეს-თან შერთვის გამოხატულებაა, მაგრამ ამ ეპიზოდში კიდევ უფრო დიდებულია იმის ხაზგასმა, თუ ნეტარი დავითის ყოვ-ლისმხედველი და ყოვლისშემძლე თვალი როგორ მფარველ ძალად ექცევა ბოროტ სულს. როცა კი წმიდა პერი „გარე მი-იხილავს“ და მისი მზერა დატოვებს ვეშაპს, მეხი დაეცემა და დაინტება. წმ. დავითი იმდენად გულმოწყალეა, რომ შეებრალე-ბა მასზე სასოებით მინდობილი ვეშაპი და ასეთი შეკითხვა აღ-მოხდება: „უფალო, მეუფეო დიდებისაო, რად მოჰკალ ვეშაპი ისი, რამეთუ სასოებით მონდობილ იყო იგი ჩემდა, ხოლო შენ სასტიკად ნარსწყმიდე იგი?“ (ძეგლები 1964: 232).

ამ ეპიზოდში საინტერესოა ისიც, რომ ნეტარი დავითი წინ მიუძლოდა ვეშაპს „და იტყოდა ფსალმუნსა: „რომელი დამკვი-დრებულ არს შენენითა მაღლისათა საფარველსა ღმრთისასა, ზეცას განისუებოს“. ეს 90-ე ფსალმუნია, მისი პირველი მუხლი, რომელიც დღეს ასე უდერს: „რომელი დამკვიდრებულ არს შენ-ენითა მაღლისათა, საფარველსა ღმრთისა ზეცათავსა განისუე-ნოს“ (ფსალმუნის.. 1960: 232). ჩვენი აზრით, წმ. დავითის მიერ წარმოთქმულ მუხლში აზრი უფრო მარტივად გასაგებია. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ისიც, თუ რატომ ამბობდა ამ ფსალმუნს წმ. მამა. 90-ე ფსალმუნის მთავარი იდეა შეიძლება მოციქულის სი-ტყვებით გამოვხატოთ: „უკუეთუ ღმერთი ჩუენ კერძო არს, ვინ არს ძვირისმყოფელ ჩუენდა?“ (რომ. 8, 31). ფსალმუნის შინაარ-

სი დიალექტიკურია. „დასაწყის სტრიქონებში (1–13) ასახულია სხეულს განშორებული სულის განცდები, რომელსაც ზეცისკენ მიმავალს ბოროტი სულების საშინელი თავდასხმების ატანა უწევს... ამას მოსდევს მოწმობა უფლის მხრიდან (14–16), რომ ის დაიცავს და აცხოვნებს თავის ერთგულ მონას, შეინირავს მის მხურვალე ლოცვას“ (ვასილიაძის 2003: 275–276). ამ ჭეშმარიტად ღვთივსულიერ ფსალმუნს ბოროტი ძალების განმდევნელი ეწოდება და, როდესაც წმ. დავით გარეჯელი ლოცულობს, სიმბოლურად იგი განდევნის ვეშაპს, ბოროტ ძალასა და ავ სულებზე ძლევამოსილად გვევლინება.

თავის ყოველ ქმედებასა და სიტყვაში წმ. დავითი მონუმენტური და მასშტაბურია. თხზულების დასაწყისში კეთილად მასანავლებელი მოძღვარი–მქადაგებელია, რომელმაც თვისი მონაფე, ლუკიანე, რწმენაში უნდა განამტკიცოს და განაძლიეროს, შემდეგ იგი სასწაულთმოქმედ მამად გვევლინება, დაცემულთა აღმდეგნელად და ნუგემად: „უპყარ წელი და ალადგინე და განაძლიერე და განამტკიცე“ (ძეგლები 1964: 232) - მოუწოდებს ანგელოზი. წმ. დავითი სულიერი მხნეობის მიმნიჭებელი, კაცთა განმამხიარულებელია: „ხოლო იგი განმხიარულდა სიტყუათა ამათ ზედა ბერისათა“ (იქვე: 233) – გვაუწყებს ლუკიანეს შესახებ აგიოგრაფი. ჭეშმარიტი სიხარული კი, როგორც წმ. ანტონი გვასწავლის, „ღმერთისგან გამოვალს და მხოლოდ იმ ადამიანს მიემადლება, რომელიც განუწყვეტლივ დაშვრება იმისთვის, რომ საკუთარი ნება უარყოს და ყოველივეში ღვთის ნება აღასრულოს“ (ანტონ დიდი 1991: 203–204).

წმ. დავით გარეჯელი არის გზაზე დამყენებელი, დიდი მლოცველი, მეურნალი სულთა და წორცთა, როგორც ეტყვის ბუბაქრი (ძეგლები 1964: 236), ამასთანავე, ჭეშმარიტი მწყემსი, მზრუნველი და ცრემლით მლოცველი ძმათათვის. ამ მხრივ ყურადსალებია მისი სიტყვები, როცა იერუსალიმის სიწმინდეების მოლოცვას გადაწყვეტს, ლუკიანე მოისურვებს მასთან ერთად გამგზავრებას, ნეტარი ბერი ასე მიმართავს: „ნუ, ძმაო, ნუ იქმ... უკუეთუ ეგე ვყოთ და ორნივე წარვიდეთ, ძმანი ესე... განიბნივენ დაბათა და ქალაქთა შინა დაეცნენ და წარწყმდენ გულის–თქუმათა მიერ ცოდვილისათა და წარწყმედა სულთა მათთაა ჩვენ მიერ იძიოს ღმერთმან“ (იქვე: 237).

ქართული აგიოგრაფიული მწერლობის ერთ-ერთი უპირველესი ძეგლი „წმ. შუმანიკის წამება“ საფუძველს დაუდებს ეკლესიურობის, ლიტურგიული ცნობიერების ამ წესს. პიტიახ-შთან მისული სასულიერო პირები ამბობენ: „წარსწყმიდე თავი შენი და ჩუენცა წარგუნყმიდე“ (ძეგლები 1964: 14), წმ. დავით გარეჯელის პოზიცია: „~~წარწყმიდა სულთა~~ მათთავ ჩვენ მიერ იძიოს ღმერთმან“ - პასუხია იმაშე, თუ როგორი შეგნებით, პა-სუხისმგებლობითა და დამოკიდებულებით უსურებს იგი წინამძღვრის მისიას, რომ მმობის წევაზე შესაძლო დაცემა მას მოეკითხება, თანაც ნეტარი ძამა ამ პასუხში კიდევ ერთი საცდურის შესახებ მოგვანიშნებს, ეს არის წარწყმედა, ცოდვით დაცემა „გულის-თქუმათა მიერ“.

ცოდვასთან ბრძოლის ღვანლი, უპირველესად, გულის ზრახვებთან და ფიქრებთან ჭიდილში გამოვლინდება. წმ. იოანე ღვთისმეტყველი მთელ ვნებებსა და გულისწნადილთ ადამიანის ბუნებისა სამ რამეში ხედავს: „ყოველივე სოფელსა შინა ესე არს გულისთქუმა ხორცთავ და გულისთქუმა თვალთავ და სილაღე ამის ცხოვრებისაჲ და ესე არა არს მამისაგან, არამედ სოფლისაგანი არს“ (I იოან. 2, 16). წმ. დავით გარეჯელის შიში, მოწაფეები ცოდვილი გულისთქმებით არ დაბრკოლდნენ და არ წარწყმდნენ, ფრთხილი და მზრუნველი წინამძღვრის ეჭვებია, რომლის უკან დიდი გამოცდილება, მაღალი სულიერობა და საცდურისგან თავდაცვის მწვავე სურვილი დგას.

წმ. დავითი „მმათა მათ განშორებულთათვის“, პირადი ღვანლითა და ძალისხმევით, დიდი იმედი და ნუგეშია. თხზულების ავტორი გვაუნყებს: „ყოველთა ნუგეშინის-სცემდა, განამტკიცებდა, განაძლიერებდა და ახარებდა მათთვის განმზადებულსა სასუფეველსა ცათასა“ (ძეგლები 1964: 239).

თხზულების დასასრულ, როცა მოვა უამი წმ. მამის აღსრულებისა, მოუხმობს საძმოს წევრებს, უკანასკნელ რჩევას მისცემს მათ და მოუწოდებს: „ნუ შეძრნუნდებით, არამედ განმტკიცენით და განძლიერდით და დაუცხრომელად ევედრებოდით ღმერთსა სულთა თქუენთა ცხოვრებისათვს“ (იქვე: 239) ნეტარი ბერი - ნუგეშის მიმცემი, განმამტკიცებული, განმაძლიერებული და სასუფევლის მახარებელია.

ამასთანავე, „ჰაგიოგრაფი დავით გარეჯელის მაგალითზე

გვიხატავს იმ იდეებს, რაც ეპოქალური მოვლენაა ე.ი. ინდივიდუალური მოვლენა კი არ არის, არამედ მეუღაბნოეობის საერთოდ დამახასიათებელი თვისებაა“ (გაფრინდაშვილი 1981: 69). ამას თუ დავუმატებთ იმ სახეებს, რომლებსაც ვხვდებით თხზულებაში, კერძოდ:

წმიდად მამად ჩვენი
ღმერთშემოსილი
მონა ღმრთისა მაღლისაა
სათნო უფლისაა
ულირსი მონად
მწყემსი კეთილი
სამარადისო
მწყემსი და მაცხოვარი სულთა მათთად

დავითი

ჩვენს თვალწინ გაცოცხლდება აბსტრაქტული მონუმენტალიზმით დაწერილი სახე წმინდანისა, რომლის ღვაწლი ასე შეაქვ ქართულმა ეკლესიამ: „საზრდელითა პირ-მეტყველითა იზრდებოდი, სიბრძნითა და ცხოვრებითა ანგელოზებრ ცხოვრობდი, სანატრელო გარეჯელო დავით, დასცენ მტერნი ჩუვენნი, ვითარცა ვეშაპი იგი“ (ლოცვანი 2001: 290).

საღვთო სახელთა მიხედვით „წმ. დავით გარეჯელის ცხოვრება“ რაიმე განსაკუთრებულს არ გვთავაზობს. აქაც იმავე სახელებს ვხვდებით, რომლებიც სხვა ტექსტებშიც გვხვდებოდა, მაგალითად.

უფალი;	
ღმერთი;	წელის-ამპყრობელი;
იესუ ქრისტე;	სახიერი;
მოწყალე;	მეუფე;
სიტყბოებით მზრდელი;	სამებაო წმიდაო,
	ერთ ღმრთეებაო,
მომცემელი ყოველთა	
კეთილთასა;	ერთ არსებაო;
კურთხეული;	მამა, ძე და სულინმიდა.
საკვირველი;	
მეუფე დიდებისაა;	
მზრდელი;	
ნუგეშინისმცემელი;	

„ნმ. შიოსა და ევაგრეს ცხოვრებისგან“ განსხვავებით, რომელშიც ხშირად ვხვდებით ქალწულ მარიამს, აյ მხოლოდ ერთხელ არის მოხსენებული: „ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა“. ქართველი აგიოგრაფი ახსენებს ბიბლიურ პერსონაჟებს: ელიას, რომელიც „ყორნისამიერ გამოზარდა“, ნმ. დანიელ წინასწარმეტყველსა და სამ ყრმას, ცეცხლისაგან უვნებლად გადარჩენილთ, იაკობსა და წმიდა მამათა-გან – მხოლოდ ანტონ დიდს.

„ნმ. დავით გარეჯელის ცხოვრება“ დიალოგებზე აგებული ქმნილებაა და არ არის მდიდარი წმინდანის მიერ აღვლენილი ლოცვებით. ნეტარი ბერი წინ მიუძღვის ვეშაპს და „იტყო-და ფსალმუნსა: „რომელი დამკვიდრებულ არს“... იგულისხმება 90-ე ფსალმუნი. ჩვენ მიერ განხილული მადლობისა და დიდების შენირვაც ლოცვის სახეობაა, თუმცა ამ შემთხვევაში ვსაუბრობთ საგანგებოდ წარმოთქმული ლოცვების შესახებ. აგიოგრაფი გვამცნობს, რომ ნეტარი დავითი „მარტო მყუდროებით აღასრულებდა წმიდათა ლოცვათა“, მაგრამ კონკრეტულად რას, ჩვენთვის უცნობია. პირველი ლოცვითი ტექსტი, რომელიც თხზულებაში გვხვდება, მოსდევს ბარბაროზის ეპიზოდს. ბუბაქრს შეშასავით გაუხმა ხელი. შეშინებული ავაზაკი ფერხთით დაუვარდა ბერს და შენდობა სთხოვა. ნმ. დავითს შეეწყალა იგი და „ევედრებოდა უფალსა და თქუა: „უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, რომელი მოხუედ ცხორებად ნათესავისა კაცთასა, სახიერო და მოწყალეო, რომელმან განჰკურნე წელი იგი განწმელი, შენვე მეუფეო, რომელმან-ესე იყადრა აღებად წელი ულირსა ზედა მონასა შენსა, მოვედინ აწცა მადლი და წყალობაა შენი და განკურნე წელი ესე განწმელი ბარბაროზისა, რათა გულისჭმა - ყოს და გიცნას შენ და ადიდებდეს სახელსა შენსა“ (ძეგლები 1964: 235)

ნმ. დავით გარეჯელის წარმოთქმული ეს ლოცვა თხოვნა-ვედრებაა უზენაესის წინაშე აღვლენილი, რათა მან მოახდინოს სასწაული, განკურნოს გამხმარი ხელი ავაზაკისა, რომ მოიქცეს კიდევ ერთი დაკარგული ცხოვარი, რომ მიხვდეს, შეიცნოს შემოქმედი ცათა და ქვეყანისა და ამ სასწაულის ძალით, რწმენის გზაზე დამდგარი, ადიდებდეს ზეციერს. კონკრეტულ შემთხვევაში სასწაულმა ღმერთიც უნდა განადიდოს და დამ-

ბადებელიც უნდა შეაცნობინოს ბუბაქრს. როგორც წმ. დავითი ბრძანებს: მადლითა და წყალობითა და კაცთმოყვარეობითა უფლისათა განიკურნება „განმწმელი წელი“ ბარბაროზისა და ეს იქნება ახალი ცხოვრების დასაწყისი ურნმუნო და ღმერთს განდგომილი ბარბაროზისათვის. ნიშანდობლივია ისიც, რომ ნეტარი ბერი ძირითადი თხოვნა-ვედრების კონტექსტისათვის შესატყვისობაში მოსული სალვოთ სახელით მიმართავს უფალს: „იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, რომელი მოხუედ ცხორებად ნა-თესავისა კაცთასა, სახიერო და მოწყალეო“. მიმართვა: სახიერი და მოწყალე, ამასთანავე, ამქვეყნად კაცთა საცხოვნებლად მო-სული, გულისხმობს, რომ მაცხოვარი მოწყალებითვე გადმოხე-დავს და იხსნის დაღუბვისაგან ერთ წარწყმედილ სულს.

მეორე ლოცვა, შედარებით უფრო ვრცელი, რომელიც წმ. დავით გარეჯელს უკავშირდება, იმ ეპიზოდის კუთვნილებაა, როცა ნეტარი ბერი იერუსალიმთან მადლის ქედზე მიწაზე დაე-მხობა და ცრემლით იტყვის: „უფალო ღმერთო იესუ ქრისტე, რომელი მოხუედ ქუეყანად ცხორებისათვს კაცთა ნათესავისა და ჩუენ ცოდვილთათვს ჯუარ-ცმუად და სიკუდილი თავს-იდევ სახიერებისა და მოწყალებისა შენისათვს, მეუფეო, კურთხეულ არს, უფალო, სახელი წმიდად დიდებისა შენისაა... რომელმან მეცა ულირსი მონად შენი ღირს მყავ ხილვად ადგილთა ამათ წმიდათა; ხოლო მე არღარა ვიკადრო წალმართ სლვად და დატ-კებნად ფერწითა ჩემითა ადგილთა ამათ, სადა დადგეს ფერწნი შენნი წმიდანი, რამეთუ კმა არს ჩემდა ხილვად ოდენ თუალითა“ (ძეგლები 1964: 237).

ლექსიკა თითქმის იდენტურია წინა ლოცვისა, სალვოთ სახელები სიტყვა-სიტყვით ემთხვევა: უფალო ღმერთო იესუ ქრისტე და უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო; რომელი მოხ-უედ ცხორებად ნათესავისა კაცთასა და რომელი მოხუედ ქვეყ-ანად ცხორებისათვს კაცთა ნათესავისა; სახიერო და მოწყალეო, შენვე მეუფეო და სახიერებისა და მოწყალებისა შენისათვს მეუ-ფეო.

დიდია ფსიქოლოგიური დატვირთვა და მაღალია განცდის რეგისტრი, რომელიც წმ. დავითს დაუფლებია. ერთდროულად ამ ლოცვაში იყითხება სიწმიდეებთან მოახლოებული ბერის სულიერი აღტკინება, ნეტარება იმის გამო, რომ ღირსი გახდა

ამის ხილვისა. აქვეა მადლიერების გამოვლენა, დიდი კრძალვა, რიდი, პატივისცემა და თაყვანისცემა იმ ადგილებისა, რომლებზეც უფალს ფეხი დაუდგამს. საკუთარი ულირსობის განცდას ისე მოუცავს ბერი, რომ ამბობს: „მე არღარა ვიკადრო წალმართ სლვად და დატკებნად ფერწითა ჩემითა ადგილთა ამათ“. იმდენად გულწრფელი და უშუალოა თავის გადაწყვეტილებაში, რომ მკითხველს ალფროვანების განცდა ეუფლება და შეგნება იმისა, თუ რაშია თავმდაბლობის საიდუმლო!

წმ. დავით გარეჯელის მეტუთე ლოცვა (პირობითად) მადლობის შეწირვა, დიდების შესხმას უფლისადმი. აქ შექებულია ქრისტე ღმერთი, წმ. სამება – ერთლმრთება, ერთარსება. ამის შესახებ ჩვენ ცოტა ზემოთ საგანგებოდ ვისაუბრეთ.

მთლიანობაში, უნდა ითქვას, რომ „წმ. დავით გარეჯელის ცხოვრება“ არ არის დატვირთული ლოცვა-ვედრების ტექსტებით. ის, რაც აქ არის წარმოდგენილი, ძირითადად, მადლობის შეწირვა და დიდების აღვლენაა ცათა და ქვეყნის შემოქმედის-ათვის.

თავი XII

„მოქალაქეობაშ და ნამებაშ აპიტოს ხეკრისელ ეპისკოპოსისაშ“

„წმიდა აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებისა და წამების“ ორი
რედაქცია არსებობს:

1. ვრცელი რედაქცია, რომელიც დაბეჭდილია შემდეგ
გამოცემებში:

მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, თბ., 1882, გვ.
213–216;

ი. აბულაძე, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა
ძველი რედაქციები, თბ., 1953, გვ. 188–196, ა რედაქცია;

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის
ძეგლები, I, თბ., 1964. გვ. 240–248, ა–რედაქცია

2. მომცრო რედაქცია, რომელიც დაბეჭდილია შემდეგ
გამოცემებში:

მ. ჯანაშვილი, Описание рукописей церковного музея,
III, 1908; გვ. 25–28;

ს. კაკაბაძე, ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები,
1928, გვ. 42–46;

ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის
ქრესტომათია, I, 1946, გვ. 167–169;

ი. აბულაძე, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა
ძველი რედაქციები, 1955, გვ. 188–195. ბ–რედაქცია;

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის
ძეგლები, I, 1964, გვ. 240–247, ბ რედაქცია.

ამ რედაქციების ავტორთა ვინაობის, მათი შექმნის დროი
სა და მათი ურთიერთმიმართების თაობაზე შემდეგი შეხედ-
ულებები არსებობს:

პირველადია მომცრო რედაქცია, რომელიც დაწერილია
690–700 წლებში (კაკაბაძე 1928: 1–18).

პირველადია ვრცელი რედაქცია, რომლის ავტორია არსენ

კათალიკოსი – დაწერილია IX ს-ში, შესაძლოა უფრო გვიანაც. ამ რედაქციის წყარო ყოფილა VI საუკუნის დამლევის ან VII საუკუნის დამდეგის უძველესი თხზულება (ჯავახიშვილი 1951: 324–347).

პირველადი, უძველესი, არქეტიპული იყო კათალიკოს არ-სენ პირველი დიდი საფარელის (860–887 წწ.) მიერ შექმნილი რედაქცია, რომელიც ჩვენამდე არ შემონახულა. არავითარი უძველესი, VI ან VII საუკუნის ტექსტი ამ თხზულებას წინ არ უსწორებდა – ამ რედაქციიდან მომდინარეობს ვრცელი, ანუ მეტაფრასული რედაქცია, რომლის ავტორი უცნობია. იგი შესაძლოა იყოს ნეკრესის რომელიღაც ეპისკოპოსი. მეტაფრასულად გადამუშავების დროს მას ტექსტში ჩაურთავს პროლოგი, ცეცხლთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ მიმართული დიალოგი თხზულების შუაში და ეპილოგი (კეკელიძე 1956: 19–50).

პირველადია ვრცელი რედაქცია, რომელიც არასგზით არ არის მეტაფრასული რედაქცია, რადგან, როგორც ცნობილია, მეტაფრასული რედაქცია XI საუკუნეზე ადრე ვერ შეიქმნებოდა, ხოლო ვრცელი რედაქციის ავტორი არის კათალიკოსი არსენი – არსენ პირველი ან არსენ მეორე, უფრო არსენ მეორე, იგივე ავტორი, ვინც შექმნა „წმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია. მას წყაროდ, მართლაც, ჰერინია VI თუ VII საუკუნის ტექსტი. მომცრო რედაქცია მერმინდელია (აბულაძე 1955: შესავალი).

აღნიშნულთა გარდა, „საქართველოს სამოთხეში“ მოთავსებულია „წმ. „ისე წილკნელის ცხოვრება“ (გვ. 209–211), „წმ. იოსებ ალავერდელის ცხოვრება“ (გვ. 217–218) და „წმ. ანტონ მარტყოფელის ცხოვრება“ (გვ. 294–295). ეს არის შემოკლებული (სვინაქსარული) რედაქციები.

აზრთა ამგვარი სხვადასხვაობის პირობებში შეუძლებელი ხდება ქართული მწერლობისა და კულტურის არაერთი კარდინალური საკითხის მართებულად გადაჭრა. ამის მაგალითა „წმ. აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებისა და წამების“ აღმწერელ თხზულებათა ირგვლივ შექმნილი ვითარება: როდესაც შ. ნუცუბიძე წმ. აბიბოს ნეკრესელის ფილოსოფოსობის გამო მსჯელობდა, მის მსოფლმხედველობას მიმოიხილავდა და არეპ-აგიტიკულ წიგნთა ავტორის ნააზრევთან აკავშირებდა (ნუცუ-

ბიძე 1956: 234–279), მას ხელთ ჰქონდა ერთადერთი საბუთი – ვრცელ რედაქციაში არსებული ცეცხლთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ მიმართული ფილოსოფიური ტექსტი. მთელი ეს მსჯელობა ემყარება იმ შეხედულებას, რომელსაც ავითარებდა ო. ჯავახიშვილი და რომლის თანახმადაც „ნმ. აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებისა და წამების“ ვრცელი რედაქცია (რომელშიც არის დაცული ცეცხლთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ მიმართული ტექსტი) პირველადი რედაქციაა, დაწერილი IX საუკუნეში არსენ კათალიკოსის მიერ და წყაროდ იყენებს VI თუ VII საუკუნის უძველეს თხზულებას. მაგრამ ეს თვალსაზრისი გაქარწყლდება, თუკი მართებული აღმოჩნდა პ. კეკელიძის შეხედულება, რომლის თანახმადაც ვრცელი რედაქცია მეტაფრასული ნაწარმოებია (მაშასადამე, XI საუკუნეზე ადრე ვერ შეიქმნებოდა) და ცეცხლთაყვანისმცემლობის განმაქიქებელი ფილოსოფიური ტექსტი სწორედ მეტაფრასის მიერ არის ჩართული (ლექსიკონი-ცნობარი 1984: 36–38).

ასეთი ექსკურსის შემდეგ ჩვენს ინტერესს იწვევს იმის გარკვევა, ა და ბ რედაქციებიდან რომელი შეიძლება იყოს მეტაფრასული, როგორი ურთიერთმიმართება მყარდება მათ შორის, თანაც ეს ყველაფერი უნდა დადგინდეს სტილური ანალიზით, რომელიც ამ შემთხვევაში დაეფუძნება მეტაფრასტიკის თეორიულ მონაცემებს.

მეტაფრასტიკა აგიოგრაფიის ისტორიული განვითარების შედეგია, გარკვეულ იდეოლოგიურ და ესთეტიკურ პრინციპზე დაფუძნებული. მეტაფრასტიკის „პირველსახე“ იყო კომინი, წმინდანთა მოსახსენებლად მარტივად დაწერილი, მასში სჭარბობს თხრობითი, ფაბულური ელემენტი და გადმოცემულია კონკრეტული ამბავი. მეტაფრასტიკა უკვე არის ამ ამბის „გარდაკაზმვა“, ანუ მხატვრული აზროვნება (სირაძე 1978: 154) ეფრემ მცირის განმარტებითაც, ტერმინ „მეტაფრასში“ მნიშვნელოვანია „სიტყვა განშუენება, შექმობა, რაღვანაც მისი ტერმინი „გარდაკაზმული“ (კეკელიძე 1959: 149) მხოლოდ ესთეტიკური მოთხოვნების გაზრდის ნაყოფი შეიძლება იყოს, თუმცა იოანე ქსიფილინოსი ამ მნიშვნელობას ამატებს, აგრეთვე, ტექსტის „განვრცელებას“ (მახარაშვილი 2002: 64).

მეტაფრასტიკის წყაროებთან მიმართების საკითხები ქარ-

თულ დოკუმენტებზე დაყრდნობით გარკვეული აქვს კ. კეკელიძეს (კეკელიძე 1959: 149). აქვე უნდა გამოვკვეთოთ, რამდენიმე საკითხი, კერძოდ, გადამეტაფრასება ნიშნავს:

1. ნაწარმოების მხატვრულ-ესთეტიკურ გადამუშავებას, „სიტყვთ განშუენებას“ (ყურადღება ექცევა ფორმას, ენასა და სტილს);

2. თხზულების შინაარსში ჩარევას მცირე ინტერპოლაციებით. ეს უკანასკნელი შეიძლება განპირობებული იყოს რამდენიმე მიზეზის გამო:

ა) იდეოლოგიურ-დოგმატური – ე.ი. მწვალებლური ნაკვალევის წაშლა, ანუ იმისგან გათავისუფლება, რაც არ არის დოგმატიკურ-კანონიკური;

ბ) შინაარსობრივ-ფაქტოლოგიური – შეუსაბამობათა და უზუსტობათა გასწორება, ფაქტობრივი მასალის შესატყვისობა (გამოკლება ან შემატება), თუმცა შენარჩუნებულია კიმერური ძეგლის ძირითადი ძარღვი (შდრ. ბააკაშვილი 1977: 8–10; სირაძე 1978: 158; მახარაშვილი 2002: 66).

რადგან მეტაფრასტიკამ ენისა და აზრის ერთდროული გამშვენიერება მოახდინა, მან გამოიყენა ანტიკური ლიტ-ერატურული მემკვიდრეობა და ტრადიცია, რაც შეეხება მეტაფრასტიკის სტილურ ნიშნებს, ის შეიძლება სამ ჯგუფად წარმოგადგინოთ:

1. „შეწყობილებად სიტყვსად“ – ფრაზის მუსიკალურ-რიტ-მული აგება;

2. „არა გავრცელებად თქმულისა“ – თხრობის ლაკონიურობა, ლაპიდარობა, რასაც რუსთაველი ასე განმარტავს: (გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის);

3. კონკრეტულისა და აპსტრაქტულის შეხამება, სიტყვისა და აზრის სიმფონია (მახარაშვილი 2002: 68).

XI საუკუნის 20-იანი წლებიდან, სვიმეონ ლოლოთეტის გარდაცვალების შემდეგ, ჩნდება არსებითად საპირისპირო ტენდენცია. გადამეტაფრასება გულისხმობს:

1. შესავლის წამძღვარებას;
2. მიდრეკილებას სასწაულების აღწერისადმი;
3. პარალელების მოხმობას სხვა წმინდანთა ცხოვრებიდან;
4. ძველი თხზულების ფაქტობრივი მასალით შევსებას

(მახარაშვილი 2002: 70).

ამ ჩამონათვალების მიხედვით გავარკვიოთ, არის თუ არა მეტაფრასული ა რედაქცია და როგორია მისი მიმართება ბ რედაქციასთან?

ა	ბ
წმიდისა მღვდელმოწამისა აბი-ბოს ნეკრესელ ეპისკოპოსი-სად, რომელი იწამა ცეცხლის მსახურთა მიერ ქართლს, თქმული არსენი დიდისა ქა-რთლისა კათალიკოსისა (ძეგ-ლები 1964: 240).	მოქალაქობად და წამებად წმი-დისა აბიბოს ნეკრესელ ეპის-კოპოსისად

ამ სათაურში გამჟღავნებულია ა რედაქციის უპირატესობა არა მარტო სტილური ნიშნით (წმიდა მღვდელმოწამე, ცეცხლის მსახურნი), არამედ შინაარსობრივ-ფაქტოლოგიური კუთხით: ვინ ანამა, სად ანამეს და ვის მიერ აღინიერა ეს მარტვილობა.

თხზულების | თავი (პირობითად) მოცულობით ასეა გა-ნაწილებული: ა რედაქცია 12 სტრიქონით მეტია ბ რედაქ-ციაზე, გარდა ამისა, ა რედაქციის ავტორი, არსენ დიდი, ბ რედაქციის ძარღვს უცვლელად ტოვებს, თუმცა მხოლოდ | თავის მიხედვითაც კი შეიძლება მოგვეჩვენოს გადამეტაფრა-სება, ანუ თხზულების მხატვრულ-ესთეტიკური გადამუშავება და შინაარსში შეღწევა თავისებური ინტერპოლაციებით. მაგ-ალითად:

<p style="text-align: center;">ა</p> <p>ხოლო ჯერ-არს, რათა მცირედ-შუვა შემოვილოთ წსენებად წმი-დისა და უბინოება მღდელთმოძ-ლურისა და მოწამისაა, რომელსა იგი სამართლივ მონიჭებულ იყო პატივი განმზადებულისა მის სა-სოებისაა დიდებისა საყდარი, უზეშთაესი შორის მართალთა დიდისა მისისა სინმიდისათვეს, უმეტესად ყოველთა მიერ წამე-ბულ ჭეშმარიტებისათვეს, დამამ-ტკიცებელი სისხლითა თვისითა, რომელმან-იგი შენირა მსხვერ-პლად თავი თვისი მისა, რომელმან იგი თვისითა სისხლითა მიქსნნა ჩუენ.</p>	<p style="text-align: center;">ბ</p> <p>ჯერ არს ხსენებად წმიდისა მღდელთმოძლურისაა და უბინოება და ახუვანისა მოწამისაა, რომელსა იგი სამართლად მონიჭებულ იყო საყდარი დიდებისაა დი-დისამისთვეს სარწმუნოებისა მისისა და ყოველთა მიერ წამებისა ჭეშმარიტები-სათვის, რომელმან შენირა თავი თვისი მსხუერპლად მისთვეს, რომელი შეინირა მამისა, და სისხლითა თვ-სითა მომიყიდნა ჩუენ.</p>
--	--

პირველი თავის ასეთი დასაწყისი, ასეთი განსხვავებული ნიშნებით, წარმოაჩენს, რომ ა რედაქციის მიხედვით თხრობა არის გავრცობილი და ნანარმოების შესავლის შთაბეჭდილებას ტკვებს. გარდა ამისა, საგრძნობია შინაარსობრივი ინტერ-პოლაციები, რაც გამოიხატება მხატვრულ-ესთეტიკური აზ-როვნების ნაკადის მოჭარბებით. მაგალითად:

ა რედაქცია	ბ რედაქცია
<p>მონიჭებულ-იყო პატივი გან-მზადებულისა მის სასოებისაა დიდებისა საყდარი, უზეშთაე-სი შორის მართალთა დიდისა მისისა სინმიდისათვეს.</p>	<p>მონიჭებულ იყო საყდარი დიდებისაა დიდისა მისთვეს სარწმუნოებისა მისისა და ყოველთა მიერ წამებისა ჭეშმარიტებისთვეს.</p>

„პატივი განმზადებულისა მის სასოებისაა“ საერთოდ უცხოა ბ რედაქციისათვის და ასევე შეცვლილა წინადადება-თა სტრუქტურა, რომელიც თავისთავად უფრო ამაღლებულს ხდის შინაარსს. ამავე თავში ვხვდებით მეტაფრასტიკის განვი-

თარების მეორე ეტაპისთვის (XI საუკუნის 20-იანი წლებიდან) დამახასიათებელ ერთ ნიშანს: პარალელების მოხმობას სხვა წმინდანთა ცხოვრებიდან. მაგ., საერთოდ უცნობია ბ რედაქ- ციისთვის ასეთი ან მსგავსი ფრაზა: [წმ. აბიბოს ნეკრესელი] „კუალად მხნეთა მათ თანა მოწამეთა ღუანლსა მიისწრაფა და ასპარეზი იგი მსწრაფლ წარიტაცა“ (ძეგლები 1964: 240).

გარდაკაზმვის“, „განვრცელების“ ერთი საინტერესო ნიმუ- ში გვხვდება ამავე თავში:

ა	ბ
ჩემი არს მოწამე ესე და არა სხვისა, ჩემისა ამისგან საყ- დრისა, ნაყოფი შუენიერი, მხი- არულებისა ჩემდა მომღებელი, სპეტაკი ვარდი, ჰაერისა სულ- ნელყოფელი, ჩემდა მომფენელი, რომელმან სანთელი თვისი აღან- თო ზედა მაღალსა მთასა, რათა ყოველი სოფელი ჸედვიდეს მას ნათელსა დაუშრეტელსა, ორპი- რად მანათობელსა	ჩემი არს მოწამე, ესე და მღდელთმოძღუარი უბი- ნოდ, ნაყოფი შუენიერი, მხიარულებისა ჩუენდა მომღებელი და სულ- ნელებისა ჩუენისა ჩუენ- და მომფენელი, სანთელი მაღალად მნითებარე, მნა- თობი და განმანათლებე- ლი ყოველთა მხილველთა მისთად

აშკარად შეინიშნება ა რედაქციის ავტორის სურვილი, თქვას უფრო მეტი, განავრცოს და გარდაკაზმოს, მოგვეცეს რაღაც ახსნა-განმარტების მსგავსი. „სპეტაკი ვარდი“, „ნათელი დაუშრეტელი“, „ნათელი „ორპირად მანათობელი“ ის სახეებია, რომლებსაც აგიოგრაფი კონტექსტის შესაფერისად იყენებს და ამით კიდევ ერთხელ წარმოჩნდება მხატვრული აზროვნების ის თავისებურება, სტილური სპეციფიკა, რომლითაც, ერთი შეხედვით, იგი განსხვავდება ბ რედაქციის ავტორისაგან.

ა რედაქციის ავტორი ცდილობს, უმუალო დამოკიდებულე- ბაში იყოს მკითხველთან. ეს არის მისი დიალოგური მიმართება რეციპიენტთან; საქმიანი ინტონაცია, ახსნა-განმარტებისკენ მიდრეკილება, მიმართვის ფორმათა გამოყენება გვაძლევს სა- შუალებას დავასკვნათ, რომ ეს ტექსტი დიალოგიზებული მო- ნოლოგია. მაგალითად;

ხოლო ჯერ – არს, რათა მცირედ შუვა შემოვილოთ ხსენება; ან

ჩემი არს მოწამე ესე და არა სხვსა;

ან

აწ მნებავს, საყუარულო, რათა უწყოდით მიზეზი საქმი-
სა ამის;

ან

ამას რად გითხრობ თქუენ ნეტარისა ეპისკოპოსისა;

ან

არამედ მინდა, რათა გაუწყო თქუენ, ძმანო.

მშენელთან თუ მკითხველთან უფრო მეტად დაახლოების
მიზნით ა რედაქცია გვთავაზობს ისეთ ფორმებს, რომლებიც
უფრო უშუალოსა და ახლობელს ხდის მოვლენას. ბ რედაქცი-
ისაგან განსხვავებით აქ გვხვდება რამდენიმე ასეთი ნიმუში:

„და ვითარ მოინიჭნეს მახლობელად ჩუენსა ამას სამეუ-
ფოსა ქალაქსა მცხეთას“, „სიმწნითა განაშუენეს სოფელი ესე
ჩუენი“ „იგინი წელმწიფე იყვნეს ჩუენსა ამას სოფელსა“ – ჩვენი
ქალაქი, ჩვენი მცხეთა, ჩვენი „სოფელი“ – ასეთი მიმართვით
ავტორი და მკითხველი ერთიანდებიან, ერთი იდეითა და სუ-
ლისკვეთებით განიმსჭვალებიან – გაუცხოების, გნებავთ, დის-
ტანცირების მასშტაბი მცირდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შინაარსობრივ-ფაქტოლოგი-
ური ცვლილება გულისხმობს შეუსაბამობათა და უზუსტობათა
გასწორებას ტექსტში, ფაქტობრივი მასალის გამოკლებას ან
შეტანას თხზულებაში (შდრ.: ბააკაშვილი 1977: 186–187; მახ-
არაშვილი 2002: 66). ამ მხრივაც არედაქციის ავტორი ორივე
ვარიანტს გვთავაზობს. მატების რამდენიმე ნიმუში უკვე წარ-
მოვადგინეთ, ახლა ვნახოთ ის მაგალითები, რომლებშიც ნათ-
ლად ჩანს კლების ტენდენცია:

ა	ბ
მიერითგან ერისთავნი იქმნეს მპყრობელ ქარ- თლისა, და სხუანი მრა- ვალნი, ვითარცა წერილ არიან წიგნსა მას წამები- სა მისისასა...	მიერითგან ერისთავნი იქმნეს მპყრობელად ქართლისა და სხუანი მრავალნი საქმენი და საკურველებანი არიან ამის წმიდის- ანი, რომელნი არა დაწერილ არიან წიგნსა მას წამებისა მისისასა

ა რედაქცია მოყვანილ ციტატაში თითქოსდა ამჟღავნებს იმ თვისებას, რომელსაც „არა გავრცელებად თქმულისაა“ ეწოდება, რადგან ამ მაგალითში თხრობა შემოკლებულია, ლაკონიურია.

გვაქვს კიდევ ერთი შემთხვევა, სადაც უფრო აშკარა და თვალშისაცემია თხრობის სიმოკლე, ლაკონიურობა, ერთგვარი თავშეკავებაც კი მრავალმეტყველებისგან. ეს არის ბ რედაქ-ციის ფინალი, რომლის შემდეგ ა რედაქცია აგრძელებს და-მოუკიდებელ თხრობას, თუმცა ემიჯნება ბ რედაქციის დასას-რულს, რადგან ეს უკანასკნელი ვედრებით ითხოვს ქრისტე ღმერთისგან, „რათა წმიდითა ლოცვითა და მეოხებითა მათთა და დიდების-მეტყველებად სამებისა წმიდისა“ (ძეგლები 1964: 247–248).

ფაქტობრივი მასალის ტექსტში შეტანის ერთი საინტერესო მაგალითი გვხვდება || თავში:

ა	ბ
<p>რამეთუ დაეპყრა ქართლი მეფესა სპარსთისა და იგინი წელმწიფე იყვნეს ჩუენსა ამას საფეხლასა, და ბილნსა მას კერპთმსახურებასა ცეცხლისა მის თაყუანის-ცემასა და მსახურებასა აღასრულებდეს მარადის; ბაბილონურსა მას ჩვეულებასა, სადამე ოქროსა და სხუანი სხუასა რასამე და ოდესმე ცეცხლსა უამად—უამად, ვითარცა იწუოდეს თვისისა მისგან ბოროტად მასწავლელისა ეშმაკისა.</p>	<p>რამეთუ უამსა მას, ოდეს სამეუფოდ ესე ჩუენი ქართლი სპარსთა მეფესა დაეპყრა და ბილნსა მას მსახურებასა აღასრულებდეს, ვითარცა ესწავა ბოროტად მსწავლელისა მათისა ეშმაკისაგან</p>

ეს მონაკვეთი იმითაც არის საინტერესო, რომ ა რედაქ-ცია გვამზადებს ცეცხლთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ. „ცეცხლის“ ორჯერ ხსენება უკვე ერთგვარი აქცენტია აგიო-გრაფის მხრიდან იმისათვის, რომ აშკარა გახდეს დამოკიდებულება, პოზიცია იმ დამთრგუნველი და ბნელი ძალის მიმართ, რომელსაც ღვთაებად „სტიქიონი“ გაუხდია.

დაისმის შეკითხვა: როგორია ლექსიკური სხვაობა, რა ხდება

ტროპულ მეტყველებაში, როგორ განსხვავდება აგიოგრაფთა მხატვრული აზროვნება ერთმანეთისგან. ამის გარკვევა საბოლოოდ გასცემს ჰასუხს იმას, თუ რასთან გვაქვს საქმე.

ა	ბ
<p>წმიდისა და უბინოხს მღდელთმოძღურისა და მოწამისა</p> <p>ჩემი არს მოწამე ესე და არა სხვა ჩემისა ამისგან საყდრისა ნაყოფი შუენიერი</p> <p>არა თუ ხილვითა ეხილვა სადამე ერთმანერთი</p> <p>არამედ სულიერითა მით სიყუარულითა, რომლითა იხილვების შორეული, ვითარცა მახლობელი.</p> <p>მოციქული იგი წმიდისა სვეტონ მესუეტისად,</p> <p>ხოლო სამგზის სანატრელსა მას, წორცთა მისთა, არარად შეეხო</p> <p>და ესრეთ შეინირა წმიდა და აბიბოს</p> <p>ესევითარნი ქუეყანისა ანგელოზნი, ნათელნი სოფლისანი, ჭურნი სავსენი ნელსაცხებელითა</p>	<p>წმიდისა მღდელთ-მოძღურისა და უბინოხსა და ახუებანისა მოწამისად</p> <p>ჩემი არს მოწამე და მღდელთ-მოძღური უბინო, ნაყოფი შუენიერი</p> <p>არა თუ თუალითა ეხილვა ურთიერთას</p> <p>არამედ სულიერითა მით სიყუარულითა, რომელი გონებითა იხილვების შორეული ვითარცა მახლობელი</p> <p>მოციქული ნეტარისა სკმიონ მესუეტისად</p> <p>ხოლო სამგზის სანატრელსა წმიდისა მოღუანისა წორცთა არარად შეეხო</p> <p>და ესრეთ შეინირა ღმრთისა ნეტარი აბიბოს</p> <p>კაცნი წმიდანი და ყოვლითურთ ღმრთისა სათნონი ნათელნი სოფლისანი, ჭურნი რჩეულნი, სავსენი ნელსაცხებელთა, ზეცისა კაცნი და ქუეყანისა ანგელოზნი, განმანათლებელნი სოფლისანი, სახენი, წესნი და კანონნი უცთომელნი მოწაზონებისანი</p>

ჩვენ მიერ წარმოდგენილი ამ ფაქტობრივი მასალის გარდა საინტერესოა რამდენიმე დამახასიათებელი თავისებურების

წარმოჩენა, რომელიც ასე ნიშანდობლივია ა და ბ რედაქტირები-სთვის.

1. უმრავლეს შემთხვევაში, როდესაც ბ რედაქტირების ავტორი მსაზღვრელად იყენებს კუთვნილებით ნაცვალსახელს „ჩუენ“, ა რედაქტირების ავტორი ემიჯნება, თუმცა თავად გვთავაზობს ასე-თი მსაზღვრელით წარმოდგენილ წინადადებას. მაგალითად:

ა	ბ
<p>დაეპყრა ქართლი მეფესა სპარსთასა</p> <p>ადგილი მრავალნი განმზა-დნეს მათისა მის სამსახურე-ბელისა ცეცხლისათვს ქუეყა-ნისა</p> <p>მოიწივნეს მახლობელად ჩუ-ენსა ამას სამეუფოსა ქალაქ-სა მცხეთისასა</p> <p>სიმწითა განაშუენეს სოფე-ლი ესე ჩუენი.იგინი წელმწიფე იყვნეს ჩუენსა ამას სოფელსა</p>	<p>სამეუფო ესე ჩუენი ქართლი სპარსთა მეფესა დაეპყრა მრავალნი ადგილი გან-მზადნეს მათისა მის სამსახ-ურებელისათვს ქუეყანასა ამას ჩუენსა</p> <p>მოიწივნეს სამეუფოსა ქა-ლაქსა მცხეთას</p>

თუმცა გვხვდება ისეთი ადგილებიც, რომლებშიც ორივე რედაქტირები ამ მხრივ ერთნაირ სურათს გვთავაზობს:

ა	ბ
<p>დაპყრობა ქუეყანისა ამის ჩუენისაა</p> <p>დაიპყრეს ქუეყანა ესე ჩუენი</p>	<p>დაპყრობა ქუეყანისა ამის ჩუენისაა</p> <p>დაიპყრეს ქუეყანა ესე ჩუენი</p>

ორივე რედაქტირების მიხედვით, მსაზღვრელ-საზღვრულის რიგი, ძირითადად, დაცულია, გარდა რამდენიმე შემთხვევისა:

ა	ბ
<p>ალიძრა შურითა საღმრთოეთა საპყრობილესა შეაყენეს დიდითა იწროვებითა</p>	<p>ალიძრა საღმრთოეთა შურითა შეაყენეს საპყრობილესა იწროებითა დიდითა</p>

მთელი ამ კვლევა-ძიების შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ა და ბ რედაქციების ურთიერთმიმართებათა შესწავლი-სას არ გამოვლინდა რაიმე ძირითადი, კომპლექსური ხასიათის განსხვავება. უმნიშვნელოა ლექსიკური ხასიათის ცვლილებები, კონცეპტუალურად ახალი და განმასხვავებელი არ იყითხება ავტორთა მხატვრულ აზროვნებაში, სინტაქსურ-სტილური სა-შუალებებიც თითქმის იდენტურია. მართალია, უპირატესად ა რედაქციის ავტორი ერევა შინაარსში მცირე ინტერპოლა-ციებით კლება-მატების მეთოდით, მას ახასიათებს ახსნა-განმარტებისა და მკითხველთან დაახლოების მეტი მცდელობა, თუმცა იმას ვერ ვიტყვით, რომ, ბ რედაქციასთან შედარებით ტექსტი მხატვრულ-ესთეტიკურად გადამუშავებული და „სი-ტყვით განშვენებულია“. თხზულების შინაარსში არ შეინიშნება იდეოლოგიურ-დოგმატური ცვლილება, სტილური ნიშნებიდან, რომლებიც მეტაფრასტიკისთვისაა დამახასიათებელი, ფრა-ზის მუსიკალურ-რიტმული აგება, ანუ „შეწყობილება სიტყვ-საა“, არ არის თვალშისაცემი და რაიმე მნიშვნელოვანი გან-მასხვავებელი ბ რედაქციასთან შედარებით არ იძებნება, არც გამოკვეთილად შესავლის წარმოვარებასთან გვაქვს საქმე და არც სასწაულების აღწერისადმი მიღრეკილებასთან, მინიშ-ნების დონეზეა პარალელი მონამეთა ღვაწლთან.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი ასეთი დასკვნები აშკარად ენი-ნააღმდეგება ჩვენსავე საპირისპირო ვარაუდებს, შესაბამისი მაგალითებით წარმოდგენილთ, მაგრამ ისინი, ალბათ, მაინც ვერ შექმნიან იმის აუცილებლობას თუ გარდაუვალობას, ვამტკიცოთ, რომ მეტაფრასტიკის ნიმუშთან გვქონდეს საქმე. რა თქმა უნდა, ა რედაქცია ბ-სგან განსხვავდება, რადგან მათ სხვადასხვა ავტორები ჰყავთ და ის ცვლილებები, რომლებიც ჩვენ წარმოვადგინეთ, სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება და, ჩვენი აზრით, მეტაფრასული ქმნილების სტილურ ჩარჩოში მაინც ვერ თავსდება.

თუმცა რჩება ერთი თავსატეხი. მართალია, შენარჩუნე-ბულია ბ რედაქციის თხრობის ძირითადი ძარღვი, მაგრამ რა ვუყოთ ერთ ვრცელ ჩანართს – ცეცხლთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ მიმართულს? ეს ხომ არ არის ყველაზე ძლიერი არგუმენტი იმის დასადასტურებლად, რომ ა რედაქცია, მართ-

ლაც, მეტაფრასულია?

ჩვენ შეგვიძლია ერთი რამ დაბეჯითებით განვაცხადოთ, რომ ა რედაქცია ბ რედაქციასთან შედარებით არ არის მეტაფრასული. ის, რომ ცეცხლთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ მიმართული დიალოგი მხოლოდ ა რედაქციაში გვხვდება არავითარი არგუმენტი არ არის, რადგან ბ რედაქციას სწორედ ამ ნაწილში აკლია ერთი ფურცლის იდენტი (ძეგლები 1964: 243) და არავინ იცის, ამ ნაკლულ ნუსხაში ეწერა თუ არა ასეთი დიალოგი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ა რედაქცია კვალდაკვალ მისდევს ბ რედაქციას, მაშინ სავარაუდოა, რომ ბ რედაქციაში იყო ასეთი ნაწილი, თუნდაც იმიტომ, რომ თხრობა წყდება ასეთი ფრაზით: „მაშინ ევედრა ნეტარი იგი მტარვალთა მათ, რათა მივიდეს...“ ა რედაქციიდან ვარკვევთ, რომ წმ. აბიბოს ჰქონდა სურვილი მოენახულებინა ათცამეტ მამათაგან ერთ-ერთი, კერძოდ კი წმ. შიო მღვიმელი. ამას ა რედაქციაში მოსდევს ვრცელი დიალოგი ნეტარ მამებს შორის. ამის შემდეგ, როდესაც ნეტარი აბიბოსი „მრავლისა სიტყვსა განმტკიცნა“ წმ. შიოსაგან, წარადგინეს მარზპანთან და სწორედ აქედან იწყება ცეცხლთაყვანისმცემლობის განქიქება. სრულიად დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ ბ რედაქცია ამ ნაწილშიც თანხვედრი იქნებოდა ა რედაქციისა.

შესაძლებელია თუ არა, თავისთავად ცალკე აღებული ა რედაქცია ჩაითვალოს მეტაფრასულ ქმნილებად?

კ. კეკელიძის ვარაუდით, თხზულება „გავრცელებულია პროლოგით, ეპილოგით, შუაში ცეცხლთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ მიმართული პოლემიკით და ცალკეული სიტყვის შეცვლით... მეტაფრასული ხასიათი ნაწარმოებისა, სხვათა შორის, იქიდანაც ჩანს, რომ მის პოლოში ჩვენ გვაქვს გარკვეული შეხვედრანი იოანე ზედაზნელის მოკლე და საბინინისეულ რედაქციებთან, აგრეთვე შიო მღვიმელის „ცხოვრებასთან“. ეს შეხვედრანი მაჩვენებელია იმისა, რომ თხზულების ავტორს, თანახმად მეტაფრასტების ტრადიციისა, შეუტანია თავის შრომაში, შიგნით თუ დამატების სახით საჭირო ადგილები მის დროს არსებულ თხზულებებიდან“ (კეკელიძე 1956: 49).

ილია აბულაძე სხვაგვარად ფიქრობდა. მისი აზრით, „არ-საიდან არ ჩანს, რომ მეტაფრასული ხასიათი ამ ნაწარმოებისა

ყველასათვის თვალნათლივი იყოს, პროლოგით არ შეიძლება ამ თხზულების მეტაფრასული ხასიათის დამტკიცება, რადგან არაერთი პროლოგიანი ცხოვრება - წამების წიგნი მოგვეპოვება... მაგრამ ამის გამო ისინი მეტაფრასულ ნაწარმოებად არ მიიჩნევიან“ (აბულაძე 1955: 29–30).

კ. კეკელიძე ასეთ შენიშვნას შენიშვნითვე უპასუხებს: „პროლოგიცაა და პროლოგიც: საჭიროა გავითვალისწინოთ ლექსიკა, ფრაზეოლოგია, სინტაქსურ-სტილისტური თავისებურებანი პროლოგისა და მისი მიმართება ნაწარმოებთან მთლიანად, რომ გავერკვეთ ამ პროლოგის ბუნებაში“ (კეკელიძე 1956: 49).

თუმცა ამ თავისებურებათა შესახებ მეცნიერს დამატებით არაფერო უთქვამს. სხვათა შორის, ამავე წერილში წავანყდით ასეთ ფრაზას: „უკანასკნელად უნდა მოსულიყო ქართლში აბიბოს ნეკრესელი. მის ცხოვრებაში, რომელსაც მაინცდამაინც დიდი ცვლილება არ უნდა განეცადოს მეტაფრასტის ხელში...“ (იქვე: 38) და იმ აზრსაც, რომ „აბიბოს ნეკრესელის ცხოვრება“ ყველაზე მეტად არქაულია (იქვე: 40).

1. კეკელიძის ვარაუდი, რომ „მარტკლობად აბიბოს ნეკრესელისაც“ მეტაფრასულს პროლოგის გავრცობით ჰგავს და ეს პროლოგი თავისი ლექსიკით, ფრაზეოლოგით, სინტაქსურ-სტილისტური თავისებურებებით, ნაწარმოებთან მიმართებით რაღაც განსაკუთრებული ბუნებისაა, – სინამდვილეს არ შეესაბამება. ამდენად ი. აბულაძის მოსაზრება უფრო ახლოს დგას სიმართლესთან;

2. თხზულების შუაში წარმოდგენილი პოლემიკა, რომელიც ცეცხლთაყვანისმცემლობას ეხება და რომელიც ამ ტექსტის მეტაფრასულობის ერთ–ერთ ნიშნად არის ალიარებული დაუსაბუთებელ არგუმენტად გვეწვენება, რადგან ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიაში არაერთი თხზულება გვაქვს, რომლებშიც თეორიული ექსკურსები, ტიპიკალური ნაწილი, ცალკე ჟანრად ჩამოყალიბებული თავებიც კი გვხვდება. საკმარისია გავიხსენოთ „წმ. აბოს წამება“, „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“...

3. ნაწარმოების ბოლოს, ეპილოგში, შეტანილი ადგილები ამ დროს არსებული თხზულებებიდან ვერ მოგვცემს იმის თქმის არგუმენტირებულ საფუძველს, ვიმსჯელოთ თხ-

ზულების მეტაფრასულ ხასიათზე, რადგან

- ა. ეს ყველაფერი ფინალშია ნათქვამი, როგორც ერთიანი მთლიანი „ჯაჭვი ოქროდასა და მოდებული ურთიერთსა“, იმის საჩვენებლად, თუ რა ლვანლი მიუძღვით წმ. ასურელ მამებს ამა სოფლის „განმუენებაში“;
- ბ. ასურელ მამათა „ცხოვრება–წამებანი“ მაინც ერთი საკითხავია, ერთი იდეით, სულისკვეთებით, ერთი მთავარი სათქმელით შეკრული. ქართული ეკლესია დღესაც ასე განსაზღვრავს მათს ლვანლს 20 მაისი (ახ. სტ.) ხსენება ლირსთა იოანე ზედაზნელისა და ათორმეტთა მოწაფეთა მისთა (ეკლესის კალენდარი 2005: 57). წმ. აბიბოსის ხსენება ახ. სტილით 12 დეკემბერსაც აღინიშნება, მის ტროპარში ვკითხულობთ: „ან განსცხრებოდე ქართველთა ეკლესიაო, რამეთუ აღყვავენ სახედ შროშანთა სისხლითა მღუდელ-მონამისა აბიბოსთა და შეუთხზენ ქებაა ლირსაა მას ქებისასა და გვირგვინოსანმყოფელსა მისაა ქრისტესა ადიდიებდი, რათა მეოხებითა მისითა მომადლოს სულთა ჩუენთა დიდი წყალობა“ (ჟამნი 1899: 299).

ახლა დაწვრილებით შევეხოთ ცეცხლთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ მიმართულ ტექსტს, რომელიც ა რედაციაში გვხვდება და რომელიც ოცდათერთმეტ (31) არასრულ სტრიქონს მოიცავს. დიალოგის ფორმით მოცემული ეს ეპიზოდი მარზპანის ორი შეკითხვისა და აბიბოსის ორი პასუხისა-გან შედგება. ლექსიკური თვალსაზრისით მარზპანის შეკითხვები ლარიბია და ლოგიკურ სიღრმესაც მოკლებული. პირველი შეკითხვა ასეა ფორმულირებული:

„რაისათვეს უვარ-ჰყავ უფლებაა მეფეთ-მეფისაა და მოპკალ ღმერთი ჩუენი?“

მეორე შეკითხვა თითქოს იმეორებს პირველს: „მე ვიკითხავ, რაისათვეს მოჰკალ ღმერთი ჩუენი და შენ გნებავს, რათამცა შენისა ღმრთისა წარგვანენ?“, თანაც ინტონაციურად უფრო დაძაბული და მძიმეა. ამას გვაფიქრებინებს პირველი ფრაზა „მე ვიკითხავ“.

ამ დიალოგში მარზპანი აშკარად გაუწონასწორებელია, მენტორულია მისი ტონი, აგრესიული და ძალადობის მწვავე სურვილით შეფერილი.

სამაგიეროდ სრულიად სხვა სულიერ მდგომარეობას აჩვენებს ნეტარი აბიბოს ნეკრესელი. იგი ქადაგების, ჭეშ-მარიტების შეცნობის დიადი მიზნითაა შთაგონებული. მისი ლექსიკა, ფრაზეოლოგია, ინტონაცია, რომელშიც იკითხება სტილის თავისებურებაც, აბსოლუტურად განსხვავებულია მარზპანისაგან. წმ. აბიბოს პასუხი ასე ულერს: თქვენი ღმერთი, ანუ ცეცხლი, არის:

საცთური;

განქარვებადი;

ეშმაკი;

სხუათა ბუნებათაგანი;

თქუენდავე მონა;

კერპი.

„ცეცხლი იგი, რომელ დავშრიტე“ – ე.ი. ვძლიე თქვენს ლმერთს, მე დავიმორჩილე. ამის კვალობაზე შემოდის ჭეშმარიტი ლმერთის ატრიბუცია, რომ იგი არის:

ლმერთი მხოლოდ;

ყოველთა დამბადებელი.

ერთგვაგრი ცინიზმი გამოსჭვივის ნეტარის სიტყვებში, როცა უხსნის მარზპანს: „ერთი მცირე წყალი დავასხ, მძლე ექმნა და მოკლა იგი“. თქვენ „უნდოსა მსახურებაში“ ხართ, ამიტომ მას მხოლოსა უნდა მსახურებდეთ. ამის არგუმენტად იგი წმ. ლუკას სახარებას იმონქმებს (4, 8). ასეთ ანტინომიურ პრინციპზეა აგებული ეს დიალოგი. უარყოფითი იწვევს საპირისპირო ასოციაციას.

მტკიცე, შეუვალი, ურყევია წმ. აბიბოსი თავის მსჯელობაში. ეს შეიძლება მივიღოთ, როგორც ნეგატიური თეოლოგიის ნიმუში. ლოგიკურად იგი ცეცხლის გალმერთების აბსურდულ იდეას უმსხვრევს დიალოგში ჩართულ მხარეს, მარზპანს. მას აქვს თავისი არგუმენტები, რომლებიც იმაზეა აგებული, რომ ცეცხლი ერთ-ერთი სტიქიაა ღვთის მიერ შექმნილ სამყაროში და არავითარი უპირატესობა არ გააჩნია (ნუცუბიძე 1956: 265).

„განსწორებით დაბადებულ არიან ნოტიად, ცივი, წმელი და ცეცხლი“.

ნოტიად – ჰაერი;

ცივი – წყალი;

ქმელი – მიწა;
და ცეცხლი.

ესენი „განსწორებითა ნაწილთავთა დგანან“ ისინი ერთმანეთში შედიან, ერთმანეთთან კავშირში არიან და არც ერთი მათგანი არ არსებობს დამოუკიდებლად (შდრ. თვარაძე 1985: 168–169).

შემდეგი არგუმენტი ის არის, რომ ადამიანი იმორჩილებს ცეცხლს, მას შეუძლია სურვილისამებრ „აღანთოს და დააშთოს“ იგი. ცეცხლის გაღმერთების შეუძლებლობის დასამტკიცებლად ნეტარი აბიბოსი დაასკვნის: „ცეცხლი არ მართავს ბუნებას, არაა ბუნების ზემოთ, როგორც მას ეკუთვნის, თუკი იგი ღმერთია, პირიქით, ცეცხლი არსებობს ბუნების კანონის თანახმად“ (ნუცუბიძე 1956: 266).

სტილური თვალსაზრისით საინტერესოა ის, რომ ეს დიალოგი, რომელიც მარზპანის შეკითხვით იწყება, წმ. აბიბოსის შეკითხვითვე მთავრდება, ოლონდ ეს კითხვა რიტორიკულია, თავის თავშივე გულისხმობს და შეიცავს პასუხს. ინტონაცია წმინდანისა უკვე შეცვლილი, დააბული და სიბნელეზე სინათლის, ჭეშმარიტების გამარჯვების იდეითაა შთაგონებული. საინტერესოა რამდენიმე ასპექტი, რომლითაც აღბეჭდილია დიალოგი:

ნეტარი აბიბოსი ამ საუბარში წარმოგვიდგება არა მხოლოდ მქადაგებელი, პოლემიკოსი, თეოლოგიურ-ფილოსოფიური ცოდნით აღჭურვილი, არამედ როგორც მლოცველი. როდესაც მარზპანი ჰყითხავს, რატომ მოკალი ჩვენი ღმერთიო, ასე მიუგებს: „მე არავინ ვიცი მეუფედ, გარნა უფალი ჩუენი იესუქრისტე, ხოლო ცეცხლი იგი, რომელ დავშრიტე იგი, რათამცა საცოტური განვაქარვე ეშმაკია ხოლო გლოცავ, რათა განეყნეთ უნდოსა მას მსახურებასა და ღმერთი მხოლოდ იცნათ“.

გარდა იმისა, რომ ამ პასუხში წმ. აბიბოსი საცდურის „განმქარვებელი, ეშმაკის დამთრგუნველიცაა, მტრისთვის, ჭეშმარიტებიდან გზასაცდენილისთვის მლოცველია. იგი თითქოს ლოცვა-კურთხევას აძლევს მართლმადიდებელი სარწმუნოების უარისძყოფელთ, ჭეშმარიტებისა გზათა შეცომილთ, წვალებათაგან დაბნეულთ, რომ მოიქცნენ მართალსა სარწმუნოებასა ზედა, იცნონ მხოლოდ ჭეშმარიტი ღმერთი და თაყვანის

სცენ მას (შდრ. ლოცვანი 1997: 249).

ნეტარი აბიბოსის პასუხში იკვეთება ეთიკური ასპექტიც. მე ცეცხლს მცირეოდენი წყალი დაგასხი და „მძლე ექმნა და მოკლა იგი... ან მიკვირს თქუენი ესევითარი სიცოფე, ვითარ არა სირცხვლ გიჩნს მისი სახელის-დებად ღმერთად“. აქ თავისთავად საინტერესოა ის, თუ როგორ მიმართავს წმინდანი ყველანაირ საშუალებას, დაუმტკიცოს მარზპანს, რომ არ შეიძლება ცეცხლი იყოს ღმერთი, ბოლოს მას „ნამუსზეც კი შეაგდებს“, როგორ არ გრცხვენიაო. ამ კონტექსტის უშუალობასა და დინამიკურობას ისიც ქმნის, რომ ნეტარი აბიბოსი გაკვირვებულია მათი სიცოფით (სიგიურ, სისულელე), რადგან „ესე ცეცხლი თქუენდავე მონა არს“. როდესაც ამ სიტყვებს კითხულობ „ან მიკვირს თქუენი ესევითარი სიცოფე“, თვალწინ წარმოგიდგება ღვთაებრივი მადლითა და სიბრძნით შემკული წმინდანის ამაღლებული სახე, რომელსაც თითქოს გულზე ხელი დაუდევს და მთელი უშუალობითა და გულწრფელობით უმტკიცებს კერპთმსახურთ ერთი შეხედვით ელემენტარულ ჭეშმარიტებას. შეუძლებელია ამ ეპიზოდის გულგრილად ჩაკითხვა, მისი ემოციური მუხტი, თხრობის დინამიკა, არგუმენტაციათა სიმტკიცე და ლოგიკურობა მთლიანობაში ქმნის ნაწარმოების მხატვრულ-ესთეტიკურ კულმინაციას.

სახისმეტყველების კვალობაზე ერთობ საინტერესოა ის სისტემა, რომელსაც აგიოგრაფი გვთავაზობს და რომელიც უფრო ამაღლებულს ხდის წმ. აბიბოს ნეკრესელის მოწამებრივ სახეს:

წმიდა და უბინო მღვდელი-მოძღვარი;

წამებული ჭეშმარიტებისათვს;

მღდელთ-მოძღვარი მადლისაა;

შუამდგომელი ღმრთისა და კაცთაა;

ნეტარი ეპისკოპოსი;

ნაყოფი შუენიერი;

სპეტაკი ვარდი;

ჰაერისა სულნელ-მყოფელი;

მეგობარი ბრწყინვალისა მის მნათობისა სჭმეონ მესუეტისა;

მამა მფლობელი;

სამგზის სანატრელი;

მსხვერპლი წმიდაა;

სეხნა ზაქარიაშვალი.

ამ სახეებს ბრედაქციის მიხედვით დაქმატება:

ახუვანი მონამე;

მღდელთა მოძღვარი მაღლისაა; (მაღლისა – ა რედაქცი.)

სანთელი მაღლად მნთებარე;

მნათობი და განმანათლებელი ყოველთა მხილველთა მისთაა;

ძლუენი სამსხვერპლო;

შესწირავი სულნელი.

„წმ. აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ ტექსტი, ორივე რედაქცია ა და ბ, ძალიან მწირ მასალას იძლევა საღვთო სახელთათვის. შეუძლებელია მეტაფრასულ ნაწარმოებში მხოლოდ ათამდე საღვთო სახელი შეგვხვდეს, მაშინ, რდესაც ქართული აგიოგრაფიის ნებისმიერ ძეგლში მთელი სისტემაა წარმოდგენილი (შდრ. „წმ. აბოს ნამება“, „წმ. დავითისა და ტირიქანის ნამება“, „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და მისთ.). საკვლევი ტექსტის ორივე რედაქცია ამ მხრივ ასეთ სურათს გვთავაზობს:

სიტყვა დაუსაბამო;

ქრისტე;

ძე ღმრთისა,

უფალი (უფალი ჩუენი იესუ ქრისტე);

ღმერთი მხოლოდ;

ყოველთა დამბადებელი (რომლისა მიერ დაებადა ყოველი);

უფალი ღმერთი;

წმიდა სამება.

ასეთი ჩამონათვალი უჩვეულოა „სიტყვა განშუენებული“ მეტაფრასტიკისათვის. ამდენად, ეს კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტია ჩვენთვის, რომ „წმ. აბიბოს მარტვილობის“ ტექსტი მეტაფრასტიკის ნიმუშად არ მივიჩნიოთ. სხვათა შორის, დამატიქრებელია თავად ბ–ნ კ. კეკელიძის ეს გამონათქვამი: „მაინცდამაინც დიდი ცვლილება არ უნდა განეცადოს მეტაფრასტის ხელში“ (კაკაბაძე 1928: 38) და ეს მაშინ, როცა იგი ამ თხზულების მეტაფრასტულობას ამტკიცებდა.

საინტერესოა ისიც, რომ მთელ ნაწარმოებში არის მხოლოდ ორი ადგილი, რომლებშიც აგიოგრაფი იმოწმებს ბიბლიიდან ცი-

ტატას: „იტყვს მოციქული, ვითარმედ: „მაჭირვებელთა თქუენ-თა ჭირი და თქუენ ჭირვეულთა ლხინი“ – ეს არის თესალონი-კელთა მიმართ ეპისტოლედან 1,6–7 და მეორე წმიდა ლუკას სახარებიდან ციტატა: „უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანის–სცე და მას მხოლოსა მსახურებდე“ (ლკ., 4, 8). ორივე ციტატა ა რედაქციის კუთვნილებაა, რადგან ბ რედაქციის ნუსხას ერთი ფურცლის ოდენი აკლია სწორედ ამ მონაკვეთში.

გარდა ამისა, ორივე რედაქციის მიხედვით, ერთხელაა ნახსენები ბიბლიური ოსები: „შვილი შენი იოსებ წარვალს ეგვატედ“, ერთხელ მოიხსენებიან სამნი ყრმანი, ცნობილნი ძველი აღთქმიდან: წმიდა წინასწარმეტყველ დანიელთან და-კავშირებულნი: ანანია, აზარია და მისაელი (600 წ. ქრისტეს შობამდე). ერთხელ არის შედარება ახალი აღთქმის ზაქარი-ასთან: „სეხნა არს იგი ზაქარიასა, მამისა იოანესა“ (ა რე-დაქცია); „ესრეთ შეინირა ღმრთისა ნეტარი აბიბოს, ვითარცა ძლუენი სამსხვერპლო, შესწირავი სულნელი, ვითარცა მამად დიდისა ზაქარიასა“ (ბ. რედაქცია). ა რედაქციაში ნახსენებია იაკობ მამამთავრის ცოლის, რაქელის, სახელი: „ჰებადოდ იგი დედასა თვისსა რაქელს, რომელ არს ერთი კათოლიკე ეკლე-სიად სამოციქულო“. რაქელის ხსენება ამ კონტექსტში ახსნას ითხოვს. ბ რედაქცია რაქელს არ ახსენებს: „ვედრებით ხადოდა იგი წმიდასა კათოლიკე სამოციქულოსა ეკლესიასა“.

მათეს სახარებაში ვკითხულობთ: წმაზ ჰრამათ ისმა გო-დებისა და ტირილისა და ტყებისა მრავალი, რაქელ სტიროდა შვილთა თკსთა“ (მ. 2, 18). ბიბლიური ისტორიის მიხედვით, რაქელი შვილებს არ დასტიროდა. სახარების ამ მუხლს ასე განმარტავენ: „რაქელის საფლავი მდებარეობდა ქალაქ რამას მახლობლად, ბეთლემის სანახებში. წინასწარმეტყველი იერემია უყურებდა, თუ როგორ მიჰყავდათ ბაბილონელებს დატყვევე-ბული ებრაელები ქალაქ რამიდან, რომელიც ბეთლემთან ახ-ლოს არის. რაქელის გოდებაში მან ასახა დედების მწუხარება დატყვევებულთა გამო. ის, რასაც თავის დროს იგლოვდა წი-ნასწარმეტყველი, იყო ბეთლემში მოწყვეტილ ჩვილთა გლოვის პირველსახე“ (მათეს სახარების განმარტება 1998: 60).

აქედან გამომდინარე, წმ. აბიბოს ხეკრესელის მტარვალ-თა მიერ წაყვანა მარზპანთან შეიძლება გავიაზროთ, როგორც

დედების მწუხარება, მათი გლოვა ნეტარის „მრავალფერითა ჭირითა“ ტანჯვის გამო.

წმ. აბიბოსი ერთხელაა მოხსენიებული, როგორც ეკლესიის დიდი წმინდანის, სვიმონ მესვეტის, სულიერი მეგობარი, როგორც „შორეული, ვითარცა მახლობელი“.

ციტაციების ასეთი სიმცირე და მხატვრულ პარადიგმათა სიმწირე საერთოდ არ ახასიათებს მეტაფრასტიკას. ამდენად, ჩვენი აზრით, ესეც ერთი არგუმენტია იმის ნათელსაყოფად, რომ „წმ. აბიბოს წეკრესელის მარტვილობა“ არ არის მეტაფრასტული ძეგლი.

თბზულების მიხედვით წმ. იოანე ნათლისმცემელის მამა, ზაქარია ცხადდება წმ. აბიბოსის პირველსახედ: „სენა არს იგი ზაქარიასა, მამისა იოანესსა, არა თუ სახელითა, არამედ სახითა“. ნეტარი აბიბოსი თანამოსახელეა ზაქარიასი არა სახელით, არამედ „სახითა“, ე.ი. რით? – საქმით, ღვანლით, თავ-დადებით, სულიერი სიმტკიცით, ღვთის სიყვარულით, ერთ-გულებითა და სიწმინდით.

წმიდა წინასწარმეტყველი ზაქარია აარონის მოდგმისა იყო. წმიდა ზაქარია, ბარაქიას ძე, იერუსალიმის ტაძარში მღვდელმ-სახურებდა, ის და მისი მეუღლე, მართალი ელისაბედი, „ვი-დოდეს ყოველთა მცნებათა სიმართლისა უფლისათა უბინონი“ (ლკ. 1, 6), მაგრამ უშვილობით იტანჯებოდნენ, რაც იმ ხანებში უფლის დიდ სასჯელად ითვლებოდა. ერთხელ, ტაძარში მსახ-ურების დროს, წმ. ზაქარიას ანგელოზმა აუწყა, რომ უკვე მხცოვანებას მიღწეული ელისაბედი უშობდა ძეს, რომელიც იქნებოდა „დიდ წინაშე უფლისა“ (ლკ. 1, 15). ზაქარია დაეჭვდა ამ წინასწარმეტყველების აღსრულების შესაძლებლობაში და მცირედმორჩმუნეობისათვის დაისაჯა – დამუნჯდა. როცა მართალმა ელისაბედმა ძე შვა, სულინმიდის შეგონებით მას იოანე უნდა, თუმცა მათს მოდგმაში ეს სახელი არავის ერქვა. ახალშობილის მამას რომ დაეკითხნენ, მან ფიცარი მოითხოვა და ზედ იგივე სახელი წაანერა.

როცა უსჯულო ჰეროდემ მოგვებისაგან შეიტყო მესიის შობის შესახებ, გადაწყვიტა, ბეთლემსა და მის შემოგარენში ამოეულიტა ყველა წული „ორით წლითგანი და უდარესი“ (მთ. 2, 16). ჰეროდემ კარგად იცოდა იოანე წინასწარმეტყველის

საკვირველი შობის შესახებ და მისი მოკვლაც სურდა. მართა-ლი ელისაბედი შვილთან ერთად მთებში გაიხიზნა. მკვლელები ყველან დაექცებდნენ მათ, როდესაც ელისაბედმა მდევრები შენიშნა, ცრემლებით შესთხოვა უფალს, შესწეოდა. უცრად მთა გაიპო და დედა-შვილი შეიფარა. ამ ავბედით უამს ზაქარია იერუსალიმის ტაძარს არ განშორებია. ჰერონდეს გამოგზავნილი მეომრები დიდხანს ამაოდ ეცადნენ, იოანეს ადგილსამყოფელი შეეტყოთ მისგან, რის შემდეგაც, ჰერონდეს ბრძანებით, განგმირეს იგი „შორის ტაძრისა და საკურთხეველისა“ (მთ. 23, 35) (წმინდანთა ცხოვრება II 2003: 203–204).

ქართველი აგიოგრაფი ამ მონამებრივი სისხლის გამო შეადარებს ნეტარ აპიბოს წმ. ზაქარიას: „რომელსა იგი წილი ხუედრებულ იყო მღდელთმოძღურებისა და მისებრ სისხლიცა წმიდად მისი დაითხია უფლისა ჩუენისათვს“. წმ. ზაქარია – მღვდელმოძღვარი, წმ. აპიბოსი – მღვდელმოძღვარი და მღვდელმთავარი, – ეპისკოპოსი; წმ. ზაქარია – ჰერონდეს ბრძანებით საკურთხეველისა და ტაძარს შორის მტარვალთაგან განგმირული, წმ. აპიბოსი – მარზპანის ბრძანებით მრავალგვე-მული და „საკურველითა სატანჯველთადასა ქვით განტკული“.

ერთობ საინტერესოა წმ. აპიბოს ნეკრესელისა და წმ. სვიმეონ მესვეტის შედარება, რომელთაც „არა თუ ხილვითა ეხილვა სადამე ერთმანერთი, არამედ სულიერითა მით სიყუა-რულთა, რომელთა იხილვების შორეული ვითარცა მახლობე-ლი“. ასეთი სულიერი კავშირი შინაგან ლოგიკასაც ექვემდე-ბარებოდა, რადგან წმ. სვიმეონის სულიერი შვილი იყო ღირსი იოანე ზედაზნელი, რომელიც სწორედ მისი კურთხევით ჩამოვ-იდა საქართველოში (წმინდანთა ცხოვრება I 2003: 406). წმ. იო-ანეს ერთ-ერთი მონაცე კი აპიბოს ნეკრესელი იყო. ამდენად წმ. სვიმეონ მესვეტესთან სულიერი მეგობრობა ტრადიციის გაგრძელებასაც წარმოადგენდა. ამასთანავე, ღირსი სვიმეონ მესვეტის დაბადება და ღვთის საამსახურში ჩადგომა იოანე ნათლისმცემლის გამოცხადებით ეუწყა თურმე წმიდა მართას, სვიმეონის დედას. ასე გასდევს უფლის წინამორბედის ხატება „წმ. აპიბოს ნეკრესელის მარტვილობას“.

გამორჩეულად საინტერესოა წმ. აპიბოს ნეკრესელისა და წმ. შიო მღვიმელის დიალოგი, რომელიც ა რედაქციის კუთ-

ვნილებაა. აგიოგრაფი გვაუწყებს, რომ აპიბოსი ევედრა მტარვალებს, ნება დაერთოთ მოენახულებინა წმ. შიო, რომელსაც აღრევე იცნობდა და რომლის ნახვის სურვილიც ჰქონდაო. შეხვედრისთანავე „ყვეს ლოცვად და მოიკითხეს ურთიერთს“. რა ლოცვა შეიძლებოდა ყოფილიყო? ალბათ სამადლობელი და სადიდებელი უფლისა ამ სიხარულისთვის, ე.ი. ჯერ დიდება და მადლობა უფალს, შემდეგ კი ქრისტესმიერი სიყვარულით ერთმანეთის მოკითხვა. ეს არის შეხვედრა ორი ადამიანისა, რომლებიც შეგვიძლია მოვაზროთ, როგორც „ზეცისა კაცნი და ქუყანისა ანგელოზნი, განმანათლებელნი სოფლისანი, სახენი, წესნი და კანონნი უცოთომელნი მონაზონებისანი“ (ბ. რედაქცია).

ღვთაებრივი მადლითა და მაღალი სულიერობითაა გაჯერებული მათი საუბარი. ნეტარი აპიბოსი სთხოვს მღვიმელს: „ლოცვა ყავ, მამაო, რამეთუ უსჯულონი ესე სპარსნი განძინდეს ჩუენ ზედა ამპარტავანებითა თვისითა“... აქაც განსაკუთრებულია ლოცვის სათნოება, მისი ძალა და მადლი. აპიბოსის ამ საუბარში ერთი საინტერესო მხატვრული შედარებაა: ურჯულო სპარსელებმა „კუალად განაგეს ბადე და შეაყენეს კაცნი თაყუანისა-ცემინნეს ცეცხლსა“. ე. ი. გამართეს, გაამზადეს ბადე ქრისტიან ქართველთა დასაჭერად, საცდუნებლად, ეს ის ნაწილია საზოგადოებისა, რომელთა შესახებ უფრო ადრე ტექსტში ნათქვამია: მრავალთა, დაუმტკიცებელთა სარწმუნოებასა და ნაკლულევანთა გონებითა, შეაცთუნებდეს“ (ბ რედაქცია).

წმ. შიოს პასუხი ერთდროულად შეიცავს თანადგომის, თანაგანცდის, გამხნევების ინტონაციას. რთულია ქრისტიანად ცხოვრება, თუმცა არც არასოდეს ყოფილა ადვილი. ვინროა სასუფევლისკენ სავალი გზა: „მრავლითა ჭირთა გვლირს შესვლად სასუფევლსა ლმრთისასა“. ასეთი შესავალი ერთგვარი შეხსენებაა იმისა, რომ მასაც ტკივილი და „ჯვარცმა“ ელოდება. აი, აქ მოიხმობს წმ. შიო პავლე მოციქულის სიტყვებს: „მჭირვებელთა თქუენთა ჭირი და თქუენ ჭირვეულთა ლხინი“.

პავლეს ეპისტოლეთა განმარტებაში ვკითხულობთ: „ეს ეპისტოლე ათენით მიუწერა ნუგეშინის-ცემად ჭირთა მოთმინები-სათვს“ (პავლეს ეპისტოლეთა განმარტება 2003: 256). ასე სკანუგეში წამების გზაზე შემდგარ აპიბოსს წმ. შიო მღვიმელმა და, ბოლოს, იმედად და ნუგეშად მისდა დასძინა: „უწყოდე, რა-

მეთუ ჭირი მათი შენ დიდება გექმნეს წარუვალ და ჭირი ეგე შენი მით დაცემა და განბნევა“.

კიდევ მრავალი სიტყვით განამტკიცა ნეტარი აბიბოსი მეუდაპნოე მამამ და გამომშვიდობებისას „ყვეს ლოცვად, და წარემართა ღუანლსა მას სიხარულით“. ლოცვით შეხვდნენ და განშორდნენ ერთმანეთს. ლრმადსულიერმა საუბარმა ისე განამტკიცა წმ. აბიბოსი, რომ სიხარულით შეუდგა ეკლიან გზას, რომელიც, წმ. შიოს სიტყვებით რომ ვთქვათ, წარუვალ დიდებას მოუტანდა მას და მარადიულ სასუფეველს დაუმკვიდრებდა.

თავი XIII

გიორგი მერჩულის „შრომაზ და მოღუაცებაზ ღირსად
ცხორებისაზ ნეიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა
გრიგოლისი არქიმანდრიტისაზ, ხანძოისა და
შატპერდის აღმაშენებელისაზ და მის თანა
ჟსეცებაზ მრავალთა მამათა ნეტართა“

ნმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერით აგიოგრაფი გაგვიცხადებს წუთისოფელში ადამიანის რაობის, მისი დანიშნულების საიდუმლოს, რომ ყველაფერი წარმავალია და ამაო, უკვდავია მხოლოდ სული და სწორედ მისი ხსნა უნდა გახდეს ყოველი ადამიანის უპირველესი საზრუნავი.

გიორგი მერჩულის თხზულების სათაური „შრომაზ და მოღუანებაზ ღირსად ცხორებისაზ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაზ, ხანძთისა და შატპერდის აღმაშენებელისაზ და მის თანა წსენებაზ მრავალთა მამათა ნეტართა“ ჩვენს ყურადღებას იქცევს იმ თვალსაზრისით, რომ მასში გაცხადებულია ადამიანის ამქვეყნიური იდეალი – „ღირსად ცხორებაზ“ (ღირსეულად ცხოვრება), რომელიც გულისხმობს შრომასა და ღვაწლს. იშრომე და ილოცე! – შეგვა- გონებენ წმიდა მამები, „სარწმუნოება თვინიერ საქმეთასა მკუ- დარ არს“, – გვაფრთხილებს იაკობ მოციქული (იაკ. 2, 26).

„ღირსად ცხორება“ – არსებობის განსაკუთრებული სახეობაა, რომელიც გულისხმობს სარწმუნოებას, სასოებას, სიყვარულს, მოთმინებას, მორჩილებას... ერთი სიტყვით, ქრისტიანობას, მაღალ სულიერობას. უნდა იცხოვრო ისე, რომ ცხონდე! სასუფევლის დამკვიდრება არის შედეგი ღირსად ცხოვრებისა.

სხვათა შორის, თხზულებაში ხშირად კეთდება აქცენტი ღირსებაზე. მეორე თავის დასაწყისში აგიოგრაფი კლარჯე- თის უდაპნიში პირველად მისულ მამებზე აცხადებს: „უდა- ნოთა შინა პირველად დამკვიდრებულთა მათ წმიდათა მამათა, ღირსად ცხორებულთა“ ან „რომელსა ეწოდა ღირსად დიდი

არსენი“ (ძეგლები 1964: 267), ან „ზაქარია ანჩელი ეპისკოპოსი, ღირსი და სასწაულთა მოქმედი“ (იქვე: 275), ან „მამაო დიდო... და ღირსო ღმრთისაო“ (იქვე: 302), ან „რაღთა ვიტყოდი ღირსად ცხორებასა ღმერთ-შემოსილთა კაცთასა“ (იქვე: 248), ან „ყოლადვე ბრძნობად სიწმიდესა სიმართლით ღირსებასა თანა“ (იქვე: 248).

სულხან-საბა ორბელიანი „ღირსებას“ ასე განმარტავს: „ღირსება მართებულის გება“ (ორბელიანი 1993: 251). ეს ყველაფერი ნათლად წარმოაჩენს აგიოგრაფის მისწრაფებას, ადამიანმა საკუთარ თავში აღმოაჩინოს ღმერთი, მიაგოს მას მისაგებელი, იგრძნოს ეს ნეტარება და გახდეს „ღირსი ღმრთისა“. საკუთარი ღირსების შეგრძნება უნდა განხორციელდეს ღვთაებასთან მიმართებაში – ეს არის სულის ხსნის გზა, ანუ ის უმთავრესი, რისთვისაც „მოწოდებულია“ აგიოგრაფია.

„წმიდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ დასაწყისი კვეთრად წარმოაჩენს ავტორის, გიორგი მერჩულის, სახებას. სტრიქონებს შორის იგრძნობა აგიოგრაფის თეოლოგიური აზროვნებისა და ლიტერატურული კულტურის მასტებები, მისი ეკლესიურობა. სპეციალურ ლიტერატურაში საგანგებოდაა შესწავლილი მოძღვრება ორგვარი სიბრძნისა და დუმილის ეს-თეტიკის შესახებ (ბარამიძე 1996; სირაძე 1987; ჰაგიოგრაფიის ღვთისმეტყველება 1997). ჩვენ მხოლოდ ერთ ასპექტზე შევჩერდებით. გიორგი მერჩულე საკუთარ თავში რამდენიმე „ნაკლულოვანებაზე“ გვესაუბრება:

1. „სულელნი სიბრძნის-მეტყველებენ, ბრძენი კი დუმან“ (ძეგლები 1964: 248). დუმილს ის უპირატესობაც აქვს, რომ ადამიანი დაცულია „მეტყუელებისაგან ცუდისა და... ძრის-სიტყვსა უქმ“ (იქვე: 248). გიორგი მერჩულის ამ განაცხადში კარგად იგრძნობა მისი სიტყვისადმი დამოკიდებულება, რომ სიტყვა არის სულიერი ოდენობა, პიროვნების სულიერი სამყაროსა და ინტელექტუალური საწყისის გამოხატულება, არ-სებობის აზრი და საზრისი. ადამიანი პასუხს აგებს ყოველი თქმული სიტყვის გამო, ამიტომ დუმილს ეს უპირატესობაც აქვს; გვიცას ამამ მეტყველებისაგან. აგიოგრაფის შიში ცუდი და ფუჭი მეტყველებისა მომდინარეობს სახარებიდან. მაცხოვარი ბრძანებს: „სიტყუათა შენთაგან განმართლდე და სი-

ტყუათა შენთაგან დაისაჯო“ (მ. 12, 37).

„ნაკლულევანებად ჩემი არა მიფლობს დუმილად“ – ეს არის აგიოგრაფის პიროვნული უძლურება, სისუსტე ან, შეიძლება, ცოდვაც კი;

2. გიორგი მერჩულე სინანულით აცხადებს: „ვერ ძალ-მიც მოუკლებელად ლოცვა“ (ძეგლები 1964: 248) და, ამის გამო, „სულელთა ყოველთა უდარეს ვარ“. რა თქმა უნდა, აგიოგრაფი აქ თავმდაბლობას იჩენს და ამპარტავნობისაგან იცავს თავს, მაგრამ თავად ფაქტი, რომ ეს მონაკვეთი თხზულებისა ლოცვის აპოლოგია, ბევრს ნიშნავს. ლოცვის სათნოება გამორჩეული ტალანტია ადამიანში. ლოცვა დასაბამია სიკეთისა. სიკეთე კი არსებობის ერთადერთი გამართლებაა.

წმიდა ბასილის მოძღვრებით: „არა სიტყვა ოდენ აღასრულებ ლოცვასა, არამედ ყოველთავე მოქალაქებითა ცხორებისა შენისათა შეგიერთებიეს თავი შენი ღმრთისა მიმართ და არს ყოველივე ცხორებად შენი შეერთებული და დაუცადებელი ლოცვაა“ (კესარიელი 1983: 44).

გიორგი მერჩულე განმარტავს: რადგან აღარც ლოცვა ძალმიძს და არც დუმილი, „უმჯობესად შემირაცხიეს, რათა ვიტყოდი ღირსად ცხორებასა ღმერთ-შემოსილთა კაცთასა... მადლითა და შეწევნითა ღმრთისათა“. აგიოგრაფი იცავს შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელ გარდაუვალობას: ვიტყოდი მადლითა და შეწევნითა ღმრთისათა. ადამიანი მადლობელი უნდა აკეთებდეს - სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა. ღმერთს შეწევნა უნდა სთხოვო საქმის დაწყების წინ და მადლობა შესწირო დამთავრების შემდეგ. ასე გვასწავლის დედაეკლესია, ასეთია მართლმადიდებლური სწავლება. „თვინიერ ჩემსა არარად ძალ-გიც ყოფად არცა ერთი“ (ინ. 15, 5) – ბრძანებს მაცხოვარი. „ლოცვად ყოველი საქმის დაწყების წინ“ ასე მთავრდება: „შემეწიე საქმესა ამას შინა მე ცოდვილსა, რათა ვყო იგი ნებისაებრ შენისა“ (ლოცვანი 1999: 69).

„წმიდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მძლავრი ნაკადია პროვიდენციალური მოძღვრებისა. აქ ყველაფერი ღვთის ნებითა და შეწევნით ხდება. აგიოგრაფი სიხარულით აცხადებს, წმიდა გრიგოლ ხანძთელი „ნებითა ღმრთისათა იკურთხა

ხუცად“ (ძეგლები 1964: 251). ოპიზისაკენ მიმავალ ოთხ სულიერ ძმას „უფალი მხოლოდ უძღვდა“ (იქვე: 252), – შენიშნავს აგიოგრაფი.

„ნებითა ღმრთისათა ვიდრე სიკუდილამდე თკთ ვემსახურო თავსა ჩემსა“ (იქვე: 255) – ამბობს ბერი წუედიოსი ან „ბაგრატ კურაპალატმან ნებითა ღმრთისათა... მოილო კურაპალატობა“ (იქვე: 272), ან „კეთილ არ განზრახვად ეგე თქუენი ნებითა ღმრთისათა“, – ეუბნება წმ. გრიგოლი თეოდორეს და ქრისტეფორეს (იქვე: 279), ან „ნებითა ღმრთისათა განმრავლდებოდეს ძმანი ქრისტეს მსახურნი“ (იქვე: 258) ან „მიინია ნებითა ღმრთისათა სახლისა გაბრიელ დაფანჩულისასა“ (იქვე: 258). ჯავახეთის საეკლესიო კრებაზე მტკიცედ და შეუწყელად იტყვის დიდი მოძღვარი: „არსენი კათალიკოზი ნებითა ღმრთისათა კათალიკოზი არს“ (იქვე: 288) და მისთ.

გიორგი მერჩულის მთელი თხზულება შეუწყვეტელი ლოცვაა, თანაც ამ ლოცვას ყოველთვის ახლავს ცრემლი. ცრემლით ლოცულობს წმიდა გრიგოლ ხანძთელიც. მის მიერ აღვლენილ ლოცვებს წინ უძღვის ცრემლი. წმიდა ეფრემ ასურის მიხედვით, „წინდი გაღმრთობისა ჩვენში ქრისტესმიერი ნათლისლებაა, ხოლო მთავარი მამოძრავებელი ქრისტიანული ცხოვრებისა – სინანული.... ცოდვათა მიტევება სინანულის საიდუმლოში სრული მოსპობაა, აღხოცვაა მათი. სინანულის ცრემლები დასწვავენ ცოდვებს... სინანულის ცეცხლოვან ემბაზში... საკუთარ თავს გადაიდნობ, საკუთარ თავს აღადგინებ მკვდრეთი“ (ეფრემ ასური 1991: 139).

გიორგი მერჩულე გვაუწყებს: „წმიდამან გრიგოლ გონებითა შემუსრვილითა ლოცვად ესე ცრემლით ჭელგანპყრობით წართქუა“ (ძეგლები 1964: 256) ან „აღდგა სიხარულისა ცრემლითა სავსც“ (ძეგლები 1964: 259), ან „ნეტარმან გრიგოლ... ლოცვად ესე ცრემლით წართქუა“ (იქვე: 260), ან „რაჟამს მოვიდა ნეტარი მამად გრიგოლ შატბერდს, მაშინ ცრემლითა მისთა მდინარითა ირწყვოდა ადგილი იგი, იტყოდა რაა ლოცვასა ამას“ (იქვე: 273).

აღსანიშნავია ისიც, რომ ცრემლის განსაკუთრებულობა ხაზგასმული და აქცენტირებულია გიორგი მერჩულის მიერ. აგიოგრაფი ეტკვანეს მაღალი სულიერობის განმსაზღვრელად,

მის მორჩილებასთან ერთად, სასწაულოთმოქმედების ტალანტ-საც გამოყოფს: „ცრემლითა დათხევითა სულთა უკეთურთა განასხმიდა და სნეულთა მსწრაფლ განჰკურნებდა“ (ძეგლები 1964: 291), უფრო მეტიც, „მორჩმუნეთა ლოცვითა საკუდილის-აგან იქსნიდა“ (იქვე: 291). ამ ფრაზაში, ლოცვის ძალასთან ერთად, ხაზგასმულია მეორე ასპექტიც – „მორჩმუნეთა“ იხსნიდა, რადგან მხოლოდ ის განიკურნება, ვისაც ეჭვი არ ეპარება, ვინც რწმენით მივა მკურნალთან. ასე განკურნებს ეტკვანე შვიდი წლის ბიჭს, რომელსაც „სალმობანი სიკუდილისანი ენინეს და სენისა მისგან წრტიალისა ისწრაფდა სული განსლვად გუამისა მისგან“ (იქვე: 291). ქრისტეს წინაშე დავარდა წმიდა ეტკვანე და თქვა: „უფალო, ღმერთო ჩუენო, იესუ ქრისტე, იხილენ ცრემლნი ჩემნი და ცრემლნი საწყალობელისა ამის დედაკაცისანი და წყალობა ყავ ყრმასა ამას ზედა“ (იქვე: 291).

თხზულების ეს მონაკვეთი კიდევ ერთხელ ცხადყოფს ლოცვის სათნოების შეუვალობას და იმას, თუ რა ძალა აქვს რწმენით და ცრემლით შევედრებულს. ასეთივე ცრემლით შეავედრა ეტკვანემ უფალს „ყრუე და უტყყ და გონება-ნაკლული“ შვილი და განკურნა. „ნეტარი იგი ცრემლობდა სულთქუმით“ (იქვე: 292) – შენიშნავს აგიოგრაფი.

ნეტარმა გრიგოლმა ავადმყოფი შვილი განკურნა დედას: „და ინყეს ცრემლთა მისთა დინხბად, რომელნიცა საწუმილ მქონემსა ექმნეს, რამეთუ კაცთაგან უხილავად შესწუვიდა მძლავრსა მას უკეთურსა ეშმაკსა ლოცვანი გრიგოლისნი და განიოტებდეს მას“ (იქვე: 295).

თუ გიორგი მერჩულე მწვავედ განიცდის იმას, რომ არ ძალუძს „მოუკლებელად ლოცვაა“, წმ. გრიგოლ ხანძთელი და მისი მოწაფენი ლოცვითს მდგომარეობაში არიან. შატბერდელ მეუდაბნოე მამებს ანდერძად დაუგდებს ნეტარი გრიგოლი: „წმიდათა შინა ეკლესიათა თქუენთა ურთიერთას ულოცევდით და, მემცა გლახაკი, მარადის გაწსოვ წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა“ (იქვე: 309). ალსასრულის წინ კი ხანძთელ მოძმეებს შეავედრა: „ნუ სადა დამივიწყებთ ლოცვასა თქუენსა“ (იქვე: 315) – გიორგი მერჩულე საგანგებოდ მოიხმობს წმ. იაკობ მოციქულის სიტყვებს: „ურთიერთისთვის ილოცევდით, რათა განიკურნეთ“ (იაკ. 5, 16). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ერთი

პარალელის შესახებ. წმიდა შუშანიკ დედოფალი საპყრობილები განუწყვეტლივ ლოცულობდა, ფსალმუნები ზეპირად დაისწავლა და „კითხვიდა წიგნთავთა მოუწყინებლად განაპონებინა და განაშუენა ყოველი იგი ციხე სულიერითა მით ქნარითა“ (ძეგლები 1964: 221). წამებული დედოფალი მხურვალე, გულიდან ამოსული ლოცვით ნათელს ჰყენს ციხის სიბნელეს. ეს ნათლის ესთეტიკაა. გიორგი მერჩულე მოგვითხრობს: „მამად გრიგოლ და ზენონ სიტყუითა მდაბლითა ფსალმუნებდეს“ (იქვე: 313), აგიოგრაფი იმასაც კი გვაუწყებს, როგორ ტონალობაში იკითხებოდა ფსალმუნი მათ მიერ: არა ხმამაღლა, მაჟორში, არამედ ხმადაბლა, მინორში და „მადლმან საღმრთო-მან განაპონენვნა იგინი ნათლითა დიდებისათა და სახლი იგი ბნელი, ვითარცა მზისა მცხინვარებამან განანათლა“ (იქვე: 313). აქაც ნათლის ესთეტიკაა. საოცარია და გონებისათვის მიუწვდომელი ეს ყველაფერი, მაგრამ გიორგი მერჩულე არ იფარგლება მხოლოდ ფაქტით. როდესაც მამა მაკარიმ იხილა ეს საღვთო ნათელი, გაუკვირდა. წმ. გრიგოლ ხანძთელმა კი ასე განუმარტა. „ძმაო, მაკარი, რაღა გიკრს ხილვად ესე. არა გასმიესა წერილისა ასკუვირველ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა“ (იქვე: 313).

შემოქმედი სოფლისა „საშოთგანვე დედისათ“ გამოარჩევს ხოლმე ადამიანს, რომლის მეშვეობითაც შეგვაგრძნობინებს, გაგვიცხადებს თავის მიუწვდომელ დიდებულებას. როგორც აშოთ კურაპალატი მიმართავს „უდაბნოთა ვარსკვლავს“: „შენ გამოგაჩინა ღმერთმან ქრისტეანეთა სიქადულად“ (იქვე: 262). მთელი ზემოთქმული მსჯელობა ეფუძნება სახარებას, ევანგელურ მოძღვრებას. სხვათა შორის, იმავე კურაპალატის სიტყვებით რომ ვთქვათ (რომელსაც იგი საპა იშხნელს ეუპნება და, რომელიც მათეს სახარებას ეფუძნება (მ. 5, 16) „ვითარცა მცხინვარება მზისა განანათლებს ცასა ქუეშე მყოფთა, ეგრეთ ბრნებინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდნენ მამასა თქუენსა ზეცათასა“ (ძეგლები 1964: 274).

გიორგი მერჩულის თხზულება გადმოგვცემს საღვთისმეტყველო სწავლებას ღვთის შიშის შესახებ, რომელიც სათნოებათა თავად და დასაბამად ითვლება. ეფრემ ასურის მიხედ-

ვით, „ლვთის შიში არავის ექნება, თუ ამაოებას არ განერიდება. როცა გონება მდუმარებით მშვიდდება, მაშინ იწყება ლვთის შიში. შიში წმენდს ადამიანს მიწიერებისაგან, შიში არის მართალთა მდგომარეობა, თვისება“ (ქრისტიანული..1930: 16).

წმიდა გრიგოლ ხანძთელს მღვდლად კურთხევისას „მიუგეს ბრძენთა მათ მთავართა და პრქუეს: შვილო, გამორჩულო ქრისტისაო, შიში ღმრთისად თავი არს სათნოებათავ“ (ძეგლები 1964: 251) და ამის ნათელსაყოფად მოყვანილია ციტატები ძველი ალთქმიდან, იგავთა და იობის წიგნებიდან: „რასა ითხოვს ღმერთი შენგან, ისრაჲლ, არამედ რათა ეშინოდის მისა“ (იგავ. 10, 27) და „შიშმან უფლისამან შესძინის დღეთა“ (იობ. 32, 9). ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ლვთის შიშის სალვოსმეტყველო გააზრება და მისი ინტერპრეტაცია კონტექსტის მიხედვით. ეს გვაინტერესებს იმდენად, თუ როგორ ტრანსფორმირდება კონკრეტულ შემთხვევაში, ტექსტზე დაყრდნობით, ლვთის შიში სხვაგვარი შიშისაგან.

აფხაზეთიდან ხანძთაში დაბრუნებული წმ. გრიგოლი ეფრემსა და არსენს მოყვანას. მეუდაბნო მამათა შორის „დრტვინვაზ იყო ყრმათა მათთვეს მოყვანებისა“ (ძეგლები 1964: 217). ბოლოს, გადაწყვიტეს და ნეტარ გრიგოლს მოახსენეს: „წმიდაო მამაო, მოციქულ იტყვს. „სრულმან სიყუარულმან შიში განდევნოსო“ – უკუეთუ ბრძანოს სიწმიდემან შენმან, უშიშად ვიტყოდით, რომლისათვისცა მოსრულ ვართ?“ (იქვე: 271).

უაღრესად საინტერესოდ გვეჩვენება წმ. ოიანე ლვთისმეტყველისა და მახარებელის სიტყვების ამ კონტექსტში მოხმობა. სიყვარული განდევნის შიშს, რადგან წმიდა პავლე მოციქულის ეპისტოლეთა მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შიში ტანჯვაა, ხოლო მშიშარა ტანჯული, არასრულყოფილი სიყვარულში. ლვთაებასთან მიმართებაში თქმული სიტყვები „სრული სიყუარული გარე განაგდებს შიშსა“ ტრანსფორმირდება წმ. გრიგოლ ხანძთელის მისამართით: უშიშრად ვიტყვით, რისთვისაც მოვედითო. სხვათა შორის, ადეკვატური პასუხი აქვს წმ. გრიგოლსაც: „ძირმტკიცე არს ჩუენ შორის სიყუარული და შიში არა არს მას შინა“ (იქვე: 271).

შიშზე, საერთოდ, ბევრს საუბრობს გიორგი მერჩულე. ეს სიტყვა ხშირად გვხვდება ტექსტში და სხვადასხვა დატვირთ-

ვას იძენს კონტექსტის მიხედვით. მაგ., როცა წმ. გრიგოლ ხანძთელის მღვდლად კურთხევა მოინდომეს და მიმართეს: „მოინია უამი“ – აგიოგრაფი შენიშნავს: „შეზრუნდა სიტყუასა მათსა ზედა და შიში დაეცა სიახლისა-თვეს ჰასაკისა მისისა“ (ძეგლები 1964: 250). თუ რა შიში იყო ეს, ამას თავად წმ. გრიგოლი ასე განმარტავს: „და ან პატივსა ვხედავ და პატიუსაგან მეშინის“ (იქვე: 251). ამ პასუხში ნათლად ჩანს ახალი აღთქმის მეშვიდე საიდუმლოს – მღვდლობისადმი წმ. გრიგოლის დამოკიდებულება, მისი განსაკუთრებული კრძალვა და ღრმა ანალიტიკური, უაღრესად სულიერი შეფასება მღვდლობისადმი: „თუ ვითარნი კრძალოვანი უკმან მღდელობასა და ყოლად უბრალოებად არა ხოლო საქმით, არამედ გონებითა და სიტყვით“ (იქვე: 250) – ახალი აღთქმის მეშვიდე საიდუმლოსადმი ასეთი მიმართება კიდევ ერთი დასტურია თეოლოგიური აზროვნების უნივერსალიზმისა.

„მღვდელი – განმწმენდელი და მფარველი“ – წერს სულხან-საბა, მაგრამ იგი ვერ იქნება და ვერ გახდება განმწმენდელი, თუ, წმიდა გრიგოლის სიტყვებით რომ ვთქვათ, თავად არ იქნა საქმით, გონებით და სიტყვით წმინდა.

საქმე, ნალვანი, ნაქნარი ნარმოაჩენს ადამიანის ავ-კარგს. შედეგი, ნამოქმედარი სუბიექტის ობიექტური გამოხატულებაა, პიროვნული მთლიანობის გასაგნებაა. საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენო.

გონებაში ნარმოშობილი მაცდური აზრები, ფიქრები, ზრახვები ვწებათა სადგომი ხდება. თუ ძველი აღთქმა კანონს გვიდებდა და გვიკრძალავდა (მაგ. „არა კაც-ჰკლა“), ახალმა აღთქმამ არა თუ ამის აღსრულება, არამედ გაფიქრებაც კი ცოდვად მიიჩნია. ამიტომ ითვლება ყველაზე დიდ გამარჯვებად გონების განწმენდა ყოველივე ამაო ზრახვათაგან. სწორედ ამიტომ გაისმის მართალთა ლიტურგიაზე სიტყვები: „ყოველივე მსოფლიო დაუტეოთ ზრუნვა“ (საეკლესიო გალობა 1914: 6).

სიტყვა უსისხლო მსხვერპლი, შუამავალია ღმერთსა და ადამიანს შორის. როგორც წმიდა გრიგოლ ხანძთელს უთხრეს: „შენ ალებდე მთასა უფლისასა და დადგე ადგილსა წმიდასა მისასა შემწირველად წმიდისა და უსისხლოსა მსხუერპლსა მისასა“ (ძეგლები 1964: 250). ამიტომ არის სიტყვა უმთავრე-

სი და განმსაზღვრელი ადამიანური ყოფიერებისა. ღმერთთან საუბარი – ლოცვა სიტყვით ხორციელდება. ამიტომ არ არის შემთხვევითი წმ. გრიგოლის მიერ საქმის, გონებისა და სიტყვის სინმინდის დაცვის მოთხოვნა. წმ. კვიპრიანეს აზრით, „მოძღვარი ყოველთვის დაკავებული უნდა იყოს ლოცვით და არ უნდა დაუშვას ეკლესიაში მიწიერი საკითხებით დაინტერესება“ (ჯვარი ვაზისა 1992: 16).

გონების, გულისა და სიტყვის უბინოება – სინმინდე ყოველი ადამიანის ზრუნვის საგანი უნდა იყოს, რადგან ამის გარეშე იგი დაკარგავს ღვთის ხატებას საკუთარ არსებაში და ამით დაკარგავს საუკუნო ცხოვრებას. ეს ყველაფერი ეხმანება მესამე ჟამნის ლოცვების სიტყვებს: „შენ უფალო, სულნი ჩუენნი წმიდა ჰყვენ, ხორცი უბინოდ, გონებანი განგვინმიდენ და გულის-სიტყუანი განგვიმართლენ და გვიხსენ ყოველთაგან ჭირთა, ძვირთა და სალმობათაგან“ (ჟამნი 1899: 108).

სრულიად განსხვავებული დატვირთვა აქვს შიში წმ. გრიგოლის ლოცვაში, რომელიც ხანძთაში წარმოთქვა: „ჟამსა ამას უცხოებისა და უპოვარებისა ჩუენისასა, ქრისტე, არა შემეშინოს ჩუენ ბოროტისაგან, რამეთუ შენ, უფალი, ჩუენ თანა ხარ“ (ძეგლები 1964: 256). აქ შიში დაბრკოლებას გულისხმობს. თუ ღმერთთან ყოფნის განცდა ადამიანს არა აქვს, მაშინ იგი იმედს, სასოებას დაკარგავს, ბოროტი ძალების წინააღმდეგ ვერ ამხედრდება, ბოროტებას შეუშინდება, დანებდება, ერთი სიტყვით, დაბრკოლდება. ქრისტიანული რწმენა კი „ეყრდნობა რა ღვთიურ გამოცხადებას, გვასწავლის, რომ ადამიანი, მთელი თავისი შემადგენლობით, ე. ი. სულითა და სხეულით, შექმნილია მისი ამქვეყნიური დამსახურების შესატყვისი მარადიული ცხოვრებისათვის“ (ქიქოძე 1993: 253).

ზენონის შესახებ გიორგი მერჩულე გვაუწყებს: „სალმრთო შიში მკედრ იყო მის შორის“ (ძეგლები 1964: 263). აქ სწორედ იმ შიშზეა საუბარი, რომელიც ადამიანს ღვთაებას აზიარებს: „შიში უფლისად წმიდა არს და ჰგიეს იგი უკუნითი უკუნისამდე“ (ფს. 18, 9). შიში დასაწყისია სიყვარულისა, მერე მასში გადადის და კვდება. „ვამბობ სიყვარულს, რომლის მიერ და რომლის წიაღ დასაფუძვლდა ყველა რწმენა და აღმოცენდა სასოება, რომლის გარეშე არ არსებობს არც ერთი არსი“ (წმ.

სვიმეონი 1991: 265).

„წმიდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ გვხვდება სხვა-გვარი შიშიც, როგორც გარკვეული ემოცია შეუცნობადობის პირისპირ განცდილი. გიორგი მერჩულე მოგვითხრობს: ცის-კარზე დეკანოზმა წმიდა გრიგოლის სენაკში მაცნე გაგზავნა, გაიგე, სძინავს თუ ღვიძავსო. მნათემ სენაკში „ბრწყინვალებაზ დიდალი“ იხილა, შეეშინდა, გამოიქცა და „წმა-ყო, ვითარმედ: ცეცხლი აღდებულ არს სენაკსა შინა მამისასა“. დეკანოზმა კი დაამშვიდა, განუმარტა და უთხრა: „დუმენ, შვილო, და ნუ გე-შინინ, არა არის იგი ცეცხლი შემწული“ (ძეგლები 1964: 294).

ბრწყინვალე მხატვრულ სახეს გვთავაზობს აგიოგრაფი წმიდა გრიგოლისა და სიძვის დიაცის საუბრის ალწერისას. გიორგი მერჩულე გასაოცარი ოსტატობით ხატავს: „ხოლო მან (გრიგოლმა – სფ. მ.) არა დასწერა ჯუარი (სიძვის დიაცს – სფ. მ.), არამედ უბრძანა განშორებულად დაჯდომაზ. და მოწაფენი კიდე-რე განდგეს წამის-ყოფითა მოძღურისა თვისისათა და, ეგრეთვე, მსახურნი იგი დედანი, რამეთუ წმიდისა მის შიში ყოველთა ზედა მიფენილ იყო“ (ძეგლები 1964: 296).

რისი შეეშინდათ მოწაფეებსა და მსახურ დედებს? – იმდე-ნად შეუვალი იყო სიმართლე და სიწმინდის დაცვის მოთხოვნა წმ. გრიგოლისაგან, იმდენად ძლიერი ჭეშმარიტება მოძღვრ-ისა, რომ მისი შიში „ყოველთა ზედა მიფენილ იყო“.

ადამიანებზე მიფენილი შიში! – ასეთ ასპექტში, ასეთი ფორ-მით მოწოდებული სათქმელი, რომ, შესაძლოა, შეგეშინდეს, ფიზიკური შიში განიცადო მეორე ადამიანისაგან, მხატვრული სიტყვის დიდოსტატს ძალუქს. რატომ უნდა შეშინებოდათ არ-ტანუჯის სასახლეში მყოფთ, მათ ხომ უშუალო ბრალი არ მი-უძლოდათ კურაპალატისა და სიძვის დიაცის ურთიერთობაში?

ტექსტში კარგად იგრძნობა მოულოდნეობის ის განცდა, რომელიც აშოტ კურაპალატის ოჯახში მოხდა. არც სიძვის დიაცი და არც მისი მსახურები, როგორც ჩანს, ასეთ რამეს არ მოელოდნენ „უდაბნოს ვარსკევლავისაგან“. პირიქით, სიძ-ვის დიაცი გახარებული მოემართებოდა „რამთა ღირს იქმნა ჯუარსა ნეტარისა მის კაცისასა“ (ძეგლები 1964: 296) და იმის ნაცვლად, რომ ლოცვა-კურთხევა მიეღო წმიდა გრიგოლისა-გან, არათუ ჯვარი დასწერა, ახლოსაც არ გაიკარა. ღიმილი

შეაშრა სახეზე „განმხიარულებულ“ დიაცს.

ამ ეპიზოდში ერთი დეტალიც იპყრობს ჩვენს ყურადღებას: „მოძღვარნი კიდე-რე განდგეს წამის-ყოფითა მოძღვრისა თვ-სისთა“ – წმ. გრიგოლის მიერ თვალის ქნა (წამისყოფა) მონა-ფეთათვის იმდენად ცოცხალი პასაჟია, ვიზუალურ პლანშიც კი გადადის და გიორგი მერჩულის თხრობას დინამიკურსა და ინტიმურს ხდის. ესეც აგიოგრაფის ფართო ლიტერატურულ დიაპაზონსა და ოსტატობაზე მეტყველებს.

უალრესად მნიშვნელოვანია აგიოგრაფიაში სიტყვის ფენო-მენი და სიტყვისადმი დამოკიდებულება. ამ ასპექტითაც სა-ყურადღებოა გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. წმიდა გრიგოლის მონუმენტური ფიგურა კარ-გად ვლინდება სიტყვა-ლოგოსში. აგიოგრაფი გვამცნობს: წმ. გრიგოლმა ამქვეყნიური ფილოსოფიაც შეისწავლა და „რომელი პოვის სიტყუაზ კეთილი, შეინწყარის, ხოლო ჯერკუალი-განაგ-დის“ (ძეგლები 1964: 250). „კეთილი“ და „ჯერკუალი“ სიტყვა მკვეთრად უპირისპირდება ერთმანეთს. წმიდა გრიგოლისთვის „კეთილი სიტყუაზ“ სულის მარგებელი სწავლაა, აზრის ისეთი დინება, რომელიც არ ეწინააღმდეგება ქრისტიანულ ეთიკას. „კეთილი სიტყვა“ კეთილი აზრია, უნივერსალიებს რომ აზი-არებს ადამიანს. „ჯერკუალი სიტყუაზ“ კაცთა დამაბრკოლებე-ლი, მაცდუნებელი, ამაო და ფუჭია, ჭეშმარიტებისა და რწმენის გზაზე დამაბრკოლებლად რომ ექცევა კაცს. ასე დაუპირისპ-ირდა თხზულებაში ერთმანეთს ორი ნაკადი ცნობიერებისა – სიკეთე და ბოროტება: „სიტყუაზ კეთილი და ჯერკუალი“.

წმიდა გრიგოლ ხანძთელის „სიტყუაზ... იყო შეზავებულ მარილითა მადლისათა“ – დაასკვნის აგიოგრაფი⁹. მარილის მადლით შეზავებული სიტყვა – მთელი ეს ფრაზა მხატვრუ-ლი სახეა, რომელიც წარმოგვიდგენს სიტყვაში, მეტყველებაში შეზავებულ, საუბარში განედლებულ ენერგიას. მადლიანი სი-ტყვა – თავის დროზე თქმულ, მართალ, გონიერ და სულის დამამშვიდებელ სიტყვას გულისხმობს, ნაკლულოვანებათა ალმავსებელ ძალას. მადლიანი სიტყვა და საუბარი „მიმადლე-ბულ“, ანუ მადლით აღსავსე, ღმერთს შეერთებულ ადამიანებს სულიწმიდის მეშვეობით ეძლევათ (რომ. 5, 5) და იგი ღვთიდან

9 პარალელების შესახებ იხ. (საეკლესიო ლიტერატურა 2005: 694).

მომდინარე სულიერი ენერგია, სიცოცხლეა.

წმიდა გრიგოლ ხანძთელში არსებული ლოგოსური სიტყვა, რომელიც სასწაულებსაც კი ახდენდა, მისი პირვენული სიწმინდის, დიდი სულიერობის, ანგელოზებრივი ცხოვრების შედეგი იყო. მარილის მადლი განსაკუთრებულად აქცენტირებულია აგიოგრაფის მიერ. უფრო ადრე კი ითანე საბანისძემ ასე განმარტა: „მარილ ეწოდა (იესოს – სუ. მ.), რამეთუ ცოდვითა განრყუნილთა ამათ წორცთა ჩუენთა მოგუეახლა და სიმყრალც იგი კერპთა მსახურებისად განგუაშორა და სულნი ჩუენნი სარწმუნოებითა ღმრთის მსახურებისათა სულნელად შეზავნა“ (ძეგლები 1964: 53).

მარილი – როგორც შემნახველი, გახრინისაგან დამცველი და, რაც მთავარია, შემზავებელი. მარილის მადლით შეზავებული სიტყვა ჰქონდა წმიდა გრიგოლს, რადგან „რაჟამს იტყვნ, ბრძნად ალალის პირი თვის და წესი განუჩინის ენასა თვისსა“ (ძეგლები 1964: 250). „რაჟამს იტყვს“ იმასაც გულისხმობს, რომ ბევრს არ ლაპარაკობდა. თხზულება ხომ დუმილის აპოლოგიით დაიწყო აგიოგრაფმა, თუმცა, როცა კი იტყოდა, „ბრძნად ალალის პირი თვის და წესი განუჩინის ენასა თვისსა“ (იქვე: 250). აქ ისეთი სიბრძნე იგულისხმება, ჭეშმარიტებას რომ შეგვაგრძნობინებს და შეგვაცნობინებს, კეთილსა და ბოროტს რომ გაგვარჩევინებს ერთმანეთისაგან და სიკეთის გზაზე დაგვაყენებს. გარდა ამისა, ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია: „პირი მისი ალალის ბრძნად“ (იგავ., 31, 28) (შდრ. ძეგლები 1964: 697). ეს ისეთი სიბრძნეა, ბერი წუედიოსი რომ ეტყვის ნეტარ გრიგოლს: „სიბრძნც სულისა წმიდისად და მადლი ღმრთისა მამისად გაქუს“ (იქვე: 254). ასე გამთლიანდება მადლი და სიბრძნე და ასე იქცევა კეთილი სიტყვა ცხოვრების სახეობად, აზრად და საზრისად.

საქმით ალსრულებულ სიტყვაზე მიგვანიშნებს გიორგი მერჩულე. გაბრიელ დაფანჩული ასე მიმართავს ნეტარ გრიგოლს (იქვე: 259): „ქრისტემან საქმით დაამტკიცენ სიტყუად ბაგეთა შენთავ, ლირსო მამაო“. „სიტყუამან მისმან, ვითარცა კლდემან უძრავმან“ (იქვე: 294) – გაისმის აგიოგრაფის სიტყვები დასტურად იმისა, თუ რა სასწაულების მოხდენა შეუძლია სოფლის შემოქმედს მისი რჩეულის პირით.

გიორგი მერჩულე გვაუწყებს: როცა მოიღეს საზრდელი ბერმა წუედიოსმა და წმ. გრიგოლმა, „კუალად იწყეს სულისა ცხორებისა ზრახვასა და იყო განგრძობილად სიტყუად მათ შორის“ (ძეგლები 1964: 255), რომელიც, ძირითადად, ლოცვას, გალობას გულისხმობდა, „რამეთუ დღც იგი დამწუხრდა და ღამც განთენა უძილობით ლოცვასა შინა მათსა და გალობასა ღმრთისასა“ (იქვე: 255).

დედა ფეხრონიასა და წმ. გრიგოლის შესახებ აგიოგრაფი გადმოგვცემს: „და მრავალუამ მარტოდ უპნობდეს ნეტარნი ესე“. რა შეიძლებოდა ყოფილიყო მათი საუბრის თემა? ამით დაინტერესებულმა ვინმე „დათაგანმა“, რომელიც „მახლობელად მათსა წარჰელიდა“, გაიგონა წმიდა გრიგოლის სიტყვები: „რა გრქუა შენ ანგელოზმან?“ ამქვეყნიური ცხოვრების ასეთი ანგელოზბერივი ხარისხი მხოლოდ იმის მაგალითია, რასაც ასე განმარტავს გიორგი მერჩულე: „რამეთუ ღმერთი იყო ყოლადვე მათ შორის“ (ძეგლები 1964: 297) და ამიტომაც იყო წმ. გრიგოლ ხანძთელის სიტყვა, როგორც უძრავი კლდე – მტკიცე და შეუვალი.

ბიბლიური დეკალოგის მებუთე მცნება მოითხოვს მშობლების პატივისცემას და ამისთვის დღეგრძელობასა და სიკეთეს (კეთილდღეობას) აღვითქვამს: „პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყვე ქუეყანასა ზედა“. მოსეს რჯულის მიხედვით, განწესებული იყო სიკვდილით დასვა იმ შვილთათვის, „რომელთცა შეაწუხნეს თვისინი მშობელნი“. ძველი აღთქმა წყევლასა და შეჩვენებას უგზავნის ულირს შვილებს: „წყეულ იყავნ, რომელმან შეურაცხყოს მამაა თვისი, გინა თუ დედა თვისი“ (მეორე რჯული 27, 16).

წმ. ტიხონ მლვდელმთავარი (ზადონელი) ბრძანებს: „ყოველივე პატივისცემა აღმოუჩინე მშობელთა შენთა, რათა კეთილ გეყოს შენ, მშობელნი შენნი არიან დიდნი შენნი კეთილის-მყოფელნი; უჩვენებდე მათ შენს ლირსეულ მადლობას. მოიხსენე ტკივილნი და მრომანი მათნი... და იყავ მათდა მიმართ მადლობელი“ (კითხვანი აღსარებასა ზედა 1899: 34-35).

ერთადერთი, რითაც შეიძლება სამაგიერო მიაგო მშობელს, სიყვარულია, მხოლოდ ამ ძალას შეუძლია მისი ამაგის შეფასება და დაფასება. „რომელმან ბოროტი სთქუას მამისათვს, სი-

კუდილით მოკუდინ“ – გვაფრთხილებს ბიბლია (გამოსვ. 21, 17), მით უფრო დაუშვებელია სიტყვიერი შეურაცხყოფა მშობლისა, აღარაფერს ვამბობთ არა თუ სხვისი, საკუთარი დედის გინების უმძიმეს ცოდვაზე.

„არა ჯერ არს გინება დედისა, – გვაფრთხილებს წმ. ოთანე ოქროპირი, – უკეთუ ვინმე შევიდეს ესევითარსა განსაცდელსა და იხმაროს გინება დედისა, მაშინ დედა ლვთისა განაშორებს მფარველობასა და შემწეობას თვისსა მის კაცისაგან და მოაკლებს ყოველსავე კეთილსა, – იქმნების წყუული უკანასკნელსა მას დღესა შინა, ვინაიდან დედა თვის ცუდად მოიხსენა და აგინა“ (მოთხრობები წმ. მამათა ცხოვრებიდან 1993: 307). სახელმძღვანელო მართლმადიდებელი ეკლესის კატეხიზმოს შესასწავლად საგანგებოდ აღნიშნავს: „ვინც წინააღმდეგია მშობლებისა, ის წინააღმდეგია თვით ბუნებისა“ (კატეხიზმო 1994: 14).

მამაშვილობის ბრწყინვალე სცენაა გაცოცხლებული, „წმ. ნინოს ცხოვრებაში“. „მოქცევაა ქართლისაა“ მოგვითხრობს წმიდა ნინოსა და მამის, ზაბილონის, განშორების ამბავს: „შემიტკბო მე მკერდსა მისსა და დამაღუარნა ვითარცა წყარონი ცრემლნი მისნი პირსა ზედა ჩემსა და მრჯუა მე: „შენ ხარ ,შვილო ჩემო, რომლისა ღმრთისა ნებითა ვიქმენ შენდა ოდენ მამა: აჲა, ესერა დაგიტეობ შენ ობლად ჩემგან და მიგათუალავ შენ მამასა ზეცა-თასა“... განდევილობის გზაზე შემდგარმა ზაბილონმა უზენაესს მიანდო და ჩააბარა მხოლოდშობილი ასული და „ნარვიდა წიაღიოდანესა კაცთა მათ თანა ველურთა“ (ძეგლები 1964: 110). ამ მონაკვეთში ნათლად იგრძნობა მამაშვილური ურთიერთობის უნატიფესი ბუნება და, რაც მთავარია, მინიშნებულია მისი ქრის-ტიანულ პრინციპებზე დაფუძნების აუცილებლობა.

იაკობ სუცესის „წმ. შუშანიკის წამებაც“ შვილებისა და მშობლების დამოკიდებულების თვალსაჩინო სურათს იძლევა, ოღონდ აქ უკვე დედაშვილობის პრობლემაა წინ წამონეული. როგორც ზაბილონმა მიანდო სოფლის შემოქმედს თავისი ასული და ჩააბარა „ყოველთა მზრდელსა ღმერთსა“, ასევე წმ. შუშანიკმაც, როცა შეიტყო მეუღლის გამაზდენება, ხელი ჩასჭიდა შვილებს და „ლვთის მოშიშებით“ ეკლესის მიაშურა, საკურთხევლის წინ წარადგინა და მანაც ღმერთს შეავედრა: „უფალო ღმერთო, შენ-ნი მოცემულ არიან და შენ დაიცვენ ესენი“ (ძეგლები 1964: 13).

ეს მაგალითები ცხადყოფენ ღვთისადმი მშობელთა უკიდურეს მორჩილებასა და სასოებას, შვილების სულის გადარჩენისათვის ზრუნვასა და მათს ბედზე ფიქრს.

ასეთ ფონზე გამორჩეული ადგილი უჭირავს გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“, რომელიც დედაშვილობის უწმინდესი გრძნობის დუღლილისა და შვილის მიერ მეხუთე მცნების დაცვისა და ალსრულების უნიკალურ მაგალითს წარმოადგენს.

„გიორგი მერჩულეს ამაღლებლად და უაღრესად თბილ ტონებში აქვს გადმოცემული გრიგოლისა და დედამისის ფაქიზი, ალერსიანი ურთიერთობა. შვილს მონატრებული მხცოვანი დედა მოუთმებლად ელის დიდი ხნის უნახავ გრიგოლთან შეხვედრას. გრიგოლი ერთადერთი შვილი ყოფილა და თავის დროზე მისი სახლიდან წამოსვლა მწარედ განუცდია მარტოდ დარჩენილ დედას“ (ბარამიძე 1996: 167).

აგიოგრაფი მოგვითხრობს, რომ შვილის „დიდებულების“ ამბავი შეიტყო თუ არა მხცოვანმა დედამ, „განმხიარულდა სულითა და განძლიერდა წორცითა“ (ძეგლები 1964: 277). ამ ფრაზაშიც კი იკვეთება გიორგი მერჩულის რელიგიური შემეცნების ასპექტები, რომ ადამიანში მთავარია სული და სულიერობა, რომ, თუ სულით განვიკურნებით, ხორცის სიმართლესაც მოვიპოვებთ. ამიტომაცაა, რომ წმ. გრიგოლის დედის სულიერმა სიხარულმა „ხორცთა განძლიერება“ შვა. თავად მშობლის სულიერობასა და სათნოებაზე მიგვანიშნებს აგიოგრაფის სიტყვები: „სიწმიდით დადგრომილ იყო ლოცვასა შინა და მარხვასა და მარადის შიშსა ღმრთისასა“ (იქვე: 277).

ეს უბინო ცხოვრების აპოლოგია იმაზე მინიშნებაა, რომ მხოლოდ ეკლესიური ცხოვრება უნდა იყოს წესი ადამიანური ყოფიერებისა. ამის შედეგია ისიც, რომ „ძჲ უბინო მალიად მივიდა დედისა წინაშე მორწმუნისა და თაყუანის–სცა მას და ქრისტისმიერი კურთხევაზ და მშვიდობაზ მისცა“ (ძეგლები 1964: 27). ვინ იცის, რას განიცდიდა ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოსი, ამდენი ხნის უნახავ დედას რომ ხვდებოდა. ჯერ თაყვანისცა, და როგორც მოძღვარმა, შემდეგ აკურთხა და დალოცა. სულიერი სიხარულით ავსილმა ბედნიერმა დედამ ამბორს უყო მონატრებულ მხოლოდშობილ ძეს და უთხრა: „შვილო ჩემო

ტკბილო, გიხილე, რომლისათვისცა მსუროდა, რამეთუ ხილვითა შენითა განმეშორნეს ყოველნი იგი პირველნი ტკივილნი“ (იქვე: 277-278). ძლიერია დედაშვილობის გრძნობა, შეუვალი და ღვთა-ებრივი, პირველქმნილი სიწმინდე და იდუმალება ახლავს თან! განა არსებობს ამ ქვეყნად უფრო ძლიერი სიყვარული, უფრო მწვავე მონატრება და უფრო დიდი სიხარული ერთმანეთობისა, ვიდრე დედაშვილობა?!

ნმ. გრიგოლ ხანძთელის მშობელთან შეყრა, ფაქტობრივად, მის ნარსულთან შეხვედრაა, უმანკო ბავშვობასთან ზიარებაა. ამ ეპიზოდშიც უნივერსალურია „უდაბნოთა ქალაქმყოფელი“. იგი შენდობას ითხოვს მორჩმუნე დედისაგან: „შენდობა იყავ ჩემდა შენ მიერ, დედაო ჩემო“ (ძეგლები 1964: 278). ძნელია მოძებნო უფრო ფაქიზი და სულისშემძვრელი მაგალითი დედაშვილობისა ქართულ აგიოგრაფიაში, ასეთი სინატიფით რომ იქსოვებოდეს და ვლინდებოდეს სარწმუნოება, თავმდაბლობა, მორჩილება, სი-ყვარული და პატივისცემა შვილისა მშობლის მიმართ. „არა ნები-თა ჩემითა განგეშორე, გარნა ნებასა ღმრთისასა ესრეთ სათნო უჩნდა, ვითარცა ან იქმნა“ (იქვე: 278) – თითქოს უბოდიშებს, განუმარტავს დედას. ეს სიტყვები კიდევ ერთხელ ადასტურებს წმ. გრიგოლ ხანძთელის პროვიდენციალიზმს. ეს პასუხი, იქნებ, იმის გამართლებაც იყოს, ეპისკოპოსობაზე უარი რომ თქვა და „განიზრახა ფარულად სივლტოლად თვისით ქუეყანათ“, რომ ეს ნაბიჯიც ღვთის ნება იყო და არა პიროვნული სიჯიუტის შედე-გი.

მერეს დედათა მონასტერში ფებრონიასთან შვილის სანახა-ვად მოსულ დედას წმ. გრიგოლი ეუბნება: „შენ ცხორებასა ამას წუთსა არა გაკლდა წორციელად და სულიერად, ვიდრე აქა-მომდე, არამედ ან თანა-მაც მოღუანებად შენი სულიერად და წორციელად მცნებისაებრ უფლისა“ (ძეგლები 1964: 278). პროფ. რევაზ ბარამიძე ასე განმარტავს ამ მონაკვეთს: „აქ ქრისტიანუ-ლი მოძღვრების ერთ-ერთ არსებით პრობლემაზეა საუბარი – კერძოდ, ხორციელი და სულიერი ცხოვრების ერთმთლიანო-ბაზე... ჰარმონიულ ურთიერთმიმართებაზე... გრიგოლი ხაზგას-მით მიანიშნებს დედას, რომ შენ ვიდრე მონასტერში მოხვიდოდი, ცხოვრობდი „წორციელი და სულიერი“ ცხოვრებით, მაგრამ რაკი აქ მოხვედი, დღეიდან უნდა იცხოვრო „სულიერი და წორციელი

ცხოვრებით“ (ბარამიძე 1996: 123).

ამის შემდეგ, წმ. გრიგოლ ხანძთელი ბიბლიოდან იმ ადგილების ციტირებას ახდენს, რომელებშიც ლაპარაკია მშობელთა პატივისცემის აუცილებლობაზე. წმიდა მამა, ძირითადად, ეყრდნობა ისო ზირაქის წიგნსა და პავლე მოციქულის ეპისტოლეს ტიმოთელთა მიმართ (ზირაქ., 3, 10; 3, 8; 7, 3-1 ;ტიმ. 5, 8). მართალია, აქ არ არის პირდაპირი დამოწმება ათი მცნების მეხუთე მუხლისა, რომელშიც უშეუალოდ ამაზეა საუბარი, მაგრამ არ გამორიცხავს მას. თუნდაც იმიტომ, რომ მის მიერ ბიბლიოდან მოყვანილი ადგილები, სწორედ მეხუთე მცნებაზეა დაფუძნებული და აღმოცენებული. სხვათა შორის, წმიდა გრიგოლი იქვე დასძენს: „და ან ესე სიტყუანი მსგავსნი ამათნი გუესმიან ღმერთივ, სულიერთაგან წიგნთა სასწავლელად მორწმუნეთა“ (ძეგლები 1964: 278). მთელი ამ მსჯელობის მიზანი კი ის არის, რომ დედამ დალოცოს და აკურთხოს შვილი: „ხოლო მე მადლითა ღმრთისათა კურთხევა შენი დავიმკვიდრო, ვითარცა შვილმან მშობლისა მოყუარემან“ (იქვე: 278). წმ. გრიგოლი კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის გასაცავარ სიყვარულსა და მოკრძალებას დედისადმი, ამ უკანასკნელისაგან დალოცვას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „მშობლის მოყუარე“ შვილისათვის, რადგან თავადვე გაიხსენა: „კურთხევამან მამისამან და დედისამან დაამტკიცნის სახლნი უკუნისამდე“ (იქვე: 278). დედა-შვილის დიალოგში განფენილი თეოლოგია „ქრისტიანული ზნებრივი დოგმატიკის არსთა არსია. ასე ბუნებრივად და სილრმისეულად ავითარებს გიორგი მერჩულე თეოლოგიური პრინციპების არსებით პოსტულატებს“ (ბარამიძე 1996: 124).

წმ. გრიგოლ ხანძთელის სიტყვების პასუხად მისმა მორწმუნე დედამ „პირველად აკურთხა ღმერთი და მერე ძე იგი თვისი და თანამოსრულნი იგი სახლეულნი თვისნი შეჰვედრა“ (ძეგლები 1964: 278). აქ საინტერესოა ის, რომ დედა მადლობელია უფლისა, მისი მადიდებელი და პატივისმცემელია. უპირველესად, ღვთის სიყვარულითა და სასოებითაა ანთებული. ეს თანამიმდევრობა – „პირველად აკურთხა ღმერთი და მერე ძე იგი თვისი“ – იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ამქვეყნიური სიხარული ვერ ცვლის მარადიულს. ეს ადგილი ამ სახარებისეული

შეგონების გამოძახილია: „რომელსა უყუარდეს მამად ანუ დე-დად უფროს ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს და რომელსა უყუარდეს ძე ანუ ასული უფროს ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს“ (მ. 10, 37), ვინც ღვთის ნებას არ აღასრულებს, ვერავის ვერაფერს არგებს (ბულგარელი | 1992: 139), არც მისი „ნაყოფი“ იქნება საცნაური.

დედა-შვილის ხსენებულ შეხვედრას, ფეხრონიას გარდა, ესწრებოდნენ წმ. გრიგოლის „თანა-მოსრულნი სახლეულნი“. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი სიხარული და სულიერი ზეიმი იქნებოდა სოფელ მერეს დედათა მონასტერში. დედა ფეხრონიამ ანა წინასწარმეტყველს შეადარა წმ. გრიგოლის მშობელი და ისიც აღნიშნა, რომ „ნაყოფისაგან საცნაურ არს სიკეთე ხისაა“ (ძეგლები 1964: 278). ასე გადადის ერთმანეთზე და ერთმანეთში მადლი და სათნოება, ასე ამთლიანებს და სულიერ ზეიმად აქცევს მოვლენას ჭეშმარიტი რწმენა ღვთისა! დედა-შვილის შეხვედრას სხვა სიკეთეც მოჰყვა: „ნეტარმან გრიგოლ ჯერი-საებრ განაგო ცხორებად დედისად და თვისისად და მისთანათაა“. კერძოდ, დედამისის მოსამსახურე გაუთხოვებია, „ქმარი უსუა და ბასილი, მამად ხანცთელი, მისგან იშვა“ (ძეგლები 1964: 278).

გიორგი მერჩულის მიერ გაცოცხლებული დედაშვილობის ეპიზოდი ერთი მღელვარე ამბავია „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა“, რომელიც მცირე ნოველის სახესაც კი ატარებს.

ზაბილონმა „ყოველთა მზრდელსა ღმერთსა“ მიანდო წმიდა ნინო, წმიდა შუშანიკმა ეკლესიაში, საკურთხეველთან, აღავლინა ლოცვა და ღმერთს შეავედრა შვილები, წმიდა გრიგოლ ხანძთელ-მა კი, ვითარცა „მშობლისა მოყუარემან შვილმა“, „ჯერისაებრ განაგო ცხოვრებად დედისა“. თუ პირველ ორ შემთხვევაში მშობლები ზრუნავენ შვილებზე, გიორგი მერჩულის თხზულება იმის მაგალითია, როგორ უნდა „სცე პატივი“ მშობელს, როგორ უნდა მიაგო მისაგებელი, როგორ უნდა აღასრულო მცნება უფლისა. წმ. გრიგოლ ხანძთელის „საანატრელი მშობელი“ გარდაიცვალა „მერეს შინა და მივიდა უფლისა, რომლისაცა სუროდა“. დედის-გან კურთხეულმა და დალოცვილმა შვილმა „დაიღუანა სული მისი და დიდებად შეწირა ღმრთისა, რომელმანცა მოჰმადლა მას კეთილდად მსახურებაა დედისა თვისისად და სრულიად კურთხევად მისგან მიიღო“ (ძეგლები 1964: 279).

დედისთვის კეთილმსახურების, მისი ამაგის, ღვაწლის და-
ფასების, მშობლის განსაკუთრებული სიყვარულისა და პატი-
ვისცემის, ღვთის მცნების აღსრულების ნიჭთან და მადლთან
ერთად, დედაშვილობის ამ ეპიზოდში გამოვლინდა სულისა
და ხორცის მიმართების, უბინო ცხოვრების, ღვთის ნებისა და
განგებულების დანახვის თეოლოგიური პრინციპების არსებითი
მხარეები, რადგან ასეთი იყო თავად ავტორის, – გიორგი მერჩუ-
ლის რელიგიური მრნამსი და შემეცნება.

საბოლოოდ, მთელი ეს მონაკვეთი გიორგი მერჩულის თხ-
ზულებისა კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ადამიანმა უნდა
იცხოვოს ღვთის მცნებათა დაცვითა და აღსრულებით!

დასკვნა

ქართული აგიოგორაფიის (V-X სს.) სახისმეტყველებითი ასპექტებით შესწავლამ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გამოკვეთა:

ერთ-ერთი უმთავრესი ქართული აგიოგრაფიისათვის არის სიტყვის ძალასა და მადლზე აქცენტები. აგიოგრაფიული სიტყვა და ლოგოსი სულინმიდას განაცხადებს, წუთისოფლის დაძლევისა და სულიერი ამაღლების გზას გვიჩვენებს. სიტყვაში ვლინდება პიროვნება, მისი ფსიქო-ემოციურ და სულიერ-ინტელექტუალური საწყისი. სიტყვით აღესრულება დიდი სასწაულები.

ლოცვა და მარხვა, ეს ორი ქმედითი საშუალება, ერთ-მანეთისაგან განუყოფელია ქართული აგიოგრაფიისათვის. ლოცვა, როგორც საუბარი სიყვარულისა და სიმშვიდის ღმერთან, ამშვიდებს სულს, განწმენდს გონებასა და სასუფევლის კარს უხსნის ადამიანს. მარხვა ერთ-ერთი საუკეთესო პირობაა სულიერი აღმაფრენისა და ამაღლებისათვის, ის ღვთის მსგავსებად ქმნის ადამიანს. ლოცვა და მარხვა გარანტია, კეთილსამედო საშუალებაა, სულის მფარველია ბოროტისაგან. ქართული აგიოგრაფიის მდგომარეობაა ორივე სათნოება, თუმცა „განცდა თკსთა ცოდვათა“, ლოცვა სინანულისა, ლოცვა მონანულისა თითქმის უცხოა ქართული აგიოგრაფიისათვის.

ცრემლი, ნიჭი სულინმიდისა, და ცრემლით აღვლენილი ლოცვა განსაკუთრებული სათნოებაა წმინდანის მოღვაწეობაში.

ღვთის შიში, როგორც სწორადნარმართებული ცხოვრების საფუძველი ერთნაირად მნიშვნელობს როგორც „წამების“, ისე „ცხოვრების“ პერსონაჟებში.

ბერმონაზვნული ცხოვრების საფუძველი: უპოვარება, უქორნინებლობა და მორჩილება-თავმდაბლობა-მოთმინება გაიდეალებულია ქართველი აგიოგრაფების მიერ.

გამორჩეული სიმტკიცითა და რწმენისთვის თავდადებით ასხივებენ ქართული აგიოგრაფიის წამებული ბავშვები, ღვთის სიყვარულით ანთებული სულები, უმანკოებისა და უბინოების ხილული სახეები.

IV-X სს.-ის ქართულ აგიოგრაფიაში სრულიად გამორჩეულია წმ. ასურელი მამების მოღვაწეობა, რომელიც არა მხოლოდ საქართველოს სამონასტრო კოლონიზაციის დასაწყისია, არა-მედ დიდი მისიონერული მოღვაწეობა, ორიგინალური ჰიმნოგრაფიული მწერლობის ჩასახვა და ქართული მართლმადიდებლობის განმტკიცება. მათი ე.წ. სამოღვაწეო პროგრამა, ზნეობითი სწავლებანი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც სათნოებათა კიბეზე ზეალსვლა, დაუბრკოლებელი ღვაწლი სრულყოფისაკენ.

IV-X სს. ქართული აგიოგრაფიაში გაცხადდა ისიც, რომ აგიოგრაფიული მწერლობა საღვთო წერილის გაგრძელებაა.

ამით კიდევ ერთხელ დასტურდება ჩვენი მეთოდოლოგიური საფუძვლის (აგიოგრაფია ეფუძნება ლიტურგიულ-ეორტალოგიურ პრინციპს) ერთადერთობა. და კიდევ ერთი, ქართული აგიოგრაფიის (IV-X) იკონოგრაფიული სახისმეტყველების ზოგიერთი ასპექტი, ძირითადად, სახისმეტყველებითი ღვთისმეტყველების კუთხით გავაანალიზეთ. ღვთისმეტყველებაში მისწვდები ან ვერ მისწვდები. განასხვავებენ ძირითად, შედარებით, ზნეობრივ და სამოძღვრო სწავლებებს. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი ბრძანებს: „თუ გსურს დროთა განმავლობაში გახდე ღვთისმეტყველი, დაიცავი მცნებები და ნუ გამოხვალ მორჩილებიდან“. ქართულ აგიოგრაფიაში ნებისმიერი საღვთისმეტყველო სწავლება ამ მოთხოვნის დაცვითაა შთაგონებული.

პროვიდენციალიზმი, ესქატოლოგიური მოლოდინი, სიკვდილის შიშის დაძლევა, გულისა და გონების განწმენდა, ეკლესიური ცხოვრების აუცილებლობა ქართველი აგიოგრაფების შეგონებათა საფუძველია.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ IV-X სს. ქართულ აგიოგრაფიაში მნიშვნელობს სათნოებითი სწავლებანი. ამ მხრივ საინტერესოა „წმ. ნინოს ცხოვრების“ დეკალოგი, „წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობისეული“ ათი მცნება და წმიდა იოანე ზედაზნელისა და წმ. შიოს „ცხოვრებათა“

სწავლანი. თითოეული მათგანი ემსახურება ერთადერთს, - ხელი შეუწყოს ადამიანს სულის გადარჩენაში, გახადოს იგი ქრისტეს მეგობარი, ყოფითზე, მატერიალურზე, ამაოსა და წარმავალზე ამაღლებული, სულიერ ფასეულობათა ერთგული. საბოლოოდ, ეს სწავლებანი სამეცნიერო გზით სიარულს ქადაგებს.

სახისმეტყველება, ანუ განსახოვნება, ანუ მხატვრული აზროვნება, სპეციფიკურად ვლინდება აგიოგრაფიაში. ეიკონური, ანუ ხატისებრია განსახოვნების ეს სახეობა. ხატისებრი სახეთა სისტემა ორბლანიანია: ამქვეყნიური შინაარსიც აქვთ და სულიერი მნიშვნელობაც (რ. სირაძე).

გავმეორდებით და კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ქართული აგიოგრაფიული მწერლობა არის პასუხი იმაზეც, თუ როგორ სწავლათ და უყვარდათ საქართველოში!

АГИОГРАФИЯ

Каждое время по-своему воспринимает литературное наследие и акценты расставляются по-разному. Мы, в первую очередь, должны определить важнейшие принципы агиографической письменности, выяснить ее сущность и своеобразие.

Агиография - отрасль духовно-церковной письменности. Это уже определяет ее первостепенную функцию, важнейшее назначение - религиозно-мистическое, все остальные (историческое, художественно-эстетическое или социальное) второстепенное для этой письменности.

Агиография опирается на литургико-эорталогические принципы и это определяет ее специфику. Что подразумеваем под литургико-эорталогическим принципом, когда пишется агиографическое сочинение?

а) Должна произойти канонизация или признание церковью человека святым, что является прерогативой высшего иерарха церкви (католикоса-патриарха) и Священного Синода (высшее церковное собрание). Если художественное творчество - удел муз и напишишь тогда, когда эта «богиня посетит тебя», скажем, в полночь («сейчас, когда я пишу эти строки, полночь тает, сгорает»), то агиографическую литературу музы создать не смогут. Во-первых, нет у нас права кого-нибудь возвести в сан святого, во-вторых, Творец один - наш Господь Иисус Христос, а агиография исполнитель Божьей воли и создается вдохновением Святого Духа. Исходя из этого, можем заключить, что в агиографии каноническое, нормативное совпадает с желаемым.

б) Канонизация подразумевает, чтобы в церковно-праздничный календарь вошли и были установлены дни поминовения святых, когда церковь на Божественной литургии особо чтит их вклад и попросит ходатайства перед богом. Это само собой подразумевает то, что должна быть написана икона, тропарь-кондак и агиографическое произведение или рассказ о житии святого.

В агиографии главным является деятель - здесь видны и конец деятельности и плоды. Так как этот труд агиографа описывает действие святых, это само собой подразумевает и цель - у святого должен появиться подражатель. С этой мыслью так перекликается начало «Мучения Св.Або»: «Уверенность и радость испытывает юношество, читая эту повесть».

Целенаправленность агиографии сохранить чистоту и обнадежить

мужественного, непреклонного ратника, которому мы должны подражать.

У агиографической письменности два жанра: кровавая и бескровная жертвы или жанр «мучений», в котором святой жертвует жизнью из-за верности высшим идеалам и принципам, любви к Христу. «Жизненный» жанр отображает заслугу этого человека, который, хотя и не пролил кровь, не покртвовал жизнью, хотя вся его жизнь была самоотверженностью, верностью, любовью и служением христианским идеалам. В обоих случаях предпосылка начала деятельности – это желание спасти.

У агиографических образов две стороны:

- а) религиозная, духовная, возвышенная;
- б) художественно-эстетическая.

Мистическая символика регламентирована, ее сопровождает определенная каноника и внесение туда свободного мышления может даже посчитаться за богохульство. Художественно-эстетическое всегда содержит потенциал свободного мышления и в этом проявляется его вечность.

Итак, методологическую основу нашего исследования представляет именно такая интерпретация агиографических созданий. Памятники грузинской агиографии IV-X вв. рассмотрены в двойном аспекте: в религиозном (богословским образным мышлением) и художественно-эстетическом (образное мышление). Мы постарались быть верными нашей агиографической вере.

Глава I. «Житие св.Нино». В грузинской агиографии благодать и сила слова, природа Логоса с особенной силой проявилась в «Житии святой Нино», хотя бы потому, что ей поручено выполнить апостольскую миссию, ее одним-единственным орудием действия было духовное слово - в молитвах и проповеди. Словом заменила она образ жизни страны и спасла от «идолопоклонства». Слово в «Житии св.Нино» стало средством моделирования настоящего. Святая Нино в духовный мир включается словом, участвует, становится соучастницей вечного и бессмертного, поэтому церковь и называет ее «служительницей слова Божия». Миссия св.Нино подразумевала и обращение грузин, перестройку их психики, изменение системы мышления. Священник Абиатар рассказывает: «Все разъясняла, просветляла разум и убедила сменить веру». Бескровные жертвы, слова, проявленные в молитвах св.Нино, вызвали разрушение идолов и разрушение языческой веры. Слова св.Нино, ее проповедь послужили началом новой жизни для царя Мириана: «Она,

святая, зажгла в сердце моем свечу истинной веры» - эти факты свидетельствуют, что слово святой смогло подчинить природу (разрушение идолов) и ее венец - человека.

В «Житии св.Нино» сильно проявляется ведущий мотив - идея воскресения. Все основывается на этом. В конце концов страна, погруженная во мрак из-за грехов, падшая в грехах идолопоклонства, должна воскреснуть. Воскресение здесь подразумевает духовную жизнь, познание истины, начало новой жизни, включение человека в поток высшей животворящей благодати.

Автор «Крещения Грузии» замечает: «Пришла Блаженная дева и убедила всех уверовать в Святое Воскресение».

Св.Нино вспоминает: спрашивала армянина Ниафора о страстях Христа... Воскресении и о благодати Святого Воскресения (подчеркнуто нами - С.-П.М.).

Благословенная своим дядей, Патриархом Иерусалима, идет равноапостольная в Иберию. Патриарх Иобенал просит Создателя: «Боже, Господь наш, Боже вечный, вручаю в руки твои сироту-племянницу и отправляю проповедовать, чтобы возрадовались Воскресению Твоему!»

Святая Нино - вестница Воскресения в Иберии, падшей в грехе - с таким благословением направляется она в удел Святой Богородицы. О Благовещении Воскресения Христа, т.н. грузинский «Декалог» IX стих - особо отмечает: «Речет Иисус Марии Магдалине, иди и возрадуй братьев моих». Чем могла обрадовать Мария апостолов - конечно, Воскресением Христа.

Так объединяются идеей Воскресения «Житие св.Нино» и «Жизнь Марии Магдалины». Идея Воскресения объединяет один из первых памятников древнегрузинской письменности, и заслуга св.Нино направлена к этому. Этим же перекликается она в первую очередь со своим первообразом - св.Марией Магдалиной.

Связь св.Нино со св.Марией Магдалиной филологическим аспектом - фактическое отображение в истории мировой церкви просветительской миссии женщин.

Космическим аспектом - их союз представляет дорогу Воскресения мира. И не случайно то, что идея Воскресения делает целостной их жизнь.

Ангелогическим аспектом - их связь между собой предвещает поражение сатаны. Св.Нино разрушила язычество в Иберии, одолела сатану.

Нравственный аспект - это душевная дорога к Христу, путь к со-

вершенству.

Аскетический аспект - их связь отрицание собственной жизни.

Мистический аспект - это великая тайна любви.

Символически - связь св.Нино и св.Марии Магдалины между собой - это лицо мирской жизни, которая совершается Христом.

Так перекликается «Житие св.Нино» с заслугой св.Марии Магдалины. Так соединяются они духовной жизнью, которая познается в вечности.

В нашем каждодневном бытии мы только сделали попытку зафиксировать это.

Глава II. «Мученичество св.Шушаник». Начало сочинения, первая же фраза: «И теперь я расскажу вам правдиво о кончине святой и блаженной Шушаник» сразу же вызывает в читателе настрой духовности, состояние молитвенности. Как указано в специальной литературе, такое начало сочинения порождает сомнение, что у произведения не хватает или нет начала. Отмечают, что в переводах Старого и Нового Заветов фразы, начинающиеся с «И» встречаются много раз и это считается влиянием греческого. В греческий язык это вошло с еврейского. Вошедший в грузинский язык союз «И» - еврейский (waw сегмент) является калькой, перешедшей в греческий язык.

В вышеуказанной фразе «И» содействует началу непосредственно повествования истории, является толчком тонуса для диалогического настроя, показателем духовного воодушевления автора и влияет на ритмическое течение фразы.

Наблюдения над духовными словами Якова Хуцеси переносят нас в теологическую плоскость. В повести слова насыщены богословской мудростью. Автор в словах-символах дает детали жизни св.Шушаник, составляющие моменты бытия мученицы, полные сложнейшими внутренними катаклизмами. Блестящая святость царицы остро показывает темноту Варскена. Но нигде не видна ненависть. Невозможно, чтобы в агиографических произведениях не был бы соблюден принцип христианства – быть беспощадным к греху и милостивым к грешнику, жалеть грешника и ненавидеть грех. Когда царица узнает об отречении супруга от христианской веры, она скажет: «Каким жалким стал Варскен».

Каждая молитва, произнесенная св.Шушаник, начинается обращением к Божеству: «Господи Боже! Ты мне их даровал; Господи Боже! В этом собрании и не нашлось никого; Господи Боже! Ты знаешь». Царица-мученица духовно связана с Всеизвездным, ему доверяет самое дорогое, что в ее руках - жизнь и видит Его волю во всем.

Яков Хуцеси речью персонажей показывает не только их внутренний мир, духовно-интеллектуальный строй, но и ваяет эволюцию характера, в действии, динамике представляет контраст изменчивости. Яркий пример этого - подлый тон Варскена: «Вы не стесняйтесь меня и не презирайте». Питиахш требует сострадания. Случилось же обратное. Отцы церкви разоблачили его, и до чего же тяжелым было это обвинение: «Ты погубил себя и нас погубил!» Изменчивость действия и контраст видны и в этом малом эпизоде.

В результате свободной воли св.Шушаник становится мученицей. Ее мучения - начало счастья (счастье путем мучений) и изъявление свободной воли.

Яков Хуцес в начале сочинения сообщает о Шушаник, что она была «Богобоязненная со дней младенчества своего». Первоначально возникает вопрос: что означает «богобоязненная» и, в частности, что такое боязнь Бога?

Страх Бога называется источником мудрости (Притчи, 1.7) и является неразлучным защитником добродетели. Без страха к Богу, - говорит Василий Великий. - невозможно стать знающим, благоразумным или добрым. В этом ключ ко всему - богобоязненность: «Богобоязненность - превыше всего», - поет Ивидт (16.16). Святой царь и пророк Давид говорит: «Я стал нем, не открываю уст моих; потому что ты соделал это». Преподобный отец Абба Дороте в своем «Учении и послании» отмечает, что страх божий двоякий: первый - новый, второй - полный, абсолютный.

Из слов автора вытекает, что Шушаник с детства воспитана христианским порывом, церковной жизнью. Ее духовная жизнь закономерно направлялась к Всеизвестному, ежедневно она наполнялась Божьей благодатью. Каждая секунда воспитывала и формировала в ней чувства любви и страха.

Значительным в начале сочинения является то, что Шушаник с детства была богобоязненной, что она с самого начала приобщилась к этой великой благодати, и в дальнейшем, когда она ступит на дорогу мученической жизни, нельзя думать, что она ненавидит тех, кто ее преследует и хулит. Мораль Нового Завета выражается любовью к врагам, в этих словах сконцентрировано все Евангелие. В нас вложена не только возможность, но и потребность взаимной любви.

Впервые вошедший в веру человек в первых порах растерян: многое его удивляет и изумляет, он даже может впасть в очарование, хотя и некоторые вещи осваивает механически. В это время выполняет Божьи заповеди, из-за страха не быть наказанным, боязни лишиться Царства

Небесного, предаться вечным мучениям. Это страх поставить собственное «я» в опасное положение, поэтому это не будет совершенной добродетелью. Такой страх преподобный отец Абба Дороте называет «страхом нового». Но есть и другой случай, новая ступень духовности, когда человек, образ и подобие Бога, исполняет Божью волю «не из-за боязни, «язв», а из-за любви к Христу. Он уже знает, что такое добро и все добро от Бога, так как по блаженному Августину, бытие - добро, а бытие высшим - высшее добро, поэтому поднявшийся на новую ступень добродетели, верующий ужечувствовал Божью благодать и приобщился к истинной любви, с той надеждой и упованием, которая приведет к «полному страху», когда исполняешь Божью волю не из-за страха к ожидаемым мучениям, а из-за того, чтобы не отдалиться от абсолютной истины, абсолютного добра, так как Божье иго - сладко, а груз - легкий (М., 11.30).

Все ясно, Яков Хуцеси явно объявляет, что что бы ни случилось, Шушаник не изменит вере. На таком фоне автор сообщает о пitiахше: «Отверг спасительную надежду Христову, или кто не восплачет о нем, ибо он не изведал ни бедствий, ни страха, ни меча, ни узничества за Христа» (подчеркнуто нами - С.-П.М.). Еще ниже читаем: «(Шушаник) встала, покинула дворец свой и богообразненно вошла в церковь» (подчеркнуто нами - С.-П.М.). Это место перекликается со словами автора Псалтыря: «Утомлен я вздоханиями моими: каждую ночь омываю ложе мое, слезами моими омочаю постель мою».

Глава III. «Мученичество св.Эвстатия». При оценке достоинств данного произведения ученые весьма сдержаны. Текст сдержан. Ему чужд аллегоризм. «Стиль документален, интонация - деловая...» (М.Чхартишвили). Существуют различные мнения о месте крещения св.Эвстатия (И.Джавахишвили, К.Кекелидзе, С.Кубанеишвили, Б.Киланава, Г.Мамулия, М.Чхартишвили). По нашему мнению, святой Эвстатий еще до прихода в Мцхету был приобщен к христианской вере, в духовном плане эта вера уже была избрана им, однако крещение произошло именно здесь. До того он лишь готовился к крещению. По Ладодикийскому и VI Вселенскому собору, «те, кто готовятся стать верующими, должны изучить веру».

Теологическая часть «Мученичества» весьма сложная. В ней изложена сoteорологическая суть пришествия Христа во плоти. В свое время об этом писали Н.Марр, К.Кекелидзе, Ш.Нуцубидзе, Т.Чкония, Б.Киланава, Г.Кучухидзе.

По нашему мнению, в тексте определено выражено то, что автор

- диофизит: «И послал Бог Сына во плоти и во плоти принял крещение». К тому же, фраза - «Божественная суть была скрыта плотью» не подразумевает, что человеческая и божественная сути воссоединились. Эта цитата - отголосок эстетики света. «Божественная суть была скрыта плотью» из-за того, чтобы мы были в силах увидеть необъятный, бесконечный свет Спасителя.

В «Мученичествах» нет места смеху, комическому осмыслению ситуации. В Священном Писании редок «смех праведного». По нашему мнению, «Эвстатий усмехнулся» не значит смех в современном понимании. Это, скорее, «надсмеялся над(!)». Мы не можем согласиться с мнением Х.Заридзе, что пассаж этот является случаем комического осмысления «ситуации».

«Дидах» - учение двенадцати апостолов к язычникам. По произведению, «есть два пути - путь к Жизни и путь к Смерти. Между ними - великая разница. Путь к Жизни таков: «Возлюби Бога своего, Творца... Не убий, не прелюбодействую, не кради, не клянись...».

Десять заповедей «Мученичества» абсолютно совпадают с тем, что даны в «Дидахе», однако - различны от последовательности библейских заповедей (различна лишь последовательность, но не суть). Однако в «Мученичестве» I-II колена Библейского Декалога заменены основной заповедью Нового Завета (Матфей 22, 36-39):

Очень интересен тот факт, что в исследуемом тексте учение начинается наиважнейшей заповедью христианства. Такое начало - подтверждение тому, что Закон заменяется Благом, сначала следует *возлюбить* Бога и лишь потом следовать Закону, без любви невозможно следовать заповедям.

Грузинский агиограф объединил Закон Ветхого и Благодать Нового Завета. По христианскому учению, Бога нельзя любить неполовину. Его надо возлюбить сердцем, духом и душой. Законам следуют любя. «Следующий заповедям возлюбил Бога». Любовь к Богу и ближнему - наиважнейшая из всех заповедей.

Глава IV. «Мученичество св.Або». Первая глава произведения - образец гомилетико-эзгегетического Слова. Послание Самоела, картлийского католикоса, к Иоване Сабаниძе - реальный факт и подтверждение тому, что агиография обоснована на лингвистических и эортологических принципах, так что сначала следует канонизировать святого, определить день его поминовения в эортологическом календаре, создать тропарь и агиографическое произведение, посвященное ему. Произведение должно храниться в храме святом.

В Послании подтверждено, что агиография - литература не выдуманная, она - «правдива».

Заметим, что раз католикос обращается к автору, как к «духовному сыну церкви», то Сабаниძэ может быть лишь мирянином, но не представителем духовенства. В этом случае он был бы «пастырем духовных сыновей».

Первая глава начинается обращением к читателям (слушателям), и в первом же предложении дан образ Пресвятой Троицы: «Возлюбленные Отцом, друзья и рабы Сына, хранители Святого Духа - воспринимаю Вас, как знающих Бога и знаемых Богом».

Такое обращение – попытка объединения автора и читателей единой идеей, принять Слово. В грузинской агиографии трудно найти произведения, в котором автор так «печатается» о читателе, старается вникнуть в душу, «отрезвить», дать понять, что «близится царствие небесное», и давно настал «час седьмый». Также трудно найти автора, который в такой степени восхищен собственной верой, ибо «истинная вера – великое богатство». Автор обещает рассказать «правдивую» историю мученичества.

Приверженность личностной правде - путь к Истине.

Вторая глава произведения - апология христианской любви. Благо лишь в любви. Христианская любовь - та непобедимая сила, что обожествляет смертного. По агиографу, «Або пришел во имя **любви** к Христу», «стал **любим** всем народом», «**возлюбил** Христа всем сердцем своим», верил, что никто не сможет отдалить его от любви к Господу» и т.д.

Иоване Сабаниძэ акцентирует «Слово Жизни» (Учение Христово). В первой главе, в которой констатируется сила и благо Слова, сказано, что «любящие Бога говорят словами жизни». Во второй же главе тема продолжена - «в Абхазии епископы и священнослужители рассказывали Або о Слове Жизни, «благовестили» о Христе и вечной жизни...».

«Слово Жизни» - та духовная пища (вместе с тем, что Слово - сам Спас), та необходимость человеческого бытия, которая должна подготовить путь в вечный мир, начиная с мира видимого.

В III-IV главах «Мученичества св.Або» ясно выражена масштабность теологического мышления агиографа, провиденциализм. Акцентирована универсальность христианской любви. Автор строг и требователен к защите Божественного Слова в лоне церкви, но не вне.

Глава V. «Мученичество св.Костанти Кахи». Произведение можно разделить на две части - житие Костанти Кахи до плена и само мученичество.

Агиограф рассказывает, что популярность Костанти, заинтересованность его персоной императорским двором Византии была определена теми несметными богатствами, которыми он владел. «Несметные богатства» превратились бы в помеху, если бы не был он удивительно человеколюбивым и щедрым. Было невозможно описать, насколько он любил нищих, радовался гостям. Это и есть золотая середина - быть богатым и любить нищих, иметь несметные богатства и быть гостеприимным, когда богатство - лишь средство для добродетели.

«Мученичество св.Костанти Кахи» - произведение огромной важности в грузинской агиографии в том смысле, что в одной личности воссоединенено все - богатство, добродетель, желание помочь, подарить - «хотение сильнейшее».

Произведение значимо еще и тем, что персонаж глубоко чувствует свою греховность («Считал он себя самым грешным среди людей и оплакивал себя»). По тексту, св.Костанти Кахи как бы сравнен со святым Иовом, с великомуучеником св.Георгием, со святым Иоанном Крестителем.

Со святым Иовом Костанти сравнен, так как велико было его терпение бед, с великомуучеником Георгием – не только из-за его мученической кончины, но и из-за того, что оба святых были людьми великими, богатыми, выдающимися.

Кончина же св.Иоанна Предтечи и Костанти Кахи - идентична - их обезглавили, безгрешных.

В системе образного мышления нам кажется интересным начало «Мученичества св.Костанти Кахи» - автор подчеркивает, что произведение создается с помощью Святого Духа. Особый трепет к описываемому материалу чувствуется и в том, что автор вспоминает Моисея, описавшего создание неба и земли. Кажется не случайным и констатация того факта, что «Враг (Дьявол) встал против Истины, заставил Владык земных заставить верующих верить в идолов, а тех, кто не повиновался, истребить мечом.

Сказанные в начале произведения слова как бы подготовка к тому, что будет констатировано в конце.

Первым писателем название Моисея, упоминание авторов книг Ветхого Завета, затем апостолов, затем же - авторов агиографических книг – является защитой и продолжением традиции.

«Я, недостойный, наподобие им, подражая им, описал мученичество святого Костанти». «Я, недостойный» - известная формула в агиографии, выражаяющая покорность и «нищенство духом» - христианские добродетели.

Глава IV. «Мученичество св.Гоброна». Епископ Стефане Мтбевари в начале произведения напоминает, что «Иосиф и все отцы наши были испытаны по силе своей». Даны цитаты из Библии, что человек должен быть готовым к испытаниям, и не только готовым, благодарным.

Автор как бы заранее подготавляет нас к тому, что герой произведения - воплощенный пример тому.

Архитектоника текста абсолютно отлична от других произведений жанров «жития» и «мученичества». Описание мученичества Гоброна - лишь одна треть текста, остальная же часть - подготовка к восприятию подвига.

Стефанэ Мтбевари призывает к неустанной подготовке ко второму пришествию Христа: «Страшен тот день». «Страшен» он не потому, что это - последний день, но еще и потому, что именно в этот день представят Господь во всем своем Сиянии.

Из-за Божественного (Божеского) сияния видимое солнце померкнет, даже ангелы удивятся, ибо увидят (узрят) невиданное доселе (Свимон Богослов).

Что же касается слов агиографа, «со страхом узрят Христа, идущего с крестом», в них подразумевается то, что Сын будет судьей (Деяния 17.31). Пред вторым пришествием «чудо» - крест будет вознесен ангелами.

Произведение уникально и тем, что в нем - единственная молитва, произносимая святым. Оно исполнено надеждой в Божественную милость и удивительной благодарностью за то, что он сочтен достойным стать мучеником. В молитве он требует сил. Человеческая слабость (первый разговор с Амиром) рассеется с помощью Бога.

Молитва эта - логический стержень всех душевных переживаний святого. Она исполнена чувством личностной греховности и этим примечательна в агиографических произведениях IV-IX вв. Словосочетание - «Я, грешник» («Я, грешный») не встречается нигде, ни в одном произведении упомянутого периода.

Хотя в «Мученичестве св.Костанти Кахи» выражено покаяние за грехи свои [«Это ниспослано Богом за грехи мои»] (Памятники, стр.168), «Я, грешный» - достояние лишь «Мученичества св.Гоброна».

Произведение это примечательно еще и тем, что лишь в нем святой просит Амира (и это - беспрецедентный случай), врага, даровать ему жизнь. «Такой неприемлемости к боли и е знает грузинская агиография» (Г.Парулава), однако, наряду с этой «неприемлемостью» автор показывает, что именно преодолев боль, личность, смертный возвышается

до святого, святости.

В конце диалога с Амиром Гоброн произносит: «Ни за добрые обещания, ни за зло, причиненное мне тобой - не отойти мне от Христа» («не отвести» - точнее). Фраза эта - выражение сложности характера, когда позиция не только выражается, но и вырабатывается в самом процессе разговора. Поэтому, если начало диалога - компромисс, в конце уже - бескомпромиссность.

Метаморфоза, преображение личности подготавляется покаянием, ускоряется ею, ибо покаяние - великое таинство, называемое «вторым крещением». По Иоанну Синайскому, «покаяние - возобновление крещения».

Из многих Давид Агмашенебели в своем «Галобани Синанулисани» («Песни покаяния») приводит два примера - Марии Египетской и Монасе (2, Песнь, VIII, 219-220).

Великий отец церкви, Андрей Критский (VI в.) в своем Законе Великого Покаяния констатировал, что каяться ему поможет Спас - Христос (7, 8).

На естественный вопрос, почему каются и плачут святые «денно и нощно», св. Авва Дорофей отвечает: «Святой - человек, идущий к свету. Чем ближе свет, тем яснее грехи. Отсюда - вечный плач».

Следует особо подчеркнуть, что великий Воскресенский пост - подготовка к покаянию, осознание греховности, недостоинства, служения злу. В песнопениях упомянутого периода - покаяние души, горькие слезы из-за осознания того, что человек пал, грешен.

Осознав вышеизложенное, совершенно ясно, зачем Мтбевари призывает читателя к покаянию - он, как бы, готовит нас к нему, заставляет задуматься над грехами своими, вспоминать о святых, возвыситься над преходящим.

Агиограф назидает: «И ты способен на такую жертву пред Господом, способен на умиротворение («сжигание») плоти горем, бедами, воздержанием, нищетой».

Ответить положительно на этот вечный вопрос человек сможет лишь тогда, когда возьмет крест свой и пойдет за Господом, осознает, что грешен и воздержится от «разоблачения» ближнего.

На фоне вышеизложенного понятно назидание грузинской агиографии. «Взойдите на крест трудами и постом, станьте достойны короны мученичества (короны из терний). Сильные мира сего возводили святых на крест, ты же - взойди по воле своей».

«Пришел в мир, чтобы рассказать об истине» (Иоанн, 18, 37) - слова Спаса, что был распят за грехи наши. Великими мучениками стали

апостолы. За ними последовали многие. Был создан целый институт мученичества. Подвигом, кровью и смертью была доказана Истина, высокая ее цена и суть».

Именно к этому призывает и автор «Мученичества св.Гоброна».

Глава VII. «Мученичество девяти детей Колаели». Большинство детей-мучеников проявляют глубокую богообоязнь уже в раннем возрасте. Они призваны служить Богу.

По общепринятыму мнению, ребенок - существо чистое, в котором нет зла, порока, греха. В средневековые понятие «детства» воспринималось особо - детей считали «малыми взрослыми».

Примечательны слова агиографа - «К вечере позвонил в колокола священнослужитель и направились дети в храм по правилу христианскому».

В фразе подчеркнута глубокая религиозность детей - участие в лiturгии. Фиксация - констатация понятий «вечеря», «колокол», «храм» подтверждает, что история, рассказанная в произведении, не могла бы произойти до объявления христианства официальной религией. Более того, в четвертом веке литургическая практика не достигла бы столь высокого уровня.

Литургическое мышление жителей Колайского ущелья выражено в их ответе детям-язычникам: «Если хотите быть во храме, уверуйте в Господа нашего Христа, примите крещение во имя его и причастие». Значит, для того, чтобы жить жизнью христианина, необходимы «вера, крещение, участие в таинствах, христианская радость единения». При исполнении таинства крещения в храме поется «Крещенные облачились в Христа, Аллилуйя».

Древнейший пример канонического песнопения встречается в упомянутом произведении. «Пастырь произнес: «Снизошел Дух Святой, как голубь над Иорданом, при крещении Христа. Ангелы воспевали: Аллилуйя! Аллилуйя!»

После крещения колайские дети проявили удивительное мужество, несмотря на возраст. Трижды отвечают они на вопросы родителей, и каждый раз ответ начинается одними и теми же словами: «Мы - христиане». Агиограф констатирует, что дети и не знали, что им еще отвечать. Подчеркнутая простота повествования лишний раз подтверждает истинность случившегося (ибо у детей семи-девяти лет невозможно обнаружить дара высокого красноречия). Автор не сочиняет, лишь констатирует.

Глава VIII. «Мученичество Давида и Тиричани». Во введении знакомимся с богатой, преуспевающей семьей. У эристава Вардана и

его жены, Тагине «была истинная вера в Святую Троицу, служили Богу достойно и с великой боязнью», - рассказывает агиограф.

Наиважнейшей деталью является то, что «истинной верой» называется вера в Святую Троицу. Фраза сама собой, подразумевает полемику с язычеством, с любой другой верой или sectой. По св. Августину, «истинной веры нет ни у язычников, ни у какой-либо секты - лишь у христианской церкви apostольской. Облаченные в истинную веру, мы должны поклоняться истинному Богу - Пресвятой Троице - Отцу, Сыну и Святому Духу».

«Истинная вера - лишь христианская», - констатирует св. Августин. То же самое подтверждено в «Мученичестве Давида и Тиричани».

Констатируя факт, что муж с женой «служили Богу достойно и с великой боязнью», подчеркнуты три основных понятия (добродетели) христианской жизни:

1. Богослужение;
2. Достоинство;
3. Богобоязнь.

«Богослужение» подразумевает литургическое мышление, «житие во храме», участие в таинствах, любовь и исполнение заповедей.

Давид и Тиричани выросли в благотворной, литургической среде, внимали Божескому Слову, были добры, набожны, кротки и скромны.

Св. апостол Павел назидает родителей, дав им закон правильного воспитания: «И вы, отцы, не раздражайте детей ваших, но воспитывайте их в учении и наставлении господнем...» (Эфес. 6, 4).

Агиограф рассказывает, что у Тачине был брат, Тевдоси (Феодосий), язычник безбожный (Уже упомянутый эпитет представляет собой полную характеристику персонажа (и не только персонажа, самого язычества, как безбожия).

«Безбожник» отнял земли у Вардана; был Тевдоси подобен звери разъяненной, с железными потрохами (!), кровожаден был и зол, «тигр».

Все эти слова лишь подчеркивают противоположность братьев _ их кроткий нрав и высокое смижение. Давид и Тиричани: «Цветы прекрасные, посадки Эдема, чистые, агнцы Божьи, агнцы (жертвы) истинные, святые».

Контраст, характерный для агиографии лишний раз подчеркивает противостояние добра и зла, греха и блага.

Девять малолетних колаели, Давид и Тиричани, дети, взошедшие на крест, запоминаются читателю благодаря высокой степени веры.

Братья объясняют дяде, что и пред смертью будут верны вере отца.

Колаели, семи-девятилетние дети уверяют разъяренных родителей, что они готовы умереть во имя Христа.

Сила духа отличает детей-мучеников, персонажей грузинской агиографии. Дитя - воспламененная Божественной любовью душа, олицетворение высокой чистоты, мерило верности и незыблемости.

Общая метафора детей-мучеников в агиографии - «цветы Эдема».

«Дети-мученики такая же модель мучеников, что и мученики-взрослые» (Т.Грдзелидзе).

Сохранные в «Атонском многоглаве» волнующие истории лишний раз подтверждают до чего же прекрасен дух, хранимый в древних рукописях.

Глава IX. «Житие св.Иоане Зедазнели». Введение в «Житие святого Иоане Зедазнели» посвящено размышлениям о Слове-Логосе. Это как бы теоретический трактат для осмыслиения того, что конкретно стоит за словом творца-писателя, как воспринимает художественное сознание автора бытие в смысле восприятия красоты и как происходит перевоплощение прекрасного в новую эстетическую реальность.

Причина и результат, их взаимосвязь в агиографическом слове отражается в словесном материале произведения.

Какова схема, преподнесенная агиографом?

«Причина порождает слово и слово рассказывает о причинах. Причина воспринимается чувством, чувства осмысляются, осмыщенное же запоминается».

Причина, повод, порождающий слово, подразумевает внутренний духовный резервуар (наличие этого резервуара), ибо слово выражает суть личности, его интеллектуальное и психоэмоциональное начало. Слово и есть смысл человеческого бытия.

Исходя из специфики агиографического художественного слова, и в исследуемом нами художественном произведении представлена молитва, как благодетель. Именно сила и благо молитвы является лейтмотивом произведения.

Сам факт пришествия в Грузию Иоане Зедазнели и его сподвижников («сильные словом и деяниями»), крещение («просветление») грузин «светом истины» (что должно подразумевать распространение диофизитства, а не просто христианской веры (Р.Сирадзе), обоснование монастырских систем - вся эта жизнь направлялась молитвами.

Молясь, строили храмы - святые места для молитв.

Грузинская агиография удивительно богата Божественными именами, основанными на богословской традиции, строго определенными

рамками догматики и каноники.

Оригинально Божественное имя, приведенное автором «Жития Иоане Зедазнели» - «дающий щедро, дарующий». Именно Он дал нам мир во всем многоцветии, Он - «кладезь добра» и «даритель жизни», «благодетель».

«Бог, щедро дарующий» - словосочетание агиограф заимствовал у апостола Иакова. Бог щедро награждает священнослужителей - и дар этот, в первую очередь, мудрость (дар различия добра от зла, дар служения добру).

По нашему мнению, особенно важен пассаж в «назиданиях», где подчеркивается сила личностного примера. По апостолу Иакову, «вера без деяний мертвa» (2, 26). То, чему учишь других, должно быть стилем твоей же собственной жизни («превратите себя в образец»). Это и есть суть этического богословия.

Глава X. «Житие Шио и Эвагре». По рассказу агиографа, умудренный Богом св.Шио пришел в Грузию, ведомый Духом Святым и обосновался к западу от Мцхеты (Ср. «Св.Иоване пришел в Картли, ведомый Святым Духом»). Так же, как и святой Иоане Зедазнели, и Шио Мгвимели обосновался в малой пещере. Шио - человек выполняющий Божью Волю, исполненный этой же воли. Он слуга Господа, отрекшийся от мира, ради наивысшего - Бога.

Влияние Евангелия: «Шио подчинился Воле Божьей, который никогда не предаст верующих в Него».

Первая же молитва Шио многозначительна. В ней чувствуется наиважнейшая благодетель - терпение. С воспламененным сердцем предался Шио молитве. Он просил: а) терпения, б) быть достойным вечных благ.

Молитва интересна еще и тем, что Иисус назван «добрым», рожденным от Св.Девы, а также тем, что окончание молитвы совпадает с окончанием литургии.

В молитве названы три хранителя: Божья Матерь, св.апостолы и св.отец Иоанн (подразумевается Иоане Зедазнели). В молитве же объясняна причина пришествия Господа во плоти - «дабы спаси человека».

По сей день, при окончании литургии, сохранена последовательность: «Христос, истинный Бог наш, с помощью Богоматери Марии, покровительством апостолов...»

Можно заключить, что окончание молитвы св.Шио обусловлено (определенено) литературической практикой и является проявлением литургического же сознания.

Вторая же молитва Шио - благодарность за божественные блага, дарованные ему.

Жизнь человека - непрекращающаяся битва, борьба с видимыми и невидимыми врагами. Святые отцы учат, что намного сложнее бороться с невидимыми - с собственными страстями.

Св.Шио достиг в этой борьбе таких высот, что превратил себя в «прекрасную основу», развел в себе благодетель терпения, был вознагражден Богом, восхвалял Творца и осилил невидимых врагов.

В данном фрагменте интересны следующие пассажи: 1) Духовная радость («Радовался душой»). Радость эта исходит из любви. Любовь же - первейшая заповедь. Святой Шио, влюбленный в Бога, радостен, восхваляет Господа.

2) После долгих трудов, непрекращающихся молитв, он осилил невидимых врагов, что означает, что он поборол самого себя, поднялся по лестнице благодетелей и приблизился к Богу.

Особое чувство благодарности, что выделял св.Шио, естественно вытекает из учения о провиденциализме – святой подчинен Воле Божьей, доверяет этой Воле, влюблен в Бога. В своих молитвах он «восхваляет» Господа. Он - по сей день живой пример грешному человечеству (кстати, благодарность и смирение тесно взаимосвязаны. Св.Исаак констатирует: «Неблагодарный в малом недоволен и многим» (23, 191)).

Назидает сам Господь: «В малом ты был верен, над многим тебя поставил» (Матфей, 25, 21).

В агиографическом тексте ни один персонаж не появляется в сцене охоты, за исключением Эвагре.

По Божьему повелению, Эвагре остался с Шио. После того, как святой выстроил храм, он поставил на путь отшельничества Эвагре - он и есть первый «местный» отшельник грузинской церкви.

«Назидания» св.Шио Мгвимели учат пути Божественной, в них восхвалены благодетели, что обязательны для аскета.

Можно заключить, что ассирийские отцы создали программу аскетического жития («Учения» Иоане Зедазнели, «Назидания Шио Мгвимели»). Они - эти учения - назидания учат главному - как жить так, чтоб спастись.

Глава XI. «Житие Давида Гареджели». Автор «Жития св.Шио и Эвагре» обращается к святому Шио: «Претерпел преходящую тьму и взамен получил Вечную славу и покой».

В введении же «Жития святого Давида Гареджели» читаем: «Отец наш, святой Давид изошел в пустыню, чтобы минутной бедой завоевать

вечную радость и успокоение».

Оба святых «минутной» бедой (претерпев «минутные» беды) завоевывают вечность (минута эта - длиною в жизнь!).

При разговоре с разбойником св.отец скажет, что он молит Бога «в успокоении (в покое) провести минутную жизнь».

В данном отношении к жизни прекрасно выражено, как воспринималась человеческая миссия, таинства бытия, к чему должны мы стремиться и что должно быть наиважнейшим в этом бесконечном стремлении.

По произведению, «пустыня» - место для уединения с Богом и самим собой, место, где должно начаться спасение души. Хотя пустыня место материальных бед, но за минуту бедствий нам уготовлена Вечность. Значит, «пустыня» - место испытаний, «проход» в новый, духовный мир, место, приближающее человека к Богу, который всегда поможет побороть невидимых врагов.

В пустыне был дан Закон евреям. Св.Моисей сорок лет водил народ по пустыне, чтобы выросло новое поколение, которое имело бы право войти в Землю обетованную.

Ремарка агиографа, «пошел Давид (чтоб) ссудиться с самим собой», указывает на аскетические цели и намерения последнего.

Как начинатель отшельнической жизни, аскетического бытия Антон Великий пишет, объясняя: «Размышление и добродетель - очи души, свеча ее... Размышляя, мы рассматриваем свои желания, слова, деяния и отходим от всего, что отдаляет нас от Бога.

Размышляя мы поборем деяния нечистого».

Разумеется, аскетическая жизнь трудна, но все эти трудности - ничто по сравнению с теми благами, которые ожидают отошедших от мирских «благ» (точнее, от суеты мирской). Именно это и выражено словами агиографа - «минутной бедой завоевано вечное успокоение».

Основа отшельничества - терпение и послушание. Эти благодетели подчеркнуты в книгах «Жития святых отцов ассирийских».

Первая глава - апология послушанию. В ней показана та велика разница, что существует между богообязненной жизнью и жизнью, полной мирских забот.

Бескрайнее терпение есть необходимость в житии аскета. Сам Спаситель назидает: «Терпением вашим спасайте души ваши» (Лука 21, 19).

Св.Давид акцентирует, что «беды мирские - преходящи, слава небесная _ вечна». В нашем суетном мире боль действительно преходяща, тогда как радость Эдема вечна. Все кончается в этом мире, пройдут и беды сподвижников Давида и Лукиана. Заключение аскета - «стоить

терпеть».

Акцентируется благодетель терпения и в том пассаже, когда Лукиан жалуется духовному отцу, что из-за засухи нечего есть. «Ты малодушен, заботишься о преходящем - о тленной еде».

Наряду с Библией, основной назидательной книгой для ассирийских отцов были учения св.Антона Великого, его «Устав отшельнической жизни». Это и не удивительно, ибо именно он - начинатель аскетической жизни, образец личности, избравшего богоугодный путь. В агиографическом тексте из отцов церкви упомянут лишь св.Антон Великий.

Св.Давид был надеждой и образцом для других отшельников. Он делал их сильнее, одухотворял.

В произведении множество диалогов, оно небогато молитвами. Здесь особое место занимает благодарность и восхваление Творца.

Глава XII. «Мученичество св.Абибоса Некресели». Интересно узнать, какая из двух (A, B) редакций метафраст, каково отношение между редакциями (это должно быть установлено стилистическим анализом), какова лексическая разница, что происходит в тропическом мышлении, как отличается мышление разных агиографов.

Изучив редакции А и В, не было выявлено существенной разницы – незначительные лексические изменения, нет концептуального разногласия, идентичен стилевой инструмент. В редакции А наблюдается интерполяция (добавление-сокращение), редакция В обработана на более высоком художественно-эстетическом уровне, «украшена словом».

В содержании не наблюдается догматических изменений, музыкально-ритмических изысканий мало, не наблюдается и стремления к самоцельному описанию чуда («сасцаули»).

Редакция А не является метафрастом редакции В (то, что диалог против огнепоклонения дан лишь в редакции А не аргумент, ибо в редакции В потеряна именно эта страница (К.Кекелидзе) и никому не ведомо, был ли упомянутый диалог в редакции В.

Диалог этот (редакция А) состоит из 31 строки (неполных). Это - два вопроса марзпана (персидского наместника) Абибосу и, следовательно, два ответа.

В лексическом плане вопросы марзпана весьма скучны, нет логической глубины:

Первый вопрос: «Зачем убил бога нашего?» (т.е. потушил огонь); второй вопрос почти идентичен, усложнен лишь начальной фразой - «Я спрашиваю...»

В диалоге марзпан представляется неуравновешенным, его тон –

менторский, агрессивный.

Совершенно другое духовное состояние у Абибоса Некресели. Он вдохновлен познанием Истины. Отсюда и различие в лексике (фразеологии, интонации, стиле...).

Ответ звучит так: «Ваш бог, огонь, преходящ, он - дьявол; составленный; идол... Я потушил его (то есть победил вашего «бога»; После чего следует характеристика Истинного Бога, Творца).

Как бы циничен ответчик - «лишь малая доля воды уничтожила вящего бога, так бог ли он? Ваше служение - ложь.». Аргумент - цитата от Луки (4, 8).

Диалог выстроен по принципу антиномии - отрицание вызывает противоположные ассоциации. Аргументацию Абибоса можно воспринять как образец негативной теологии. Он (Абибос) уничтожает абсурдную идею марзпана силой логики.

Редакции А и В дают очень скучный материал для изучения Божественных имён. Невероятно, что в метафрастике были даны лишь десять имён, тогда как в любом памятнике грузинской агиографии таких имён целая система.

Во всем произведении лишь два пассажа, где приведены цитаты из Библии. Метафрастике несвойственна малость художественных парадигм и цитат. Поэтому, по нашему мнению, редакция А «Мученичества св.Абибоса Некресели» не является метафрастом.

Глава XIII. «Житие св.Григория Хандзтийского». Описанием жития Григория Хандзтийского агиограф объясняет суть человеческого бытия, тайну миссии человеческой - что все преходяще, вечна только душа и именно ее спасение должно стать целью жизни.

Творец Вселенной еще в лоне матери избирает избранного, этим высказывает свое невероятное величие.

Ашот Курапалат обращается к «звезде пустыни»: «Христос выявил тебя как гордость христиан».

Вышесказанное основывается на Евангелии: «Ашот говорит Савве Ишхнели (от Матфей 5, 16): «Да светит свет ваш пред людьми, чтобы они видели ваши добрые дела и прославляли Отца вашего Небесного...»).

Богобоязнь - то, что должно пробудиться, читая «Житие». Боязнь (высокая) к Богу - начало мудрости. Об этой боязни часто говорит Георгий Мерчуле, однако по контексту. Когда народ собрался возвести в сан священнослужителя, он побоялся своего юного возраста: «Вижу честь и боюсь бед», - отвечает Григорий. В ответе ясно видно отношение отца

к седьмому таинству, удивительно возвышенное, духовное и к тому же, аналитическое - «священнослужитель должен быть возвышенным, чистым сердцем, душой». Фраза выражает универсальность литургического мышления.

Очень важно отношение к феномену слова в агиографии. Монументальная личность Григория Хандзийского выявляется в Слове-Логосе. Агиограф констатирует, что Григорий изучил философию (лишь теологически приемлемые доводы, «злые» же - отверг). Доброе и злое размежеваны.

Для Григория доброе слово - то, что полезно для души, то, что не отличается от христианского учения. Доброе слово вытекает от доброй мысли, что причащает личность к универсалиям. «Злое слово» - порок и помеха, препятствие на пути к Богу.

Слово Доброе в произведении противопоставлено слову злу.

Огромная сила предписана молитве и слезам. В «Житии благодетель молитвы и поста всегда сопровождаются слезами.

Отношения между святым и его матерью очень тонки. Агиограф выражает особое уважение к выполнению требований пятой заповеди.

Мать, старая, с трепетом ожидает встречи с сыном, ведь святой был единственным сыном и мать глубоко переживала разлуку с ним.

Встреча с матерью, фактически, есть встреча с прошлым, детством. И в этом эпизоде универсален «строитель пустынь». Он просит у матери помиловать. Трудно найти более трогательное описание отношений родителя с чадом в агиографии. Здесь все соткано с трепетом, все трепетно: вера, самоуничижение, покорность, любовь, уважение. «Отошел я от мира сего не по своей, а по Божьей воле», - объясняет сын матери.

Это еще одно подтверждение провиденциализма и объяснение того, почему Григорий отказался от сана епископа (и это было волей Божьей, а не волей личности).

Сын говорит матери в Мерейском монастыре, что у нее есть все, о чем можно мечтать в мире сем, но теперь сыну надобно привести мать к Богу.

Вместе с уважением к родителям, в данном эпизоде подчеркиваются такие темы, как отношение души и тела, праведная жизнь, провиденциализм, многие теологические принципы представлены с помощью художественного слова.

Заключение. Изучение парадигматических аспектов грузинской агиографии выявило некоторые интересные аспекты:

Наиважнейшим для агиографии являются акценты, относящиеся к

силе и благу слова.

Агиографическое слово и Логос - проявление Святого Духа. Личность самовыражается словом, в слове отражены психоэмоциональные и интеллектуальные начала. Слово - хранитель чуда.

Молитва и пост _ эти добродетели неразделимы в грузинской агиографии. Молитва - беседа с Богом любви и покоя - успокаивает душу, ведет человека в Эдем. Пост - подготовка души для вдохновения.

Молитва и пост - гарантия того, что душа будет защищена от зла. Молитва и пост - состояние души персонажей грузинской агиографии. хотя ощущение собственных грехов, молитва покаяния довольно проста.

Слезы, дан Духа Святого, считаются особой добродетелью. Молитва, сопровождаемая слезами, тоже особая добродетель.

Боязнь Бога - основа правильной жизни. Чувство это часто описано как в «Житиях», так и в «Мученичествах».

Основа монашеской жизни _ безбрачие, терпение, покорность и нищета _ восхвалены в грузинской агиографии.

Особенную степень веры выявляют дети-мученики, воспламененные любовью к Богу, чистые сердцем, реальные образцы чистоты.

В агиографии IV-X вв. выделяется деятельность ассирийских отцов _ это начало не только монастырской колонизации, но великий миссионерский путь. Также важно появление гимнографической литературы, укрепление православия.

Их программу можно представить как восхождение по лестнице добродетели, вечное стремление к совершенству.

Агиография была продолжением Священного Писания. Это и доказывает единство нашей методологической основы. Агиография основана на литургико-эрталогическом принципе.

И еще один аспект грузинской агиографии - в теологии или достигнешь суть или нет. Различны общие, сравнительные, этические и назидательные учения.

Св.Григорий Богослов констатирует: «Если хочешь со временем стать богословом, придерживайся заповедей и не противься покорности» (Епископ Шио Муджири).

В грузинской агиографии любое теологическое учение подчинено этим требованиям.

Провиденциализм, эсхатологическое ожидание, победа над страхом смерти, очищение сердца и души, необходимость литургического мышления есть основа основ назиданий грузинских агиографов.

Особенно следует отметить, что в грузинской агиографии IV-X

вв. очень важны учения о добродетели. В этом смысле очень интересен Декалог «Жития святой Нино», десять заповедей «Мученичества св.Эвстация» и назидания «Жития» св.Иоанэ Зедазнели и св.Шио Мгвили. Каждое из вышеупомянутых произведений служит спасению души человеческой, сделать личность другом Господа, возвысить их над преходящим, мирским, материальным.

В конце концов, все эти учения ведут праведным путем.

Мышление образах специфически проявляется в агиографии. Эта система парадигм является эйконической.

Парадигматическая система двуплановая - насыщена как мирским, так и духовным смыслом (Р.Сирадзе).

Заметим еще раз, что грузинская агиография - ответ на вопрос, как верили и любили в Грузии!

RESUME

One of the most important things for Georgian Hagiography is accent on the power and charity of a word. Hagiographical word and logos announce the whit, show us the way to overcome the world and spiritual rise. The person, his psycho-emotional and spiritual-intellectual sources are displayed. The greatest miracles are fulfilled by the means of a word.

Prayer and fast are indivisible from Georgian Hagiography. Prayer as the conversation to god of love and peace, calms down the spirit, cleans the mind and opens the door to paradise for the man. Fast is one of the best conditions for spiritual inspiration and rise, it makes a man like a god. Prayer and fast are guaranties, trustworthy means, protectors of spirit from wicked. The both virtues are conditions of Georgian Hagiography, although the prayer of confessed man is almost unfamiliar for Georgian Hagiography.

Tears, gift of whit and the prayer offered up with tears is a peculiar virtue in the activity of saint.

Fear of god, as the basis of properly directed life is of equal significance in “punishment” as well as “living” characters.

The basis of monk’s life: firmness, unmarriageable and obedience-modesty-patience is idealized by Georgian Hagiographers.

The punished children of Georgian Hagiography, spirits lighting by god love, visible images of innocence and purity irradiate with specific firmness and devotion for belief.

In Georgian Hagiography of IV-X centuries there is absolutely distinguished the activity of St. Asurian Fathers, which is not only initial of Georgian monastery colonization, but it was a great missionary activity, embryo of original hymnographical write and strengthening of Georgian Orthodoxy. We can imagine their activity program, moral principles as rise to the ladder of virtues, merit without difficulties to improvement.

In Georgian Hagiography of IV-X centuries appeared as well that hagiographical write is continuation of divine letter and the second, we analyzed some aspects of iconographic typology of Georgian Hagiography (IV-X), on the whole, from the standpoint of typological theology. You can penetrate in theology or you can not do this. There are considered main, comparative, moral and doctrinal studies. St. Grigol theologian says: “If you want to became a the theologian in due course, follow the commandments and don’t

come out obedience". Any theological doctrine in Georgian Hagiography is inspired by the fulfillment of this requirement.

Providentialism, eschatological expectation, overcoming of the fear of death, cleaning of heart and mind, necessity of church living are the basis of suggestion of Georgian Hagiographers.

It's very considerable to note, that in Georgian Hagiography of IV-X centuries virtue doctrines are very important. From this point of view "St. Nino's living's" Decalogue, ten commandments of "St. Evstati's martyrdom from tskheta", and "Life studies" of St. Ioane Zedazneli and St. Shio are very interesting. Each of them serves to the only one, - to support the man to save his spirit, to make him a friend of Christ, to make him raised from common, material, vain and fleeting, devoted to spiritual values. Finally these doctrines are preaching going on the superior way.

Georgian Hagiographical write is an answer to how in Georgia people believed and loved!

დამონიანი:

1. ბიბლია, თბ., 1989;
2. ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა, თბ., 1979;
3. **ფსალმუნის.....1979:** ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X-XIII საუკუნეებთა ხელნაწერების მიხედვით, მზექალა შანიძის რედაქციით, თბ., 1960;
4. **აბულაძე 1955:** აბულაძე ი., ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, თბ., 1955;
5. **აბულაძე 1973:** აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973;
6. **ნეტარი ავგუსტინე 1995:** ნეტარი ავგუსტინე, ალსარებანი, ლათინურიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ., 1995;
7. **ნეტარი ავგუსტინე 1991:** ნეტარი ავგუსტინე, ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის, წიგნში სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, III, თბ., 1991;
8. **არქიმანდრიტი რაფაელი 1993:** არქიმანდრიტი რაფაელი, რას წარმოადგენს იელოვას მოწმების სექტის სწავლება, თბ., 1993;
9. **არქიმანდრიტი რაფაელი 1997:** არქიმანდრიტი რაფაელი, საუბრები მართლმადიდებლობაზე, II, თბ., 1997;
10. **არქიმანდრიტი რაფაელი 1998:** არქიმანდრიტი რაფაელი, ქადაგებანი, სტატიები II, თბ., 1998;
11. **არქიმანდრიტი რაფაელი 1992:** არქიმანდრიტი რაფაელი, ხატი საქართველოს ეკლესიის დადება, ჯვარი ვაზისა №3, თბ., 1992;
12. **ასათიანი 2005:** ასათიანი მანანა, მღვდლის იდეალი „ცხრათა ყრმათა კოლაელთა მარტვილობაში“, კრიტერიუმი, №14, თბ., 2005;

13. **ნე. ეფრემ ასურელი 1991:** ნე. ეფრემ ასურელი, სიტყვა საყოველთაო აღდგომასა და სამსჯავროზე, წიგნში სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, II, თბ., 1991;
14. **ანტონ დიდი 1991:** ანტონ დიდი, სწავლანი, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1991;
15. **ანტონ დიდი 1991:** ნე. ანტონ დიდი, წესდება განდეგილი ცხოვრებისა, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1991;
16. **ბულგარელი I 1992:** ახალი აღთქმის კომენტარები ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელისა, I, თბ., 1992;
17. **ბულგარელი II 1992:** ახალი აღთქმის კომენტარები ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელისა, II, თბ., 1992;
18. **ბააკაშვილი 1997:** ბააკაშვილი ვ., ქართულ-ბიზანტიური მეტაფრასული აგიოგრაფიის ურთიერთმიმართება და ძირითადი თავისებურებანი, ძველი ქართული ლიტერატურა (XI-XVIII), თბ., 1977;
19. **ბარამიძე 1993:** ბარამიძე რ., ღმერთი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 3.06.93;
20. **ბარამიძე 1992:** ბარამიძე რ., ლოცვის ფუნქცია „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“, ჟ. რელიგია, № 5, თბ., 1992;
21. **ბარამიძე 1996:** ბარამიძე რ., ქართული პროზის საკითხები, თბ., 1996;
22. **ბარამიძე 1966:** ბარამიძე რ., ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან, თბ., 1966;
23. **ბარამიძე 1990:** ბარამიძე რ., ნარკვევები ქართული მწერლობის ისტორიიდან, თბ., 1990;
24. **ბასილ კესარიელი 1999:** ბასილ კესარიელის ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ., 1999;
25. **ბეგიაშვილი 1990:** ბეგიაშვილი ა., პოეზია, ფილოსოფია, მეთოდოლოგია, თბ., 1990;
26. **გაბიძაშვილი 1982:** გაბიძაშვილი ე., ასურელი მოღვაწეების „ცხოვრებათა“ ე.ნ. არქეტიპების ურთიერთმიმართებისათვის, ჟ. მაცნე, ელს, № 4, თბ., 1982;

27. **გაგოშაშვილი 1999:** გაგოშაშვილი ნ., მოძღვრება ქრისტიანული სრულქმნილების შესახებ და წმ. გრიგოლ ნოსელის ეპისტოლე „სისრულისათკა“, გაზ/კალმასობა, № 6(34), თბ., 1999;
28. **გამსახურდია 1991:** გამსახურდია ზ., ვეფხისტყაოსნის სახ-ისმეტყველება, თბ., 1991;
29. **გამონათქვამები.. 1991:** გამონათქვამები წმიდისა მამის ან-ტონ დიდისა და გადმოცემანი მასზე, საქართველოს ეკლე-სის კალენდარი, თბ., 1991;
30. **გაფრინდაშვილი 1981:** გაფრინდაშვილი ქ., ადამიანის იდე-ალი „დავით გარეჯელის ცხოვრების“ მიხედვით, ჟ. მაცნე, ელს, № 3, თბ., 1981;
31. **გიგინეიშვილი 1997:** გიგინეიშვილი მ., მართლმადიდებლობა ევროპული კულტურის კონტექსტში, გაზ. ლიტერატურული საქართველო, 18–25 ივლისი, თბ., 1997;
32. **გრიგალაშვილი 2005:** გრიგალაშვილი ი., სტეფანე მჭბევა-რის „წმ. გობრონის წამება“, თბ., 2005;
33. **გრიგოლაშვილი 2005:** გრიგოლაშვილი ლ., დავით ალმაშენე-ბლის „გალობანი სინანულისანი“, თბ., 2005;
34. **გრიგოლაშვილი 2007:** გრიგოლაშვილი ლ., შუასაუკუნოე-ბრივი მწერლობა და უანრის პოეტიკის საკითხები, საერ-თაშორისო სიმპოზიუმი, I, ლიტერატურათმცოდნეობის თა-ნამედროვე პრობლემები, მასალები, თბ., 2007;
35. **გრძელიძე 1990:** გრძელიძე თ., ჰაგიოგრაფიული ლიტერ-ატურის ბავშვები, ჟ. ლიტერატურა და ხელოვნება, № 2, თბ., 1990;
36. **გულაბერისძე 1882:** გულაბერისძე ნიკოლოზ, საკითხავი სვეტისა ცხოველისაა, კუართისა საუფლოდი და კათო-ლიკე ეკლესისაა , საქართველოს სამოთხე, თბ., 1882;
37. **გურამიშვილი 1964:** გურამიშვილი დ., დავითიანი, თბ., 1964;
38. **დათაშვილი 1996:** დათაშვილი ლ., საღვთისმეტყველო საკითხები ქართულ აგიოგრაფიაში, თბ., 1996;
39. **დამასკელი 2000:** წმ. ოოანე დამასკელი, მართლმადიდე-ბლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ორი

ძველი ქართული თარგმანი (წმ. ეფრემ მცირისა და წმ. არსენ იყალთოელისა), გამოსაკვლევად მოამზადეს რომან მიმინშვილმა და მაია რაფავამ, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო მაია რაფავამ. ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბ., 2000;

40. **დიდაქე 1997:** დიდაქე, წიგნში წესი ქრისტიანის ცხოვრებისა, თარგმნა და კომენტარები ე. ჭელიძისა, თბ., 1997;
41. **დიდი სჯულის კანონი 1975:** დიდი სჯულის კანონი, თბ., 1975;
42. **წმ. ეპისკოპოსი ეგნატე 1990:** წმ. ეპისკოპოსი ეგნატე, სახ-არების კითხვის შესახებ, წიგნში სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, III, თბ., 1990;
43. **ელჩანინოვი 1989:** მამა ალექსანდრე ელჩანინოვი, ღვთისმ-ეტყველების შესახებ, უ. ჯვარი ვაზისა, № 3, 1989;
44. **ემესელი 1914:** ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვის, ბერძნულიდან გადმოღებული ოვანე პეტრინის მიერ, ქართული ტექსტი შეისწავლა, გამოსაცემად მოამზადა და ლექსიკონ-საძიებელი დაურთო რ. გორგაძემ, ტფ. 1914;
45. **ეპისტოლე.. 1988:** ეპისტოლე აღმოსავლეთის კათოლიკე ეკლესიათა პატრიარქებისა მართლმადიდებელი რწმენის შესახებ, საღვთისმეტყველო კრებული, № 3, თბ., 1988;
46. **ეფესელი 1991:** წმ. მარკოზ ეფესელი, აპოლოგია, წიგნში სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, II, თბ., 1991;
47. **ვასილიადისი 2003:** ვასილიადისი ნ., სიკვდილის საიდუმლოება, თბ., 2003;
48. **ვაჩნაძე 1998:** ვაჩნაძე ნ., სააზროვნო სისტემა და ქართული საზოგადოების ზნეობრივი იდეალი, V-X სს., თბ., 1998;
49. **ზარიძე 1985:** ზარიძე ხ., ხოლო ნეტარმან ევსტათი განიცინა, გაზ. ლიტერატურული საქართველო, 14 ივნისი, თბ., 1985;
50. **ზარიძე 1997:** ზარიძე ხ., იოვანე საპანის ძე, აბოს წამება, თბ., 1997;
51. **ზარიძე 2004:** ზარიძე ხ., კოსტანტი კახის წამება, კრებულში კ. კეკელიძე -125, თბ., 2004;

- 52. თალასე 1989:** წმ. აბბა თალასე, სიყვარულის, მარხვისა და სულიერი მოქალაქეობის შესახებ, საქართველოს ეკლესის კალენდარი, თბ., 1989;
- 53. შრომები.. 1990:** თბილისის სასულიერო სემინარისა და აკა-დემის შრომები, № 2, თბ., 1990;
- 54. თვარაძე 1985:** თვარაძე რ., თხუთმეტსაუკუნოვანი მთლი-ანობა, თბ., 1985;
- 55. თვარაძე 2001:** თვარაძე რ., ქართული ლიტერატურის ის-ტორია, თბ., 2001;
- 56. ილია II 1991:** ილია II, სააღდგომო ეპისტოლე, თბ., 1991;
- 57. იმედაშვილი 1965:** იმედაშვილი გ., ძველი ქართული მხატ-ვრული ენისა და სტილის მიჯნებზე, ძველი ქართული მწერ-ლობის სტილის საკითხები, V-X სს., თბ., 1965;
- 58. კაზანძაკასი 1997:** კაზანძაკასი ნ., ასკეზა, თბ., 1997;
- 59. კაკაბაძე 1928:** კაკაბაძე ს., ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები, საისტორიო კრებულის წიგნი I-ის დამატება, თბ., 1928;
- 60. კეკელიძე 1980:** კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატუ-რის ისტორია, I, თბ., 1980;
- 61. კეკელიძე 1956:** კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1956;
- 62. კეკელიძე 1959:** კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბ., 1959;
- 63. კეკელიძე 1973:** კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, XI, თბ., 1973;
- 64. კეკელიძე 1986:** კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, XIV, თბ., 1986;
- 65. კემფელი 1982:** კემფელი თ., მიბაძვა ქრისტესი, უ. ჯვარი ვაზისა, № 2, თბ., 1982;
- 66. კვარაცხელია 1995:** კვარაცხელია გ., მხატვრული ენის შეს-ნავლის ლინგვისტური ასპექტები, თბ., 1995;
- 67. კვესელავა 1961:** კვესელავა მ., ფაუსტური პარადიგმები, I, თბ., 1961;

68. **კითხვანი აღსარებასა ზედა 1899:** კითხვანი აღსარებასა ზედა, შედგენილი გრიგოლ დიაჩენკოს მიერ, თარგმანი დეკანოზ პეტრე კენჭოშვილისა, თბ., 1899;
69. **კიკნაძე 1957:** კიკნაძე გრ., მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957;
70. **კიკნაძე 1989:** კიკნაძე ზ., საუბრები ბიბლიაზე, თბ., 1989;
71. **კილანავა 1988:** კილანავა ბ., ქართული დამწერლობისა და მწერლობის სათავეებთან, თბ., 1988;
72. **კონდაკი 2004:** სამღვდელო კონდაკი (ნუსხურად), თბ., 2004;
73. **კრიტელი 2005:** კრიტელი ანდრია, დიდი კანონი, თბ., 2005;
74. **კუჭუხიძე 2001:** კუჭუხიძე გ., წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობის ავტორი და მისი მსოფლმხედველობა, ლიტერატურული ძიებანი, XXII, თბ., 2001;
75. **კუჭუხიძე 2005:** კუჭუხიძე გ., წმ. იოანე ზედაზნელის ცხოვრების უძველესი სახის აღდგენისათვის, ლიტერატურული ძიებანი, XXVI, თბ., 2005;
76. **კუჭუხიძე 2003:** კუჭუხიძე გ., ცხრა ყრმა კოლაელთა წამება, წამება დავითისა და ტირიქანისა, დათარიღების საკითხისათვის, ლიტერატურული ძიებანი, XXIV, თბ., 2003;
77. **ლოლაშვილი 1987:** ლოლაშვილი ი., წამება შუშანიკისი, თბ., 1987;
78. **ლოსკი 1988:** ლოსკი ვ., ხატი და მსგავსი, აღმოსავლეთის ეკლესიის მისტიკური ღვთისმეტყველების ნარკვევები, ჟ. საღვთისმეტყველო კრებული, № 1, თბ., 1988;
79. **ლოცვანი 1997:** ლოცვანი, თბ., 1997;
80. **ლოცვანი 2001:** ლოცვანი, თბ., 2001;
81. **ლოცვანი 1998:** ლოცვანი და განმარტებები, თბ., 1998;
82. **ლოცვანი და ფსალმუნი 1997:** ლოცვანი და ფსალმუნი, თბ., 1997;
83. **მაგდალელი 1990:** წმ. მარიამ მაგდალელი, რუსულიდან თარგმნა მ. წივწივაძემ, ჟ. ჯვარი ვაზისა, № 4, თბ., 1990;
84. **მათეს სახარების განმარტება 1998:** მათეს სახარების

- განმარტება წმ. მამათა სწავლათა მიხედვით, თბ., 1998;
85. **მამათა სწავლანი 1955:** მამათა სწავლანი, X-XI სს. ხელ-ნაწერების მიხედვით გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1955;
86. **მამარდაშვილი 1989:** მამარდაშვილი მ., საუბრები ფილოსო-ფიაზე, თბ., 1989;
87. **მარი 1825: О кавказской версии Библии в грузинских палимпистных фрагментах, т. I, Л. 1825;**
88. **მარი 1899:** Из поездки на Афону, ЖМНПР, 1899, март;
89. **მამულია 1992:** მამულია გ., ძებანი ქართლის (იბერიის) VI- VII სს. საეკლესიო ისტორიიდან, ჟ. მაცნე, (ისტ.), № 3, თბ., 1992;
90. **მახარაშვილი 2002:** მახარაშვილი ს., თეოფილე ხუცესმონ-აზონი, თბ., 2002;
91. **მეტრეველი 2000:** მეტრეველი ფ., აგიოგრაფიული სიტყვა და ლოგოსი, თბ., 2000;
92. **მეტრეველი 2002:** მეტრეველი ფ., წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების სახისმეტყველების ზოგიერთი ასპექტი, კრე-ბული ხანძთა – სულიერად მშობელი ქართველთა, თბ., 2002;
93. **ფელიქსი 1991:** მინუციუს ფელიქსი, ოქტავიუსი, წიგნში სი-ტყვა მართლისა სარწმუნოებისა, II, თბ., 1991;
94. **მოთხობები წმ. მამათა ცხოვრებიდან 1993:** მოთხობები წმ. მამათა ცხოვრებიდან, შეადგინა და ტექსტი გამოსაცე-მად მოამზადა მარინე ნიაურმა, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1993;
95. **კრებები 1978:** მსოფლიოს საეკლესიო კრებები, საქართ-ველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1978;
96. **ეპისკოპოსი შიო მუჯირი 2005:** ეპისკოპოსი შიო მუჯირი, ღვთისმეტყველების არსი და დანიშნულება წმ. წერილისა და წმ. მამათა მიხედვით, მართლმადიდებელი მრევლის დღიური, № 3, თბ., 2005;
97. **მღვდელმთავართა.. 1992:** მღვდელმთავართა ლიტურგიის სახისმეტყველებითი განმარტება, ჟ. ჯვარი ვაზისა, № 4, თბ., 1992;

98. **კურთხევანი 1996:** მცირე კურთხევანი, საქართველოს ეკლე-
სიის კალენდარი, თბ., 1996;
99. **მჭედლიძე 1990:** მჭედლიძე ს., ღვთისმსახურების შესახებ,
თბ., 1990;
100. **ნოზაძე 1963:** ნოზაძე ვ., ვეფხისტყაოსნის ღვთისმე-
ტყველება, პარიზი, 1963;
101. **ნოსელი 1989:** წმ. გრიგოლ ნოსელი, პასუხი ექუსთა მათ
დღეთათვს, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ.,
1989;
102. **ნუცუბიძე 1956:** ნუცუბიძე შ., ქართული ფილოსოფიის
ისტორია, I, თბ., 1956;
103. **ონიანი 1955:** ონიანი შ., იოვანე საბანისძე – ცხოვრება და
შემოქმედება, სადისერტაციო შრომა ფილოლოგიის მეც-
ნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვე-
ბლად, თბ., 1955;
104. **ორბელიანი 1991:** ორბელიანი სს., ლექსიკონი ქართული, I,
თბ., 1991;
105. **ორბელიანი 1993:** ორბელიანი სს., ლექსიკონი ქართული,
II, თბ., 1993;
106. **ორბელიანი 1963:** ორბელიანი სს., თხზულებანი, ტ. III,
თბ., 1963;
107. **ოქროპირი 1990:** წმ. იოანე ოქროპირი, ბავშვთა აღზრდის
შესახებ, წიგნში სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, I, თბ.,
1990;
108. **ოქროპირი 1991:** წმ. იოანე ოქროპირი, როგორ გავზიარდ-
ოთ შვილები უფლის სწავლებითა და მოძღვრებით, წიგნში
სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, III, თბ., 1991;
109. **ოქროპირი 1990:** წმ. იოანე ოქროპირი, ოქროს წყარო,
საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1990;
110. **ოქროპირი, 1955:** წმ. იოანე ოქროპირი, სინანულისათვს,
წიგნში მამათა სწავლანი, თბ., 1955;
111. **პავლეს ეპისტოლეთა განმარტება 2003:** პავლეს ეპისტო-
ლეთა განმარტება, გამოკრებილი იოვანე ოქროპირისა და
სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფთვიმე

- მთაწმინდელის მიერ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზიშვილმა, თბ., 2003;
112. **პალამა 1991:** წმ. გრიგოლ პალამა, ალსარება მართლმა-დიდებელი სარწმუნოებისა, წიგნში სიტყვა მართლისა სარ-წმუნოებისა, II, თბ., 1991;
113. **პაპუაშვილი 1996:** პაპუაშვილი ნ., მონოფიზიტობა და სომხური ეკლესია, რელიგიის ისტორია, თბ., 1996;
114. **პატარიძე 1992:** პატარიძე ლ., ქართლის გაქრისტიანება, ჟ. რელიგია, № 3, თბ., 1992;
115. **არეოპაგელი 1961:** პეტრე იბერიელი (ფსევდო დიონისე არეოპაგელი), შრომები, ეფრემ მცირის თარგმანი, გამოს-ცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სამსონ ენუქაშ-ვილმა, თბ., 1961;
116. **ჟამნი 1899:** ჟამნი (ნუსხურად), თბ., 1899;
117. **ჟამნი დიდი სერობისა 1899:** ჟამნი დიდი სერობისა, ჟამნი, თბ., 1899;
118. **ჟამნი სადილისა 1899:** ჟამნი სადილისა, ჟამნი, თბ., 1899;
119. **რამიშვილი 1963:** რამიშვილი დ., მეტყველების განსხვავე-ბულ სახეთა ფსიქოლოგიური ბუნებისთვის, თბ., 1963;
120. **რუხაძე 2003:** რუხაძე ლ., ჰაერის მცველთა სახისმე-ტყველებისათვის ძველ ქართულ ლიტერატურაში, ლიტერ-ატურული ძიებანი, XXIV, თბ., 2003;
121. **საეკლესიო გალობა 1914:** საეკლესიო გალობა, თბ., 1914;
122. **საკვირაო სახარებათა განმარტება 2001:** საკვირაო სახ-არებათა განმარტება, შედგენილი გრ. დიაჩინკოს მიერ, თარგმანი ვ. ბურკაძისა, თბ., 2001;
123. **სამღვდელო კონდაკი 2004:** სამღვდელო კონდაკი (ნუსხუ-რად), თბ., ცდ;
124. **სარჯველაძე 1984:** სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერა-ტურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984;
125. **სარჯველაძე 2001:** სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბ., 2001;

126. **საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2005:** საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 2005;
127. **კატეხიზმო 1994:** სახელმძღვანელო მართლმადიდებელი ეკლესიის კატეხიზმოს შესასწავლად, თბ., 1994;
128. **წმ. სვიმეონი 1991:** წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი, სიყვარულის შესახებ, წიგნში სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, II, თბ., 1991;
129. **წმ. სვიმეონი 1992:** წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი, სამოღვაწეო, შემეცნებითი და საღვთისმეტყველო თავნი, თბ., 1992;
130. **სიგუა 1986:** სიგუა ს., სიტყვა, როგორც ბეჭისწერა, თბ., 1986;
131. **სინელი 1986:** წმ. ოთანე სინელი, ექვთიმე ათონელის თარგმანი, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1986;
132. **ნილოს სინელი 2004:** წმ. ნილოს სინელი, რჩევები სწორი ლოცვის შესახებ, გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“ № 21 (279), თბ., 2004;
133. **სირაძე 1987:** სირაძე რ., ქართული აგიოგრაფია, თბ., 1987;
134. **სირაძე 1997:** სირაძე რ., მოქცევა ქართული ენისა, გაზ. ლიტერატურული საქართველო, № 16 თბ., 1997;
135. **სირაძე 1978:** სირაძე რ., ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, თბ., 1978;
136. **სირაძე 2005:** სირაძე რ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 2005;
137. **სირაძე 1992:** სირაძე რ., ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, I, თბ., 1992;
138. **სულიერ მოძღვართა შესახებ 2005:** სულიერ მოძღვართა შესახებ, თბ., 2005;
139. **სხირტლაძე 1992:** სხირტლაძე გ., დემონოლოგის საკითხები მართლმადიდებლურ სწავლებაში, ქ. ჯვარი ვაზისა, № 3, თბ., 1992;
140. **სჯულის კანონი 2000:** სჯულის კანონი (ერისკაცთათვის), თბ., 2000;

141. **ტენი 1990:** ტენი იპოლიტ, ხელოვნების ფილოსოფია, თბ., 1990;
142. **უზნაძე 1947:** უზნაძე დ., ენის შინა ფორმა, ფსიქოლოგია, IV, თბ., 1947;
143. **უძველესი რედაქციები.. 1991:** უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექსატა დღეთასა“ და გრიგოლ ნისელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათვს“, X-XIII სს.-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. აბულაძემ, თბ., 1964;
144. **ფარულავა 1991:** ფარულავა გრ., ქრისტიანული ანთრო-პოლოგის ძირითადი საკითხები, უ. ხელოვნება, № 11-12, თბ., 1991;
145. **ფარულავა 1982:** ფარულავა გრ., მხატვრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში, თბ., 1982;
146. **ფარულავა 1992:** ფარულავა გრ., ტანჯვის ქრისტოლოგი-ური გაგება და ეროვნული მწერლობა, უ. ცისკარი, № 3, თბ., 1992;
147. **ვაჟა-ფშაველა 1956:** ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტომი VII, თბ., 1956;
148. **ლექსიკონი.. 1990:** ქართული ენის განმარტებითი ლექსი-კონი, ერთტომეული, მეორე ნაკვეთი, თბ., 1990;
149. **ლექსიკონი-ცნობარი 1984:** ქართული მწერლობა, ლექსიკონი-ცნობარი, თბ., 1984;
150. **ხუროთმოძღვრების ძეგლები 2000:** ქართული ხუროთმოძ-ღვრების ძეგლები, ავტორთა ჯგუფი: გ. აბრამიშვილი, ა. ზაქარია, ი. ციცონელი, თბ., 2000;
151. **ქიქოძე 1993:** ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე, ცდისეული ფსიქოლოგის საფუძვლები, თბ., 1993;
152. **ლვთის ხატი ადამიანში 1992:** ლვთის ხატი ადამიანში, გაზეთი მადლი, 26.05, თბ., 1992;
153. **დოროთე 1991:** ლირსი მამა აბბა დოროთე, სულთა სა-სარგებლო სწავლანი და ეპისტოლენი, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1991;
154. **ყაუხჩიშვილი 1926:** ყაუხჩიშვილი ს., ხრონოგრაფი გიორ-

- გი ამარტოელისად, ნაწ. II, თბ., 1926;
155. **ყუბანეიშვილი 1939:** ყუბანეიშვილი ს., ნარკვევი VI ს.-ის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1939;
156. **ჩოლობაშვილი 2003:** ჩოლობაშვილი ბ., უძველესი ქართული მარტილოლოგიური თხზულება, თბ., 2003;
157. **ჩხარტიშვილი 1994:** ჩხარტიშვილი მ., მარტვილობაა და მოთმინებაა წმ. ევსტათი მცხეთელისად, წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, თბ., 1994;
158. **ძეგლები 1964:** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, I, თბ., 1964;
159. **ძეგლები 1967:** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილია აბულაძის ხელმძღვანელობათა და რედაქციით, II, თბ., 1967;
160. **ლიტერატურის ისტორია 1999:** ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, IX კლასის სახელმძღვანელო, შეადგინეს და კომენტარები დაურთეს: მ. გიგინეიშვილმა, ლ. გრიგოლაშვილმა, ვ. როდინაიამ, თბ., 1999;
161. **საეკლესიო ლიტერატურა 2005:** ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა, I, ძეგლები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბ., 2005;
162. **წიგნი... 1989:** წიგნი ძუელისა ალტერნატივისანი, შესაქმისად, გამოსლვათად, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ცოტნე კიკვიძემ. გამოკვლევა ბ. გიგინეიშვილისა, ნაკვეთი I, თბ., 1989;
163. **წმინდანთა ცხოვრება I 2003:** წმინდანთა ცხოვრება წიგნი I, თბ., 2003;
164. **წმინდანთა ცხოვრება II 2003:** წმინდანთა ცხოვრება, წიგნი II, თბ., 2003;
165. **წმინდანთა სახელები 1992:** წმინდანთა სახელები, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1992;
166. **წმინდანის სახელს... 2005:** რომელი წმინდანის სახელს ატარებ? თბ., 2005;

167. **ჭელიძე 1989:** ჭელიძე ე., კომენტარები წმ. გრიგოლ ნოსე-ლის თხზულებისა „პასუხი ექუსთა მათ დღეთათვს“, საქა-როველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1989;
168. **ჭყონია 1971:** ჭყონია თ., იყო თუ არა მონოფიზიტი „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ავტორი, მრავალ-თავი, I, თბ., 1971;
169. **ხალვაში 1998:** ხალვაში რ., ტბელ აბუსერისძის სახისმ-ეტყველება, ბათუმი, 1998;
170. **ჯავახიშვილი 1956:** ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ის-ტორია, I, თბ., 1956;
171. **ჯავახიშვილი 1987:** ჯავახიშვილი ი., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზ., ტ. VIII, თბ., 1987;
172. **ჯავახიშვილი 1935:** ჯავახიშვილი ი., ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, თბ., 1935;
173. **ჯვარი ვაზისა 1992:** უურნალი „ჯვარი ვაზისა“, № 4, თბ., 1992;
174. **ჯორბენაძე 1997:** ჯორბენაძე ბ., ენა და კულტურა, თბ., 1997;
175. **ჰაგიოგრაფიის ღვთისმეტყველება 1997:** ჰაგიოგრაფიის ღვთისმეტყველება, თბ., 1997;
173. **ბერმანი 1982:** Берман Б. И., Читатель Жития, წიგნში Худо-жественный язык средневековья, М., 1982;
174. **პოლონესკი 2007:** Полонский В., Агиография, энциклопедия кругосвет, 2007 ;
175. **ჟივოვი 1994:** Живов В. М., Краткий словарь агиографических терминов, .., 1994;
176. **პალიაკოვა 1995:** Полякова С., Византийское Жития как литературное явление, М., 1995 ;
177. **აგიოგრაფია:** Агиография, Материал из Википедии — свободной энциклопедии, <http://ru.wikipedia.org/>;
178. **ნაზიროვი 2005:** Назиров Н. Р. Автономия литературного ге- роя, წიგნში: Русская классическая литература, М.: 2005 ;
179. **ნძ. ტიხონი 1995:** Святитель Тихон-Патриарх Московский и вся России, ო. ორლოვის რედაქციით, М., 1995 ;
180. **იერომონახი გრიგორი:** Иеромонах Григорий, Дионисий-

кий субстрат византийской юродство, http://cf.hum.uva.nl/narratology/_pdf/lurie_substrat.pdf, 2001;

181. Ծධ. Ազօմյուն Ըշտում Մեթյաղուալո 1890: Слова Симеона Богослова вип. II, М.,1890;
182. Ճյո 1967: Гей Н., Искусство слова, М., 1967;
183. Չարգման 1958: Гартман Н., Эстетика., М., 1958;
184. Ուշոծեմն 1973: Якобсон Р.. Лингвистика и Поэзия, М., 1973;
185. Ծոհյուզո 1984: Вычков В.В., Эстетика Аврелия Августина., М., 1984;
186. Ծոհյուզո 1990: Вычков В., Идеал любви христианско-византийского мира. В кн. Философия любви. М., 1990;
187. Երուսթումնյուլո... 1930: Христианская жизнь по добротолюбию., Харбинъ, 1930;
188. Տարգրո 1989: Сартр Ж. П., Сумерки Богов, М., 1989;
189. Ծոծլուրո լույսոյմն 1974: Словар Библейского Богословия, М., 1974;
190. Թոյլյորո 1949: uller ., Existenzphilosophie im Geistigen Leben der Gegenwart, Hdeb.1949;
191. Վերներո 1990: Werner R., Christ werden - ensch sein, argburg, 1990;
192. Շյլինցո 1987: Шеллинг Ф., Философские письма о догматизме и критицизме, соч. в 2-х томах, М., 1987;
193. Չարնակո 1911: Das artyrum des hailigen Eustatius von mzchetha, vorgelegt und bearbeitet von Hrn. Harnack, erlin.
194. ԵԲՀԿԱԼՈՅԵԳՈԱ: Энциклопедия кругосвет, www.krugosvet.ru;
195. Ուծոյուզա 1994: Языкова И. К., Богословие иконы, М.,1994;

